ჯონ აპდაიკი

გადადით ლინკზე და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

კენტავრი

Contents

ჯონ აპდაიკი 1
კენტავრი 1
I 1
II 42
III 81
IV 87
V 152
VI 156
VII 172
VIII 242
IX 268
ეპილოგი 273
ჯონ აპდაიკი 274

I

მიბრუნდა თუ არა კოლდუელი, იმწამსვე კოჭში ისარი შეესო. კლასში ხარხარი გაისმა. ტკივილი აჰყვა წვივის სიფრიფანა შუაგულს, მუხლის თავი გაბურღა და გამძვინვარებული მუცელში ეძგერა. კოლდუელმა თვალი დააშტერა დაფას, რომელზედაც ის-ის იყო ცარცით დაწერა 5.000.000.000 - სამყაროს არსებობის სავარაუდო ხანა.

კლასის სიცილი, გაოცებით აღმომხდარ წკმუტუნს რომ ჰგავდა, თავაშვებულ ხორხოცად იქცა, რკალად შემოერტყა და მოუსპო სასურველი მარტოობა. მას კი ისე უნდოდა ტკივილთან პირისპირ დარჩენილიყო: გაეზომა მისი ძლიერება, ყური მიეგდო, როგორ მიყუჩდებოდა თანდათან, გულდასმით დაჰკვირვებოდა. ტკივილმა ახლა კეფაში დაასო საცეცები, შეიშმუშნა, სველი ფრთები გაშალა მის მკერდში და სისხლიანი ნისლით თვალდაბინდულს მოეჩვენა, თვითონაც უზარმაზარი, ძილდამფრთხალი ფრინველი ვარო. წინა ღამით გარეცხილი, რძისფრად ჩამოწუწული დაფა თეთრ საბურველად გადაეფარა მის გონებას. ტკივილმა ბანჯგვლიანი თათები

მოუჭირა გულზე, ფილტვებზე, მერე ყელთან მიაწვა, და ახლა მას წარმოუდგა, რომ მისი ტვინი ხორცის პატარა ნაჭერივით იდო თეფშზე და აწვდილი ხელით მაღლა ეჭირა, რათა მტაცებლის ნისკარტისაგან ეხსნა. ცისარტყელას ყველა ფერის ელვარე პერანგებში გამოწყობილი რამდენიმე ბიჭი ასაკეც მერხებზე ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით ახტა და გამომწვევი ზიზღით უცქერდა მასწავლებელს.

შეუძლებელი იყო ამ აურზაურის ატანა. კოლდუელი კოჭლობით წავიდა გასასვლელისაკენ და გაშმაგებული ზარ-ზეიმი კარს უკან მოიტოვა.

ბარბაცით მიჰყვებოდა დერეფანს. ისრის ფრთიანი ბოლო ყოველი ნაბიჯის გადადგმისას იატაკს ეხახუნებოდა. ლითონის ღრჭიალი და ხისტი შარიშური უსიამოდ ერწყმოდა ერთმანეთს. გულ-მუცელი ემღვრეოდა. დერეფნის ბაცი ყვითელი ფერის გრძელი კედლები ქანაობდა მის თვალწინ; მქრქალი, ოთხკუთხედი შუშით შემინული კარები, რომლებზედაც საკლასო ოთახების ნომრები იყო მიკრული, ჰგავდა რომელიღაც საცდელი დანადგარის რადიაქტიურ სითხეში ჩაშვებულ ფირფიტებს, რომელიც ბავშვურ ხმებს გამოასხივებდა. ხმები მელოდიურად გამოთქვამდნენ

ფრანგულ სიტყვებს, გალობდნენ რელიგიურ ჰიმნებს, არჩევდნენ სოციოლოგიურ საკითხებს: Avez – vous une maison jolie? Oui, j'ai une maison tres jolie[1], რადგან ყანებში ოქროსფრად ღელავს თავთავი, მთებს მზის სხივები ჰმოსავს, ხოლო ველებს უხვი სიმწვანე ფარავს, დრომ და ისტორიამ, ბავშვებო, (ეს ფოლოსის ხმაა), ავტორიტეტი მოუხვეჭა ფედერალურ მთავრობას, გაიზარდა მისი ძალაუფლება და გავლენა. მაგრამ არც იმის დავიწყება გვმართებს, ბავშვებო, რომ ჩვენი ქვეყანა შეიქმნა, როგორც სუვერენულ რესპუბლიკათა კავშირი, შეერთებული... ღმერთო, აკურთხე ჩვენი მხარე და ძმობის მადლი მოჰფინე ალალ-მართალ მიწასა ზედა - საამო საგალობელი გაბმით ჩაესმოდა კოლდუელს ყურში, - აღმობრწყინდი ზღვასა ზედა... მრავალჯერ სმენია ეს აბდაუბდა, ჯერ კიდევ პასეიკში. რა საოცრად შეიცვალა მას შემდეგ! ეჩვენებოდა, რომ მისი ტანის ზედა ნახევარი ვარსკვლავებით

მოოჭვილ მკვრივ თაღს მიბჯენოდა და იქ, მარადიულ არსთა და ნორჩ, მოგალობე ხმათა შორის დაცურავდა; ხოლო წელს ქვემოთ თანდათან სულ უფრო ღრმად ეფლობოდა ჭაობში, წამისწამ ჩაყლაპვას რომ უქადდა. ისრის ფრთიანი ბოლო იატაკს ედებოდა და წყლულს უარესად უღიზიანებდა. ცდილობდა მტკივან ფეხს არ დაბჯენოდა, მაგრამ სამი დანარჩენი შეუწყობელი ფლოქვი ისე ხმამაღლა მიბაკუნობდა, რომ შიშობდა, რომელიმე კარი არ

გამოღებულიყო და იქიდან გამოსულ მასწავლებელს არ შეფეთებოდა. ამ გაჭირვების ჟამს სხვა მასწავლებლები ჩასაფრებულ ტარტაროზებად მიაჩნდა, რომლებიც კვლავ საკლასო ოთახში, მოსწავლეებთან შეგდებით ემუქრებოდნენ. მუცელში მსუბუქად დაუარა ჭვალმა, და სპორტული პრიზებით გამოტენილ შუშის კარადას რომ ჩაუარა, საიდანაც ასი ვერცხლის თვალი იმზირებოდა, სარკესავით გაპრიალებულ იატაკზე, ნაბიჯი არ შეუნელებია, ისე დატოვა მუქი ფერის ოხშივრიანი ჩონჩორიკი. განიერი, ამლაყი ფერდები ზიზღით შეუთრთოლდა, მაგრამ თავი და მკერდი, ჩაძირული ხომალდის ჭვინტივით ჯიუტად მიიწევდა წინ.

განის კარს ზემოთ მკრთალ, წყლისფერ ლაქას ხედავდა და შეუცნობლად იზიდავდა იგი. იქ, დერეფნის შორეულ ბოლოში, ფანჯრებს მიღმა, რომლებზედაც ველურებისაგან თავის დასაცავად რკინის რიკულები აეკრათ, სკოლის შენობაში დღის სინათლე ატანდა და ხშირ, სქელ ბინდში გაჩხერილი, თითქოს ნავთით სავსე რეზერვუარში მოხვედრილი წყალიაო, შიგნით გზას ვერ იკვლევდა. სწორედ ამ მოცისფრო ბუშტისაკენ ეწეოდა ფარვანას ინსტინქტი კოლდუელის მაღალ, ლამაზ, გაორებულ სხეულს. ტკივილისაგან შიგნეული უძრწოდა. სასაში ხორკლიანი საცეცები

დაფათურობდნენ, მაგრამ იცოდა, რომ მალე სუფთა ჰაერის ნაკადს ჩაისუნთქავდა და ამ წუთს სიამით ელოდა. მოსინათლდა. ხელი ჰკრა და გააღო ორმაგი შუშაბანდიანი კარი, რომლის ჭუჭყიანი შუშები ლითონის ბადით იყო გამაგრებული. ბეტონის მოედანზე მოკლე კიბით რომ ეშვებოდა, ისარი მოაჯირის ფოლადის ანჯამებს ედებოდა და მწველ ტკივილს ჰგვრიდა. რომელიღაც მოსწავლეს კიბეზე არბენისას ბნელ გასასვლელში კრიალა კედელზე ფანქრით უშვერი გინება წაეწერა. კოლდუელმა პირი მაგრად მოკუმა, შიშით თვალმოხუჭული კარის თითბრის სახელურს სწვდა და გარეთ გაიჭრა.

მისი ნესტოებიდან ორთქლის ორი ფაფუკი ბოლქვი გამოვარდა და სუსხიან ჰაერში განიბნა. იანვარი იდგა. ლურჯი, კამკამა ცა დაჰყურებდა თავზე, ცხადი და მაინც იდუმალებით გამსჭვალული. სკოლის უკან გადაჭიმული ვეებერთელა, გულდაგულ მოცელილი კორდი, კუთხეებში ჩარიგებული ნაძვებით, ამწვანებულიყო ამ შუაგულ ზამთარში, მაგრამ ეს დამზრალი,

გაცრეცილ-გათოშილი სიმწვანე არ იყო ბუნებრივი. სკოლის გალავანს გადაღმა ელიში მიმავალი დაცარიელებული ტრამვაი მირახრახებდა - დილის თერთმეტი საათი იყო და ყველა საწინააღმდეგო მიმართულებით, ოლტონს მიეშურებოდა სავაჭროდ. ტრამვაი ნელა ირწეოდა რელსებზე; დაწნული ჩალის სკამები ფანჯრებში ოქროსფერ ნაპერწკლებს ისროდნენ. გარეთ, უსაზღვრო, დიდებულ სივრცეში ტკივილი დაშოშმინდა. დათრგუნვილმა, დაჩიავებულმა და სიანჩხლით გაკერპებულმა ისევ კოჭში დაიბუდა. კოლდუელის უცნაური აღნაგობა ღირსებით აღივსო; მხრები, ცოტა არ იყოს ვიწრო ესოდენ დიდი არსებისათვის, გაშალა და ახლა მედიდურად თუ არა, თავდაჭერილი, მოწამებრივი სინატიფით მიაბიჯებდა, კოჭლობაც კი დაიმშვენა. კოლდუელმა დაჭირხლულ კორდსა და მის მომიჯნავე ავტომობილების სადგომს შორის გაჭრილ მოკირწყლულ გზაზე გადაუხვია. მის ფაშვთან ზამთრის ქათქათა მზეზე ბრწყინავდა ავტომობილების კბილებდაკრეჭილი რადიატორები. მოქრომვილ ლითონზე ნაკაწრი ალმასივით ელავდა. სიცივემ სუნთქვა შეუკრა. უკან სკოლის მოწითალო, აგურის შენობაში ზარი დაირეკა - უზედამხედველოდ დარჩენილი მოწაფეები დაითხოვეს. ბავშვები ზანტი ბუბუნით ინაცვლებდნენ ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში.

ჰამელის გარაჟი ოლინჯერის სკოლის ტერიტორიას ეკვროდა, მათ შუა მხოლოდ ასფალტის ვიწრო, უსწორმასწორო ზოლი მიიკლაკნებოდა. ეს უბრალოს შემთხვევითი

მეზობლობა როდი იყო. წინათ ჰამელი მრავალი წლის მანძილზე სკოლის საბჭოს წევრი იყო, ხოლო მისი მეუღლე ვერა, ჟღალთმიანი ახლგაზრდა ქალი, ახლაც ასწავლიდა გოგონებს ფიზკულტურას. სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის გარაჟს ბევრი კლიენტი ჰყავდა. უფროსკლასელები აქ სარემონტოდ ტოვებდნენ თავიანთ დაჟეჟილ-დაჭეჭყილ მანქანებს, უმცროსები კი უსასყიდლოდ ბერავდნენ კალათბურთის ბურთებს. კარს უკან, დიდ ოთახში სადაც ჰამელი ანგარიშებს ინახავდა და სათადარიგო ნაწილების შებოლილი კატალოგები დახვავებულიყო, ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმულ ხის ორ მაგიდაზე უწესრიგოს ეყარა ძველი გაზეთები, ქაღალდები და ჟანგიან საჩხვლეტზე ჩამოცმული ვარდისფერი ქვითრების სქელი შეკვრები. აქვე იდგა გაბზარულსახურავიანი მქრქალი მინის ყუთი - ელვასავით დაკლაკნილ ბზარებზე საბურავების წებოვანი სალბუნი ჰქონდა დაკრული, - ტკაცუნა ქაღალდებში გახვეული ტკბილეულით სავსე, იგი ბავშვებისაგან გროშებს ელოდა. ცემენტის ხუთფუტიანი ორმოს გასწვრივ, რომელშიაც პირდაპირ ქუჩიდან შეიძლებოდა მანქანის შეყვანა, გაზინთული დასაკეცი სკამები ჩაემწკრივებინათ. მასწავლებლები - მართალია ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იშვიათად - ისხდნენ ხოლმე აქ შუადღისას, ეწეოდნენ თამბაქოს, ღეჭავდნენ კარამელსა და

ნიგვზიან შოკოლადს, ან ესიკის ფაბრიკაში დამზადებულ ხველის საწინააღმდეგო დრაჟეს წუწნიდნენ; ზონრით გულდასმით შეკრულ, გაპრიალებულ ფეხსაცმელებს, ორმოს ირგვლივ შემოვლებულ მოაჯირზე შემოაწყობდნენ, რომ აწეწილი ნერვები ოდნავ მაინც არის დაეცხროთ, ვიდრე ქვემოთ, სამკედლიან ორმოში, ჰამელის შავტუხა მუშები მზრუნველად, თითქოს ლითონის უზარმაზარ ბავშვს აბანავებენო, რეცხავდნენ ავტომობილს.

გარაჟის მთავარი, ყველაზე დიდი განყოფილებისაკენ დამრეცი მოასფალტებული გზა ეშვებოდა. დატეხილ-დამსკდარი ღრანტეებიანი და დალაქავებული ასფალტი შიგადაშიგ გაქვავებული ლავის ნაკადივით ამობერილიყო. ტრანსპორტისათვის განკუთვნილ, მწვანედ შეღებილ, ფართო ალაყაფის კარებში, კაცის სიმაღლის ჭიშკარი იყო გამოჭრილი და ზედ, საგდულებქვეშ, ლურჯი საღებავით გამოყვანილი დაბრეცილი ასოებით ეწერა: „კარი დახურეთ“. კოლდუელმა რაზა გადასწია და შევიდა. კარის დასაკეტად რომ შემოტრიალდა, უნებლიეთ დაჭრილ ფეხს დაეყრდნო და ტკივილმა გააბრუა.

სიბნელეში ბუღი ტრიალებდა და ნაპერწკლების კორიანტელი იდგა. პირქუში გამოქვაბულის იატაკი ზეთისაგან შავად გალიპულიყო. ხელსაწყოების გრძელი მაგიდის ბოლოს თვალსაფარი სათვალით შეიარაღებული ორი უფორმო სილუეტი თავს დასტრიალებდა მარაოსებურ ცეცხლოვან ნაკადს. ცეცხლი, რომელსაც ფრთხილად მიმართავდნენ სადღაც ქვევით, ირგვლივ გავარვარებულ შხეფებს აფრქვევდა. მესამე, შავგვრემან სახეზე თვალის გარსი თეთრად რომ უელავდა, ზურგზე გაწოლილი ფორთხვით გაუჩინარდა ავტომობილქვეშ. კოლდუელმა სიბნელეს თვალი შეაჩვია და გაარჩია გარშემო დახვავებული ავტომობილის ნაწილები, მყიფე და მოჩვენებასავით უცნაური: მანქანის ფრთები კუს გამოშიგნულ ბაკნებს ჰგავდა, აფოფრილი ძრავები ამოგლეჯილი გულებივით ეყარა. მტრედისფერ ჰაერს დროდადრო შიშინი და ბრაზიანი ტკაცატკუცი ათრთოლებდა. იქვე მახლობლად ძველი, მუცელგაბერილი ღუმელი გადამსკდარი ნაწიბურებიდან დამაბრმავებლად, წითლად ვარვარებდა. კოლდუელს არ უნდოდა მოშორებოდა ამ სითბოს, თუმცა ფეხში გაჩხერილი ისარიც გათბა და მუცელში უსიამოვნო თრთოლა მოჰგვარა. კარში თავად ჰამელი შეეგება. ერთმანეთის შესახვედრად რომ მიდიოდნენ, კოლდუელს თავშესაქცევი აზრი აეკვიატა, სარკეს ვუახლოვდებიო, რადგან ჰამელიც მოკოჭლაობდა. ბავშვობისას დაეცა, ფეხი მოიტეხა და ახლა ცალი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონდა. ბეჭებში მოხრილი ჰამელი ფერდაკარგული და დაღლილ-დაქანცული გამოიყურებოდა, მძიმე ცხოვრებამ გატეხა ხელოვანი მექანიკოსი. ფილიალებმა - „ესომ“ და „მობილგესმა“ ზედ ქალაქის შესასვლელთან, ჰამელის გარაჟიდან სულ რამდენიმე კვარტალში, ტექნიკური

მომსახურების საკუთარი სადგურები გახსნეს. ამასთან ომის დროს მონახვეჭი ფულით ახალთახალი ავტომობილი ყველასთვის ხელმისაწვდომი შეიქნა და ჰამელმა მუშტარი დაკარგა - ომის შემდეგ რემონტის შეკვეთები თითქმის შეწყდა.

- რაო, ჯორჯ! განა უკვე შესვენების დროა? - ჰამელის არც ისე ძლიერი, მაგრამ მჭახე ხმა ჩვეულებრივ ფარავდა სახელოსნოს ხმაურს.

კოლდუელმა უპასუხა, მაგრამ ლითონზე მკვეთრი და ხშირი დარტყმები ახშობდა მის სიტყვებს. საკუთარი წვრილი და დაძაბული ხმა თვითონაც კი არ ესმოდა.

- ოჰ, არა. ახლა გაკვეთილზე უნდა ვიყო.

- მაშ რაღა ამბავია?!

ჰამელის სათნო, ნაცრისფერ სახეზე, წამოზრდილ ჭაღარა ჯაგარს თეთრად რომ დაეწინწკლა, მოლოდინი და შეშფოთება აღიბეჭდა. თითქოს ყოველგვარ მოულოდნელობას უთუოდ ტკივილი უნდა მიეყენებინა მისთვის. კოლდუელმა იცოდა, რომ ამას იგი ცოლმა შეაჩვია.

- აი, დახედეთ, - თქვა კოლდუელმა, - ერთმა ეშმაკის ფეხმა რა მიყო.

მან დაჭრილი ფეხი იქვე დაგდებულ ავტომობილის ფრთაზე შემოდგა და შარვლის ტოტი აიკაპიწა.

მექანიკოსი დაიხარა. ფრთა დაკვირვებით მოსინჯა. თითებში ჭუჭყი და ზეთი გასჯდომოდა და აბრეშუმივით რბილი იყო მათი შეხება.

- ფოლადისაა, - ჩაილაპარაკა ჰამელმა, - თქვენი ბედი, რომ წვერი შიგ არ ჩარჩენილა.

ჰამელმა ანიშნა, რომ ბორბლებზე შეყენებული მომცრო სამფეხა შავ, ოღროჩოღრო იატაკზე ჟღარუნით გამოგორდა მათკენ. ჰამელი იდაყვის საყრდენებიან საკვეთელს დასწვდა, რათა უფრო გრძელი ბერკეტი ჰქონოდა. კოლდუელი ისე აიტანა შიშმა, რომ ტანის მთელი სიმძიმე დოყლაპია ბავშვის ხელიდან დამსხლტალი ჰაერბურთივით განეშორა მის სხეულს. საოცარი სიმჩატე იგრძნო და ამ დამარეტიანებელ, უწონადო მდგომარეობაში ჩავარდნილი კოლდუელი შეეცადა საკვეთლის ძალთა დიაგრამა წარმოედგინა: მოგება ძალაში უდრიდა ხახუნის ძალით შემცირებულ დაწოლის ძალას, გამრავლებულს, ბერკეტის AO მხრის შეფარდებაზე (სადაც O - საკვეთლის ღერძს წარმოადგენს), OB მხართან (B - საკვეთლის მოკაკულ, ალესილ პირთა ისართან შეხების წერტილია), გამრავლებულს საკვეთლის დამხმარე ბერკეტისაგან მიღებულ მომგებ ძალაზე, და ყოველივე ამას, გადამრავლებულს ჰამელის

მტკიცე, გარუჯული მარჯვენის დაწოლით მიღებულ მომგებ ძალაზე, რასაც ზამბარასავით დაჭიმული კუნთები და ხუთი ღონიერი თითი ანიჭებდა. BC X BC X 5BC =ტიტანის ძალას. ჰამელი დაიხარა. ახლა კოლდუელს შეეძლო მხარზე დაყრდნობოდა მას, მაგრამ მექანიკოსისა მოერიდა და ისევ გაშეშებული დგომა არჩია. თვალი მაღლა აღაპყრო. ჭერის ნესტიანი, დაჭვარტლული ფიცრები აბლაბუდას მოეხატა და შავ ხავერდს ჰგავდა. კოლდუელმა

მუხლით შეიგრძნო როგორ ძაგძაგებდა ხელსაწყოსთან ერთად ჰამელის მოხრილი ზურგი. წინდის ქვეშ, შიშველ კანზე ეხებოდა ლითონი. ავტომობილის ფრთა ყანყალებდა. ჰამელს მხრების კუნთები დაებერა. კოლდუელმა კბილს კბილი დააჭირა, ყვირილი რომ არ დასცდენოდა, - თითქოს ბასრი საკვეთლები ლითონის ნაცვლად მისი სხეულიდან ამოშვერილ ნერვს დაეტაკა. ნამგალა ყბებმა ხრჭიალი მოიღეს, ტკივილმა ფეხი გასერა, მოკლე ნახტომით ავარდა სხეულის ზედა ნაწილში და მთელ ტანში ელვასავით დაუარა; ჰამელმა მხრები მოუშვა.

- არაფერი გამოვა, - უთხრა მექანიკოსმა. - ჭრუვი მეგონა, მაგრამ შევცდი. ჯორჯ, რა გაეწყობა, წამოდით ხელსაწყოების მაგიდასთან.

კოლდუელი ძლივს ითრევდა აკანკალებულ ფეხებს, რომლებიც ველოსიპედის თვლის ღერძებივით დაწვრილებოდა. მუხლი ეკვეთებოდა, მაგრამ მაინც გაჰყვა ჰამელს და მორჩილად დადგა ფეხი კოკა-კოლის ყუთზე, რომელიც მექანიკოსმა მაგიდის ქვეშ გამოქექა. კოლდუელი ისრის შეხედვას უფრთხოდა და თვალზე ლიბრგადაკრულივით გახევებულიყო. მზერა ქვევით რომ არ გაჰპარვოდა, დაჟინებით მიაშტერდა

გაფუჭებული ბენზოტუმბოებით სავსე დიდ კალათას. ჰამელმა უშუქსაფარო ელექტრონათურა ჯაჭვით თავისკენ მიიწია. ფანჯრის მინებში შუქი არ აღწევდა, რადგან გარედან სქლად იყო შეღებილი; ორ ფანჯარას შორის, კედელზე ეკიდა ზომის მიხედვით ჩამწკრივებული ხრახნის გასაღებები, სახელურებზე რეზინდაკრული მრგვალთავა ჩაქუჩები, ელექტრული ხვრეტელები, იარდის სიგრძე საშალები, და კბილანა თუ მუხლებიანი რთული ხელსაწყოები, - კოლდუელს მათი დანიშნულება არ ესმოდა; იქვე ეწყო გულდასმით დახვეული ძველი მავთულის შულოები, ყალიბმზომი, ტუჩბრტყელები; კედელი მოჩითული იყო ნაპრალებში ბოლოებჩაჩურთული ძველი, გამოხუნებული, კიდეებშემოცვეთილი პლაკატებით. ერთ-ერთ მათგანზე კატა ეხატა შემართული თათით, მეორეზე - გოლიათი, რომელიც ამაოდ ცდილობდა პატენტიანი ამძრავი ღვედის გაგლეჯას. ერთი პლაკატი მოუწოდებდა: „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა!“, მეორეზე, რომელიც ზედ ფანჯრის შუაზე იყო გაკრული, ეწერა:

გაუფრთხილდი თვალებს ახალს ვერავინ ჩაგიდგამს!

უხეში ქმნილების უხეშ სადიდებელს ღაღადებდა მაგიდაზე დახვავებული რეზინის

შლანგები, სპილენძის მილები, გრაფიკის ღეროები, კუთხვილი რკინის მუხლები, საზეთეები, ხის თამასები, ათასგვარი დამსხვრეული ნამსხვრევები და ნატეხები. ხელსაწყოებისა და მასალის ამ ქაოსს დროდადრო მაგიდის ბოლოში ავარდნილი თვალისმომჭრელი შუქი ანათებდა. იქ ორი მექანიკოსი მუშაობდა რაღაც უცნაურ ნივთს სჭედდნენ, რომელიც წელწვრილი და თეძოგანიერი ქალის ბრინჯაოს მოჩუქურთმებულ ქამარს წააგავდა. ჰამელმა მარცხენა ხელი აზბესტის ხელთათმანში გაუყარა და ნივთების გროვაში თუნუქის ფართო ზოლი შეარჩია. მერე შუაგული ამოჭრა, სხარტი მოძრაობით ისეთნაირად დაახვია, რომ თუნუქმა ჩაზნექილი ფარის ფორმა მიიღო და კოლდუელის ფეხში გარჭობილ ისარს წამოაცვა.

- რომ არ დაგწვათ, - აუხსნა მან და თავისუფალი ხელის თითები გაატკაცუნა. - არჩი, ერთი სანთურა მომეცი!

თანაშემწემ იატაკზე დაგდებულ შლანგს ფრთხილად გადმოაბიჯა და აცეტილენის სანთურა მიაწოდა. პატარა შავი ქოთნიდან თეთრი, ნაპირებში მომწვანო ალი ამორბოდა. ენის წვერთან სიმწვანე გამჭვირვალე სიცარიელეში გადადიოდა. კოლდუელი შიშს ებრძოდა. ისარი მისთვის ცოცხალ ნერვად ქცეულიყო და მან პირი მოკუმა, გაკერპდა გარდაუვალ ტკივილთან შებმის მოლოდინში.

მაგრამ ტკივილი არ უგრძვნია, რაღაც ჯადოს ძალით გარსშემოერტყა უსასრულო, შეუღწევადი შარავანდედი. ალი მკვეთრად გამოსახულ სამკუთხა ჩრდილებს ათამაშებდა კედლებსა და მაგიდაზე. ჰამელი ხელთათმანიანი ხელით თუნუქის ფარს იშველიებდა, და რადგან უსათვალოდ იყო, მოჭუტული თვალით დააცქერდა მოშიშინე ალისაგან ავარვარებულ კოლდუელის კოჭის რბილობს. მკვდარივით გაფითრებული სახე მთლად დაუნაოჭდა, გამჭრიახ თვალებში აკვიატებული აზრი უელავდა. კოლდუელმა დაბლა დაიხედა და დაინახა, რომ ჰამელს შუბლზე ჭაღარა თმის თხელი ბღუჯა ჩამოეშალა, შეაშრა და მერე გაქრა, თითქოს კვამლის ცხელმა ნაკადმა შეისრუტაო. მუშები მათ უხმოდ შესცქეროდნენ. უეცრად კოლდუელმა მხურვალება შეიგრძნო; გავარვარებული თუნუქი უდაღავდა ფეხს. მაგრამ თვალდახუჭულმა წარმოიდგინა, თუ როგორ იღუნება, დნება, მოლეკულებად იშლება ისარი. ლითონის მცირე საგანმა იატაკზე ჟღარუნი მოიღო. მარწუხები, ფეხზე რომ უჭერდა, მოეშვა.

კოლდუელმა თვალი გაახილა - სანთურა ჩამქრალიყო. ელექტრონის ყვითელი შუქი ყავისფრად ეჩვენა.

- რონი, ჩვარი დაასველე ერთი, - გასძახა ჰამელმა. - გავაცივებთ და ისე გამოვიღებთ, - აუხსნა კოლდუელს.

- ოქროს ხელი გაქვთ, - უთხრა კოლდუელმა. მისი ხმა მოულოდნელად სუსტად გაისმა და შექება უფერული გამოვიდა.

კოლდუელმა დაინახა, როგორ აიღო ცალთვალა, მხარბეჭიანმა ჭაბუკმა რონის გაზეთილი ჩვარი და ჩაუშვა ოდნავ მოშორებით, ნათურის ქვეშ მდგარ შავი წყლით სავსე კასრში. ამღვრეულ წყალში სინათლის ათინათები ალიცლიცდნენ, აწრიალდნენ, თითქოს წყლიდან თავის დაღწევას ლამობენო. რონიმ ჩვარი მიაწოდა ჰამელს, ხოლო ეს უკანასკნელი ჩაცუცქდა და ჩვარი ისარს შემოახვია. კოლდუელს ცივი წყალი წურწურით ჩაეღვარა ფეხსაცმელში, გაისმა შიშინი და ნესტოებში საამო სურნელებამ შეუღიტინა.

- ახლა კი ცოტა შევიცადოთ, - თქვა ჰამელმა. ჯერ ისევ ჩაცუცქული იყო და ფრთხილად ეჭირა კოლდუელის შარვლის ტოტი ჭრილობის ზემოთ. კოლდუელმა ჰამელის სამივე თანაშემწის მზერა დაიჭირა, - მესამე ავტომობილის ქვეშიდან გამოძვრა და უბადრუკად გაიღიმა. ახლა, როცა ტანჯვა დასასრულს უახლოვდებოდა, უხერხულობა იგრძნო და დაირცხვინა. მისი ღიმილის საპასუხოდ მუშებმა წარბი შეიკრეს. მათთვის ეს იგივე იყო, მანქანას რომ უეცრად ენა ამოედგა. კოლდუელმა იქ მყოფთ თვალი აარიდა და შორეულზე ფიქრს მიეცა: მწვანე მინდვრებზე, ოდესღაც ლამაზ და მოხდენილ ხარიკლოზე, პიტერზე, როცა ბიჭი სულ პაწაწა იყო, ჩასვამდა ხოლმე საჭემიმაგრებულ ბორბლებიან სკამში და ორკაპი ჯოხით უბიძგებდა. ასე დაასეირნებდა წაბლის ხეებით დაჩრდილულ ქუჩებში. ღარიბები იყვნენ და საბავშვო ეტლის ყიდვა არ შეეძლოთ; ბიჭუნამ დამოუკიდებლად ისწავლა სკამის მართვა, მეტისმეტად ადრე ხომ არა? კოლდუელი ზრუნავდა ბავშვზე, როცა კი დროს იშოვიდა.

- ახლა კი გამაგრდით, ჯორჯ, - უთხრა ჰამელმა. ისარმა უკან დაიხია და ჭრილობიდან გამოსრიალებისას ერთხელ კიდევ უჩხვლიტა. კმაყოფილებისა თუ ნათურის სიმხურვალისაგან სახეალეწილი ჰამელი გასწორდა. მისი სამივე ბრიყვი თანაშემწე

შექუჩდა, წრე შეკრეს და ერთმანეთს არ აცლიდნენ ვერცხლისფრად მოლივლივე ფოლადის დათვალიერებას. ისრის ბოლო სისხლით იყო შეღებილი. კოლდუელმა გათავისუფლებულ კოჭში შვება იგრძნო. სისუსტემ დაუარა: თითქოს ფეხსაცმელი ნელ-ნელა ევსებოდა რაღაც თბილი სითხით. ტკივილმა

ფერი იცვალა და ეს ახალი სპექტრი განკურნებას უქადდა. ტანმა იგრძნო ეს. ტკივილი ახლა რიტმული ძგერით ადიოდა გულთან - ეს ბუნების სუნთქვა იყო.

ჰამელი დაიხარა, იატაკზე რაღაცას დასწვდა და ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა, მერე კოლდუელს გაუწოდა. სითბოშერჩენილი ისრის ბურნუკი იყო, სამწახნაგოვანი და ისეთი წვერწამახული, რომ წიბოები მოქნილ რკალად იდრიკებოდა; მეტისმეტად მოქნილი და ნატიფი იყო ასეთი ჭრილობისათვის. ჰამელი ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა. ხელისგულზე ლაქები გამოსვლოდა ძალდატანებისაგან; შუბლი ცივმა ოფლმა დაუცვარა.

- რაღად დაყნოსეთ? - ჰკითხა კოლდუელმა.

- ვიფიქრე, მოწამლული ხომ არ არის-მეთქი.

- მერე?

- რა ვიცი, ახლანდელი ბავშვებისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე, - უთხრა ჰამელმა. - ისე სუნი არა აქვს.

- ამას არ ჩაიდენდნენ, - დარწმუნებით მიუგო კოლდუელმა და თვალწინ წარმოუდგა აქილევსის და ჰერაკლეს, იაზონისა და ასკლეპიოსის სახეები, სასოებით რომ იჭერდნენ მის ყოველ სიტყვას.

- ნეტავ ვიცოდე, საიდან აქვთ ამ ბავშვებს ფული! - თქვა ჰამელმა, თითქოს ცდილობდა კოლდუელი ბნელი ფიქრებიდან გამოეფხიზლებინა. მერე ისარი აიღო და სისხლი ხელთათმანით გაწმინდა.

- კარგი ფოლადია, - ჩაილაპარაკა მან. - ცოტა ფული კი არა ღირს!

- მამები აძლევენ ფულს ამ საძაგლებს, - თქვა კოლდუელმა. ახლა თავს უფრო მხნედ გრძნობდა. ფიქრი დაეწმინდა. უნდა დაბრუნდეს სკოლაში, გაკვეთილზე.

- მეტისმეტად ბევრი ფული გაუჩნდა ხალხს, - თქვა მოხუცმა მექანიკოსმა. მის ხმას დაღლილი კაცის სიანჩხლე დაეტყო. - დეტროიტში დამზადებულ ნაგავს ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ.

ჰამელს სიწითლემ გაუარა და კვლავ ნაცრისფრად გადაეტეტკა აცეტილენით დამწვარი სახე. კილიტის დაჭმუჭნული ქაღალდივით დანაოჭებულ და მოშვებულ სახეზე ახლა ჩუმი სევდა გადაჰკვროდა და თითქმის ქალური ჩანდა. კოლდუელი შეწუხდა.

- ელ, რამდენია ჩემზე? უნდა წავიდე. ზიმერმანი თავს წამაცლის.

- არაფერი, ჯორჯ. ნუ გაირჯებით. მოხარული ვარ, რომ დაგეხმარეთ. - მან გაიცინა. - ყოველდღე როდი მიხდება ფეხიდან ისრის გამოძრობა.

- მართალი გითხრათ, სინდისი მქენჯნის. გთხოვთ როგორც ოსტატს, სპეციალისტს...

კოლდუელმა ყოყმანით წაიღო ხელი ჯიბისაკენ.

- კარგი ერთი, ჯორჯ! სულ ერთი წუთის საქმე იყო. დიდსულოვნად მიიღეთ ჩემგან ეს მცირე სამსახური. რამდენჯერ უთქვამს ვერას თქვენზე, მაგისთანა წესიერ კაცს იშვიათად ნახავ სკოლაში, სხვები სიცოცხლეს მიმწარებენო.

კოლდუელმა იგრძნო, რომ სახე უქვავდებოდა; იცის კი ჰამელმა, რა უმწარებს ვერას სიცოცხლეს!.. უნდა დაბრუნდეს.

- ელ, მერწმუნეთ, სულით და გულით გმადლობთ.

-

მუდამ ასეა. წესისამებრ მადლობის გადახდაც კი არ ეხერხება. მთელი სიცოცხლე ამ ქალაქში გაატარა, შეეთვისა აქაურ ხალხს, ვერ კი გამოუხატავს.

- მოიცათ! - მიაძახა ჰამელმა. - ამას თან ხომ არ წაიღებთ? - და კრიალა ზრო გაუწოდა. ბურნუკი კოლდუელმა ადრევე ანგარიშმიუცემლად ჩაიდო ჯიბეში. ეშმაკსაც წაუღია. დაიტოვეთ.

- რა ჯანდაბად მინდა? აქ ისედაც ბევრი ნაგავია. ზიმერმანს უჩვენეთ. განა დასაშვებია, რომ ჩვენს სკოლაში ასე აბუჩად იგდებდნენ მასწავლებელს?

- კარგი, ელ, დაგიჯერებთ ამას. გმადლობთ. დიდი მადლობა.

ისრის გრძელი ვერცხლისფერი ღერო ჯიბიდან ავტომობილის ანტენასავით ამოჩრილიყო.

- უნდა დაიცვან მასწავლებლები ასეთი მოწაფეებისაგან. იჩივლეთ ზიმერმანთან. - თვითონ იჩივლეთ, თქვენ იქნებ დაგიჯეროთ.

- ვინ იცის, იქნებ, დამიჯეროს კიდეც. სერიოზულად გეუბნებით. სრულიად ადვილი შესაძლებელია.

- ხუმრობა აზრადაც არ მომსვლია.

- ხომ იცით, სკოლის საბჭოს წევრი ვიყავი, როცა ის მასწავლებლად დანიშნეს.

- ვიცი, ელ.

- მერე კი ბევრჯერ ვინანე...

- ამაოდ.

- ნუთუ?

- არ არის უჭკუო კაცი.

- ჰო... რა თქმა უნდა... მაგრამ რაღაც აკლია.

- ზიმერმანმა იცის, როგორ უნდა გამოიყენოს ძალაუფლება, ოღონდ დისციპლინა ვერ დაამყარა.

კოლდუელს წვივი და მუხლი კვლავ გაუსერა ტკივილმა. მოეჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს შეიცნო, რა კაციცაა ზიმერმანი და სრულიად მიუდგომლად განსაჯა კიდეც. ჰამელი კი გულისგამაწვრილებელი სიჯიუტით იმეორებდა ერთხელ აჩემებულს:

- რაღაც აკლია მაინც.

-

კოლდუელი გრძნობდა, რომ იგვიანებდა და მოუსვენრობისაგან გულის კოვზთან წიწკნიდა.

- მეჩქარება. - თქვა მან.

- აბა, ბედნიერად. ხესის გადაეცით, ქალაქში უთქვენოდ მოგვეწყინება-თქო.

- ღმერთო ჩემო, ხესი იქ ტოროლასავით ლაღად გრძნობს თავს. მთელი სიცოცხლე ამაზე ოცნებობდა.

  მამილო კრამერი რაღასა იქს?

- კაჟივითაა. ას წელიწადს იცოცხლებს.

- აღარ მოგბეზრდათ ყოველდღე აქეთ-იქით მგზავრობა?

- მართალი გითხრათ, მეხალისება კიდეც. შვილს ხანდახან მაინც გამოველაპარაკები ხოლმე. ქალაქში რომ ვცხოვრობდით, ბავშვს თითქმის ვერ ვხედავდი.

- ვერა ამბობს, ჭკვიანიაო.

- დედას ჰგავს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემი სიმახინჯეც გამოჰყვეს.

- ჯორჯ, შეიძლება რაღაც გითხრათ?

- რა თქმა უნდა.

- თქვენი სიკეთე მინდა და იმიტომ გეუბნებით.

- თქვით, ელ. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

- იცით თქვენი უბედურება რა არის?

- ჯიუტი და სულელი ვარ.

- არა, მართლა.

უბედურება ისაა, - გაიფიქრა კოლდუელმა, - რომ ფეხი მტკივა, საშველი აღარაა.

- რა მაინც?

- მეტისმეტად თავმდაბალი ხართ.

- ნიშანში მოარტყით, ელ, - მიუგო კოლდუელმა და წასასვლელად შეტრიალდა.

- მანქანა როგორღაა, წესრიგშია? - არ ეშვებოდა ჰამელი.

ფერმაში გადასვლამდე, რომელიც ქალაქიდან ათი მილით იყო დაშორებული, კოლდუელები უმანქანოდაც იოლად გადიოდნენ. ოლინჯერში არ ჭირდა

-

ფეხით სიარული, ოლტონამდე კი ტრამვაი დადიოდა. მაგრამ როცა მოხუცი კრამერის სახლი უკანვე გამოისყიდეს, მანქანა აუცილებელი გახდა. ჰამელმა შეურჩია ოცდათექვსმეტ წელს გამოშვებული „ბიუიკი“, სულ რაღაც სამას სამოცდათხუთმეტ დოლარად.

- მშვენივრად. საუცხოო მანქანაა. ვერ მომინელებია, რომ გისოსი გამიტყდა.

- აღარ შედუღდება, ჯორჯ. ძრავა ხომ კარგად მუშაობს?

- საუკეთესოდ. ელ, უსაზღვროდ მადლობელი ვარ თქვენი.

ძრავა წესრიგში უნდა იყოს. თქვენი წინამორბედი ნელა დადიოდა, საათში ორმოც მილს არ აჭარბებდა. დამკრძალავი ბიუროს პატრონი არ იყო!.. ჰამელი

ამას მეათასეჯერ მაინც იმეორებდა. როგორც ჩანს, ეს აზრი იზიდავდა.

- ეს სრულებით არ მადარდებს, - მიუგო კოლდუელმა, მივხვდი, რომ ჰამელის წარმოდგენით მანქანაში სულები ბუდობდნენ. ბოლოს და ბოლოს ჩვეულებრივი ოთხკარიანი მსუბუქი ავტომანქანა იყო. მიცვალებულს შიგ ვერაფრით დაატევდა კაცი. ეს კია, რომ ასე კუპრივით შავი კოლდუელს ჯერ არაფერი ენახა. ძველი „ბიუიკებისათვის“ შელაქს არ იშურებდნენ.

ჰამელთან მოსაუბრე კოლდუელი ნერვიულობდა. ყურში ერთთავად საათის ტიკტიკი ჩაესმოდა; სკოლა მბრძანებლურად უხმობდა. ჰამელის გასავათებული სახე ველური ხმების კორიანტელში როკავდა. ავტომობილის დახარისხებული დეტალები, აგლეჯილი კუთხვილის ზიგზაგები, ნახშირის შრეები, დაღვლარჭნილი ლითონის ნაჭრები არეკლილიყო ამ სახის კარგად ნაცნობ ნაკვთებში. ნუთუ ჩვენც ასე ნაწილ-ნაწილ დავიშლებით? ტვინი კი გამალებული კაკუნით გადასცემდა ეთერში: შელაქი „ბიუიკებზე“, შელაქი, შელაქი.

- ელ, - უთხრა მან, - ძალზე დავიგვიანე. მაშ ფულს არ აიღებთ?..

- კმარა ამაზე, ჯორჯ!

უცნაურები არიან ეს ოლინჯერელი არისტოკრატები. ფულს არასგზით არ გამოგართმევენ, ქედმაღლური ლაპარაკი კი უყვართ. თავს მოგახვევენ სიკეთეს და მერე ღმერთებს ბაძავენ.

კოლდუელი კარისკენ წავიდა, ჰამელი კოჭლობით გაჰყვა მას. სამმა კიკლოპმა ისეთი

ხორხოცი მორთო, რომ ორივე შემოტრიალდა. არჩი, გამაყრუებელი ხითხითით, თითქოს ასი ნაუცბათევად დაკლული ქათამი კრიახებსო, იატაკზე მიუთითებდა. ჭუჭყიან ცემენტზე სველი ნაკვალევი დარჩენილიყო.

-

კოლდუელმა დაჭრილ ფეხზე დაიხედა: ფეხსაცმელი სისხლით იყო გაჟღენთილი; მუქ სინათლეზე სისხლს შავი ფერი დაჰკრავდა და ქუსლთან წვეთავდა.

- ჯობს ექიმთან წახვიდეთ, - უთხრა ჰამელმა.

-შესვენებაზე ჩავირბენ. დე იდინოს სისხლმა, - მას შხამზე ფიქრი არ ასვენებდა. - ჭრილობა გასუფთავდება.

მან კარი გამოაღო და ცივი ჰაერის ნაკადმა ყველანი დასუსხა. გასვლისას კოლდუელმა დაჭრილი ფეხი გაუფრთხილებლად დააბიჯა და მოულოდნელი ტკივილისაგან შეხტა.

- უთხარით ზიმერმანს, - არ ცხრებოდა ჰამელი.

ვეტყვი.

- არა, მართლა, ჯორჯ, უთხარით.

- სულ ერთია ვერაფერს გააწყობს, ელ. ახლანდელი ბავშვები არ ჰგვანან უწინდელებს. თანაც ზიმერმანს კიდეც უხარია, ბავშვები ცოცხლად რომ გვჭამენ.

ჰამელმა ამოიოხრა. ნაცრისფერი კომბინეზონი ტომარასავით ეკიდა. თმაში ლითონის ნაქლიბი უბრწყინავდა.

- ცუდ დროში ვცხოვრობთ, ჯორჯ.

კოლდუელს მოგრძო, გამხდარი სახე შეუტოკდა. რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დადგა, რაც იშვიათად ემართებოდა. საერთოდ მისთვის უცხო იყო ის, რასაც უმრავლესობა „იუმორის გრძნობას“ უწოდებს.

- რაც მართალია მართალია, ოქროს ხანა არ არის.

კოლდუელს შეებრალა ჰამელი და სკოლისკენ მიმავალი მასზე ფიქრობდა.

მარტოდმარტოა საწყალი, ხმის გამცემიც კი არ ჰყავს, რამდენ ხანს შეიყოლია. ვიღას სჭირდება ახლა ასეთი მექანიკოსები; ყველგან მასობრივი წარმოებაა. ნივთი თუ გაცვდა, ახლის ყიდვაა საჭირო, მორჩა და გათავდა! ჯართის ადგილი სამტვრევზეა. მხოლოდ ცალთვალა ყეყეჩები თუ დაყაბულდებიან ახლა მასთან მუშაობას, ცოლი თითქმის ყოველ შემხვედრთან ღალატობს, „მობილგესი“ თანდათან ყველაფერს ეპატრონება. ამბობენ, დიდად არც „ტექსეიკო“ ჩამორჩებაო; ალბათ, ჩალის ფასადაც აღარ უღირს ჰამელს სიცოცხლე! ბურნუკიც რომ დაყნოსა, სერიოზულად შეეშინდა, მოწამლული ხომ არ არისო! ფუი!..

-

ვიდრე კოლდუელი სკოლისკენ მიჩაქჩაქებდა და გაცრეცილ კოსტიუმში სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, გული სულ სხვა ჰანგზე აუძგერდა. გარაჟში თბილოდა. ეს კაცი მუდამ კარგად ექცეოდა, დიდი ხნიდან მოყოლებული. ჰამელი მამილო კრამერის ცოლის ძმისწული იყო. სწორედ მან იშუამდგომლა სკოლის საბჭოში და კოლდუელი სკოლაში აიყვანეს მძიმე კრიზისის დღეებში, როცა ყველა ზეთისხილის ხე გახმა და დემეტრე მიწაზე დაეხეტებოდა, მოტაცებულ ქალიშვილს გლოვობდა. იქ, სადაც მისი ცრემლი დაეცა, ბალახი აღარ ამოსულა. ყვავილწნული, მას რომ თავს უმკობდა, საწამლავს ასხურებდა და ყოველ სადგომთან შხამიანი სურო ამოიზარდა. იქამდე ბუნებაში ყოველივე სწყალობდა ადამიანს. თითოეული ველური ნაყოფი ნაზ გრძნობებს აღვივებდა და პელიონიდან ოთხამოღებით მომავალმა იხილა ნორჩი ხარიკლო, რომელიც ქორფა ხაჭიჭორას კრეფდა.

უზარმაზარი ნარინჯისფერი კედელი ახლოვდებოდა. საკლასო ოთახებიდან გამოჭრილმა ხმებმა თოვლის ფანტელებივით დასეტყვა იგი. ვიღაცა ფანჯრის თხელ მინას ლითონის რაღაც საგანს ურაკუნებდა. ფანჯარაში ფოლოსი გამოჩნდა ფარდის გასაწევი ჯოხით ხელში და შემცბარი მიაჩერდა კოლეგას.

ფოლოსის დიდი, ძველმოდური სათვალე გაოცებით ბზინავდა გულმოდგინედ დავარცხნილი და შუაგაყოფილი თმის ქვეშ; ოდესღაც ფოლოსი ბეისბოლის ნაკრებში იყო - ყურს ზემოთ აქამდე ემჩნეოდა მუზარადის კვალი, თუმცა უკვე ახალგაზრდა აღარ იყო და მისი ფართო შუბლი ნაოჭებს დაესერა. კოლდუელმა მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია ხელი მეგობარს და განზრახ უარესად აკოჭლდა, - აი, რატომ არა ვარ კლასშიო. ათცენტიან მოსამართ სათამაშოსავით ხტოდა, მაგრამ თავის მოკატუნება არც იყო საჭირო: გულმხურვალე დახმარების შემდეგ, ჰამელმა რომ აღმოუჩინა, კოჭი საშინლად სტეხდა.

ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ფეხი თითქოს სულ უფრო ღრმად ეფლობოდა გავარვარებულ მიწაში. კოლდუელმა ძლივს მიაღწია მახლობელ კარამდე და თითბრის სახელურს ჩაეჭიდა. ვიდრე საკლასო ოთახში შევიდოდა, მთელი მკერდით ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი და მკვეთრი მოძრაობით თავი უკან გადააგდო, თითქოს ზევიდან ძახილი შემოესმაო. ნარინჯისფერი კედლის თავზე ზეცის აუმღვრეველ სილურჯეში დაუსრულებლად ჟღერდა ერთმარცვლოვანი „მე“.

კარს უკან რეზინის ფეხსაწმენდზე შედგა და სული მოიბრუნა. კრიალა ყვითელი კედლიდან კვლავ ლანძღვა უმზერდა. პირველ სართულზე ზიმერმანის კაბინეტის წინ უნდა გაევლო, ამიტომ მიწისქვეშა გასასვლელი აირჩია. ქვევით დაეშვა. გვერდი აუარა ბიჭების გასახდელს. კარი ღია დაეტოვებინათ; ტანსაცმელი უწესრიგოდ ეყარა აქა-იქ, ჰაერში ჯერ არ გაბნეულიყო კვამლი. კოლდუელმა ხელი ჰკრა მავთულის ბადეგადაკრულ შუშის კარს და დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის განკუთვნილ დარბაზში შევიდა. აქ უჩვეულო სიჩუმე სუფევდა. მოსწავლეებს ხმა ჩაეკმიდათ. მედუზა, რომელსაც ეს სანიმუშო წესრიგი დაემყარებინა, მასწავლებლის მაგიდას უჯდა. მან თავი ასწია. აწეწილ თმაში ყვითელი ფანქრები ჰქონდა გარჭობილი.

კოლდუელმა თვალი აარიდა მას. თავაწეული და პირმოკუმული, ის მხოლოდ პირდაპირ იყურებოდა. ასე განვლო მანძილი მარჯვენა კედლის გასწვრივ. კედლის მეორე მხარეს, სახელოსნოდან, სადაც ხელგარჯილობას ასწავლიდნენ, უეცრად ტანჯული ხის კვნესა მოესმა: ქსზ-ზზ-ზ! უ-ი-ი!.. ხელმარცხნივ მოწაფეები ნაპირზე გადმომსკდარი ტალღის ქვეშ მოქცეული კენჭებივით ასრიალდნენ. კოლდუელს გვერდზე არ გაუხედია, ვიდრე შორეული კარის ზღურბლს მშვიდობიანად არ მიაღწია. აქ მოიხედა - იატაკზე კვალი ხომ არ დავტოვეო. მართლაც, მის უკან ქუსლით აღბეჭდილი წითელი ნახევარმთვარეების ჯაჭვი გაჭიმულიყო. დარცხვენილმა ბაგე მომუწა: რა გაეწყობა, დამლაგებლებს ყოველივეს აუხსნის და ბოდიშს მოიხდის.

სკოლის კაფეტერიაში მწვანეხალათებიანი ქალები ფუსფუსებდნენ, მაგიდაზე აწყობდნენ რვაცენტიანი რძიანი შოკოლადით სავსე ჭიქებს, დაჰქონდათ ლანგრები, რომლებზედაც ცელოფანში გახვეული ბუტერბროდები ეწყო და ქვაბებში წვენს კოვზით ურევდნენ. დღეს ტომატის წვნიანი მოეხარშათ. გულისამრევი მძაფრი სუნი ტრიალებდა შორენკეცით მოპირკეთებულ კედლებს შორის. ჩასუქებულმა დეიდა შროიერმა, ადგილობრივი კბილის ექიმის დედამ, რომელსაც მთელი დღე ღუმელთან ტრიალისაგან წინსაფარი სულ მთლად გაშავებოდა, ხის ჩამჩა დაუქნია. ბავშვივით გახარებულმა კოლდუელმა ღიმილით და ხელის ქნევით უპასუხა. მუდამ კარგად გრძნობდა თავს სკოლის მოსამსახურე პერსონალს შორის, ცეცხლფარეშებთან, დამლაგებლებთან და მზარეულებთან. ისინი იმ უბრალო ადამიანებს აგონებდნენ, ბავშვობის წლებში რომ შეხვედროდა პასეიკში, ნიუჯერსის შტატში, სადაც მამამისი ღარიბი მრევლის ღარიბი მღვდელი იყო. ქუჩაზე, სადაც ის ცხოვრობდა, ყველა პროფესიას უბრალო სახელი ერქვა: მერძევე, მეტყევე, მბეჭდავი, კალატოზი. კოლდუელი იქ თითოეულ სახლს იცნობდა, განუმეორებელი ბზარებით, ფარდებითა და ყვავილის ქოთნებით. ბუნებით მოკრძალებულს, სკოლის სარდაფში ყოფნა ყველაფერს ერჩივნა. აქ თბილოდა, მილებში ორთქლი ღუღუნებდა; საუბარი ალალმართალი იყო და გასაგები.

სკოლის დიდი შენობა სიმეტრიული იყო. კაფეტერიიდან გამოსულმა კოლდუელმა რამდენიმე საფეხური აიარა და ქალების გასახდელთან აღმოჩნდა, აკრძალულ ადგილას; მაგრამ ბიჭების გასახდელში გამეფებული არეულობა მოწმობდა, რომ ფიზკულტურის გაკვეთილს ახლა მათ უტარებდნენ და ამ წუთს იქ ყოფნა

მკრეხელობად არ ჩაეთვლებოდა. ტაძარი ცარიელი იყო. ღრიჭოდ დატოვებული მწვანე, მძიმე კარის ვიწრო ჭუჭრუტანაში მოჩანდა ცემენტის იატაკის ზოლი, გრძელი ყავისფერი მერხის კიდე, გამოკეტილი მაღალი კარადების მწკრივი და მათ ზემოთ - ფანჯრის მქრქალი მინები.

სდექ!

ჰო, აი აქ იყო. დაღლილობისაგან აღარაფერი ახსოვდა. ის თავის კლასში მიდიოდა. თვალები სტეხდა, რადგან სანამ საქვაბეში თბებოდა, საკონტროლო რვეულების მთელი დასტა გაასწორა. სკოლის შენობაში ბინდი იპარებოდა. მოსწავლეები წავიდ-წამოვიდნენ და ჩაბნელებული საკლასო ოთახებიდან საათების ხმაშეწყობილი ტაკატუკი მოისმოდა. სწორედ ამ ადგილას მიეყინა ფეხები ცემენტის ხორკლიან იატაკზე, როცა უეცრად თავს წაადგა ვერა ჰამელს: მაშინაც ასე ღრიჭოდ იყო დარჩენილი ეს მწვანე კარი და ის იდგა ორთქლის

ბოლქვებში, მის თვალწინ, ცისფერი პირსახოცი თვალისმომჭრელ სიშიშვლეს ვერ უფარავდა, თმის ოქროსფერ სამკუთხედზე ნამი თეთრად უბრწყინავდა.

- რად მიცქერს ჩემი ძმა ხირონი[2], ვითარცა სატირი? განა ღმერთები უცხონი არიან მისთვის?

- ვენერა, ჩემო ქალბატონო, - მან მშვენიერი თავი მოიდრიკა. - შენმა სიტურფემ ისე მომაჯადოვა, რომ ჩვენი ნათესაობაც კი დამავიწყდა.

ქალღმერთს გაეცინა, ოქროსფერი თმა მხრიდან აიკრიფა, ხელით გაწურა და პირსახოცით ზანტად შეიმშრალა.

- ვიცი, რომ სიამაყის გამო ჩვენი ნათესაობა გეთაკილება. შენ ხომ მუცლად გიყო ფილირამ, ოდეს მამაშენი კრონოსი სიჭაბუკის ჟამს ულაყის სახით გამოეცხადა. მე კი მაშინ დავიბადე, როცა მან ურანოსის თესლი ზღვის ქაფში ნაგავივით გადაისროლა.

ქალღმერთმა თავი მიიბრუნა, თმა გულმოდგინედ დაგრიხა და დაუდევრად შემოიგრაგნა კეფაზე. წყლის პაწია ჭავლი სწრაფად ჩამოსრიალდა მის ლავიწზე. სველი თმის მოწითალო გრეხილის ქვეშ კისერი გამჭვირვალე მოუჩანდა. მერე თვალდახრილი პროფილით მისკენ შემობრუნდა. ხირონს სული შეუგუბდა, ყველა

ძარღვი ქნარის სიმებივით ამღერდა მასში და თუმცა ქალღმერთის სინანული, რომ ასე უაზროდ მოევლინა ქვეყნიერებას, აშკარა თავის მოკატუნება იყო, ხირონი მაინც შეეცადა მის დამშვიდებას.

- მაგრამ დედაჩემიც ხომ ოკეანის ასულია, - მიუგო მან და მაშინვე მიხვდა, რომ კადნიერება გამოიჩინა, რადგან კეკლუცი ქალღმერთის თვითგვემა სერიოზულად მიიღო.

ვენერას თაფლისფერმა თვალებმა ცეცხლი დააკვესეს და ხირონს ქანდაკებასავით ცივი ეჩვენა ქალღმერთის ლამაზი სხეული; შარავანდედით მოსილი მისი ტანი ღვთაებრივი მრისხანების ჭურჭლად ქცეულიყო.

- ეგ მართალია, - უთხრა ქალღმერთმა. - ფილირა ისეთი ზიზღით განიმსჭვალა ურჩხულის მიმართ, რომელიც თვითონვე შობა, რომ გულმხურვალედ შეევედრა ღმერთებს, ცაცხვად მაქციეთო, ოღონდ კი ძუძუ არ ეწოვებინა შენთვის.

ხირონი წამსვე გულჩათხრობილი გახდა. თავისი შეზღუდული ქალური გონებით

ქალღმერთმა ყველაზე მწარე ტკივილი აუშალა. მაგრამ იმ ქალის ხსენებით, ვისი მიტევებაც ასე უმძიმდა, ვენერამ მხოლოდ მისსავე მიმართ აღძრული სიძულვილი განუმტკიცა. მოაგონდა ლეგენდა პაწაწკინტელა კუნძულზე, დაუდევარი ზვირთების ტორტმანში ძლივს რომ ჩანდა, როგორ ეგდო და ცახცახებდა ყველასაგან მიტოვებული, შიშით გათანგული პაწია, ბანჯგვლიანი, გალიპული გუნდა - ჩვილი ხირონი; და როცა ფიქრში განსჯიდა ხოლმე ამ ამბავს, რომელიც ასე საოცრად ჰგავდა სხვა დანარჩენ ლეგენდებს. - რა ვუყოთ, რომ ამჯერად მისი სახელი ერქვა ვიღაცას, - ცხოვრებისა და ისტორიის ცოდნით დაბრძენებულ, მოწიფულ ხირონს ებრალებოდა ფილირა, ოკეანისა და ტეთისის მშვენიერი, მაგრამ გონებასუსტი ასული, რომელსაც შმაგი კრონოსი დაეუფლა. და როცა ამ უკანასკნელს ანაზდად წაასწრო ფხიზლად მოდარაჯე რეამ, კრონოსი ულაყად იქცა და გაჰქუსლა. ხოლო ოკეანის უბიწო ასულის საშოში ნაადრევად დაინთხა თესლი და იმ თესლისგან მახინჯი ნაყოფი აღმოცენდა. საბრალო ფილირა! დედამისი. ბრძენი ხირონი ფიქრში ხედავდა მას: ვეება, ცრემლით მორწყული სახე ცისკენ აღეპყრო, იმ ცისკენ, რომლის თავდაპირველი ხატება შემდგომ უკვალოდ წაიშალა, და ემუდარებოდა ღმერთებს, ბედისწერა ამარიდეთო; ბედისწერა კი, რომელიც ყველა დედაკაცს აკისრებდა ბავშვების ჩასახვასა და შობას, თვით

ასხელიანთა მოდგმასაც სდევნიდა და იმ უძველესი დროიდან არსებობდა, როცა შეგნება ბნელში მოფარფატე მტვრის ნაწილაკი იყო მხოლოდ; შეჰღაღადებდა გულქვა ზეცას: ნუ შემრისხავო ძალადობის მახინჯი ნაყოფის გამო!.. ნაყოფისა, რომელსაც ბუნდოვანი წინათგრძნობითა და მორცხვი ნდომით ელოდა. სწორედ ეს წუთი წამოუდგებოდა ხოლმე ხირონს ყველაზე ნათლად, დედის უკანასკნელი წუთი სახეცვალებამდე. გაახსენდა ახლად შეღერებული ჭაბუკი როგორ მივიდა ცაცხვებთან, ნაღვლიანი ფიქრებით დამძიმებული, დადინჯებული თვითშეგნების ღირსებით, რაც ტკივილის დაფარვაში შველოდა და ღვთისნიერი სიმტკიცით, რამაც შემდგომ დედის ალერსს მოკლებული მრავალი ობოლის მფარველად აქცია. ბრძენსა და ძლიერს ახლად აშლილი ფაფარი და მბზინვარე ტყავი შვენოდა. როცა ხირონი ტოტებგაბარდნილი ცაცხვის მსუბუქ ჩეროში იდგა, ირწმუნა: დახრილი ტოტების გაუბედავი ლაციცი და გულისებრი, მთრთოლვარე ფოთლების სრიალი იყო დედის მღელვარება, ადამიანის სახის დაბრუნების იმედი და დავაჟკაცებულ შვილთან შეყრის სიხარული. და ეს ყოველივე, აგრეთვე ცაცხვის ყვავილის ნექტარის გულმოდგინე გამოკვლევა, დედის ხატებას ანიჭებდა გემოს, ტკბილ სურნელს და იმ გულისმომწყვლელ მშობლიურ სინაზეს, რომელიც შეიცნო წამიერი გახელებისას, როცა ხე მოეფერა. ადამიანის სახე

რომ შერჩენოდა ფილირას, ყოველივე ეს მარტოოდენ დედაშვილური ალერსი იქნებოდა და ლიტონი სიტყვები, თავდაჭერილი მზრუნველობა და მოვალეობით ნაკარნახევი სიყვარული ხვდებოდა წილად. ხირონი შუბლით ხის ტანს მიეყრდნო, ჩურჩულით წარმოთქვა მისი სახელი. სულითა და გულით ლამობდა მიტევებას, მაგრამ ახლაც, წარსულზე დარბაისლურ ფიქრებში ჩაფლულს, აგონდებოდა ლეგენდა თავისი წარმოშობისა და მივიწყებული ბავშვური წყენა კვლავ იღვიძებდა.

სიცოცხლის პირველივე დღეები მტანჯველმა წყურვილმა მოუშხამა და ასიოდე ნაბიჯის სიგრძის პაწაწინა კუნძული, - სადაც ის, ტომის პირველი წინაპარი, ვისაც ბუნებამ თავშესაფრად გამოქვაბული მიუჩინა, ღია ცის ქვეშ ეგდო, - მისთვის განასახიერებდა ქალის ესოდენ მერყევ, ორგულსა და თავკერძ ბუნებას. დიახაც თავკერძს. მათი შეცდენა ისევე ადვილია, როგორც მათი დათმობა. ნებისყოფა გრძნობას ობობას ქსელით შეუბოჭავს და საკუთარი სისუსტის მონამორჩილნი, თავიანთ სისხლსა და ხორცს წყლის პირად დასალპობად გასწირავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხენის ბალანს შეუმოსავს. ლეგენდა მისთვის იქცა პრიზმად, რომლის ერთ წახნაგში დამცინავი, ნატიფი ქალღმერთი საბრალო ჩანდა, მეორეში კი - საძულველი, ხოლო ორივე შემთხვევაში დამარცხებული. ხირონმა თავი შეიკავა და შემდეგი თქვა მხოლოდ:

- ცაცხვს ბევრი სამკურნალო თვისება აქვს.

ეს იყო მოკრძალებული საყვედური, თუ ქალღმერთი ინებებდა და ყურად იღებდა, თუ არა და - მხოლოდ უწყინარი და ეჭვმიუტანელი სამედიცინო ფაქტი. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე სამეფო კარისათვის ჩვეულ თავაზიანობას დაუფლებოდა ხირონი.

ქალღმერთმა აუჩქარებლად შეიმშრალა ტანი პირსახოცით, თან ხირონს აკვირდებოდა; ოდნავ ჭორფლიანი მხრები ჰქონდა. წყლის გამჭირვალე წვეთები კანს კიდევ უფრო თეთრად აჩენდა.

- როგორც ვხედავ, ქალები არ გყვარებია, - უთხრა ქალღმერთმა. ეტყობოდა, სულ

  არ ააღელვა ამ აღმოჩენამ.

ხირონი დუმდა.

ქალღმერთმა გაიცინა. უზენაესი ნათელი, აქამდე უხვად რომ იღვრებოდა მის თვალებში, უეცრად მიბნედილმა მხეცურმა ელვარებამ შეცვალა. იგი ნაპირზე გამოვიდა. ცალი ხელით ზურგზე დაუდევრად მოგდებულ პირსახოცს იმაგრებდა, და მეორე, თავისუფალი ხელი ხირონის მკერდს შეახო. მისი მოძრაობით შეშფოთებული წყლის ზედაპირი ფართო წრეებად შეიკრა და

მაშინვე გაიშალა. ტალღები აწყდებოდნენ დამრეც ნაპირს, რომელიც უხვად იყო მოფენილი ლერწმებით, ნარგიზებითა და ნორჩი ზამბახის დასახეთქად შეღერებული კვირტებით; ქალღმერთის ცისფრად დაძარღვულ, თხელ ტერფებქვეშ მიწა ხავსითა და ნაზი ბალახით მოწნულ ხალიჩას ჰგავდა, რომელიც აქა-იქ იებს მოექარგა. ხოლო იქ, სადაც ადონისის სისხლის წვეთები დაეპკურა, ტყის ფერმკრთალი ანემონები ხარობდნენ.

- მის ადგილზე, - თქვა ქალღმერთმა, და მისმა ხმამ ტვინის ყველა სხეულში დაუარა ხირონს, მერე თითის წვერებით მსუბუქად დაგრიხა ოქროს საწმისი კენტავრის მკერდზე და განაგრძო, - მის ადგილზე მე ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი გავზრდიდი ქმნილებას, რომელშიაც ადამიანის გონიერება და სიქველე შერწყმულია... - ქალღმერთმა ქუთუთოები დახარა და ოქროსფერი წამწამები ღაწვებზე დაეფინა, თან

თავი ოდნავ მიატრიალა და კენტავრმა დაინახა, რომ ვენერამ მის გავას ესროლა მზერა... - ცხენის შეუპოვარ ძლიერებასთან.

ტანის ქვედა ნახევარი, რომელიც მის ნებას არ ემორჩილებოდა, თვითნებურად შეიმართა, და უკანა ფლოქვებმა კიდევ ორი ნახევარმთვარე ამოკვეთეს ხავერდოვანი მოლით დაფარულ რბილ მიწაზე.

- შეერთებისას, ჩემო ქალბატონო, შემადგენელი ნაწილები ხშირად კარგავდნენ ყველაზე მნიშვნელოვანს.

ქალღმერთმა უაზროდ გაიღიმა და ჩვეულებრივ თავქარიან, კეკლუც ასულს დაემსგავსა.

- ეს შენიშვნა სამართლიანი იქნებოდა, ძმაო ჩემო, შენ რომ ცხენის თავი და მხრები, ხოლო ტან-ფეხი მამაკაცისა გამოგყოლოდა.

ხირონი კენტავრთა იმ მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც განათლებულ ხალხთან

ხშირი ურთიერთობა ჰქონდა და ასეთი ხუმრობა წინათაც ბევრჯერ სმენია; მაგრამ ქალღმერთის სიახლოვე ისე უჩვეულოდ მოქმედებდა მასზე, რომ ნათქვამმა კვლავ სიცილი მოჰგვარა და ყურთასმენის წამღები ჭიხვინი აუვარდა, ეს კი ოდნავადაც არ შეეფერებოდა დინჯ, დამრიგებლურ კილოს, ამ გოგონასთან საუბარში რომ აეთვისებინა მას ასაკისა და ნათესაობის წყალობით.

- ღმერთები არ დაუშვებდნენ ასეთ უაზრობას, - მიუგო ხირონმა. ქალღმერთი

  დაფიქრდა.

- გული ამიღელვა ღმერთებისადმი ესოდენ ურყევმა რწმენამ. რით დავიმსახურეთ ასეთი თაყვანისცემა?
- ღმერთებს მათი საქმეების გამო როდი ვეთაყვანებით, - უთხრა ხირონმა, - არამედ საერთოდ იმიტომ, რომ ღმერთები არიან.

და საკუთარმა საქციელმა თვითონვე განაცვიფრა, როცა მკერდი მალულად წინ გამოზნიქა, ქალღმერთის ნებს უფრო მჭიდროდ რომ მიტმასნოდა. ქალღმერთი მოულოდნელად გაგულისდა და მკერდზე უჩქმიტა.

- ო, ხირონ. შენ რომ მათ ისე იცნობდე, როგორც მე ვიცნობ! მიამბე რამე ღმერთებზე. მე ისეთი გულმავიწყი ვარ. დამისახელე ისინი. როცა შენ ახსენებ ღმერთებს, მართლა დიდებულად ჟღერს მათი სახელები.

ვენერას სილამაზით დამორჩილებულმა ხირონმა, იმედით შეპყრობილმა, ქალღმერთი ახლა მაინც მოიშორებს პირსახოცსო, ღაღადით წარმოთქვა:

- ზევსი, მეუფე ცათა, ღრუბელთშემყრელი და მეხთამტეხი.
- გარყვნილი მაწანწალა.
- მისი მეუღლე ჰერა, წმინდა ქორწინების მფარველი.
- უკანასკნელად როცა ვნახე, ზევსზე გამწყრალი, რომელიც აგერ უკვე წელიწადია

გაურბის მის სარეცელს, მსახურ ქალს თმით ითრევდა. იცი, პირველად ზევსმა როგორ დაიმორჩილა? გუგულად იქცა.

- ოფოფად, - შეუსწორა ხირონმა.
- არა, ჩერჩეტ გუგულად, საათებიდან რომ გამოხტებიან ხოლმე. მერე, დანარჩენებიც დაასახელე. რა სასაცილოები არიან!..
- პოსეიდონი, ფაფარაშლილი ზღვის მბრძანებელი.
- ჭკუიდან შეშლილი ბებერი მეზღვაური. თმას ლურჯად იღებავს. წვერი დამპალი თევზივით უყარს. აფრიკული პორნოგრაფიული სურათებით გატენილ ზანდუკს თვალისჩინივით უფრთხილდება. დედით ზანგია - თვალის გარსზე ეტყობა. ჰო, შემდეგ!..

ხირონი გრძნობდა, რომ შორს შეტოპა, მაგრამ ავსიტყვაობა ფარულ სიამეს ჰგვრიდა, რადგან მრავალი თვისებით თვითონაც მასხარას ჩამოჰგავდა.

- ბრწყინვალე აპოლონი, - წამოიძახა ხირონმა, - ყოვლისმხედველი უფალი მზისა, ვისი დელფური წინასწართქმანიც წარმართავენ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, ყოვლისჩამწვდომი სული კი გვაზიარებს ხელოვნებასა და კანონებს.

- ოჰ, ის მკვეხარა. ტკბილმოუბარი მკვეხარა, რომელიც მუდამ საკუთარ თავზე ლაპარაკობს; გულს მირევს მისი პატივმოყვარეობა. ის ხომ უწიგნურია!

- ამას კი ნამდვილად აზვიადებ.

- ენდე ჩემს სიტყვას. აიღებს გრაგნილს და ზის ერთ წერტილს უაზროდ მიშტერებული.

- არტემიდე, აპოლონის ტყუპის ცალი, მზეთუნახავი მონადირე, რომელსაც მისი ხელით განგმირული მხეცებიც კი აღმერთებენ?!

- ჰა!.. მიზანში ვერასოდეს ახვედრებს და იმიტომ. ტყე-ტყე დახუნტრუცობს ვასარის[3] გომბიოების ხროვასთან ერთად, რომელთა განთქმულ სიქალწულესაც ვერც ერთი არკადიელი ექიმი...

- ჩუ, ბავშვო!

კენტავრმა ხელი გაიწოდა, თითქოს ქალღმერთის ჩაჩუმება სურდა, და შიშით გონებადაბნეული კინაღამ მართლა არ შეეხო მის ბაგეს. ზურგს უკან მიყრუებული ქუხილი შემოესმა.

ხირონის თავხედობით გაოცებულმა ქალღმერთმა უკან დაიხია. მერე კენტავრის მხართან ცას აჰხედა, და რაკი მიხვდა მისი შეკრთომის მიზეზს, სიცილი წასკდა; პირქუში იყო ეს სიცილი, აუტანლად ღვარძლიანი და გამომწვევად გაბმული: სიცილს დაეღმიჭა მისი უზადო ნაკვთები და უშნოდ წაგრძელებულ სახეზე ქალურობის ნატამალიც აღარ შერჩენოდა. ლოყები, შუბლიდა კისერი ერთიანად გაუწითლდა და ასე შეჰბღაოდა ზეცას;

- ჰო, ძმაო, ჰო, ვგონებ ღმერთებს! აი ისინი, შენი ღმერთები!.. მისმინე: უქმად მოლაყბე ცუდმეცნიერი დიაცი, კუდიანი ბინძური ბებრუცანა, რომელსაც არყის სუნი ასდის. შარაგზის ყაჩაღი, შეშლილი ლოთი და უბადრუკი, საცოდავი, მყრალი, ჭაღარა, რქიანი ქვაბების მკალავი...

- ის ხომ ქმარია შენი! - გააწყვეტინა კენტავრმა, ჯერ კიდევ ჰქონდა ზეცის მოწყალების იმედი. ცუდი დღე ადგა ხირონს. იცოდა, რომ გულლმობიერი ზევსი არას ავნებდა მის ნორჩ დეიდას. სამაგიეროდ შეეძლო მრისხანება თავს დაეტეხა მეხად უდანაშაულო მსმენელისათვის, ვისი მდგომარეობაც ოლიმპოს მთაზე უამისოდაც საკმაოდ მერყევი და ორაზროვანი იყო. კარგად უწყოდა, როგორ შურდა ზევსს მისი სიახლოვე ადამიანებთან. თავად ოლიმპოს

მბრძანებელი მხოლოდ იმისთვის მოევლინებოდა მოკვდავთ, რომ ძალადობა მოემოქმედებინა - ასეთ დროს იგი ფრინველის ბუმბულით, ანდა მხეცის ტყავით იმოსებოდა. მართლაც ხმა დაირხა, თითქოს კენტავრნი ზევსს საშიშ ტომად მიაჩნდა, რომელთაც ღმერთების გაბიაბრუების ძალა შესწევდათ, მაგრამ ჩამუქებული ცა მდუმარებდა. მადლიერებით გამსჭვალულმა ხირონმა დაწყებული საუბარი განაგრძო:

- შენ არ აფასებ ქმარს. - უთხრა მან ვენერას. - ჰეფესტომ იცის თავისი საქმე. მერე რა კეთილია! განა ყოველი სამჭედლო, ყოველი სამეთუნეო ორმო მისი საკურთხეველი არ არის? ის კი მუდამ თავმდაბალია. ლემნოსზე ბედუკუღმართი დაცემის შემდეგ მისი გული განიწმინდა ყოველგვარი ქედმაღლობისაგან, და თუმცა მხრებში მოხრილია, კეთილშობილი სული უდგას.

ქალღმერთმა ამოიოხრა.

- ვიცი. მაგრამ როგორ უნდა მიყვარდეს ეს დოყლაპია? მე რომ მკითხო, კაცს უხეში სული უნდა ჰქონდეს. შენ, ალბათ, ფიქრობ, - თქვა მან, და უყურადღებო მოსწავლე გოგონასავით, უნდობელი და შემწყნარებლური გამომეტყველება მიიღო, - რაკი მამაჩემი მახინჯი იყო, დანაშაულის კომპლექსი მდევნის და გული უხეში მამაკაცებისაკენ მიმიწევს. ხომ არ გგონია, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობ და სასჯელს დავეძებ?

ხირონს გაეღიმა: იგი ახალმოდური თეორიების მიმდევარი არ იყო. ღრუბლები გაიფანტა მათ თავზე. ხირონი დარწმუნდა, საშიშროებამ განვლოო, გამბედაობა მოიკრიბა და ქალღმერთს შეჰკადრა:

- ერთი ღვთაება გამოგრჩა.

ღმერთებს შორის უბოროტესს, არესს გულისხმობდა. ქალღმერთმა

თავი გაიქნია და სპილენძისფერი თმა ჩამოეშალა. -მივხვდი, რისი

თქმა გსურს, არც მე ვარ დანარჩენებზე ნაკლები, ასეა, არა? მაინც

რა სახელს მიწოდებ მე, კეთილშობილო ხირონ? ქვეცნობიერ

ნიმფომანს? თუ უბრალოდ კახპას?

- არა, არა, შენ ვერ გამიგე. მე სხვა მყავდა მხედველობაში. მაგრამ ქალღმერთმა

ყური არ ათხოვა და შესძახა:

- რა უსამართლობაა! - მან აჩქარებით შემოიხვია პირსახოცი. - რად უნდა მოვიკლო ის ერთადერთი სიამოვნება, რომელიც ბედმა გულმავიწყობით შეგვარჩინა? მოკვდავნი ფლობენ ბრძოლის სიხარულს, თანაგრძნობის ბედნიერებას, მამაცობის აღმაფრენას, ხოლო ღმერთები სრულყოფილნი არიან.

ხირონმა თავი დაუქნია: სასახლის ძველმა კარისკაცმა კარგად იცოდა, რა ხშირად ასხამენ დიდგვაროვანნი ქება-დიდებას, იმათ, ვინც სულ ერთი წუთის წინ მიწასთან გაასწორეს. ნეტავი თუ იცის ამ ქალბატონმა, რაოდენ ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან, როცა ღმერთების გაკილვით ენას იფხანდა? ქედი უნდა მოედრიკა. სად მისწვდებოდა მაღალ ღმერთებს!

- მხოლოდ უკვდავებით ვართ სრულყოფილნი. მამა უსულგულოდ წამართვეს. ზევსმა საყვარელ ფისუნიად გადამაქცია, ღვიძლი გრძნობები კი მხოლოდ საკუთარი ასულების - არტემიდესა და ათენასათვის აქვს შემონახული. მათ მიმართ მუდამ გულმოწყალეა. ჩემსავით მალიმალ როდი მიეჭრება ხოლმე იმათ გიგანტი, რათა ნაუცბათევად დაიცხრონ თავისი ჟინი - ვნების ეს უბადრუკი საზღაური. რაა პრიაპოსი, მამობრივ გრძნობას მოკლებული გულქვა ძალის უგვანო ასლი? პრიაპოსი - უმახინჯესი ჩემს პირმშოთაგან, ამგვარი ჩასახვის ღირსია სწორედ. დიონისე ხომ ისე მომექცა, ვით მორიგ ჭაბუკს!..

ის კვლავ შეეხო კენტავრის მკერდს, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ხომ არ გაქვავდაო.

- შენ იცნობდი მამაშენს, როგორ მშურს შენი! ნეტავ შემეძლოს ურანოსის დანახვა, მისი ხმის გაგონება. მისი შებილწული გვამის გონჯი ნაყოფი და უღირსი ჩრდილი რომ არ ვიყო, ისეთივე შეურყეველი ვიქნებოდი, ვითარცა ჰესტია, დეიდაჩემი, ოლიმპოს ერთადერთი მკვიდრი, ვისაც ნამდვილად ვუყვარვარ. მაგრამ ახლა ისიც ჩამოაგდეს ოლიმპოდან, საცოდავ შინაურ ღვთაებად აქციეს.

ნორჩი ქალღმერთის მბორგავი ფიქრი ახალ კალაპოტს მიაწყდა.

- შენ კარგად იცნობ ადამიანებს, მითხარი, რისთვის შეურაცხმყოფენ? რად იწვევს სიცილს ჩემი სახელი, რატომ მხატავენ ფეხსადგილის კედლებზე? ვინ ემსახურება მათ ჩემზე უკეთ? ღმერთებიდან ვინ ანიჭებს მათ ერთბაშად ძლიერებასა და აღუშფოთველ სიმშვიდეს? რა დავაშავე?

- ეს ყოველივე, ჩემო ქალბატონო, შენი ეჭვებია მხოლოდ.

გულახდილი აღსარების ნიაღვარი დაშრა და ქალღმერთი ახლა ცივად მოჰყვა მის გამოჯავრებას.

- შენ ისეთი შორსმჭვრეტელი და ბრძენი ხარ, კეთილი ხირონი, ჩვენი სწავლული, ჩვენი მოძღვარი. სათუთი გულის პატრონი. გიფიქრია, განა ძმისწულო, იმაზე, ვისი გული გიძევს მკერდში - ადამიანისა თუ ცხენის?

- ამბობენ, რომ წელზევით ადამიანისაგან არ განვირჩევი, - მშრალად მიუგო ხირონმა.

- მომიტევე. სიკეთისათვის ღვთაებრივ ჯილდოს გიძღვნი, - ქალღმერთი დაიხარა და ანემონი მოწყვიტა. - საბრალო ადონისი, - თქვა მან და ზანტად შეახო თითი ვარსკვლავისებურ ფურცელს. - ჟუჟღივით უფერული სისხლი ჰქონია ბედშავს.

მოგონებებმა სიოსავით ააღელვა მისი ხშირი თმა - ფაფუკი, შემშრალი გვირგვინი. ქალღმერთი მიბრუნდა, თითქოს დაირცხვინაო, ყვავილი ტუჩებთან მიიტანა, და ოდნავ სველი თმის ჭავლები ლამაზი ჩანჩქერივით ჩამოეშალა ოლიმპოს ქათქათა თოვლივით თეთრსა და ხავერდოვან სხეულზე. ვარდისფერი, ოდნავ ხორკლიანი დუნდულები ჰქონდა მას; წვივებზე ოქროს მტვერი შეფრქვეოდა. ქალღმერთმა აკოცა ყვავილს, გადააგდო და შეცვლილი სახე კენტავრისკენ მიატრიალა; მთრთოლვარე, ალეწილი, დანისლული, ყოყმანით აღსავსე.

- ხირონ, - ბრძანა ქალღმერთმა, - დამეუფლე!

კენტავრის ვეებერთელა გული ნეკნებს ეხეთქებოდა; მან აკანკალებული ხელი აიქნია.

- მაგრამ, ჩემო ქალბატონო, წელს ქვემოთ მე ცხენი ვარ.

ქალღმერთმა უზრუნველად წადგა წინა ნაბიჯი და იები გადათელა. პირსახოცი ძირს დავარდა.

- გეშინია? - დაიჩურჩულა მან. - როგორ აკეთებ ამას ხარიკლოსთან? ხირონმა

  გამშრალი ტუჩები შეატოკა და ძლივს გამოსცრა:

- ეს ხომ სისხლის აღრევაა.

- ასე ხდება ნიადაგ; განა ყველა ქაოსიდან არ წარმოვდგებით?

- მაგრამ ახლა დღეა.

- მით უკეთესი; დღისით ღმერთები ძილს ეძლევიან. ნუთუ ისე ზიზღისმგვრელია სიყვარული, რომ ბნელში უნდა იმალებოდეს? ან იქნებ გძულვარ მრუშობისათვის? მაგრამ ესოდენ განსწავლულს, გმართებს იცოდე, რომ ყოველი განბანის შემდეგ სიქალწულე კვლავ მიბრუნდება.

ძალამ კი არა, უღონობამ აიძულა ხირონი აცახცახებული ქალისთვის მკლავები შემოეჭდო; ასე ციებ-ცხელებით გათანგულ ბავშვს აიტაცებენ ხოლმე. მოსხლეტილი და მოდუნებული სხეული მორჩილად დაჰყვა მის ნებას. თითებით შეიგრძნო ქალღმერთის ნაზი ბუსუსით დაფარული ზურგის მოქნილი ღარი და მოუთმენლობისაგან ფაშვი შეუთრთოლდა, ნესტოებიდან ჭიხვინი აღმოხდა. ქალი კისერზე შემოეჭდო. სუმბულივით მსუბუქი წვივები ოდნავ ეხებოდა მის მუხლებს. ცხელი სუნთქვა სახეს უდაღვავდა და ნაწყვეტნაწყვეტი ჩურჩული ჩაესმოდა ყურში:

- რაშო, უნაგირი დამადგი, დამიპყარი, გადამხან!..

ქალის სხეული მძაფრ, მათრობელა სურნელებას აფრქვევდა ფერად-ფერად ყვავილებისას, რომელიც მიწაში შეზელილივით მოისრა მის სუნში, ცხენის სუნში. თვალდახუჭული კენტავრი თბილ, მოლანდებულ ველზე მოწითალო ხეებს შორის დაცურავდა.

მაგრამ ხირონი შიშს შეებორკა. ერთთავად ჭექა-ქუხილზე ფიქრობდა. ვაითუ ზიმერმანი ჯერ ისევ აქ იყოს: ის ხომ თავის კაბინეტში ათენ-აღამებს. კენტავრმა

მიაყურა, - გრგვინვის ხმა თუ აღწევსო ზევიდან და მყისვე ყველაფერი შეიცვალა. ქალღმერთი ადგილს მოსწყდა და ბუჩქებში უკანმოუხედავად გაუჩინარდა. ასობით მწვანე ფოთოლმა დაფარა მისი კვალი. სიყვარულმა არ იცის ლაჩართა შენდობა. კოლდუელი კი იდგა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა დგას, ცემენტის იატაკზე, მარტოდმარტო, ნირწამხდარი, და როგორც მაშინ, ახლაც ყრუ, მტანჯველი შეგრძნებით აღსავსე შეუყვა კიბეს, რადგან შეუცნობელი და აუხსნელი საქციელით კვლავ უნებლიეთ განარისხა ღმერთი - მისი ყოველი ნაბიჯის ფხიზელი დარაჯი.

მისი საკლასო ოთახი მეორე სართულზე იყი. ფეხები არ ემორჩილებოდა. კიბის დამრეც საფეხურებზე ასვლისას თავისივე უგერგილობა სტანჯავდა. ტკივილის ყოველ ახალ შემოტევაზე გაოგნებული იყურებოდა მხოლოდ წინ და ხედავდა კედლის მონაკვეთს, რომელზედაც ვიღაცას მუდმივი კალმით ზიგზაგი გაევლო, მოაჯირის მოლაპლაპე, თავწაცლილ საყრდენ ბოძს, მოედნის კუთხეში შექუჩებული სილისა და მტვრის შავ, გაქვავებულ გროვას, ჟანგიანი გისოსებით გამაგრებული ფანჯრის მქრქალი გარსით დაფარულ მინას და მერე ისევ უსიცოცხლო, ყვითელ კედელს. საკლასო ოთახის კარი დაკეტილი დაუხვდა. გააფთრებულ ღრიანცელს ელოდა, მაგრამ კარს უკან

ავისმომასწავებელი დუმილი ჩასაფრებულიყო. ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. ნუთუ ზიმერმანმა ხმაური გაიგონა და საკლასო ოთახში ჩასვლა ინება?

მის შიშს ამაოდ არ ჩაუვლია. კარი შეაღო თუ არა, კოლდუელის შემკრთალი მზერა მაშინვე შეეფეთა ზიმერმანის მოღრეცილ სახეს, რომელიც მისგან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით ძალაუფლების გამომხატველი გიგანტური ღერბივით ეკიდა ჰაერში. კოლდუელი გახევდა და სხვა აღარაფერი დაუნახავს. სახე ბოროტად შეირხა და კიდევ უფრო უზარმაზარი გახდა. შუშის სათვალის ზემოდან, რომლის ქვეშაც დირექტორის თვალები საზარლად დიდი ჩანდა, შუაგული შუბლიდან დამნაცვრელი ელვა გამოხტა და გაშეშებული მსხვერპლი განგმირა. გარინდებული შესცქეროდნენ ერთმანეთს და ეს თავზარდამცემი სიჩუმე მეხის გავარდნაზე უარესი იყო.

ზიმერმანი კლასს მიუბრუნდა. კლასი ამჯერად წარმოადგენდა დაშოშმინებულ, შემკრთალ მოსწავლეთა ლარივით სწორ რიგებს. - მისტერ კოლდუელმა ჩვენთან დაბრუნება ინება. ჯგუფმა თანაგრძნობის ნიშნად ჩაიქირქილა.

- ჩემი აზრით, საქმისადმი ასეთი ერთგულება პატარა ოვაციის ღირსია.

და მან მაგალითი მისცა: მოდუნებული ხელისგულები შეაერთა და ერთი მეორეს მოხდენილად მოუცაცუნა. ჩასკვნილ ტანსა და დიდ თავთან შედარებით ზიმერმანს მეტისმეტად მოკლე კიდურები ჰქონდა. ბამბის სამხრეებით გამოტენილი სპორტული პიჯაკი ეცვა და ფართო კუბოკრული ქსოვილი ზედმიწევნით თვალში საცემს ხდიდა მისი სხეულს ამ ხინჯს. კოლდუელმა თვალი გადაავლო მოსწავლეებს, რომლებიც ირონიული გამომეტყველებით უკრავდნენ ტაშს და აქა-იქ ქვეშ-ქვეშა ღიმილი დაიჭირა. თავლაფდასხმულმა მასწავლებელმა გაფიცხებული ტუჩები გაილოკა.

- გმადლობთ, ბავშვებო, - განაცხადა ზიმერმანმა. - საკმარისია.

ხმადაბალი ტაში მაშინვე მიწყნარდა. დირექტორი კვლავ კოლდუელს მიუბრუნდა; ოღროჩოღრო სახე ცაში მოცურავე ქედმაღალ საავდრო ღრუბელს მიუგავდა. კოლდუელმა რაღაც გაურკვეველი წაილუღლუღა, რათა თავისი აღტაცება და ერთგულება დაედასტურებინა.

- მერე ვილაპარაკოთ, ჯორჯ. ბავშვები მოუთმენლად ელიან გაკვეთილის დაწყებას.

კოლდუელს კი თავისმართლება სურდა, მიტევება სწყუროდა. ის დაიხარა, შარვლის ტოტი აიკარწახა. მოულოდნელმა და შეუწყნარებელმა საქციელმა კლასის მხურვალე მოწონება დაიმსახურა. გულის სიღრმეში კოლდუელსაც ეს ეწადა.

ზიმერმანს არაფერი გამოჰპარვია. ყველაფერს მიხვდა, თუმცა კოლდუელმა მაშინვე ჩამოუშვა შარვლის ტოტი და გაიჯგიმა. ზიმერმანი ისევ ქვევით

იცქირებოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კოლდუელის კოჭი უსასრულოდ შორს იყო, მაგრამ მაინც ვერ ემალებოდა ზიმერმანის ყოვლისმხილველ თვალებს.

- მგონი, ცალ-ცალი წინდა ჩაგიცვამთ, - თქვა დირექტორმა. - ამის თქმა გსურდათ?

ბავშვებს მუცლები ხელით ეჭირათ. ზიმერმანმა დაიცადა, ვიდრე მისი ხმა სიცილის უკანასკნელმა ნაფლეთებმა არ დაფარა.

- ჯორჯ, ჯორჯ, კარგია ასე რომ გიყვართ კოხტაობა, ოღონდ ამან წესრიგი როდი უნდა დაგავიწყოთ. წესრიგი ხომ მასწავლებლის მეორე განუყრელი ჩვევაა!

კოლდუელს მუდამ ისე ცუდად ეცვა, ისე საცოდავად გამოიყურებოდა თავის გაცვეთილ კოსტიუმში, რომ ბავშვებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დირექტორის სიტყვებში უხვად ჩაქსოვილი იუმორი. თუმცა ბევრ მათგანს თავგზა აებნა - ზიმერმანის სარკასტული კოხტაპრუწაობა ზოგიერთისათვის მეტისმეტად დახვეწილი გამოდგა. დირექტორმა ზიზღით გაიშვირა თითი მასწავლებლისაკენ.

- ეს რაღა გაქვთ, მეხამრიდი? დიდი წინდახედულება გამოგიჩენიათ ზამთრის უღრუბლო ამინდში.

კოლდუელმა ხელით მოსინჯა ისრის გლუვი, ცივი ზრო, რომელიც ჯიბიდან ამოჩროდა. მერე ისარი ჯიბიდან ამოიღო და ზიმერმანს გაუწოდა, თან გამწარებული ეძებდა სიტყვებს, რათა ყველაფერი აეხსნა; ჰო, ზიმერმანი კისერზე მოეხვევა და გადაკოცნის გმირულად გადატანილი წამებისათვის, თანაგრძნობის ცრემლები დაალბობს ამ მბრძანებლობას ჩვეულ, გასიებულ სახეს.

- აი, - უთხრა კოლდუელმა. - არ ვიცი, ბიჭებიდან რომელმა...

ზიმერმანმა არ ინება ხელის შევლება. პროტესტის ნიშნად ხელები გაასავსავა, თითქოს ვერცხლისფრად მოლივლივე ფოლადის ზრო რაიმე საფრთხეს ფარავდა და აჩქარებით დაიხია უკან. სხარტად ამოძრავებდა კოტიტა ფეხებს, რომელთაც აქამდე შემორჩენოდათ სპორტული მოქნილობა. ზიმერმანმა ჯერ კიდევ სკოლაში გაითქვა სახელი: ჩემპიონი იყო მძლეოსნობაში. ღონიერი კუნთებისა და მარდი ხელ-ფეხის წყალობით გამარჯვებული გამოდიოდა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი სისწრაფე და ძალა იყო საჭირო - ბადროს ტყორცნა იქნებოდა ეს, თუ გრძელ ანდა მოკლე დისტანციაზე სირბილი.

- ჯორჯ, ხომ გითხარით, მერე-მეთქი, - გაიმეორა ზიმერმანმა. - ჩემი თხოვნაა, რომ ახლა გაკვეთილს შეუდგეთ. მე კი, რაკი სულ ერთია, დილანდელი გეგმა ჩამეშალა, ბოლო მერხზე დავჯდები. ასეა თუ ისე, თვეში ერთხელ ხომ მაინც

უნდა დაგესწროთ გაკვეთილზე. ბავშვებო, გეთაყვათ, ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

კოლდუელი შიშით ძრწოდა დირექტორის ამ ყოველთვიური დასწრების გახსენებაზე. მანქანაზე დაბეჭდილ მოკლე შეფასებებს, რომლებიც ამას მოსდევდა, გესლიანი

შენიშვნებისა და პედაგოგიური ტერმინებისაგან შეთითხნილ აბდაუბდას, დიდი ხნით გამოჰყავდა ხოლმე წონასწორობიდან. თუ შეფასება კარგი იყო, სიხარულისაგან გაბრუებული ადგილს ვერ პოულობდა, ხოლო თუ ცუდი, - კოლდუელს ეს შეფასებანი თითქმის ყოველთვის უარყოფითი ეჩვენებოდა, რადგან სამსალასავით მწარე, ორაზროვანი სიტყვების მნიშვნელობა კარგად ესმოდა, - კვირეების განმავლობაში კარგავდა მოსვენებას. ჯიბრზე, ზიმერმანი სწორედ ახლა დარჩა შესამოწმებლად, ახლა, როცა ტკივილით ნაგვემი და უსამართლოდ დამცირებული სულაც არ იყო მზად გაკვეთილისათვის.

დირექტორმა კატასავით შემპარავი ნაბიჯებით ჩაუარა დაფას. ფართო, კუბოკრული ზურგი მოეკაკვა იმის დასამტკიცებლად, რომ სურდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ზიმერმანი ბოლო მერხს მიუჯდა, ყურპანტურა, მუწუკებიანი მარკ იანგერმანის უკან. მაგრამ დაჯდა თუ არა, მაშინვე შენიშნა გვერდით მწკრივში, ბოლო მერხზე მჯდომი ირის ოზგუდი, ხბოსავით ზანტი და დამძიმებული, ჩასუქებული მზეთუნახავი. ზიმერმანი მისკენ გადაიხარა და ჩურჩულით და ხელის მოძრაობით რვეულის ფურცელი სთხოვა.
გათქვირებულმა გოგომ აჩქარებით ამოხია ფურცელი;

დირექტორმა გამოართვა, თან მოურიდებლად უჭვრეტდა გულამოჭრილ, ხალვათად მომდგარ აბრეშუმის ბლუზაში.

მოწიწებული განცვიფრებით აღვსილი კოლდუელი თვალს ადევნებდა ამ ამბავს. ხედავდა, ფერადი ლაქები როგორ შეჩოჩქოლდნენ მერხებზე. ზიმერმანი ელექტრონივით მოქმედებდა ბავშვებზე. უნდა დაიწყოს. მაგრამ კოლდუელს აღარ ახსოვდა, ვინ იყო, რამ მოიყვანა აქ, რა უნდა ესწავლებინა. მაგიდასთან მივიდა, ისარი დადო, ჟურნალის ამონაჭერი დაინახა და გაახსენდა: „კლივლენდელი სწავლულის მიერ შედგენილი სამყაროს შექმნის ქრონოლოგია“. საკლასო ოთახის ბოლოში ზიმერმანის სახე უშველებელი ჩანდა.

- დაფაზე, ჩემს ზურგს უკან, - დაიწყო კოლდუელმა, - დაწერილია ციფრი ხუთი ცხრა ნოლით. ხუთი - რა? გაუბედავმა, წვრილმა ხმამ დაარღვია სიჩუმე:

- ტრილიონი.

ეს, რა თქმა უნდა, ჯუდი ლენჯელია. ოლოლო, გამოიცნო! არა, მაგას საშველი არასოდეს დაადგება: მამამისს, ამ მეტიჩარას, უძრავი ქონებით მოვაჭრეს, ჰგონია მისი ქალიშვილი აუცილებლად „გაზაფხულის დედოფალი“, პირველი მოსწავლე და მთელი ჯგუფის თვალისჩინი უნდა იყოს, რადგან მან, ბებერმა ლენჯელმა, ხუთი პროცენტი საკომისიო გასამრჯელოს აღებით ქონება შეაკოწიწა. საწყალი ჯუდი, ღმერთს ჭკუა არ მიუცია მისთვის.

- მილიარდი, - თქვა კოლდუელმა. - ხუთი მილიარდი წელი. ასეთია, თანამედროვე მეცნიერების აზრით, სამყაროს წლოვანება. შეიძლება, უფრო მეტიც იყოს, ოღონდ ნაკლები - არავითარ შემთხვევაში. ახლა კი, ვინ მეტყვის, რა არის მილიარდი?

- ათასი ათასი? - წამოიკნავლა ჯუდიმ.

რა ლენჩია ეს უბედური, სხვები მაინც მიეხმარონ. რატომ ვინმე საზრიანი არ მიპასუხებს, აი, თუნდაც კეჯერაიზი? კეჯერაიზი იჯდა, ფეხებით ჩაეხერგა გასასვლელი, უაზროდ ჩაჰკირკიტებდა რვეულს და რაღაცას უღიმოდა. კოლდუელმა თვალებით პიტერი მოძებნა, მაგრამ გაახსენდა, რომ მისი ვაჟი ამ კლასში არ იყო. ის

მეშვიდე გაკვეთილზე იქნება. ზიმერმანმა რაღაც ჩაიწერა და თვალი ჩაუკრა ოზგუდის გოგოს, რომელიც თავისი მოკლე ჭკუით ვერ მიმხვდარიყო, დირექტორი საით უმიზნებდა. სად იყურები, შე ბოთე, შენა!

- ათასჯერ ათასი ათასი! - აუხსნა კოლდუელმა. - ათასი მილიონი. აი რა არის მილიარდი. დედამიწაზე ახლა ორ მილიარდზე მეტი კაცი ცხოვრობს, ადამიანი კი გაჩნდა დაახლოებით მილიონი წლის უკან, როცა ჩერჩეტი მაიმუნი ხიდან მიწაზე ჩამოვიდა და გაოცებულმა ირგვლივ მიმოიხედა.

კლასში სიცილი გაისმა, დეიფენდორფი კი - ერთ-ერთი იმ ბიჭებიდან, ფერმიდან სკოლაში ავტობუსით რომ დადიოდნენ, - თავისა და იღლიების ქექვას მოჰყვა, თან მაიმუნივით ბურტყუნებდა.

კოლდუელმა ამ საქციელს თვალი აარიდა, რადგან ბიჭი საუკეთესო მოცურავე იყო მის გუნდში.

- მილიარდებთან კიდევ მაშინ გვიხდება საქმის დაჭერა, როცა ჩვენს ეროვნულ

შემოსავალზე ვლაპარაკობთ, - განაგრძო კოლდუელმა. - ამჟამად საკუთარი თავისა გვმართებს ორას სამოცდაათამდე მილიარდი დოლარი. დაახლოებით სამას ორმოცდაათი დაგვიჯდა ჰიტლერის მოსპობა. და კიდევ მილიარდებით თვლიან ვარსკვლავებს. ასამდე მილიარდი ვარსკვლავია ჩვენს გალაქტიკაში, რომელსაც ჰქვია - რა?

- მზის სისტემა? - უკარნახა ჯუდიმ.

- ირმის ნახტომი, - გაუსწორა კოლდუელმა. - მზის სიტემაში მხოლოდ ერთი ვარსკვლავია. - აბა რომელი?

კოლდუელი დაჟინებით მისჩერებოდა ბოლო მერხებს, მაგრამ თვალი მოჰკრა ისევ ჯუდის, რომელიც კვლავ აპირებდა გამოხტომას.

- ვენერა?

ბიჭებს გაეცინათ: ვენერა, ვენეროლოგიური, ვენერიული სნეულებანი. ერთმა ტაშიც კი შემოჰკრა.

- ვენერა - ყველაზე ნათელი პლანეტაა, - აუხსნა ჯუდის კოლდუელმა. - მას ზოგჯერ ვარსკვლავსაც უწოდებენ, დიდი სიკაშკაშის გამო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთადერთი ნამდვილი ვარსკვლავი, რომელიც ჩვენგან ახლოა, ეს...

- მზეა, - თქვა ვიღაცამ;

კოლდუელი ვერ ხედავდა, რადგან მიშტერებოდა ჯუდი ლენჯერის ჩლუნგ, დაძაბულ სახეს და უსიტყვოდ შთააგონებდა, მამის ხმას არ აჰყოლოდა. წელებზე ფეხს ნუ იდგამ, ჩემო გოგონა, მოეშვი ამ ოხერ სწავლას. შენ გინდა ახლა ბიჭებში გავლა და მერე შვილები მრავლად. (ისე, ლექსს არა უშავს, ვალენტინას დღისთვის გამოდგება. ზოგჯერ კოლდუელს პოეტური აღმაფრენა ეწვეოდა).

- სწორია, - თქვა მასწავლებელმა. - მზე. ახლა კი მე ასეთ ციფრს დავწერ. და დაწერა

  დაფაზე: 6 000 000 000 000 000 000 000

- როგორ უნდა წავიკითხოთ ეს? - მერე თვითონვე უპასუხა: - ექვსი, - ყოველ სამ ნოლს

ქვეშ ხაზს უსვამდა: ათასი, მილიონი, მილიარდი, ტრილიონი, კვადრილიონი, კვინტილიონი, სექსტილიონი. ექვსი სექსტილიონი. - რას გამოხატავს ეს ციფრი? - უტყვი სახეები გაოცებით და დაცინვით უმზერდნენ და მან თვითონვე უპასუხა: - მიწის მასას ტონებში. მზე კი, - დასძინა მან, - რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მეტს იწონის. - კოლდუელმა დაწერა 333 000 და თქვა ისე, რომ კაცი ვერ გაიგებდა, კლასს მიმართავდა თუ დაფას: - სამი, სამი, სამი, ნოლი, ნოლი. გავამრავლოთ და გამოვა... - კრ-კრ, - ცარცი დაიფშვნა, როცა ჯამს წერდა. - ერთი ცხრა, ცხრა, რვა და ოცდაოთხი ბატის კვერცხი.

მან უკან დაიხია და დაფას შეხედა; ნერვის დაძაბვისაგან გული ერეოდა.

1998 000 000 000 000 000 000 000 000

ნოლებს ჭრილობასავით დაეღოთ პირი და თითოეულიდან შხამი წვეთავდა. - ასეთია მზის მასა, - თქვა კოლდუელმა. - მაგრამ განა ჩვენთვის სულ ერთი არაა? სიცილმა იქუხა. ღმერთო, სად მოხვდა?

- არსებობს მზეზე უფრო დიდი ვარსკვლავები, - თქვა მან. პირში ენას ძლივს აბრუნებდა, - და მასზე პატარაც. ჩვენთვის ყველაზე მახლობელი ვარსკვლავი კენტავრის ალფა, ჩვენგან დაშორებულია ოთხი სინათლის წელიწადით. სინათლე გადის ერთი, რვა, ექვსი, ნოლი, ნოლი, ნოლ მილს სეკუნდში. - მან დაწერა ეს ციფრი. დაფაზე თითქმის აღარ დარჩა ადგილი. - ეს უდრის ექვს მილიარდ მილს წელიწადში. - თითით წაშალა რიცხვი 5, რომელიც სამყაროს წლოვანებას გამოხატავდა, და დაწერა 6. - კენტავრის ალფა ჩვენგან დაშორებულია ოცდაოთხი ტრილიონი მილით. - მუცელი ტყვიასავით დამძიმებოდა და ბოყინი შეიმაგრა. - ოდესღაც ადამიანები ფიქრობდნენ, ირმის ნახტომით გარდაცვლილთა სულები ზეცაში ხვდებიანო, მაგრამ მთელი ირმის ნახტომი მხედველობის მცდარობაა და სხვა არაფერი, მისი მიღწევა

შეუძლებელია. ის ნისლივით დნება თქვენს გარშემო. ეს ვარსკვლავების ნისლია, და ასეთი იმიტომ გვეჩვენება, რომ მას გალაქტიკის მიღმა ვხედავთ. გალაქტიკა - მბრუნავი დისკოა, რომლის სიგანე ასიათას სინათლის წელიწადს უდრის. არ ვიცი, ვინ სტყორცნა ეს დისკო. მისი ცენტრი მშვილდოსნის თანავარსკვლავედის მახლობლად მდებარეობს, მშვილდოსანი კი იგია, ვინც მშვილდიდან სტყორცნის. წინა გაკვეთილზე მეჯდა მე აქ ერთი ასეთი მშვენიერი მოსწავლე. ჩვენი გალაქტიკის მიღმა სხვებიც არიან,

მეცნიერების გამოთვლით სამყაროში სულ მცირე, ასი მილიარდი გალაქტიკა მაინც არის და თითოეულზე ასი მილიარდი ვარსკვლავია. რას გეუბნებათ ეს ციფრები?

- არაფერს. - თქვა დეიფენდორფმა.

თავხედური გამოხტომა რომ მოეგერიებინა, კოლდუელი მაშინვე დაეთანხმა მოსწავლეს. მას საკმაო გამოცდილება ჰქონდა და თუ საჭიროება მოითხოვდა, შეეძლო ყინულზე გაეცურებინა ეს საზიზღრები.

- არც მე. მხოლოდ სიკვდილს მაგონებენ. ადამიანის ტვინის შესაძლებლობანი შეზღუდულია. ჰო და ეშმ... - გონს მოეგო, ზიმერმანი გაახსენდა. დირექტორის ვეებერთელა სახე ფხიზლად ამოიწვერა მერხის ზემოთ - ჰოდა კისერიც უტეხიათ!.. მოდი ახლა ვცადოთ და წარმოვიდგინოთ ხუთი მილიარდი წელი ჩვენი მასშტაბით. ვთქვათ, სამყარო სულ სამი დღეა რაც არსებობს. დღეს ხუთშაბათია, ახლა, - მან საათს დახედა, - თორმეტს ოცი წუთი აკლია. - რჩება სულ ოცი წუთი, უნდა მოასწროს. - მაშ ასე. ორშაბათს თორმეტ საათზე მოხდა

უდიდესი აფეთქება, როგორიც კი მოსწრებია სამყაროს. ისეთი პანღური ამოგვკრეს, რომ აქამდე განვაგრძობთ წინ სრბოლას და

გაჩერება არ ძალგვიძს. როცა სხვა გალაქტიკებს ვუყურებთ, ისინი სხვადასხვა მიმართულებით გაგვირბიან. რაც უფრო შორს მიდიან, მით უფრო მეტია მათი სიჩქარე. გამოანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ ყველა ისინი უნდა აღმოცენებულიყვნენ ერთ ადგილას დაახლოებით ხუთი მილიარდი წლის წინ. მილიარდი, ტრილიონი, კვადრილიონი და ასე შემდეგ - უსასრულოდ შეიძლება მათი კვადრატში აყვანა - ტონა მატერია, რომელიც სამყაროში არსებობს, შეიკრა მაქსიმალური შესაძლებელი სიმკვრივის სფეროდ, როგორი სიმკვრივეც შეიძლება დაუშვან ატომური ბირთვების მოცულობებმა. ამ პირველყოფილი კვერცხის ერთი კუბური სანტიმეტრი ორას ორმოცდაათ ტონას იწონის.

კოლდუელს ეჩვენებოდა, რომ სწორედ ასეთი კუბური სანტიმეტრი გაჩხერილიყო მის მუცელში. ღამით ტანში ზოგჯერ ასტრონომია გაუჯდებოდა ხოლმე. როცა გასავათებული იწვა ლოგინში, ეგონა, თითქოს მისი ნაგვემი სხეული ფანტასტიკურად დიდი იყო და თავის შავბნელ ჯურღმულებში მილიარდობით ვარსკვლავს იტევდა.

ზიმერმანი დახრილიყო დარაღაცას ეჩურჩულებოდა ოზგულის ლამაზგოგოს; თხელი

ქსოვილით დაფარულ, ნაზად შემრგვალებულ მკერდს თვალებით ეალერსებოდა. ნამდვილი გარყვნილების ბუდე იყო ეს ზიმერმანი. აღგზნება მოსწავლეებსაც გადაედო. ბეკი დევისი იშმუშნებოდა; მის უკან დეიფენდორფი იჯდა და ფანქრის წვერზე მიმაგრებული საშლელით კისერში უღიტინებდა. ბეკი, ჭუჭყიანი მაწანწალა სადღაც ოლინჯერთან ახლოს ცხოვრობდა. მისი სამკუთხა თეთრი სახე ვერცხლისფერი კულულების ჩარჩოში იყო ჩასმული. სულელია და თან ბინძური. კოლდუელმა თავს ძალა დაატანა და განაგრძო:

- შეკუმშვა ისე ძლიერი იყო, რომ ეს ნივთიერება არამდგრადი აღმოჩნდა: აფეთქდა ერთ წამში - ჩემს და თქვენს წარმოდგენაში არსებული დროის წამში კი არა, ჭეშმარიტი დროის ჭეშმარიტ წამში. ჰოდა, - ყურადღებით უსმინეთ, - ჩვენს სამდღიან მასშტაბში, ორშაბათს, ნაშუადღევს, ენერგიით გატენილი სივრცე გავარვარებული იყო და ბრჭყვიალებდა, საღამოსთვის კი მატერია ისე დაიქსაქსა, რომ დაბნელდა, სამყარო უკუნმა მოიცვა. და აქამდე კოსმოსური მტვერი, პლანეტები, მეტეორები, ნამსხვრევები, ქვები, ათასი უბედურება - ერთი სიტყვით, მთელი ჩაბნელებული მატერია

მნიშვნელოვნად აღემატებოდა სინათლის მფრქვეველ მატერიას. ამ პირველ ღამეს ნივთიერების ნიაღვარი დაიშალა გიგანტური გაზის ღრუბლებად,

პროტოგალაქტიკებად და მათში მიზიდულობის ძალის მოქმედების შედეგად წარმოიქმნა გაზის სფეროები, რომლებიც ისევ მკვრივდებოდნენ, ინთებოდნენ და დაახლოებით სამშაბათ დილისათვის ვარსკვლავები აციმციმდნენ. ხომ მიგდებთ ყურს? ეს ვარსკვლავები გარშემორტყმული იყო გრიგალისებური სისწრაფით მსრბოლი მატერიის ნაფლეთებით, რომლებიც თავის მხრივ მკვრივდებოდნენ. ჩვენი დედამიწაც ერთ-ერთი ასეთი ნაფლეთია. ის ისეთი ცივი იყო, ბავშვებო, რომ მარტოოდენ წყლის ორთქლი კი არ იყინებოდა, არამედ აზოტიც, ნახშირბადის ჟანგები, ამიაკი, მეთანი; ეს გაყინული გაზები ფანტელების სახით კრისტალდებოდნენ მყარი მატერიის ნაწილაკების გარშემო; ფანტელები ერთმანეთს იზიდავდნენ, ჯერ ნელა, მერე უფრო და უფრო სწრაფად. მალე ისინი მზარდ მიწაზე ეცემოდნენ, ისეთი სიჩქარით, რომელიც უკვე საკმარისი იყო მნიშვნელოვანი გახურების გამოსაწვევად. კოსმოსური თოვლი დნებოდა და კვლავ სივრცეში ორთქლდებოდა. მისგან გამოიყო ელემენტების გადამდნარი ნარევი, რომელიც სამყაროში ძალზე მცირე რაოდენობით არსებობს, ერთ პროცენტს არ აღემატება. მაშ ასე, ერთი დღე გავიდა, რჩება კიდევ ორი. მეორე დღეს,

შუადღისათვის დედამიწის ქერქი წარმოიშვა. შესაძლებელია, ის ბაზალტისა იყო. მას მთლიანად ფარავდა პირველყოფილი ოკეანე. შემდეგ ეს ქერქი დასკდა და ბზარებიდან გავარვარებული გრანიტი იფრქვეოდა, - ასე გაჩნდა პირველი კონტინენტები. ამასობაში გავარვარებული, ლავაზე უფრო მძიმე რკინა, ცენტრისკენ დაეშვა და იქ გამდნარ ბირთვად ჩაიღვარა. გოლფის ბურთი თუ გაგიჭრიათ ვინმეს?

კოლდუელი გრძნობდა, რომ კლასის ყურადღება ისე იბერტყებოდა მისგან, როგორც წიდა გაციებული რკინიდან. ბურთის ხსენებაზე მოსწავლეები ოდნავ გამოცოცხლდნენ, მაგრამ მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებიათ. საათიანი ხელი, წერილს რომ გადასცემდა, გასასვლელში ჩამოეკიდა; დეიფენდორფი აღარ უღიტინებდა ბეკი დევისს, კეჯერაიზმა თავის რვეულს მოაშორა თვალი, ზიმერმანმაც კი ასწია თავი. კოლდუელს ვერ გაეგო, ეჩვენებოდა, თუ ეს ბებერი კამეჩი მართლა უსვამდა ხელს ირის ოზგუდ რძესავით თეთრ მკლავზე. ყველაზე მეტად აგიჟებდა იდიოტური, ავხორცი და შემპარავი ღიმილი, ბეკი დევისს რომ მოჰფენოდა გათხუპნულ სახეზე. კოლდუელი ისე დაჟინებით დააცქერდა ბეკის, რომ ამ უკანასკნელმა, თითქოს თავს იცავსო, შეღებილი ტუჩებით ჩაილაპარაკა: - ლურჯია.

- დიახ, - ნელა წარმოთქვა კოლდუელმა, - ბურთის შიგნით, რეზინის გარსის ქვეშ პატარა პარკუჭია, ლურჯი სითხით სავსე.

აზროვნების ძაფი გაუწყდა. საათს დახედა - თორმეტი წუთი რჩებოდა. მუცლის ტკივილი არ ეშვებოდა. ცდილობდა სიმძიმე მტკივან ფეხზე არ გადაეტანა; ჭრილობა შემხმარიყო და კოჭში მწვავე ჩხვლეტას გრძნობდა.

- მთელი დღე, - განაგრძობდა ის, - სამშაბათ შუადღიდან ოთხშაბათ შუადღემდე, დედამიწა უნაყოფო რჩება. სიცოცხლე არ არის მასზე. არის მხოლოდ მახინჯი კლდეები, ჭაობები, ვულკანები, რომლებიც ლავას აფრქვევენ, - ყველაფერი დნება და იღვენთება, ზოგჯერ კი იყინება, რადგან მზე, გამურულ მოშლილ ლამპასავით, ხან ინთება და ხან ქრება ცაში. მაგრამ გუშინ შუადღისას სიცოცხლის პირველი ნიშნები გაჩნდა; დიდი არაფერი, - მხოლოდ ლორწოს პაწაწკინტელა ნაფლეთები. გუშინ, შუადღიდან საღამომდე, და თითქმის მთელი ღამის განმავლობაში სიცოცხლე მიკროსკოპული რჩებოდა. კოლდუელი მიბრუნდა და დაფაზე დაწერა:

Corycium enigmaticum

Leptothrix Volvox

პირველი სტრიქონი ძლივს დაამთავრა, რომ ცარცი უცებ მის ხელში უზარმაზარ თბილ, გალიპულ თავკომბალად იქცა. კოლდუელმა ზიზღით განზე ისროლა ის და კლასში სიცილი გაისმა.

- კორიციუმ ენიგმატიკუმ. - წაიკითხა კოლდუელმა - ზღვის ამ უმარტივესი ორგანიზმის ნაშთები ნაპოვნია ფინეთის მთებში, მათი ასაკი ვარაუდით - ერთნახევარი მილიარდი წელია. „ენიგმატიკუმ“ ნიშნავს „გამოუცნობს“, და მართლაც, სიცოცხლის ეს უმარტივესი ფორმა ჩვენთვის გამოცანად რჩება, მაგრამ მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს მოლურჯო-მომწვანო ფერის წყალმცენარეები იყო, მონათესავე იმ მცენარეებისა, რომლებითაც დღესაც გადაფერადებულია ოკეანის უზარმაზარი ფსკერი.

ქაღალდის თვითმფრინავი აფრინდა ჰაერში და ყანყალით დავარდა ძირს; თავი დაახალა იატაკს შუა გასასვლელში, თეთრ ყვავილად გადაიშალა და გაკვეთილის გამოსვლამდე ბავშვივით იცრემლებოდა. მისი დაკოდილი ფურცლებიდან წვეთ-წვეთად იღვრებოდა უფერული სითხე და კოლდუელმა გულში დამლაგებლებს ბოდიში მოუხადა.

- ლეპტოთრიქსი, - თქვა კოლდუელმა, - მიკროსკოპული ცოცხალი გუნდაა, რომლის სახელწოდება ბერძნულად „წვრილ ბეწვს“ ნიშნავს. ამ ბაქტერიას უნარი ჰქონდა რკინის მარილებიდან სუფთა რკინის ნამცეცები გამოეყო. შეიძლება ეს დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ ლეპტოთრიქსი ისე გამრავლდა, რომ ურიცხვი რაოდენობით დააგროვა რკინის მადნის შემცველი ნალექები - მათ დღესაც ამუშავებს კაცობრიობა. მესაბის ქედი მინესოტაში თავდაპირველად

ამერიკის იმ მკვიდრთა მიერაა შექმნილი, რომელთა მრავალი ათასეულიც თავისუფლად მოთავსდებოდა ქინძისთავის წვერზე. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მისაღწევად ჩვენ იქიდან მოვიპოვეთ ყველა სამხედრო გემი, ტანკი, ჯიპი, ორთქმავალი, და მერე ტურებისაგან დაღრღნილი ლეშივით მივაგდეთ საბრალო მესაბის ქედი. ჩემი აზრით ეს საშინელებაა. როცა პატარა ვიყავი და პასეიკში ვცხოვრობდი, ყველა ისე ლაპარაკობდა მესაბის ქედზე, თითქოს ეს მშვენიერი სპილენძისფერთმიანი ქალი ყოფილიყოს, რომელიც დიდი ტბების პირას ისვენებდა.

დეიფენდორფი, რომელიც აქამდე ფანქრით უჩხიკინებდა გოგონას, ამას აღარ დასჯერდა, და ახლა ხელები მის მხარზე დააწყო, თან ცერს კისერზე, ნიკაპქვეს უცაცუნებდა. ბეკის სიამოვნებისაგან სულ უფრო და უფრო ემანჭებოდა სახე.

- ვოლვოქსი, - ხმამაღლა თქვა კოლდუელმა; გამაბრუებელ ღრიანცელში სულს ძლივს ითქვამდა, - მესამეა სამყაროს ადრეულ მკვიდრთაგან და საინტერესოა ჩვენთვის იმით, რომ მან გამოიგონა სიკვდილი. არ არსებობს შინაგანი მიზეზი, რომელიც ბოლოს მოუღებდა პლაზმის არსებობას. ამებები არასოდეს კვდებიან და მამაკაცის სასქესო უჯრედები, მიზანს რომ მიაღწევენ, საფუძველს უყრიან ახალ სიცოცხლეს, რომელშიაც მამრი განაგრძობს არსებობას. მაგრამ ვოლვოქსმა, წყალმცენარეთა მოძრავმა, გაორებულმა გორგალმა, რომელიც ვეგეტაციური და რეპროდუქციული უჯრედებისგან შედგება და მცენარესა და ცხოველს შორის გარდამავალ საფეხურს

წარმოადგენს, - ის ციბრუტივით ტრიალებს მიკროსკოპის ქვეშ, როგორც მოცეკვავენი საშობაო მეჯლისზე, - პირველად განახორციელა თანამშრომლობის იდეა და აზიარა სიცოცხლე გარდაუვალი, უეცარისაგან განსხვავებული სიკვდილის სამეფოს, რადგანაც, - მოითმინეთ, ბავშვებო, სულ შვიდი წუთის წვალებაღა დაგრჩათ, - თუმცა პოტენციურად ყოველი უჯრედი ცალკე უკვდავია, მაგრამ როგორც კი ნებაყოფლობით კისრულობს დამოკიდებულ ფუნქციას უჯრედების ორგანიზებულ თანამეგობრობაში, ის მაშინვე არახელსაყრელ გარემოცვაში ხვდება. ბოლოს და ბოლოს იგი კვდება და იღუპება. თავს მსხვერპლად სწირავს მთელი ორგანიზმის კეთილდღეობას. ამ უჯრედებს მობეზრდათ მუდმივად მოლურჯო-მომწვანო ქაფში ჯდომა და თქვეს: „გავერთიანდეთ და შევქმნათ ვოლვოქსი“. ისინი იყვნენ პირველი ქველმოქმედნი. ახლა თავზე ქუდი რომ მეხუროს, მოვიხდიდი მათ წინაშე.

კოლდუელმა ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ქუდს იხდიდა და მთელი კლასი აჭყივლდა. მარკ იანგერმანი წამოხტა და მისი გავარვარებული მუწუკებისაგან კედელზე ალისფერი ცისკარი დაენთო; მეწამულმა კვამლმა

იფეთქა და გვერდიდან რგოლებად, ზლაზვნით გადაუარა დაფას. მუშტები, თითები

იდაყვები, თვალისმომჭრელ ალიაქოთში აელვარდნენ ლაპლაპა, დასერილ მერხებს ზემოთ; გაცოფებულ აურზაურში გამოირჩეოდნენ ზიმერმანი და ირის ოზგუდი. ზიმერმანს დრო ეხელთა, გასასვლელი გადაეჭრა და ქალიშვილს მისჯდომოდა. მის ირისისათვის მხრებზე ხელი მოეხვია და სახე სიამაყისაგან უბრწყინავდა. ირისი არ იძვროდა, ზიმერმანის მკლავებში უნიათოდ გახევებულიყო, თვალები ძირს დაეხარა, მხოლოდ მკრთალი ლოყები შევარდისფერებოდა ოდნავ. კოლდუელმა საათს დახედა. რჩებოდა ხუთი წუთი, მთავარი კი ჯერ წინ იყო.

- დღეს, დაახლოებით დილის ოთხის ნახევარზე, - თქვა კოლდუელმა, - როცა თქვენ ჯერ ისევ საწოლში გეძინათ, გაჩნდა ყველა ბიოლოგიური ტიპის განვითარებული ფორმები, გარდა ქორდიანებისა. როგორც გაქვავებული ნაშთები მოწმობენ, ამას დასჭირდა აი რამდენი, - აქ მან თითები გაატკაცუნა, - გათენებამდე ყველაზე ღირსშესანიშნავი ცხოველი მსოფლიოში იყო ტრილობიტი - პატარა მახინჯი, რომელმაც მთელი ოკეანის ფსკერი გაავსო.

ეტყობა, ბიჭმა, რომელიც ფანჯარასთან იჯდა, ჩუმად მიათრია საკლასო ოთახში ქაღალდის პაკეტი, და ახლა, როგორც კი მეზობელმა იდაყვი წაჰკრა, იატაკზე გამოყარა პაკეტის მთელი შიგთავსი - ცოცხალი ტრილობიტების მოძრავი გორგალი. ტრილობიტების უმრავლესობა სიგრძით ერთ-ორ დიუმს არ აღემატებოდა, მაგრამ ზოგი მათგანი ფუთამდე აღწევდა. ისინი უზარმაზარ ცხრაფეხებს ჰგავდნენ, ოღონდ მოწითალო ფერისას. ყველაზე დიდებს წითელ ფარიკებზე ამონაზარდები ჰქონდათ, რეზინის ქუდის მაგვარი, როგორსაც ნიღბიან მეჯლისზე იხურავენ ხოლმე. ისინი მერხების გაღუნულ რკინის ფეხებს შორის გაიფანტნენ და უტვინო თავებს გოგონების ფეხებს ახეთქებდნენ, ამ უკანასკნელებს კი წივილით აეშვირათ ფეხები მაღლა და თეთრი ბარკლები და ნაცრისფერი ნიფხვები უჩანდათ. რამდენიმე შეშინებული ტრილობიტი გროვაგროვად შექუჩებულიყო და დანაწევრებულ ბურთულას ჰქმნიდა. ბიჭები გასართობად მძიმე სახელმძღვანელოებს ესროდნენ ამ პირველყოფილ ფეხსახსრიანებს; ერთი გოგონა, ჭუჭყიანი ბუმბულით შემოსილ დიდ ვარდისფერ თუთიყუშს რომ ჰგავდა, მერხის ქვეშ შეძვრა და პატარა ტრილობიტს ხელი დასტაცა. ტრილობიტი სასოწარკვეთილებით ფართხალებდა, ორად გაყოფილ წვრილ თათებს იქნევდა. კნაწ!.. გოგონამ შეღებილი ნისკარტით გაკვნიტა ტრილობიტი და ნელა შეუდგა ღეჭვას.

კოლდუელი ხედავდა, რომ ბავშვებმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბეს, მაგრამ ზარამდე უნდა გაეძლო ამ ჯოჯოხეთისათვის.

- დღეს შვიდი საათისათვის, - თქვა მან და მოეჩვენა, რომ ზოგიერთი ბუნდოვანი ლაქების მსგავსი ჯერ კიდევ უსმენდა, - ოკეანეში პირველი თევზები გაჩნდნენ. მიწის ქერქმა აიწია.

ფეტს ფრაიმოიერი წელში მოიხარა და პატარა ბილი შუპი მერხიდან გადმოაგდო. გაძვალტყავებული, დიაბეტით დაავადებული ბიჭუნა ხმაურით დაენარცხა იატაკს. როცა ის ადგომას შეეცადა, ვიღაცის ხელი დააწვა თავზე და კვლავ იატაკზე დასცა.

- რვის ნახევარზე ხმელეთზე გაჩნდნენ პირველი მცენარეები. ჭაობიდან ამოძვრნენ ორგვარადმსუნთქავი თევზები, რომლებმაც შლამზე ხოხვა ისწავლეს. რვა საათისათვის უკვე არსებობდნენ წყალხმელეთა ცხოველები. დედამიწაზე თბილოდა. ანტარქტიდას ჭაობი ფარავდა. გიგანტური გვიმრის ხშირი ტევრები აღმოცენდებოდნენ და იღუპებოდნენ და ჩვენს შტატში ფენებად აწყობდნენ ნახშირის შრეებს. სწორედ ამ შრეებმა მისცეს სახელწოდება გეოლოგიურ სისტემას. როცა ვამბობთ „პენსილვანიის“,

აუცილებელი არ არის რომელიმე ბრიყვი გერმანელი გაგვახსენდეს; ეს შეიძლება ეხებოდეს პალეოზოური ერის დასაწყისსაც.

ბეტი ჯინ შილინგი საღეჭ რეზინს ცოხნიდა და ბუშტებს ბერავდა; და უეცრად - ჰოი, საკვირველებავ! - გოგონას ტუჩებზე პინგ-პონგის ბურთის ოდენა ბუშტი გაფუვდა. დაოსებული ბეტი ჯინი მასწავლებელს ალმაცერად ადევნებდა თვალებს, რომლებიც მეტისმეტი მონდომებისაგან კინაღამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა. მაგრამ ჯადოსნური ბუშტი გასკდა და ნიკაპი ვარდისფერმა ქაფმა მოურწყა.

- გაჩნდნენ და გამრავლდნენ მწერები. ზოგიერთი სახის ჭრიჭინობელას ფრთების სიგრძე ოცდაათ დიუმს აღწევდა. მიწაზე ისევ აცივდა, წყალხმელთა ცხოველების ნაწილი ზღვაში დაბრუნდა; ნაწილმა კი მიწაზე იწყო კვერცხის დება. ასე გაჩნდნენ მცოცავნი და ორი საათის განმავლობაში, როცა მიწაზე ისევ დათბა, ისინი ბატონობდნენ მსოფლიოში. ორმოცდაათ გირვანქიანი პლეზიოზავრები ზღვას აქაფებდნენ, პტეროზავრები ჰაერში დაფარფატებდნენ და გადამტვრეული ქოლგებივით ირხეოდნენ. უტვინო გიგანტები ხმელეთს აზანზარებდნენ.

დათქმული ნიშნის მიცემისთანავე კლასში ყველა ბიჭი ერთხმად აზუზუნდა. პირები მოემუწათ; თვალებს უმანკო კრავებივით აცეცებდნენ აქეთ-იქით, მაგრამ უტიფარი, საზეიმო გუგუნი მთელ კლასს ავსებდა. კოლდუელს ისღა დარჩენოდა, რომ ფეხის ხმას აჰყოლოდა.

- ბრონტოზავრი ოცდაათ ტონას იწონიდა, მისი ტვინი კი - სულ ოც უნციას. ანატოზავრს ორი ათასი კბილი ჰქონდა, ტრიცერატოპსს - რქოვანი ძვლის მუზარადი, რომლის სიგრძე შვიდ ფუტს აღწევდა. ციცქნა წინათათებიანი მეუფე ტირანოზავრი, რომელსაც კბილები ექვსდიუმიან საჭრელს მიუგავდა, პრეზიდენტად აირჩიეს, ის ყველაფერს ჭამდა - ლეშს, ცოცხალ არსებებს, გახრწნილ ძვლებს...

პირველი ზარი დარეკეს. მორიგეები საკლასო ოთახიდან გავარდნენ და ერთმა მათგანმა გასასვლელში ანემონს დაადგა ფეხი. ყვავილმა შესაბრალისად დაიწივლა. ორი ბიჭი კარებში შეეჩეხა ერთმანეთს. მათ ერთი მეორეს ფანქრით დაუწყეს ჩხვლეტა. კბილებს კრაჭაკრუჭი გაჰქონდა; ორივეს სისხლი სდიოდა ცხვირიდან. ზიმერმანს მოეხერხებინა ირის ოზგუდისათვის ბლუზისა და ლიფის შეხსნა და გოგონას

გათქვირული ძუძუები მერხზე ელაგა, მადის აღმძვრელ, გაწყვილებულ უძრავ მთვარესავით.

- ორი წუთიღა დარჩა! - შესძახა კოლდუელმა. მისი ხმა უფრო და უფრო წივანა ხდებოდა, თითქოს თავში შკივს უტრიალებენო. - ადგილებიდან ნუ დაიძვრებით! გადაშენებულ ძუძუმწოვრებსა და ყინულის ხანას შემდეგ გაკვეთილზე განვიხილავთ. მოკლედ რომ მოვჭრათ, ერთი საათის წინ ყვავილოვანი მცენარეებისა და ბალახების კვალდაკვალ დედამიწას ჩვენი ერთგული მეგობრები, ძუძუმწოვრები დაეპატრონენ; და ერთი წუთის წინ, ერთი წუთის წინ...

დეიფენდორფმა ბეკი დევისი გასასვლელში გამოათრია, ის კი ხითხითით უსხლტებოდა გრძელი, ბალნიანი ხელებიდან.

- ერთი წუთის წინ, - გაიმეორა კოლდუელმა მესამედ, და ამ დროს სახეში შეეყარა მთელი მუჭა ბურთულსაკისრები. კოლდუელმა თვალები დაახამხამა, მარჯვენა მკლავი აიფარა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ბურთულები თვალში არ მოხვდა. ახალ თვალებს არავინ ჩაგისვამს! მისი მუცელი ფეხის საცოდაობას ვეღარ უძლებდა და თანაგრძნობისაგან ტკივილით იკრუნჩხებოდა.

- ...სულელი მაიმუნისაგან, რომელსაც ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო გაუჩნდა ბინოკულარული მხედველობა, ხელებზე დაპირისპირებული ცერები და მაღალგანვითარებული ტვინი, სულელი მაიმუნისაგან, ვისი ნაშთიც შემდეგ იავაზე იპოვეს...

ქალიშვილს დაჭმუჭნული ქვედა კაბა წამოხდილი ჰქონდა. ბეკი წელში გახრილიყო, სახით მერხს დაკრობოდა, დეიფენდორფი კი ვიწრო გასასვლელში მშფოთვარედ სცემდა ფლოქვებს იატაკზე. სახეზე ანცი, შემპარავი ღიმილი

უთრთოდა: ეტყობოდა, თავისი გაინაღდა. საკლასო ოთახში თავლის სუნი ავარდა. კოლდუელი გაცოფდა. ხელი დაავლო მაგიდაზე დაგდებულ ლაპლაპა ისარს, ნაჩქარევად დახურული სახელმძღვანელოების გამაღიზიანებელ ტყაპატყუპში ადგილიდან მოწყდა და... ერთი ორი გამწარებით მოინაცვლა, დაჰკრა ამ აყროლებულ საქონელს შიშველ ზურგზე. სულაც ამან არ გაუტეხა მანქანის გისოსი! ორი თეთრი შრამი აიბურცა დეიფენდორფის მხრებზე. კოლდუელი გაშრა იმის დანახვაზე, თუ როგორ გაწითლდა ნელ-ნელა ეს თეთრი ზოლები. ნაჭრილობევი დარჩება. წყვილი გადამტვრეული ყვავილივით გაშორდა ერთიმეორეს. დეიფენდორფმა მასწავლებელს მიაპყრო ორი პატარა, ყავისფერი, აცრემლებული თვალი; ქალიშვილმა მოჩვენებითი გულგრილობით გაისწორა თმა. კოლდუელი ხედავდა, რომ ზიმერმანი რაღაცას გამალებული ბღაჯნიდა ფურცელზე.

მასწავლებელი გულდამძიმებული დაბრუნდა დაფასთან. ღმერთმანი, არ უნდოდა ბიჭისთვის ასე ძლიერად დაერტყა. ფოლადის ზრო ცარცისთვის განკუთვნილ ღარაკში ჩადო. მერე ისევ კლასს მიუბრუნდა, თვალები დახუჭა და ტკივილმა ისევ გაშალა სველი ფრთები მეწამულ უკუნში. კოლდუელმა პირი გააღო; მთელი არსებით სძულდა ის, რაც ახლა უნდა ეთქვა:

- ერთი წუთის წინ, ალესილ კაჟთან, გაღვივებულ ძენძთან, სიკვდილის მოლოდინთან ერთად დედამიწას მოევლინა კიდევ ერთი, ტრაგიკული ბედის მქონე ცხოველი... - ზარი დარეკეს, უზარმაზარი შენობის დერეფნები გუგუნით აივსო; კოლდუელს წამით სისუსტე მოერია, მაგრამ თავი შეიმაგრა, რადგან დაიფიცა, დავამთავრებო, - რომელსაც ჰქვია ადამიანი.

II

ჩემი მშობლები რაღაცაზე საუბრობდნენ. ახლა ხშირად ვიღვიძებ სიბნელეში შენს გვერდით, შიშისაგან აცახცახებული, რადგან კოშმარები მიხუთავენ სულს და უნდობლობის მწარე ნალექს მიტოვებენ (გუშინ მესიზმრა, თითქოს ჰიტლერი, ჭაღარა, ჭკუაშეშლილი, ენაგადმოგდებული მოხუცი, არგენტინაში შეიპყრეს). მაგრამ იმხანად მუდამ მშობლების ხმები მაღვიძებდა, ხმები, რომლებიც მაშინაც კი აღგზნებულად და გამომწვევად ჟღერდა, როცა სახლში სრული თანხმობა სუფევდა. სიზმარში ხე ვნახე, ტანკენარი ხე ვიყავი, და ამ ხმებმა კვლავ ლოგინში მწოლარე ბიჭად მაქციეს. მაშინ, ორმოცდაშვიდში, თხუთმეტი წელი შემისრულდა. იმ დილით უჩვეულო საგანზე იყო ლაპარაკი. გარკვევით ვერ დავადგინე რაზე, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიზმარში რაღაც ცოცხალი გადამეყლაპოს და ახლა ეს საზარელი გორგალი შეინძრა ჩემში.

- არაფერია, ხესი, ნუ სწუხხარ, - ამბობდა მამა. - შემკრთალი ხმა ჰქონდა. ალბათ, დედისკენ ზურგშექცეული იწვა. - ისედაც ბედი მქონია, რომ ამდენ ხანს ვიცოცხლე.

- ჯორჯ, ტყუილად თუ მიხეთქავ გულს, ასეთი ხუმრობა არ ვარგა, იცოდე, - უთხრა დედამ.

დედა ისე ხშირად გამოხატავდა ჩემს აზრებს, რომ ჩავფიქრდებოდი თუ არა, ყურში მუდამ მისი ხმა მედგა; მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც ხშირად დედის ხმით ვიტყვი, ან წამოვიძახებ რაიმეს. გუმანით მივხვდი, რაზე ჰქონდათ ლაპარაკი: მამამ აიჩემა, ავად ვარო.

- ხესი, - თქვა მან, - ნუ გეშინია. არ უნდა გეშინოდეს. მე არ მეშინია. მამა ერთთავად ამას იმეორებდა და თან ხმა უწყდებოდა.

- არა, გეშინია, - უთხრა დედამ, - აი თურმე ღამე რისთვის დგებოდი წამდაუწუმ ლოგინიდან. დედასაც უღალატა ხმამ.

- ვგრძნობ ამ სისაძაგლეს, - მიუგო მამამ. - შხამიანი მორგვივითაა. ვერ ამომიგდია.

ასე მკაფიოდ აღქმა დედას დაუჯერებელი ეჩვენა.

- შეუძლებელია ამას გრძნობდეს კაცი, - მოულოდნელად ჩუმად, დატუქსულ გოგონასავით თქვა დედამ. მამამ ხმა აიმაღლა:

- თითქოს დახვეული შხამიანი გველი მიზის ნაწლავებში. ფუჰ!

ლოგინში წარმოვიდგინე, მამა ამ ხმას როგორ გამოსცემდა - თავი ისე უცახცახებს, რომ ყბებს ძაგძაგი გაუდის, ტუჩები დაპრანჭვია და შეერთებისას მთრთოლვარე ლაქას წარმოქმნის. ეს ისე ცხადად დამიდგა თვალწინ, რომ გამეღიმა. მშობლებმა თითქოს იგრძნეს, რომ არ მეძინა, და საუბრის თემა შეცვალეს, ახლა უფრო დამშვიდებული ხმები მოისმოდა. მათი ცოლქმრული ცხოვრების უფერულ, გულის ამაჩუყებელ, თოვლის ფიფქივით პაწაწინა ნაგლეჯს წამით ფარდა აეხადა ჩემს წინაშე, ვისაც თავი

ჯერ ისევ ხედ მიმაჩნდა და მერე კვლავ მიიჩქმალა ყოველგვარ აზრს მოკლებული კამათის ჩვეულ საფარველქვეშ; თავი მივაბრუნე, ძილი დავიფრთხე და ფანჯარაში გავიხედე. შუშის ზედა ნაწიბურებს ყინულის ანდაზი ჩამოსტიროდა. მოუკირწყლავი გზის გადაღმა გაშლილ ვრცელ ტაფობზე მზეს ოქროსფერ სხივებში გაეხვია ნაწვერალი. გზა ვარდისფრად მოჩანდა. მზით განათებული, გაშიშვლებული ხეები თეთრად ქათქათებდა; ტოტებს საოცარი მოწითალო ელვარება დაჰკრავდა. ირგვლივ ყველაფერი გათოშილიყო. ტელეფონის

მავთულების წყვილი ხაზი ცის კამკამა სილურჯეს შეჰყინვოდა. იდგა იანვარი. ორშაბათი. ახლა უკვე ვხვდებოდი ყველაფერს. ყოველი კვირის დასაწყისში მამა სიმხნევეს იკრებდა სკოლაში გამგზავრების წინ. საშობაო არდადეგების განმავლობაში მთლად მოეშვა და ახლა გამძვინვარებული ქანჩებს უჭერდა. „დიდ მანძილზე გადარბენა“, - ასე ეძახდა მამა შობიდან აღდგომამდე დარჩენილ დროს. თანაც გასულ კვირას, ახალი წლის პირველ კვირას მოხდა ის ამბავი, რომელმაც მამა ასე შეაშინა. მან მოსწავლეს დაარტყა ზიმერმანის თანდასწრებით; მეტი არაფერი უთქვამს ჩვენთვის.

- ტრაგედიას ნუ შექმნი, ჯორჯ, - უთხრა დედამ. - წესიერად გამარკვიე, რა მოგდის?

- ვიცი, სადაც ზის. - მამაჩემი ისე ელაპარაკებოდა ხოლმე დედას, თითქოს სცენაზე თამაშობდა უხილავი მაყურებლით სავსე დარბაზში. - ყველაფერი ამ წყეული ბავშვების ბრალია. ვძულვარ ამ არამზადებს და მათი სიძულვილი ობობასავით მიზის ნაწლავებში.

- ეს სიძულვილი არაა, ჯორჯ, - უთხრა დედამ. - ეს სიყვარულია.

- სიძულვილი, ხესი. დღე არ გავა, რომ მათი სიძულვილი არ ვიგემო.

- არა, სიყვარული, - დაიჟინა დედამ. - მათ უნდათ, რომ ერთმანეთი უყვარდეთ, შენ კი ხელს უშლი. შენი შეძულება შეუძლებელია, ჯორჯ, შენ იდეალური ადამიანი ხარ.

- მე მათ ჭირივით ვძულვარ. ერთი სული აქვთ, საფლავში როდის ჩამიყვანენ და ნახავ, თუ აგრეც არ იზამენ, სულ მალე. ჩემი საქმე წასულია, ხესი. ვიღას უნდა ჩემისთანა გადაქცეული ბეხრეკი.

- ჯორჯ, მართლა ასე ცუდად თუ ხარ, საჩქაროდუნდა ეჩვენო დოკ[4] აპლტონს. - უთხა დედამ.

როცა მამა თანაგრძნობას გამოგვტყუებდა, ჯიუტობას და ჭირვეულობას მოჰყვებოდა.

- არ წავალ მაგ მაწანწალასთან. ერთიც ვნახოთ, სიმართლე მითხრას. დედამ, ეტყობა, ზურგი შეაქცია და საუბარში ბაბუა ჩაერია.

- ღმერთს სიმართლე უ-ყვ-არს, - წარმოთქვა მან, - ტყუილი კი ეშმაკის მახეა.

მისი ხმა მშობლების ხმებთან შედარებით უფრო შთამაგონებელი იყო, მაგრამ ისეთი სუსტი, რომ კაცი იფიქრებდა, ბუმბერაზი წინასწარმეტყველებსო შორით.

- არა, მამილო, მარტო ეშმაკის არა, - მიუგო მამამ. - ჩემიც. ტყუილის მეტს რას ვჩმახავ. ფულს ამაში მაძლევენ.

სამზარეულოში, იატაკის შიშველ ფიცრებზე ბაკუნი გაისმა - დედამ ჩაიარა ქვევით, კიბისკენ, იმ კუთხის ქეშად, სადაც ჩემი საწოლი იდგა.

- პიტერ! - შემომძახა მან. - დგები?

თვალები დავხუჭე და ლოგინის თბილ სიმყუდროვეს ჩავეკონე. ფუმფულა საბნები სალუქი ჯაჭვებივით მაბამდნენ საწოლზე. პირი სავსე მქონდა ტკბილი, სქელი ნექტარით, და ეს კვლავ თვლემას მგვრიდა. მოყვითალო, ლიმონისფერი შპალერი, რომელზედაც წითელი რგოლები ანჩხლი კატის დრუნჩივით ბდღვრიალებდა, დახუჭულ თვალებში ალისფრად მიბრჭყვინავდა. მერე იგივე სიზმარი დამიბრუნდა. მე და პენი ხესთან ვიდექით. პენის ბლუზის საკინძე გაღეღილი ჰქონდა, შეხსნოდა პატარა სადაფის ღილები, როგორც იმ დღეს, ჯერ კიდევ საშობაო არდადეგებამდე, როცა სკოლასთან ჩაბნელებულ „ბიუიკში“ ვისხედით და ჩვენს ფეხებთან ელექტროღუმელი ზუზუნებდა. მაგრამ ახლა ორივენი ტყეში ვიყავით. ტანწვრილი ხეების ჯარი მდუმარებდა ირგვლივ და დღის სინათლე ტყის შუაგულ სიღრმეში ატანდა. ჰაერში კოლიბრივით გაშეშებული ჭრელბუმბულა ჩხიკვი ეკიდა. ფრთები დაეკეცა და ადგილიდან არ იძროდა, მხოლოდ მძივივით შავ თვალებს აკვესებდა დამფრთხალი. მერე ჩხიკვი უეცრად გაფრინდა და მომაგონდა ფრინველის ფიტული, რომელსაც ვიღაც თოკით ეწეოდა, მაგრამ რასაკვირველია, ის ცოცხალი იყო.

- პიტერ, ადგომის დრო-ო-ა!

პენიმ მუხლზე დამადო ხელი და მე დიდხანს ვეალერსებოდი მის ხელს. ბოლოს მოთმინება გამომელია. პენის აბრეშუმის სახელო გადაეწია და გააშიშვლა ცისფრად დაძარღვული კანი. მთელი ჩვენი კლასი იქ შეგროვილიყო, ტყეში, და ყველა ჩვენ გვიცქეროდა, მაგრამ სახეებს ვერ ვარჩევდი. ის გადაიხარა წინ. ჩემი პენი, ჩემი პატარა, სულელი, შემკრთალი პენი. სიყვარული ტკბილი, სქელი წვენივით ჩამეღვარა გულში. ფენთხი ჯადოსნურმა თაფლმა ამივსო. პენის მწვანე, სხივიანი თვალები შიშს დაემრგვალებინა, გაბუტულს აკანკალებული ქვედა ტუჩი გამობერვოდა და სისველისაგან უელავდა. იგივე განვიცადე, რაც ერთი თვის წინ, ჩაბნელებულ ავტომობილში. ჩემი ხელი მის თბილ, მჭიდროდ მიკრულ მუხლებს შორის აღმოჩნდა; თითქოს მან მყისვე არ შეიგრძნო ეს, მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ მითხრა ჩუმად: „არ გინდა“. და როცა ხელი მოვაშორე, სწორედ ისე შემომხედა, როგორც იქ, ავტომობილში. მაგრამ მაშინ ჩვენ ბნელში ვისხედით, ახლა კი დღის სინათლე გვეფინა. პენის ცხვირზე ყველა ფორი მკაფიოდ მოჩანდა. მონუსხულივით გარინდულიყო: რაღაც ამბავი იყო მის თავს.

- ხესი, უთხარი ბიჭს, რომ უკვე რვის ჩვიდმეტი წუთია. ქვეყნის საკონტროლო სამუშაოები მაქვს გასასწორებელი, რვაზე მაინც უნდა მივიდე სკოლაში, თორემ ზიმერმანს ვერ გადავურჩები.

ჰო, სწორედ ასე იყო. სიზმარში ეს სულ არ ჩანდა უცნაური. პენი ხედ იქცა. მე სახით ხის ტანს მივეკარი, რადგან ვიცოდი, რომ ეს პენი იყო. უკანასკნელად სიზმარში ხის ქერქს მოვკარი თვალი - დაკორძებულს, შავად დაბზარულს; ნაბზარი ქარაგოზის პაწია, მწვანე წერტილებით იყო მოფენილი. ის არის. ღმერთო, ეს ხომ ის არის, მიშველე, დამიბრუნე იგი!..

- პიტერ! შენ რა, მამას მასხრად იგდებ?

- ხომ ვდგები, არა, გესმის - ვდგები!

- ჰოდა, ადექი. ცოცხლად. მე როდი ვხუმრობ, ყმაწვილო, აბა!

გავიზმორე და ჩემი სხეული ცივ კიდეს შეეხო. სხეულში ჩაღვრილი ტკბილი წვენი უკუიქცა. ყველაზე მეტად ის მაღელვებდა ამ სიზმარში, რომ მან იცოდა, რაც ხდებოდა,

გრძნობდა, მისი თითები როგორ ემსგავსებოდნენ ფოთლებს, და უნდოდა ეთქვა ჩემთვის (ისეთი მრგვალი თვალები ჰქონდა), მაგრამ არ მითხრა, დამინდო, უსიტყვოდ იქცა ხედ. მე არ ვიცოდი, რომ პენის შესწევდა ამის უნარი და მხოლოდ სიზმარში შევიცანი მისი თავგანწირული სიყვარული. პენი ისე ნორჩია, ისე ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს შევეხეთ, ჯერ არაფერი მიმიცია მისთვის და მაინც მზად არის, მსხვერპლი გაიღოს. მთელი არსებით შევხაროდი, თვითონაც არ ვიცი, რას. თითქოს ვიღაცამ ყალმის ერთი მოსმით ნათელი საღებავით გაამდიდრა ჩემი ცხოვრების ტილო.

- ადექი, ჩემო თვალისჩინო, ადე, ჩემო სიხარულო!

დედის ხმა კვლავ ალერსიანი გახდა. ნაცრისფერი, ლაპლაპა ფანჯრის რაფა, რა თქმა უნდა ყინულივით ცივი იყო - ეს ისე კარგად ვიცოდი, თითქოს ზედ ხელი გადამესვას. მზე კიდევ ოდნავ ამოიწვერა. გზა ნაზ, გოჯა თევზივით ვარდისფერ ზოლად მიიკლაკნებოდა; ჩვენი სახლის წინ გადაშლილი პატარა კორდი ჰგავდა ზუმფარას ძველ ქაღალდის ნაჭერს, რომლითაცმწვანე საღებავი გადაეწმინდათ. იმ ზამთარს ჯერ

არ მოეთოვა. რა იქნება, წელს სულაც რომ არ მოთოვოს-მეთქი? - გავიფიქრე, ნეტავ როდესმე თუ ყოფილა უთოვლო ზამთარი?

- პიტერ!

ამჯერად დედის ხმა მრისხანედ გაისმა და მე კისრისტეხით ჩამოვგორდი ლოგინიდან. ვფრთხილობდი, კანზე რაიმე მაგარი საგანი არ შემხებოდა, თითის წვერებით გამოვწიე კარადის უჯრებზე შუშის ბურთულები - გაყინული ამიაკის დაწახნაგებულ კრისტალებს რომ მიაგავდა და ჩაცმას შევუდექი. ფერმერის ჩვეულებრივ სახლში ვცხოვრობდით, ოღონდ ჩემი სახლი უფრო კეთილმოწყობილი იყო. პიჟამო გავიძრე და ერთ ხანს ასე ვიდექი, გაძარცული და წამებული ამით მწარე საყვედურს გამოვხატავდი იმის გამო, რომ ასეთ მიყრუებულ ადგილას გადმოვედით საცხოვრებლად. სულ დედაჩემის ბრალია. ბუნება უყვარდა. ჩემი სიშიშვლით თითქოს მინდოდა მისი სისულელე საქვეყნოდ გამომეტანა. მსოფლიოს რომ ვეხილე იმ წუთს, გაოცდებოდა, რადგან მუცელი, თითქოს უზარმაზარ ჩიტს დაუკორტნიაო, ვერცხლის ფულის ოდენა წითელი რგოლებით მქონდა დაფუთქული. ფსორიაზი. ამ ალერგიის უცხო, უაზრო,

ენის მოსატეხი სახელი კიდევ უფრო დამამცირებელს ხდიდა მას. „დამცირება“, „ალერგია“, - არ ვიცოდი, რა დამერქმია ამისთვის; ეს ხომ დაავადებაც კი არ იყო, არამედ - ჩემი სხეულის ნაწილი. ყველაფერი მწყენდა: შოკოლადი, შემწვარი კარტოფილი, სახამებელი, შაქარი, ღორის ქონი, ნერვული აღგზნება, სიმშრალე, მაღალი წნევა, დახუთული ჰაერი, სიცივე... ღმერთმანი, თვითონ სიცოცხლე იყო ალერგიული. დედა, ვისგანაც ეს მემკვიდრეობით გადმომეცა, ზოგჯერ ამას „ნაკლს“ ეძახდა. მე ეს მეჩოთირებოდა. ბოლოს და ბოლოს თვითონ იყო დამნაშავე. მამაჩემი რომ ყოფილიყო ჩემი დედა, სუფთა კანი მექნებოდა. მამის დიდი, ჩამომდნარი სხეული თვალისმომჭრელად თეთრი იყო. ნაკლი რაიმეს უქონლობას ნიშნავდა. მე კი რაღაც ზედმეტს მახვევდნენ თავს, რაც სრულებით არ მჭირდებოდა. იმ დროს ძალზე გულუბრყვილო წარმოდგენა მქონდა ტანჯვაზე; მჯეროდა, ტანჯვა აუცილებელია ადამიანებისათვის-მეთქი. გარშემო ყველა იტანჯებოდა ჩემს გარდა და მეგონა, რომ ეს გამონაკლისი მომავალში რაღაც საბედისწეროს მიქადდა. არასოდეს მომიტეხია ხელი და ფეხი, ნიჭიერი ვიყავი და მშობლებს გაგიჟებით ვუყვარდი. ერთი სიტყვით, ბედმა ჩემზე შეაჩერა თავისი ავბედითი არჩევანი. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ჩემი ფსორიაზი - ღვთის რისხვა იყო. ღმერთმა, თავისი კალენდრის მიხედვით, პერიოდული რისხვით მაკურთხა, რათა მამაკაცად ვექციე. ზაფხულის მზე ფუფხს ადნობდა, სექტემბრისათვის მკერდი და ფეხები სუფთა მქონდა, თუ არად ჩავთვლიდი ოდნავ შესამჩნევ მკრთალ მარცვლებს, რომლებიც შემოდგომისა და ზამთრის მკაცრ სუსხში ისევ ღვივდებოდა. გაზაფხულზე მთლად აყვავდებოდა, მაგრამ მზე დააჭერდა დამიხსნიდა. იანვარში კი საშველი არ იყო. იდაყვებსა და მუხლებზე, რადგან კანი იქ ყველაზე მეტად ღიზიანდება, ფუფხი გადამეკვროდა ხოლმე. წვივებზე, სადაც ფეხს წინდები შემოტმასნოდა და კანს მიხეხავდა, გააფთრებული გამონაყარი მკვრივ, ვარდისფერ ქერქს წარმოქმნიდა; ხელები

ლაქებით იფარებოდა და არ შემეძლო სხვა ბიჭებივით პერანგის სახელოების დარდიმანდულად დაკაპიწება. მაგრამ ჩაცმული სრულიად ნორმალურად გამოვიყურებოდი. სახეზე ღვთის შეწევნით არაფერი მეტყობოდა, მხოლოდ სიწითლე თმის ძირებთან, რის გამოც შუბლზე ჩამოშლილ თმას ვატარებდი. არც ხელის მტევნებზე მემჩნეოდა რამე, ფრჩხილებზე თუ შეინიშნებოდა რამდენიმე წერტილი. დედას კი ფრჩხილები ზოგიერთ თითზე მთლად მოფენილი ჰქონდა ყვითელი გამონაყარით.

სიცივემ მთელი ტანი დამისუსხა; ჩემი სქესის მოკრძალებული ნიშანი აიზღარბა და

მკვრივ მტევნად იქცა. ყველაფერი, რაც ჯანმრთელი ცხოველისა იყო ჩემში, საკუთარი თავისადმი რწმენას მიძლიერებდა. მომწონდა, რომ, როგორც იქნა, ბალნით ვიმოსებოდი. მუქ-წითური, ბუჩქის პირობაზე მეტისმეტად მეჩხერი, ზამბარებივით დრეკადი თმის ბეწვები მოყვითალო-ლიმონისფერ სიცივეში დახუჭუჭებულიყო. ვიდრე ეს ბალანი წამომეზრდებოდა, გულს ჯავრი მიღრღნიდა: მუდამ უმწეოდ ვგრძნობდი თავს გასახდელში: როცა აჩქარებით ვიცვამდი, რათა ჩემი გამონაყარი დამემალა, ვხედავდი, ჩემი თანაკლასელები უკვე უხვბალნიანი საჭურველით შემოსილიყვნენ.

სიცივისაგან კანი ამებურძგლა, მკლავები მაგრად დავისრისე, და მერე, განცხრომით, საკუთარი სიმდიდრის გადარჩევით გართული ვაჭარივით, გადავუსვი მუცელს ხელისგული. ჩემი სანუკვარი საიდუმლო და უღრმესი სირცხვილი ის იყო, რომ მსიამოვნებდა ფსორიაზის ნიშნების საკუთარი ხელით შეგრძნება: ნაზ, ამოზნექილ ბორცვებს შორის გლუვი, მოვერცხლისფრო შუალედები, ვერცხლის თანავარსკვლავედები, მთელ ჩემს სხეულზე მოძრაობდა და განსვენების ცოცხალ რიტმში მიმოფანტულიყო. სულში სიამე სუფევდა. ამას მხოლოდ ის გამიგებს და

შემინდობს, ვისაც თვითონ გამოუცდია, რა ნეტარებაა - ფრჩხილი მოსდო მთელ შრეს და ამოიჩიჩქნო.

შპალერიდან მუქი ფერის რგოლები მხედავდნენ მხოლოდ. კარადასთან მივედი და ისეთი ტრუსები მოვძებნე, რომლებშიც რეზინი ჯერ კიდევ ვარგოდა. ფლანელის პერანგი წინაუკმოდ ჩავიცვი.

- თქვენ კიდევ მოესწრებით ჩემს დამარხვას, მამილო, - ხმამაღლა ამბობდა მამა ქვევით, - სიკვდილი მიზის ნაწლავებში. ამ სიტყვების გაგონებაზე რაღაც საზიზღარი და ლიპი ისევ შეინძრა ჩემში.

- პიტერს არ სძინავს, ჯორჯ, - უთხრა დედამ, - იქნებ შეწყვიტო ეს კომედია. ხმაზე შევატყვე, რომ დედა შორს იდგა კიბიდან.

- რაო? გგონია, ბიჭს ეწყინება?

მამას სწორედ შობის წინ შეუსრულდა ორმოცდაათი; ის კი ერთთავად გაიძახოდა, ორმოცდაათ წლამდე ვერ მივატანო. ახლა, რაკი ამ მიჯნას გადასცილდა, ენა აიშვა - მათემატიკურ ფაქტს თუ ვირწმუნებდით, ის უკვე მიცვალებულთა შორის ირიცხებოდა და ყველაფრის თქმა შეეძლო, რაც კი პირზე მოადგებოდა. ზოგჯერ ისეთი შემაძრწუნებელი გულგრილობით ლაპარაკობდა უცნაურ და საშინელ ამბებზე, რომ პირდაპირ გულზე მხეთქავდა.

კარადის წინ ვიდექი და ვყოყმანობდი. რა ვიცოდი მაშინ, რომ კვლავ არცთუ მალე მომიწევდა ტანსაცმლის გამოცვლა. თითქოს მძიმე განსაცდელის წინათგრძნობას მოვედუნებინე. სიზანტისაგან ცხვირი შიგნიდან მეფხანებოდა და დაცემინება მწადდა. მუცლის ქვედა ნაწილში საამო ტკივილი მივლიდა. საკიდრიდან ნაცრისფერი ფლანელის შარვალი ჩამოვიღე, თუმცა ცუდად იყო დაუთოებული. შარვალი სამი მქონდა: ყავისფერი გასაწმენდადაა გაბარებული, ლურჯის ტარება მრცხვენოდა, რადგან ზედ შესაბნევთან ღია ფერის ლაქა დამჩნეოდა. ვერ გამეგო, საიდან გაჩნდა ეს ლაქა. დაუმსახურებულ წყენას გულში ვიკლავდი, როცა წმენდიდან შარვალს ზედდაკრული დაბეჭდილი იარლიყით მიბრუნებდნენ: „ამოუყვანელ ლაქებზე სახელოსნო პასუხს არ აგებს“.

პერანგი წითელი შევარჩიე. ამ პერანგს იშვიათად ვატარებდი, რადგან ხასხასა, წითელ მხრებზე განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ქერტლივით თეთრი მტვერი, თავიდან რომ მცვიოდა. მინდოდა ყველასთვის მეთქვა, რომ ეს ქერტლი არ იყო, თითქოს ამას ჩემი გამართლება შეეძლო. არაფერია. საჭიროა მახსოვდეს მხოლოდ, რომ თავი არ უნდა მოვიქექო. კეთილშობილმა სწრაფვამ გაიმარჯვა. ამ პირქუშ დღეს ჩემს თანაკლასელებს მეწამულ ძღვენს მივგვრი, უზარმაზარ ნაღვერდალს, ორი ჯიბით შემკობილ სითბოს სიმბოლოს. შალის სახელოებმა მადლიერად გაისრიალეს ჩემს მკლავებზე. პერანგი რვა დოლარი ღირდა და დედას უკვირდა, რომ მაინცდამაინც არ მიყვარდა მისი ტარება. დედას იშვიათად აგონდებოდა ჩემი „ნაკლი“, მაგრამ როცა კი გაახსენდებოდა, ისე ახლოს მიჰქონდა გულთან, თითქოს ეს მისი საკუთარი ვარამი ყოფილიყო. თვითონ მარტო ფრჩხილებსა და თმაზე ეტყობოდა ფსორიაზის ნიშნები. ჩემი მდგომარეობა ბევრად უარესი იყო, თუმცა დედისა არ მშურდა, თავისი გაჭირვებაც ეყოფოდა. მამა არ ცხრებოდა:

- არა, ხესი. მამაშენი ნამდვილად მოესწრება ჩემს დამარხვას. კაცი წმინდანივით ცხოვრობდა. მამილო კრამერმა დაიმსახურა უკვდავება.

დედამ რა უპასუხა, აღარ მომისმენია. ვიცოდი, როგორც მიიღებდა დედა ამ ნათქვამს. მას სულ ეჩვენებოდა, რომ მამა ესაყვედურებოდა, - მამილო კრამერი სიკვდილს დაავიწყდა და ამდენი წელია ჩვენს კისერზე ზისო. დედა დარწმუნებული იყო, რომ მამაჩემი განზრახ ცდილობდა მოხუცი საფლავში ჩაეყვანა. ნეტავ მართა ასე თუ იყო? დედაჩემის მოსაზრებებს ბევრი რამ ადასტურებდა, მაგრამ მე ეს არასდროს მჯეროდა. ყველაფერი მეტისმეტად მარტივი და საზარელი ჩანდა.

ქვევით ბაკანთან ხმაური გაისმა, - მივხვდი, რომ დედამ არ უპასუხა და ზურგი შეაქცია - ალბათ აღშფოთებისაგან კისერი წითელმა ლაქებმა დაუფარა, ნესტოები გაუფითრდა და უცახცახებს. ჩემს ქვევით მოტორტმანე გრძნობათა ზვირთებზე ვირწეოდი. როცა საწოლის კიდეზე ჩამოვჯექ და წინდების ჩაცმას შევუდექი, ხის ძველი იატაკი ჩემს ფეხქვეშ იბურცებოდა. ბაბუამ თქვა:

- ვინ უწყის, ღმერთი როდის გვიხმობს თავისთან. ამქვეყნად კაცმა არ იცის, ცაში ვინ სჭირიათ.

- მე კი ნამდვილად ვიცი, რომ იქ არავის ვჭირდები, - მიუგო მამამ - რაში ეპრიანება ღმერთს ჩემი უშნო სიფათის ყურება!

- მან იცის, როგორ გვჭირდები, ჯორჯ.

- სულაც არ გჭირდებით თქვენ მე, ხესი. უკეთესად იქნებით, როცა სანაგვეზე მისვრიან. მამაჩემი ორმოცდაცხრისა მოკვდა და ამაზე კარგი ჩემთვის არაფერი გაუკეთებია...

- მამაშენმა ხელი ჩაიქნია ცხოვრებაზე, - მიუგო დედამ, - შენ კი რა გჭირს სამაგისო? ოქროსავით ბიჭი გყავს, მშვენიერი ფერმა, მოსიყვარულე ცოლი...

- ჩემი მოხუცი რომ დავმარხეთ, - განაგრძო მამამ, - დედაჩემმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. ეს უბედნიერესი წლები იყო მის ცხოვრებაში. ის არაჩვეულებრივი ქალი იყო, მამილო.

- სამწუხაროა, - თქვა დედამ, - რომ კაცებს საკუთარი დედების ცოლად შერთვა არ შეუძლიათ.

- ჯერ გაიგე, რას გეუბნები, ხესი. დედაჩემმა ჯოჯოხეთად აქცია მამაჩემის ცხოვრება. პირდაპირ ცოცხლად შეჭამა კაცი.

ცალი წინდა დახეული გამოდგა და ფეხსაცმელში ღრმად ჩავკეცე. ორშაბათი იყო და ყუთში მხოლოდ დახეული წინდები ეყარა. ერთი წყვილი ინგლისური შალის წინდაც იდო, მამიდა ალმამ საშობაოდ რომ გამომიგზავნა ტროიდან, ნიუიორკის შტატიდან. მამიდა ალმა იქ უნივერმაღში, საბავშვო ტანსაცმლის განყოფილებაში

მუშაობს. წინდები ძვირფასი იყო, მაგრამ საშინლად სქელი. როცა ჩავიცვი, მომეჩვენა, თითქოს ფეხის ფრჩხილები ხორცში შემესო და მაშინვე გავიძრე. მუდამ ვიწრო წაღებს ვყიდულობდი, 10 ½ ზომას, ნაცვლად 11-ისა, რომელიც, ალბათ, კარგად მომერგებოდა. დიდი ფეხები არ მომწონდა; მინდოდა მოცეკვავის კოხტა, მსუბუქი ჩლიქები მქონოდა.

ჩემო ოთახიდან ცეკვა-ცეკვით მშობლების საძილე ოთახში გავედი. იქ საწოლებზე გროვად შეექუჩებინათ თეთრეული და ორ ადგილას ჩაზნექილი ლეიბი მოჩანდა. დაბრეცილ კომოდზე ყველა ფერისა და ზომის პლასტმასის სავარცხლები ეყარა - მამამ მოიტანა ისინი სკოლის მოძეული ნივთების მაგიდიდან. ზოგჯერ ძალიან ღრმად

შეიჭრებოდა ხოლმე ოჯახის მარჩენალის როლში და შინ ათასგვარ უსარგებლო წვრილმანს ეზიდებოდა.

მობათქაშებულ გარეთა კედელსა და ხის ძგიდეს შორის ფრიალო კიბე იყო ჩაკუჭული, ქვედა საფეხურები ვიწრო, მოფამფალებულ სოლებად ჩაგრეხილიყვნენ ერთმანეთში. მოაჯირი იყო საჭირო. ბაბუას თვალს აკლდა და მამას ეშინოდა - ოდესმე აუცილებლად გადავარდება ამ კიბიდანო; სულ ფიცულობდა, მოაჯირს უსათუოდ გავაკეთებო. იყიდა კიდეც მოაჯირი ერთ დოლარად ოლტონში, უტილის საწყობში, მაგრამ ის მივიწყებული ეგდო სარდაფში. მამაჩემის ყველა გეგმას, რომელსაც ფერმასთან რაიმე საერთო ჰქონდა, მუდამ ეს ბედი ეწეოდა ხოლმე. ფრედ ასტერივით, რიტმული ცეკვით დავეშვი კიბეზე, თან კედლის ბათქაშს ვუსვამდი ხელს. გლუვი კედელი ოდნავ გამობერილი იყო ვეება, უტყვი ცხოველის ფაშვივით, და მასში ეზოდან შემოსული სიცივე ატანდა. გოლიათ ქვის მთლელებს რიყის ქვით აეგოთ ეს სახლი საუკუნის წინ.

- კარი გაიხურე! - მომაძახა დედამ.

ქვედა სართულის სითბოს ვუფრთხილდებოდით. ახლაც თვალწინ მიდგას ყველაფერი.

ქვევით ორი ოთახი გვქონდა, სამზარეულო და სასადილო. ორივე ოთახის კარი გვერდიგვერდ გასდევდა ერთმანეთს. სამზარეულოში იატაკი ფიჭვის ძველი, ფართო ფიცრისა იყო, ახალთახალი გარანდული და გასანთლული. კიბესთან იატაკში ღუმელის სასულე იყო დატანებული და სითბო მუხლებში მეცა. იატაკზე ეგდო ოლტონის გაზეთი „სანი“. მისი ერთი კუთხე ჰაერის თბილ ნაკადს აეტაცებინა და მუდარით ირხეოდა, თითქოს ყველას შესთხოვდა - წამიკითხეთო. ჩვენი სახლი გაჭედილი იყო ჟურნალ-გაზეთებით; ფანჯრის რაფაზე იყო დახვავებული და დივანზეც აღარ ეტეოდა. მამაჩემს ყოველდღე მთელი დასტა

ჟურნალ-გაზეთები მოჰქონდა. ბოისკაუტები აგროვებდნენ ხოლმე, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენები ამ მაკულატურად იქ არ გადასცემდნენ, სადაც საჭიროა. ეს ყველაფერი ჩვენთან სახლში ეყარა და წამკითხველს ელოდა. საღამოობით თუ მამა შინ იჯდა და უსაქმურობისაგან ადგილს ვერ პოულობდა, დარდიან გულზე გადაქექავდა ხოლმე ჟურნალების გროვას. მამა ძალიან ჩქარა კითხულობდა და გვარწმუნებდა - ვერც კი ვიგებ რას ვკითხულობ, თავში არაფერი მრჩებაო.

- დამენანა შენი გაღვიძება, პიტერ, - გამომძახა მამამ. - შენი ხნის ბიჭებისთვის ძილი მთავარია.

მამას ვერ ვხედავდი; ის სასადილო ოთახში იჯდა. პირველ კარში თვალი მოვკარი, რომ ბუხარში შეშის სამი ალუბლისფერი ნაპობი იწვოდა, თუმცა სარდაფდში დადგმული ახალი ქვაბი კარგად ათბობდა. სამზარეულოში, ორ კარს შუა, ვიწრო გასასვლელში, ჩემი ნახატი ეკიდა - ჩემი სახლის უკანა ეზო ოლინჯერში. დედა მხრით ჰფარავდა მას. აქ, ფერმაში, დედას მამაკაცის უხეში, ნაქსოვი სვიტერი ეცვა, თუმცა ახალგაზრდობაში, და მერეც, ოლინჯერში, როცა ის უფრო გამხდარი და ნაზი იყო, და როცა პირველად შევიცანი, როგორც დედაჩემი, მას „ჩამცმელი“ ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. დედამ ჩემი თეფშის გვერდით ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქა დადგა და შუშის წკრიალი უსიტყვო საყვედურივით ჩამწვდა ყურში. დედა მაგიდასა და კედელს შორის გაჩხერილიყო და გზას მიღობავდა. ფეხები დავაბაკუნე. ის გზიდან ჩამომეცალა. ჩავუარე მას და მეორე კარს, რომელშიც ბაბუას მოვკარი თვალი, ჟურნალების გროვის გვერდით დივანის ზურგს მიყრდნობოდა. თავით მკერდს დაბჯენოდა, თითქოს სძინავს ან ლოცულობსო. მგრძნობიარე თითებიანი, დანაოჭებული ხელები ლამაზად დაეწყო მუცელზე რბილი, ნაცრისფერი სვიტერის ზემოდან. ჩავუარე მაღალ ბუხარს. ბუხარზე ორი საათი იყო და ორივე სხვადასხვა დროს უჩვენებდა - 7.30 და 7.23. ის საათი, რომელიც ჩქარობდა, ელექტრული, წითელი პლასტმასისა, მამამ ჩამოფასებული

საქონლის მაღაზიაში იყიდა. მეორე, მუქი ფერის, გასაღებით მოსამართი, მოჩუქურთმებული ხის საათი მემკვიდრეობით გადმოგვეცა პაპაჩემის მამისაგან, რომელიც ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე გარდაცვლილიყო. ძველი საათი ბუხრის თავზე იდო. ელექტრული კი ქვევით, ლურსმანზე ეკიდა. ახალ მაცივარს - თეთრ ლოდს ჩავუარე და გარეთ გავედი. პარმაღზე ორი კარი გვქონდა. წინკარს ცუდ ამინდში ხურავდნენ, ამ ორ კარს შუა ქვის ფართო მოედანი იყო. სწორედ მოედანზე გასვლისას შემომესმა მამაჩემის სიტყვები:

- ღმერთმანი, მამილო, ბავშვობაში წესიერი ძილი არ მღირსებია, ამიტომაცაა, ახლა ასე რომ ვიტანჯები.

ცემენტის პარმაღთან საქაჩავი იდგა. ელექტრონის შუქი კი გვქონდა, მაგრამ სახლში წყალი ჯერ არ იყო გაყვანილი. საქაჩავის ირგვლივ მიწა ზაფხულობითაც კი არ შრებოდა, ახლა კი ერთიანად გაყინულიყო. ბალახზე გადაკრული ყინულის თხელი ფენა ტკრციალით იმსხვრეოდა ჩემს ფეხქვეშ. ფერდობზე, რომელზედაც ხილის ბაღი იყო გაშენებული, ჭირხლი თეთრ, მრუდე ზოლებად დაჰკვდომოდა მაღალ ბალახს.

თითქოს ნისლმა გადაუარა და ზედ გახევდაო. სახლის წინ ბუჩქს ამოვეფარე. დედა ხშირად უჩიოდა სიმყრალეს: სოფელი მისთვის სისპეტაკის განსახიერება იყო, მე ეს სასაცილოდაც არ მყოფნიდა. ჩემი აზრით, დედამიწა სიდამპლისა და უწმინდურებისაგან შედგებოდა.

უცნაური რამ მომეჩვენა: თითქოს ჩემი შარდის შხეფები ჰაერში გაიყინა და მიწას მივეჯაჭვე. ნამდვილად კი გაძარცული, ქვედა საცვლის ამარა დარჩენილი ბუჩქის ძირში ერთმანეთში ჩახლართული აშმორებული ფოთლები გავწუწე და მათ ოხშივარი ასდიოდა. ლედი ბუნაგიდან გამოძვრა, ჩალა გაქექა, შავი დინგი მავთულის ღობეში გამოჰყო და მომაშტერდა.

- გაგიმარჯოს, - თავაზიანად მივესალმე.

როცა ღობეს მივუახლოვდი, ლედი შეხტა. გაყინულ მავთულის ღობეში ხელი გავყავი და ბეწვზე მივუალერსე, ის კი ერთთავად ცქმუტავდა და კვლავ სურდა ჰაერში შენავარდება. ყინვისაგან ლედის ბეწვი საოცრად ფუნჩულა გამხდარიყო და ზედ ჩალა ბღუჯა-ბღუჯა მიჰკვროდა: კისერი აბურძგვნოდა, თავი კი ისე ჰქონდა გასლექილი,

თითქოს სანთლისაგან იყო გამოკვეთილი. ტყავქვეშ მისი თხელი კუნთები და სათუთი ძვლები მომხვდა ხელში. ისე თავგამოდებით ატრიალებდა თავის გრძელ დრუნჩს, ისე ხარბად მელაციცებოდა, რომ შემეშინდა, თვალში თითი არ ვატაკო-მეთქი. მართლაც უმწეო თვალები ჰქონდა - ორი ჩამუქებული, გამჭვირვალე ფაფის მსგავსი წერტილი.

- როგორა ხარ? - შევეკითხე. - კარგად გეძინა? ბაჭიები თუ ნახე სიზმარში? გესმის - ბაჭიები!

მიხაროდა, ჩემი ხმის გაგონებაზე ასე რომ ტოკავდა, კუდს აქიცინებდა და წკმუტუნებდა.

სანამ ჩაცუცქული ვიჯექი, სიცივე პერანგქვეშ შემისრიალდა და ზურგზე გადამიარა. წამოვდექი. მავთულის უჯრედები, იქ სადაც მე ვეხებოდი, გაშავებულიყო. ჩემს სითბოს დაედნო ყინულის თათარა. ლედი ხელიდან დამისხლტა და ზამბარასავით შეხტა ჰაერში. მიწაზე დაშვებისას თავის ჯამს

დაჰკრა თათი და, მეგონა, წყალი გადაიქცეოდა, მაგრამ ჯამში ყინული იდო. სანამ ჩემი ტვინი თვალით დანახულს ჩასწვდებოდა, წამით თავში გამიელვა, სასწაულის მომსწრე შევიქენ-მეთქი.

უძრავი და უქარო ჰაერი კანს მწვავდა და ავჩქარდი. კბილის ჯაგრისი გაყინულიყო და პარმაღთან ბოძზე მიხრახნილ ალუმინის თაროს შეზრდოდა. ჯაგრისი თაროს ავაგლიჯე და ოთხჯერ შევარყიე საქაჩავი, მაგრამ წყალი არ იყო. მეხუთეჯერ, ყინვით გათანგული მიწის სიღრმიდან წყალმა ორთქლის ბოლქვები ამოუშვა და ღარში გაჩენილი შავ-წითელი ყინულის ნაოჭებზე გადმოდიოდა. ჟანგიანმა ნაკადმა ჯაგრისს ყინულის ქერქი შემოაცალა, მაგრამ, როცა პირში ჩავიდე, ჯოხზე ჩამოცმულ უგემურ შაქარყინულს ჰგავდა. დაპლომბილი საღეჭი კბილები ამტკივდა. ჯაგრისზე შერჩენილი პასტა გადნა და პირში პიტნის გემო დამიტოვა. ლედი შმაგი აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს ამ სურათს, მოუსვენრად წრიალებდა და ცახცახებდა, ხოლო როცა გამოვაფურთხე, ყეფას მოჰყვა, თითქოს ტაშს მიკრავსო, თან პირიდან ორთქლის ბოლქვებს უშვებდა. ჯაგრისი ადგილზე დავდე, ლედის თავი დავუკარი და კმაყოფილმა შევნიშნე, რომ ტაში მაშინაც არ შეწყდა, როცა ჩვენი ორმაგი კარის ფარდას მივეფარე.

საათები ახლა 7.35 და 7. 28-ს უჩვენებდნენ. სამზარეულოს თაფლისფერ კედლებს შორის გაბნეულმა თბილი ჰაერის ნაკადმა მომადუნა და სიზანტემ შემიპყრო, თუმცა საათები მაჩქარებდნენ.

- რა აყეფებს ამ ძაღლს? - მკითხა დედამ.

- ლამის სიცივით სული ამოხდეს, - მივუგე, - ეზოში საყინულეა. რატომ სახლში არ უშვებთ?
- ძაღლისთვის მაგაზე უარესი არაფერია, პიტერ, - თქვა მამამ გვერდით ოთახში. - მიეჩვევა სახლში ყოფნას. ფილტვების ანთება დაემართება და მოკვდება იმ ძაღლივით, მაგაზე ადრე რომ გვყავდა. ცხოველი ბუნებას არ უნდა მოსწყვიტო, მისმინე ხესი, რომელი საათია?

- რომელ საათზე?

- ჩემსაზე.

- რვის ნახევარზე ცოტა მეტია. მეორეზე კი ნახევარიც არ არის.

- დროა, შვილო, გავუდგეთ გზას.

- ჭამე, პიტერ. - მითხრა დედამ. მერე მამას მიუბრუნდა:

- ეს შენი მუქთად ნაყიდი საათი წინ გარბის, ჯორჯ. პაპას საათით ხუთი წუთი დრო კიდევ გაქვს.

- მუქთად რომ არის ნაყიდი, ეგ არაფერს ნიშნავს. ასეთი საათი მაღაზიაში ცამეტი დოლარი ღირს, ხესი. „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმაა. თუ მაგ საათზე რვას ოცი აკლია, დამგვიანებია და ეს არის. ჩქარა დალიე ყავა, შვილო, დრო აღარ ითმენს.

- რაღაც არ გეტყობა, რომ მუცელში ობობა გეჯდეს, ისეთ ამბავში ხარ. - შენიშნა დედამ და მომიბრუნდა: - პიტერ, გაიგონე, მამამ რა გითხრა?

ჩემს ნახატზე თხილნარის ქვეშ გაწოლილი, ვიწრო სოსანისფერი ჩრდილის ყურებით ვტკბებოდი. მიყვარდა ეს თხილნარი: ბავშვობაში იქ ტოტზე საქანელა ეკიდა, ნახატზე კი ტოტი ოდნავ შესამჩნევი, თითქმის შავი გამომივიდა. ვუყურებდი ამ ვიწრო, შავ ზოლს, და კვლავ განვიცდიდი ფუნჯის მოსმას და არსებობის იმ წამებს, რომელთა შეჩერებაც ასე უცნაურად შევიძელ. მთავარი, რამაც მხატვრობაში ჯერ კიდევ ხუთი წლის ყმაწვილი მიმიზიდა, სულაც ამ გაფრენილი წუთების დატყვევება იყო. ჩვენ ხომ ამ ასკში ვგრძნობთ პირველად, რომ ყველაფერი ცოცხალი, უთუოდ სახეს იცვლის,

თრთის, ხელიდან გვისხლტება, ვით ივნისის ქარიან დღეს მზის ცქრიალა და დაუდგრომელი ათინათი აგურით მოკირწყლულ ბილიკზე, ყურძნის მწვანე ტალავრის გვერდით.

- პიტერ!

დედას ისეთი ხმა ჰქონდა, აშკარა იყო, მოთმინების ძაფი გაუწყდა.

ორ ყლუპად გამოვცალე ფორთოხლის წვენი და მისი გული რომ მომელბო, ვუთხარი:

- საწყალ ძაღლს სასმელი წყალიც არა აქვს, ჯამში ყინულს ლოკავს. მეორე ოთხში

ბაბუა შეირხა და განაცხადა:

- მახსოვს, ჯეკ ბიმი იტყოდა ხოლმე, - წინათ ის ბერტა ფერნესის სადგურის უფროსად მუშაობდა, ახლა იქ სამგზავრო მატარებლები აღარ ჩერდებიან, - „დრო და ოლტონის რკინიგზა არავის უცდისო“.

- მითხარით, მამილო, - თქვა მამაჩემმა, - ამაზე თუ გიფიქრიათ, დროს ვიღა ელოდება?

ამ უაზრო შეკითხვაზე ბაბუამ არაფერი უპასუხა; დედა, რომელსაც მდუღარე წყლით სავსე ქვაბი მოჰქონდა, ბაბუას გამოესარჩლა.

- ჯორჯ, -თქვა მან, - სისულელეებით სხვების გაბეზრებას გირჩევნია წადი და მანქანა დაქოქე.

- რაო? - თქვა მამამ. - მამილო ხომ არ გაგვიბრაზდა? მამილო, თქვენი წყენინება სულაც არ მინდოდა. რაც გულში მედო, ისა ვთქვი. მთელი სიცოცხლე მესმის, დრო არ იცდისო, აზრი კი ვერ გამიგია. არა, მართლა ვის რაში უნდა უცადოს? ჰკითხეთ, ვისაც გინდათ, ვერც ერთი ღვთის პირისაგან გავარდნილი ვერ გეტყვით; მაგრამ აბა თუ აღიარონ. არავინ იტყვის პატიოსნად, არ ვიციო.

- ეს ნიშნავს, - დაიწყო დედამ და შეცბა. ჩემი არ იყოს, მანაც იგრძნო, რომ მამაჩემის დაუცხრომელმა ცნობისმოყვარეობამ ანდაზას თავისი მარტივი მნიშვნელობა დაუკარგა, - ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელს ვერავინ მიაღწევს.

- არა, მისმინე, - თქვა მამამ ოდნავ აღგზნებული კილოთი, თითქოს დაქანებულ ფერდობზე ხელის მოსაჭიდებელს ეძებსო, - მე მღვდლის შვილი ვარ. ბავშვობიდან სულ ამას მინერგავდნენ და ახლაც მწამს, რომ ადამიანი ღვთიური შემოქმედების გვირგვინია, ჰოდა, ეს დრო და ჟამი რით არის ჩვენზე მეტი?

დედა სამზარეულოში შემობრუნდა, მაგიდაზე გადმოიხარა და ფინჯანში ადუღებული წყალი დამისხა. მე შეთქმულივით გავუღიმე დედას. ჩვენ ხშირად დავცინოდით მამას ზურგსუკან. მაგრამ ამჯერად არც კი შემომხედა, ჭრელი ხელჯაგით ეჭირა ქვაბი და ფრთხილად აავსო ფინჯანი ისე, რომ ერთი წვეთიც არ დაუღვრია. მაქსუელის ყავის ფხვნილი პაწია კუნძულივით ამოტივტივდა წყლის ზედაპირზე, მერე გადნა და წყალი გამუქდა. დედამ ფინჯანს კოვზით მოურია და ქაფი სპირალივით აიკლაკნა ყავისფერი სითხის თავზე.

- ჭამე ფაფა, პიტერ, - მითხრა დედამ.

- არ შევჭამ, - მივუგე. - არ მინდა. მუცელიმტკივა.

დედაზე შურს ვიძიებდი, რადგან არაფრად ჩააგდო ჩემი ფარული გამოწვევა. გული მწყდებოდა, რომ მამა, ეს უგერგილო, სევდიანი კაცი, რომელსაც დიდი ხანია ზედმეტად ვთვლიდი ჩვენს ოჯახში, ამ დილით მთლიანად დაპატრონებოდა დედაჩემის ყურადღებას. მამა კი ამბობდა:

- ღმერთმანი, მამილო, სულ არ მინდოდა თქვენი წყენინება, მაგრამ ეს გაცვეთილი სიტყვები ისე მიშლის ხოლმე ნერვებს, ლამის გავცოფდე. მერე რა აღიარებული სიბრძნეა! მოდი და ნუ გაგიჟდები. ნეტავი გამაგებინა, ვინ ეშმაკმა მოჩმახა, ან ის ჩვენი დარბაისელი გლეხი წინაპრები მაინც მაჩვენა, რას იტყოდნენ ერთი!..

- ჯორჯ, სულაც შენ არ ახსენე პირველად? მამამ საუბარი გააწყვეტინა. - შენ ის

  მითხარი, რომელი საათია?

რძე მეტისმეტად ცივი იყო, ყავა - მეტისმეტად ცხელი. როგორც კი მოვხვრიპე, სასა

მთლად დამეთუთქა, ამის შემდეგ სიმინდის ბურბუშელისაგან დამზადებული ცხრაწვენა გულისამრევი მეჩვენა. მუცელიც რომ მართლა ამტკივდა?.. ტყუილში დამემოწმა, მუცლის გვრემა დამეწყო. წამების სრბოლა მივლიდა მუცელში.

ახლა მეც მამასავით უხილავი მაყურებლის წინაშე ვთამაშობდი, ოღონდ მისი მაყურებელი შორს იყო და ამის გამო მამა იძულებული იყო ეყვირა. ჩემი კი აქვე იყო, წინა რიგებში. მარცხნიდან სცენაზე შემოდის ბიჭუნა, სასაცილოდ წაუვლია ხელი მუცელზე. სასადილო ოთახში გავედი, ქურთუკის და წინდების გამოსატანად. ჩემი განუყრელი, გაფშეკილი ქურთუკი კარს უკან ეკიდა. მამა სარწეველაში იჯდა, ბუხარში აბრიალებული გიზგიზა ცეცხლისათვის ზურგი შეექცია. მას ძველი, გაცვეთილი, კუბოკრული პალტო ეცვა, რომელზეც განსხვავებული ფერისა და ზომის ღილები ეკეთა. ეს პალტო მამამ საქველმოქმედო ბაზრობიდან მოათრია, თუმცა მისთვის პატარა იყო. მუხლებამდე ძლივს წვდებოდა. თავზე საშინელი, ლურჯი შალის ნაქსოვი ქუდი ეხურა, რომელიც სკოლაში იპოვა, უტილის ყუთში. როცა ამ ქუდს ყურებზე ჩამოიფხატავდა ხოლმე, კარიკატურული ჟურნალიდან გადმოსულ დოყლაპიას ჰგავდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ამ ქუდის ტარებას შეეჩვია და ვერ მივმხვდარიყავი,

რაში სჭირდებოდა. ჯერ ისევ ხშირი თმა ჰქონდა, ოდნავ შევერცხლილი. გამიგე, ჩემთვის ხომ ის არასდროს არ იცვლებოდა. მართლაცდა, თავისი ასაკისათვის ახლგაზრდად გამოიყურებოდა. როცა ჩემკენ შემობრუნდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დროზე ადრე დაკაცებული ქუჩის ონავარი ბიჭუნა ყოფილიყო. პატარა, მიყრუებულ ქალაქში, პასეიკში იზრდებოდა. მისი სახე - თითოეული ამონაზნექი, უფერული, ჩვილი ნაოჭები ჩემთვის ნაზიც იყო და მკაცრიც, ბრძნულიც და გულუბრყვილოც. აქამდე ქვემოდან ვუყურებდი. ბავშვობაში კი ასე მეგონა, მამა ცას წვდებოდა თავით. როცა აგურით მოკირწყლულ ბილიკზე ჩვენი სახლის ეზოში, ოლინჯერში, მამაჩემის ფერხთით ვიდექი, მეჩვენებოდა, რომ მისი თავი წაბლის ხეების კენწეროებს უსწორდებოდა და დარწმუნებული ვიყავ, სანამ ის მყავდა გვერდით, ცუდი არაფერი შემემთხვეოდა.

- შენი სახელმძღვანელოები ფანჯრის რაფაზეა, - მითხრა მამამ. - ისაუზმე?

- თვითონ არ მაჩქარებდი, მალე მალეო, - შევუღრინე მე.

სახელმძღვანელოებს თავი მოვუყარე. მოფამფალებული ლურჯყდიანი, გაცვეთილი

ლათინური. პეწიანი, წითელი ახალთახალი ალგებრა. რომ ვფურცლავდი, ტკიცინა ქაღალდს ნედლი, უბიწო სუნი ასდიოდა; დაბოლოს დაძენძილი, ნაცრისფერყდიანი, ფუნჩულა ბუნებისმეტყველება - ამ საგანს მამა გვასწავლიდა.

ყდაზე სამკუთხედად იყო ამოტვიფრული დინოზავრი ატომი, რომელიც ვარსკვლავს ჰგავდა და მიკროსკოპი. წიგნის ყუასა და შემონაჭერზე ლურჯი მელნით დიდი ასოებით ეწერა ფიდო. ეს უშველებელი წარწერა თანაგრძნობას და სიბრალულს იწვევდა - თითქოს ძველი მიტოვებული კერპი ყოფილიყოს. იმ დროს ფიდო ჰორნბეკერი ცნობილი ფეხბურთელი იყო. ვერ გავარკვიე, იმ გოგონებიდან, რომელთა გვარებიც ყდის შიდა მხარეზე ეწერა, რომელი იყო ფიდოზე შეყვარებული. ხუთი წლის განმავლობაში მე პირველი ბიჭი ვიყავ, ვისაც ეს წიგნი ერგო. ჩემი გვარის გარდა, იქ კიდევ ოთხი იყო ჩამოთვლილი:

მერი ჰეფნერი ივლინ

მეიზი, „ნამცეცა“ რეა

ფურსტვეიბლერი

ფილის ლ. გერჰარტი.

ჩემს წარმოდგენაში ყველა ეს გვარი ერთ ფერიად იქცა, რომელსაც ბავშვური, ჩამოუყალიბებელი ხელი ჰქონდა. ვინ იცის, იქნებ ფიდო ყველას უყვარდა?

- თუ გინდა დიდხანს იცოცხლო, ბევრი უნდა ჭამო, - წარმოთქვა ბაბუამ.

- ეს ბავშვი მე დამემსგავსა, მამილო, - უთხრა მამამ. - ერთხელ არ მახსოვს, წესიერი ჭამა დამცლოდეს. ერთთავად ეს მესმოდა; „აბა, მალე აიბარგე მაგიდიდან!“ საშინელი რამ არის სიღარიბე.

ბაბუა აღელვებული კუმშავდა და შლიდა მუშტებს. კნოპებიან, მაღალყელიან წაღებში გამოწყობილ ფეხებს ნერვიულად აბაკუნებდა. ბაბუაზე უარეს მოქიშპეს მამაჩემი ვერსად იპოვიდა, სხვა მოხუცებივით ისიც დარწმუნებული იყო, რომ თუკი გაუგონებდნენ, ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა და ყველა საქმის მოგვარება შეეძლო.

- დოკ აპლტონთან წასვლაა საჭირო, - თქვა მან და ისე ფრთხილად ჩაახველა, თითქოს თამბაქოს გასახვევი ქაღალდივით სიფრიფანა იყო მისი ნახველი. - მამამისს კარგად ვიცნობდი. აპლტონები ყველაზე ადრე დასახლდნენ ამ ოლქში.

ბაბუა იჯდა, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის თეთრ სინათლეში გახვეული და მრგვალთავიანი მამაჩემის გვერდით, რომელიც მბჟუტავი ბუხრის წინ თალხ ზვინად აღმართულიყო, ზებუნებრივ არსებად გამოიყურებოდა. მამა წამოდგა.

როცა იქ მივდივარ, ეგ მკვეხარა მხოლოდ თავისთავზე ყბედობს.

სამზარეულოში ალიაქოთი ატყდა. კარმა გაიჭრიალა და ჯახუნით მიიხურა, ხის იატაკზე ბრჭყალების მოუსვენარი ფხაკუნი გაისმა და ლედი სასადილო ოთახში

შემოვარდა. მერე ბედნიერებისაგან რეტდასხმული ხალიჩის კიდესთან შემცბარი დააცხრა იატაკს, თითქოს ადგილზე ცურავსო, თათებით ბღაჯნიდა გახუნებულ, წითელ ხალიჩას. ხალიჩა მთლად გახეხილი იყო, მაგრამ კიდევ შეიძლებოდა იქიდან ბღუჯა-ბღუჯა ლილისფერი ღინღლის ამობდღვნა. ბებია, როცა ცოცხალი იყო, ამ ლილისფერ ფთილებს „თაგვებს“ ეწახდა. მაშინ ეს ხალიჩა ჩვენს ძველ სახლში გვეგო, ოლინჯერში. ლედის ცა გაეხსნა, რაკი ოთხში შემოუშვეს, სასიხარულო ცნობასავით შემოიჭრა, აღტაცების ფაფუკ გრიგალად დატრიალდა. იმ სკუნსის სუნი ასდიოდა, წინა

კვირას რომ შესანსლა. თავის ღმერთს დაეძებდა და ჯერ დააპირა მამას მივარდნოდა, მერე ჩემს ფეხრთით დაეხვია, დივანზე ისკუპა და მადლიერების გრძნობამოჭარბებულმა ბაბუას სახე აულოკა.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბაბუამ საკმაოდ ბევრი იწვნია ძაღლებისაგან და მათი შიში ჰქონდა.

- გასწი აქედან, გასწი, ძაღლო! - გაჯავრებით შეჰყვირა მან, სახე მოარიდა და ლამაზი, დაძარღვული ხელები ლედის თეთრ მკერდზე ატაკა. ბაბუას ხახიდან ამოსულმა ხმამ შემაკრთო. მომეჩვენა, რომ ეს ხმა ბნელი, საზარელი, იდუმალებით მოცული ჯურღმულიდან ამოდიოდა.

აწრიალებული ძაღლი დრუნჩით ბაბუას ყურს ელამუნებოდა და კუდს ისე გამეტებით იქნევდა, რომ ჟურნალები იატაკზე გადმოცვივდა. ყველაფერი ამოძრავდა, მამა ფეხზე წამოვარდა საშველად, მაგრამ სანამ ის დივანს მიაღწევდა, ბაბუაც წამოდგა. სამივენი, ძაღლის თანხლებით, რომელიც ფეხებში გვებლანდებოდა, სამზარეულოში შევვარდით.

დედამ, ალბათ გადაწყვიტა, ჩემზე დამსჯელი რაზმი მოიწევსო და შეგვძახა:

- ვეღარ ავიტანე მაგისი საცოდავი წკმუტუნი და შემოვუშვი!

დედა ლამის ქვითინებდა. სახტად დავრჩი. თავი მოვიკატუნე, ძაღლი მებრალება-მეთქი. მისი ყეფაც კი აღარ მესმოდა. დედაჩემის კისერი ერთიანად დაეფარა წითელ ლაქებს და მივხვდი, რომ ჯავრობდა, უცებ გარეთ, სუფთა ჰაერზე გასვლა მომინდა. ჩვენს შეხლა-შემოხლაში დედამ ისეთი დამაბრმავებელი ვარვარება შემოიტანა, რომ ყველაფერი ცხელ, წებოვან ბურუსში გაეხვია. საერთოდ, კაცი ვერ გაიგებდა, დედას რა სწყინდა; ამინდივით იცვლიდა ხასიათს. ნუთუ მართლა მამას და ბაბუას წაკინკლავებამ გაამწარა ასე? იქნებ, მე ვიყავი დამნაშავე, ამდენს რომ ვაყოვნებდი? სულაც არ მინდოდა მისი გაბრაზება, ჩემს გაფშეკილ ქურთუკში გამოწყობილი მაგიდას მივუჯექი და ყავა მოვხვრიპე. ყავა ჯერ ისევ ცხელი იყო. პირი დავიწვი და გემოს ვეღარ ვგრძნობდი.

- დალახვროს ეშმაკმა, - თქვა მამამ, - უკვე ათი უკლია. ახლავე თუ არ გავუდექით გზას, სამსახურიდან მომხსნიან.

- ეს შენი საათით, ჯორჯ, - თქვა დედამ. - ეტყობა ჩემზე არ ბრაზობდა, რაკი გამომესარჩლა. - ჩვენით კი ჩვიდმეტი წუთი კიდევ გვაქვს.

- თქვენი საათი სწორი არ არის, - მიუგო მამამ. - ზიმერმანი საბაბს ეძებს, რომ შარი მომდოს.

- წავიდეთ, წავიდეთ, - ვთქვი და ავდექი.

პირველი ზარი სკოლაში ცხრის ოც წუთზე ირეკებოდა. მანქანით ოლინჯერამდე ოცი წუთის სავალი იყო. თვალსა და ხელს შუა გამქრალი დრო სულ უფრო და უფრო მჭიდროდ მიჭერდა მარწუხებს. ცარიელი მუცლის კედლები თითქოს ერთმანეთს შეეზარდა.

ბაბუამ მაცივრისკენ გაიკვლია გზა და ლამაზად შეფუთული მეიერის პური გადმოიღო. ისე აშკარად ცდილობდა, ჩვენ არ დაგვენახა, რომ ძალაუნებურად მივაქციეთ ყურადღება, მერე ცელოფანის ქაღალდი გახსნა, თეთრი პური მოიჭრა, ორად მოკეცა ნაჭერი და ერთბაშად გადაუძახა პირში. ეს პირი კი არა, ნამდვილი საოცრება იყო. ისე

უსასრულოდ იწელებოდა. პური ჭაღარა ულვაშებქვეშ დაღებულ უკბილო ხახაში გაუჩინარდა. დედა ვერ უძლებდა ამ საქციელის ყურებას, რომელსაც ბაბუა მუდამ ვამპირის სიმშვიდით ასრულებდა.

- მამა, - უთხრა მან. - ნუთუ არ შეიძლება თავი შეიკავო და ამათ წასვლამდე პური არ დაჯიჯგნო.

ცხელი ყავის უკანასკნელი ყლუპი შევსვი და კარისკენ გავემართე. ყველანი ლინოლეუმის პატარა ნაგლეჯს ვტკეპნიდით კარსა და კედელს, - რომელზედაც საათი ეკიდა, - წყლის ბაკანსა და მაცივარს შორის. ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა. დედა ცდილობდა ბაბუასათვის გვერდი აექცია და ღუმელთან მისულიყო. ბაბუა მთლად მოიკუნტა, მიჯაჭვული ლანდივით აიტუზა მაცივრის კართან. მამა, ჩვენს შორის ყველაზე მაღალი, გაუნძრევლად იდგა და ჩვენს თავზემოთ უხილავ მაყურებელს მიმართავდა:

- გავსწიოთ სასაკლაოზე! წყეული ბავშვები, ნაწლავებში მიზის მათი სიძულვილი.

- როდის მოეღება ბოლო ამის ქაქანს! ასე მგონია, ვირთხები მიღრღნიან ტვინს, - თქვა გაანჩხლებულმა დედამ და მის შუბლზე, თმის ძირებთან, ფსორიაზის

მეწამული კვალი აენთო. როგორც იქნა, დედამ ჩემამდე მოაღწია და ცივი ორცხობილა და ბანანი მომაჩეჩა. წიგნები იღლიაში ამოვიჩარე და ჩამოვართვი.

- ჩემი საბრალო, უჭმელი ბიჭი, - თქვა დედამ. - ჩემი საუნჯე.

- წავედით სიძულვილის ფაბრიკაში! - გადმომძახა მამამ.

დედისთვის რომ მესიამოვნებინა, ცოტა კიდევ დავაყოვნე და ორცხობილა ჩავკბიჩე.

- არაფერი ისე არ მეჯავრება, - თქვა დედამ, რომელიც, ალბათ, მე მომმართავდა, მაგრამ რატომღაც ჭერს აჰყურებდა, როცა მამა დაიხარა და ტუჩებით მის ლოყას შეეხო, - ის იშვიათად კოცნიდა დედას, - როგორც სექსის მოძულე ხალხი.

მაცივართან მიჭყლეტილმა ბაბუამ ხელები მაღლა აღაპყრო და პირგამოტენილმა წაილუღლუღა:

- ღმერთო, შემიწყალე.

ბაბუა შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რათა ეს სიტყვები წარმოეთქვა, ისევე როგორც საღამო ჟამს, როცა თავის „ხის გორაკზე“ ავიდოდა, აუცილებლად ჩამოგვძახებდა: „ძილი ნებისა“. დალოცვისას ბაბუა ლამაზად აღაპყრობდა ხელებს, თან ამას ისე ჩადიოდა, თითქოს მტერს ტყვედ ნებდება და მუჭში მომწყვდეულ პატარა ანგელოზებს ათავისუფლებსო. ჩემზე კარგად არავინ იცნობდა ამ ხელებს, რადგან მე ერთადერთს მქონდა ოჯახში ახალგაზრდა, გამჭრიახი თვალი და დედას პინცეტით ბევრჯერ ამომიღია პატარა, შავი ხიწვები. სარეველას გამარგვლის შემდეგ რომ ჩარჩებოდა ხოლმე ბაბუას ხმელსა და ნაზ, დაწინწკლულ, გამჭვირვალე ხელისგულებში.

გმადლობთ, მამილო, მაგაზე უარი არ გვეთქმის, - მიუგო მამამ და კარი გამოაღო. კარმა მკვახედ, მუქარით გაიტკაცუნა. მამა არასდროს ატრიალებდა სახელურს ბოლომდე და რაზა მუდამ კარის წირთხლს ედებოდა.

- დავიღუპე, - თქვა მან, როცა თავის საათს დახედა.

სახლიდან რომ გამოვდიოდი, დედა ლოყით გამეხახუნა ლოყაზე.

- არაფერი ისე არ მეჯავრება ჩემს სახლში, - დაადევნა მან მამას, - როგორც იაფფასიანი წითელი საათები.

მამამუკვე სახლის უკან შეუხვია, მე კიპარმაღზე გამოვედი თუ არა, მოვიხედე. ნეტავ არ მომეხედა. ლუკმა პირში შემაცივდა. ეს სიტყვები რომ მიაძახა მამას, დედამ თავი ვეღარ შეიმაგრა, კედელს მიაწყდა, ფანჯრის მინის გადაღმა ეს ყველაფერი უხმაუროდ ხდებოდა, საათი კედლიდან ჩამოგლიჯა, ზეაღმართა,

თითქოს ძირს უნდა დაენარცხებინა და უცებ ბავშვივით ჩაიხუტა გულში, თან ზონარს იატაკზე მიათრევდა. ღაწვებზე ცრემლი უბრწყინავდა. მერე ჩემს მზერას შეეფეთა და თვალები უმწეოდ დაუმრგვალდა. ახალგაზრდობაში დედა ლამაზი იყო და თვალები ოდნავადაც არ დაუბერდა. ყოველდღე თავიდან ეძლეოდა გაკვირვებას, რომ ასე მძიმე ცხოვრება ხვდა წილად. ხოლო მის ზურგს უკან მამამისს მორჩილად დაეხარა თავი, თან იღეჭებოდა, კაუჩუკივით მოქნილ პირს წელავდა და თავის ადგილზე, სასადილო ოთახში მიფრატუნებდა. მინდოდა დედასთვის თვალი ჩამეკრა, გამემხნევებინა, ან სასაცილო რამე მაინც მეთქვა, მაგრამ შიშისგან სახე გამიქვავდა. მეშინოდა მისი და ამის გამო.

მაგრამ, ძვირფასო, თუმცა ჩვენ ასე ვტანჯავდით ერთმანეთს, არ იფიქრო, თითქოს ცუდად ვცხოვრობდით ერთად. ფეხქვეშ წკრიალა მეტაფორების მტკიცე ნიადაგი გვქონდა. მახსოვს, ჯერ კიდევ ოლინჯერში, სულ ბავშვი ვიყავი, როცა გავიგონე, ბებიამ სიკვდილის წინ სუსტი ხმით როგორ ჩაილაპარაკა: „ნუთუ ეშმაკუნების კერძი გავხდები?“ მერე წითელი ღვინო მოსვა და გათენების ჟამს სული დალია. ოღონდაც, ღმერთს მოძულებული როდი ვყავდით!..

მამა იმ კორდზე მიაბიჯებდა, ზუმფარას ქაღალდს რომ ჰგავდა. ფეხდაფეხ მივყვებოდი. ზაფხულში თხუნელებისაგან გათხრილი კორდი პაწია ბორცვებით იყო მოფენილი. ფარდულის კედელი - უშნოდ აწოწილი, დალაქავებული ხუთკუთხა ჩალანგარი - მზეს გაენათებინა.

- დედამ კინაღამ არ დაამსხვრია საათი, - ვუთხარი, როცა დავეწიე, მინდოდა სირცხვილში ჩამეგდო.

- რა ეშმაკი შეუჯდა დღეს? - მკითხა მამამ. - ნამდვილი ქალია დედაშენი, პიტერ. საქმოსანი რომ ვყოფილიყავ, ახალგაზრდობაში სცენაზე მოვაწყობდი, ვოდევილებში ითამაშებდა.

- მაგას ჰგონია, ბაბუას განზრახ ახელებ.

- ა? რას ამბობ? მამილო კრამერისათვის ჭკუას ვკარგავ. ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია მაგაზე უკეთესი ადამიანი. პირდაპირ ვაღმერთებ მაგ კაცს.

ლურჯი, ყინულივით ცივი ჰაერი, რომელიც ღაწვებს გვისუსხავდა, თითქოს რანდავდა სიტყვებს. ჩვენი შავი, ოცდათექვსმეტი წლის გამოშვების, ოთხკარიანი „ბიუიკი“ დაქანებულ ფერდობზე იდგა, ფარდულთან. წინათ მანქანას კოხტა, კრიალა გისოსი ამშვენებდა. მამას, რომელიც მუდამ გულგრილად ეკიდებოდა ნივთებს, რატომღაც ბავშვივით ეამაყებოდა ეს წვრილი, მოქრომვილი ზოლები. მაგრამ შარშან, შემოდგომაზე, რეი დეიფენდორფის ძველი, ქეციანი „შევროლე“ სკოლასთან გაიჩხირა და მამამ, მისთვის ჩვეული ქრისტიანული თავდადებით შესთავაზა, უკანიდან გიბიძგებო; როცა გვარიანი სიჩქარე განავითარეს, ტუტუც

დეიფენდორფს დამუხრუჭება მოეპრიანა, ჰოდა, ჩვენი მანქანის გისოსი დეიფენდორფის ბამპერს შეელეწა. ამ ამბავს არ შევსწრებივარ, მერე მიამბო დეიფენდორფმა, თან სიცილით იფხრიწებოდა. მამაჩემი კაბინიდან გადმომხტარა, ლითონის ნამსხვრევებს აგროვებდა თურმე და თან ლუღლუღებდა: „იქნებ, რამენაირად შედუღდეს, იქნებ, ჰამელმა შეადუღოსო“. დაქუცმაცებული გისოსის შედუღებას ფიქრობდა! - დეიფენდორფი ისე სასაცილოდ ყვებოდა, რომ მეც ვეღარ შევიკავე სიცილი.

ბრჭყვიალა ნატეხები ახლაც ძარაში ეყარა, ჩვენი „ბიუიკი“ კი კბილებჩამტვრეული დარჩა. მანქანა გრძელი და მძიმე იყო. ძრავა შესაკეთებელი ჰქონდა, აკუმულატორი - გამოსაცვლელი.

ჩავჯექით. მამამ შემწოვი და ანმთები ჩართო, თავი გვერდზე დახარა და ყური მიუგდო, როგორ ატრიალებდა სტარტერი გაყინულ ძრავას. წინა შუშები დაჭირხლულიყო და მანქანაში ბნელოდა. ძრავა ისე იყო გათოშილი, რომ შეუძლებელი ჩანდა მისი მკვდრეთით აღდგენა. ჩვენ სუნთქვაშეკრულნი ვისმენდით და, ალბათ, ორივემ ცხადად წარმოვიდგინეთ, იქ, უხილავი, შავი ნაპრალის სიღრმეში როგორ თახთახებს შავი ლილვი, წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ უქმი ბრუნის მეტი არა გამოსდის რა და ილაჯგაწყვეტილი ისევ ჩუმდება. ნაპერწკლის ნატამალი არ ჩანდა. თვალები დავხუჭე, და როცა ლოცვა ჩავათავე, გავიგონე, როგორ თქვა მამამ:

- ეჰ, შვილო, ცუდადაა საქმე.

მერე მანქანიდან გადმოვიდა და შეჭირხლულ მინას გამალებით ფხეკდა ფრჩხილებით, სანამ მძღოლის პატარა სამზერი არ გაათავისუფლა. მეც გადმოვედი და აქეთ-იქიდან მთელი სიმძიმით მივაწექით მანქანას. ერთი... ორი... ბოლოს, რაც ძალი და ღონე გვქონდა, მესამეჯერ შევუტიეთ.

საბურავები შრიალით მოსწყდა დამზრალ ნიადაგს. მანქანა ადგილიდან დაიძრა და ნელა ჩაცურდა ქვევით. ორივენი შიგ შევხტით, კარი მოვიჯახუნეთ, მანქანამ სიჩქარეს უმატა, გასრიალდა ხრეშით მოკირწყლულ გზაზე, ფარდული უკან ჩამოიტოვა და მთის ძირისაკენ დაეშვა. კენჭებს ტკაცატკუცი გაუდიოდა ბორბლებქვეშ, თითქოს ყინულის ნამსხვრევებიაო - მანქანამ სწრაფად გაიარა დაღმართის ყველაზე უფრო ციცაბო ნაწილი. მამამ გადაბმულობა მოხსნა. ძარა შეიძრა, ძრავა აქოთქოთდა, ამუშავდა, ამუშავდა და გავქანდით ლარივით სწორ ვარდისფერ გზაზე გაცრეცილ მწვანე ჭალასა და ტრიალ, საანეულოდ ნაოშ ყანას შორის. ამ გზაზე იშვიათად თუ დადიოდა ვინმე. შუა გზაში ბალახი ამოსულიყო. მამაჩემს კრიჭა გაეხსნა. გაზს უმატა, გაუმაძღარი ძრავა

უნდა დაეცხრო. ახლა რომ ეღალატნა ძრავას, აღარაფერი გვიშველიდა - სწორ გზაზე აღარ ჩაირთვებოდა. მამამ სანახევროდ მისწია შემწოვი. ძრავა უფრო ხმამაღლა აგუგუნდა. მანქანის შუშაზე დაკრულ ყინულის თხელ გარსში გზა მოჩანდა; ჩვენი მიწის საზღვარს გავცდით, ჭალის დასასრულს აღმართი იწყებოდა. ჩვენი შავი ავტომობილი მხნედ ეკვეთა მოკლე, ციცაბო ფერდობს, წამში გადასანსლა და ქვებთან ერთად შორს გამოაფურთხა. მარჯვნივ საილას შელკოფის საფოსტო ყუთმა გაიელვა და გაშეშებული წითელი დროშით მოგვესალმა. ჩვენი მიწა უკან დარჩა. მივიხედე: ჩვენი სახლი - ჭალის შორეულ ნაპირზე გაშენებულ პაწია ნაგებობათა გროვა - ბუნდოვან სივრცეში ინთქმებოდა. ფარდული და საქათმე ღია ვარდისფერი იყო. საცხოვრებელი შენობის მობათქაშებულმა კუბმა უკანასკნელად აუშვა ცისკენ კვამლი - თითქოს ახლახან გაეღვიძა და ბურანში ამოიოხრაო. მეწამული ხეების ფონზე კვამლი ცისფერი ჩანდა. შემდეგ მოსახვევი იყო, ფერმა თვალს მიეფარა და მეჩვენებოდა, ზურგს უკან გვითვალთვალებს-მეთქი. შელკოფს პატარა გუბურა ჰქონდა: ყინულზე ძველი როიალის კლავიშებივით ყვითელი იხვები დაბაჯბაჯებდნენ. მარცხნიდან ჯერ ფლეგლერის მაღალმა, თეთრმა ბოსელმა თითქოს თივის ბღუჯა შემოგვაყარა. ბოსელის სიღრმეში ძროხა იცოხნებოდა - გაიელვა მრგვალმა, ყავისფერმა თვალმა.

იქ, სადაც ჩვენი გზა ასოცდამეორე გზატკეცილზე გამოდიოდა, სახიფათო აღმართი იწყებოდა. დიდი სიმარჯვე იყო საჭირო, თორემ სულ ადვილად ჩავრჩებოდით გზაში. აქ მთელი ქუჩის გასწვრივ შოშიის ბუდეებივით ჩამწკრივებულიყო საფოსტო ყუთები, სულ ბოლოში კი დანუჟრული ვაშლის ხე აღმართულიყო და ეკიდა ჟანგმოდებული, ტყვიით დაცხრილული გამაფრთხილებელი ნიშანი „სდექ!“ მამა დარწმუნდა, რომ გზატკეცილზე სხვა მანქანები არ იყო, დაუმუხრუჭებლად გაქანდა და თვალისდახამხამებაში გადაევლო ბორბლებისაგან ატალახებულ და გადაზელილ მიწას. ახლა, მოასფალტებულ გზატკეცილზე, აღარაფერი იყო საშიში. მამამ მეორე სიჩქარე ჩართო, ბრუნს უმატა, მერე მესამე სიჩქარეზე გადავიდა და ჩვენი „ბიუიკი“ ლაღად გაიჭრა წინ. ოლინჯერამდე თერთმეტი მილი იყო. აქედან სულ თავდაღმართში უნდა გვევლო. ნახევარი ორცხობილა დავღეჭე. ცივი ნამცეცები ჩემს მუხლებსა და სახელმძღვანელოებზე ცვიოდა. ბანანი გავფცქვენი და შევჭამე, დედაჩემის ხათრით, თორემ სულაც არ მინდოდა. მერე ფანჯარა ჩამოვუშვი და ნაფცქვენები ორცხობილას ნარჩენებთან ერთად გარეთ გადავუძახე.

გზის პირზე მრგვალი, ოთხკუთხა და რვაკუთხა მყვირალა პლაკატები ელადა.
ერთ

ძველ ფარდულზე მთელ კედელს ფარავდა წარწერა: „საღეჭი თამბაქო პონი“. ყანები, რომლებზეც ზაფხულში ემიშის დაქირავებული, კაპორებში და შავ ქუდებში გამოწყობილი მუშები ოჯახებიანად პომიდორს კრეფდნენ და ვიწროცხვირიან, წითელ ტრაქტორებზე შემომჯდარი ზორბა ჭაბუკები ქერის ზღვაში დაცურავდნენ, ახლა გაძარცვულნი შესთხოვდნენ ზეცას - თოვლით დაეფარა მათი გულსაკლავი სიშიშვლე. მოსახვევიდან ჩვენს შესახვედრად გამოხტა გამაგრილებელი სასმელების დაგლეჯილ რეკლამებში შეფუთული ორტუმბოიანი ბენზინის ჩამოსასხმელი სადგური, მერე ხტუნვა-ხტუნვით დაიხია უკან და მანქანის სარკეში აირეკლა სასაცილოდ მოკუნტული, აბრაზე დახატული, გათხუპნული ფრთიანი ცხენი. მანქანა შეინჯღრა და ხელთათმანების ყუთის სახურავმა გაიჟღარუნა. გავიარეთ ფაირტაუნი. ოდესღაც ამ სოფელში მხოლოდ ოთხი სახლი იყო, ფილებით ნაგები: წინათ აქ ადგილობრივი კეთილშობილნი ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ სახლში თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოთავსებული იყო სასტუმრო „მეათე მილი“ და პარმაღთან აქამდე შემორჩა კადონი. ფანჯრები დაგმანული იყო. შემდეგ უფრო ახალი ნაგებობანი იწყებოდა: წიდაბლოკებისაგან აშენებული სავაჭრო, სადაც ყუთებით ყიდდნენ ლუდს; მაღალსაძირკვლიანი ორი ახალი სახლიდან პარმაღი არც ერთს არ ჰქონდა,

თუმცა სახლები საცხოვრებელი იყო, განმარტოებით მონადირის ქოხი იდგა, რომელსაც შაბათ-კვირას ჯგროდ აწყდებოდნენ მამაკაცები, ზოგჯერ მათ ქალებიც ახლდათ, და მაშინ ფანჯრებში სინათლე ინთებოდა; რამდენიმე ქალაქური ყაიდის მაღალი სახლიც იდგა, შიფერის სახურავით - ომამდელი, - ბაბუა მარწმუნებდა, ეს სახლები შიმშილით დასიებული უკანონო ბავშვებით არის სავსეო. გვერდი ავუარეთ სკოლის ნარინჯისფერ ავტობუსს, ჩვენს შესახვედრად რომ მობობღავდა, ფაირტაუნის სკოლისაკენ. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მეც იქ უნდა მევლო, მაგრამ იმან მიხსნა, რომ მამაჩემი ოლინჯერის სკოლაში ასწავლიდა. ჩვენი ოლქის ბიჭებისა მეშინოდა. ერთხელ დედამ მაიძულა სკოლის მეურნეობის მოყვარულთა კლუბის წევრი გავმხდარიყავი. ჩემს თანაკლუბელებს თვალების ირიბი ჭრილი და პრიალა, შავტუხა კანი ჰქონდათ. ზოგი მათგანი ხეპრე და გულუბრყვილო იყო, ზოგიც ჯიბიდან გავარდნილი, მაგრამ მე, მაღალი კულტურის მოტრფიალეს, ერთნიც და მეორენიც ველურებად მიმაჩნდნენ. ჩვენ ეკლესიის სარდაფში ვიკრიბებოდით და, მთელი საათის განმავლობაში საქონლის დაავადებათა და სიმინდის დაიპოზიტივების თვალიერებით გაბეზრებულს, ამ ჭეჭყვაში სული მეხუთებოდა; გაოფლილი ჩავიყურყუმელავებდი ხოლმე ცივ ჰაერში და როგორც კი სახლში დავიგულებდი თავს, მაშინვე ვერმერის რეპროდუქციების

ალბომს ვეცემოდი იმ ადამიანივით, რომელიც ბეწვზე გადარჩა დახრჩობას და ნაპირს ეპოტინება.

მარჯვნივ სასაფლაო გამოჩნდა. საფლავის ქვები შორიდან პაწია ბორცვებზე უწესრიგოდ მიმობნეულ თხელ, ოთხკუთხა ფიქალებს ჰგავდნენ. მერე ხეების თავზე ფაირტაუნის ლუთერანული ეკლესიის მაღალი ქვის სამრეკლო აღიმართა და თავისი ცინცხალი ჯვარი წუთით მზის სხივებში შეაცურა. ოდესღაც ჩემი ბაბუა აშენებდა ამ ტაძარს - ჩაზნექილ ფიცარნაგზე უზარმაზარი ქვებით სავსე ურიკას ეზიდებოდა. ბაბუა თითების ლამაზი მოძრაობით ხშირად გვიხსნიდა, როგორ იღუნებოდა ფიცრები სიმძიმის ქვეშ.

ფაირ-ჰილიდან დავეშვით - ოლინჯერსა და ოლტონს შუა მდებარე ორი გორაკიდან ფაირ-ჰილი ნაკლებ ციცაბო იყო და გრძელი დაქანება ჰქონდა. თითქმის შუა დაღმართზე გზის ნაპირებზე მოდარაჯე ხეების მწკრივი გაიპო და საუცხოო სანახაობა გადმოგვეშალა. ჩემს წინ პატარა ხეობა გაწოლილიყო, რომელიც დიურერის ნახატის უკანა ხედს მაგონებდა. ამ ბელტებიან მიწას და ნაცრისფერი ქვის ღობეებით ერთიანად

დასერილ დამრეც კალთებს, რომელთა შორისაც კაჭრები ინგუშა ცხვრებივით გაფანტულიყო, პაწია ქოხი დაპატრონებოდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო; სახურავზე ბოთლისებური საკვამლე მილი მოჩანდა, გაუთლელი ქვებისაგან ცალფად ნაგები და თეთრად შეღებილი. თვალისმომჭრელად თეთრი, მრგვალი საკვამურიდან, ქოხის ბრტყელ კედელთან ერთად ამ მთაგორიან პეიზაჟში რომ ჩახლართულიყო, კვამლის მქრქალი სვეტი ამოდიოდა, იმის ნიშნად, რომ სახლში ვიღაც ცხოვრობდა. ალბათ, მთელი ეს მხარე ასეთი იყო იმ დროს, როცა ბაბუა ეკლესიას აშენებდა.

მამამ სულ მისწია შემწოვი. ტემპერატურის მაჩვენებელზე ისარი თითქოს შეეწება ციფერბლატის მარცხენა კიდეს. ღუმელს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. მანქანის მართვის დროს მამის ხელები მტკივნეული სისწრაფით ეხებოდა ლითონს და მკვრივ რეზინას.

- ხელთათმანები რა უყავი? - ვკითხე მე.

- უკან არ აწყვია?

თავი მოვაბრუნე: ხელთათმანები, რომლებიც საშობაოდ ვაჩუქე, მანქანის უკანა დასაჯდომზე ეყარა ზევით აშვერილი დანაოჭებული ხელისგულებით, ჩვენი ოლქის დაჭმუჭნულ რუკასა და დაბურდულ საბუქსირო გვარლს შორის. ეს ხელთათმანები თითქმის ცხრა დოლარი ღირდა. ფული მარწყვის მოსავალში ავიღე, რომელიც სოფლის მეურნეობის კლუბის დავალებით მოვიწიე ჩემს პატარა ნაკვეთზე. ვფიქრობდი ეს თანხა სამხატვრო სასწავლებლისათვის

გადამედო. ხელთათმანები ისე ძვირი დამიჯდა, რომ ძლივსღა მოვახერხე დედისთვის წიგნი მეყიდა, ბაბუასათვის კი ცხვირსახოცი. ძალიან მინდოდა მამას მეტი ყურადღება დაეთმო თავისი გარეგნობისათვის და ჩემი სკოლის ამხანაგების მამებივით კარგად ჩაცმული ყოფილიყო. ხელთათმანები მშვენივრად მოერგო. პირველ დღეს ჩაიცვა, მერე კი იქვე, საჭესთან დააგდო და ხელი აღარ უხლია, ერთხელ, როცა წინ სამნი ვისხედით, უკანა საჯდომზე მოისროლა.

- რატომ არ იცვამ? მამას მუდამ ბრალმდებლის კილოთი მივმართავდი. - მეტისმეტად კარგია, - მომიგო, - საუცხოო ხელთათმანებია, პიტერ. ტყავისა კარგად გამეგება. გაიყიდებოდი მაგ ხელთათმანების გულისათვის.

- არც იმდენად. არ გაგეყინა ხელები?

- გამეყინა. ძალიან სუსხია დღეს. აღარ ხუმრობს ზამთარი.

- მერე, რატომ არ ჩაიცვამ ხელთათმანებს?

მსრბოლავი გზის ფონზე უძრავად გამოკვეთილიყო მამის პროფილი. ის ფიქრისაგან გამოერკვა და მომიბრუნდა:

- ასეთი ხელთათმანები ბავშვობაში რომ ეჩუქებინა ვინმეს, ალბათ, ავტირდებოდი.

ეს სიტყვები დილით ყურმოკრული საუბრის შემდეგ ისეც დადარდიანებულს, მძიმე ლოდად დამაწვა გულზე. ვგრძნობდი, რომ მამას რაღაც შინაგანი ვარამი აწუხებდა, და, ალბათ, ჩემი ხელთათმანების ტარებაც სწორედ ამიტომ არ უნდოდა. მაგრამ იმასაც

ვხვდებოდი, რომ ის უკვე მეტისმეტად დიდი და ხნიერი იყო, და ძალიან რომ ჰქონოდა დედის ხათრი, ვეღარ განიწმინდებოდა სიავისაგან, ვეღარაფერი შეცვლიდა მას. წინ გადავიხარე და დავინახე, რომ ხელებზე, რომლებითაც საჭე ჩაებღუჯა, კანი გაუთეთრდა. დანაოჭებული ხელები ჰქონდა, თითქოს დახეთქიაო; და მის კანზე ამოწვერილმა შავმა ბალანმა ყინვადაკრული ბალახი მომაგონა. ხელის ზურგს მქრქალი ყავისფერი მეჭეჭები უფარავდა.

- საჭე, ალბათ, ყინულივით ცივია, - ვთქვი და სწორედ ისეთი ხმა მქონდა, როგორც დედას, როცა ამბობდა: „შეუძლებელია ამას გრძნობდეს კაცი“.

- მართალი გითხრა, პიტერ, მაგას ვერც კი ვგრძნობ, ისე მტკივა კბილი.

ამან გამაოცა და გამახარა კიდეც: წინათ კბილს არ უჩიოდა, შეიძლება სულაც ამან გამოიწვია ყველაფერი. - რომელი კბილი? - ვკითხე.

მამამ პირი გააწკლაპუნა; პარსვისას გაჭრილი ლოყა დანაოჭებოდა, ჭრილობის თავზე შავი სისხლი შედედებულიყო.

- იმკურნალებ და გაივლის.

- არც კი ვიცი, რომელი მტკივა. შეიძლება, ყველა ერთად. სულ ერთიანად უნდა დავითხარო და ხელოვნური ჩავისვა. წავალ ერთი იმ ოლტონელ ყასბებთან, კბილებს რომ აძრობენ ხალხს და მაშინვე პროტეზს უსვამენ, შიგ დასისხლიანებულ ღრძილებში.

- რას ამბობ?

- მართალს გეუბნები. ისინი ხომ სადისტები არიან, პიტერ, ბრიყვი სადისტები.

- შეუძლებელია, - ვთქვი მე.

სანამ გორაკიდან ვეშვებოდით, ღუმელი გალღვა და ჟანგიან მილებში გამთბარი ჭუჭყიანი ჰაერი ფეხებში მეცა. ყოველ დილას ხსნასავით ველოდი ამ წუთს. ახლა, რაკი

კომფორტის პირველი ნიშნები გაჩნდა, რადიო ჩავრთე. თერმომეტრივით ვიწრო მაჩვენებელზე მკრთალი ნარინჯისფერი სინათლე აინთო. ნათურები გახურდა და ხრინწიანი ჩახლეჩილი ღამეული ხმები ამღერდა კამკამა, ცისფერ დილით. თავზე თმა ამებურძგნა და ჟრუანტელმა დამიარა; ასე ზანგები მღერიან ხოლმე სამხრეთში, ხმები ძლივს იგნებდნენ გზას, მელოდიის ხვეულებში იკარგებოდნენ, თითქოს სალ კლდეზე ასვლას ლამობენ და უცებ ნაპრალში ინთქმებიანო; და ამ უფსრკრულებით დაღარულ სივრცეში მოქცეულიყო მთელი ჩემი სამშობლო. ამერიკა. ცადაწვდილ ნაძვებში, ზღვასავით თვალუწვდენელ ბამბის პლანტაციებში, სამხრეთის თავაწყვეტილ, უნაპირო პრერიებში ჩასაფრებულ ხმათა ლანდები შემოიჭრნენ და შმაგი სიყვარულის გაბზარული ჰანგებით აავსეს ჩვენი პატარა, ვიწრო „ბიუიკი“. დამცინავი, შემპარავი რეკლამა ნანასავით ჩამესმა, ჩამჩურჩულებდა დიდ ქალაქებზე, რომელთა ნახვასაც ხშირად ვოცნებობდი, მერე ისევ სიმღერა გაისმა და რელსების ხმაური მომაგონდა. სადღაც, ცხრა მთას იქით მიაქროლებდა მომღერალს, გიჟური ლტოლვით შეპყრობილ მაწანწალასავით. მე და მამამ საოცარი აღცატება ვიგრძენით, სიმღერამ ჩვენც შორს წაგვიღო, გადაგვატარა ჩვენი მრავალტანჯული მიწა-წყლის მთები და ველები, ქვეყანა გათბა, ზამთრის სუსხი აღარც კი გვახსოვდა. იმხანად რადიოს ჩემს მომავალში

გადავყავდი, როცა უკვე ყოვლისშემძლე ვიყავი: კარადები გამოტენილი იყო ლამაზი ტანსაცმლით, კანი - სუფთა და რძესავით თეთრი მქონდა, და მე, ფუფუნებისა და დიდების შარავანდედით გარემოცული, ღვთაებრივი სიმშვიდით გამსჭვალულ სურათებს ვხატავდი, ისეთებს, ვერმერმა რომ დახატა. ვიცოდი, რომ ეს ვერმერი ერთი ყარიბი და ღატაკი ვინმე იყო, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ის ჩამორჩენილ დროში ცხოვრობდა. ჩემი დრო კი არ იყო ჩამორჩენილი. ამაზე ჟურნალებში წამეკითხა, მართალია, ოლტონში მხოლოდ მე და დედამ ვიცოდით ვერმერის არსებობა, მაგრამ დიდ ქალაქებში, ალბათ, ათასობით ადამიანი იცნობდა მას, და ისინი ყველანი მდიდრები იყვნენ. აი, მე გარშემორტყმული ვარ ლარნაკებით და პრიალა ავეჯით. გახამებულ სუფრაზე დევს შაქრის პური, ბრჭყვიალა კილიტებით გაბრწყინებული, როგორც პუანტილისტების ტილოებზე. ჩემი აივნის მოაჯირს გადაღმა კი მუდმივი მზის ქალაქი - ნიუ-იორკი გაშლილა, მილიონი ფანჯრის შუქით განათებული. თეთრკედლებიან ოთახში შემოჭრილ მსუბუქ სიოს თაბაშირისა და მიხაკის სურნელი დაჰკრავს. კარებში ქალი დგას და მე შემომცქერის. მოელვარე კედელში მისი ლანდი მოჩანს. ქალს ქვედა, სავსე ტუჩი ოდნავ შეშუპებია, როგორც ჰააგის გალერეაში გამოფენილ სურათზე დახატულ ლურჯდოლბანდიან გოგონას. და ყველა ამ

წარმოდგენას შორის, რომლებიც სიმღერამ ასე უეცრად გააცოცხლა სწრაფი ფუნჯის მოსმით, მხოლოდ ერთი ადგილია ცარიელი - ჩემი სურათი, რომელსაც მე ასე ლამაზად, ლაღად და განუმეორებლად ვხატავდი. ჩემ შემოქმედებას ვერ ვხედავდი; მაგრამ მისი უსხეულო ბრწყინვალება ყველაფრის ცენტრი იყო, თითქოს ის იყო კომეტის ბირთვი, რომლისთვისაც კუდზე ხელი ჩამევლო, მივექანებოდი და მივაქროლებდი მამას ჩვენი ამღერებული სამყაროს ლოდინით გაჟღენთილ სივრცეში.

გავცდით თუ არა გალილეის, რომელიც სიდიდით ფაირტაუნს არ აღემატებოდა და მჭიდრო რკალად შემოჰკვროდა სასაუზმე „მეშვიდე მილსა“ და წიდაბლოკებისაგან ნაგებ მაღაზია „პოტეიჯერს“, გზა კეფაზე ყურებგადასლექილ კატასავით გაშპა წინ. მამა აქ მუდამ თავბრუდამხვევი სისწრაფით მიერეკებოდა მანქანას. ჩავუქროლეთ რძის ფერმას „სამყურას“ და მის სანიმუშო ბოსელს, საიდანაც ნაკელი კონვეიერით გამოჰქონდათ, და გზა ჩამოქცეული წითელმიწის ორ მაღალ კედელშუა შეიჭრა. აქ, ქვების გროვასთან, ვიღაც კაცი გამვლელ მანქანას უცდიდა. მისი სილუეტი მკვეთრად მოჩანდა თიხნარი ფლატის ფონზე, და როცა აღმართზე ასვლისას კაცს მივუახლოვდი, შევნიშნე - უსაშველოს დიდი წაღები ეცვა, უცნაურად გამოშვერილი საქუსარებით.

მამამ ისე ძლიერად დაამუხრუჭა, თითქოს ნაცნობს მოჰკრა თვალიო. კაცმა წაღების ფრატუნით მანქანასთან მოირბინა. გაცვეთილი ყავისფერი, თეთრზოლებიანი კოსტიუმი სასაცილოდ კოპწია იერს აძლევდა. გაზეთში გახვეულ, ხეზით შეკრულ ფუთას მაგრად იხუტებდა გულში, თითქოს ამას შეეძლო მისი გათბობა. მამა ჩემს თავზე გადმოიხარა, ფანჯარა ჩამოუშვა და დაუყვირა:

- ოლტონში არ მივდივართ, აბებამდე მიგიყვანთ, თუ გნებავთ.

მგზავრი მანქანის კართან დაიხარა. შეშუპებულ წითელ ქუთუთოებს მალიმალ აფახულებდა. საყელო აწეულ კისერზე მიჰკვროდა. ზედ ჭუჭყიანი, მწვანე შარფი ჰქონდა მოხვეული. გამხდარი იყო და შორიდან უფრო ახალგაზრდა მეჩვენა. ყინვას თუ სიდუხჭირეს ისე მოეშთო მისი გაფითრებული სახე, რომ ერთიანად დაძარღვოდა. ლოყები გველივით დაკლაკნილი ყვითელი ზიგზაგებით აჭრელებოდა. შესიებული ტუჩები რაღაცნაირად დამანჭვოდა. გავიფიქრე: ბიჭების მოტრფიალე იქნება-მეთქი. ერთხელ, როდესაც ოლტონის საჯარო ბიბლიოთეკასთან მამას ვუცდიდი, დაგლეჯილ ტანსაცმელში გახვეული ვიღაც გლახაკი ფეხაკრეფით მომიახლოვდა და თუმცა მაშინვე გავიქეცი, მისი ბინძური სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. ვგრძნობდი, რომ სანამ ქალიშვილების დევნაში დროს ამაოდ ვკარგავდი, ამ მხრივ სრულიად უმწეო ვიყავი. სამკედლიან ოთახში რომელი ქურდი არ შევიდოდა? რატომღაც საშინლად შემეზარა ეს კაცი. ღია ფანჯრიდან შემოჭრილმა სუსხმა ყურები ამიწვა. სულ ასე ხდებოდა. მამაჩემის ქუდმოშვლეპილი თავაზიანობა საქმის გარკვევის ნაცვლად ყველაფერს აურდაურევდა ხოლმე. დავიცადე, სანამ მისი ტვინი ცოტათი გალღვებოდა და მამის ნათქვამი შიგ შეაღწევდა. „ოლტონში არ მივდივართ“ გაიმეორა მამამ და მოუთმენლობისაგან უფრო მეტად გადაიხარა, ისე, რომ მისი უზარმაზარი თავი ჩემს ცხვირწინ აღმოჩნდა; მოჭუტული თვალის კუთხეები წვრილი, ბრინჯაოსფერი ნაოჭებით აევსო. მაწანწალამაც ჩემკენ გადმოიწია და ვიგრძენი, რა სულელურად ვიყავი ჩაკვეხებული ორ ლოყამომჩვარულ ბებერს შორის. რადიოდან კვლავ ბორბლების ხმაური აღწევდა ჩემამდე და ისევ ცხრა მთას იქით მეწეოდა.

- სადამდე მიმიყვანთ? - ტუჩების შეუმჩნეველი მოძრაობით იკითხა მაწანწალამ. კინკრიხოზე გადასლექილი თმა გათხელებოდა, ეტყობოდა, ძალზე დიდი ხნის წინ გაკრეჭილიყო და აბურძგლული ბუწუწები ყურებამდე ჰქონდა ჩამოზრდილი.

- ოთხ მილს გავივლით, დაჯექით, - უეცარი გადაწყვეტილება მიიღო მამამ. მან კარს ხელი ჰკრა იმ მხარეს, საიდანაც მე ვიჯექი და მითხრა:

- ჩაიჩოჩე, პიტერ. წინ დავსვათ ჯენტლმენი, ღუმელთან.

- არა უშავს, უკან დავჯდები, - თქვა მგზავრმა და ამან ცოტა გამინელა სიძულვილი მის მიმართ. მთლად სინდისიდან გარეცხილი არ ყოფილა. მაგრამ ჩაჯდომის დროს უცნაურად მოიქცა. ჩემი ფანჯრისთვის ხელი არ მოუცილებია, მეორე ხელით უხერხულად გააღო უკანა კარი, თან ფუთას ძლივს იმაგრებდა იდაყვით, თითქოს გულმოწყალე მამაჩემი და მე, უწყინარი ბიჭი, საშიში, ბოროტი მხეცები ვიყავით და ის, მონადირე, ხაფანგში გვიტყუებდა. როცა მანქანაში ჩვენს უკან მოკალათდა, გულდამშვიდებულმა ამოიოხრა და წვრილი, წიკვინა ხმით, თითქოს ახლავე უკან მიაქვს თავისი სიტყვაო, წარმოთქვა: - რა მურტალი ამინდია. წამძვრა ყველაფერი.

მამამ გადაბმულობა მოხსნა, რადიო გამორთო, ვითომც აქ არაფერიაო და თავი მიატრიალა, რომ უცნობისათვის ეპასუხა. ბორბლების რიტმული ხმაური ჩემი ოცნების მსუბუქ ტვირთთან ერთად უფსკრულში გადაიჩეხა. ჩემი ფართო, ნათელი მომავლის სურათი შეიკუმშა და უბადრუკი აწმყოთი დაიბინდა.

- კიდევ კარგია, რომ არ თოვს, - თქვა მამამ. - ყველაზე მეტად მაგის მეშინია. ყოველ დილით ვლოცულობ: ღმერთო, ოღონდაც ნუ მოთოვს-მეთქი.

არ მივბრუნებულვარ, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ ქშინავდა მგზავრი ჩემს უკან, მოუსვენრად წრიალებდა, სიცოცხლეს უბრუნდებოდა მყინვარებიდან ამოთხრილი პირველყოფილი ურჩხულივით.

- შენა, ბიჭო? - თქვა მან და კეფით ვიგრძენი, რომ წინ გადმოიხარა. - შენ ალბათ კიდეც გენატრება თოვლი, არა?

- საწყალ ბიჭს ახლა მაგის დარდი არა აქვს, - უთხა მამამ, - ქალაქში ცხოვრებას იყო შეჩვეული და ეშმაკებში გადავკარგეთ.

- მაგას კი ეყვარება თოვლი, - ქვა მგზავრმა. - ეყვარება და მერე როგორ.

ჩანს, მისთვის თოვლი სულ სხვა რამეს ნიშნავდა: ეტყობოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. შიშის ნაცვლად სიბრაზემ ამიტანა. კარგია, მამა მყავდა გვერდით. ცოტა არ იყოს, ისიც შეაფიქრიანა მგზავრის ასეთნაირმა ჩაციებამ.

- რაო, პიტერ, - მკითხა მამამ. - მართლა გენატრება თოვლი?

- არა, - მივუგე. მგზავრმა ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი.

- სადაური ბრძანდებით, მისტერ? - ჰკითხა მამამ.

- ჩრდილოეთიდან ვარ.

- ოლტონში მიდიხართ?

- ვნახოთ.

- თუ ყოფილხართ ოლტონში?

- წინათ ვყოფილვარ.

- რას აკეთებთ?

- ე-ე-ე... მზარეული ვარ.

- მზარეული საუცხოოა, იმედი მაქვს, არ მატყუებთ. როგორია თქვენი გეგმები? ოლტონში დარჩებით?

- მ-მ... ცოტა ფულს მოვუყრი თავს და სამხრეთისკენ გავსწევ.

- იცით, მისტერ, - უთხრა მამამ, - სულ იმაზე ვოცნებობდი, მთელი ცხოვრება ხეტიალში გამეტარებინა, როგორც ჩიტები ცხოვრობენ. დაუბერავს, თუ არა ცივი ქარი, გაშალე ფრთები, და ჰერი, სამხრეთისაკენ.

შემცბარმა მგზავრმა ჩაიხითხითა. მამა

განაგრძობდა:

- ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ფლორიდაში გვეცხოვრა, მაგრამ შორიდანაც არ მინახავს. სამხრეთის მიმართულებით მერილენდს ვერ გავცდი.

- დიდი არაფერია ეგ მერილენდი.

- მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლაში, პასეიკში, - თქვა მამამ, - მასწავლებელი ხშირად გვიამბობდა ხოლმე ბალტიმორის თეთრ პარმაღებზე. თურმე ყოველ დილას დიასახლისები კასრებითა და ჯაგრისებით ხელში მიადგებიან და მანამდე ხეხავენ მარმარილოს საფეხურებს, სანამ არ გაქათქათდება და ბრწყინვას არ დაიწყებს. თუ გინახავთ ეს?

- ბალტიმორში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს.

- ასეც ვიცოდი. გვატყუებდნენ. ნეტავ ვინ სულელი გადაყვება მთელი სიცოცხლე თეთრი მარმარილოს საფეხურებს, როცა გაწმენდ თუ არა, ვინმე რეგვენი გამოივლის ტურტლიანი წაღებით და ყველაფერს დათხვრის? ეს არასდროს მჯეროდა.

- არ მინახავს, - თქვა მგზავრმა, თითქოს ნანობდა, რომ მისი მიზეზით მამას ასე გაუცრუვდა იმედი. უცნობებთან საუბრის დროს მამა ისეთ დაუცხრომელ ცნობისმოყვარეობას იჩენდა, რომ ისინი გაოგნებულნი პასუხს ვეღარ პოულობდნენ მის შეკითხვებზე. ის კი არ დაგიდევდათ, ჰქონდათ თუ არა ადამიანებს ამის სურვილი, მაინც ჩაითრევდა ხოლმე მათ სიმართლის ამაო, მაგრამ შეუპოვარ ძიებაში. იმ დილით მამაჩემი რაღაც განსაკუთრებული

სიჯიუტით ჩაეძია, თითქოს ეშინოდა, რომ ვეღარ მოასწრებდა. შემდეგი კითხვა მან თითქმის წამოიყვირა:

- როგორ მოხდა, ამ ადგილებში რომ ჩარჩით? თქვენს ადგილზე მე დიდი ხანია ფლორიდაში ამოვყოფდი თავს. ჩემი ბუნდღაც არ იქნებოდა აქ.

- აქ ერთთან ვცხოვრობდი ოლბენიში, - ძალდატანებით აღმოხდა მგზავრს.

ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა - გამართლდა ჩემი შიში! მამაჩემს კი, ეტყობა, დაავიწყდა, რა სახიფათო ზონაში შევიჭერით.

- მეგობართან? - ჰკითხა მან.

- დიახ, ასე ვთქვათ. - მერე? ცარიელზე დაგსვათ?

მგზავრი აღტაცებისაგან მთელი ტანით წინ გადმოიხარა.

- დიახ, ჩემო კეთილო, - უთხრა მან მამას. - სწორედ ეგრე ქნა იმ ნაბიჭვარმა... შენთან ბოდიში, ბიჭიკო.

- არაფერია, - მიუგო მამამ. - მე ალბათ მთელ ჩემს სიცოცხლეში ვერ გავიგონებ, რასაც ეს საწყალი ბავშვი ერთ დღეში ისმენს ხოლმე. დედას ჰგავს: უნდა თუ არა, ყველაფერს ამჩნევს. მე, მადლობა ღმერთს, სანახევროდ ვერაფერს ვხედავ და სამ მეოთხედს ერთ ყურში რომ შევუშვებ, მეორედან გამოვუშვებ. ღმერთია ალალმართალთა მფარველი.

ძალაუნებურად შევნიშნე, რომ მამამ დედა და ღმერთი შეაერთა და ორივეს მოუწოდა შემწედ მყოლოდნენ, ჯეგირივით წინ გადამდგმოდნენ ჩვენი თანამგზავრის ბაგეთაგან აღმომსკდარ ბინძური აღსარების ნიაღვარს; მაგრამ მაინც აღშფოთებული ვიყავი იმით,

რომ მამაჩემს შეეძლო ამ კაცთან ჩემზე ელაპარაკნა და ამით ტალახში ამოვესვარე. ძნელი ასატანი იყო იმაზე ფიქრი, რომ ჩემი ცხოვრება ერთი მხრივ ვერმერს ეხებოდა და მეორე მხრივ ამ მაწანწალას.

თუმცა ხსნა არც ისე შორს იყო. უკვე აბებთან ვიყავით მისული. სწორედ ეს იყო ის მეორე, უფრო ციცაბო ბორცვი ოლტონში მიმავალ გზაზე. ამ ბორცვს გავცდებოდით თუ არა, ოლინჯერისკენ გავუხვევდით - მგზავრი იქ უნდა გადმოსულიყო. გორაკიდან ძირს დავეშვით. ჩვენს შესახვედრად, ზევიდან ტვირთმიბმული საბარგო მანქანა მოდიოდა, ისე ნელა, თითქოს გადაყვლეფილი საღებავი სულ ამ გზაზე გადასცლიაო. გზის გადაღმა რუდი ესიკის უზარმაზარი ყავისფერი სახლი წამოჭიმულიყო.

აბების მთას ეს სახელი მისი მფლობელის, ხველის საწინააღმდეგო აბების პატრონის პატივსაცემად ეწოდა. **[**წუწნე ესიკის აბები**,** ყველა სენს გაუმკლავდები**!]** ამ აბებს მილიონობით ამზადებდნენ ოლტონის ფაბრიკაში, საიდანაც რამდენიმე კვარტალზე ვრცელდებოდა მენთოლის სუნი. აბები, პაწია ვარდისფერი კოლოფებით იყიდებოდა აღმოსავლეთის ყველა შტატში. ერთხელ მანჰატენში ვიყავი და გამიკვირდა, რომ შუა

ედემის ბაღში ცენტრალური სადგურის ფარდულში ნაცნობი, ძნელად შესამჩნევი კოლოფები დავინახე. თვალს არ დავუჯერე და ერთი კოლოფი ვიყიდე. ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო: კოლოფის უკანა მხარეს, ფაბრიკის პატარა, მაგრამ შთამბეჭდავი გამოსახულების ქვეშ, წვრილი ასოებით ეწერა: „დამზადებულია ოლტონში, პენსილვანია“. როცა გავხსენი, ბრუბეიკარსტრიტის გრილი, ნოტიო სურნელი ცხვირში მეცა. ჩემს ცხოვრებაში არსებული ორი ქალაქი, წარმოდგენილი და ჭეშმარიტი, ერთმანეთს გადაეფარა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოლტონს შეეძლო ნიუ-იორკს შეხებოდა. აბი პირში ჩავიდე, უფრო ცხადად რომ მეგრძნო ეს საამო აღრევა; პირი სიტკბოთი ამევსო; ჩემს თავზემოთ, მაღალთაღიან ჭერზე, ვით ბივრილისფერ ცის ტატნობზე, ციმციმა ელექტრონათურების თანავარსკვლავედი ბრწყინავდა, მის ქვეშ დამრეცი კედელი, ხოლო ჩემს თვალწინ მამაჩემის ყვითელსახსრებიანი მუშტი ნერვიულად იკუმშებოდა, რადგან მატარებელზე გვაგვიანდებოდა. მე უკვე აღარ ვბრაზობდი მამაზე და მასავით მოუთმენლად ველოდი მატარებელს - შინ დაბრუნება მომინდა. მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე, - მამიდას სანახავად ჩავედით ორი დღით, - მამა შემკრთალი და უმწეო ჩანდა. ქალაქის სიდიდემ დააბნია. ფული სულ შემოეხარჯა, ყიდვით კი ვერაფერი იყიდა. ბევრი ვიარეთ ქუჩებში, მაგრამ ვერ იქნა და

ვერ მივაღწიეთ იმ მუზეუმებამდე, რომელთა შესახებაც ადრე წამეკითხა. ერთხელ მუზეუმში, ფრიკის კოლექციაში, ვერმერის ნახატიც ერია: კაცს განიერფარფლებიანი ქუდი ჰხურავს, ქალი იცინის, ქალის ხელისგულზე სინათლის ათინათი ლიცლიცებს, მაგრამ ამას ვერ ამჩნევს; სურათების სხვა კრებულში, „მეტროპოლიტენში“, გოგონას პორტრეტი იყო: გახამებულჩაჩიანი გოგონა კრძალვით გადმოხრილა ვერცხლის სურაზე. მახსოვს, სურაზე გავლებულ მოცისფრო, ვერტიკალურ შტრიხს ჭაბუკობისას თაყვანს ვცემდი, ვით სულიწმინდას. ამ სურათების რეპროდუქციებზე პირდაპირ ვლოცულობდი და ჩემთვის ისინი ისეთი იდუმალებით იყვნენ მოცულნი, რომ არც კი მჯეროდა, თუ მართლა არსებობდნენ, ხოლო როცა გავიფიქრებდი, რომ შემეძლო ამ ტილოებთან ახლოს ვმდგარიყავ, ხელითაც კი შევხებოდი მათ, საკუთარი თვალით მენახა ნამდვილი ფერები, საღებავები, დაბზარული იქ, სადაც ტილოში დრო ჩაქსოვილიყო, - ვით იდუმალება იდუმალებაში, - ჭეშმარიტ სამყაროსთან

ესოდენ ცხადი შეხლა ისე მაკრთობდა, არ გავოცდებოდი, მის ზღურბლზე მომკვდარი რომ დავცემულიყავ. მაგრამ მამამ იმდენი იბორიალა, ყველაფერი ჩაგვეშალა. მუზეუმში არ ვყოფილვართ და არც სურათები გვინახავს. სამაგიეროდ, სასტუმროს ნომერში ვიყავით, სადაც მამიდაჩემი იყო გაჩერებული. მამიდას ოთახი მეოცე სართულზე ეჭირა, მაგრამ ნომერში რატომღაც ისეთი სუნი იდგა, დედაჩემის ბეწვისსაყელოიან, სქელ, მწვანე შოტლანდიური შალის ზამთრის პალტოს რომ ასდიოდა; მამიდა ალმა ნება-ნება წრუპავდა რაღაც ყვითელ სასმელს და შეღებილი ტუჩების კუთხეებიდან სიგარეტის კვამლს უშვებდა. მას შალზე თეთრი კანი და ჭკვიანი, გამჭვირვალე თვალები ჰქონდა. როცა მამას უყურებდა, თვალებს სევდიანად წკურავდა. მამაზე სამი წლით უფროსი იყო. მთელი საღამო იგონებდნენ, როგორც ცელქობდნენ და ებუტებოდნენ ხოლმე ერთმანეთს პასეიკში, მღვდლის სახლში. უკვე დიდი ხანი იყო, რაც ეს სახლი აღარ არსებობდა; როცა მას ახსენებდნენ, თავისტკივილი და გულისრევა მეწყებოდა, თითქოს დროის უფსკრულში ვიყავ ჩაკიდებული. ოცსართულიანი სიმაღლიდან ვხედავდი, ტაქსის ფარები როგორ ქსოვდნენ სინათლის მარყუჟებს და მათრობდა მათი შორიდან თვალთვალი. დღისით მამიდა ალმამ, რომელიც საბავშვო ტანსაცმლის შესასყიდად იყო ჩამოსული, ჩვენი თავის ანაბარა დაგვტოვა. მამა გამვლელებს აჩერებდა, მაგრამ მის დაბნეულ, მომაბეზრებელ კითხვებზე პასუხის გაცემა არავის სურდა. გამვლელების უხეშობისა და მამაჩემის უმწეობის გამო თავს დამცირებულად ვგრძნობდი, ბრაზი ყელში მაწვებოდა და ის იყო, უნდა ავფეთქებულიყავ, მაგრამ ხველის საწინააღმდეგო აბებმა მრისხანება გამიქარვა. მე

შევუნდე მას. შევუნდე ყავისფერი მარმარილოთი ნაგებ ტაძარში და მზად ვიყავი, მადლობაც კი მეთქვა, იმის გამო, რომ იმ ოლქში დავიბადე, რომელიც ტკბილეულით უვსებდა სტომაქს სამოთხეს. მეტროთი პენსილვანიის სადგურამდე მივედით, მატარებელში ჩავჯექით და ვიდრე სახლს არ მივაღწიეთ, ასე ვისხედით, ტყუპებივით ჩაკრულები; ახლაც, ორი წლის შემდეგ, როცა ყოველდღე მანქანით ავუვლით და ჩავუვლით აბებს, მუდამბუნდოვნად მაგონდება ნიუ-იორკი და ელექტრული თანავარსკვლავედები, რომელთა შორისაც ჩვენ ორნი, აქაურ მიწას მოწყვეტილნი, დავფარფატებდით.

იმის ნაცვლად, რომ მანქანა გაეჩერებინა, მამამ რატომღაც ოლინჯერის გადასახვევს გვერდი აუქცია.

- საითკენ მიდიხარ? - დავუყვირე მე.

- არაფერია, პიტერ, - მითხრა მან ჩუმად - ძალიან ცივა.

მისი სახე აუღელვებელი ჩანდა იდიოტური ნაქსოვი ქუდის ქვეშ. არ უნდოდა, მგზავრს

თავი უხერხულად ეგრძნო, ოლტონში მის წასაყვანად ასე ძლიერ რომ უნდა გაგვემრუდებინა გზა.

ისე აღვშფოთდი, რომ უკან მიბრუნებაც კი გავბედე და მგზავრს გამანადგურებელი მზერა ვესროლე. მაწანწალას სიფათი გაულღვა. საშინელი შესახედავი იყო; ბინძური წუმპე. ის ვერ მიმიხვდა, რა მინდოდა, ღიმილით სახეგაბადრული ჩემკენ გადმოიხარა და მყრალი გრძნობები შემომაფრქვია. ადგილზე შევხტი და მოვიკუნტე. ფარზე რომელიღაც დეტალმა გაიელვა. თვალები დავხუჭე, რათა შემეჩერებინა ეს ჭუჭყიანი, უაზრო ნიაღვარი, რომელიც მე გამოვიწვიე. ყველაზე უფრო ზიზღისმომგვრელი მასში რაღაც მადლიერი, ქალიშვილური გაუბედაობა იყო. მამამ თავისი დიდი თავი მიატრიალა და შეეკითხა:

- როგორია თქვენი აზრი?

მის ხმაში ისეთი ტკივილი იყო, რომ მგზავრი დაიბნა. ჩვენს ზურგსუკან დუმილი სუფევდა, მამა ელოდა.

- ვერ გავიგე, რა თქვით.

- რა დასკვნა გამოიტანეთ? აღტაცებული ვარ თქვენით. ვაჟკაცობა გეყოთ გაგეკეთებინათ ის, რისი გაკეთებაც ყოველთვის მსურდა: მეხეტიალა ქალაქიდან ქალაქში. როგორ გგონიათ, ბევრი დავკარგე?

- არაფერიც არ დაგიკარგავთ, - მისი სიტყვები ნემსით ნაჩხვლეტი საცეცებივით იკრუნჩხებოდნენ.

- რაიმე კარგი მოგონება თუ დაგრჩათ, წუხელ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სულ ვცდილობდი სასიამოვნო ამბები გამეხსენებინა და ვერაფერი გავიხსენე. სიღატაკე და შიში - აი ჩემი მოგონებები.

ამან გული მატკინა. სხვა თუ არა, მე ხომ ვყავდი. მგზავრის ღრჭენა გაისმა - იქნებ ჩაიცინა.

- მაგის რჯული არ იყოს, გასულ თვეში ძაღლი შემომაკვდა, - თქვა მან. - ვის გაუგონია

ასეთი რამე? ეს ზღმურდლიანები გამოხტებიან ბუჩქებიდან და მაინცდამაინც ფეხში უნდა გებდღვნან. მეც ასეთი შემთხვევისათვის ერთი მსხვილი ჯოხი დავითრიე. მოვდივარ, და ის ძუკნაც ამ დროს არ შემომახტა? კარგადაც ვთხლიშე. კი გაჭიმა ფეხი მაშინვე, მაგრამ ერთი ორი კიდევ ჩავცხე, ყოველი შემთხვევისთვის, ჰოდა, ერთი ძაღლი მოაკლდა ამ ქვეყანას. დე იცოდნენ, რომ არ

უნდა ეცნენ კაცს, რაკი მანქანა არა აქვს და ფეხით დაჩანჩალებს. ღმერთმანი, ხელად თვალებშუა ვატაკე. მამა ნაღვლიანად უსმენდა.

- ძაღლი იშვიათად თუ აწყენინებს ვისმეს, - თქვა მან, - უბრალოდ ცნობისმოყვარეები არიან, ჩემსავით. ჩემზე კარგად ვის ესმის ძაღლების ავანჩავანი! ჩვენც გვყავს ძაღლი და ძალიან მიყვარს. ჩემი ცოლი სულს ლევს იმ ძაღლის გულისთვის.

- არა, იმ ძუკნას კი კარგად გავუმასპინძლდი, - თქვა მგზავრმა და ნერწყვი გადაყლაპა. - შენ თუ გიყვარს ძაღლები, ბიჭო? - მკითხა.

- პიტერს ყველა უყვარს, - მიუგო მამამ, - რას არ მივცემდი, მაგისთანა კეთილი რომ

ვიყო. მაგრამ თქვენი კარგად მესმის, მისტერ, თუ ძაღლი ღამით მოგვარდება, უცხო გზაზე...

- მე შენ გეტყვი, ვინმე მოიფიქრებს, რომ მანქანაში ჩაგისვას. - თქვა მგზავრმა, - მთელი დღე ყინვაში ვეგდე, კინაღამ სული ამომძვრა სიცივით, ახლაც საათზე მეტია, ვიცდი და პირველმა თქვენ გამიჩერეთ მანქანა.

- მე ყოველთვის ვაჩერებ, - უთხრა მამამ, - სულელებს ზეცა რომ არ ფარავდეს, ახლა თქვენს ადგილას ვიქნებოდი. თქვენ, მგონი, მითხარით, მზარეული ვარო?

- მ-მ-მ, ჰო, ვიყავი წინათ.

- ქედს ვიხდი თქვენს წინაშე. ხელოვანი ყოფილხართ.

თავში მატლივით შემიძვრა აზრი, ამ მაწანწალას მამაჩემი ჭკუიდან შეშლილი ხომ არ ჰგონია-მეთქი. მინდოდა პატიება მეთხოვა უცნობისათვის, მუცელზე მეხოხა მის წინაშე, ამეხსნა, მამამ უბრალოდ ასე იცის, უყვარს უცნობი ხალხი, გული მუდამ რაღაცაზე შემოჰკვნესის-მეთქი.

- რა დიდი რამეა, ეგ არის, ტაფაზე ქონი არ უნდა მიგეწვას, - გაისმა ფრთხილი პასუხი.

- ტყუით, მისტერ! - შესძახა მამამ. - პატარა საქმე როდია მილეთის ხალხისთვის საჭმლის მომზადება. მე მილიონ წელიწადშიც ვერ ვისწავლიდი.

- ერთი თქვენც, ალთაბალთას მიედ-მოედებით, - უტიფარი გულახდილობით მიუგო მგზავრმა. - ამ თაღლითებს ოღონდ თხელი ბიფშტექსი დაუმზადე და დანარჩენი ფეხებზე ჰკიდიათ. ქონი გაასაღე და ხორცი გადაანარჩუნე. აბა ერთი ვინმემ კრინტი დასძრას! ას იმდენს ვეტყვი პასუხად. ყველანი დოლარზე ლოცულობენ. იმათ ყავას რა დამალევინებს! ნამდვილი შავკანიანის შარდია.

მგზავრი თანდათან გამოცოცხლდა, მე სულ მთლად მოვიკუნტე, კანი საშინლად მექავებოდა.

- მე კი მინდოდა, მეაფთიაქე გავმხდარიყავი, - უთხრა მამამ. - მაგრამ, კოლეჯი რომ დავამთავრე, სულ სხვა ჰანგზე ავმღერდი. მამაჩემმა ბიბლია და უამრავი ვალები დაგვიტოვა. კი არ ვამტყუნებ, - საბრალო, ცდილობდა ნამუსიანად ეცხოვრა. ზოგი ჩემი

მოსწავლე - სკოლაში ვმუშაობ მასწავლებლად - ფარმაცევტულ სკოლაში შევიდა და როცა იმათ ლაპარაკს ვისმენ, ვრწმუნდები, რომ საამისოდ ტვინი არ მეყოფოდა. აფთიაქში თავიანი კაცია საჭირო.

- შენ ვინ გიდა გამოხვიდე, ბიჭუნა?

მამას ყოველთვის რცხვენოდა იმის გამხელა, რომ მხატვარი მინდოდა გამოვსულიყავი.

- ამ საცოდავსაც გზა-კვალი აერია, ჩემი არ იყოს, - თქვა მამამ. - ეგ სულ უნდა მოშორდეს აქაურობას და სადმე, მზიურ მხარეში გადავიდეს საცხოვრებლად.
კანი აქვს ისეთი, რომ გაიტანჯა პირდაპირ.

მამამ თითქოს ტანსაცმელი შემომაძარცვა და ჩემი აქავებული ფუფხი გააშიშვლა. სიბრაზისაგან თვალთ დამიბნელდა და მამაჩემის სახე ცივ, უტყვ ლოდად მეჩვენებოდა.

- მართლა, ბიჭიკო? რა გჭირს?

- ლურჯი კანი მაქვს, - ვთქვი მე. თავს ძლივს ვიკავებდი.

- ხუმრობს, - მიუგო მამამ. - მაგრამ ყოჩაღი ბიჭია. მაგისთვის ყველაზე კარგი იქნებოდა, ფლორიდაში რომ წასულიყო. თქვენ, რომ ყოფილიყავით მაგის მამა, ალბათ, იქ იცხოვრებდით.

- ვაპირებ იქით გასეირნებას ორ-სამ კვირაში. - თქვა მგზავრმა.

- ესეც წაიყვანეთ! - შესძახა მამამ. - ეს ბავშვი ნამდვილად უკეთესი ცხოვრების ღირსია. მე კი ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მომეძევება; დროა სხვა მამა მონახოს, მე უკვე აღოღებული ნაგავი ვარ.

გზის იქით მამამ ოლტონის დიდ სანაგვეს მოჰკრა თვალი. აჭრელებულ გროვაზე აქა-იქ მხრჩოლავი კოცონი ბოლავდა. ამქვეყნად ყველაფერი იხრწნება, იჟანგება და მერე ხელახლა აღორძინდება შავი, სიდამპლის შვიტასავით ფუმფულა, ხაოიანი, უცნაური სხეულებიდან. მდინარიდან მონაბერ პირქარს შამბნარის

მაღალ ღეროებზე ფერადი ქაღალდის ნაკუწები მიეტმასნა და ზედ გაშეშებულიყო

მოჩვენება-ალმებად. მოშორებით კი მდინარე „გაჭენებული ცხენი“ მოედინებოდა და შავი წყლის მოსარკულ ზედაპირზე ზემოდან გადმომხობილი, უტყვი, ლურჯი ლაჟვარდი არეკლილიყო. აირსაცავები რუხი სპილოებივით დარაჯობდნენ ქალაქის აგურისფერ ჰორიზონტს, უზარმაზარი ცილინდრები ადი-ჩადიოდა; ოლტონი, იდუმალი ქალაქი, ვარდისფერი და მეწამული ყაითანივით გაწელილიყო მომწვანო-მოწითალო გორაკების ძირში. ოლტონის მარადმწვანე მთის ციცქნა ქედი მუქი ნაპრალივით აჩნდა ცას. ხელი თავისით ამოძრავდა, თითქოს ტილოზე ფუნჯის მოსმას ლამობდა. გზატკეცილის გასწვრივ რკინიგზის ლიანდაგის ვერცხლისფერი ზოლები გარბოდნენ; ფაბრიკების ახლოს, მანქანების სადგომებზე ტევა აღარ იყო; გზატკეცილი ქალაქის გარეუბნის ქუჩამ შეცვალა, რომელიც ავტომობილის სააგენტოებს, დაჟანგულ, მოძრავ რესტორნებსა და შიფერის სახურავიან სახლებს შორის მიიკლაკნებოდა.

- აი ისიც. ვრცელი და დიდებული ქალაქი ოლტონი, - უთხრა მამამ მგზავრს, - ბავშვობაში რომ ეთქვა ჩემთვის ვინმეს, სიცოცხლეს ოლტონში, პენსილვანიის შტატში დაასრულებო, სიცილს დავაყრიდი. იმ დროს არც კი ვიცოდი, ასეთი ქალაქი თუ არსებობდა.

- პატარა, ბინძური ქალაქი, - თქვა ჩვენმა მგზავრმა.

მე კი ის მშვენიერი მეჩვენება.

მამამ მანქანა ასოცდამეორე ქუჩისა და ტრამვაის ხაზების გზაშესაყარზე გააჩერა, წითელ შუქნიშანთან. მარჯვნივ ლიანდაგები ბეტონის ხიდისკენ მიემართებოდნენ, „გაჭენებული ცხენის“ გადაღმა. ნამდვილი ოლტონი სწორედ მდინარის გაღმა იწყებოდა. მარცხნივ სამ მილზე ოლინჯერი იყო და კიდევ ორზე - ელი.

- რა გაეწყობა, - თქვა მამამ, - იძულებული ვარ ყინვაში გადმოგსვათ.

მგზავრმა კარი გააღო. იმ წუთიდან, როცა მამამ ჩემი კანის ამბავი უთხრა, მისი ჭუჭყიანი გრძნობების ნიაღვარმა იკლო, მაგრამ მაინც ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემს კეფას, იქნებ შემთხვევითაც. ჩასვლისას მაწანწალამ მაგრად ჩაიხუტა ფუთა. მისი ფაფისებური სახე ისევ გამკვრივდა.

- ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, - უთხრა მამამ. მგზავრი გაიკრიჭა:

- მ-და...

კარმა გაიჯახუნა. მწვანე სინათლე აენთო. გული ახლა მშვიდად მიცემდა. ჩვენმა მანქანამ მშვიდად გადაუარა ტრამვაის რელსებს და ოლტონში მიმავალი ავტომობილების ხროვას ეკვეთა. უკან მივიხედე.

მანქანის მტვრიან შუშაში ჩვენი მგზავრი დავინახე - ფუთით ხელში დამტარებელს ჰგავდა. მალე ის პატარა, ყავისფერ ლაქასავით მოჩანდა ხიდის თავთან, მერე ზევით აფრინდა და გაუჩინარდა.

- ეს კაცი ჯენტლმენია, - სერიოზული გამომეტყველებით მითხრა მამამ.

გულში დაგუბებული ბრაზი მახრჩობდა. გადავწყვიტე, სანამ სკოლაში მივიდოდით, ყველაფერი მამაზე გადმომენთხია.

- დიდსულოვნებაც ამას ქვია, - დავიწყე მე. - დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინე. სულთამხუთავივით მაჩქარებდი, ლუკმა ყელში გამეჩხირა და მერე ვიღაც ქეციანი მაწანწალა ჩასვი, ზედმეტი სამი მილი გაიარე, მადლობა მაინც ეთქვა. ახლა რომ დავიგვიანებთ, მაგას არ უნდა ბევრი ლაპარაკი. წამომიდგენია, როგორ იყურება ზიმერმანი საათზე და შენს ძებნაში დერეფნებში დარბის. ბოლოსდაბოლოს ერთხელ მაინც არ შეგიძლია ისე მოიქცე, რომ სისულელე არ ჩაიდინო. რა ნახე ამ მაწანწალებში? ესე იგი ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა - მე რომ არ დავბადებულიყავ, შენც მაწანწალა გახდებოდი, არა? ფლორიდა! ჩემს კანზე მაინც რაღას უყვებოდი. კარგი სამსახური კი გამიწიე, დიდი მადლობა! ბარემ გეთქვა და პერანგსაც გავიხდიდი. იქნებ, ჩემი დაფუფქული ფეხებიც უნდა მეჩვენებინა. რა საჭიროა, ყველა გამვლელ ვიგინდარას რომ ჩაუკაკლო ყველაფერი? თუ გგონია, ვინმეს რამეში ენაღვლება?! ამ იდიოტმა მარტო ის იცის, ძაღლები როგორ დახოცოს და კეფაში როგორ შემომასუნთქოს. ბალტიმორის მარმარილოს კიბეები!.. თუ ღმერთი გწამს, მითხარი ერთი, მამა, რაზე ფიქრობ, გუდას პირს რომ მოხსნი ხოლმე?

მაგრამ, რამდენიც გინდა ლანძღე კაცი, თვითონ ხმას თუ არ იღებს. მეორე მილი ოლინჯერამდე ისე გავიარეთ, რომ არც ერთს კრინტი არ დაგვიძრავს. მამას დაგვიანებისა ეშინოდა და თავქუდმოგლეჯილი ერეკებოდა მანქანას, ავტომობილების მთელ მწკრივს გაუსწრო. ზედ ტრამვაის ხაზზე მიქროდა. ბორბლები რელსებზე სრიალებდნენ და საჭე ხელიდან უსხლტებოდა. საბედნიეროდ მალე მივედით. როცა ქუჩაში გამოკრულ დაფას ჩავუქროლეთ, საიდანაც „ლომები“, „როტარიანელები“, „კივანები“ და „ცხენ-ირმები**[5]**“ მოგვძახოდნენ, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“, მამამ მითხრა:

- ნუ დარდობ, პიტერ, შენი კანის შესახებ რომ შეიტყო, დაავიწყდება. მასწავლებლებზე კარგად არავინ იცის, რომ ხალხი ყველაფერს ივიწყებს. ყოველდღე ამ ჩლუნგ სახეებს მივჩერებივარ და სულ სიკვდილი მახსენდება.

არაფერი რჩება ამ ბავშვების თავში. მახსოვს, როცა ჩემმა მოხუცმა იგრძნო, რომ კვდებოდა, ლოგინში თვალი გაახილა, დედას, ალმას და მე გადმოგვხედა და გვკითხა: „როგორ გგონიათ, საუკუნოდ დამივიწყებენ?“ ამაზე ხშირად დავფიქრებულვარ. საუკუნოდ. საშინელებაა, როცა მღვდელი ამას იტყვის. შიშით კინაღამ გული გამისკდა.

სკოლას რომ მივუახლოვდით, მოსწავლეების უკანასკნელი ნაკადი ჯგროდ აწყდებოდა კარს. ზარი უკვე დარეკეს. სახელმძღვანელოები ავიღე და სანამ მანქანიდან გადმოვიდოდი, უკანა საჯდომს შევავლე თვალი.

- მამა! - დავიყვირე, - ხელთათმანები გაქრა!

მამას რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადადგმული ჰქონდა შენობისაკენ. ის მანქანისაკენ შემოტრიალდა, მეჭეჭებიანი ხელი თავზე გადაისვა და ლურჯი ქუდი გადაიძრო. თმა აბურძგნოდა.

- რას ამბობ? იმ საძაგელმა გაიყოლია?

- აბა სხვა ვინ! აქ აღარ არის, მარტო გვარლი და რუკაა.

მამა ხელად შეურიგდა ამ ამბავს.

- რას იზამ, - თქვა მან. - ეტყობა, იმას ჩემზე უფრო სჭირდებოდა.

და გზა განაგრძო. ფართო ნაბიჯებით კეცავდა ბეტონის ბილიკს. მე ვერ ვეწეოდი. სახელმძღვანელოები ხელიდან მიცვივდებოდა და თანდათან ჩამოვრჩი. მუცელი უსიამოდ მძიძგნიდა იქ, სადაც სახელმძღვანელოები მაჭერდა. ვერ მომენელებინა, რომ მამამ არაფრად ჩააგდო ჩემი საჩუქარი. მე კი რად მიღირდა! მამა ყველაფერს სხვებს ურიგებდა, ჯერ აგროვებდა ნივთებს და მერე ფანტავდა, ლამაზ ტანსაცმელსა და ფუფუნებაზე ოცნებაც მისგან გადმომედო, და ახლა, პირველად, მამის სიკვდილი, თუმცა უაზრო და ვარსკვლავებივით შორეული, პირქუშ და საზარელ მუქარად მეჩვენა.

III

შეგვიანებული ხირონი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა იალღუნის, ურთხელის, დაფნის ხისა და კერმესის მუხის მწვანე დერეფანს. კედრებისა და ვერცხლისფერი ნაძვების ძირში,

რომელთა კენწეროები ოლიმპური სილაჟვარდით ელავდა, მარწყვის ხის, ველური მსხლის, შინდის, ბზისა და დანდურის ნორჩი ბარდნარი უხვად ჰყვაოდა და ჰაერი ტყეში ყვავილების წვენისა და ქორფა ყლორტების სურნელით

იყო გაჟღენთილი. აყვავებული რტოები აქა-იქ ცინცხალ სახეებად ჩაქარგულიყო მწვანედ მოხასხასე გამოქვაბულის მერწევ კედლებში და ხირონს შიგ ფეხი ებლანდებოდა. მან ნაბიჯი შეანელა. კენტავრის უტყვ და უხილავ თანამგზავრად ქცეულმა ჰაერის ნაკადმა, მის მაღლა შემართულ თავს რომ ევლებოდა, აგრეთვე შეაჩერა სრბოლა. მწვანე ამონაყარით გადაბურდულმა და ჩიტების სწრაფი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოძახილით გაყრუებულმა კორდებმა ხირონს ბავშვობიდანვე ნაცნობი მღვიმეები მოაგონა. ხმები თითქოს ნაირ-ნაირი ელემენტებით დახუნძლული სახურავიდან ცვიოდა. (ერთმანეთში ირეოდა

წყლის და სპილენძის, გაპრიალებული ხისა და ჩანავლებული, მბჟუტავი ცეცხლის ხმა.) სიმშვიდე დაეუფლა. მოწაფის თვალით - რამეთუ მასწავლებელი სხვა არა არის რა, თუ არა აღზრდილი მოწაფე, - ადვილად აგნებდა ბუჩქნარში კენტად მიმალულ ბაზილიკას, შხამას, ნაღველას, რძიანას, კილამურას, ბრიონიას, აკონიტსა და ზღვის ხახვს. ბალახის ერთფეროვან ზღვაში ყვავილის, ფოთლის, ღეროსა და ეკლის მოყვანილობის მიხედვით განასხვავებდა იქსიას, მარწყვა-ბალახას, ტკბილ მაიორანს და ლევკოიონს, და როცა მათ გამოიცნობდა, მცენარეებიც, თითქოს გმირს ესალმებიანო, წელში იმართებოდნენ და შრიალებდნენ.

შხამა დამღუპველია ცხენის ჯიშისთვის. თრიმლი რამდენიც არ უნდა თელო, უარესად გამრავლდება. ხირონი თავისდაუნებურად აღადგენდა მეხსიერებაში სამკურნალო ბალახების შესახებ დიდი ხნის წინ შეძენილ ცოდნას.

იმ მცენარეთაგან, სტრიქნოზულს რომ უწოდებენ, ერთნი ძილს იწვევენ, მეორენი კი გონებას ვნებენ. პირველთა ფესვი, მიწიდან ამოღებული, - თეთრია, გახმობის შემდეგ კი სისხლივით გაწითლდება. მეორე მცენარეთ ზოგნი თრიონს უხმობენ, სხვანი კი -

პერიტონს. ამ მცენარის სამი მეოცედი უნცია სხეულს ამაგრებს, ორმაგი დოზა ბოდვას იწვევს, სამმაგი კი - გონების უკურნებელ დაბნელებას. კიდევ უფრო დიდი დოზა სასიკვდილოა.

ქონდარი არ იზრდება იმ ადგილებში, რომლებიც ზღვის ქართაგან დაცულია. მისი ფესვის ამოთხრისას ისე უნდა დადგე, რომ ქარი სახეში გცემდეს. გამოცდილი შემკრები ამბობს, რომ პეონის ფესვის ამოთხრა მხოლოდ ღამით

შეიძლება, რადგან ამ დროს კოდალამ თუ დაგინახა, სწორი ნაწლავი გამოგვარდებაო. ხირონს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს ცრუმორწმუნეობა, მას ხალხის სიბნელიდან დახსნა უნდოდა. აპოლონი და არტემიდე დაჰპირდნენ, რომ შემწეობას აღმოუჩენდნენ. მიწავაშლას გარშემო ხმლით სამმაგი წრე უნდა შემოხაზო და ისე ამოთხარო, რომ სახე აღმოსავლეთისკენ გქონდეს

მიქცეული. დახუჭუჭებულ წვერს ზემოთ ღიმილმა გააპო ხირონის ჭიაფერი ტუჩები, როცა გაახსენდა, რამდენი წვალება და ფიქრი გადახდა, ვიდრე ჭეშმარიტად სამკურნალო ბალახს მიაგნებდა. მიწავაშლას შესახებ მთავარია ის იცოდე, რომ საჭმელში თუ შეურევ, კარგად შველის ნიკრისის ქარს, უძილობას, დევსურას და სქესობრივ უძლურებას. ველური კიტრის ფესვი ჰკურნავს ცხვარს
თეთრი
სიდამპლისა

და მუნისაგან. ზეითუნის ზეთში დანაყილი დენგრას ფოთლები ძვლის მოტეხილობას და ჩირქოვან ჭრილობებს ახორცებს, ხოლო მისი ნაყოფი ხელს უწყობს ნაღველის გაწმენდას. კრაზანა, რომელიც ორასი წლის მანძილზეც არ კარგავს ძალას, კარგია, როგორც ნაწლავების, ისე კუჭის გასაწმენდად. ყველაზე უკეთესი ბალახი ჩრდილოეთში იცის, ცივ და მშრალ ადგილებში, განსაკუთრებით ევბეაზე. კარგი ბალახი იზრდება აიგესა და ტელეთრიონში. ყველა სურნელოვანი მცენარე გარდა ზამბახისა, აზიიდან არის შემოტანილი: კასია, დარიჩინი, ილი, ნარდი, სტირაქსი, ზმირნი, კამა. შხამიანი მცენარეულობა კი ადგილობრივია: შხამა, კონიო, შემოდგომის ენძელა, ხაშხაში, ბაია; რძიანა სასიკვდილოა ძაღლთათვის და ღორთათვის; თუ გსურს გაიგო, გადარჩება თუ არა ავადმყოფი, აურიე დანაყილი რძიანა ზეთსა და წყალში, მიღებული მალამოთი დაზილე ავადმყოფი და ასე შეინახე სამ დღეს. თუ ამას გადაიტანს, იცოდე, რომ იცოცხლებს.

მის თავზე ჩიტმა, თითქოს ნიშანს აძლევსო, ლითონის მკვეთრი ხმით დაიძახა: „ხირონ! ხირონ!“ ძახილი ისარივით ავარდა ზევით, წამოეწია მას, ზედ ყურთან გაიწკრიალა და მერე უცხო და ბედნიერი, ლაღად აიჭრა იქ, სადაც ტყის ბილიკის ბოლოს მზის სხივებში გახვეული გაბარდნილი კარავი ირწეოდა.

ხირონი ტრიალ მინდორზე გამოვიდა. იქ ელოდნენ მოწაფეები: იაზონი, აქილევსი, ასკლეპიოსი, და კიდევ ოლიმპოს მეფეთა ათიოდე შთამომავალი, რომლებიც მისი ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდნენ, და რომელთა შორისაც ხირონის ასული ოკიროეც იმყოფებოდა. სწორედ ისინი უხმობდნენ ხირონს. მოწაფეები ნახევარ წრედ დამსხდარიყვნენ თბილ, მწვანე ბალახზე და მხიარულად მიესალმნენ მას. აქილევსმა, რომელსაც შვლის ძვალი ეჭირა და ტვინს წუწნიდა, თავი ასწია. ნიკაპზე ფუტკრის ფიჭის ნამცეცები მიჰკვროდა. ჭაბუკის ლამაზ სხეულს სიმსუბუქე მორეოდა. ფართე, თეთრ მხრებზე ქალური სისავსე გამჭვირვალე მოსასხამივით დაჰფენოდა და ეს ცოტა არ იყოს მოუქნელს ხდიდა მის ნაწრთობ სხეულს, თვალებში ცეცხლს უქრობდა. ამ მომწვანო, ფირუზისფერ თვალთა გამოხედვა ორჭოფული და მწველი იყო. მოწაფეებიდან არავინ აწვალებდა ასე ხირონს, მაგრამ აქილევსივით არც არავინ საჭიროებდა მასწავლებლის ქებას და არც სხვებივით გაუბედავი სიყვარულით უყვარდა

მოძღვარი. იაზონისადმი გულგრილი იყო ხირონი. კაფანდარა იაზონი თავის ასაკთან შედარებით მთლად ნორჩი ჩანდა და თავი გამომწვევად ეჭირა, შავ თვალებში უკრთოდა მშვიდი გადაწყვეტილება: ყველაფერი აეტანა. ასკლეპიოსი, მისი უსაყვარლესი მოწაფე, წყნარი და თავშეკავებული, უკვე ბევრ რამეში ჯობდა

მასწავლებელს. ისრით განგმირული მოღალატე კორონიდეს საშოდან ამოგლეჯილი ასკლეპიოსიც უდედოდ, ღვთაებრივი მამის შორეული მეურვეობით იზრდებოდა. ხირონი მას ისე ეპყრობოდა, თითქოს მოწაფე კი არა, მისი ამხანაგი ყოფილიყო და შესვენების დროს, ვიდრე სხვები მხიარული თამაშით იქცევდნენ თავს, ეს ორი გულბრძენი სწავლული ცოდნის საიდუმლოებაში ეფლობოდა.

მაგრამ ყველაზე ნაზად ხირონის მზერა ასულის ოქროსთმიან თავს ევლებოდა. სიცოცხლე დუღდა მის პაწია ქალში. თმის ტალღები ეხვეოდა და ერთმანეთში ეხლართებოდა, როგორც ფაფარაშლილ ცხენების რემას, როცა მას ზევიდან დაჰყურებს. ეს მისი საკუთარი სიცოცხლეა, რომელსაც ზევიდან დაჰყურებს. მისმა პლაზმამ ასულში ჰპოვა უკვდავება. ხირონმა მზერა შეაჩერა გოგონას თავზე, რომელიც უკვე ქალური და თავნება გახლდათ. ეს მისი თესლია - ამ დაუდგრომელ, ჟინიან, დიდშუბლა და გრძელფეხებიან გოგოს ოდესღაც მის გვერდით, ხავსზე წამოწოლილი ხარიკლო ძუძუს აწოვებდა და გამოქვაბულის შესასვლელს ზემოთ ვარსკვლავები ჩურჩულებდნენ. გოგონა მეტისმეტად ჭკვიანი იყო და ამან ბავშვობა მოუწამლა; ხშირად კარგავდა წონასწორობას და აღონებდა მშობლებს, ვისი სული და გულიც იყო.

მამაზე მეტად ოკიროეს სტანჯავდა წინასწარჭვრეტის უნარი; მამას კი ვერაფერი ეღონა, ვერას შველოდა ხირონის ვერა სამკურნალო ბალახი; წელიწადის უმოკლეს ღამით, პსოფიდის ახლოს, ქვა-ნიადაგიდან შუაღამისას ამოთხრილი ყოვლისმკურნავი ფესვიც ვერაფერს რგებდა, ამიტომ ხირონი არასოდეს უჯავრდებოდა, რა ღვარძლიანად და მკაცრადაც არ უნდა დაეცინა შვილს მამისათვის. მშვიდად იტანდა ყოველივეს, ოღონდ შეენდო ოკიროეს, რომ მამას არ შეეძლო მისი ტანჯვის შემსუბუქება.

საღამოს გუნდში თითოეული ბავშვის ხმას საკუთარი ფერი ჰქონდა ხირონის თვალში. მრავალხმიანობა ცისარტყელად ენთებოდა. ხირონს თვალი ცრემლმა დაუსველა. ყოველდღე, მეცადინეობის წინ, ბავშვები ჰიმნს უმღეროდნენ ზევსს. ისინი იდგნენ კენტავრის წინ თავიანთ მსუბუქ ტანსაცმელში გამოწყობილნი და მათ ტანს ჯერ არ მიეღო ჭურჭლის ან მახვილის სახე, რათა დაეთრგუნა ანდა აღვსილიყო, იარაღად ქცეულიყო არესის ანდა ჰესტიას ხელში. ერთნაირები იყვნენ, თუმცა სხვადასხვა სიმაღლისანი: ერთ სალამურად შეკრული

ტანწვრილი და ფერმკრთალი ლერწმები საგალობელს აღავლენდნენ ჭეშმარიტი ყოფიერების ღმერთის, ზევსის სადიდებლად:

მეუფევ, ცათა შინა,
ვისაც გმორჩილებს დარი,
ზევსო, დიადო ღმერთო.
შენს სადიდებელს ვმღერით!
შეგვმოსე ნათლის სხივით,
გრიგალთა მბრძანებელო,

მოგვეც სიმხნევე სულის,
ღვთაებავ ელვა-ჭექის!

მსუბუქი, მძაფრი ქარი აღიტაცებდა სიმღერას და გაჰქონდა იგი ისევე, როგორც ქალიშვილების მხრებზე შემოხვეულ შარფებს აფრიალებს ხოლმე.
შარავანდედის მფენო,

მზეზე ნათელო ღმერთო,
სიღრმით უძირო აიდის დარო,
ზღვაზე ვრცელო,
აღსავსე ჰარმონიით,

ცის ტახტის დამამშვენო,
ქვეყნად გაბრწყინდა შენი ყოველი არსი
მადლით!
კენტავრის სერიოზული ხმა გაუბედავად შეუერთდა უკანასკნელ საგალობელს:
ო, ზევსო, დიდო ღმერთო,
მოკვდავთ ნუგეში შენ ხარ,

ჩვენო იმედო, ბურჯო,

შენს წინ ვცახცახებთ შიშით.
სიკეთე მოგვანიჭე,

ღვთიურ წყალობის ნიშნად,

გვაუწყე ნება შენი,

ისმინე ჩვენი ლოცვა!
ისინი დუმდნენ. მდელოზე, მხარმარცხნივ, ხის კენწეროების თავზე, ზუსტად მზის

პირდაპირ, შავი არწივი აფრინდა. ხირონი წამით შეკრთა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ არწივი აფრინდა მისგან მარცხნივ, მაშასადამე - მარჯვნივ ბავშვებისაგან. მარჯვნივ და ზევით - ორმაგი წყალობის ნიშანია. (ოღონდ, მისგან კი მარცხნივ), მოწაფეებმა მოწიწებით ამოიხვნეშეს და როცა არწივი მზის ნაირფერად შარავანდედში შთაინთქა, აღელვებულნი ახმაურდნენ. ხირონს გაეხარდა, როცა შენიშნა, რომ თვით ოკიროეზეც მოახდინა ამან შთაბეჭდილება.

გოგონას სახე გახსნოდა. მისი თმის ბზინვარება გაბრწყინებულ თვალებს კიდევ უფრო აელვარებინა და ოკიროე ჩვეულებრივ, მხიარულ და უზრუნველ გოგონას დაემსგავსა. ღვთისმოსაობა დაბადებიდან სძულდა და ამტკიცებდა, - დადგება დღე, როცა ზევსს უბადრუკ სათამაშოდ ჩათვლიან, რომელიც ხალხმა თვითონ გამოიგონა. მაშინ სიცილს დააყრიან მას, ოლიმპოდან უფსკრულში გადაუძახებენ და ბოროტ დამნაშავედ გამოაცხადებენო.

არკადიის მზე სულ უფრო და უფრო მხურვალე ხდებოდა. ჩიტების გალობა შეწყდა. ხირონი მთელი თავისი არსებით გრძნობდა, მზის გულზე როგორ ნებივრობდნენ

ზეთისხილის ხეები. ქალაქელი მლოცველები, ტაძრის თეთრ საფეხურზე ასვლისას, შიშველი ფეხებით ცხელ მარმარილოს ეხებოდნენ. ხირონმა მოწაფეები ტოტებგაბარდნილი წაბლის ხის ჩეროში შეიყვანა, რომელიც, გადმოცემის თანახმად თვითონ პელასგოსის მიერ იყო დარგული. უზარმაზარ ხის ტანში მწყემსის ქოხი ჩაიდგმებოდა. ბიჭები, თითქოს დამარცხებული მტრის სხეულებთან ჩაიმუხლესო, გამარჯვებული იერით ჩასხდნენ ხის ფესვებს შორის. გოგონებმა ხავსზე მოიკალათეს. ხირონმა ღრმად ამიოხრა; ფილტვები ბადაგივით ტკბილი ჰაერით აევსო. მოწაფეები სრულყოფის გრძნობას ანიჭებდნენ. ისინი ხარბად ნთქავდნენ მასწავლებლის სიბრძნეს. მათში დაბუდებული ცოდნის ცივი ქაოსი მზეზე გალღვა და მხიარული, ჭაბუკური ფერებით შეიღება. ზამთარს ზაფხული სცვლიდა.

- ჩვენი საუბრის საგანი დღეს, - დაიწყო მან, და ხშირ, მწვანე ჩრდილში მიმოფანტული ხეები, ვით ყვავილის გვირგვინი ნაწვიმარზე, გაიტრუნნენ და სული განაბეს, - ყოველი არსის შექმნაა. თავდაპირველად, - განაგრძო კენტავრმა, - ქარით განაყოფიერებულმა შავნაბადა ღამემ ვერცხლის კვერცხი დასდო უკუნეთის საშოში. ამ კვერცხიდან გამოიჩეკა ეროსი, რაც ნიშნავს...

- სიყვარულს, - მიუგო ბავშვის ხმამ ბალახიდან.

- და სიყვარულმა აამოძრავა სამყარო. მან შვა ყველაფერი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედამიწა, თავისი მთებითა და მდინარეებით, ხეებით, ბალახითა და ცოცხალი არსებებით. ოქროსფრთიანი ეროსი ოთხთავა იყო და

ორსქესიანი, ზოგჯერ ის ხარივით, ან ლომივით ღრიალებდა, ზოგჯერ გველივით სისინებდა, ანდა ცხვარივით ბღაოდა. ვიდრე ის იყო მბრძანებელი, ქვეყნად თანხმობა სუფევდა, როგორც ფუტკრების სკაში. ხალხი უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობდა; რკოთი, კენკრითა და ხის ტკბილი წვენით იკვებებოდა; ცხვრისა და თხის რძეს სვამდნენ, არასოდეს ბერდებოდნენ, ბევრს ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ადამიანებს ისევე არ ეშინოდათ სიკვდილის, როგორც დაძინების. ხოლო შემდეგ სამეფო კვერთხი ურანოსს გადაეცა...

IV

გაკვეთილების შემდეგ ორას მეოთხე ოთხში ავედი, მამასთან. იქ ორი მოწაფე დამხვდა. მტრული მზერა ვესროლე მათ, ჩემს დამაბრმავებელ წითელ პერანგში ფანჯარას მივუახლოვდი და ოლტონს დავუწყე ცქერა. იმ დღეს გულში დავიფიცე, მამაჩემს აღარავის დავაჩაგვრინებ-მეთქი და ეს ორი მოწაფე ზედმეტ დროს რომ აკარგვინებდა, ახლა პირველი მტრები იყვნენ, ვისაც უნდა შევბმოდი, ერთი მათგანი დეიფენდორფი იყო, მეორე კი - ჯუდი ლენჯერი. დეიფენდორფი ამბობდა:

- სახელოსნოში მუშაობა, მანქანაზე ბეჭდვა ან სხვა ამგვარი კიდევ მესმის, მისტერ კოლდუელ, მაგრამ კოლეჯში სწავლის გაგრძელებას მე არ ვაპირებ და რიღასთვის ვზუთხო მილიონი წლის წინ ამოწყვეტილი ცხოველების სახელები, რა აზრი აქვს?

- არავითარი აზრი არა აქვს, - მიუგო მამამ. - ორასი პროცენტით მართალი ხარ; რა საქმე

გვაქვს გადაშენებულ ცხოველებთან? ამოწყდნენ და ჩვენი ჭირიც წაუღიათ, აი ჩემი დევიზი. მეც თავი მომძულდა. მაგრამ რაკი მასწავლებელი ვარ და ფულს ამაში მიხდიან, სულ ასე უნდა გიჩიჩინოთ, სანამ სული არ ამომხდება. ან შენ გაიმარჯვებ, ან მე, დეიფენდორფ, და თუ ამ სისულელეს თავიდან არ გამოილალავ, ტყავს გაგაძრობ, სანამ შენ დამასწრებდე. შიშველი ხელებით დაგახრჩობ, თუ დამჭირდა. მე ჩემი სიცოცხლისათვის ვიბრძვი. ცოლი, შვილი და მოხუცი სიმამრი მყავს სარჩენი. შენ გგონია, მე არ მინდა ქუჩაში გასეირნება? ძალიან მეცოდები. ვიცი, რომ იტანჯები.

ხმამაღლა გავიცინე, მაგრამ ფანჯარას არ მოვშორებივარ. ამ გზით მინდოდა შური მეძია დეიფენდორფზე, რომელსაც მამაჩემი უხილავ ქსელში გაება და სისხლს ხარბად სწოვდა. ოჰ, ეს გულქვა ბავშვები! ჯერ გააცოფებენ (იქამდე, რომ სიბრაზისაგან პირზე დუჟი მოადგება და თვალები ბასრი ალმასივით უკიაფებს), ხუთი წუთის შემდეგ კი მოვლენ, გულს გადაუშლიან და უნდათ რომ მამამ

გაამხნევოს, რჩევა მისცეს. მაგრამ ზღურბლს გადააბიჯებენ თუ არა, მაშინვე მის გაკილვას მოჰყვებიან. განზრახ ზურგით ვიდექი, ვიდრე ეს საზიზღარი საუბარი დამთავრდებოდა.

ფანჯრიდან კორდს გავცქეროდი - იქ შემოდგომით სკოლის ორკესტრი ვარჯიშობდა და გოგონების გუნდი სპორტსმენთა მისალმებას სწავლობდა. გვერდით ჩოგბურთის კორტები, ხანაგისკენ მიმავალი გზის გაყოლებით დარგული წაბლის ხეები და შორს, ცისფერ ჰორიზონტში შეჭრილი ქვის სატეხებით დასერილი ოლტონის მთა მოჩანდა. მოსახვევში ჩვენკენ მომავალი ტრამვაი გამოჩნდა, ნავაჭრით დატვირთული მგზავრებით გატენილი. მოსწავლეები, რომლებიც ოლტონის მხარეს ცხოვრობდნენ, გაჩერებასთან შეჯგუფებულიყვნენ. ქვევით, ბეტონის ბილიკებზე, რომლებიც ქალების გასახდელთან იწყებოდა და შენობას ირგვლივ უვლიდა - ცხვირით გაყინულ მინას მივეკარ, რომ უკეთესად დამენახა - ორ-ორად და სამ-სამად იშლებოდნენ გოგონები, ერთმანეთში ირეოდა ბეწვეულის, წიგნებისა და შალის ლაქები. როცა ისინი პირს აღებდნენ, ჰაერში ორთქლი იფანტებოდა. ხმები არ მესმოდა. ვცდილობდი პენისთვის მომეკრა თვალი. მთელი დღე გავურბოდი მას, რადგან მასთან მისვლა მშობლების ღალატს ნიშნავდა, რომელთათვისაც რაღაც შეუცნობელი, ამაღლებული მიზეზის გამო ახლა განსაკუთრებით საჭირო ვიყავ.

- ...მარტო მე, არა? - ეუბნებოდა მამას დეიფენდორფი. ის მუდამ წრიპინებდა. ასეთი

წვრილი ხმა სულ არ შეეფერებოდა მის მძლავრ, ტანწყობილ სხეულს. ხშირად მინახავს შიშველი დეიფენდორფი გასახდელში. წითური ბანჯგვლით დაფარული, სქელი ფეხები, ფართო, მკვრივი ტორსი, დაქანებული, ლაპლაპა მხრები და გრძელი მკლავები ჰქონდა, პატარა, ნავის მსგავსი წითელი ხელის მტევნებით. ნაღდი მოცურავე იყო.

- ეს მართალია, მარტო შენ არა ხარ ასეთი, - დაეთანხმა მამა. - მაგრამ, მაინც, დეიფენდორფ, გეტყვი, რომ ყველაზე უარესი ხარ. წლეულს შენისთანა გაუგონარი მოწაფე არ მყოლია.

მამამ გულგრილად წარმოთქვა ეს სიტყვები. მრავალი წლის განმავლობაში სკოლაში მუშაობის შემდეგ მას შეეძლო ზუსტად განესაზღვრა მოსწავლის მორჩილება, ათვისების უნარი, სპორტული მონაცემები.

გოგონებს შორის პენი არ ჩანდა. დეიფენდორფი დუმდა ჩემს ზურგს უკან, გაოცებული, და, მგონი, ცოტა ნაწყენიც. მას ერთი სუსტი მხარე ჰქონდა. უყვარდა მამაჩემი. მიმძიმს ვაღიარო, მაგრამ მამაჩემი და ეს პირუტყვი ძალზე გულთბილ

განწყობილებაში იყვნენ ერთმანეთთან. ეს ჩემს აღშფოთებას იწვევდა. ნერვები მეშლებოდა, მამაჩემი ენად რომ

გაიკრიფა ამ ლაწირაკთან, თითქოს მთელ ამ სისულელეში, რასაც ისინი როშავდნენ, საღი აზრის ნატამალი მოიძევებოდა.

- ჩვენმა გამჩენმა ბრძენმა მამებმა ასე განსაჯეს, - უხსნიდა მამაჩემი, - რომ ბავშვები ზედმეტი ტვირთია მშობელთათვის. ამიტომ მათ შემოიღეს ციხეები, რომლებსაც ეწოდება სკოლები და წამების იარაღი, რომელსაც ეწოდება განათლება. თქვენ სკოლაში მაშინ გგზავნიან, როცა მშობლებს უკვე აღარ შესწევთ თქვენი მოვლის უნარი, მუშაობის დაწყება კი ჯერ ადრეა. მე საზოგადოების ნაყარნუყარის დაქირავებული ზედამხედველი ვარ, - ავადმყოფთა, ხეიბართა, შეშლილთა და უვიცთა მეთვალყურე. ერთადერთი რამ შემიძლია გირჩიო: სანამ გვიან არ არის, ჭკუაზე მოდი და რამე ისწავლე, თორემ ჩემისთანა არარაობა გამოხვალ, და თავის სარჩენად იძულებული გახდები მასწავლებლობას მიჰყო ხელი. როცა ოცდათერთმეტ წელში, კრიზისის დროს, ქუჩაში მისროლეს, თავგზა ამებნა. სად უნდა წავსულიყავი? არაფერი ვიცოდი. მთელი სიცოცხლე ღმერთი მყავდა შემწედ, თორემ ისე არაფრად ვვარგოდი. კარგია, ჩემი სიმამრის ძმისწულმა, ელ ჰამელმა, სიკეთე გამოიჩინა და მასწავლებლად მომაწყო. მაგრამ შენ ამას არ გისურვებ, ჩემო ბიჭიკო. მართალია, ჩემი უბოროტესი მტერი ხარ, მაგრამ ამას მაინც არ გისურვებ.

ოლტონის მთას გავცქეროდი და ყურები მეწვოდა. რაღაცნაირად მიუწვდომლად, თითქოს ანაზდად აღმოჩენილ კრიალა მინის ჭუჭრუტანიდან განმეჭვრიტოს, თვალწინ წარმომიდგა მომავალი და იმ წუთს დანამდვილებით ვიცოდი, რომ დეიფენდორფი მასწავლებელი გამოვიდოდა. ეს ეწერა და აუხდა კიდეც. თოთხმეტი წლის შემდეგ, როცა მშობლიურ ქალაქში დავბრუნდი, ოლტონის ერთ გარეუბანში დეიფენდორფს შევხვდი. მოჯაჯული ყავისფერი კოსტიუმი ეცვა და გულჯიბიდან ფანქრები და კალმისტრები მოუჩანდა, როგორც ოდესღაც, დიდი ხნის წინ დავიწყებულ დროს, მამაჩემს. დეიფენდორფს სიმსუქნე მორეოდა და საგრძნობლად გამელოტებულიყო, მაგრამ ნამდვილად ის იყო. მან მკითხა, გამბედაობა ეყო ეკითხა ჩემთვის, მეორეხარისხოვანი ჭეშმარიტი აბსტრაქციონისტისათვის, რომელიც ოცდამესამე ქუჩაზე, სხვენზე ზანგ საყვარელთან ერთად ცხოვრობდა, გავხდებოდი თუ არა როდესმე მასწავლებელი. მე ვუთხარი, „არა“- მეთქი. მაშინ მან გრძელი საუბარი გამიბა. თან სერიოზულად შემომცქეროდა თავისი ჩამქრალი თვალებით: „პიტ, ხშირად ვიგონებ, რასაც მამაშენი მეუბნებოდა მასწავლებლის მოწოდების შესახებ. ეს ადვილი არაა, ამბობდა ის, მაგრამ ამქვეყნად ვერაფერი მოგანიჭებს ამგვარ კმაყოფილებასო. ახლა თვითონ გავხდი მასწავლებელი და მივხვდი, რისი თქმაც

უნდოდა. შესანიშნავი ადამიანი იყო მამაშენი. თუ იცი ეს შენ?“ ახლა კი ის თავისი წვრილი, წივანა ხმით რაღაც ამდაგვარს კნაოდა:

- მე თქვენი მტერი არა ვარ, მისტერ კოლდუელ. მე თქვენ მიყვარხართ. თქვენ ყველა ბავშვს უყვარხართ.

- ჩემი უბედურებაც ესაა, დეიფენდორფ. მასწავლებლისათვის არაფერია ამაზე უარეს. მე სულაც არ მინდა, რომ გიყვარდეთ. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა: რომ თქვენ ჩუმად ისხდეთ ჩემს გაკვეთილებზე დღეში ორმოცდაათ წუთს, ხუთ დღეს კვირაში. და კიდევ მინდა, დეიფენდორფ, რომ შენ შიშით კანკალებდე, როცა ჩემს საკლასო ოთახში შემოდიხარ. კაციჭამია კოლდუელი - აი რას უნდა ფიქრობდეთ ჩემზე. ჰურრაჰ!..

მათკენ შემოვტრიალდი და გავიცინე, გადავწყვიტე ჩავრეულიყავი. ისინი გაცვეთილ, ყვითელ მაგიდას სხვადასხვა მხარეს მისხდომოდნენ და ერთმანეთისკენ შეთქმულებივით გადმოხრილიყვნენ. მამა ფერმკრთალი იყო. განაწამები, ჩაცვენილი საფეთქლები უპრიალებდა; მაგიდაზე ქაღალდები, თუნუქის მოსაჭერები და თითქმის გომბეშოებად ქცეული პრესპაპიები ეყარა. დეიფენდორფმა მთლად გაუწყვიტა მამას ქანცი; ძალიან ღლიდა სკოლაში
მუშაობა. ვხედავდი ამას, მაგრამ არაფრის გაკეთება არ

შემეძლო. დეიფიმ ბოროტად ჩაიცინა და ვიგრძენი, რა კმაყოფილებას განიცდიდა, მამაჩემის მღელვარე ლაპარაკს რომ ისმენდა, რა ახალგაზრდა, სუფთა, ლამაზი, თვითდაჯერებული და უძლეველი ეჩვენებოდა საკუთარი თავი ამ დაუცხრომელი, დავარდნილი ბეხრეკის გვერდით. მამამ, რაკი გაბრაზება შემატყო, შეცბა, საუბარი შეწყვიტა.

- რვის ნახევარზე სპორტკლუბთან მოდი, - მკვახედ ესროლა მან დეიფენდორფს.

საღამოსთვის ცურვაში შეჯიბრება იყო დანიშნული და დეიფენდორფი სკოლის სახელით გამოდიოდა.

- იმათ ოხტში კი ამოვალთ, მისტერ კოლდუელ, - დაიქადნა დეიფენდორფმა. - ძალიან გაყოყოჩდნენ. დროა თავის ადგილზე დავსვათ.

მთელი წლის განმავლობაში ჩვენ გუნდს ერთი შეხვედრაც არ მოუგია; ოლინჯერი ნამდვილი სახმელეთო ქალაქი იყო. აუზიც არ გვქონდა, მდინარის ფსკერი კი,

საგუბარში, ხანაგთან, ბოთლის ნამსხვრევებით იყო მოფენილი. ზიმერმანის ნება-სურვილით, რომელიც მასწავლებლებს თავის ჭკუაზე ატრიალებდა, ღმერთმა უწყის რატომ, მამა სკოლის მოცურავეთა გუნდის მწვრთნელად დანიშნეს, თუმცა თიაქარის გამო წყალში შესვლა არც კი შეეძლო.

- გააკეთე ის, რისი ძალაც შეგწევს. შეუძლებელს ვერავინ მიაღწევს, - თქვა მამამ. - წყალზე ჯერ არავის გაუვლია.

ახლა მგონია, რომ მამას მაშინ უნდოდა, რომ შევკამათებოდით, მაგრამ სამივემ დუმილი ვამჯობინეთ.

საკლასო ოთახში ჯუდი ლენჯელიც იყო. მამა ამბობდა, მოხუცმა ლენჯელმა დააშინა გოგონა - უფრო მეტს სთხოვს, ვიდრე მას შეუძლია გააკეთოსო. მაგრამ მე ეჭვი მეპარებოდა ამაში. ჩემი აზრით, ჯუდი სრულიად ჩვეულებრივი გოგო იყო, არც ჭკუით ბრწყინავდა და არც სილამაზით. ძალიან დიდი წარმოდგენისა იყო თავის თავზე და სისხლს უშრობდა მამაჩემისთანა გულუბრყვილო მასწავლებლებს. ჯუდიმ სიჩუმით ისარგებლა და თქვა:

- მისტერ კოლდუელ, მინდოდა ხვალინდელ საკონტროლოზე მეკითხა თქვენთვის.

- ერთ წუთს მაცადე, ჯუდი.

დეიფენდორფი უკვე გაძღა და წასვლა უნდოდა. მიკვირს, როგორ არ აბოყინებდა, როცა სკამიდან ადგა. მამამ ჰკითხა:

- დეიფი, თამბაქოს მოწევაზე რაღას იტყვი? თუ გაიგეს, რომ კიდე ეწევი, გუნდიდან გაგაგდებენ.

წვრილმა, ბრიყვულმა ხმამ ზღურბლიდან დაიწივლა:

- შემოდგომიდან თამბაქო თვალითაც არ მინახავს, მისტერ კოლდუელ.

- ნუ ცრუობ, ჩემო ბიჭიკო. სიცოცხლე მეტისმეტად მოკლეა იმისათვის, რომ კაცმა ტყუილები ილაპარაკოს. ადამინთა მოდგმის არანაკლებ ორმოცდაჩვიდმეტმა წარმომადგენელმა მამცნო, რომ შენ ეწევი, და ზიმერმანის ყურამდე თუ მივიდა, რომ ხელს გაფარებ, შავი დღე დამადგება.

- კარგი, მისტერ კოლდუელ, ყველაფერი გასაგებია.

- ჩემთვის საჭიროა, რომ შენ დღეს ბრასის სტილით ორასი მეტრი გაცურო და გამარჯვებული გამოხვიდე.

- დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მისტერ კოლდუელ.

თვალები დავხუჭე. ჩემთვის აუტანელი წამება იყო მამაჩემის ყურის გდება, როცა ის მწვრთნელის კილოთი ლაპარაკობდა. მაგრამ უსამართლო ვიყავ, ბოლოს და ბოლოს სულ იმას არე ვნატრობდი, რომ ის სხვა მამაკაცებივით ალაპარაკებულიყო, მშვიდი, თვითდაჯერებული კილოთი, ურომლისოდაც ეს ქვეყანა წარმოუდგენელია. იქნებ ის მტანჯავდა, რომ დეიფენდორფს შეეძლო

რაღაცით ეშველა მამაჩემისთვის - თავისუფალი სტილით ბრასით ორას მეტრს თუ გაცურავდა, მე კი ამის უნარიც არ მქონდა. მე არ მისწავლია ცურვა, რადგან ჩემი კანის გამოჩენისა მრცხვენოდა. წყლის სამეფო ჩემთვის მიუწვდომელი იყო და მეც ჰაერი შევიყვარე, ჰაეროვან კოშკებს ვაგებდი და ამას მომავალს ვეძახდი, ამით ვაპირებდი მამაჩემის დაჯილდოებას განვლილი ტანჯვის წილ.

- რაო ჯუდი, რა ამბავია? - ჰკითხა მამამ.

- ვერ გავიგე, რას შეგვეკითხებით.

- მერვე, მეცხრე და მეათე თავებს, ხომ გითხარით გაკვეთილზე.

- უჰ, რა ბევრია!

- შენც სწრაფად გადახედე, ჯუდი, შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ. იცი, როგორ უნდა იმეცადინო.

მამამ უცებ გადაშალა წიგნი - სახელმძღვანელო, რომლის ნაცრისფერ ყდაზეც მიკროსკოპი, ატომი და დინოზავრი ეხატა.

- განსაკუთრებით იმას მიაქციე ყურადღება, რაც კურსივითაა დაბეჭდილი. აი, მაგალითად, მაგმა. რა არის მაგმა?

- ამას შეგვეკითხებით?

- ვერ გეტყვი, რას შეგეკითხებით, ჯუდი. ეს უსინდისობა იქნებოდა სხვების მიმართ, მაგრამ მაინც უნდა იცოდე, მაგმა რა არის.

- ვულკანებიდან რომ ამოდის.

- ჰო, სწორეა. მაგმა ამოფრქვეული ქანია გამდნარ მდგომარეობაში. მერე. დაასახელე მთის ქანების სამი ტიპი.

- ამას შეგვეკითხებით?

- ვერ გეტყვი, ჯუდი, გაიგე. მაინც რა ქანები არსებობს?

- ნარჩენი...

- მაგმური, დანალექი და მეტამორფული. მოიყვანე თითოეულის მაგალითი.

- გრანიტი, კირქვა და მარმარილო, - თქვი მე.

ჯუდიმ შემკრთალმა გადმომხედა.

- ან ბაზალტი, ქვიშა და ფიქალი, - თქვა მამამ. გამოლენჩებული გოგო ხან, მე მიყურებდა და ხან მამას, თითქოს პირი შეგვეკრას მის წინააღმდეგ. თუმცა ასეც

იყო. ზოგჯერ, ბედნიერ წუთებში, მე და მამა განუყოფელ მთელად ვიქცეოდით ხოლმე, პაწია რაზმად, რომელშიც მხოლოდ ორი კაცი შედიოდა.

- გინდა, საინტერესო რამ გიამბო, ჯუდი? - უთხრა მამამ. - ფიქალის ყველაზე მდიდარი საბადოები ამერიკის კონტინენტზე პენსილვანიაშია, ჩვენს გვერდით. ლიჰაის და ნორთჰემპტონის ოლქებში. - მამამ ხელი ზურგს უკან წაიღო და დაფას მიუკაკუნა. - რაც დაფები ჰკიდია სკოლებში, სანაპიროდან სანაპირომდე, სულ აქედან არის წაღებული.

- მაგრამ ეს ხომ არ უნდა ვიცოდეთ?

- სახელმძღვანელოში არ წერია. მაგრამ მე მეგონა, რომ დაგაინტერესებდა. ეცადე დაინტერესდე. ნიშნებზე ნუ ფიქრობ, მამაშენი როგორმე გადაიტანს ამას. მაგრად დადექი მიწაზე, ჯუდი. შენს ასაკში არც კი ვიცოდი, ახალგაზრდობა რა იყო. არც მერე

გამიგია. აი რას გეტყვი, ჯუდი: ზოგი უხვად დაჯილდოებულია ნიჭით, ზოგი კი არა. მაგრამ ერთი რამ ყველას აქვს, თუნდაც ეს მარტო სიცოცხლე იყოს. გულმოწყალე ღმერთმა იმისათვის კი არ შეგვქმნა, რომ ის ვიდარდოთ, რაც არ გაგვაჩნია. ერთ კაცს რომ ორი ტალანტი ჰქონდეს, და მეორეს ხუთი, პირველი შურით არ უნდა აღივსოს მეორის მიმართ. შეგვხედე მე და პიტერს. მე ერთი ტალანტიც არ გამაჩნია, მას კი ათი აქვს. მაგრამ ამისათვის როდი მეჯავრება. მიყვარს. შვილია ჩემი.

ჯუდიმ პირი დააღო და, მეგონა, იტყოდა: „ამას შეგვეკითხებით?“ მაგრამ

არაფერი უთქვამს. მამამ სახელმძღვანელო გადაფურცლა.

- რა ეროზიული აგენტები იცით? - ჰკითხა მან.

ჯუდიმ გამბედაობა მოიკრიბა:

- დრო?

მამამ თავი აიქნია, თითქოს სახრე გადაუჭირესო. თვალები შესივებოდა, ლოყები ავადმყოფურ სიწითლლეს დაესერა, კაცს ეგონებოდა, სილა გააწნეს და სახეზე თითების ანაბეჭდი დარჩაო.

- მართალი გითხრა, ეს სულ აღარ მიფიქრია, - თქვა მან. - მე მხედველობაში მქონდა წყალი, ქარი და მყინვარები. ჯუდიმ ეს ყველაფერი რვეულში ჩაიწერა.

- დიასტროფიზმი, - განაგრძო მამამ. - იზოსტაზია. რას ნიშნავს ეს? დახატე სეისმოგრაფის სქემა. რა არის ბათოლითი?

- მაგრამ ამას ხომ არ გვკითხავთ?

- შეიძლება აღარც კი გკითხოთ, - მიუგო მამამ, - ნუ ფიქრობ საკითხებზე. დედამიწაზე იფიქრე... ნუთუ არ გიყვარს ის? არ გინდა, მეტი იცოდე მის შესახებ? იზოსტაზია მსუქანი ქალის წელზე შემოვლებულ სარტყელს ჰგავს.

ჯუდი სახედაძაბული უსმენდა. ფუმფულა ლოყებშუა ჩაჭყლეტილი ცხვირი ძლივს მოუჩანდა ღრმა და მკაცრ ნაოჭებს შორის. ცხვირის წვერზე მესამე ვერტიკალური ნაკეცი ჰქონდა. ტუჩებიც სუ ნაკეცებში ჩაფლობოდა და, როცა ლაპარაკობდა, ყბები დევისპირას ყვავილივით აუდ-ჩაუდიოდა.

- რა იმას შეგვეკითხებით, რა ჰქვია... პროტოზანს?

- პროტოზოურ ერას? დიახ, ქალბატონო. ასეთი შეკითხვა სავსებით მოსალოდნელია: თანმიმდევრობით ჩამოთვალეთ ექვსი გეოლოგიური ერა და მიუთითე მათი მიახლოებითი ხანგრძლივობა. კაინოზოური ერა როდის იყო?

- მილიარდი წლის წინ?

- შენ ცხოვრობ მასში, ჩემო გოგონავ. ჩვენ ყველანი მასში ვცხოვრობთ. იგი სამოცდაათი მილიონი წლის წინ დაიწყო. გარდა ამისა, შეიძლება, მაგალითად, დავასახელო რამდენიმე გადაშენებული ცხოველი და გთხოვოთ მიუთითოთ, თუ რომელ კლასს, ერას და სისტემას მიეკუთვნება ისინი. მაგალითად: ჯავშნოსნები - ძუძუმწოვრები,

კაინოზოური ერა, მესამეული სისტემა, ეოცენის ეპოქა. ამის ცოდნა აუცილებელი არ არის. იქნებ, შენ თვითონ დაგაინტერესოს იმ ამბავმა, რომ ჯავშნოსანი ძალიან წააგავდა უილიამ ჰაუედ ტაფტს, ჩვენს იმდროინდელ პრეზიდენტს, როცა მე შენოდენა ვიყავი.

დავინახე, როგორ ჩაიწერა ჯუდიმ რვეულში: „ერები არ არის საჭირო, და ამ სიტყვებს ჩარჩო შემოავლო. მამა სულ ლაპარაკობდა, ის კი ამ დროს ჩარჩოს სამკუთხედებით მოხატვას შეუდგა.

- ან ლეპიდოიდენდრონი - გიგანტური გვიმრა, პალეოზოური ერა, პენსილვანიის სისტემა. ან ერიოპსი - ეს რაღაა, პიტერ? მე არ ვიცოდი.

- ქვეწარმავალია, - ვაჯახე ალალბედზე, - მეზოზოური ერა.

- წყალხმელეთა ცხოველია, - მომიგო მამამ. - უფრო ძველ პერიოდს მიეკუთვნება. ან არქეოპტერიქსი, - განაგრძო მან, გამოცოცხლებულმა, დარწმუნებული იყო, რომ ეს უკვე ნამდვილად გვეცოდინებოდა: - რა არის ეს, ჯუდი?

- როგორ, როგორ? არქა...

- არქეოპტერიქსი. - მან ამოიოხრა. - პირველი ფრინველი. ის ყვავისოდენა იყო. ფრთები ქერცლისაგან განუვითარდა. გადახედე ცხრილებს ორას მესამე და ორას მეხუთე გვერდზე. მთავარია სიმშვიდე, დაიხსომე, რაც ჩაიწერე და ყველაფერი კარგად იქნება.

- როცა გაკვეთილებს ვსწავლობ, გული მერევა და თავბრუ მეხვევა, - გამოტყდა ჯუდი. საცა იყო ატირდებოდა. მისი სახე გაუშლელ დამჭკნარ კვირტს მაგონებდა. ის ფერმკრთალი იყო და მისი სიფითრე თვალისდახამხამებაში მოედო მთელ ოთახს, ბრჭყვიალა კედლებს, რომლებსაც ტყეში მოგროვილი აშმორებული თაფლის ტკბილი სურნელი დაჰკრავდა.

- ეს ახალი ამბავი არ არის, - თქვა მამამ და ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დადგა. - ცოდნისაგან ყველას გული ერევა. ეცადე, რაც შეგიძლია, ჯუდი, და მშვიდად იძინე. ნუ შეშინდები. გაივლის ოთხშაბათი და ყველაფერი დაგავიწყდება. ვინ იცის, იქნებ, სულ მალე კიდევაც გათხოვდე და ექვსი შვილი შეგეძინოს.

აღშფოთება ვიგრძენი, რადგან მივხვდი, რომ მამას შეეცოდა ჯუდი და მთელი საკონტროლო საკითხები ჩამოუთვალა.

როცა ჯუდი წავიდა, მამა ადგა, კარი დაკეტა და თქვა:

- საბრალო, მაგის მამას შინაბერა შერჩება ხელში. ჩვენ ორნიღა ვიყავით ოთახში.

ფანჯარას მოვცილდი და ვთქვი:

- იქნებ მამამისს ასეც ურჩევნია.

წუთითაც არ მავიწყდებოდა, რომ წითელი პერანგი მეცვა; ოთახში სიარულის დროს მისი წითელი ბზინვარება თვალის კუთხეში მიელავდა. ამის გამო ჩემი სიტყვები მრავალმნიშვნელოვნად და ჭკვიანურად ჟღერდა.

- მაგას ტყუილად ფიქრობ, - თქვა მამამ. - გაავებულ ქალზე უარესი არაფერია ამქვეყნად. დედაშენს ერთი ღირსება აქვს - არასგზით არ გაბოროტდება. შენ ამას ვერ გაიგებ, პიტერ, მაგრამ მე და დედაშენს ბევრი კარგი რამ განგვიცდია ერთად.

მაინცდამაინც არ მჯეროდა მისი, მაგრამ ეს ისე წარმოთქვა, რომ დუმილის გარდა არაფერი დამრჩენოდა. მერე მაგიდიდან მოცისფერო ქაღალდის ფურცელი აიღო და მე გამომიწოდა.

- წაიკითხე და აქვითინდი, - მითხრა მან. ჯერ მეგონა, ის საბედისწერო დიაგნოზი თუ არის-მეთქი და სისხლი გამეყინა. როდის მოასწრო-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ ზიმერმანის ერთ-ერთი ყოველთვიური შეფასება აღმოჩნდა.

ოლინჯერის საშუალო სკოლა დირექტორის

კანცელარია

10. 1. 47 წ.

მასწავლებელი ჯ. უ. კოლდუელი. საგანი - ბუნებისმეტყველება, მე-*10* კლასი. დასწრების დრო - დილის *11.05, 8.1. 47* წ.

მასწავლებელი გაკვეთილზე თორმეტი წუთის დაგვიანებით გამოცხადდა, გაოცება ვერ დაჰფარა, როცა საკლასო ოთახში დირექტორი დაუხვდა. ეს მოსწავლეებმა შეამჩნიეს. მასწავლებელი შეეცადა მოსწავლეების თანდასწრებით დირექტორისთვის ახსნა-განმარტება მიეცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მის მოსმენაზე. გაკვეთილის თემა მოიცავდა სამყაროს წლოვანებას, ვარსკვლავებს, დედამიწის წარმოშობასა და სიცოცხლის ევოლუციის სქემას. მასწავლებელმა არ დაინდო მოსწავლეთა რელიგიური გრძნობები. საბუნებისმეტყველო დარგების ჰუმანური ღირებულება აუხსნელი დარჩა. ერთხელ მასწავლებელმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეთქვა „ეშმაკმა წაიღოს“. საკლასო ოთახში გაკვეთილის დასაწყისშივე გამეფებული უწესრიგობა და ხმაური თანდათან იზრდებოდა. მოწაფეები, ეტყობა, ცუდად იყვნენ მომზადებული და ამიტომ მასწავლებელმა ლექციური მეთოდის გამოყენება ამჯობინა. როდესაც ერთი წუთი აკლდა ზარის დარეკვას, მან ერთ-ერთ მოსწავლეს ზურგზე

ფოლადის წნელი დაჰკრა. ასეთი ფიზიკური ზემოქმედება წარმოადგენს პენსილვანიის შტატის კანონის უხეშ დარღვევას და მშობლების მხრივ საჩივრის აღძვრის შემთხვევაში შეიძლება გახდეს მასწავლებლის დათხოვნის მიზეზი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელმა იცის თავისი საგანი და გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსწრებული მაგალითი მოიყვანა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ხელმოწერა*:* ლუის მ. ზიმერმანი*.*

სანამ ვკითხულობდი, მამამ ფარდები ჩამოუშვა და საკლასო ოთახში ჩამობნელდა.

- ხომ ხედავ, - ვუთხარი მე, - კარგი შთაბეჭდილება დაგიტოვებია.

- მაგაზე უარეს შეფასებას ეშმაკიც ვერ დაწერს. ალბათ, მთელი ღამე დასჭირდა ამ შედევრის შესათითხნად. ეს ქაღალდი სკოლის საბჭოში რომ მოხვდეს, მაშინვე გამაგდებენ, სტაჟს აღარ მიჰხედავენ.

- ვის დაარტყი? - ვკითხე მე.

- დეიფენდორფს. დევისის უნამუსო გოგომ ჭკუაზე შეშალა საწყალი.

- შენც იტყვი ერთი, საწყალი! ჯერ იყო და მანქანის გისოსი გაგვიტეხა, ახლა კი მაგის გულისთვის სამსახურიდან უნდა დაგითხოვონ. ორი წუთის წინ არ იყო, ამ ადგილას, მთელი შენი ცხოვრება რომ უამბე?

- ის არარაობაა, პიტერ. მეცოდება. აბა, რამ გაგვყო მე და ის? შური გადავყლაპე და

ვთქვი:

- მამა, ეს შეფასება არც ისე ცუდია.

- მაგაზე უარესი რაღა უნდა დაეწერა, - მომიგო მამამ, რომელიც მერხებშუა მიდიოდა ფარდის ჩამოსაშვები ჯოხით ხელში. - გამანადგურა და ეგ არის. ახია ჩემზე, თხუთმეტი წელია აქა ვმუშაობ და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე. არ გინდა თხუთმეტი წელი გაუძლო ამ ჯოჯოხეთს?

მან კარადიდან ჩვარი გამოიღო და კარისკენ გაემართა. კიდევ ერთხელ გადავიკითხე შეფასება. მინდოდა ზიმერმანის განაჩენის აზრს ჩავწვდომოდი. მაგრამ ჩემი ცდა ამაო იყო. მამა უკან დაბრუნდა, - დერეფანში გასულიყო ჩვრის დასასველებლად. ის ხელის ფართო, რიტმული მოსმით შლიდა ნაწერს და დაფაზე შავი, დაბრეცილი რვიანები რჩებოდა. საქმიანი შარიშური სიჩუმეს ხაზს უსვამდა; მაღლა, კედელზე ელექტრულმა საათმა დაიჩხაკუნა და ზიმერმანის კაბინეტში დაკიდებული მთავარი საათის ბრძანება რომ შეესრულებინა, ისარი 5..17-დან 5..18-ზე გადახტა.

- ეს რაღას ნიშნავს - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჰუმანური ღირებულება?

- მიდი და ჰკითხე, - თქვა მამამ. - იქნებ, თვითონ იცოდეს. ალბათ, ატომის სიღრმეში პატარა კაცუნა ზის სარწეველაში და საღამოს გაზეთს კითხულობს.

- ამას მართლასკოლის საბჭოზე წაიკითხავენ?

- ღმერთმა ნუ ჰქნას ეგ, შვილო. უკვე საქმეშია ჩაკერებული. საბჭოში სამი მოწინააღმდეგე მყავს, ერთი მეგობარი და ერთიც ვერ გავარჩიე, მტერია თუ მოყვარე. ამ

მისის ჰერცოგს კაცი ვერაფერს გაუგებს. ისე, ყველას გაუხარდება, თავიდან თუ მომიშორებენ. გამხმარი ხე უნდა მოიჭრას. დემობილიზაციის შემდეგ აუარებელი ხალხი დაბრუნდა, ყველას სამუშაო სჭირდება. მამა ამას ცხვირში დუდღუნებდა, სანამ დაფას წმენდდა.

- იქნებ, ჯობია, შენ თვითონ წახვიდე?

მე და დედა ხშირად ვმსჯელობდით ამის შესახებ და მუდამ საგონებელში ვვარდებოდით, რადგან, როგორც არ უნდა გვემტვრია თავი, მაინც ნათელი იყო, რომ თუ მამა ჯამაგირს დაკარგავდა, ვერ ვიცხოვრებდით.

- გვიანაა, - თქვა მამამ. - მეტისმეტად გვიანაა. - მან საათს დახედა. - დალახვროს ეშმაკმა, მართლა ვაგვიანებ. დოკ აპლტონს დავპირდი ხუთის ნახევარზე მოვალმეთქი.

შიშით სუნთქვა შემეკრა. მამას თავის დღეში არ უმკურნალია. პირველად დავრწმუნდი, რომ მისი ავადმყოფობა გამონაგონი არ იყო. სენმა ლაქასავით გამოჟონა მის სხეულზე.

- მართლა? მართლა ექიმთან მიდიხარ? უხმოდ ვემუდარებოდი, რომ „არა“ ეთქვა.

მამა მიმიხვდა და ერთხანს უსიტყვოდ შევცქეროდით ერთმანეთს. სადღაც მთრთოლვარე სიბნელეში კარადის კარმა გაიჯახუნა, რომელიღაც ბიჭუნამ დაუსტვინა, საათის ჩხაკუნი გაისმა.

- დღეს დავურეკე, - დამნაშავესავით თქვა მამამ, თითქოს რაღაც შეცდომას ინანიებსო. - მივალ, ერთხელ კიდევ მოვისმენ, რა საუცხოოდ სწავლობდა სამედიცინო ფაკულტეტზე.

მამამ სველი ჩვარი სკამის ზურგზე გადაკიდა გასაშრობად, ფანჯარასთან მივიდა, ფანქრის სათლელი გაშალა და ნათალის ვარდისფერ ნაკადს სანაგვეში გადაუძახა. საკლასო ოთახში ფიჭის სუნი დადგა, თითქოს საკმეველს აკმევენო.

- მეც წამოგყვები.

- არაა საჭირო, პიტერ, კაფეში წადი, დაჯექი შენს მეგობრებთან და დროც გავა. ერთ საათში გამოგივლი და ოლტონში წაგიყვან.

-

- არა, შენთან წამოვალ. მე არა მყავს მეგობრები.

მამამ თავისი მოკლე პალტო კარადიდან გამოიღო და წავედით. მან 204-ე ოთახის კარი დაკეტა, კიბეზე დავეშვით და პირველი სართულის დერეფანს გავყევით, სადაც სპორტული პრიზებით გამოტენილი შუშის კარადა იდგა. ამ კარადის დანახვა მუდამ სევდას მგვრიდა: როცა ის პირველად დავინახე, მთლად ბავშვი ვიყავი და მაშინვე ცრუმორწმუნეობამ შემიპყრო - ყოველ ვერცხლის თასში, როგორც ურნაში, მიცვალებულის დაფერფლილი გვამი მელანდებოდა. ჰელერი, უფროსი დამლაგებელი, იატაკზე წითელი სანთლის ნაფშვენებს აბნევდა და ნეჭის ცოცხით ჩვენკენ მოერეკებოდა.

- კიდევ ერთი დღე დაგვაკლდა, - უთხრა მამამ.

- აჰ, ja[6], - გამოეხმაურა დამლაგებელი. - სიბერემდე სიქაჩლეო.

ჰელერი χმუხი შავთმიანი გერმანელი იყო, ერთი ღერი ჭაღარაც კი არ ერია, თუმცა სამოც წელს გადასცილდა. პენსნეს ატარებდა, რის გამოც მასწავლებლებზე მეტად ჰგავდა სწავლულს. მისი ხმა მამის ხმის საპასუხოდ გამოძახილივით გაისმა. ცარიელი დერეფნის ბოლოში, იქ, სადაც კარებიდან და ფანχრებიდან შემოსული სინათლის შუქი ეცემოდა, იატაკს მოელვარე სველი ლაქა ჰფარავდა. დავმშვიდდი - ისეთ აბსოლუტურ, წმიდათაწმიდა და მრისხანე მოვლენას, როგორიც სიკვდილია, ამ პაწია სამყაროსთან, რომელშიც უფროსები ყოველდღიური, გაცვეთილი ფრაზებით მიმართავდნენ ერთმანეთს. მამამ დაიცადა, სანამ გვერდით კორპუსში გადავირბინე და ჩემი კარადიდან ქურთუკი და სახელმძღვანელოები გამოვიტანე; მეგონა, იმ საათებში დროს გამოვძებნიდი გაკვეთილების მოსამზადებლად, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როცა დავბრუნდი, გავიგონე, რომ მამა ბოდიშს უხდიდა ჰელერს იატაკზე რაღაც კვალის დატოვებისათვის.

- არა, - ამბობდა ის, - ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი კეთილშობილური შრომა გავაორკეცე. მერწმუნეთ, კარგად მესმის, რას ნიშნავს ასეთ საღორეში სისუფთავის დაცვა. აქ ისეც ყოველდღე ავგიას თავლაა.

- კარგით ერთი. - ჰელერმა მხრები აიჩეჩა.

როცა მივუახლოვდი, ის დაიხარა და მისი ჩრდილი ცოცხმა გადაკვეთა. მერე ისევ გასწორდა და მე და მამას ხელისგული გამოგვიწოდა. ხელისგულზე გამხმარი მოგრძო კოშტების გროვა ეყარა, ერთი შეხედვით ვერც გაიგებდა კაცი, რა იყო.

- თესლია, - თქვა მან.

- ვინ მოიტანა სკოლაში თესლი? - გაიოცა მამამ.

- იქნებ, ფორთოხლისაა? - დაეჭვდა ჰელერი.

ესეც კიდევ ერთი საიდუმლოება, - თქვა რატომღაც შემკრთალმა მამამ და ქუჩაში გამოვედით.

ცივი და ნათელი დღე იყო, მზე ქალაქის დასავლეთ ნაპირისაკენ იწურებოდა და ჩვენს წინ გრძელი ჩრდილები გაწვა. მერე ჩვენი ჩრდილები ერთმანეთს შეერია და ყალყზე შემდგარ ოთხფეხა ურჩხულს დაემსგავსა. ტრამვაიმ სტვენით ჩაიქროლა სამხრეთით, ოლტონისკენ და ნაპერწკლები შემოგვაყარა. ბოლოს და ბოლოს ჩვენი გზაც იქით იყო, მაგრამ აღთქმულ დრომდე დინებას აღმა მივყვებოდით. უხმოდ გადავჭერით სკოლის წინ კორდი. მამის ყოველ ორ ნაბიჯს ჩემი სამი ნაბიჯი უწევდა. ტროტუარის კედელზე შემინული დაფა ეკიდა განცხადებებისათვის. განცხადებებს უფროსკლასელები წერდნენ მის შრეკის ხატვის გაკვეთილებზე; დღეს დაფას ჩვენი სკოლის ფერებით დახატული ოქროსფერი და ყავისფერი დიდი „კ“ ამშვენებდა და ეწერა:

კალათბურთი სამშაბათს **7** საათზე

გადავჭერით ასფალტის დაბრეცილი ზოლი, რომელიც სკოლის ტერიტორიას ჰამელის გარაჟისაგან ყოფდა. ქვაფენილზე დაღვრილი ზეთის გუბეები დამდგარიყო, გეოგრაფებისთვის უცნობი კუნძულებით, არქიპელაგებითა და კონტინენტებით სავსე. ჩავუარეთ ბენზინსაცავს, კოხტა, თეთრ სახლს, რომლის პარმაღთანაც შპალერზე

ჯვარცმული ხვიარა ვარდის ჟანგისფერი ჩონჩხი ეკიდა; ივნისში ვარდი ყვაოდა და ყოველ გამვლელ ბიჭს უღვიძებდა ტკბილ ოცნებას, თუ რა ნეტარებაა ვერა ჰამელის გაშიშვლება. კიდევ ორი სახლის იქით მაინორის კაფე იყო. ოლინჯერის ფოსტაც იმავე აგურის შენობაში იყო მოთავსებული. ქუჩის მხარეს შენობას ორი მოსარკული ფანჯარა ჰქონდა; პირველი ფანჯრის უკან ჩასქელებული მისის პესიფაი იჯდა, მუშების დამქირავებელთა განცხადებებითა და საფოსტო ინსტრუქციებით გარშემორტყმული, მარკებს ჰყიდდა და ფულად გზავნილებს არიგებდა. მეორე ფანჯრის მიღმა კი, კვამლში გახვეული ჭაბუკური სიცილით გარშემორტყმული ასევე ჩასქელებული მაინორ კრეცი ნაყინის ულუფებს წონიდა და ლიმონიან კოქტეილებს ამზადებდა.

მაინორის ღია ყავისფერი მარმარილოს დახლი სარკესავით ირეკლავდა ტიხარის იქით განლაგებულ მისის პესიფაის დაწესებულებას: ლინოლიუმით მოგებულ იატაკს, გისოსებაკრულ ფანჯრებსა და სასწორს. ბავშვობისას ხშირად

-

შევიჭყეტდი ხოლმე ჩუმად ჭუჭრუტანიდან ფოსტის უკანა ოთახში, ვხედავდი წერილებით გავსებულ თაროებს, ნაცრისფერი ტომრების გროვას და ლურჯ შარვლებში გამოწყობილ ფოსტალიონებს, რომლებსაც ქუდები მოეხადათ, ქურთუკები გაეძროთ და

საუბრობდნენ, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანზე; და კიდევ, თითისტოლა ყმაწვილს მეჩვენებოდა, რომ შორეულ ტიხრებს გადაღმა, სადაც უფროსი ბიჭები ისხდნენ, თამბაქოს კვამლში რაღაც დიდი, ჩემთვის სასტიკად აკრძალული იდუმალება გამოკრთოდა და მას თვით ფედერალური კანონი იცავდა. მექანიკური ბილიარდი და კომპოსტერი ერთფეროვან ხმაურს გამოსცემდნენ; ფოსტაში მაგიდა იდგა, რომელზეც დაფლეთილი, ჭუჭყიანი პრეს-პაპიე, რამდენიმე დამტვრეული საწერ-კალამი და ორი მოჩუქურთმებული სამელნე ეყარა. კაფეში კი, სწორედ ისეთსავე ადგილას, ვიტრინაში გასაყიდად გამოფენილი იყო პლასტმასის პორტსიგარები, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული ჯუნ ელისონისა და ივონა დე კარლოს გახუნებული ფოტოგრაფიები, ფისოებითა და შოტლანდიური ტერიერებით მოხატული სათამაშო კარტი, რომლის უკანა მხარეზე ვილები და ლაგუნები ეხატა და ჩამოფასებული საქონელი - ცალი 19 ცენტად: გამჭვირვალე კამათლები, შიგნით დატანებული ქვებით, ცელულოიდის ნიღბები - გადმოკარკლული თვალებითა და დაკრეჭილი კბილებით, საიდანაც სასმელი წვეთ-წვეთად ისხმებოდა და საღებავით შეფერადებული ძაღლის მჩორე. აქვე იყიდებოდა - წყვილი ხუთ ცენტად - ყავისფერი ღია ბარათები - ოლინჯერის მუნიციპალიტეტის, საახალწლოდ ფარნებითა და მუყაოს

სანთლებით მორთული ოლტონის ტრამვაის ხაზების, ფიჭის მთაზე აგებული ახალი წყლის საწმენდი სადგურის, შეილ-ჰილის ხედებისა და ომში დაღუპულ გმირთა ძეგლის სურათებით. გმირთა ძეგლი იმ დროს ჯერ კიდევ ხისა იყო, რადგან მებრძოლთა სიას სულ ახალ-ახალი გვარები ემატებოდა, მერე კი მის ადგილზე პატარა ქვის ობელისკი აღმართეს, რომელზეც მხოლოდ დაღუპულთა სახელები ეწერა. აქ ყიდდნენ ღია ბარათებს, გვერდით ოთახში კი ერთ პენად შეიძლებოდა მათი გაგზავნა; ყველაფერში ისეთი სიმეტრია იყო დაცული, ლაქებიც კი ისე თანაბრად იყო განაწილებული იატაკსა და მოპირდაპირე კედლებზე გაყვანილ სათბობ მილზე, რომ ბავშვობისას წარმოდგენილი მქონდა, თითქოს მისის პესიფაი და მაინორ კრეცი საიდუმლო ქორწინებით იყვნენ შეუღლებულნი. ღამით, და კვირა დღეებში, როცა ფანჯრები ჩაბნელებული იყო, სახლის ამ ორ ნახევარს შორის აღმართული ტიხარი ქრებოდა და ისინი ერთად შეყრისას მეგობრული, ქონმორეული და დაღლილი ოხვრით ავსებდნენ აგურის შენობას.

მამა აქ შეჩერდა. მყიფე, მსუსხავ ჰაერში მისმა ფეხსაცმელებმა ასფალტზე გაიფრატუნა და ტუჩები თოჯინას ტუჩებივით აუმოძრავდა.

- აბა, პიტერ, - მითხრა მან, - გაიქეცი ახალ მაინორთან და მე შემოგივლი, როგორც კი დოკ აპლტონი გამათავისუფლებს.

- როგორ გგონია, რას გეტყვის? ცთუნება დიდი იყო. შეიძლება კაფეში პენი ყოფილიყო.

- მეტყვის, კაჟივით ხარო, - თქვა მამამ, - ის ხომ ბებერი ჭოტივით ბრძენია.

- რატომ არ გინდა, რომ წამოგყვე?

შენ რა შეგიძლია, საბრალო ბავშვო? დარჩი აქ და ტყუილუბრალოდ თავს ნუ იტანჯავ. წადი და ნახე შენი მეგობრები, რა მოხდა მერე, ცხვირს თუ იწევენ. მე არასდროს მყოლია მეგობრები, ისე რომ არ შემიძლია ამის წარმოდგენა. ჩემი შეგნება იშვიათად ეწინააღმდეგებოდა მამას. ამიტომ დათმობაზე წავედი.

- შევივლი, - ვუთხარი, - ერთი წუთით, მერე კი დაგეწევი.

- ნუ იჩქარებ, - მითხრა მან და უცებ ისე გაიწოდა ხელი, თითქოს მოაგონდა უხილავი აუდიტორია, რომლის წინაშეც თამაშობდა. - აუარებელი დრო გაქვს მოსაკლავი. შენს ასაკში იმდენი დრო მომიკლავს, რომ ხელები აქამდე სისხლითა მაქვს მოსვრილი.

საუბარი გორგლიდან გამორღვეული უსასრულო ძაფივით გაუგრძელდა; შემცივდა.

მერე მან მარტო განაგრძო გზა და შორიდან ახოვანი და ტანწვრილი მომეჩვენა. შეიძლება, ყველა ადამიანი ზურგიდან უფრო წვრილი ჩანს. ჩემი ხათრით მაინც ეყიდა რიგიანი პალტო! დავინახე, როგორ ამოიღო ჯიბიდან ნაქსოვი ქუდი და თავზე ჩამოიფხატა. სირცხვილით ფეხქვეშ მიწა მეწვოდა, საფეხურები ავირბინე და კაფეში შევვარდი.

მაინორის კაფე ნამდვილ ლაბირინთად გადაქცეულიყო. ისე იყო ხალხით გატენილი, რომ გზის გაკაფვა ჭირდა; მაგრამ ჩემი სკოლელები იქ ძვირად თუ შეიხედავდნენ. უმეტესობას სხვა ადგილები ჰქონდა ამოჩემებული; მაინორთან მხოლოდ თავზეხელაღებული ჩხუბისთავები იყრიდნენ თავს და სასიამოვნო იყო იმაზე ფიქრი, რომ მათ შორის აღმოვჩნდი, თუნდაც ეს შემთხვევით ყოფილიყო. ისეთი გრძნობა

-

მქონდა, თითქოს ჩახუთულ ბინდბუნდში ურჩხული გატრუნულიყო, ნესტოებიდან კვამლს უშვებდა და მის ტყავს ოხშივარი ასდიოდა. ამ ფარეხის სითბოში გამომწყვდეული ხმები ერთთავად იმ ამბავზე განაგრძობდნენ მითქმამოთქმას, რაც, მგონი, ჩემი მოსვლის წინ მომხდარიყო. იმ ასაკში მუდამ მეჩვენებოდა, რომ ჩემს გვერდით რაღაც სხვა სამყაროც არსებობდა და იქ ლეგენდასავით მიუწვდომელი და საიდუმლოებით აღსავსე ამბები ტრიალებდა. გზა გავიკაფე მაგიდებს შორის, რომლებსაც მჭიდროდ დაგმანული ალაყაფის კარებივით ჩაეხერგათ გასასვლელი. ჩავუარე ერთს, ორს, მესამე ნიშას და აი ისიც. ის.

მითხარი, ძვირფასო, რისგან არის, რომ საყვარელ სახეს ყოველი შეხვედრისას განახლებული იერი დაჰკრავს, თითქოსდა სწორედ ამ წუთს თავიდან დაგვებეჭდა გულისფიცარზე? მიუკერძოებლად როგორ აგიწერო იგი? პატარა იყო და სხვებისაგან არაფრით განირჩეოდა. მეტისმეტად აბურცული და გამომწვევად თვითდაჯერებული ტუჩები ჰქონდა. პაჭუა, ნერვიული ცხვირი. მძიმე და შეშუპებული, მოლურჯო ქუთუთოები, რაღაცით ზანგისას რომ მიუგავდა, ასაკს ჰმატებდა და საოცრად არ ეხამებოდა მის ბავშვურად გაოცებულ, ბალახივით მწვანე, უმანკო თვალებს. მგონი,

მისი მომხიბვლელობის იდუმალება სულაც ამ შეუსაბამობაში იმალებოდა - მის ტუჩებსა და ცხვირს, თვალებსა და ქუთუთოებს შორის; ამ ჯვარედინ, მდინარის ჩქერივით თქაფუნა და ჩუმ თრთოლაში მეხატებოდა მთელი მისი მშვენება, თითქოს ნაკვთების ეს ნაზი დაუხვეწელობა ხდიდა მას ჩემს ღირსად.

მის გვერდით თავისუფალი ადგილი იყო. მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ორი მეათეკლასელი იჯდა, გოგო და ბიჭი, - პენი მათთან მაინცდამიანც არ მეგობრობდა; ის წყვილი ერთმანეთს ეხვეოდა და არაფერს ამჩნევდა გარშემო. პენი მათ მიშტერებოდა. მივუახლოვდი და მუჯლუგუნი წავკარი.

- პიტერ!

ქურთუკი გავიხსენი და დარდიმანდული წითელი პერანგი გამოვაჩინე.

- მომეცი სიგარეტი.

- სადა ხარ მთელი დღე?

- სადღა არ ვიყავი! შენც გნახე. - პენიმ მოხერხებულად გამოაძრო სურნელოვანი სიგარეტი გამოსაწევსახურავიანი წითელ-ყვითელი პლასტმასის პორტსიგარიდან. მერე მწვანე, სხივიანი თვალები მომაპყრო და შავი, იდეალურად მრგვალი გუგები გაუფართოვდა. აზრადაც არ მომდიოდა, პირდაპირ არ მჯეროდა, რომ შემეძლო ამეღელვებინა იგი. მისი აღელვება კი

მსურდა; ეს იყო ნეტარება, რომელიც აქამდე არ განმეცადა; ჩვილი რომ გაიწევს აკვნისკენ, ისე გაიწია ჩემმა ხელმა მისი მუხლებისკენ.

- წუხელ სიზმარში გნახე.

ის მიბრუნდა, თითქოს ალეწილი სახე მომარიდა.

- რა დაგესიზმრა?

- ის არა, რაც შენ გგონია, - მივუგე. - მესიზმრა, ვითომ ხედ იქეცი, და მე გეძახდი, „პენი, პენი! დაბრუნდი-მეთქი!..“ მაგრამ შენ არ დაბრუნდი და მე სახით ხის ტანს მივეკარ.

- რა სევდიანი სიზმარია, - გულგრილად თქვა პენიმ.

- ძალიან. საერთოდ სევდიანი დღეები დადგა ჩემთვის.

- კიდევ რა გჭირს?

- მამამ აიჩემა, ავად ვარო.

- რით არის ავად?

არ ვიცი. შეიძლება კიბო აქვს?

- რას ამბობ?!

სიგარეტისაგან გული მერეოდა და თავი საამოდ მიბრუოდა. მინდოდა გადამეგდო, მაგრამ პენის დასანახავად უფრო მაგრად მოვქაჩე და კვამლი ღრმად ჩავისუნთქე.

ტიხარი ჩემკენ დაიძრა. ჩვენს პირდაპირ მსხდარი შეყვარებულები ერთმანეთს შუბლს ახლიდნენ, გონდაკარგული ცხვრებივით.

- ჩემო საბრალო ბიჭო. - მითხრა პენიმ. - დარწმუნებული ვარ, მამაშენი კარგად იქნება: ჯერ არც ისე ბებერია.

- ორმოცდაათი წლისაა, - მივუგე. - სწორედ გასულ თვეში შეუსრულდა ორმოცდაათი. სულ ამბობდა, ორმოცდაათ წელზე მეტს ვერ ვიცოცხლებო.

მან შუბლი შეიჭმუხნა, ჩემმა პატარა სულელმა გოგომ, სიტყვებს ეძებდა ჩემს დასამშვიდებლად, თუმცა მე ყოველნაირად გავურბოდი ნუგეშისცემას. ბოლოს მითხრა:

- მამაშენი ისეთი სასაცილოა, შეუძლებელია, რომ ის მოკვდეს.

-

პენი მეცხრე კლასში სწავლობდა და მამას მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ ხედავდა, დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის განკუთვნილ დარბაზში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მამას მთელი სკოლა იცნობდა.

- ყველა კვდება, - ვუთხარი.

- ჰო, მაგრამ ასე მალე არა.

- და მაინც როდესმე ასე უნდა მოხდეს.

საუბარი ჩვენი ცნობიერების ჩარჩოებს გასცდა და უკან დახევის გარდა აღარაფერი დაგვრჩენოდა.

- ექიმს თუ ეჩვენა? - მკითხა მან და მაგიდის ქვეშ მისი მუხლი ჩემსას შეეხო, ისე ანგარიშმიუცემლად, თითქოს ნიავმა ჩამოიქროლაო.

- ახლა სწორედ ექიმთანაა. - სიგარეტი მარჯვენა ხელში გადავინაცვლე და მარცხენა ხელი ძირს დავუშვი, ვითომდა მუხლის მოსაფხანად. - მეც უნდა წავყოლოდი, - ვუთხარი პენის, გულის სიღრმეში კი საკუთარი პროფილის ხილვით ვტკბებოდი. წარმოვიდგინე როგორ ვუშვებდი კვამლს წინ გამოშვერილი, მომრგვალებული ტუჩებიდან.

- რისთვის? შენ რის გაკეთება შეგიძლია?

- რა ვიცი. გავამხნევებდი. გვერდით ვეყოლებოდი.

ჩემი ხელი ისე ბუნებრივად გასრიალდა მის მუხლზე, როგორც წყალი მოედინება ზევიდან ქვევით; ფავნის ტყავივით ხაოიანი ქვედატანი ეცვა.

პენი ისე იჯდა, ვითომც აქ არაფერიაო, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რომ დააბნია ჩემმა შეხებამ. მან ენის ბორძიკით მითხრა:

- როგორ შეგიძლია? შენ ხომ მისი შვილი ხარ.

- ვიცი, - აჩქარებით მივუგე და ისეთი სახე მივიღე, თითქოს შემთხვევით მომიხვდა ხელი, სრულიად უნებლიეთ. დაპყრობილ ტერიტორიაზე მოხერხებულად მოვიკალათე, ხელის თითები გავჩაჩხე და ხელისგულით მივეკარ სიმკვრივეს, რომელიც ადვილად მნებდებოდა, - მაგრამ მე ხომ მისი ერთადერთი შვილი ვარ. - გავიმეორე მამის ნათქვამი და იმავე წუთს მამა თითქოს ჩემს წინაშე აღიმართა; ის მთრთოლვარე ჰაერში ირხეოდა თვალებდაწკურული, მოუსვენარი და ზურგში ოდნავ მოხრილი. - ჩემს მეტი ხმის გამცემი არავინ ჰყავს.

- შეუძლებელია, - თქვა პენიმ ძალიან ჩუმად; მისი ხმა უფრო ნაზი იყო, ვიდრე მისი სიტყვები. - მამაშენს ათასი მეგობარი ჰყავს.

- არა, - ვთქვი მე. - მას არ ჰყავს მეგობარი და არც სჭირდება. თვითონ მითხრა დღეს.

და ცნობისმოყვარე სიმორცხვით, რომელიც მამაჩემს აიძულებდა უცნობებთან საუბარში გადაჭარბებული თავაზიანობა გამოეჩინა, ჩემი უზარმაზარი ხელი პენის სხეულის მთელ ფარულ სიუხვეს დაეპატრონა. თითები სანუკვარი ფოსოსაკენ გავაპარე და ქვედატანის ხაოიან ქსოვილქვეშ ნეკით შევიგრძენი აბრეშუმივით რბილი, წმინდა ორკაპი.

- ნუ იზამ, პიტერ, - მითხრა პენიმ, ისევე ისე ჩუმად, ცივი თითებით მწვდა ხელში და კვლავ ჩემს მუხლზე დადო. მუხლზე დავირტყი ხელი და კმაყოფილს ოხვრა აღმომხდა. ასეთ რამეზე ოცნებასაც ვერ გავბედავდი. ამიტომ უაზრობად, ფარისევლურ გარყვნილებად მეჩვენა ის, რაც მან ჩურჩულით დაუმატა: - აქ ძალიან ბევრი ხალხია.

თითქოს უმანკოება თავისმართლებას საჭიროებდეს! თითქოს, მარტო რომ ვყოფილიყავით, მიწა გაირღვეოდა და ხელი გამიშეშდებოდა.

სიგარეტი ჩავაქრე და ვთქვი:

- მამაჩემთან უნდა წავიდე. - მერე ვკითხე: - თუ ლოცულობ?

- ღმერთს თუ ვეხვეწები?

- ჰო.

- კი.

ილოცებ მისთვის? მამაჩემისთვის?

- კარგი.

- გმადლობ. შენ კეთილი ხარ.

ორივეს გაგვიკვირდა ჩვენივე ნათქვამი. ვფიქრობდი, მკრეხელობა ხომ არ ჩავიდინე-მეთქი, ღვთის შემწეობით რომ მინდოდა პენის გულს კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდომოდი, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ეს ასე არ იყო, რადგან ნამდვილად შვება ვიგრძენი, როცა პენი დამპირდა - ვილოცებო. წამოდგომისას ვკითხე:

- მოხვალ ხვალ კალათბურთზე?

- რატომაც არა.

- შეგინახო ადგილი?

-

- თუ გინდა.

- შენ კი ჩემთვის შეინახე.

- კარგი, პიტერ.

-ა?

- ნუ სწუხხარ ამდენს. ნუ გგონია, რომ ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე.

პენის თანაკლასელები, რომლებიც ჩვენს პირდაპირ ისხდნენ, ბონი ლენარი და რიჩი ლორა შუბლს აღარ ახლიდნენ ერთმანეთს. მოულოდნელად რიჩიმ ერთსა და იმავე დროს საზეიმო და დამცინავი კილოთი წამოიძახა:

- ეი შენ, პიტო-გვრიტო!..

ბონის იდიოტური სიცილი წასკდა და კაფეში, სადაც სულ ერთი წუთის წინ გული საგულეს მქონდა, ჩემს ირგვლივ გესლიანი სიტყვები აზუზუნდა. უფროსი ბიჭები, თავი რომ მოჰქონდათ დიდებივით ჩალურჯებული თვალებით, მიყვიროდნენ: „ეი, გვრიტო, როგორა გყავს მოხუცი? როგორ არის ჯორჯი ფოლადის ყრონჭი?“ ვისაც ოდესმე მასთან უსწავლია, თავის სიცოცხლეში აღარ ავიწყდებოდა ის, მაგრამ მთელი მოგონება დაცინვაში გამოიხატებოდა. ისინი ცდილობდნენ ჩაეხშოთ სინდისის ქენჯნა და სიყვარული მისდამი, როცა თავს მესხმოდნენ მე, მითების პაწია მცველს. ამას ვერ ვიტანდი, მაგრამ ასე თუ ისე, ის, რომ კოლდუელის ვაჟი ვიყავი, წონას მმატებდა ხალხის თვალში და უმცროსი ყმაწვილების ერთფეროვან ბრბოზე მაღლა მაყენებდა;

მამაჩემის წყალობით რაღაცას წარმოვადგენდი ამ ტიტანების თვალში. საჭირო იყო მხოლოდ ტუჩებზე ღიმილის გამოსახვა, როცა ისინი სისასტიკითა და ნეტარებით აღსავსე მოგონებებში ეფლობოდნენ:

- გახსოვს, ზურგზე რომ დაწვებოდა გასასვლელში და ღრიალებდა:

„რაღას უცდით, მოდით ბარემ, ზედ შემდექით, სულ ერთია, მაინც გამთელავთ!..“

- ...ჩვენ კი ექვსივემ წაბლით დავიტენეთ ჯიბეები...

- შვიდი წუთიღა აკლდა ზარის დარეკვას, რომ ყველა წამოხტა და როგორც ერთი, მიაშტერდნენ, თითქოს შარვლის ზონარი ჰქონოდა შეხსნილი...

- ღმერთმანი ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ...

- ერთი გოგო რომ წამოხტა ბოლო მერხიდან და უთხრა, მეათედების წინ მძიმეს ვერ ვხედავო... მაშინ მივიდა ფანჯარასთან, რაფაზე რაც თოვლი იყო, მოხვეტა, დააგუნდავა და... დაფას არე მიატყეპა!.. ახლა ხედავო?“ - ეუბნება.

- ეგ ხომ არის და არის...

- მამაშენი გენიალური ვინმეა, პიტერ!

განსაცდელი მუდამ ამისთანა შექებით მთავრდებოდა და ეს მალამოდ ეცხებოდა ჩემს სულს. აღტაცებაში მოვდიოდი, როცა ამას თავზეხელაღებული ზორბა ბიჭებისაგან ვისმენდი, რომლებიც ფეხსალაგში თამბაქოს ეწეოდნენ, ოლტონში შინ გამოხდილი ვისკის სასმელად დადიოდნენ და ფილადელფიის საროსკიპოებში ზანგის ქალებთან მრუშობდნენ. პირმოთნე ღიმილი სახეზე შემაცივდა, მათ კი უეცრად ამითვალწუნეს და ზურგი მაქციეს. გასასვლელისკენ გავემართე. ერთ მაგიდასთან ვიღაც მამალივით ყიოდა. მუსიკალური ავტომატი დორის დეის ხმით მღეროდა „სენტიმენტალურ მოგზაურობას“. შორეულ კედელთან ერთსულოვანი აღტაცების შეძახილები ისმოდა და აღშფოთებით წკარუნობდა მექანიკური ბილიარდი, როცა მოთამაშენი ფულს არ ჩააგდებდნენ. მოვიხედე და ამ აყალმაყალში დავინახე, რომ ჯონი დედმენი თამაშობდა; შეუძლებელი იყო არ ეცნო კაცს მისი ფართო, ოდნავ სიმსუქნემორეული მხრები, ყვითელი ველვეტის ქურთუკის აწეული საყელო და კისერზე ჩამოზრდილი შავი, მბზინავი თმა. ჯონი დედმენი ჩემი ერთ-ერთი კერპთაგანი იყო. ის ერთხელ უკვე დარჩა კლასში, მაგრამ ათასგვარი უაზრო სასწაულის ჩადენა შეეძლო და სიმარდეში ვერავინ გაეჯიბრებოდა. საუცხოოდ ცეკვავდა, ოსტატურად აგდებდა ბირთვს ბილიარდის ლუზში და მაღლა ასროლილ დამარილებულ თხილს პირში იჭერდა. დამოუკიდებელი მეცადინეობის დარბაზში ჯონი ჩემს გვერდით იჯდა და ცოტა რამ ვისწავლე მისგან, მაგალითად, თითით ლოყის გაწევა და მერე პირის დატკაცუნება, ოღონდ სულ ერთია, ისე ხმამაღლა მაინც არასდროს გამოდიოდა, როგორც ჯონის. ის შეუდარებელი იყო და არც კი ღირდა თავის მტვრევა. ჩვილივით ვარდისფერი სახე ჰქონდა. ზედა ტუჩს ოქროსფერი

ღინღლი უფარავდა: ჯონი სულაც არ იყო პატივმოყვარე და ხულიგნობას ბოროტი ზრახვით როდი ჩადიოდა; უნდოდა და ხულიგნობდა. მართალია, ნასამართლევი იყო: ერთხელ, ოლტონში თექვსმეტი წლისა ლუდით დაითვრა და პოლიციელს გაარტყა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩხუბი არ ეპიტნავებოდა, უბრალოდ, გადაწყვიტა გარემოს შეხამებოდა, სწორედ ისე, ცეკვის დროს ნაბიჯს რომ შეუწყობდა ხოლმე ქალიშვილს და ატრიალებდა, ვიდრე ამ უკანასკნელს თმა მთლად არ ჩამოეშლებოდა და სახე არ აელეწებოდა. მექანიკური ბილიარდის ლუზში მუდამ ახვედრებდა, ამბობდა, „მიზანს ვგრძნობო“. კაცი იფიქრებდა, რომ სულაც მან გამოიგონა ბილიარდი. ზუსტი მეცნიერებებიდან მარტო მექანიკაში იჩენდა ნიჭს. ხელგარჯილობის გარდა ყველა საგანში ორიანი ჰქონდა. ამაში იყო რაღაც ისეთი მშვენიერი, რომ სუნთქვა მეკვროდა. მაშინ თხუთმეტი წლისა ვერნერით რომ არ ვყოფილიყავი გატაცებული, აუცილებლად ვიოცნებებდი, ჯონი დედმენი გავმხდარიყავი. მაგრამ ჩემდა სავალალოდ ისიც ვიცოდი, რომ ჯონი დედმენად ქცევა შეუძლებელია, ჯონი დედმენად უნდა დაიბადო.

გარეთ სახე ქურთუკის სახელოში ჩავმალე და ტრამვაის ხაზის გაყოლებით დოკ აპლტონის სახლამდე ორი კვარტალი ფეხით გავიარე. ხაზების შესაყართან ტრამვაი შემხვედრს უცდიდა და მალე, როცა მე და მამა სკოლიდან გამოვედით, ისიც გამოჩნდა - ოლტონს მიმავალი ტრამვაი. ახლა სავაჭროდან მიმავალ ნაცრისფერ კომბინეზონში გამოწყობილ მუშებსა და დიასახლისებს ელისკენ, აღმოსავლეთით მდებარე პატარა ქალაქისაკენ მიაქროლებდა. იქ ბოლო გაჩერება იყო. კაფეში სულ ათ წუთს დავყავი. ქუჩაში სწრაფად მივაბიჯებდი. პენის ვთხოვე, მამაჩემისთვის ილოცე-მეთქი და გულში მეც ვლოცულობდი: „ოღონდ არ მოკვდეს, ოღონდ ჯანმრთელად იყოს“. ლოცვა ყველას შეეხებოდა, ვინც კი ყურს დაუგდებდა; ის ტალღასავით გავრცელდა და მოედო ჯერ

ქალაქს, მერე კი შორეულ ჰორიზონტს და მთელ ცის თაღს. სახურავებს ზემოთ, აღმოსავლეთით ცა უკვე მეწამული ხდებოდა, მაგრამ ჩემს თავზე ის ისეთივე ლურჯი იყო, როგორც დღისით. ცის სილურჯე - ოპტიკური ილუზიაა, ეს მამამ აგვიხსნა ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე, მაგრამ მე მას ყოველთვის ისე აღვიქვამდი, როგორც ღია ცისფერი, გამჭირვალე სფეროების გუნდს, რადგან ერთმანეთზე დადებულ ორ გამჭვირვალე ცელოფანის ქაღალდს ვარდისფერი გადაჰკრავს, მესამესაც თუ დაუმატებ, მუქი ვარდისფერი გახდება, მეოთხეს - წითელი და მეხუთეს მეწამული, ვით გავარვარებული ღუმელის სიღრმეში მბორგავი ცეცხლი. თუ ლურჯი თაღი ქალაქის თავზე ილუზიაა, რაოდენ დიდი ილუზია იქნება, რაც მის იქით არსებობს. „გეთაყვა“, - დავსძინე ჩემს ლოცვას, სწორედ ისე, ბავშვს რომ უკარნახებენ ხოლმე, თუკი დაავიწყდება.

დოკ აპლტონის მობათქაშებული სახლი, რომლის წინა ნახევარიც მისაღებსა და კაბინეტს ეჭირა, ყვითელი იყო და ქვის მესერს გადაღმა ამწვანებულ ბორცვზე იდგა. მესერი, ალბათ, მხრებამდე შემომწვდებოდა. კიბეს აქეთ-იქიდან ცემენტის დიდი ბურთებით დაგვირგვინებული ქვის ორი ბოძი ამშვენებდა - ოლინჯერში ეს

სახლის ჩვეულებრივი სამკაული გახლდათ, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ სხვა ქალაქში ასეთ რამეს იშვიათად თუ ნახავდა კაცი. როცა სადარბაზოსკენ მიმავალი ბილიკი ავირბინე, ქალაქის ყველა ფანჯარაში შუქი აენთო, როგორც ტილოზე ნათდება საღებავები, როცა მხატვარი ჩრდილს ჩაამუქებს. დღესა და ღამეს შორის გავლებული ფართო ზოლი იმ ერთ წამში წაიშალა.

„კარი ღიაა. დარეკეთ და შემოდით“, რაკი პაციენტი არ ვიყავი, არ დამირეკია. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ზარს თუ დავრეკავდი, ექიმს უნდობლად დაუწყებდნენ ცქერას და გასამრჯელოს აღარ გადაუხდიდნენ. ზღურბლზე ღვედებისაგან მოწნული იატაკის საწმენდი ეგდო, გვერდით კი დიდი თაბაშირის საყრდენი - ქოლგებისათვის, მასზე ფერადი შუშებით უაზრო სახეები იყო ამოქარგული. საყრდენს ზევით მრისხანე ანტიკური სცენის ამსახველი გულისამრევი შავი გრავიურა ეკიდა. ხელაპყრობილი და პირდაღებული ბრბოს სასოწარკვეთა უსაშველოდ იყო გაზვიადებული, ხოლო მათი სხეულები არაბუნებრივად დაჭიმული, და საერთო შთაბეჭდილება ისე მძიმე და უსიცოცხლო იყო, რომ ერთხელაც ვერ ვაიძულე ჩემი თავი - წესიერად შემეხედა და გამერკვია, რას გამოხატავდა, მგონი,

ფიზიკურ დასჯას. მზერა ისე სწრაფად ავარიდე, თითქოს პორნოგრაფიული სურათი დამენახოს, მაგრამ თვალში მაინც მომხვდა რაღაც მსხვილი ხაზი - მათრახი? - ობობას ქსელივით მქრქალად მოხაზული ტაძრის სიღრმეში იკლაკნებოდა - ეს პერსპექტივისათვის იყო საჭირო. რამდენი წვალება გამოუვლია მხატვარს, რამდენი მოთმინება და დრო დაუხარჯავს, რომ ჭეშმარიტი ოსტატობითა და სიყვარულით შეექმნა ეს უგვანო, დამტვერილი და გაშავებული გრავიურა, რომელიც აღარავის აღარ აღელვებდა; ჩემთვის კი უსიტყვო გაფრთხილებას წარმოადგენდა, რისი გაგებაც ჯიუტად არ მსურდა. მარჯვნივ გავუხვიე, დოკ აპლტონის მისაღებისაკენ. იქ, კედლების გასწვრივ და ოთახის შუაგულში, მაგიდასთან მუხის ძველი ავეჯი იდგა. ავეჯზე გადაკრული შავი ტყავი დამსკდარიყო. მაგიდაზე ძველი გაზეთები ეყარა - „ლიბერტი“, „სეტედი ივნინგ პოსტ“ -ი. სამფეხა საკიდარი გაძვალტყავებული კუდიანივით ატუზულიყო კუთხეში და იქიდან იბღვირებოდა. საკიდრის ზემოთ, თაროზე ყვავის ფიტული იდგა, რომელსაც მტვრისაგან ნაცრისფერი დასდებოდა; ღრიჭოდ დატოვებული კაბინეტის კარიდან მამაჩემის ხმა შემომესმა:

- იქნებ, გველეშაპი მწამლავს?

- ერთ წუთს მოითმინეთ, ჯორჯ, მგონი, ვიღაც მოვიდა.

ექიმის გამელოტებული, ფართო, შეყვითლებული სახიანი ბუს თავი კარში გამოეკვეხა.

- ა, პიტერ, - თქვა მან და პირქუში სახლიწამით მოხუცის კეთილმა, ჭკვიანურმა ღიმილმა გააშუქა. თუმცა დოკ აპლტონის ხელში დავიბადე, ის მხოლოდ მესამე კლასიდან მახსოვს; მაშინ მშობლები ხშირად ჩხუბობდნენ და ძალიან ვიტანჯებოდი. სკოლიდანაც მუდამ დამფრთხალი ვბრუნდებოდი - უფროსი ბიჭები დამცინოდნენ, რადგან ნერვიულობისაგან სახეზე გამომაყარა; მერე ციება დამემართა და აღარ იქნა ჩემი გამობრუნება. ღარიბები ვიყავით და ექიმს მაშინვე არ ვეძახდით. მხოლოდ მესამე დღეს გამოუძახეთ, რაკი სიცხე არ გამინელდა. მახსოვს მშობლების განიერ საწოლზე ვიჯექი ორ ბალიშს მიყრდნობილი. კედლები, საწოლის ფეხები, საბანზე გაფანტული სურათებიანი წიგნები - ყველაფერი ისეთი რბილი და უსხეულო მეჩვენებოდა, როგორც ეს ციებ-ცხელების დროს იცის, და თუმცა გაუთავებლად ვიწმენდდი თვალებს და ნერწყვს ვყლაპავდი, პირი მაინც მიშრებოდა და თვალები ერთთავად სველი მქონდა. უცებ კიბე მტკიცე, აჩქარებულმა ნაბიჯმა ააჭრიალა და დედას ჩასუქებული კაცი შემოჰყვა, ყავისფერკოსტიუმიანი, დიდი ყავისფერი ჩემოდნით ხელში. მან შემომხედა, მერე დედას მიუბრუნდა და მკვეთრი, უხეში ხმით ჰკითხა: - რა უყავით ბავშვს?

დოკ აპლტონს ორი უცნაურობა სჭირდა: ტყუპის ცალი და ჰყავდა და ჩემსავით ფსორიაზისაგან იტანჯებოდა. მისი და, ესთერ აპლტონი, ჩვენთან სკოლაში ლათინურსა და ფრანგულს ასწავლიდა. მორცხვი, ჩამრგვალებული შინაბერა იყო, თავის ძმაზე უფრო დაბალი და თმაჭაღარა. ძმა კი დიდი ხნის წინ გამელოტდა. მაგრამ ორივეს ერთნაირი, მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა და საერთოდ, მსგავსება ერთი შეხედვით გეცემოდათ თვალში. ის აზრი, რომ ეს ორი დარბაისელი ხანშიშესული ადამიანი დედამ ერთ დღეს გააჩინა, ბავშვობაში დაუჯერებლად მიმაჩნდა. ესთერი და ექიმი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ექიმი ცოლიანი იყო, ოღონდ მისი ცოლი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა თუ გაუჩინარდა - მისი პიროვნება დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. ექიმს ვაჟიც ჰყავდა, სახელად სკიპი, ჩემზე ერთი წლით უფროსი, მაგრამ ჩემსავით დედისერთა. ის მამაჩემის მოწაფე იყო, მერე კი გადაწყვიტა ქირურგიას

დაუფლებოდა და სადღაც შუა დასავლეთში გაემგზავრა -კარგად არ მახსოვს, ჩიკაგოში, სენტ-ლუისში თუ ომაჰაში. სკიპის დედის ბნელი ხვედრი კიდევ ერთი ჩრდილით იყო გამუქებული: დოკ აპლტონი არც ერთ ეკლესიას არ ეკუთვნოდა, არც რეფორმატულს, არც ლუთერანულს, და როგორც ამბობდნენ, საერთოდ არ სწამდა ღმერთი. ეს მესამე უცნაურობა ყურმოკრული ამბავი იყო. ფსორიაზის ამბავი კი დედამ გამიმხილა. ჩემს დაბადებამდე ეს საზიზღარი დაავადება მთელ ქალაქში მხოლოდ ორ კაცს სჭირდა. როგორც დედამ მითხრა, დოკი თურმე სწორედ ამის გამო არ გახდა ქირურგი - ალბათ, მკლავებს დაიკაპიწებდა თუ არა, ავადმყოფს ვარდისფერი ფუფხი მაშინვე თვალში ეცემოდა და შეძრწუნებული შეჰყვირებდა; „ექიმო, ჯერ შენ თვითონ განიკურნე!“ დედას ამაზე გული წყდებოდა, რადგან მისი აზრით, დოკ აპლტონის მთელი უნარი მის ხელებში იყო თავმოყრილი და მას ოპერაციის გაკეთება უფრო მეტად შეშვენოდა, ვიდრე დიაგნოზის დასმა. ხშირად მიამბობდა, როგორ განკურნა ის დოკმა ყელის ქრონიკული დაავადებისაგან გრძელ ჯოხზე წამოცმული ბამბის ტამპონის ერთი მარჯვე მოსმით. ეტყობა, დედაჩემი ერთ დროს გულგრილი არ ყოფილა დოკ აპლტონისადმი.

ახლა კი მისი ფერმკრთალი მრგვალი სახე ჩემკენ დახრილიყო ნახევრად ბნელ მისაღებში. ის თვალმოჭუტული ათვალიერებდა ჩემს შუბლს. ბოლოს თქვა:

- კანი თითქოს სუფთა გაქვს.

- ჯერ კიდევ არა უშავს, - მივუგე, - ყველაზე უარესი მარტსა და აპრილში იქნება. -

  სახეზეც თითქმის არაფერი გეტყობა, - თქვა მან.

მე კი მეგონა, სახეზე საერთოდ არაფერი მქონდა. მერე ჩემს ხელებს დასწვდა - ალბათ, სწორედ ამ თვითდაჯერებულმა შეხებამ მოახდინა დედაზე შთაბეჭდილება - და კაბინეტიდან გამოსულ ელექტრონის შუქზე ჩემს ფრცხილებს დააკვირდა.

- ჰო, - თქვა მან. - არის კვალი. მკერდი როგორღაა? - საშინლად, - ვუპასუხე, თან

  ვშიშობდი, არ გავესინჯე.

მან ძლიერად დააფახულა წამწამები და ხელი მიშვა. უპიჯაკოდ იყო, ჟილეტში, პერანგის სახელოებზე, იდაყვებთან წვრილი სამგლოვიარო ბაფთის მსგავსი შავი რეზინის ლეკვერთხები ეკეთა. ოქროს რკალად მოხრილი საათის ძეწკვი ქანქარასავით ქანაობდა მის მუცელზე, ყავისფერი ჟილეტის ზემოთ. კისერზე სტეტესკოპი ეკიდა. დოკ აპლტონმა შუქი აანთო და შავ ლითონის კარკასზე დამაგრებული ყავისფერი და ნარინჯისფერი შუშის ჭაღიდან ჟურნალებით მოფენილ მაგიდაზე სინათლის ტბორები დაიღვარა.

- პიტერ, რაიმე წაიკითხე, სანამ მამას გავისტუმრებ.

- შემოვიდეს ბიჭი, დოკ: დე მოისმინოს თქვენი განაჩენი. ჩემი ხვედრი მისი ხვედრია. - მოისმა კაბინეტიდან მამაჩემის სერიოზული ხმა.

ოთახში შესვლა მერიდებოდა, მეშინოდა, მამა გახდილი არ ყოფილიყო, მაგრამ ის ჩაცმული დამხვდა. ხის პატარა სკამზე იჯდა, რომელზედაც ტრაფარეტული გერმანული ჩუქურთმა იყო ამოჭრილი. გაკაშკაშებულ კაბინეტში მომეჩვენა, რომ მამას ტკივილისაგან სახე გათეთრებოდა. სახეზე კანი მოშვებოდა, ტუჩის კუთხეები ღიმილს დაესერა და დორბლით დასველებოდა.

- რაც არ უნდა გელოდეს ცხოვრებაში, შვილო, - მითხრა მან, - იმედი მაქვს, რექტოსკოპთან არასდროს მოგიხდება საქმის დაჭერა. ფუჰ!..

- უფ!.. - ამოიხვნეშა დოკ აპლტონმა და მოწყვეტით დაეშვა საწერ მაგიდასთან მიდგმულ მბრუნავ სავარძელში, რომელიც თითქოს საგანგებოდ მისთვის იყო გამოჭრილი. ექიმის მსუქანი მკლავები და მოქნილი თეთრი თითები ჩემთვის ნაცნობი მოძრაობით მიესვენა სავარძლის ხვეულბოლოებიან, მოჩუქურთმებულ ხის სახელურებზე. - თქვენი უბედურება ისაა, ჯორჯ, - თქვა მან, - რომ საკუთარი თავის დაზოგვა არ იცით. ნახეთ, სადამდე მიიყვანეთ თქვენი სხეული.

მათთვის ხელი რომ არ შემეშალა, მოშორებით დავჯექი, თეთრი ლითონის მაღალ ტაბურეტზე, იმ მაგიდის ახლოს, რომელზეც ინსტრუმენტები ელაგა.

- მართალი ხართ,-მიუგო მამამ.- მე თვითონაც მეზიზღება ჩემი მახინჯი გვამი. მიკვირს, ორმოცდაათ წელს როგორ გამიძლო!

დოკ აპლტონმა კისერზე ჩამოკიდებული სტეტესკოპი მოიხსნა და მაგიდაზე დადო, სადაც ის მოკლული რეზინის გველივით დაიკლაკნა და გაქვავდა. მაგიდა ფართო იყო, ძველებური, გასაწევ-გამოსაწევი და ზედ უწესრიგოდ ეყარა ანგარიშები, პაკეტები აბებისათვის, რეცეპტის ბლანკები, ჟურნალებიდან ამოჭრილი კარიკატურები, წამლის ცარიელი შუშები, ქაღალდის საჭრელი ბრინჯაოს დანა, ბამბით გატენილი ლურჯი კოლოფი და „ომეგას“ ფორმის ვერცხლის მოსაჭერი. კაბინეტი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წინა ნახევარში იდგა საწერი მაგიდა, სკამები, ინსტრუმენტების მაგიდა; აქვე იყო სასწორი, მხედველობის შესამოწმებელი ცხრილი და ყვავილების ქოთნები. კაბინეტის მეორე ნახევარში კი მქრქალი მინის ტიხარს იქეთ, თაროებზე წამლები ინახებოდა, თითქოს ღვინის ბოთლები, ან ძვირფასი თვლებით სავსე ქილებიაო.

ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ექიმი ტიხარს უკან გადიოდა ხოლმე და იქიდან რამდენიმე სიგნატურებიანი შუშა გამოჰქონდა. წამლების თაროებიდან უცნაური, გაურკვეველი სუნი მოდიოდა - შაქრის სიროფის, მენთოლის, ამიაკისა და გამხმარი ბალახისა. ეს მაცოცხლებელი სურნელი ვესტიბიულშიც იგრძნობოდა, სადაც ფეხსაწმენდი, გრავიურა და ქოლგებისათვის თაბაშირის საყრდენი იყო. ექიმი ჩვენკენ შემოტრიალდა თავის სავარძელში. თავი სულ მთლად მოტვლეპილი ჰქონდა, როგორც

მაინორ კრეცს - მაგრამ იმას კოპებით დაფარული თავის კანი ერთიანად ულაპლაპებდა. დოკ აპლტონის ქალა კი გლუვი იყო, დაქანებული და ვარდისფრად დაწინწკლული. წინწკლებს, ალბათ, მარტო მე ვამჩნევდი, რადგან ვიცოდი, რომ ეს ფსორიაზია. ექიმმა ცერი მამაჩემისკენ გაიშვირა.

- ყველაფერი იმის ბრალია, ჯორჯ, - თქვა მან, - რომ თქვენ მხოლოდ სული გწამთ, სხეულზე კი ხელი აგიღიათ და დოღის ცხენივით ერეკებით, სანამ ჩამოხტომის დრო არ დადგება. ზედმეტად გადაიქანცეთ. სხეულს დაზოგვა უნდა. ასეთი გადაღლა არაბუნებრივია. ნერვიული სისტემის მოშლილობაც ამით არის გამოწვეული.

ისედაც ადგილს ვერ ვპოულობდი, დოკ აპლტონის ფილოსოფია კი მუდამ გუნებას მიწამლავდა. გადავწყვიტე, განაჩენი უკვე გამოტანილია, და რაკი ექიმი ჭკუის სწავლებას მოჰყვა, ალბათ, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. მაგრამ მაინც გულის კოვზთან მწიწკნიდა, როცა დაგრაგნილ ზონდებსა და მრუდე მაკრატლებს ვათვალიერებდი. ისინი ასობით ჩამწკრივებულიყვნენ მაგიდაზე და უცნაურ სიტყვებს აკოწიწებდნენ. თითქოს გაიძახოდნენ „უი უიო“. ამ ვერცხლის წამოძახილებს შორის - ნემსებს,

ლანცეტებსა და გაპრიალებულ მოსაჭერებს შორის - პატარა სამწახნაგოვანი ჩაქუჩიც ერია, - მუხლზე რომ დაგარტყამენ და შეხტები, ისეთი, - მკვრივი წითელი რეზინის თვალისმომჭრელი სახელურით; სახელური გაღუნული იყო, ექიმს რომ უფრო მარჯვედ სჭეროდა ხელში, - მახსოვს, როცა ამ კაბინეტში პირველად შემომიყვანეს, ამ ჩაქუჩმა განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. მუქი ნარინჯისფერი თავი ისრის ბურნუკს წააგავდა და რაღაც უძველეს ნივთს მაგონებდა, თითქოს დანარჩენი ინსტრუმენტების პაპის პაპა ყოფილიყოს. ერთსა და იმავე დროს ისრის ბურნუკსაც წააგავდა და ღერძსაც, და მეჩვენებოდა, რომ ხანგრძლივი ხმარების შედეგად პაწია ღრმულებითა და ბზარებით დაფარული, ის დროის უფსკრულში ეშვებოდა და იქ, მარადისობის ფსკერზე, ისეთი მარტივი და უწონადო იყო, რომ შეეძლო სამყაროს ღერძად ქცეულიყო.

- ...თქვენ უკვე იცით თქვენი თავის ამბავი, ჯორჯ, - ამბობდა დოკ აპლტონი. მან ზევით ასწია ვარდისფერი, მკვრივი, ბავშვივით ფუნჩულა ხელისგული, თითქოს ვიღაცას აფრთხილებსო, - რამდენი ხანია მასწავლებლობთ?

- თოთხმეტი წელია, - მიუგო მამამ. - ოცდათერთმეტი წლის ბოლოს დამითხოვეს და მთელი ის წელი, როცა ბიჭი დაიბადა, უმუშევარი ვიყავი. ოცდაცამეტი წლის ზაფხულში, ელ ჰამელი, თქვენ იცნობთ - მამილო კრამერის დისწულია, მოვიდა და შემომთავაზა...

- თუ უყვარს მამას თავისი სამუშაო, პიტერ? უცებ ვერ მოვისაზრე, რომ მე მეკითხებოდა.

- არ ვიცი, - მივუგე, - ზოგჯერ მეჩვენება, რომ უყვარს. - მაგრამ დავფიქრდი და დავუმატე: - არა, ეჯავრება.

- რაიმე ხეირი რომ იყოს ამაში, კიდევ არა უშავს, - თქვა მამამ - მაგრამ წესრიგის დამყარებას ვერ ვახერხებ. ვერც საწყალი მამაჩემი ახერხებდა.

- თქვენ მასწავლებელი არა ხართ, - უთხრა დოკ აპლტონმა. - თქვენ თვითონა ხართ მოწაფე. სწორედ ეს არის ნერვიული აღგზნების მიზეზი. ნერვიული აღგზნების გამო

ზედმეტი კუჭის წვენის გამოყოფა ხდება. მაშასადამე, ჯორჯ, ის სიმპტომები, თქვენ რომ ამიწერეთ, შესაძლებელია ჩვეულებრივი კოლიტის ნიშანი იყოს. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუდმივი გაღიზიანება იწვევს ტკივილსა სისავსის შეგრძნებას უკანა ტანში. მეტსვერაფერს ვიტყვი, ვიდრერენტგენი არ გაკეთდება.

- კიდევ როგორმე გავათრევდი ამ ჭაპანს, ოღონდაც ვიცოდე, რომ ვინმეს რამეში სჭირია, - თქვა მამამ. - ყველას ამას ვეკითხები და ერთხელ ვერ მივიღე პასუხი.

- ზიმერმანი რას ამბობს?

- არაფერს. მღვრიე წყალში თევზებს იჭერს. ზიმერმანისთვის ადვილია წესრიგის დამყარება და დასცინის ჩემისთანა საწყლებს - საქმისთვის ვერ მოგივლიათო. სულ ყურებში მიდგას მისი სიცილი.

- მე და ზიმერმანი, - თქვა დოკ აპლტონმა და ამოიოხრა, - ვერასდროს ვთანხმდებოდით. ხომ იცით, სკოლაში ჩვენ ერთად ვსწავლობდით.

- არ ვიცოდი.

მამა ტყუოდა. ეს მეც კი ვიცოდი - იმდენჯერ ჰქონდა დოკ აპლტონს ნათქვამი. საერთოდ დოკს არ შეეძლო ზიმერმანის გულგრილად ხსენება. ეტყობოდა, მასზე ფიქრი არ ასვენებდა. მამაჩემის მორჩილებამ გამაცოფა - დაჯექი და უსმინე ახლა ათასჯერ გადაღეჭილ, უთავბოლო მოგონებებს.

- როგორ?! - თქვა დოკ აპლტონმა და გაოცებისაგან თვალები დააფახულა, რომ ასეთი საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება მამას მხედველობიდან გამორჩა, - მე და ის ერთად ვსწავლობდით, ოლინჯერის სკოლა ერთად დავამთავრეთ, - მან მოხერხებულად მოიკალათა საგანგებოდ მისთვის გაკეთებულ სავარძელში. - ოლინჯერი მერე დაარქვეს ამ ქალაქს, მაშინ კი, როცა ჩვენ დავიბადეთ, მას ტილდენი ერქვა. იმ კაცის პატივსაცემად, რომელიც ასე უსირცხვილოდ გააცურეს არჩევნებზე. იმ დროს მოხუცი ოლინჯერი უკვე დაპატრონებული იყო მთელ მიწებს, ახლანდელი ტრამვაის ხაზების ჩრდილოეთით და იმ ადგილის აღმოსავლეთით, სადაც ახლა მუყაოს ფაბრიკაა. მისი სახე კარგად მახსოვს. ბევრჯერ მინახავს ცხენების რემით ოლტონს მიმავალი; გალეული, ჩია მოხუცი იყო, ხუთი ფუტის სიმაღლე თუ იქნებოდა, შავი ფერის ქუდი, და ისეთი უზარმაზარი ულვაშებით, რომ სუფრის

ვერცხლეულის გასაფერად გამოდგებოდა. სამი ვაჟი ჰყავდა: კოტი, ღამით რომ ჭკუაზე შეცდა და სამ მოზვერს თოხით სული გააცხობინა; ბრაინი, რომლისგანაც მათ მზარეულს, ზანგის ქალს ბავშვი შეეძინა, და გაი, უმცროსი, - ამან მიწა ჩარჩს მიჰყიდა და იმ ფულის გაფლანგვას თან გადაჰყვა. კოტი, ბრაინი და გაი! ახლა სამივენი მიწაში წვანან. რაზე დავიწყე ეს ლაპარაკი?

- თქვენი და ზიმერმანის ამბავს ჰყვებოდით, - შევახსენე.

მას მხედველობიდან არ გამოჰპარვია ჩემი თავხედური მოუთმენლობა. მამაჩემის მხარზემოთ გადმომხედა და დაფიქრებით მოღრიცა ქვედა ტუჩი.

- ჰო, - თქვა მან და მამას მიუბრუნდა. - მე და ლუისი ერთ კლასში ვსწავლობდით, კლასები კი იმ დროს მთელ ქალაქში იყო გაფანტული. პირველი და მეორე კლასი პებლკრიკის უკან იყო, სადაც ამჟამად ახალი მოძრავი რესტორანია. მესამე და მეოთხე - მისის ებერჰარდის ფარდულში, რომელიც მან ქალაქს მიაქირავა დოლარად წელიწადში; მეხუთე და მეექვსე - ქვის სახლში, შავ მინდორში, როგორც მაშინ ეძახდნენ, რადგან აქ ნოყიერი შავმიწა ნიადაგი იყო, ყოფილი იპოდრომის უკან.

სამშაბათობით, როცა დოღი იმართებოდა, გაკვეთილებიდან გვითხოვდნენ, რადგან ბიჭები სჭირდებოდათ - ცხენების გასაწმენდად და მათ ბილიკზე გამოსაყვანად. ხოლო როცა მეექვსე კლასი დავამთავრე, საშუალო სკოლა ააგეს

ელმ-სტრიტის კუთხეში. მაშინ ეს დიდ ფუფუნებად მიგვაჩნდა, ახლა იმ შენობაში დაწყებითი სკოლაა, პიტერ, საცა შენ სწავლობდი.

- არ ვიცოდი, - ვთქვი მე, ვცდილობდი წეღანდელი უხეშობა გამომესყიდა.

დოკ აპლტონს, ეტყობა, ესიამოვნა. ისე გადაწვა თავის ჭრაჭუნა სავარძელში, რომ დაჭმუჭნული მაღალყელიანი წაღები გაცვეთილ ნოხს ძლივსღა სწვდებოდა.

- ლუის მ. ზიმერმანი, - განაგრძო მან, - ჩემზე ერთი თვით უფროსი იყო. ქალები ბუზებივით ეხვეოდნენ. მისის მეტცლერს, ჩვენს მასწავლებელს პირველ და მეორე კლასში - სიმაღლით ექვსი ფუტი იქნებოდა და ფეხები თამბაქოს საწყობის ირგვლივ დარჭობილ ხარიხებს მიუგავდა - მზე და მთვარე ამოსდიოდა ლუისზე, ასევე მის ლიტსა და მისის მებრისაც, რომლებიც მომდევნო კლასებში გვასწავლიდნენ. მოკლედ, ზიმერმანს ყველა ფეხქვეშ ეგებოდა და ვიღას ახსოვდა საცოდავი ტეტია - ჰარი აპლტონი. თავიდანვე ფხა გამოიჩინა, სიმკვირცხლით გვაჯობა.

- მეც ეგ არ უნდა მეთქვა! მიუგო მამამ. - წელში რომ გავწყდე, მაგას მაინც ვერ შევედრები.

- მერე რა არის, იცით! - განაგრძო დოკ აპლტონმა, თან ლაპარაკის დროს ბალნიან ხელებს სასაცილოდ იშველიებდა, ზოგჯერ ხელისგულებს შეაერთებდა, ხანაც ცალი ხელის თითებს მეორე ხელის გულზე ათამაშებდა, - ყველაფერში ბედი სწყალობს. ჯერ არ იცის რა არის დამარცხება, ამიტომ არის ასე უხასიათო. თანდათან იზრდება - მან თეთრი ხელით წრე მოხაზა ჰაერში, - ავთვისებიან სიმსივნესავით. სანდო არ არის ეგ კაცი, თუმცა ყოველ კვირას საღვთო წერილს უკითხავს ხალხს კალვინისტების ეკლესიაში. უჰ! ჩემი ნება რომ იყოს, ჯორჯ, ავიღებდი დანას, - მან ხელი ასწია და ცერი ისე შემართა, რომ ის უცებ მკვრივი და ბასრი მომეჩვენა, - და ამოვკვეთდი იმ სიმსივნეს.

ნამგალივით მოხრილმა ცერმა ჰაერი სწრაფად გასერა, თითქოს სქელი ფენა ჩამოათალაო.

- თქვენს გულახდილობას ვაფასებ, დოკ, - უთხრა მამამ, - მაგრამ მე და ბევრ ჩემისთანას სკოლაში მაგის იქით გზა არა გვაქვს. ამ ქალაქში ყოველი ათი კაციდან ცხრა ზიმერმანის სახელს ფიცულობს, შაქარივით დნებიან მის დანახვაზე.

- ხალხი სულელია, - თქვა დოკ აპლტონმა და წინ გადაიხარა. ფეხსაცმელებმა რბილად გაიტყლაშუნა ნოხზე. - სამედიცინო პრაქტიკამ მარტო ეს ერთი რამ

მასწავლა. ლენჩებითაა სავსე ეს ქვეყანა. - მან ხელი დაკრა მამას მუხლზე, ერთხელ, მეორედ, მესამედ და განაგრძო. ახლა უკვე თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, თითქოს საიდუმლოს გამხელა სწადიაო. - მერე, როცა პენს გავემგზავრე, სამედიცინო ფაკულტეტზე სასწავლებლად, იქ მაშინვე გადაწყვიტეს - სოფლელი ტეტიააო. მაგრამ გავიდა ერთი წელი და სხვა თვალით დამიწყეს ყურება. შეიძლება, ზოგიერთებივით მკვირცხლი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი საქმე ვიცოდი. არსად მეჩქარებოდა და წიგნებს ჩავუჯექი. წლის ბოლოს, როგორ გგონიათ, ვინ იყო პირველი? აბა, პიტერ, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, რას იტყვი?

- თქვენ, - მივუგე.

არ მინდოდა მისი წყენინება, მაგრამ ძალით ამომგლიჯა ეს სიტყვა ყელიდან. ეს ოლინჯერელი ბობოლები ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ.

დოკ აპლტონმა შემომხედა, მაგრამ არც ღიმილით და არც თავისქნევით არ მაგრძნობინა, რომ ჩემი ნათქვამი გაიგო. მერე მამას მიაჩერდა სახეში, თავი დააქნია და თქვა:

- პირველი არ ვყოფილვარ, მაგრამ სოფლელი ტეტიასთვის არცთუ ცუდად გავართვი თავი. ხომ გესმით, ჯორჯ?

და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, როგორც ეს ლაყბობის მოყვარულ ხალხს სჩვევია, უცებ შეწყვიტა საუბარი, თითქოს მისი დრო ამოიწურაო, ფეხზე წამოდგა, ძგიდეს მიეფარა და იქ რაღაც დიდხანს აწკარუნა. მერე უკან დაბრუნდა. ხელში რაღაც ალუბლისფერსითხიანი შუშა ეჭირა, შუშაში სითხე ვერცხლისწყალივით ხტოდა და ციმციმებდა. მან შუშა მამას მეჭეჭიან ხელში ჩაუდო და უთხრა:

- სუფრის კოვზი დღეში. სანამ რენტგენის სურათი არ გვექნება, მეტის თქმა არ შემიძლია. დაისვენეთ და მაინცდამაინც ფიქრს ნუ მიეცემით. სიკვდილი რომ არ არსებობდეს ქვეყნად, მაშინ სიცოცხლეც არ იქნებოდა. ჯანმრთელობა, - თქვა მან და ქვედა ტუჩი ღიმილმა შეუტოკა, - ცხოველური მდგომარეობაა. ყველა სნეულება უმეტეს წილად ტვინიდან ან ზურგიდან იწყება. ჩვენ ორი შეცდომა დავუშვით; ორ ფეხზე დავდექით და ფიქრი დავიწყეთ. ეს კი ზურგის ტვინისა და ნერვების დაძაბვას იწვევს. ტვინი კი მთელი ორგანიზმს წარმართავს. - ის გაბრაზებული მომიახლოვდა, თმა უხეშად გადამიწია უკან და შუბლზე დამაშტერდა. - თავზე შენ უფრო ნაკლები ლაქები გაქვს, ვიდრე დედაშენს, მითხრა მან და ხელი გამიშვა. მაშინვე გავისწორე თმა. სახეზე, ალბათ, ალმური ამდიოდა.

- სკიპისაგან რა ისმის? - ჰკითხა მამამ.

ექიმი ხელად მოლბა, მოეშვა. წლებით დამძიმებულ ჩვეულებრივ მოხუცს დაემსგავსა თავის ჟილეტსა და ლეკვერთხებში.

- კლინიკაში დატოვეს, სენტ-ლუისში, - თქვა მან.

- თავს ნუ იკატუნებთ, - თქვა მამაჩემმა. - თითქოს სულ არ ამაყობდეთ. მე თვითონ ვამაყობ - ჩემი ბიჭის შემდეგ ის ყველაზე ძლიერი იყო ჩემს მოსწავლეებს შორის და მადლობა ღმერთს, ჩემი სულელური ჯიუტობა არ გამოჰყვა.

- გამოცხადებული დედამისია, - თქვა დოკ აპლტონმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ და მაშინვე ყველაფერზე მუქი ჩრდილი გაწვა. მისაღები ოთახი უეცრად მიტოვებული მომეჩვენა და შავი მგლოვიარე ავეჯი გულჩათხრობილ ლანდებს დაემსგავსა. ჩვენი ხმები და ნაბიჯები მტვერში ჩაიძირა და ათი წლის შემდეგ დაბადებული ვიღაც სულიერი მომავლიდან მათვალიერებდა. მამამ ექიმს გასამრჯელო შესთავაზა, მაგრამ მან ფული არ გამოართვა და თქვა:

- შედეგს დაველოდოთ.

- მადლობელი ვარ, რომ არაფერი დამიმალეთ, - უთხრა მამამ.

როცა ტკაცუნა, ბოროტ, დამაბრმავებელ ყინვაში გავედით, მამამ მითხრა:

- აი, ხომ ხედავ, პიტერ? მაინც ვერ გავიგე, რისი გაგებაც მინდოდა. მაგათგან ვერაფერს გაიგებს კაცი.

- ჩემს მოსვლამდე რაღა იყო?

- ჯვარზე მაცვა, და მერე რენტგენი დამინიშნა ოლტონის ჰომეოპათიურ კლინიკაში დღეს ექვსი საათისათვის.

- ეგ რიღასთვის?

- დოკ აპლტონს რას გაუგებ. იმიტომაცა აქვს ასეთი რეპუტაცია.

- ეტყობა, ზიმერმანი არ უყვარს, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ.

- საქმე ის არის, პიტერ, რომ ზიმერმანი - შენთვის შეიძლება ამის თქმა, პატარა აღარა ხარ, - ზიმერმანზე ამბობენ, დოკ აპლტონის ცოლთან რომანი ჰქონდაო. ეს შენს დაბადებამდე იყო, თუ საერთოდ მართალია. ზოგიერთებმა ეჭვიც კი გამოთქვეს, რომ ის არის სკიპის მამა.

- კი მაგარმ სად არის ახლა მისის აპლტონი?

- არავინ იცის სად წავიდა. იქნებ, აღარც არისცოცხალი.

- რა ერქვა?

- კორინა.

იქნებ აღარც არის ცოცხალი, რომანი ჰქონდა, შენს დაბადებამდე - ჩვენს ირგვლივ მოლივლივე უძირო ღამე ამ სიტყვებში ჩაქსოვილი იდუმალებით განიმსჭვალა და სადღაც, მის უსასრულო წიაღში მამაჩემის სიკვდილი მახრჩობელა გველივით დახვეულიყო და ნელ-ნელა იკუმშებოდა. მაგრამ სახლების სახურავებზე ჩამოწოლილი სიბნელე, რომლებშიც ვარსკვლავები ოკეანეში გაფანტული ქარსის წინწკლებივით ელავდნენ, ისეთი უზარმაზარი იყო, რომ ამ მრისხანე და წარმოუდგენელ მოვლენასაც კი იტევდა. მამას ავედევნე - მისი სახე ქუჩის ფარნების შუქზე მკრთალი და მოღუშული ჩანდა და ლანდივით წინ გამირბოდა. მამამ ნაქსოვი ქუდი დაიხურა, მე კი თავი მთლად გამეყინა.

- ოლტონში, - თქვა მან. - რენტგენის სურათს გადავიღებ კლინიკაში და მერე იქვე, სპორტკლუბ აქა-ში[7] შევივლი. შენ კინოში წადი. გათბი, სული მოითქვი და მერე გამომიარე. რვის ნახევარზე მოდი, ან რვას რომ თხუთმეტი დააკლდება. შეჯიბრება, ალბათ, რვისთვის დამთავრდება. ახლა დაახლოებით ექვსის თხუთმეტი წუთია. გეყოფა ფული ბიფშტექსისათვის?

- მეყოფა. ახლა როგორა ხარ, კიდევ გტკივა?

- ახლა უკეთესად ვარ, პიტერ. ჩემზე ნუ სწუხხარ. უბრალო მომაკვდავი იმით მაინც არის ბედნიერი, რომ შეუძლებელია მარტო ერთ სატკივარზე იფიქროს.

- გამოიძებნება რაიმე საშუალება შენს მოსარჩენად, - ვუთხარი მე.

- ჩემს მოსაკლავად, - მომიგო მან. ცივ და ბნელ ქუჩაში ეს სიტყვები უცნაურად ჩამომესმა ზევიდან; მისი სახე და სხეული კი ისევ აჩქარებით მიიწევდა წინ. - სიკვდილი ყველაზე უებარი წამალია.

დასავლეთისაკენ წავედით. სკოლის მიმართულებით - „ბიუიკი“ იქ გვქონდა დატოვებული. მანქანაში ჩავჯექით და ოლტონისკენ გავსწიეთ. ქუჩის ორივე მხარეს შუქი განუყრელად გვდევდა თან მთელი სამი მილის მანძილზე, მარტო ხანაგის გარშემო, სიმინდის ყანებზე და მდინარე „გაჭენებულ ცხენზე“ გადებულ ხიდთან ბნელოდა - სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩვენი მგზავრი ჰაერში აფრინდა თავისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით. ქალაქის გაჩირაღდნებული ცენტრი გავიარეთ, გადავჭერით სანაპირო ქუჩა, პიჩონი-ავენიუ, უაზერ სტრიტი და კონრად უაიზერ-სტრიტის გავლით მეექვსე ქუჩით, სადგურის ახლოს, მანქანების სადგომს ჩავუარეთ. მერე კი ერთ ვიწრო ქუჩას ჩავყევით, რომლის არსებობაც, ალბათ, მამაჩემის მეტმა არა კაცმა არ იცოდა. მოსახვევში, ესიკის ფაბრიკასთან, რომელიც გარშემო გულისამრევ, ტკბილ სურნელებას

ავრცელებდა, რკინიგზის მიწაყრილის ფართო ზოლი გაჭიმულიყო. აქა-იქ მიწაყრილზე წიდა ბრჭყვინავდა. ესიკის ფაბრიკაში მომუშავენი ამ მიწაყრილის მარცხენა ფერდობს მანქანების სადგომად იყენებდნენ, რადგან ნაკლებად დამრეცი იყო, თუმცა ის რკინიგზას ეკუთვნოდა. მამამაც აქ გააჩერა მანქანა და გადმოვედით. კარის ჯახუნი ექომ გაიმეორა. მანქანა საკუთარ ჩრდილს გადაემხო, თითქოს ბაყაყი სარკეში იყურებაო. ლურჯი შუქნიშანი გულცივი ანგელოზივით დაგვტრიალებდა თავს.

მე და მამა სადგურთან დავცილდით ერთმანეთს. ის მარცხნივ წავიდა, საავადმყოფოსკენ. მე უაიზერ-სტრიტს გავყევი, სადაც ხუთი კინოთეატრის აფიშა იყო გამწკრივებული. სამსახურიდან გამოსული ხალხი ნიაღვარივით აწყდებოდა ქუჩას. დილის სეანსები დამთავრებულიყო; მაღაზიების კარებს, რომელთა ვიტრინები გაჭედილი იყო ბამბის გროვებითა და „იანვრის თეთრი ვაჭრობის“ რეკლამებით, კლიტეებს ადებდნენ და ბოქლომებს ჰკიდებდნენ. რესტორნებში მაგიდებს საღამოსთვის შლიდნენ; ბისკვიტებით მოვაჭრე მოხუცები ჩონჩხებს ბრეზენტს აფარებდნენ და სტოვებდნენ იქაურობას. ყველაზე მეტად ასეთ წუთებში მაღელვებდა ქალაქი, როცა მამა მარტო მიშვებდა და მეც აღმა მივყვებოდი დინებას, მივაპობდი ამ საერთო ნიაღვარს; უსახლკარო, თავისუფალი, ნება-ნება მივყვებოდი ქუჩას და შევყურებდი ოქრომჭედელთა ვიტრინებს, თუთუნით მოვაჭრეთა საუბარს ვუსმენდი, ვსუნთქავდი საკონდიტროების ჰაერით, სადაც პენსნეებსა და თეთრ ხალათებში გამოწყობილი ჩასუქებული ქალები მარციპანებით, ნაზუქებით, ნიგვზის რულეტებითა და თაფლის კვერებით სავსე ლანგრებთან თვლემდნენ. ასეთ დროს, როდესაც მუშა-მოსამსახურეები და დიასახლისები ფეხით, მანქანით, ავტობუსით, ან ტრამვაით შინ მიეშურებოდნენ, სადაც მათ საქმეები ელოდა, მე დროებით ყველაფრისგან მოცლილი

ვიყავი, და მამა არათუ ნებას მაძლევდა, მიბრძანებდა, რომ კინოში წავსულიყავი, რაც ორი საათით სხვა სამყაროში გადამისვრიდა. ჭეშმარიტი სამყარო, ჩემი სამყარო, მთელი უსიამოვნებებითა და შემაწუხებელი არეულობით, უკან რჩებოდა; დავეხეტებოდი განძეულობათა შორის, რომელიც ოდესღაც ჩემი უნდა გამხდარიყო. ასეთ წუთებში, ლაღსა და ნებიერას, ხშირად მაგონდებოდა დედა, და სინდისის ქენჯნა ამიტანდა, რადგან ის შორს იყო და არ შეეძლო ჩემი დატუქსვა ან დარიგება; დედა, განუყრელი ფერმით, მამამისით, დღენიადაგ უკმაყოფილო, ხან განუსჯელი და ხან შორსმჭვრეტელი, ხან უგნური და ხან გულთამხილავი, ხან - უბრალო, და ხან - მიუწვდომელი; დედა - ფართო ჩაფიქრებული სახითა და მიწისა და ფაფის უცნაური, უმანკო სურნელით; დედა,

რომლის სისხლსაც არ ვრყვნიდი, ოლტონის ცენტრის მტვრიან ბანგში ჩაფლული. ასეთ წუთებში სულს მიხუთავდა დამპალი ბრწყინვალება და შიში მტანჯავდა. მაგრამ არ შემეძლო მასთან დაბრუნებით დანაშაულის შემსუბუქება, რადგან მისივე ნება-სურვილის თანახმად ათი მილი გვაშორებდა; და რაკი მან თვითონვე უარმყო, მე, ამაყი და გულგრილი, შურისძიებით აღვივსე, როგორც ეს ნამდვილ მაწანწალას შეჰფერის.

უაიზერ-სტრიტზე ჩამწკრივებულ ოლტონისხუთ კინოთეატრს ერქვა: „ლოუი“, „ემბესი“, „უორნერი“, „ასტორი“ და „რიცი“. მე „უორნერში“ წავედი, „ჭაბუკ მესაყვირეზე“ კერკ დუგლასის, დორის დეისა და ლორენ ბეკელის მონაწილეობით. მამა მართალს ამბობდა: იქ თბილოდა. თანაც, - იმ დღეს ყველაზე მეტად ამან გამახარა, - როცა დარბაზში შევედი, მულტფილმს უჩვენებდნენ. ცამეტი რიცხვი იყო და არ მოველოდი, თუ ბედი ასე გამიღიმებდა. მულტი, რა თქმა უნდა, ბაჭიაზე იყო. „ლოუიში“ „ტომი და ჯერი“ გადიოდა. „ემბესიში“ - თვალებგადმოკარკლული მეზღვაური, „ასტორიში“ უკეთეს შემთხვევაში დისნეის ფილმი, უარეს შემთხვევაში კი - „პოლ ტერი“. ერთი პაკეტი მოხალული სიმინდი და ერთი პაკეტიც ნუში ვიყიდე, თუმცა ჩემი კანისთვის ორივე მავნებელი იყო. სათადარიგო გასასვლელები მკრთალად იყო განათებული და დრო შეუმჩნევლად იწურებოდა. ფილმის დასასრულს, როცა მთავარი გმირი, მესაყვირე, ბიქს ბეიდერბეკეს რომ ბაძავდა, როგორც იქნა დაუსხლტა ხელიდან მანკიერი და შემპარავი ღიმილის მქონე მდიდარ ქალს (ლორენ ბეკელი), რომელიც ტალახში სვრიდა მის ხელოვნებას და სათნო ნიჭიერი ქალი (დორის დეი), დაბრუნებულ სატრფოს საკუთარი წკრიალა ხმით ეჟღურტულებოდა, კერკ დუგლასს კი ხელთ ეპყრა საყვირი, რომელზეც სინამდვილეში ჰარი ჯეიმზი უკრავდა და „ჩემი

გულის სიმღერა“ ვერცხლის შადრევნის წვეთებივით სულ უფრო და უფრო მაღლა იჭრებოდა ჰაერში; როცა უკანასკნელი ბგერებიც მიწყდა და ექსტაზის უმაღლეს საფეხურს გადავაბიჯე, მამა გამახსენდა. მოუსვენრობამ ამიტანა; ვიგრძენი, რომ მაგვიანდებოდა.

კარზემოთ შუქი აკაშკაშდა. გაჩახჩახებულ ვესტიბიულში რომ გავრბოდი, იატაკიდან ჭერამდე აზიდულ უზარმაზარ სარკეებში ჩემს ორეულს მოვკარი თვალი - სახეზე ალმური ამდიოდა, თვალები დამწითლებოდა, მეწამული პერანგის მხრები კი თავიდან ჩამოყრილ თეთრ მტვერს დაეფარა. ჩვეულებად მქონდა თავის ქექვა, როცა არავინ მხედავდა.

ნირწამხდარმა მოუთმენლად ჩამოვიფერთხე თეთრი მტვერი და ქუჩის სუსხში მოხვედრილი სახტად დავრჩი - ლანდებივით ფერმიხდილი და გალეული მეჩვენა გამვლელთა სახეები მნათობივით უზარმაზარი, ბრჭყვიალა ლაქების

შემდეგ, რომელიც სულ ახლახან ჩემს თვალწინ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ერთიმეორეში ინთქმებოდნენ და კვლავ შორდებოდნენ. სპორტკლუბისკენ გავიქეცი. ის

უაიზერ-სტრიტზე იყო, ორ კვარტლის შემდეგ, პერკიომენისა და ბიჩის მაღაზიასთან. რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ გავრბოდი. ვიწრო ქუჩაზე უამრავი საპარიკმახერო და სასაუზმე იყო. სახურავების ზევით, ამღვრეულ ყვითელ ცაზე, ფერდაკარგული ვარსკვლავები ბჟუტავდნენ. ხველის საწინააღმდეგო აბების სუნი მოიჭრა და ჩემი შიში მასხრად აიგდო. მომავლის ქალაქი, იდეალური ქალაქი, თვალსა და ხელს შუა გამიქრა - მკაცრმა სინამდვილემ გადასანსლა უსაფუძვლო მწარე გამონაგონი.

სპორტკლუბში რეზინის ლანჩების სუნი ტრიალებდა. გაცრეცილ იატაკს ნაცრისფერი დასდებოდა. შეყვითლებული განცხადებებითა და ძველთა-ძველი სატურნირო ცხრილებით აჭრელებული დაფის ქვეშ, მაგიდასთან ზანგი ბიჭი იჯდა და „კომიკსს“ კითხულობდა. დერეფანში, რომელსაც სიმწვანე დაჰკრავდა, თითქოს ვენახის ფოთლებში ჩამალული ლამპიონებით იყო გაშუქებული, ბილიარდის ბურთების კაკუნი არ ცხრებოდა. საწინააღმდეგო მხრიდან გამუდმებული ტაკატუკი მოისმოდა. იქ პინგ-პონგს თამაშობდნენ. მაგიდასთან მჯდომმა ბიჭმა კითხვა შეწყვიტა და თავი ასწია. შევკრთი; ოლინჯერში ზანგები არ ცხოვრობდნენ და შეუცნობელი შიში მიპყრობდა მათ დანახვაზე. ისინი ჯადოქრებად მეჩვენებოდნენ, რომლებიც ოსტატურად

ფლობდნენ სიყვარულისა და სიმღერის ბნელ საიდუმლოებებს. მაგრამ ამ ზანგს სრულიად უწყინარი სახე ჰქონდა, ალაოიანი რძისფერი. „გაგიმარჯოს“ - ვუთხარი და სუნთქვაშეკრულმა გავიარე დერეფანი ბეტონის კიბისკენ, რომლის შემდეგაც გასახდელი იწყებოდა და მერე კი აუზი. ქვევით ჩავედი თუ არა, მაშინვე წყლის, ქლორისა და კიდევ რაღაცის სუნი მეცა, ალბათ, შიშველი სხეულის.

შორენკეციით მოპირკეთებულ ფართო აუზში მჭექარე რეზონანსი სიტყვებს მჭახე ბგერებად ამსხვრევდა. დაბალ ხის სკამზე აუზის პირას წყლიდან ახლად ამოსული ვიღაც ტიტველი ბიჭი და მამაჩემი ისხდნენ; დეიფენდორფი. დეიფენდორფს მარტო შავი, ფორმის საბანაო ტრუსები ეცვა, სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნილი, და მკვრივ თეძოებს შორის თავჩაქინდრული ბორცვი მოუჩანდა. მკერდი, მხრები და ფეხები ხშირი ბალნით ჰქონდა დაფარული და შიშველი ტერფების გარშემო ხის იატაკზე წურწურით იღვრებოდა წყალი. ზურგში მოხრილი იყო, მაგრამ მისი თეთრი სხეულის ჰარმონიას მხოლოდ უხეში

წითელი ხელები აფუჭებდნენ. ის და მამა თითქმის ერთნაირი ღიმილით შემხვდნენ: არაბუნებრივი, უაზრო ღიმილით, თითქოს შეთქმულება განუზრახავთო. დეიფენდროფი რომ გამებრაზებინა, განზრახ ვკითხე:

- რა ჰქენი, მოიგე შეჯიბრება ბრასით და თავისუფალი სტილით ცურვაში?

- არა, შენა გგევარ! - შემომიღრინა მან.

- ჰო, მოიგო შეჯიბრება, - თქვა მამამ. - ვამაყობ შენით, დეიფი. ბრწყინვალედ შეასრულე პირობა. კაციც შენა ყოფილხარ.

- მაგის რჯული არ იყოს, ის ბიჭი რომ დროზე შემენიშნა გრძელ ბილიკზე, თავისუფალ სტილშიც მოვიგებდი. ის ნაბიჭვარი გველივით მომეპარა, მეგონა, უკვე მოვიგდე და ეგ არის-მეთქი, არც კი ვჩქარობდი.

- ის ბიჭი კარგად ცურავდა, - თქვა მამამ, - პატიოსნად მოიგო შეჯიბრება. სწორი ტემპი აიღო. ფოლი შესანიშნავი მწვრთნელია. მე ვარ უხეირო, დეიფი, თორემ ამ ოლქის მეფე იქნებოდი; შენი წონა ოქრო ხარ. მე რომ მწვრთნელად ვვარგოდე და თამბაქოს წევას რომ მოეშვებოდე...

- ნეტავ რა ოხრად მინდა! ისეც წუთ-ნახევარს შემიძლია სუნთქვის შეკავება, თქვა დეიფენდორფმა.

ისე ელაქუცებოდნენ ერთმანეთს, რომ ნერვები ამეშალა. მამას გვერდით ამოვუდექი და აუზს დავუწყე ცქერა: ის იყო მთავარი გმირი აქ. წყვეტილი ელვარებით ავსებდა თავის უზარმაზარ, მიწისქვეშა გალიას და ირგვლივ ქლორის მძაფრ სუნს აფრქვევდა, რომელიც თვალს მწვავდა. ტრიბუნა, სადაც შეჯიბრების მონაწილე გუნდები და მსაჯები ისხდნენ, მოლივლივე წყალში არეკლილიყო და ზოგჯერ ეს ანარეკლი გრძელწვერა სახეს ემსგავსებოდა. აქა-იქ გაპობილი წყლის მბრწყინავი ზედაპირი ყოველთვის საოცარი სისწრაფით მთელდებოდა. ყვირილი და დგაფუნი, რომლებსაც ექო და ისევ დგაფუნი ახშობდა, შეჯახებისას უჩვეულო, ჩემთვის ცნობილ რომელიმე ენაში არარსებულ სიტყვებს წარმოქმნიდნენ, უაზრო ყეფას, თითქოს ბურანში მყოფს რაღაც მეკითხოს მათთვის, რაც უკვე აღარ მახსოვდა და ახლა მპასუხობდნენ ჩემს შეკითხვაზე. კეკროპ! ინაჰ! დიი! არა, შეკითხვებს მე კი არ ვიძლეოდი, არამედ მამაჩემი, რომელიც ჩემს გვერდით იდგა.

- ნეტავ რას გრძნობს გამარჯვებული? - იკითხა მან ხმამაღლა; შეკითხვა, ალბათ, თანაბრად გვეხებოდა მე და დეიფენდორფს, რადგან მამა პირდაპირ იყურებოდა. - დალახვროს ეშმაკმა, მე არ მიწერია ამის გამოცდა.

წყლის მთრთოლვარე ტყავზე ათინათები და ბუშტულები ბოლთასა სცემდნენ. აუზის ფსკერზე გავლებული ხაზები, რომლებიც ბილიკებს ერთმანეთისგან

ჰყოფდა, იგრიხებოდნენ, ხტოდნენ და კლაკვნითა და მტვრევით მიიწევდნენ ზედაპირისაკენ; ის-ის იყო გრძელწვერა სახე გარკვევით უნდა გამოჩენილიყო, რომ ახალი სპორტსმენი ისკუპებდა წყალში. ერთი-ერთი მყვინთავი ჩვენი უფროსკლასელი დენი ჰორსტი - დაბალი, შავ გრძელ ფაფრიანი, რომელიც წყალში გადახტომის წინ, ბერძენი ქალივით, ბაფთით გაიკრა - ტრამპლინზე გამოვიდა და კუნთებს ათამაშებდა; მერე წინ სალტო გააკეთა - მუხლებზე ხელები შემოიჭდო, ფეხის წვერები გაჭიმა და ბერძნული ლარნაკის სახელურივით ლამაზად მოხრილი ჩაეშვა წყალში. ერთმა მსაჯმა მაშინვე ათიანი ჩართო დაფაზე.

- თხუთმეტი წელია არ მოვსწრებივარ, - თქვა მამამ, - რომ კაცს ათი ქულა ჩაუთვალონ. ამაზე იტყვიან, მეორედ მოსვლაა. თორემ ამქვეყნად სრულყოფილი არაფერია.

- უჰ, დენი, გენაცვალე სულში! - დაიღრიალა დეიფენდორმა და ორივე გუნდმა ტაში დასცხო, როცა დენიმ წყლიდან ამოყვინთა, ამაყი მოძრაობით უკან გადაიყარა თმა და

ხელის რამდენიმე მოსმით აუზის კიდესთან გაჩნდა. მაგრამ მეორეჯერ გადახტომისას რაკი გრძნობდა, რომ მისგან კვლავ სასწაულს ველოდით, მეტისმეტი მონდომებისაგან წონასწორობა დაკარგა და ერთ-ნახევრიანი სალტო წამით ადრე დაასრულა, რის გამოც წყლის ზედაპირზე ზურგით მოადინა ტყაპანი. ერთმა მსაჯმა სამი ქულა ჩაუთვალა, დანარჩენმა ორმა - ოთხ-ოთხი.

- რას იზამ, - თქვა მამამ, - რაც შეეძლო, გააკეთა საწყალმა. და როცა დენი წყლის

ზედაპირზე გამოჩნდა, მხოლოდ მამამ დაუკრა ტაში.

შეჯიბრება შემდეგი ანგარიშით დამთავრდა: დასავლეთ ოლტონი - 37,5; ოლინჯერი -18. მამა აუზის ნაპირთან დადგა და თავის გუნდს მიმართა:

- ყოჩაღ, ბიჭებო, ვამაყობ თქვენით. ჯერ ის რადა ღირს, შეჯიბრებაზე რომ გამოხვედით - ამით არც ფული ემატება ვინმეს და არც სახელი. ჩვენს ქალაქში გუბურაც კი არ არის და წარმოუდგენელია, ასეთ წარმატებას როგორ მიაღწიეთ. სკოლას რომ საკუთარი აუზი ჰქონდეს, როგორც ეს დასავლეთ ოლტონშია, - ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მათი

მიღწევები მივჩქმალო, - ყოველი თქვენგანი ჯონი ვეისმიულერი იქნებოდა. ჩემს ჟურნალში ხართ კიდევაც! დენი, საუცხოო ნახტომი იყო. ჩემს სიცოცხლეში ასეთს ვერაფერს ვნახავ.

უცნაური შესახედავი იყო მამაჩემი, როცა ამ სიტყვას ამბობდა: კოსტიუმსა და ყელსახვევში გამოწყობილი იდგა ტიტლიკანა ბიჭებს შორის; ტრიბუნიდან მამაჩემის მუქი, სერიოზული თავი შავ ლაქად მოჩანდა მწვანე ქვებით მოკენჭილი თეთრი შორენკეცებისა და ფირუზისფერი წყლის ფონზე. გუნდის წევრები უსმენდნენ და დროდადრო მხრებსა და მკერდზე კანი ნერვულად უთრთოდათ, თითქოს წყლის ზედაპირზე მომდგარი ქაფი თრთის, ან აღგზნებულ ცხენს ტყავი უცახცახებსო. დამარცხების მიუხედავად, ხმამაღლა ლაზღანდარობდნენ და სიამაყით იყვნენ გამსჭვალულნი; ჩვენ ისინი საშხაპეში დავტოვეთ, სადაც გასაპნულები, წვიმაში მოხვედრილი კვიცების რემასავით კუნტრუშებდნენ.

- ვარჯიში ოთხშაბათს იქნება, როგორც ყოველთვის, - უთხრა მათ მამამ გამომშვიდობებისას. - ამ დღეს რძის კოკტეილს ნუ დალევთ და ოთხ ბიფშტექსზე მეტს ნუ შეჭამთ.

ყევლამ გაიცინა, მეც კი გამეღიმა, თუმცა მამაჩემის შემხედვარეს გული დამიმძიმდა. იმ მოვლენებით მდიდარ ღამეს მამა სიმძიმედ და ინერციად იყო ქცეული და ეს ყოველ წუთს ხელს მიშლიდა ამესრულებინა ჩემი უბრალო სურვილი, მასთან ერთად სახლამდე მიმეღწია და მხრებზე ჩამოკიდებული ტვირთი მომეხსნა.

როცა ბეტონის კიბეზე ავედით, დერეფანში ოლტონის გუნდის მწვრთნელი, ფოლი დაგვეწია და მამაჩემი მთელ საათს მოუნდა მასთან ლაპარაკს. აუზის გარშემო ჰაერი ნესტიანი იყო და კოსტიუმები მთლად დასრესოდათ. სანახევროდ ბნელ დერეფანში ორივენი ნამით დაცვარულ მწყემსებს ჰგავდნენ.

- არაადამიანური შრომა ჩაგიტარებიათ ამ ბიჭებთან, - უთხა მამამ მისტერ ფოლის. - თქვენი ნიჭის მეათედი რომ მქონდეს, გიჩვენებდით სეირს. წელს მაინც ძალიან კარგი შემადგენლობაა. ოქრო ბიჭები მყვანან.

- თქვენც იტყვით, ერთი, ჯორჯ! - თქვა ფოლიმ, ჩასუქებულმა წითურმა კაცმა, რომელიც ყოველ სიტყვაზე შაქარივით დნებოდა. - ჩემზე კარგად იცით, რომ წვრთნა აქ არაფერ შუაშია; გაუშვი ბაყაყი წყალში და მორჩა. ყოველ ჩვენგანში თევზი იმალება, მხოლოდ წყალში მოხვედრაა საჭირო.

- კარგი ნათქვამია, მეგობარო, - დასძინა მამამ. - ასეთი ჯერ არაფერი მსმენია. - ჩემი ჩემპიონი როგორღა მოგეწონათ ბრასით ცურვაში?

- თავისუფალ სტილშიც უნდა მოეგო. ხომ გათათხეთ სიზარმაცისთვის?

- ის რეგვენია, მეგობარო, - მიუგო მამამ. - რეგვენი. ჩემზე მეტი ტვინი ღმერთს არც მაგისთვის მიუცია და გასალანძღავად ვერ ვიმეტებ მაგ უბედურს. მოუთმენლობისაგან სული ყელში მომებჯინა.

- ჩემს ვაჟს, ალბათ, იცნობთ, არა? პიტერ, აქ მოდი, ხელი ჩამოართვი ამ ძვირფას ადამიანს. შენ ასეთი მამა უნდა გყოლოდა.

- პიტერს როგორ არ ვიცნობ, - თქვა მისტერ ფოლიმ, და ისე მაგრად, გულითადად ჩამომართვა ხელი, რომ უდიდესი სიამოვნება ვიგრძენი - კოლდუელის ვაჟს აქ ყველა იცნობს.

მათ სევდიან სამყაროში, სადაც ახალგაზრდული სპორტკლუბის ერთფეროვან ცხოვრებას არაფერი არღვევდა და მოსაწყენი სპორტული შეჯიბრებები და აღლუმები ერთმანეთს ცვლიდა, ეს გაუთავებელი პირფერობა საუბრად საღდებოდა. მისტერ ფოლიში ეს იმდენად არ მაღიზიანებდა, როგორც მამაჩემში, რადგან ჩემი აზრით, მამაჩემის საოცარი მიდრეკილება ლაყბობისადმი მორცხვობით იყო გამოწვეული.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ლაპარაკობდა, გულის სიღრმეში მამა ჩუმი კაცი იყო. იმ დღეს ისეთ გუნებაზე იყო, რომ მხოლოდ მისი დუმილი დამამახსოვრდა. ქუჩაში რომ მივდიოდით, პირი მაგრად ჰქონდა მოკუმული და მისი ქუსლები უჩვეულო სიხარბით აცხრებოდნენ ქვაფენილს. ალბათ მამაჩემივით არავის უყვარდა ასე აღმოსავლეთის უშნო ქალაქებში ხეტიალი; ტრენტონი, ბრიჯპორტი, ბინგემტონი, ჯონდსტაუნი, ელმაირა, ალენტაუნი - ყველა ეს ქალაქი მოიარა, როცა სატელეფონო კომპანიაში ქსელის ამწყობად მუშაობდა, ჯერ კიდევ სანამ დედას შეირთავდა და მე დავიბადებოდი, მაგრამ ჰუვერის კრიზისის შემდეგ მაინც მშრალზე დარჩა. ფაირტაუნისა ეშინოდა, ოლინჯერში მიუსაფრად გრძნობდა თავს, ოლტონისთვის კი ჭკუას კარგავდა: ასფალტი, ქუჩის ფარნები, სახლების სწორი ფასადები

დიდებულ შუაატლანტურ ცივილიზაციაზე მოუთხრობდნენ, ჩრდილოეთში, ნიუ-ჰეივენში რომ იწყებოდა და სამხრეთით ჰეიჯერსტაუნამდე, ხოლო აღმოსავლეთით უილინგამდე ვრცელდებოდა და ერთადერთი ნავთსაყუდარი იყო მთელ მარადიულ სამყაროში; როცა მეექვსე ქუჩაზე მამის კვალდაკვალ მივაბიჯებდი, მესმოდა, როგორ მღეროდა ასფალტი.

მამას რენტგენის ამბავი გამოვკითხე და მან პასუხის ნაცვლად მკითხა, მშიერი ხომ არა ხარო. ვიგრძენი, რომ მართლა მშიოდა; სიმინდმა და ნუშმა პირში

მხოლოდ მჟავე გემო დამიტოვა. მაღაზია „აკმეს“ გვერდით ერთ მოძრავ რესტორანთან გავჩერდით, რომელიც ტრამვაის წააგავდა. ქალაქში მამას დამამშვიდებლად უბრალოდ ეჭირა თავი. დედა პირიქით - ყველაფერს ართულებდა, თითქოს უცხო ენაზე გვიხსნიდა რაიმეს. სამაგიეროდ, ფერმაში მამა ხდებოდა უხასიათო და გაუბედავი. მაგრამ აქ, ოლტონში საღამოს ცხრის თხუთმეტ წუთზე ის ლაღად და თავისუფლად გრძნობდა თავს და კაცმა რომ თქვას, ამაზე მეტი არც ერთ მამას არ მოეთხოვება; კარი ფართოდ იღება, მუშტრების დაჟინებული მზერა უკუგდებულია, ორი სკამი ერთად იდგმება; მენიუ ჩვეული მოძრაობით აიღება ერთხელვე მიჩენილი ადგილიდან, ხელსაწმენდის ყუთსა

და კეტჩუპის ბოთლს შორის; რამდენიმე სიტყვა იხარჯება ბარმენის მისამართით; არავითარი ყოყლოჩინობა ან ზედმეტი ლაყბობა. მერე უხმოდ, როგორც ეს მამაკაცებს შეჰფერის, შევექცევით ბუტერბროდებს, ის - ომლეტით, მე კი შემწვარი ლორით. მამამ მოურიდებლად გაილოკა მარჯვენა ხელის სამი თითი და ქვედა ტუჩს ქაღალდის ხელსაწმენდით შეეხო.

- დიდი ხანია ასე გემრიელად არ მიჭამია, - თქვა მან.

ნასადილევს ჩემთვის ვაშლის ღვეზელი შევუკვეთეთ, მამასთვის კი - ყავა. ანგარიში მწვანე მაგარ ქაღალდზე იყო დაწერილი, რომელიც, გაუგებარი მიზეზის გამო, სამკუთხა კომპოსტერით გაეხვრიტათ. მამამ შარვლის ჯიბეში გამუდმებით გდებისაგან გაღუნული გაქექილი საფულე ამოიღო და შიგ დარჩენილი ორი დოლარიდან ერთით ანგარიში გაასწორა. წამოდგომისას მეჭეჭებიანი ხელით შეუმჩნევლად შეაცურა თავისი ცარიელი ფინჯნის ქვეშ ორი ათცენტიანი. მერე, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, სამოცდახუთ ცენტად იტალიური ბუტერბროდი იყიდა. გადაწყვიტა დედასთვის სიურპრიზი ეძღვნა. ამ მხრივ დედას ძალიან მდაბიო გემოვნება ჰქონდა, უყვარდა ეს

ცხარე, ლიპი ბუტერბროდები და ეჭვმა გამკენწლა იმის გაფიქრებაზე, რომ ამ საკითხში მამაჩემი ჩემზე კარგად უგებდა. ბუტერბროდისათვის მამამ უკანასკნელი დოლარიც დაახურდავა და მითხრა:

- აღარაფერი აღარ დამრჩა. ახლა მე და შენ ობლებს ვგავართ, შვილო, გროშიკაპიკიც არ გაგვაჩნია. ის მანქანისაკენ გამიძღვა და გზადაგზა ყავისფერ პაკეტს მიიქნევდა.

„ბიუიკი“ ისევ მარტოდმარტო იდგა საკუთარ ჩრდილზე. ცხვირი მაღლა აეშვირა ქვემოდან უხილავი ლიანდაგისაკენ. მსუსხავ ჰაერში მენთოლის სუნი მთვარიდან ჩამოსული ნისლივით იღვრებოდა. აგურით და შუშით ნაგები

ფაბრიკის კედელი გამჭვირვალე კლდესავით აღმართულიყო. ზოგან კედელი შუშის ნაცვლად ჩასმულ მუყაოს ანდა თუჯის ფურცელს უცნაურად გამოეცოცხლებინა. აგური თავის ნამდვილ ფერს უმალავდა ქუჩის ფარანს, რომელიც მოედანს ანათებდა და კედლის ადგილას თითქოს ისევ ის უკუნი იდგა, ოღონდ გაცრეცილ-გაწყალებული და რაღაც არაამქვეყნიური, რუხი სიფერმკრთალით მიბნედილი. მიწა კი იმავე ფარნის შუქზე

უცნაურად ელავდა ნახშირისა და წყლის ნამტვრევებით მოფენილი, მშფოთვარედ გუგუნებდა, ტორტმანებდა და ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაუდიოდა, თითქოს განუწყვეტლივ ფოცხით ფარცხავენო. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ჩვენს მხარეს ფანჯრებში შუქი არ ჩანდა, მხოლოდ ფარბიკის სიღრმეში ციმციმებდა ლურჯი შუქი. მე და მამა ამ ადგილას ვინმეს რომ მოვეკალით, დილამდე ვერავინ გაიგებდა. ჩვენი გვამები ფაბრიკის კედელთან, თოვლზე მიყინული თმითა და ხელებით თხრილში ეყრებოდა.

ყინვაში მანქანა ადგილიდან არ იძვროდა. „ტრ-ტრ-ტრ“ აქოთქოთდა ძრავა, ჯერ გამომწვევად, მერე კი უფრო ხმადაბლა, უილაჯოდ.

- ღმერთო, შენ შემეწიე! - აღმოხდა მამას ორთქლის მთრთოლვარე ნაკადთან ერთად. - ოღონდ ახლა ამუშავდეს და ხვალვე გამოვცვლი აკუმულატორს.

„ტრ-ტრ, ტრ-ტრ, ტრრ!..“ მამამ შუქი გამორთო და უხმოდ ვიჯექით ბნელში.

მან მჯიღი დაიორთქლა.

- აი, ხომ ხედავ, - ვუთხარი, - ჩაგეცვა ხელთათმანები და ამ დღეში არ იქნებოდი.

- ვინ იცის, შენ როგორღა გაითოშე, - მომიგო, - მოდი, ერთიც ვცადოთ. - ისევ ჩართო ანმთები და სტარტერის კნოპს ცერი დააჭირა. ამასობაში აკუმულატორმა სული მოითქვა, სტარტერი იმედიანად აძაგძაგდა.

„დრ-დრ, დრ-დრ, ტრ-ტრ, ტრრ, ტრრ“.

აკუმულატორი სულ დაჯდა.

მამამ ხელის მუხრუჭი უფრო მაგრად მოუჭირა და მითხრა:

- ხათაბალაში გავეხვიეთ. უკანასკნელი ღონე უნდა ვიხმაროთ. გადმოჯექი საჭესთან, პიტერ, მე კი გადავალ და უკნიდან გიბიძგებ. რაღაც პატარა დაქანება კი არის აქ, მაგრამ ჩვენ საწინააღმდეგო მიმართულებით ვდგავართ. უკანა გადაცემა ჩართე. როგორც კი დავიყვირებ, პედალს ფეხი უშვი. ოღონდ, იცოდე, ერთბაშად, ნუ დააყოვნებ.

- წავალ, მექანიკოსს მოვიყვან, სანამ გარაჟი არ დაუკეტიათ, - ვუპასუხე. მეშინოდა, რომ თავს ვერ გავართმევდი.

- არაფერია, ვცადოთ, - მომიგო, - შენც შეგიძლია.

მამა მანქანიდან გადმოვიდა, მე ჩავიჩოჩე და შიშისაგან გაოგნებული ჩემს წიგნებსა და პაკეტს დავაჯექი, რომელშიც დედასთვის განკუთვნილი იტალიური ბუტერბროდი იდო. მამა კაპოტის წინ დადგა, დაიხარა, მთელი სიმძიმით დააწვა მანქანას და ფარების ყვითელ შუქზე მისმა კბილებმა ქონდრისკაცის კბილებივით გაიელვა. შუქი ისე ძლიერად სცემდა სახეში, რომ შუბლის ადგილას მარტო კოპების გროვა მოუჩანდა და ემჩნეოდა, რომ სტუდენტობის დროს, ოცდაათი წლის წინ, როცა ფეხბურთს მისდევდა, ცხვირი ბევრჯერ ჰქონდა გატეხილი. ძარღვები გამეყინა, როდესაც სიჩქარეთა ბერკეტის ჩამრთველი გასაღებისა და მაწოვარას განლაგებას ვამოწმებდი. მამამ თავი დამიქნია და მუხრუჭს ხელი ვუშვი. როცა ის მანქანას აწვებოდა, სასაცილო ლურჯი ქუდის მეტს ვერაფერს ვხედავდი. მანქანა დაიძრა და უკან-უკან წავიდა. საბურავები სულ უფრო და უფრო ყურისწამღებად წიოდნენ; ქვევით ფერდობს ოდნავ მეტი დაქანება ჰქონდა და ამან გასაქანის ფასდაუდებელი წვეთი შეგვმატა, „ბიუიკის“ ინერცია წამით სავსებით განთავისუფლდა. მამამ სასოწარკვეთილებით შესძახა:

- მიდი!

პედალს მაშინვე ფეხი ავუშვი, როგორც მან დამარიგა. მანქანა ადგილს მოწყდა, ერთი გაიტკაცუნა და შეჩერდა, მაგრამ მისი მოძრაობა ჟანგმოდებული კბილანების საშუალებით უკვე გადაეცა ძრავას, და ისიც სილაგაწნული ბავშვივით ასლოკინდა. მერე ძრავა აძიგძიგდა, ცილინდრები აროხროხდნენ, მანქანა შეინჯღრა, ნახევრად ჩავუშვი მაწოვარა, ძრავა რომ არ გაგუდულიყო და გაზის პედალს ფეხი დავაჭირე; შეცდომა მომივიდა. ძრავა სულ ამოვარდა კალაპოტიდან, ერთი-ორჯერ დაიხრიალა და ჩაკვდა.

მანქანა ახლა სწორ ადგილზე იდგა. შორს, ფაბრიკის კედელს იქით, ბარის კარი გაიღო და ქუჩას სინათლის ზოლი დაეცა.

მამა მანქანის კარს მიუახლოვდა და მე გავიჩოჩე. მიწა რომ გამსკდომოდა ფეხქვეშ, ის მერჩია. მთელი სხეული მეწვოდა, შარდი მომაწვა.

- უყურე ამ ვირიშვილს! - ვთქვი მე. მინდოდა მამაკაცური უხეშობით გამომესყიდა ჩემი დოყლაპიობა.

- შენ არაფერ შუაში ხარ, - მითხრა მამამ და ქშენით დაიკავა თავისი ადგილი საჭესთან. - ძრავა გაიყინა; მაგრამ ახლა უკვე ცოტათი გათბებოდა.

მისი შავი სილუეტი სეიფის ქურდივით ფრთხილად დაიხარა ფართან და გაზის პედალს ფეხით შეეხო. ძრავა უთუოდ პირველსავე ცდაზე უნდა ჩართულიყო. ასეც მოხდა. მამამ ერთხელ კიდევ გამოიწვია ნაპერწკალი და გადაისროლა აქოთქოთებულ და გამოცოცხლებულ მექანიზმში. მადლიერებით აღსავსემ თვალები დავხუჭე ადგილიდან დაძვრის მოლოდინში.

მაგრამ მანქანა არ განძრეულა. უკანიდან, სწორედ იქიდან, სადაც, ჩემი წარმოდგენით, გვამებს აწყობდნენ, როცა მანქანა დასაფლავებათა ბიუროს პატრონს ეკუთვნოდა, ჩუმი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხრჭიალი მოისმა. მამის შავმა სილუეტმა სწრაფად, ერთი მეორის მიყოლებით ჩართო ყველა სიჩქარე; მანქანა ყველაფერზე ჩუმი ღრჭიალით იძლეოდა პასუხს და ადგილიდან არ იძროდა; მამამ ერთხელ კიდევ გამოსცადა თითოეული სიჩქარე. ძრავა ხმამაღლა აგუგუნდა, მაგრამ მანქანა მაინც არ დაიძრა. ფაბრიკის კედელი ექოდ ეხმაურებოდა ცილინდრების გაცოფებულ ღრიალს, რომელიც სულ უფრო და უფრო თავაწყვეტილი ხდებოდა და ვშიშობდი, ამ ღრიანცელზე შორეული ბარიდან ხალხი არ მოვარდნილიყო.

მამა საჭეს ხელებით დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო. წინათ ასე მარტო დედა იქცეოდა. ჩხუბის დროს რომ გამწარდებოდა, ანდა ნაღველი შემოაწვებოდა, მაგიდაზე დააწყობდა ხოლმე მკლავებს და სახეს შიგ ჩამალავდა. ეს მაკრთობდა - მერჩივნა გაბრაზებულიყო, რადგან ამ დროს სახე მაინც მოუჩანდა.

- მამი?

მან არ მიპასუხა. ფარანს უცნაური ვარაყით შეემკო მისი ნაქსოვი ქუდი; სწორედ ასე იყო პური დახატული ვერმერის სურათზე.

- როგორ გგონია, რა მოხდა?

მერე უცებ გავიფიქრე - იქნებ, „შეტევა“ აქვს და მანქანის ასეთი გაუგებარი მოქმედებაც მამაჩემში მომხდარი კატასტროფის ანარეკლია და სხვა არაფერიმეთქი. მინდოდა

ხელით შევხებოდი - საერთოდ მამას არასოდეს მივკარებივარ, - მაგრამ მან უცებ თავი ასწია და ნაოჭებით და კოპებით დასერილ ყმაწვილურ სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსმა გაუელვა.

- მე ასე უნდა ვეწამო ჩემი დღე და მოსწრება, მაგრამ შენ რაღას გერჩოდი, ამ უბედურებაში რომ გაგრიე. ეშმაკმა იცის, რატომ არ მიდის ეს მანქანა. ალბათ,

იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ჩვენი მოცურავეთა გუნდი შეჯიბრებას ვერ იგებს.

მან ისევ უმატა ბრუნს, მანქანის ფსკერს მიშტერებული გადაბმის პედალს ფეხს აჭერდა და ისევ უშვებდა.

- გესმის, უკან რაღაც ხრჭიალებს? - ვკითხე მე. მან შემომხედა და გაიცინა.

- ჩემი საბრალო ბიჭი, - მითხრა, - გამარჯვებული მამის ღირსი იყავი და ხელმოცარული პატრონი გხვდა წილად. მოდი, წავიდეთ, ნეტავი თვალით აღარ დამანახა ეს ჯართი.

ის მანქანიდან გადმოვიდა და ისე ძლიერად მიაჯახუნა კარი, რომ კინაღამ ფანჯრები არ დაიმსხვრა. შავი ძარა შეინძრა ჯიუტად გაშეშებულ ბორბლებზე, ქაღალდივით სიფრიფანა ჩრდილი ესროლა მიწას და თვითკმაყოფილი გახევდა. იქაურობას გავშორდით.

- მაგიტომ არ მინდოდა ფერმაში გადასვლა, - თქვა მამამ. - მანქანის მონად უნდა იქცე. ნეტავი ღმერთმა იმდენი შემაძლებინოს, რომ ჩემი ფეხით ვიარო, სადაც მინდა. ყველაფერს ის აჯობებდა, ჩემს დასაფლავებაზე საკუთარი ფეხით მივსულიყავი. არა, ფეხები თუ გაყიდა კაცმა, ჯობია სიცოცხლეს გამოეთხოვოს.

ვაგზლის ახლო სადგომი გავიარეთ და მარცხნივ, ბუნსტრიტზე გავუხვიეთ, ბენზინსაცავ „ესოსკენ“. ტუმბოებთან ბნელოდა, მარტო ვიწრო ჯიხურში ციმციმებდა მიბნედილი ოქროსფერი შუქი. მამამ შიგნით შეიხედა და ფანჯარაზე დააკაკუნა. ჯიხურში, მწვანე ლითონის სადგომზე, ერთმანეთში ჩახლართული საბურავები, დანომრილი ყუთები და სათადარიგო ნაწილები ეყარა. კოკა-კოლას გასაყიდი მაღალი ავტომატი აყანყალდა, ხმამაღლა გაირაკუნა და ისევ მიჩუმდა, თითქოს შიგნით

დამწყვდეულმა სულმა უკანასკნელად გაიბრძოლაო. კედელზე „კვაკერ სტეიტ ოილის“ ფირმის ელექტრული საათი 9.06 აჩვენებდა; წამების ისარმა უკვე მთელი წრე მოხაზა, ჩვენ კი მაინც ვიცდიდით; მამამ კვლავ დააკაკუნა, მაგრამ არავინ უპასუხა. მხოლოდ წამების ისარი მოძრაობდა ჯიხურში.

- მეშვიდე ქუჩაზე, მგონი, მთელი ღამე ღიაა, - ვთქვი მე.

- როგორ ხარ შვილო? ეს რა ჯოჯოხეთში ჩავვარდით. დედაშენს უნდა დავურეკო. - მითხრა მამამ.

გზა განვაგრძეთ, ბუნ-სტრიტზე რკინიგზის ლიანდაგი გადავჭერით, აგურის სახლების მწკრივი გავიარეთ და მუდამ ხმაურიანი, ახლა კი რატომღაც ჩამკვდარი უაზერ-სტრიტით მეშვიდე ქუჩაზე გავედით, დიდ გარაჟთან,

რომელიც მართლა ღია იყო. გარაჟის ფართოდ დაღებულ თეთრ ხახაში თანდათან ინთქმებოდა წკვარამი. გარაჟში ნაცრისფერ კომბინიზონებსა და გადაჭრილთითებიან ხელთათმანებში გამოწყობილი ორი კაცი ავტომობილს რეცხავდა, კასრებით ცხელ საპნიან წყალს ასხამდნენ. სწრაფად მუშაობდნენ, რომ ლითონზე წყალი არ გაყინულიყო. გარაჟის ერთი ბოლო ქუჩაში გამოდიოდა, მეორე კი, გამოქვაბულის მსგავსად, მანქანებს შორის იკარგებოდა. ერთ კედელთან ჯიხური იდგა, ტელეფონის ჯიხურზე ცოტა უფრო დიდი, ტრამვაის გაჩერებაზე რომ მგზავრებისთვის განკუთვნილი პავილიონებია, ისეთი, - ელიში აქამდე იყო შემორჩენილი ერთი ასეთი პავილიონი, - და ის თითქოს გარაჟს გულის მაგივრობას უწევდა. ჯიხურის კართან, ბეტონის მოედანზე, რომელზეც ტრაფარეტული წარწერა იუწყებოდა: „ფრთხილად, საფეხურია!“ თეთრ სმოკინგსა და თეთრ შარვალში მორთული კაცი იდგა და წამდაუწუმ პლატინის საათზე იხედებოდა. საათი ისე ეკეთა ხელზე, რომ შავი ციფერბლატი შიგნით იყო მოქცეული. ამ კაცის თითოეული მოძრაობა იმდენად ზუსტი და ერთფეროვანი იყო, რომ პირველად ადამიანის სიმაღლის მექანიკური რეკლამა მეგონა. ეტყობოდა, მას ეკუთვნოდა ნაცრისფერი, სადაფივით ბრჭყვიალა მანქანა, „ლინკოლნი“, რომელსაც მუშები რეცხავდნენ. მამა მის წინ გაჩერდა, მაგრამ ის მამას ვერ ხედავდა და სადაფის ღილებივით მრგვალი, ნაცრისფერი თვალებით სადღაც, პირდაპირ იყურებოდა.

მამა ჯიხურთან მივიდა და კარი გააღო. ძალაუნებურად მეც შიგ უნდა შევყოლოდი. ჯიხურში ჯმუხი მამაკაცი საქმიანი სახით ფათურობდა ქაღალდებში. იგი ამას

ზეზეულად აკეთებდა; მის გვერდით მდგარი სავარძელი პირთამდე იყო გავსებული ქაღალდებით, ბროშურებითა და კატალოგებით. ერთ ხელში სიგარეტი და სწრაფმკერი ეჭირა, მეორეთი კი ქაღალდებს ფურცლავდა და თან ტუჩებს აცმაცუნებდა.

- მაპატიე, მეგობარო, - მიმართა მამამ.

- ერთი წუთით, დავამთავრებ და მერე, კარგი? - მიუგო გამგემ.

მან გაბრაზებით ჩაჭმუჭნა ხელში რაღაც ლურჯი ქაღალდი, სწრაფად აგვიქცია გვერდი და გარეთ გავიდა. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ უკანვე შემობრუნდა.

დროის მოსაკლავად და უხერხულობის გასაფანტად საღეჭი რეზინის ავტომატში პენი ჩავაგდე. ამ ავტომატებს კლუბ „კივანების“ ოლტონის განყოფილება უშვებდა. იშვიათი პრიზი მივიღე - შავი ბურთულა. ძალიან მიყვარდა

ძირტკბილა. მამასაც უყვარდა. მამიდა ალმამ მითხრა, რომ თურმე პასეიკში მეზობლის ბავშვები მამას „ლოლუას“ ეძახდნენ, რადგან სულ ძირტკბილას ფხვნილისაგან დამზადებულ ლოლუებს წუწნიდა.

- გინდა? - შევთავაზე მასაც.

- ღმერთმა დამიფაროს, - თქვა მან, თითქოს შხამს ვუწვდიდი. - არა, გმადლობ, პიტერ. სულ უკბილოდ გინდა დამტოვო?

და ვიწრო ჯიხურში ისე აწრიალდა, რომ გადმოცემაც კი არ ძალმიძს, - ხან გზის რუკების შეკვრას ეცემოდა, ხან, - სათადარიგო ნაწილების ნომრების ცხრილს, ხან - კალენდარს; კალენდარზე ქალიშვილი ეხატა. სათხილამურო ქუდი ეხურა და ქუდქვეშ წამახული ვარდისფერი ყურები მოუჩანდა: თეთრი ბეწვისყელიანი ფეხსაცმელი ეცვა და უკან ფუმფულა ქუდი ჰქონდა მოგდებული. კუდი კეკლუცად მოეშვირა ჩვენკენ. მამამ დაიკვნესა და შუბლით მინას მიეყრდნო. სმოკინგიანი კაცი მაშინვე ჩვენკენ შემოტრიალდა. მუშები ახლა „ლინკოლნში“ შემძვრალიყვნენ და შიგ ფუტკრებივით ფუსფუსებდნენ. ისინი საქმიანი, წრიული მოძრაობით წმენდნენ შუშებს. მამის მეჭეჭიანი მუშტი უმიზნოდ ფათურობდა გაზეთებით სავსე მაგიდაზე, და თვალები გამგეს ეძებდნენ. მეშინოდა, იქ გამეფებული იდუმალი წესრიგი არ დაერღვია და მკვახედ ვუთხარი:

- მამა, დამშვიდდი.

- ნერვები აღარ მყოფნის, შვილო, - ხმამაღლა მომიგო მან. - საცაა რამეს დავამტვრევ. დრო აღარ იცდის. სულ სიკვდილი მაგონდება.

- დაწყნარდი, - ვუთხარი, - მოიძრე ეგ ქუდი თავიდან. ამ კაცს, ალბათ, მათხოვარი ჰგონიხარ.

მამას თითქოს არაფერი გაუგია; ფიქრს მიეცა. თვალები გაუყვითლდა, ამ ქარვისებური ბრწყინვის შემყურე დედაჩემი შიშით შეჰყვიროდა ხოლმე. უცნაურად ანთებული თვალებით მომჩერებოდა, ასე, ალბათ, წყალწაღებულს უყურებს მშველელი.

- ჩემი თავი ჯანდაბას, - თქვა მან. - მაგრამ შენ რა უნდა გიყო?

- ჩემზე ნუ სწუხხარ, - მივუგე მშრალად, მაგრამ, გამოტეხილად რომ ვთქვა, ცემენტის საშინლად ცივი იატაკი ჩემი ვიწრო წაღების ლანჩებში ატანდა.

თვალს არ დავუჯერე, როდესაც გამგე როგორც იქნა დაბრუნდა და მამას თავაზიანად მოუსმინა. დაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო, თითოეულ ლოყაზე სამი თუ ოთხი პარალელური ნაოჭი დაჰყვებოდა, - მხრები და თავი ისე ეჭირა, ერთ

დროს კარგი სპორტსმენი უნდა ყოფილიყო, ახლა მუშაობით დაქანცული და დასუსტებული ჩანდა. გამელოტებულ თავზე შემორჩენილ ჭაღარა თმის გროვას გამწარებით ისწორებდა, თითქოს ეშინოდა აზრი არ დასხლტომოდა. თავისი გვარი - როუდზი - მსხვილი ნარინჯისფერი ასოებით ჰქონდა ამოქარგული ყავისფერი კომბინეზონის ჯიბეზე. ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ქშენით ლაპარაკობდა:

- არ მომწონს ეგ ამბავი. თქვენი სიტყვით, ძრავა თუ მუშაობს და მანქანა კი ადგილიდან მაინც არ იძვრის, ან ტრანსმისია უნდა იყოს გაფუჭებული, ან კიდევ - კარდნის ლილვი. ძვრიას ბრალი რომ იყოს, - მან წარმოთქვა „ზვრია“ და მე თვალწინ სულ სხვა რამ წარმომიდგა, რაღაც მთრთოლვარე, ცოცხალი და საყვარელი, - „ჯიპს“ გავგზავნიდი, ახლა კი აღარ ვიცი, რა გავაწყო. ჩვენი ბუქსირი გამოძახებულია, - მეცხრე გზატკეცილზე ავარია მოხდა. მუდმივი გარაჟი თუ გაქვთ? - მან წარმოთქვა „კარაში“ და მახვილი პირველ მარცვალს დაუსვა.

- ელ ჰამელის გარაჟით ვსარგებლობთ ოლინჯერში, - მიუგო მამამ.

- თუ გნებავთ, ხვალ დილიდან მივხედავ თქვენს მანქანას, - თქვა მისტერ როუდზმა, - მანამდე კი არაფერი შემიძლია; აი ეს ორი, - მან მუშებზე მიუთითა, რომლებიც ნატის ბალიშებით აპრიალებდნენ ბრჭყვიალა „ლინკოლნს“, ვიდრე სმოკინგიანი კაცი რიტმულად ატლაშუნებდა ხელისგულზე ნიანგის ტყავის საფულეს, - ათზე ამთავრებს მუშაობას, ვრჩებით მარტო მე და ორი კაცი, რომლებიც ახლა გამოძახებით არიან წასული მეცხრე გზატკეცილზე. ასე რომ, შეგიძლიათ თქვენ გარაჟსაც დაურეკოთ ოლინჯერში, დილიდანვე შეუდგნენ საქმეს.

- მაშასადამე, თქვენი ავტორიტეტული აზრით, დღეს არაფერი გამოვა? - იკითხა მამამ.

- თუკი ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ მიამბეთ, კარგს ვერაფერს შეგპირდებით, - გულახდილად განაცხადა მისტერ როუდზმა.

- იქ უკან რაღაც ხრჭიალებს, - დავურთე მე, - თითქოს ორი კბილანა თვალი ერთმანეთს ეხახუნებაო.

მისტერ როუდზმა შემომხედა, თვალები დაახამხამა და შეთხელებულ ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა.

- კარდნის ლილვი არ ვარგებულა. მანქანა ორმოზე უნდა დავაყენოთ და მთელი უკანა ხიდი დავშალოთ. შორს ცხოვრობ?

- დასაკარგავში, ფაირტაუნს იქით, - მიუგო მამამ. მისტერ როუდზმა ამოიოხრა:

- რას იზამ. სამწუხაროა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით.

გრძელი, ხასხასა წითელი „ბიუიკი“, რომლის მოკრიალებულ ზედაპირზე ცინცხალი ანარეკლების სამყარო დაცურავდა, ქუჩიდან გარაჟში შემოსრიალდა და საყვირი აახმიანა. საყვირმა ისე გააყრუა ბეტონის დაბალი გამოქვაბული, რომ მისტერ როუდზი ჩვენ უკვე აღარ გვისმენდა.

- ბოდიშს ნუ იხდით, მისტერ, თქვენ გულწრფელად მითხარით, რასაც ფიქრობთ, ამაზე დიდი სიკეთე არ არსებობს ამქვეყნად, - აჩქარებით წარმოთქვა მამამ.

მაგრამ, როცა ისევ ბნელ ქუჩაში გამოვედით, მითხრა:

- ერთი ეგეც როტავს რაღა. მთელი ჩემი სიცოცხლე ბლეფის მეტი არაფერი მომიჩმახავს და მაგან როგორ უნდა გამაცუროს. თვითონაც არ იცის საწყალმა, რას ბოდავს. ნეტავ როგორ გახდა ამხელა გარაჟის გამგე! თავისი თავისთვის ვერ მოუცლია. მაგრამ მაგის ადგილზე, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი.

- ახლა სად მივდივართ?

- მანქანასთან.

- ვეღარ გაიგე, რომ გატეხილია?

გავიგე, მაგრამ მაინც არ მჯერა. ასე მგონია, წავა-მეთქი. უბრალოდ, დასვენება სჭირდება.

- ძრავა რომ გაყინულიყო, რამეს იღონებდა კაცი, მაგრამ წამყვანი ნაწილი დაზიანდა!

- ის კაციც ამას ჩამჩიჩინებდა და ჭკუის სიმოკლით ვერ მივხვდი.

- უკვე ათი საათი ხდება. არ დავურეკოთ დედას?

- რა უნდა გაგვიკეთოს? კაცი არ არის ჩვენი მშველელი. უბედურსა ქვა აღმართში მიეწევაო.

- ერთი საათის უკან თუ არ იძვროდა ეს მანქანა, ახლა რა ჯანდაბა დაძრავს? სულ გავიყინე.

რაც შემეძლო ფეხს ავუჩქარე, მაგრამ მამამ ნაბიჯით მაინც გამასწრო და ვერასგზით ვერ წამოვეწიე. მეშვიდე ქუჩაზე, ბნელი სადარბაზოდან ვიღაც მთვრალი კაცი გამოვიდა და ბარბაცით აგვედევნა. ჯერ ჩვენი დილანდელი მაწანწალა მეგონა, მაგრამ ეს უფრო დაბალი ტანისა იყო და უფრო

წყალწაღებულიც. აწეწილი თმა, როგორც ჭუჭყიან ლომს ფაფარი - ყალყზე დასდგომოდა, თითქოს მისი თავი შარავანდედით შეუმკიათო.

ტანსაცმელი მთლად დაფლეთოდა; ზედ ძველი პალტო ჰქონდა მოხურული და ცარიელი სახელოები ნებანება დაქანაობდნენ უცნობის გარშემო, როცა ის მობორძიკობდა და აქეთ-იქით აწყდებოდა.

- სად მიგყავთ ეს ბიჭი? - ჰკითხა მან მამას.

მამამ ზრდილობიანად შეანელა ნაბიჯი, რათა უცნობი, რომელმაც ამ დროს ფეხი რაღაცას წამოჰკრა და კინაღამ ძირს არ გაიშხლართა, როგორმე წამოგვწეოდა.

- ბოდიშს ვიხდი, მისტერ, რა მითხარით? - ჰკითხა მამამ.

უცნობი მკაფიოდ და ერთგვარი კმაყოფილებით მარცვლავდა სიტყვებს, თითქოს მსახიობია და სცენაზე თავისივე თამაშით ტკბებაო.

- ჰა-ჰა-ჰა, - ჩუმად, მაგრამ გესლიანად ჩაიქირქილა მან. - ბინძურო, ბინძურო ადამიანო!

უცნობმა საჩვენებელი თითი მამას ცხვირთან მიუტანა და დაემუქრა; შუშის საწმენდი

ისარივით ათამაშებდა თითს, თან ცუღლუტურად მოგვჩერებოდა. შემოგლეჯილი ტანსაცმლისა და ყინვის მიუხედავად, მხიარული ჩანდა; მკვრივ, გაბრტყელებულ სახეზე, ღიმილის დროს სიმინდის მარცვლებივით ჩარაზმული წვრილი კბილები მოუჩანდა.

- გაიქეცი, ბიჭო, სახლში, დედაშენთან, - მომიბრუნდა უცნობი.

იძულებული გავხდიშევჩერებულიყავი, რადგან ისწინ გადაგვეღობა.

- ეს ჩემი ვაჟია, - უთხრა მამამ.

უცნობი ისე სწრაფად შეტრიალდა მისკენ, რომ ტანსაცმელი აუფრიალდა და მოულოდნელად აბურძგნულ ფრინველს დაემსგავსა. ტანსაცმლის მაგივრობას ათასგვარი ჭინჭების გროვა უწევდა, რომელიც ფენა-ფენა მიჰკვროდა სხეულზე, თითქოს კი არ ჩაუცვამს, ერთიანად ჩვრებში გამოხვეულაო; ხმაც უცნაური ჰქონდა - ხრინწიანი, ჩახლეჩილი, სიტყვებს ძლივს ვარჩევდი.

- რატომ სტყუით ასე უსირცხვილოდ? - უთხრა მან მამას სევდიანად. -ეს პატარა ამბავი ხომ არ გგონიათ? ახლავე სახლში გაუშვით ბიჭი, დედამისთან.

- სწორედ იქ მიმყავს, - მიუგო მამამ. - მაგრამ ეს წყეული მანქანა ადგილიდან არ იძვრის.

- ეს მამაჩემია, - ვთქვი მე, რადგან იმედი მქონდა, რომ უცნობი დაგვეხსნებოდა.

მაგრამ ის სულ ახლოს მოვიდა. ფარნის მოცისფრო შუქზე სახე წითელი შხეფებით მორწყულს უგავდა.

- ნუ ექომაგები, - მითხრა ნაძალადევი დაყვავებით. - არაა მაგის ღირსი, რამდენს გაძლევს? თუმცა, სულ ერთია, რამდენიც არ უნდა მოგცეს, მაინც ცოტაა. როგორც კი თავისთვის ახალ ბიჭს იშოვის, ქუჩაში გისვრის, ტროას ძველი მკვიდრივით.

- მამა, წავიდეთ, - დავიძახე შემკრთალმა. მთლად გავითოშე. ღამის სუსხი ძვალრბილში მივლიდა.

მამა შეეცადა უცნობისთვის გვერდი აექცია, მაგრამ ამ დროს მან მუშტი მოიღერა, მაშინ მამამაც მოუღერა მუშტი. უცნობმა უკან დაიხია და დაბარბაცდა.

- დამარტყი, - თქვა მან და ყურებამდე გაიღიმა, ისე რომ ლოყებიც კი გაუბრწყინდა. - დამარტყი, ღირსი ვარ, შენი სულის გადარჩენას რომ ვცდილობ. მზადა ხარ აღსასრულისათვის?

მამა უძრავი კინოკადრივით ადგილზე გაშეშდა, უცნობმა კი საზეიმო კილოთი გაიმეორა:

- მზადა ხარ აღსასრულისათვის?

მერე გვერდულად მომიახლოვდა, წელზე ხელი მომხვია და გულზე მიმიკრა. პირიდან ისეთივე მყრალი სუნი ამოსდიოდა, როგორიც ხუთშაბათობით ას მეშვიდე კლასში შესვლისას გვეცემოდა ხოლმე, როცა იქ უფროსკლასელებს ჩაუტარებდნენ ქიმიის გაკვეთილს და მერე ჩვენ შეგვიშვებდნენ დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის, - ერთმანეთში არეული გოგირდისა და შმორის მყრალი სუნი.

- ეჰ, - მითხრა მან, - რათბილი სხეული გაქვს. მაგრამძალიან გაძვალტყავებული კი ხარ. არაფერს გაჭმევს ეს ნაბიჭვარი? შენ, ეი, - მიუბრუნდა ის მამას, - რა ეკუთვნის ახლა შენისთანა გახრწნილ ბებერს? საწყალი ბიჭი ქუჩიდან აგიყვანია და შიმშილით სულსა ჰხდი?

- მეგონა, აღსასრულისათვის მზად ვიყავი, - თქვა მამამ, - მაგრამ ახლა მთელ ქვეყანაზე ისეთი კაცი არ მეგულება, რომ ამისთვის მზად იყოს; დარწმუნებული ვარ, რომ ჭლექით, სუსუნატით, ათაშანგით და კბილის ტკივილით შეპყრობილი

ოთხმოცდაცხრამეტი წლის ჩინელიც კი არ არის მზად სიკვდილისათვის. უცნობმა კინაღამ ნეკნები დამამტვრია, ძლივს დავუსხლტი ხელიდან.

- მამა, წავიდეთ!

- არა, პიტერ, - მითხრა მამამ, - ეს ჯენტლმენი საქმეზე ლაპარაკობს. თქვენ თვითონ თუ ხართ მზად აღსასრულისათვის? - ჰკითხა მან უცნობს, - როგორ გგონიათ?..

უცნობმა თვალები დაწკურა, მკერდი წინ გამოაგდო, მტრედივით გაიფუყა, მამაჩემის გრძელ ჩრდილზე დადგა და, თავაწეულმა, ამაყად წარმოთქვა:

- მე მაშინ ვიქნები მზად აღსასრულისათვის, როცა შენა და შენისთანებს ციხეში ამოაყოფინებენ თავს და კამერის გასაღებს შორს გადაისვრიან. საწყალ ბავშვებს ამისთანა ღამეშიც კი არა აქვთ თქვენგან მოსვენება. - მან შეჭმუხნულ წარბებს ქვევიდან შემომხედა და თქვა: - დავუძახო პოლიციას, ბიჭიკო? თუ გინდა აქვე მივახრჩოთ ეს წუნკალი დედაკაცი? - მერე მამას შეეკითხა: - თქვენ რაღას იტყვით, შეფო? რამდენს იკისრებთ, პოლიციამ ამ ყვავილთან რომ არ ჩაგავლოთ?

მან ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, თითქოს დაყვირება უნდოდა, მაგრამ ქუჩა შორს, ჩრდილოეთისაკენ მიიკლაკნებოდა, უსასრულობაში და ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ჩანდა მხოლოდ აგურის სახლების მობათქაშებული ფასადები, მოაჯირიანი პარმაღები, ასე ხშირი რომ იყო ოლტონში, ქვის საფეხურები, ზედ აქა-იქ ცემენტის ლარნაკები ყვავილებისათვის და ტროტუარებზე ჩამწკრივებული ხეები, რომლებსაც შიგადაშიგ ტელეფონის ბოძები ენაცვლებოდნენ; ხოლო უფრო შორს შეუძლებელი იყო მათი

ერთმანეთისაგან გამორჩევა; ტროტუარებთან მანქანები იდგა, მაგრამ ამ ადგილებში მანქანით იშვიათად მგზავრობდნენ, რადგან აქედან ორიოდე კვარტალში ქუჩას ესიკის ფაბრიკის კედელი კვეთდა. ჩვენ ბლოკებით ნაგებ ლუდის ქარხნის გრძელ, დაბალ საწყობთან ვიდექით; საწყობის დაღარული მწვანე კარები მაგრად და ჯახუნით მიეკეტათ და ამ ჯახუნის გამოძახილს აქამდე შეებორკა ჰაერი. უცნობს მამისთვის პალტოს საყელოში ჩაევლო ხელი და ცერსა და სალოკ თითს შუა რაღაცას სრესდა, თითქოს ძაფის მოშორება, ან ტილის მოკვლა უნდაო.

- ათი დოლარი, - წარმოთქვა მან. - ათი დოლარი და მუნჯი ვარ! - მან სამი გალურჯებული თითი გასიებულ იისფერ ტუჩებზე მიიდო და ასე ეჭირა,

თითქოს უნდოდა ენახა, რამდენ ხანს შესძლებდა სუნთქვის შეკავებას. მერე თითები უკან წაიღო, პირიდან ცხელი ოხშივარი ამოუშვა, გაიღიმა და თქვა: - მაშ ასე, ათი დოლარი და თქვენი ვარ, მთელი ჩემი ჯიგრიანად, - რას იტყვი, ბიჭიკო, მოვრიგდით? ეგ რამდენს გაძლევს? - თვალი ჩამიკრა.

- ეგ მამაჩე-ე-მ-ია, - გავიმეორე აღშფოთებით. ლარივით გაჭიმული მამა ფარნის ქვეშ

იდგა და მეჭეჭებიან ხელებს იფშვნეტდა, ისე უსიცოცხლოდ გაშეშებულიყო, თითქოს ეს-ეს არის ნაჯახით აქნეს და ახლა მიწაზე დაცვივაო.

- ხუთი დოლარი, - ხელად დაუწია ფასს მაწანწალამ. - ქეციანი ხუთი დოლარი. - პასუხს აღარ დაელოდა და კიდევ დაუკლო: - ჯანი გავარდეს, ერთი იყოს. საცოდავი დოლარიანი მაინც მომაშავეთ, ჩავასხა, თორემ ძაღლივით გავიყინები სადმე. აბა, შეფო, გაინძერი, თუ გინდა ისეთ სასტუმროს მიგასწავლი, სადაც შეკითხვებით თავს არ მოგაბეზრებენ.

- სასტუმროებზე ახალი რაღა უნდა გავიგო, - მიუგო მამამ. - კრიზისის დროს ღამის მეკარედ ვმუშაობდი ამ დამპალ „ოსირისში“, სანამ არ დახურეს. ბაღლინჯოები ბოზებივით დასუქდნენ იქა და კლიენტები ერთმანეთისაგან ვეღარც კი არჩევდნენ. თქვენ, ალბათ, „ოსირისი“ არ გეხსომებათ? მაწანწალას სახე მოეღუშა.

- მე თვითონ ისტონიდან ვარ, - თქვა მან.

გაოცებით შევნიშნე, რომ მამაზე გაცილებით ახალგაზრდა ყოფილა; მოკლედ, ჩემისთანა ბიჭი იყო.

მამამ ჯიბე მოიჩხრიკა, ხურდა ამოკრიბა და ახალგაზრდა კაცს გაუწოდა.

- მეტსაც მოგცემდი, ჩემო მეგობარო, მაგრამ მართლა არა მაქვს. ეს ჩემი უკანასკნელი ოცდათხუთმეტი ცენტია. სკოლაში ვმუშაობ მასწავლებლად. ჩვენ უფრო ცოტას გვიხდიან, ვიდრე ფაბრიკებში. მაგრამ ისე მესიამოვნა თქვენთან საუბარი, რომ მინდა ხელი ჩამოგართვათ. - და ხელი ჩამოართვა უცნობს. - თქვენ ნათელი მოჰფინეთ ჩემს აზრს, - უთხრა მაწანწალას.

მერე უკან გატრიალდა და იქით წავიდა, საიდანაც მოვედით. მაშინვე უკან გავყევი. ყველაფერი ის, რის ნახვასაც ასე ვესწრაფოდი - შავი მანქანა, ქვის სახლი, ჩემი შორეული, ალბათ, შიშით გონდაკარგული დედა - ჩემს სხეულში გადმოსახლდა და ამაღამდელი სიგიჟითა და ვარსკვლავების შუქით აღგზნებული კანი თითქოს უსაზღვროდ გამეწელა და გამჭირვალე გახდა. ახლა ქარის წინააღმდეგ მივდიოდით და სუსხი მინის ცივი ნიღაბივით მეკვროდა სახეზე. ზურგს უკან მთვრალი მაწანწალა

უთავბოლოდ მოგვკიოდა, როგორც არწივი ქარიშხალში;

- აგაშენა ღმერთმა! აგაშენა!

- სად მივდივართ?

- სასტუმროში, - მომიგო მამამ. - ამ კაცმა ჭკუაზე მომიყვანა. სადმე უნდა გათბე. შენ ხომ ჩემი სიამაყე და სიხარული ხარ, შვილო. განძს გაფრთხილება უნდა. ახლა ძილი აუცილებელია შენთვის.

- დედას უნდა დავურეკოთ, - ვუთხარი.

- მართალს ამბობ, - მომიგო, - მართალს ამბობ. - რაკი ორჯერ გაიმეორა, რატომღაც გავიფიქრე, რომ შესრულებით აღარ შეასრულებდა.

მარცხნივ უაზერ-სტრიტზე გავუხვიეთ. აქ ისე უხვად იღვრებოდა ნეონის შუქი, რომ ჰაერი უფრო თბილი მეჩვენა. ერთ ფანჯარაში სოსისებს წვავდნენ. გამვლელთა

სილუეტები სინათლეში სიმკვრივეს კარგავდა. მოედინებოდნენ. მხრები აეწურათ და შიგ ჩარგული სახეები არ უჩანდათ, მაგრამ მათი ამქვეყნად არსებობაც მამხნევებდა, მადლად მიმაჩნდა, სიცოცხლის რწმენას მინერგავდა. მამამ ვიწრო სადარბაზოში შეუხვია, რომელიც უწინ არასდროს შემიმჩნევია. ექვსი საფეხური ავიარეთ. ზევით ყრუ, ორმაგი კარი დაგვხვდა. კარს უკან - მოულოდნელად შემაღლებული მოედანი. მოედანზე მაგიდა, ლიფტის გალია, ვეებერთელა კიბე, რამდენიმე შელახული, დაჭმუჭნულ-ჩაღრმავებულ საჯდომიანი სკამი. მარცხენა მხარე ქოთნის ყვავილებით იყო გადაღობილი და ამ ცოცხალ ტიხარს მიღმა ლაპარაკი და მინაზე მინის თანაბარი წკარუნი ისმოდა, თითქოს ზარს რეკდნენ შესასვლელ კართან. ისეთივე სუნი ტრიალებდა, როგორც მონის სავაჭროში; მონის ნახევრად უნივერმაღი, ნახევრად რესტორანი ჰქონდა, სადაც ბავშვობისას კვირა დღეობით ხამანწკების პაწია ქაღალდის ქილების საყიდლად მგზავნიდნენ. მაღალი, ზორბა გერმანელი - მონი, მუდამ ღილებზე შეკრულ შავ სვიტერს ატარებდა. მისი სავაჭრო ტრამვაის ლიანდაგთან, მობათქაშებულ ქვის სახლში იყო მოთავსებული. მაშინ ქალაქს ტილდენი ერქვა. როგორც კი კარს გასაღებად ჰკრავდნენ ხელს, მაშინვე ზარი ირეკებოდა, როცა კარს ხურავდნენ, მაშინაც. კედლის გაყოლებით თამბაქოთი და ტკბილეულით დატვირთული შავი დახლები

ჩარიგებულიყო. იქვე ეწყო სავახშმოდ გამზადებული ოთხკუთხა მაგიდები, რომლებზეც გამჭირვალე სუფრები ეფარა. ისინი მუშტარს ელოდნენ. დღისით

სკამებზე მოხუცები ისხდნენ და რატომღაც მეგონა, რომ სწორედ მათ შემოჰქონდათ საღეჭი თამბაქოს, საფეხსაცმლე ტყავის, დამტვრეული ხისა, და, რაც მთავარია, ხამანწკების ის უცნაური სუნი, რომელიც მონისთან ტრიალებდა. მახსოვს, მონისაგან ქაღალდის სრიალა ქილას რომ წამოვიღებდი, რომელსაც საკვირაო სადილის ხელსახოცივით გადაკეცილი ხუფი ჰქონდა, თითქოს იქაური ჰაერის ნაწილიც თან მომყვებოდა. ხამანწკების სუნი მსუბუქი, შავი ლანდივით ამედევნებოდა საღამოს ცისფერ ბინდში და მოსახვევში მდგარი ხეები და სახლები ამ სუნში ინთქმებოდნენ. ახლა სწორედ ის სუნი მეცა.

კუზიანმა მეკარემ, რომელსაც თუთუნის გასახვევი ქაღალდივით სიფრიფანა კანი ჰქონდა და ართრიტისაგან თითები სახსრებში დაგრეხოდა, „კოლერსის“ კითხვას თავი ანება და დანაოჭებული სახე მამას მიაპყრო. მამამ საფულე ამოიღო, მოწმობა უჩვენა და აუხსნა, მე ჯორჯ უ. კოლდუელი ვარ, ოლინჯერის სკოლის მასწავლებელი. ეს კი ჩემი ვაჟია, პიტერი; ესიკის ფაბრიკის ახლოს მანქანა გაგვიფუჭდა და რადგან შორს,

ფაირტაუნის იქით ვცხოვრობთ, ოთახი გვჭირდება, ფული კი არა გვაქვსო. ჩემს თავში მაღალი მეწამული კედელი აღიმართა და მზად ვიყავ, მის ძირში ქვითინით გავრთხმულიყავი. კუზიანმა არც კი დახედა მამაჩემის მოწმობას, ისე უთხრა:

- გიცნობთ. ჩემი დისწული, გლორია დევისი, თქვენი მოწაფეა, ყოველთვის პატივისცემით გიხსენიებთ ხოლმე.

- გლორია კარგი გოგონაა, - წაილუღლუღა მამამ.

- დედამისი ამბობს, ცელქიაო.

- არ შემიმჩნევია.

- ბიჭებიც ნამეტანი უყვარს.

- ჩემი თანდასწრებით მუდამ ისე იქცევა, როგორც ნამდვილ ლედის შეშვენის.

მოხუცი მიბრუნდა და დასწვდა გასაღებს, რომელზედაც ხის ნომერი იყო დაკრული.

- მესამე სართულზე მოგცემთ ოთახს, ბარიდან ამოსულმა ხმაურმა რომ არ შეგაწუხოთ.

- მადლობელი ვარ, - მიუგო მამამ, - ჩეკი გამოვწერო?

- დილითაც მოესწრება, - უთხრა კუზიანმა ღიმილით და სახეზე გამომხმარი კანი აუპრიალდა. - მე არსად გაგექცევით.

ის ვიწრო კიბით მაღლა აგვიძღვა, პრიალა კლაკნილი მოაჯირი ჩემი ხელისგულის ქვეშ იმ ნებიერი კატის ზურგივით ადი-ჩადიოდა, რომელსაც ბეწვზე ეალერსები და სიამოვნებისაგან კრუტუნებს. კიბე გისოსებში ჩასმულ ლიფტის შახტს გარს ეხვეოდა და ყოველ სართულზე ნოხით მოგებულ დერეფნებს ვხედავდით; მერე ერთ-ერთ დერეფანში შევუხვიეთ და ნოხებს შორის, გაშიშვლებულ ხის იატაკზე, ჩვენი ნაბიჯების ბრახუნი გაისმა. დერეფნის ბოლოში, ფანჯარასთან, რომელიც უაზერ-სტრიტს გადაჰყურებდა, იქ, სადაც ცენტრალური გათბობის ბატარეა იდგა, კუზიანმა გასაღები კარს მოარგო და გადაატრიალა. აი, ისიც, ჩვენი მიზანი: მთელი საღამო

შეუცნობლად მოვისწრაფოდით ამ ოთახისკენ, რომლის მორთულობას ორი საწოლი, ფანჯარა, ორი ტუმბო და უშუქსაფარო დასაკიდი ლამპა შეადგენდა. კუზიანმა შუქი აანთო. მამამ ხელი ჩამოართვა და უთხრა:

- თქვენ ბრძენი ხართ და თან კეთილშობილი. წყურვილი გვკლავდა და წყალი მოგვეცით. კუზიანმა დაღვლარჭნილი ხელი აიქნია.

- აბაზანა ამ კარს უკანაა, - თქვა მან, - იქ სუფთა ჭიქაც უნდა იყოს.

- მართლა ღვთის მოციქულად მოგვევლინეთ, - უთხრა მამამ. - საწყალი ბავშვი საცაა წაიქცევა.

- ძალიანაც კარგად ვარ, - ვთქვი მე. და როცა მეკარე გავიდა, ჯერ ისევ აღრენილმა, მამას ვკითხე:

- რა ჰქვია ამ ორმოს?

- ნიუ-იორკელი“, - მომიგო მამამ. - ნამდვილი ძველი ბაღლინჯოს ბუდეა, არა? ახლა უკვე მამაჩემის უმადურობაზე მომივიდა გული.

- მადლობა თქვი, უფულოდ რომ შემოგიშვა.

- კაცმა არ იცის, ვინ სად გამოადგება, - მითხრა მამამ, - კისერს მოვიჭრი, იმ ძუკნა დევისმა რომ იცოდეს, რა სამსახური გამიწია, ალბათ, ღამით კოშმარები დაუფრთხობს ძილს.

- მაინც რატომ არა გვაქვს ფული? - ვკითხე მე.

- ორმოცდაათი წელია სულ ამას ვეკითხები ჩემს თავს. ყველაზე უარესი ის არის, რომ ხვალ ჩეკზე უნდა მოვაწერო ხელი, ეს კი მოტყუება გამომივა, რადგან ბანკში ჩემს ანგარიშზე მხოლოდ ოცდაორი ცენტია.

- ჯამაგირი? ნახევარი თვე ხომ გავიდა?

- ჩემი საქმეები ისე მიდის, - მომიგო, - რომ ჯამაგირი, იქნებ, თვალითაც ვეღარ ვნახო. სკოლის საბჭოზე ზიმერმანის შეფასებას რომ წაიკითხავენ, ალბათ, პირიქით დამაჯარიმებენ.

- ვიღა კითხულობს ახლა შეფასებებს? - წავიბურდღუნე გაანჩხლებულმა, რადგან ვერ გადამეწყვიტა, ტანთ მისი თანდასწრებით გამეხადა თუ არა. არ მინდოდა მისთვის ჩემი ლაქები მეჩვენებინა, მუდამ მტკივნეულად განიცდიდა ამას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მამაჩემი იყო; ქურთუკი მოფამფალებულ, მავთულით გამაგრებულ სკამზე გადავკიდე და წითელი პერანგის ღილები შევიხსენი, მამა მიბრუნდა და კარის სახელურს წაეტანა.

- წავედი, - თქვა მან.

- სად მიხვალ? დაისვენე ერთ წუთს.

- დედაშენს უნდა დავურეკო და მანქანასაც დავკეტავ. დაიძინე, პიტერ, დღეს უთენია აგაყენეთ. მიძნელდება ხოლმე შენი გაღვიძება, მე თვითონ ოთხი წელი რომ შემისრულდა, მას აქეთ ხეირიანად არ გამომიძინია. დაგეძინება? თუ მანქანიდან წიგნები წამოგიღო და გაკვეთილებს ისწავლი?

- არ გინდა.

ისე შემომხედა, თითქოს ერთსა და იმავე დროს ბოდიშსაც იხდიდა, ნანობდა კიდეც, და თან რაღაცის შემოთავაზებაც სურდა; იყო ისეთი სიტყვა, - მე არ ვიცოდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მამამ იცოდა, - რომელიც დიდი ხანია უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის, მაგრამ მან მხოლოდ ეს მითხრა:

- ეცადე დაიძინო, ნერვები სულ აღარ გივარგა. შენს ასაკში მე უფრო მშვიდი ნერვები მქონდა.

გასვლისას ისე მოუთმენლად გამოაღო კარი, რომ საკეტელამ ხელზე გაიფხაჭუნა.

ცარიელი ოთახის კედლები სარკეებია, რომლებიც ჩვენი გონების თვალით დანახულ ჩვენსავე ორეულს უთვალავჯერ არეკლავენ, და როცა მარტო დავრჩი, მღელვარებამ ამიტანა, თითქოს უეცრად ბრწყინვალე, სახელგანთქმული და ლამაზი ადამიანების საზოგადოებაში აღმოვჩნდი. ერთადერთ ფანჯარასთან მივედი და უაიზერ-სკვერზე გამეფებულ ელვარე ქაოსს გადავხედე. ეს ყოვლისმომცველი ლაბირინთი იყო, რაბი, ტბა, რომელშიც ქალაქის ყოველი

მხრიდან მოზღვავებული მანქანების შუქი იღვრებოდა. ორი კვარტლის სიგრძეზე უაიზერ-სტრიტი ყველაზე ფართო ქუჩა იყო მთელ აღმოსავლეთის შტატებში; თვით კონრად უაიზერმა დაასო აქ ბოძები, როცა მეთვრამეტე საუკუნეში თავისუფალ, ვრცელსა და ნათელ ქალაქს გეგმავდა. ქუჩის ლიფლიფები თითქოს სინათლის ვარდისფერ ტბაში დაცურავდნენ და მეწამული ტალღები ჩემს ფანჯრებამდეც აღწევდა. სინათლის ამ მოლივლივე ტბაში წყალმცენარეებივით ჩახლართულიყო მწვანე და წითელი სარეკლამო წარწერები. ფოისთან, ოლტონის დიდ უნივერმაღში, ექვს რიგად გამწკრივებული ვიტრინები ოთხკუთხა ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ, ისინი შერეული ფქვილის ნამცხვარსაც წააგავდნენ: ნათურებით გაკაშკაშებული ქვედა ნაწილი თითქოს ხორბლისგან იყო დამზადებული, ჩამუქებული ზედა ნაწილი კი - ქერისაგან ანდა ჭვავისაგან. ქუჩის

გადაღმა, სახლების სახურავებს ზემოთ უზარმაზარი ნეონის ბურთი ბრწყინავდა. სპეციალური ელექტრომოწყობილობის საშუალებით ბუ სამჯერ ზედიზედ ინთებოდა და გაჩახჩახებული ბისკვიტი ფრთით ნისკარტთან მიჰქონდა. ბუს ბრჭყალებთან ჩამწკრივებული სხვადასხვა ფერის ასოები დროდადრო იუწყებოდნენ:

ბისკვიტი საუკეთესოა „ბუ“
მსოფლიოში

ბისკვიტი საუკეთესოა „ბუ“
მსოფლიოში

ეს და სხვა უფრო მომცრო რეკლამებიც - ისარი, საყვირი, მიწის თხილი, ტიტა, - ჰაერში ანარეკლებს ფანტავდნენ და მოედნის თავზე გაშლილ გამჭირვალე სიბრტყეზე ელავდნენ ჩემი ფანჯრის სიმაღლეზე. ავტომობილები, შუქნიშნები, გამვლელთა მთრთოლვარე სილუეტები - ყველაფერი ეს მაგარი სასმელივით მაბრუებდა. თვალებით ხარბად ვნთქავდი უცნაურ სასმელს და ამ ბუღში მომავალს ვჭვრეტდი. ქალაქი. ის ჩემს წინაა გაშლილი: ოთახის კედლებზე, სადაც აქამდე მარტო ვიდექი,

რეკლამების ჩრდილები დახტოდნენ. მე ყოვლისმხილველი და ყველასაგან უხილავი მაყურებელი, ფანჯარას მოვცილდი და ტანთ გახდა განვაგრძე; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემი ფუფხის ნაცვლად უხეშ, დაწინწკლულ ფოთლებს ვეხებოდი, რომლებიც ნაზსა და სათუთ, ვერცხლისფერ ნაყოფს ფარავდნენ. ტრუსების ამარა ვიდექი მორევის პირად; ლერწმებს შორის, ქვიშაზე, ჩემი შიშველი ფეხების ნაკვალევი მოჩანდა; ოლტონი უკვე ღამეულ ტბაში ბანაობდა. ფანჯრის უსწორ-მასწორო მინებში სველი ჩირაღდნების ცეცხლი იმტვრეოდა.

აკრძალულისა და მიუწვდომელის უბიწო განცდამ ქარიშხალივით მომცელა, და უეცრად ვიგრძენი, მარტორქა ვარ-მეთქი.

ოლტონი განივრცო. სინათლით მოფენილ ქუჩებს თეთრი მკლავებივით იწვდიდა მდინარისაკენ. მბრწყინავი თმა ტბის ზედაპირზე მიმოეფანტა. ვიგრძენი, რომ მეც ვიზრდებოდი, ვიზრდებოდი იქამდე, ვიდრე მოყვარულმა და სასურველმა, მხილველმა და ხილულმა, რამდენიმე მძლავრი ამოსუნთქვით მთლად არ შევიწოვე საკუთარი თავი, ქალაქი და მომავალი და ამ წუთებში ჭეშმარიტად ყველაფრის ცენტრში აღმოვჩნდი, დრო დავთრგუნე. ვზეიმობდი. მაგრამ ქალაქი კვლავ ცოცხლობდა და ციმციმებდა ფანჯრის მიღმა, მან გამჭოლი ტყვიასავით თავისუფლად

გამიარა და განმეშორა ქედუხრელი; მე კი, ყველაფრისაგან დაცლილი, დავჩიავდი და არარაობად ვიქეც. აჩქარებით გადავიცვი თეთრეული, თითქოს ჩემი ნამცეცა სხეული გამდნარი კრისტალების გროვა იყო და თუ ავკრეფდი, სამუდამოდ გაქრებოდა; მერე საწოლში შევწექი და კედლისკენ გადავბრუნდი; ცივი ზეწრები მარმარილოს ფოთლებივით აიშალა და მიწის წიაღში ჩაკარგული გამხმარი თესლივით ვიგრძენი თავი.

უფალო შემიწყალე, შემიწყალე, დაიფარე მამაჩემი, დედაჩემი, ბაბუაჩემი და ძილი მომანიჭე.

როგორც კი ზეწრები გათბა, კვლავ ადამიანის ტოლა გავხდი, თვლემა მომერია და უზარმაზარის შეგრძნება, ერთსა და იმავე დროს ცოცხალიც და მოდუნებულიც, ისევ გამიჯდა ყველა უჯრედში; ახლა უკვე თავი გოლიათად მეჩვენებოდა, რომლის ერთ ნეკა თითშიც სამყაროს მთელი გალაქტიკები მოქცეულიყო. ეს გრძნობა დროსაც ისევე მოიცავდა, როგორც სივრცეს; ისე უბრალოდ, როგორც იტყვიან ხოლმე: „წუთი გავიდაო“, ჩემთვის მარადისობამ განვლო მას შემდეგ, რაც ლოგინიდან ავდექი,

წითელი პერანგი გადავიცვი, დედას ფეხი დავუბაკუნე, მავთულის გაყინულ ღობეში ხელი გავყავი, რომ ძაღლს მოვფერებოდი და ჭიქა ფორთოხლის წვენი გადავკარი. ამ მოგონებებმა ვარსკვლავების შორეულ ნისლზე დაბეჭდილი ფოტოსურათებივით გამიელვა თვალწინ; მერე ლორენ ბეკელისა და დორის დეის სახეები ამოტივტივდა და ამ სახეების წყალობით ყოველდღიურ სინამდვილეს დავუბრუნდი. ახლა უკვე დეტალებს ვამჩნევდი: შორეული ხმების გუგუნს, ჩემგან სულ რამდენიმე ფუტის დაშორებით სკამის ფეხზე დახვეულ მავთულის სპირალს და ოთახის კედლებზე მოციმციმე სინათლის ათინათებს, რომლებიც საშინლად მაღიზიანებდა. ლოგინიდან ავდექი, ფარდები ჩამოვუშვი და ისევ დავწექი. როგორ თბილოდა ამ ოთახში იმ ოთახთან შედარებით, ფაირტაუნში რომ მქონდა! დედა გამახსენდა და პირველად ვიგრძენი, რომ

მომენატრა; მინდოდა კვლავ მეყნოსა ფაფის სურნელი, ყველაფერი დამვიწყნოდა და მეცქირა, როგორ ფუსფუსებდა ის სამზარეულოში. როდესაც ვნახავ, აუცილებლად ვეტყვი, რომ მივხვდი, რატომ მიუწევდა გული ასე ფერმისკენ, და რომ სრულებით არ ვამტყუნებ. ბაბუას მიმართაც მეტი პატივისცემა უნდა გამოვიჩინო და დავუჯერო, რასაც მეტყვის, რადგან...
რადგან... მისი დღეები დათვლილია.

მგონია, მამა სწორედ ამ წუთს შემოვიდა ოთახში - მე ალბათ უკვე მეძინა. ვგრძნობდი, რომ ტუჩები დამისივდა, შიშველი ფეხები დამიგრძელდა და დამირბილდა, თითქოს ძვლები გამოეცალათ. მამის დიდმა, შავმა სილუეტმა კუთხეში ჩამოშვებული ფარდის კიდესთან გაწოლილი სინათლის ვარდისფერი ზოლი გადაჭრა. ვიგრძენი, როგორ დადო ჩემი სახელმძღვანელოები.

- გძინავს, პიტერ?

- არა, სად იყავი?

- დედაშენს და ელ ჰამელს დავურეკე. დედამ შემოგითვალა, არაფერზე არ იდარდოო, ელი კი ხვალვე მოგვაშველებს საბარგო მანქანას. ელმა თქვა, ალბათ კარდნის ლილვია ფაფუჭებულიო და ნახმარის შოვნას დამპირდა.

- თავს როგორ გრძნობ?

- მშვენივრად. ახლა ვესტიბიულში ერთ ჯენტლმენს ველაპარაკე, საუცხოო ადამიანია:

აღმოსავლეთ შტატებში მოგზაურობს, მსხვილ მაღაზიებს და კომპანიებს სარეკლამო რადიოგადაცემების მოწყობის თაობაზე კონსულტაციას უწევს. ოცი ათასი აქვს წლიური შემოსავალი, თანაც ორ თვეს ისვენებს. ავუხსენი, რომ შენ სწორედ ასეთი შემოქმედებითი მუშაობა გიზიდავს; მითხრა, სიამოვნებით გავიცნობო. მინდოდა ამოსვლა და შენი დაძახება, მაგრამ მერე ვიფიქრე, ალბათ სძინავს-მეთქი.

- გმადლობ, საჭირო არ არის, - მივუგე.

მამის სილუეტი, ვიდრე იგი პიჯაკს, ყელსახვევსა და პერანგს გაიძრობდა, ბოლთასა სცემდა და სინათლის ზოლს ფარავდა.

გაეცინა.

- მაშ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, არა? მგონი, ასე აჯობებს. ეგ ისეთი ხალხია, ცენტის გულისთვის ყელს გამოგღადრავენ. მაგისთანების მეტი რა მინახავს, თვალსა და ხელს შუა გაგაცურებენ.

როგორც იქნა, მამა ჩაწვა, ზეწრების შარიშური შეწყდა. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მითხრა:

- ნუ ჯავრობ შენს მოხუცზე, პიტერ, ღმერთი მოწყალეა.

- არ ვჯავრობ. ღამე მშვიდობისა. ცოტა ხანს ისევ სიჩუმე ჩამოწვა, მერე კი ბნელში

  გაისმა:

- ძილი ნებისა, როგორც ჩვენი ბაბუა იტყოდა.

უეცრად, ბაბუას ხსენებაზე, უცხო ოთახში ისე ვიგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში და ჩამეძინა, თუმცა დერეფანში ვიღაც ქალი ხითხითებდა და ყოველ სართულზე კარის განუწყვეტელი ჯახუნი ისმოდა.

მშვიდი და ღრმა ძილით მეძინა, სიზმარს კი კანტიკუნტად ვხედავდი და როცა გამეღვიძა, სიზმრიდან გამომყვა მხოლოდ უსასრულოდ გრძელი ქიმიური ლაბორატორია, სადაც თითქოს უთვალავ სარკეში არეკლილიყო, მომრავლებულიყვნენ ჩვენი სკოლის ას მეშვიდე ოთახისეული კოლბები, სინჯარები და ბენზინის სანთურები. მაგიდაზე შუშის პატარა ქილა იდგა, სწორედ ისეთი, როგორშიც ბებია ვაშლის ხილფაფას ინახავდა ხოლმე. შუშა მქრქალი მინისა იყო. ავიღე, სახურავს ყური მივადე და ჩუმი, მაგრამ მკაფიო ხმა გავიგონე, - ასე ექიმები ასახელებენ ციფრებს, როცა ვისიმე სმენას ამოწმებენ; ოდნავ გასაგონი ხმა გარკვევით იმეორებდა: „სიკვდილი მწყურია, სიკვდილი მწყურია“.

მამა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ფარდა გადაეწია, ფანჯარასთან იდგა და გაჰყურებდა, როგორ ეუფლებოდა ნაცრისფერი დილა ქალაქს. ცა ამღვრეული იყო; ღრუბლები უზარმაზარი ფუნთუშებივით ეკიდა ქალაქის აგურისფერ ჰორიზონტზე. მამამ ფანჯარა გამოაღო, რათა ოლტონის სული შეეგრძნო. ჰაერი გუშინდელს აღარ ჰგავდა: უფრო ლბილი, მღელვარე და ფრთხილი გამხდარიყო. რაღაც უნდა დაგვტყდომოდა თავს.

ქვევით, ჩვენი წუხანდელი მეკარის ნაცვლად სხვა დაგვხვდა, უფრო ახალგაზრდა. გამოჯგიმული იდგა თავის მაგიდასთან და არ იღიმებოდა.

- მოხუცი ჯენტლმენი უკვე შეცვალეს? - იკითხა მამამ.

- სასაცილო ამბავი მოხდა, - მიუგო ახალმა მეკარემ, გაღიმება არც ახლა უცდია, - ჩარლიმ წუხელ სული განუტევა.

- რაო? როგორ?

- აბა რა ვიცი. როგორც ამბობენ, დაახლოებით დილის ორ საათზე მომხდარა. მე რვაზე უნდა შემეცვალა. ამდგარა, საპირფარეშოში შესულა, დაცემულა და მომკვდარა. ალბათ, გული გაუსკდა. სასწრაფოს გამოუძახეს, არ გაგიგიათ?

- მაშ ჩემი მეგობრისათვის მოჰკიოდა სირენა? ვერ დამიჯერებია. ნამდვილი ქრისტიანივით მოგვექცა.

- მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობდი.

გრძელი ახსნა-განმარტების შემდეგ მეკარე ჭოჭმანით დათანხმდა მამას ჩეკის აღებაზე.

მე და მამამ ჯიბეები ამოვიფხიკეთ და ხურდას მოვუყარეთ თავი, რომ მოძრავ რესტორანში გვესაუზმა. საფულეში დოლარიანი მეგულებოდა, მაგრამ არაფერი ვთქვი, შავი დღისთვის შემოვინახე. რესტორანში, დახლთან, გამოუძინებელი, მოღუშულსახეებიანი მუშები ირეოდნენ. გულზე მომეშვა, როცა დავინახე, რომ სამზარეულოს ჩვენი გუშინდელი მაწანწალა მგზავრი არ განაგებდა. მაჭკატები და ლორი შევუკვეთე და საუზმეს მრავალი წლის მანძილზე პირველად ჩავატანე გემო. მამამ რძიანი ხორბლის ბურბუშელა მოითხოვა, რამდენიმე კოვზი გადაყლაპა და განზე გასწია თეფში. მერე საათს დახედა. 7.25. უჩვენებდა. მამამ ბოყინი შეიმაგრა, გაფითრდა და თვალები ჩაუცვივდა. როცა შემატყო, რომ შეშინებული ვაკვირდებოდი, მითხრა:

- ვიცი, ჯოჯოხეთის მაშხალას ვგავარ. პირს სკოლაში გავიპარსავ საქვაბეში, ჰელერი მომცემს პირსაპარსს.

ერთ დღე-ღამეში წამოზრდილი ჯაგარი დილის ჭირხლივით ნაცრისფრად მოსდებოდა მის ლოყებსა და ნიკაპს.

რესტორნიდან გამოვედით და სამხრეთისკენ გავემართეთ, სადაც სახურავებს ზემოთ

გამოკიდული ნეონის მილებისაგან ნაკეთები ბუ ჩამქრალიყო და გაქვავებულიყო. დათბა. ზამთრის გამჭვირვალე ნისლი ახლა სველ ასფალტს ლოკავდა. მეხუთე ქუჩისა და უაიზერ სტრიტის კუთხეში ტრამვაიში ჩავსხედით. თითქმის ცარიელ ვაგონში თბილოდა, ჩალის სკამები მხიარულად ელავდნენ. ამ მიმართულებით იშვიათად თუ იმგზავრებდა ვინმე, ქალაქი იზიდავდა ყველას. ოლტონი შეთხელდა; მჭიდროდ ჩარაზმული შენობები ალაგ-ალაგ ჩაფშვნილიყო, როგორც მდინარემ იცის ყინულთმსხვრევის დროს; შორეულ

ფერდობს მეჩხერი სიმწვანე ფარავდა. მთის ძირში კი ერთმანეთს მიკვროდნენ ახალი, პაწია, თითქოს პასტელით ნახატი სახლები. გრძელი დაღმართი ჩავიარეთ. გამოჩნდა ნაყინის გამყიდველის კიოსკი, რომელსაც დიდი თაბაშირის ჭიქა ამშვენებდა, მერე დაიწყო ფერადი აგურით ნაგები ოლინჯერის სახლები. მარცხნივ სასკოლო ნაკვეთი და მოწითალო-ნარინჯისფერი აგურის შენობა დავინახე; მაღალი საქვაბე მილი სოლივით შეჭრილიყო ცაში. ჰამელის გარაჟთან გადმოვედით. ჩვენი „ბიუიკი“ ჯერ არ მოეტანათ. დღეს არ დაგვიგვიანია; პირველი მანქანები ეს-ეს არის შებობღდნენ სადგომზე. ნარინჯისფერმა ავტობუსმა გზის პირთან მოუხვია და უცებ დაამუხრუჭა. ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილი მოსწავლეები, რომლებიც შორიდან ჩიტის ტოლა ჩანდნენ, წყვილ-წყვილად გამოფრთხიალდნენ ავტობუსიდან.

მე და მამა იმ ქუჩას დავყევით, რომელიც სკოლისპირა პაწია მდელოს ჰამელის გარაჟისაგან ჰყოფდა, ქვაფენილზე კორიანტელი ავარდა და წინ გაგვიძღვა. დიდი ხნის დამჭკნარი, მკვდარი პეპელას ფრთებივით მსხვრევადი ფოთლები, ცისფერი კამფეტის ქაღალდი, მტვერი და ნაგავი, თხრილიდან ამოხვეტილი ბალახბულახი დაშრიალებდა და დაფარფატებდა ჩვენს თვალწინ; გუმანით ვგრძნობდი, რაღაც უხილავი არსება ტრიალებდა ამ ქარაშოტში, აქეთ-იქით აწყდებოდა ქუჩის ნაპირებს და მის შრიალა ოხვრასთან ერთად უაზრო სიტყვები ჩამესმოდა ყურში; გაჩერება მინდოდა, მაგრამ მამა გზას განაგრძობდა. ქარი შარვლის ტოტებს უფრიალებდა. რაღაც ცივი წვივებში მეძგერა და თვალები დავხუჭე. როცა ირგვლივ მიმოვიხედე, ქარაშოტი ჩამდგარიყო.

სკოლასთან ერთმანეთს დავშორდით. წესისამებრ მე, სხვა მოსწავლეებთან ერთად, შუშის კართან უნდა დამეცადა. მამა შევიდა და გრძელ დერეფანში თავაწეული მიაბიჯებდა. ნაქსოვი ლურჯი ქუდი მოეხადა და გრუზა თმა ასწეწოდა. კრიალა ფიცარნაგზე მისი ქუსლების ხმამაღალი ბაკუნი ისმოდა. ფიცრის ამ პერსპექტივაში ის თანდათან დაპატარავდა და როცა ორეულ კარს მიაღწია, იქცა ჩრდილად, ფარვანად, და ძლივსღა ჩანდა იმ შუქის ფონზე, რომლის ნათელშიაც შთაინთქა. კარი გაიღო. ის

კარს უკან გაუჩინარდა. ჭირის ოფლმა დამასხა და შიშისაგან ტკივილით შემეკუმშა გული.

V

ჯორჯ უ. კოლდუელი, მასწავლებელი, ორმოცდაათი წლისა. მისტერ კოლდუელი დაიბადა 1896 წლის 21 დეკემბერს ნიუ-იორკის შტატის კუნძულ სტატენზე. მამამისი, ნეტარხსენებული ჯონ უესლი კოლდუელი, პრინსტონის უნივერსიტეტისა და ნიუ-იორკის სასულიერო სემინარიის აღზრდილი იყო. დატოვა რა სემინარიის კედლები, სამოღვაწეოდ მან პრესვეტერიანული მღვდლის გზა აირჩია და მეხუთე თაობად ერთგულად ემსახურებოდა თავისი წინაპრების სარწმუნოებას. მისი მეუღლე, ქორწინებამდე ფილის ჰართორნი, სამხრეთის მკვიდრი იყო, ტენესის შტატის ნეშვილის მიდამოებიდან. ამ მანდილოსანში გარეგნული სილამაზე და შინაგანი მიმზიდველობა შერწყმოდა გულმხურვალე ღვთისმოსაობას, რაც ესოდენ დამახასიათებელია სამხრეთის საუკეთესო ოჯახებიდან გამოსული ქალებისათვის. მას არაერთხელ მიუცია რიცხვმრავალი მრევლისათვის ჭეშმარიტი მორწმუნეობისა და ქრისტიანული სიმტკიცის მაგალითი; როდესაც მისტერ კოლდუელი, ტრაგიკულად ადრეულ ასაკში, დაბადებიდან სულ ორმოცდაცხრა წლისა, მოწოდებულ იქნა სხვა საკურთხევლის წინაშე უზენაესი ვალის მოსახდელად, მისის კოლდუელმა მეუღლის

ხანგრძლივი ავადმყოფობის მთელი იმ მძიმე წლის მანძილზე შეცვალა იგი ეკლესიაში და კვირაობით მრავალგზის გვიხილავს კათედრაზე.

უფალმა ორი შვილით დააჯილდოვა ეს ცოლ-ქმარი. ამათგან ჯორჯი უმცროსი იყო. 1900 წლის მარტში, როცა ჯორჯს სამი წელი შეუსრულდა, მამამისმა დატოვა თავისი მრევლი კუნძულ სტატენზე, რადგან ნიუ ჯერსის შტატის პასეიკის პრესვეტერიანულ ეკლესიაში მიიღო მიწვევა. გრიუვ-სტრიტისა და პასეიკ-ავენიუს კუთხეში ყვითელი მარმარილოთი ნაგები ეს დიდებული შენობა დღესაც არსებობს, ის სულ ახლახანს შეაკეთეს და გააფართოვეს. ორი ათწლეულის მანძილზე ჯონ კოლდუელს წილად ხვდა ეკმია თავისი ცოდნის, გონებამახვილობისა და შეურყეველი რწმენის ნათელი და დაეტკბო მისკენ სასოებით მზირალი მრევლი. აქ, პასეიკში, რომელიც ოდესღაც აკვაკანონკად იწოდებოდა, მდინარისპირა წყნარ ქალაქში, რომლის სოფლური მშვენება იმხანად ჯერ კიდევ ვერ დაეჩრდილა მძლავრად განვითარებულ მრეწველობას, გაატარა თავისი ყრმობა ჯორჯ კოლდუელმა.

დღესაც ბევრს ახსოვს ამ ქალაქში მხიარული ბიჭუნა, საუცხოო სპორტრსმენი, რომელსაც შეეძლო მეგობრების არა მარტო შეძენა, არამედ მათი შენარჩუნებაც. ზედმეტსახელად „ლოლუას“ ეძახდნენ, - ალბათ, უჩვეულო სიგამხდრის გამო. ჯორჯი მამის კვალზე მიდიოდა და თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა განყენებული მეცნიერებისადმი, თუმცა, მოგვიანებით ხშირად უთქვამს ხუმრობანარევი თავმდაბლობით, რაც ასე ამშვენებდა მას, - ჩემი სანუკვარი ოცნება მეაფთიაქედ ყოფნაა. ოლინჯერის ახალგაზრდობის მთელი თაობის საბედნიეროდ ჯ. კოლდუელის ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა.

სიჭაბუკის წლები მისტერ კოლდუელს მამის უდროოდ გარდაცვალებამ და ამერიკის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმამ მოუწამლა. ბუნებრივმა და შთაგონებულმა პატრიოტიზმმა აიძულა იგი 1917 წელს სამოცდამეთვრამეტე დივიზიონის საშტაბო რაზმში ჩაწერილიყო. ფორტ-დიკში არმიის ბანაკებში მძვინვარე ინფლუენცის ეპიდემიის დროს ძლივს გადაურჩა დაღუპვას. ნომერი 24.14.722, იგი მზად იყო სამსახურებრივი მოვალეობის აღსასრულებლად გემით გამგზავრებულიყო ევროპაში, მაგრამ ამასობაში ზავი ჩამოვარდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ჯორჯ კოლდუელმა კინაღამ არ დატოვა სამშობლო, რომელიც მას - მოკრძალებულ

მშრომელს, მასწავლებელს, სამაგალითო მრევლთაგანსა და მოწინავე მოქალაქეს, შვილს, მეუღლესა და მამას უნდა გაემდიდრებინა.

დემობილიზაციის შემდეგ ჯორჯ კოლდუელმა დედაზე მეურვეობა იკისრა - მისი და გათხოვდა. მან მრავალი სპეციალობა გამოიცვალა. გასაყიდად დაჰქონდა ენციკლოპედია, მუშაობდა საექსკურსიო ავტობუსის მძღოლად ატლანტიკ-სიტიში, მწვრთნელად - პეტერსონის სპორტკლუბ „აქა-ში“, ცეცხლფარეშად ნიუ-იორკ - სასკუიჰანასა და დასავლეთის ხაზზე; ერთხანს სასტუმროს მედერეფნედ და რესტორნის ჭურჭლის მრეცხავადაც იყო. 1920 წელს ფილადელფიის მახლობლად, ლეიკის კოლეჯში შევიდა და 1924 წელს დამოუკიდებლად, ყოველგვარი მატერიალური მხარდაჭერის გარეშე, წარჩინებით დაამთავრა იგი ქიმიის განხრით, ამასთან შესანიშნავი წარმატება ჰქონდა ყველა საგანში. ის სწავლას მუშაობასთან ათავსებდა, ამას გარდა, სპორტული საზოგადოების სტიპენდიაც დაიმსახურა, რომელიც სანახევროდ ფარავდა მისი სწავლის ხარჯებს. სამი წლის განმავლობაში ის სტუდენტ ფეხბურთელთა გუნდის უცვლელი მეკარე იყო და ამ ხნის მანძილზე სულ ჩვიდმეტჯერ დატოვა მინდორი გატეხილი ცხვირით; ორჯერ მუხლის სერიოზული

დაზიანებით, და ერთხელ წვივისა, ერთხელაც ლავიწის გაბზარვით. იქ, წარმტაც სტუდენტურ ქალაქში, მუხის ჭალებით გარშემორტყმული ანკარა ტბის პირას,

რომელიც ლენი-ლენაპეს[8] ტომს („პირველ ადამიანებს“, როგორც ისინი უწოდებდნენ საკუთარ თავს) ოდესღაც წმინდად მიაჩნდა, მან გაიცნო და შეიყვარა მის ხესი კრამერი, რომელიც წამოშობით ოლტონის ოლქის ქალაქ ფაირტაუნიდან იყო. 1926 წელს ისინი დაქორწინდნენ მერილენდის შტატის ქალაქ ჰეიჯერზტაუნში და მომდევნო ხუთი წლის მანძილზე შემოიარეს აღმოსავლეთის მრავალი შტატი და აგრეთვე ოჰაიო დასავლეთ ვირჯინიაში, რადგან ჯორჯი იქ სატელეფონო და სატელეგრაფო კომპანია „ბელმა“ ხაზის ამწყობად დანიშნა.

როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო. 1931 წელს სამშობლოს ხვედრმა კვლავ შესცვალა კოლდუელის ბედი; მწვავე ეკონომიური მდგომარეობის გამო, რომელიც თავს დაატყდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჯორჯ კოლდუელი ამორიცხულ იქნა ინდუსტრიული გიგანტის საგადასახადო უწყისებიდან, რომელსაც პატიოსნად და უმწიკვლოდ ემსახურებოდა. მეუღლესთან ერთად, რომელიც მალე აპირებდა მისი პასუხისმგებლობის გადიდებას ახალი ოჯახის წევრის შემატებით, ის კრამერების ჭერს

შეეკედლა ოლინჯერში, სადაც მისტერ კრამერმა რამდენიმე წლით ადრე პატარა, ლამაზი თეთრი სახლი შეიძინა ბიუკენენ-როუდზე. ამჟამად ეს სახლი დოქტორ პოტერს ეკუთვნის. 1933 წლის შემოდგომაზე მისტერ კოლდუელი ოლინჯერის საშუალო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა და სიკვდილამდე ერთგულად ასრულებდა ამ მოვალეობას.

როგორ შევაფასოთ მისი პედაგოგიური მოღვაწეობა? იგი იყო თავისი საგნის შესანიშნავი მცოდნე და უსაზღვროდ მოყვარული თავისი კოლეგებისა, რომლებიც არ იყვნენ დაჯილდოებული ესოდენ დიდი უშუალობით; ცოცხალი შედარებების უბადლო ოსტატი, მასალის გადაცემის დროს ის მუდამ ადვილად პოულობდა სარწმუნო მაგალითებს ყოველდღიური ცხოვრებიდან, შესანიშნავად იყენებდა უხვად მომადლებულ არტისტულ ნიჭსა და ძალდაუტანებელ ენამახვილობას; ამასთან შეუძლებელია არ აღინიშნოს მისტერ კოლდუელის მოუსვენარი და ცნობისმოყვარე ხასიათი, რაც გამუდმებით აიძულებდა, სრულეყო თავისი პედაგოგიური ხელოვნება. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი მის ღირსებათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. ყოფილი მოსწავლეების მეხსიერებაში (რომელთა რიცხვს ამ სტრიქონების

ავტორიც მიეკუთვნება) განსაკუთრებით ღრმად აღიბეჭდა მისი სწორუპოვარი უანგარობა, განუწყვეტელი ზრუნვა ადამიანებზე, რის გამოც ის ყოველთვის უარს ამბობდა საკუთრ კეთილდღეობასა და დამსახურებულ დასვენებაზე. მისტერ კოლდუელის მოწაფედ ყოფნა ნიშნავდა ამქვეყნიურზე ამაღლებას და უზენაესის წვდომას. და თუმცა, მისივე გულმხურვალების მიზეზით ხშირად იშლებოდა საზღვარი მასსა და კლასს შორის, მაინც მუდამ იგრძნობოდა, რომ „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“[9].

სასკოლო პროგრამით გაუთვალისწინებელი სერიოზული დატვირთვის პარალელურად, რაც გამოიხატა ჩვენი სახელოვანი მოცურავეთა გუნდის წვრთნაში, კალათბურთის, მძლეოსნობისა და ბეისბოლის ყველა შეჯიბრზე ბილეთების განაწილებასა და, აგრეთვე, მეკავშირეთა წრის ხელმძღვანელობაში - მისტერ კოლდუელი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ის იყო ოლინჯერის „ფილთაქვების“ კლუბის მდივანი, ბოისკაუტების მეთორმეტე ჯგუფის კონსულტანტი, ქალაქის პარკის შექმნის წინადადების განმახორციელებელი კომიტეტის წევრი, „ლომების“ კლუბის ვიცეპრეზიდენტი და უსინათლო ბავშვთა

სასარგებლოდ ელექტრონათურების ყოველწლიური გაყიდვის საკლუბო კომისიის წევრი. უკანასკნელი ომის განმავლობაში უბნის თავდაცვას მეთაურობდა და დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვების საქმეში. დაბადებით რესპუბლიკელი და პრესვიტერიანელი, იგი დემოკრატად და ლუთერანად იქცა და ბევრი რამ გააკეთა როგორც თავისი პარტიის, ისე ლუთერანული ეკლესიისათვის. დიდი ხნის მანძილზე მისტერ კოლდუელი იყო ოლინჯერში არსებული მაცხოვრის ლუთერანული ტაძრის საეკლესიო საბჭოს მამასახლისი და წევრი, ხოლო მას შემდეგ, რაც ფაირ-ტაუნის მახლობლად მდებარე წარმტაც სოფლის სახლში, მისი მეუღლის საგვარეულო ბუდეში გადასახლდა, სულ მალე ფაირ-ტაუნის ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიის საბჭოს მამასახლისად და წევრად მოგვევლინა. ასეთი მოკლე მიმოხილვა ნებას არ გვაძლევს სრულად ჩამოვთვალოთ სიქველისა და კეთილი ნების ყველა ის ურიცხვი გამოვლენა, რომელთა წყალობითაც მისტერ კოლდუელი, თავდაპირველად სრულიად უცხო ოლინჯერში, მოქალაქეობრივი და ძმური კავშირით ასე მკვიდრად შეესისხლხორცა ამ ქალაქს.

მან დატოვა და - ალმა ტერიო, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ტროაში ცხოვრობს, აგრეთვე სიმამრი, მეუღლე და ვაჟი, რომლებიც ფაირტაუნში ცხოვრობენ.

VI

კლდეზე მიჯაჭვული ვიწექი და მრავალნი მოდიოდნენ ჩემს სანახავად. პირველი მისტერ ფილიპსი მოვიდა, მამაჩემის კოლეგა და მეგობარი, სწორედ ის, თმაზე ბეისბოლის მუზარადის კვალი რომ აჩნდა. მან ხელი ასწია, ყურადღება მოითხოვა და მაიძულა მონაწილეობა მიმეღო თამაშში, რომელიც, მისი აზრით, გონების სიმკვირცხლეს ანვითარებდა.

- ოთხს მივუმატოთ ორი, - თქვა მან სწრაფად, - გავამრავლოთ სამზე, გამოვაკლოთ ექვსი, გავყოთ ორზე, მივუმატოთ ორი, რამდენია?

- ხუთი. - წამოვაყრანტალე, რადგან მისი ტუჩების ცმაცუნს თვალი ვეღარ მოვწყვიტე და ანგარიში ამერია.

- არა, ათი, - მითხრა მან და საყვედურით გადააქნია გასლექილი თავი. საოცრად უყვარდა სიზუსტე და ოდნავ სიყალბესაც ვერ იტანდა.

- ექვსი გავყოთ სამზე, - თქვა მან, - მივუმატოთ ათი, გავამრავლოთ სამზე, მივუმატოთ ოთხი, გავყოთ ოთხზე, რამდენია?

- არ ვიცი, - ვთქვი საცოდავად. პერანგი ცეცხლივით მწვავდა კანს.

- ათი, - თქვა მან და რეზინივით გაწელილი ტუჩები მწუხარედ მომუწა. - კარგი, საქმეს შევუდგეთ. - ის საზოგადოებრივ მეცნიერებებს ასწავლიდა, - ჩამოთვალე ტრუმენის კაბინეტის წევრები. გაიხსენე ჯადოსნური ალფაბეტური წესი.

- დინ აჩესონი, სახელმწიფო მდივანი, - ვთქვი მე და მეტი ვერავინ გავიხსენე. - მაგრამ მისმინეთ, მისტერ ფილიპს, თქვენ ხომ მისი მეგობარი ხართ, მითხარით, - შევევედრე, - განა ეს შესაძლებელია? სულებს რაღა მოსდით?

- თ, - მომიგო მან, - თანატოსს, სიკვდილის დემონს მიაქვს მკვდრები. აბა, ჩემო კეთილო, ორი პლიუს სამი, ცოცხლად, ცოცხლად!

ის მსუბუქად გახტა განზე, - დაიხარა და რაღაც აიტაცა. მერე გულში ჩაიხუტა, ნელა

მობრუნდა და მაღლა, ჰაერში შეისროლა. ეს ფრენბურთის ბურთი იყო და ჩემს უკან მთები აღმუვლდნენ. წინ გავიჭერ, მინდოდა ბურთი ბადის იქეთ

გადამეგდო, მაგრამ მაჯები გაკავებული მქონდა ყინულითა და სპილენძის ჯაჭვით. ბურთს თვალები და სიმინდის ფუჩეჩივით თმა გაუჩნდა. დეიფენდორფმა სახე სულ ახლოს მოსწია და მისი მყრალი სუნთქვა ვიგრძენი. მან ხელები ისე შეაერთა, რომ ხელისგულებს შორის პატარა რომბისებური სიცარიელე რჩებოდა.

- გაიგე, მათთვის საჭიროა, რომ შენ აი აქ იყო, - მითხრა მან - ყველანი ერთნაირები არიან, მეტი არაფერი უნდათ, მარტო იარე წინ და უკან.

- მაგრამ ეს ხომ ღორობაა, - ვთქვი მე.

- რა თქმა უნდა, საზიზღრობაა, - დამეთანხმა ის, - მაგრამ რას იზამ. წინ და უკან, წინ და უკან და მეტი არაფერი. პიტერ, აკოცე რამდენჯერაც გინდა, მოეხვიე, ლამაზი სიტყვები უთხარი - მაგათთვის სულ ერთია, შეაყარე კედელს ცერცვი. იძულებული ვარ ასე მოვიქცე.

მან ფანქარი პირში ჩაიდო და სახე შეერთებულ ხელისგულებთან მიიტანა; ფანქარი ისე ჰქონდა გარჭობილი ჯოჯოხეთურ კბილებში, რომ საშლელიანი ბოლო გარეთ იყო მოქცეული და იმ წუთს, როცა თვალებდაჭყეტილი ხარბად ვნთქავდი მის ყოველ მოძრაობას, ამ სახის იქით ჩემთვის აღარაფერი არსებობდა. დეიფენდორფი გასწორდა, ხელები ერთმანეთს დააშორა და მარცხენა ხელისგულზე ორ პაწია ნებს თითებით მიეალერსა.

- მაგრამ თუ მას მეტისმეტად მსუქანი ბარძაყები აღმოაჩნდა, - თქვა მან, - შიგნით ვერც შეაღწევ, გაიგე?

- მგონი, გავიგე, - ვთქვი მე. კანი აუტანლად მექავებოდა იქ, სადაც წითელი პერანგი შემომტმასნოდა.

- ასე რომ, გამხდრებს მაინცდამაინც ნუ დასცინი, - გამაფრთხილა დეიფენდორფმა და ზიზღით შევნიშნე, რომ სერიოზული და დაკვირვებული სახე გაუხდა. სწორედ ასეთ გამომეტყველებას იღებდა ხოლმე, როცა მამაჩემის გულის მოგება სურდა. - ავიღოთ, მაგალითად, გლორია დევისისნაირი კნაჭა, ან მაღალი, ფუნთუშა ქალი, როგორიც მისის ჰამელია, - ასეთებთან შეგიძლია დამშვიდებული იყო. გესმის, პიტერ?

- მერე? კიდევ რას იტყვი?

- გინდა, გასწავლო, როგორ უნდა გამოიცნო, ვნებიანია თუ არა?

- მინდა. როგორ არა.

ის ნაზად შეეხო ხელისგულს იქ, სადაც ცერი იწყებოდა.

- მიყურე. აი ვენერას ბორცვი. რაც უფრო დიდია, მით უფრო მეტი აქვთ.

- რა აქვთ მეტი?

- შტერი ნუ ხარ. - ისე ძლიერად მატაკა თითი გვერდში, რომ სუნთქვა შემეკრა; - მართლა, ეგ რა ყვითელი ლაქა გაქვს შარვლის უბეზე?

მან გადაიხარხარა და ჩემს ზურგს უკან კავკასიონის მთები ახორხოცდნენ. ისინი პირსახოცებს უტყაპუნებდნენ ერთმანეთს და ვერცხლისფერ სხეულებს აზანზარებდნენ.

მერე კი ისევ ჩვენი ქალაქი მოვიდა ჩვენთან, ინდიელივით შეღებილი, ამაოდ დაღვრილი ცრემლისგან ჩამქრალი სახით.

- შენ მაინც უნდა გახსოვდეს, - უთხარი მე. - ჩვენ სულ ტრამვაის ხაზების გაყოლებით დავდიოდით, მე სულ ვჩქარობდი, რომ არ ჩამოვრჩენილიყავ.

- მახსოვხართ? - მან აბნეულად მოისვა ხელი ლოყაზე და თითები სველი თიხით დაესვარა. - რამდენი ხალხია...

- კოლდუელები, - თქვი მე. - ჯორჯი და პიტერი. ის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, როცა ომი დამთავრდა, ძია სემად იყო გადაცმული და აღლუმს წინ მიუძღოდა სახანძრო კოშკთან, იქ, სადაც წინათ ტრამვაი დადიოდა.

- იყო ერთი ასეთი, - თქვა მან, ჩაფიქრდა და ქუთუთოები მთვარეულივით აუცახცახდა, - მსუქანი კაცი...

- არა! გამხდარი, მაღალი.

-თქვენ ყველას, - თქვა მან მოულოდნელად სინანულით, - წარმოგიდგენიათ, თითქოს რაკი აქ რამდენიმე წელი გიცხოვრიათ, მე უნდა... მე უნდა... თქვენისთანა ათასია. ათასები იყო და იქნება... ჯერ „პირველი ადამიანები“. მერე ვალიელები, კვაკერები, გერმანელები ტალპეჰოკენ ველიდან... და ყველას უნდა, რომ მე მახსოვდეს. სინამდვილეში ძალზე სუსტი მეხსიერება მაქვს. - ამ აღსარების შემდეგ სახე ღიმილმა დაუნაოჭა და ისე გაუშუქა მიწისფერი ლაქები ლოყებზე, რომ იმ წუთს უძლურიც კი მიყვარდა. - რაც უფრო ვბერდები, რაც უფრო მაფართოვებენ, რაც მეტ ქუჩებს აშენებენ შეილჰილზე და ახალ კვარტალებს უმატებენ ოლტონის მხრიდან, მით უფრო ნაკლები... მახსოვს, უფრო გულგრილი ვხდები.

- „ლომების“ კლუბის წევრი იყო, - მოვაგონე. - მაგრამ ვერ იქნა და ვერ აირჩიეს პრეზიდენტად. ქალაქის პარკის მომწყობ კომიტეტშიც შედიოდა. იმდენი კარგი საქმე

გაუკეთებია. ქუჩებში ხეტიალი უყვარდა და ხშირად დადიოდა ჰამელის გარაჟში, აი იმ კუთხეში.

მან თვალები დახუჭა და სახის კანიც ქუთუთოებივით სიფრიფანა და დაჭიმული გაუხდა, წვრილი ძარღვებით დასერილი, მიცვალებულის ნიღაბივით უტყვი. აქა-იქ საღებავის შეუმშრალი ლაქები უბრწყინავდა.

- ეს ჰამელის მოსახვევი როდისღა გაასწორეს? - წაილუღლუღა მან თავისთვის. - იქ სადურგლო სახელოსნო იყო და ერთი ბრმა ცხოვრობდა, ომის წლებში დაბრმავდა, გაზით იერიშის დროს. მოიცა ვიღაც კაცი მოდის... ჯიბეში გაცვეთილი კალმები უყრია.

- ეგ მამაჩემია! - შევძახე მე. მან გაჯავრებით გააქნია თავი და ნელა ასწია ქუთუთოები.

- არა, - თქვა მან, - არავინაა. ხის ჩრდილი ყოფილა.

მან ჩაიცინა, ჯიბიდან ნეკერჩხლის ფარფლებიანი თესლი ამოიღო, ცერის ფრჩხილით გახლიჩა და ცხვირზე მიიწება, როგორც ბავშვობაში ჩავდიოდით ხოლმე, - პატარა მწვანე რქა გამოუვიდა. ყვითელი საღებავით მოთხუპნულმა სახემ ავის მომასწავებელი იერი მიიღო. ნეშომპალასავით უძირო და მაზუთივით შავი თვალები ჰქონდა.

- გაიგე, - მკაფიოდ მითხრა მან, - თქვენ გადახვედით. არ უნდა გადასულიყავით.

- ჩემი ბრალი არაა. დედა...

ზარი დარეკეს. საუზმის დრო იყო, მაგრამ ჩემთვის საჭმელი ჯერ არ მოეტანათ. მე ჯონი დედმენის პირდაპირ ვიჯექი და ჩვენს გარდა კიდევ ორი სხვა ბიჭიც იყო. ჯონიმ ბანქო ჩამოარიგა. რადგან მე თვითონ არ შემეძლო ხელში აღება, ჯონის სათითაოდ სწრაფად მოჰქონდა ისინი ჩემს სახესთან, და დავინახე, რომ ეს უბრალო ბანქო არ იყო. ჩვეულებრივი სურათების ნაცვლად მასზე მქრქალი ფოტოები იყო აღბეჭდილი.

ტუზი გული: თეთრი ქალი, არც ისე ახალგაზრდა, სკამზე ზის შიშველი და იღიმება.

ვალეტი აგური: თეთრი ქალი და ზანგი მამაკაცი ზიარი სიყვარულის აქტს ასრულებენ. ათიანი ჯვარი: ოთხნი კვადრატულად წვანან, ქალი და კაცი მონაცვლეობით - ერთი ზანგია, დანარჩენები - თეთრები.

ბანქო იაფიანი იყო და ცუდად დაბეჭდილი, რის გამოც ზოგიერთი წვრილმანი, რომლის ნახვასაც მოუთმენლად ვისწრაფოდი, ბუნდოვნად ჩანდა და დაბნეულობა რომ დამემალა, გულგრილად შევეკითხე:

- სად იშოვნე?

- ოლტონში, თამბაქოს საწყობში, - თქვა ჯონიმ, - ოღონდ უნდა იცოდე, ვის მიმართო.

- მართლა ორმოცდათორმეტივე ასეთია? ნამდვილი სასწაულია.

- ყველა ამ ერთის გარდა, - თქვა მან და ყვავის ტუზი მიჩვენა. ჩვეულებრივი ყვავის ტუზი იყო.

- აფსუს!

- მაგრამ თუ გადმოაყირავებ, სულ სხვაა, - თქვა მან; ახლა ტუზი ვაშლს ჰგავდა, რომელსაც მსხვილი შავი ყუნწი ჰქონდა.

თვალებს არ ვუჯერებდი.

- დანარჩენიც მაჩვენე, - შევევედრე.

ჯონიმ შემომხედა თავისი ეშმაკური თვალებით და ღინღლით დაფარული ლოყები შეუფაკლდა.

- მოითმინე, მასწავლებლის შვილიკო, - თქვა მან. - ამაში ფული უნდა გადაიხადო. მე მუქთად კი არ მომცეს.

- კი მაგრამ, რომ არა მაქვს ფული. წუხელ ღამე სასტუმროში გავათენე და მამა იძულებული შეიქნა მეკარისათვის ჩეკი მიეცა.

- მიჰქარავ! დოლარი რა უყავი? დაგავიწყდა, შენს ბებრუხანას რომ დაუმალე? უკანა ჯიბე კარგად მოიჩხრიკე, საფულეში გიდევს.

- სულ ერთია, მაინც ვერ ამოვიღებ, ხელები გაკავებული მაქვს.

- შენი ნებაა, - თქვა მან. - მაშინ წადი და საკუთარი ბანქო იყიდე, ცრუპენტელავ.

მან ბანქოს დასტა მაშინვე ჩაიდო ლამაზი, უხეში ქსოვილისაგან შეკერილ ხასხასა მწვანე პერანგის ჯიბეში: აწეული საყელო კეფაზე მისლექილ თმაზე ელამუნებოდა.

საფულის ამოღება ვცადე. მხრები გამიშეშდა და კუნთები მტკიოდა, თითქოს ზურგით კედელზე ვიყავი მიჯაჭვული. პენი - ის ჩემს გვერდით იყო და უმანკოების სუსტ, შეუმჩნეველ სურნელს ავრცელებდა, სახით კისერზე მომეკრა და საფულის ამოღებას ცდილობდა.

- თავი გაანებე, პენი, - ვუთხარი, - არ ღირს, ეს ფული მაინც დაგვჭირდება. დღეს ხომ უნდა შევჭამოთ რამე ქალაქში კალათბურთის წინ.

- მაინც რა ძალა გადგათ, ფერმაში რომ გადადიოდით? - მკითხა მან. - ნეტავ რისი გულისთვის იტანჯებით?!

- მართალი ხარ, - ვთქვი მე. - სამაგიეროდ ასე შემიძლია შენთან უფრო დიდხანს ვიყო.

- შენ ამით არასოდეს სარგებლობ, - მითხრა მან.

- ერთხელ ხომ ვისარგებლე, - ვთქვი თავის გასამართლებლად და გავწითლდი.

- ჯანდაბას შენი თავი, პიტერ, ჰა, უყურე, - ამოოხვრით თქვა ჯონიმ. - და მერე არ თქვა, რომ რამე მენანება.

მან ბანქოს დასტა გადაარჩია, ისევ მაჩვენა ჯვრის ათიანი. ეს სურათი ძალიან მომწონდა: სრული დახვეწილობა და სიმეტრია. ხორცის ბობოქარი მორევი. სახეებს თეთრი, გათქვირული თეძოები და ქალების გრძელი, გაშლილი თმა ფარავდა.

მაგრამ სილამაზეც კი მამაზე წუხილს და დარდს მიღვიძებდა, როგორც ფანქრით გაშავებულ ფურცელზე გამოკრთება ხოლმე მერხზე დიდი ხნის წინ ამოჭრილი და საღებავგადაცლილი ინიციალები.

- როგორ გგონია, რას უჩვენებს რენტგენი? - ცალყბად შევეკითხე ჯონის.

მან მხრები აიჩეჩა, დუდღუნით რაღაც გამოითვალა და თქვა: - შანსები თანაბარია. ასეც შეიძლება მოხდეს და ისეც.

- ოი, ღმერთო! - შესძახა პენიმ და თითი ტუჩთან მიიტანა, - სულ დამავიწყდა, რომ მელოცა მისთვის.

- არა უშავს, - ვთქვი მე. - ნუ იფიქრებ ამაზე. დაივიწყე, რომ გთხოვე. ოღონდ შენი ბიფშტექსიდან ცოტა მომიჭერი. სულ პატარა ნაჭერი.

სიგარეტის კვამლი სახეში მცემდა; თითქოს ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე გოგირდს ვყლაპავდი.

- რა ამბავში ხარ, ცოტა ნელა, - თქვა პენიმ. - მთელი საუზმე ნუ შემიჭამე.

- რა კეთილი ხარ ჩემდამი, - ვუთხარი, - რატომ? ძალიან მინდოდა, რომ პენის აღსარება დასცდენოდა.

- რა გაკვეთილი გაქვთ ახლა? - თავისი საზიზღარი მშრალი ხმით იკითხა კეჯერაიზმა. ისიც ჩვენ გვახლდა.

- ლათინური. არც კი გადამიშლია ის ოხერი სახელმძღვანელო. მე და მამაჩემი გუშინ მთელ დღეს ოლტონში წინ და უკან ხეტიალს მოვუნდით.

- მის აპლტონს ძალიან ესიამოვნება, მაგას თუ ეტყვი, - მკითხრა კეჯერაიზმა. მას ჩემი ნიჭიერება შურდა.

- როგორმე, კოლდუელს აპატიებს, - მიუგო პენიმ. არ მიყვარდა, როცა ის ენამახვილობაზე სდებდა თავს. არც ისე ჭკვიანი იყო და სრულებით არ უხდებოდა.

- უცნაურად ლაპარაკობ, - ვთქვი მე. - ვითომ ეს რას ნიშნავს?

- შენ რა, ვერ ამჩნევ? მას მწვანე თვალები სრულიად დაუმრგვალდა. - მამაშენი და ესტერი მუდამ ერთმანეთს ეკურკურებიან დერეფანში. შეშლილია მამაშენზე.

- შეშლილი შენ ხარ, - ვუთხარი, - მართლა გადაირიე ამ სექსის ნიადაგზე.

გახუმრება მინდოდა, მაგრამ ის რატომღაც გაბრაზდა.

- მაშასადამე, შენ საერთოდ ვერაფერს ხედავ, არა? გახვეულხარ საკუთარ კანში და ვეღარავის ამჩნევ.

„კანი“... ეს სიტყვა მეხივით დამეცა; მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მან არაფერი იცოდა ჩემი კანის შესახებ. სახე და ხელები სუფთა მქონდა, და ამის მეტი მას ჯერ არაფერი ენახა. ეს ფიქრი მტანჯავდა და მეშინოდა მისი

სიყვარულის. თუ მართლა ვუყვარდი, როდესმე ხომ უნდა დამდგარიყო სიახლოვის მტკივნეული წამი და მაშინ აუცილებლად მომიწევდა მის წინ გაშიშვლება... მაპატიე, გამიელვა უეცრად ტვინში, მაპატიე, მაპატიე.

ჯონი დედმენმა, რომელიც ნაწყენი დარჩა, რაკი ყურადღება აღარ მივაქციე ბოლოსდაბოლოს ის უფროსკლასელი იყო და ჩვენ, უმცროსკლასელებს უნდა გაგვხარებოდა, თავი რომ გაგვიყადრა, - თავისი ბინძური დასტა აურია და თვალთმაქცურად ჩაიცინა.

- ერთი ისეთია, რომ სულ გადაირევი, - თქვა მან - ხარი და ბუზი. აგურის ტუზი. ქალი ხართან.

მაინორი ჩვენს მაგიდასთან მოიჭრა. გამწარებისაგან მელოტი თავი უპრიალებდა და ნესტოებიდან ცოფებს ჰყრიდა.

- გაეთრიე! - დაიღრიალა მან. - მოაშორე აქაურობას! მეორედ აღარ მოიტანო აქ ასეთი საზიზღრობა.

დედმენმა თავი ასწია, მაინორს მამა აბრამის ბატკანივით მიაშტერდა სახეში და გრძელი, აპრეხილი წამწამები განცვიფრებით დაახამხამა. მერე კბილებში გამოსცრა:

- წადი, შენი ცხენის ხორცი დაკეპე. მის აპლტონი სულს ძლივს ითქვამდა, - ეტყობოდა, აქამდე ძლივს ამოაღწია.

- პიტერ, გადათარგმნე, - თქვა მან და წაიკითხა გრძელი და მოკლე ხმოვნების შეუდარებელი გამოთქმით:

Dixit,et avertens rosea cervice refulsit, Ambrosiaeque come divine vertices doormen Spiravere, pedes vestis defluxit ad imos, Et vera incessu patuit dea[10]

მის აპლტონი ამ წკრიალა სიტყვებს სახის სერიოზული ლათინური გამომეტყველებით წარმოთქვამდა: ტუჩის კუთხეები დაშვებული ჰქონდა, წარბები ზეაწკიპული და გაქვავებული, ლოყები - ქანდაკებასავით ფერმიხდილი. ფრანგულის გაკვეთილზე კი სულ სხვა სახე ჰქონდა: ლოყები ვაშლებს მიუგავდა, წარბები უტოკავდა, ტუჩები უთრთოდა და ტუჩის კუთხეები გამომწვევად უთამაშებდა.

- მან თქვა... - დავიწყე მე.

- ბრძანა. მან ასე ბრძანა, - გამისწორა მის აპლტონმა.

- მან ბრძანა და... და... გაწითლდა.

- რა გაუწითლდა, სახე კი არა, მხოლოდ cervice.

- მან ბრძანდა და მიატრიალა თავისი... მ-მ... ვარდისფერი მუცელი. - ჯგუფში სიცილი გაისმა.

- არა! Cervive, cervice. კისერი.

- მან ბრძანდა და მიატრიალა...

- მიბრუნდა.

- მან ბრძანა, მიბრუნდა და მისმა ვარდისფერმა კისერმა გაიელვა.

- მშვენიერია.

- და... და... coma, coma…

- თმა, პიტერ, თმა.

- და... მ-მ... უკანვე მოტრიალდა.

- არა, გენაცვალე, არ არის სწორი. Vertice აქ არსებითი სახელია, vertex, verticis, გრიგალი, მორევი, თმის გვირგვინი, როგორი თმის? სად არის განსაზღვრება?

- ვითარცა ამბროზია.

სწორია, მსგავსი ამბროზიისა, რაც სინამდვილეში ნიშნავს უკვდავს. ამბროზიას უფრო ხშირად ღმერთების საკვებს უწოდებდნენ და ჩვენამდე ამ სიტყვამ სწორედ ყველაზე მეტად გავრცელებული მნიშვნელობით მოაღწია - ტკბილი სასმელი, ნექტარი. მაგრამ ამას გარდა, ღმერთები ამბროზიას ნელსაცხებლადაც იყენებდნენ. - ღმერთების ამბავი მის აპლტონზე უკეთ არავინ იცოდა.

- და მისი თმის გრიგალი, ხლართი...

- გვირგვინი, პიტერ. ღმერთებს თმა არასოდეს ეხლართებათ.

- და მისი თმის გვირგვინი ამბროზიის მსგავსად ღვთაებრივ სუნს ავრცელებდა.

- დიახ. კარგია. ოღონდ სუნის ნაცვლად ჯობია სურნელი ვთქვათ. სუნი მეტისმეტად უხეში სიტყვაა.

- ღვთაებრივ სურნელს... მისი სამოსი... მისი ტანსაცმელი...

- დიახ, ვარდნილი სამოსი. ყველა ქალღმერთი, დიანას გარდა, თავისუფალ, ვარდნილ სამოსს ატარებდა. დიანას კი, ღვთაებრივ მონადირეს, უფრო მოსახერხებელი ტუნიკა ეცვა, და, ალბათ, საბარკულები, საფიქრებელია, რომ ეს ტანსაცმელი იყო მუქი მწვანე ან ყავისფერი ქსოვილისა, როგორც ჩემი კაბაა. მისი სამოსი ძირს დავარდა...

- არ მესმის, რას ნიშნავს ad imos.

- Imus -ძალზე არქაული სიტყვაა. ეს არის აღმატებითი ხარისხი სიტყვისა inferus, ქვედა. Ad imos - სულ ძირამდე. სიტყვა სიტყვით რომ ვთარგმნოთ, გამოდის ფეხის ძირამდე, რაც ძალიან უაზროდ ჟღერს. აქ ეს გამოთქმა ემფაზისთვისაა გამოყენებული: პოეტი განცვიფრებულია. ამის გადმოსაცემად რამდენიმე ვარიანტის მოძებნა შეიძლება, მაგალითად: სამოსი დაეცა მის ფერხთით. აზრი კი გულისხმობს - სრულიად. ის სრულიადგაშიშვლდა. განაგრძე, პიტერ. დროს ნუ კარგავ.

- ქვევით, მის ფერხთით და ცხადად გამოაჩინა...

- გამოჩნდა, გაშიშვლდა, თვალთ წარმოუდგა, ვითარცა Vera dea.

- ჭეშმარიტი ქალღმერთი. როგორ არის დაკავშირებული წინადადებასთან incessu?

- არ ვიცი.

- ეს ძალიან სამწუხაროა, პიტერ. შენ ხომ კოლეჯში უნდა ისწავლო. Incessu - ნიშნავს „ვიდოდე რა“. სიარულით ის ჭეშმარიტ ქალღმერთს ჩამოჰგავდა. სიარული აქ იგივეა, რაც მიხრა-მოხრა, თავდაჭერის სტილი; ღვთაებრიობაც ერთგვარი სტილია. ლექსის სტრიქონები გაჟღენთილია იმ ბრწყინვალებით, რომელიც უეცრად ენეასს მოეფინა. Ille ubi matrem agfnovit - მან იცნო საკუთარი დედა. ვენერა, ვენერა, მისი ამბროზიის სურნელით, თმის გვირგვინით, ტალღისებური ვარდნილი სამოსით და ვარდისფერი კანით. მაგრამ ენეასმა მარტი ის დაინახა, თუ როგორ მიბრუნდა ის და წავიდა, avertens. ამ ნაწყვეტის აზრი ის არის, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ის მიბრუნდება და წავა, ენეასი ხედავს მას ბრწყინვალებაში, ხედავს მის ნამდვილ დიდებულებას, ხედავს, რომ ის მისთვის უცხო არაა. ასე ხშირად ხდება ცხოვრებაში. სიყვარული ძალზე გვიან იღვიძებს. მომდევნო სტრიქონებში, რომლებიც მეტად გულისამაჩუყებელია, ენეასი ქალღმერთს მისძახის: „რად არ მარგუნა ბედმა, რომ შენ ხელით შეგეხო, ანდა პირისპირ გულახდილად გელაპარაკო?“

მასწავლებლის ადგილას ირის ოზგუდი გაჩნდა; ტიროდა. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ჯიშიანი თეთრი ძროხის გვერდებივით ლბილსა და ხავერდოვან

ლოყებზე და იმდენი ჭკუაც არ ჰქონდა, რომ მოეწმინდა. ირისი იმ სულელი და მოსაწყენი გოგონების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც ჩვენს კლასში მაინცდამაინც დიდი გასავალი არ ჰქონდათ, მაგრამ მის ახლოს რაღაც შინაგანი თრთოლა ამიტანდა ხოლმე. მისი ზანტი, მძიმე სხეული იდუმალ სურვილს მიღვიძებდა. ამ სურვილის გასაქარწყლებლად სულ ველაზღანდარებოდი, პირდაპირ ამოჩემებული მყავდა, მაგრამ დღეს გაწამებული ვიყავ და მსურდა მის სიჩლუნგეზე თავი მიმედო, როგორც ყურთბალიშზე.

- რა გატირებს, ირის? ქვითინი ყელში უჭერდა და ძლივს წაილუღლუღა:

- ჩემი ბლუზა. სულ დამიგლიჯა. ნახე, გადასაგდებია. რა უნდა ვუთხრა დედაჩემს?

და

დავინახე, რომ ცალი მკერდი გამხდარი ვერცხლივით ჩამოღვენთოდა შიშველი უჩანდა, ძუძუს კერტამდე. თვალი ვეღარ მოვწყვიტე, ისეთი უმწეო ჩანდა.

- არა უშავს რა, - ვუთხარი დიდსულოვნად. - შემომხედე, მე უარეს დღეში ვარ. პერანგი სულ შემომადნა.

ეს სიმართლე იყო: მკერდს ნაგლეჯებიღა მიფარავდა და აქა-იქ წითელი ძაფები მქონდა მიკრული. ჩემი თანაკლასელები - ბეტი ჯინ შილინგი, ფეტს ფრაიმოიერი, გლორია დევისი, რომელიც ქვეშ-ქვეშად იღიმებოდა, და დიაბეტით დაავადებული ბილი შუპი - ყველანი რიგში ჩამდგარიყვნენ ჩემს სანახავად. ალბათ ავტობუსში შეხვდნენ ერთმანეთს. ისინი სათითაოდ მიახლოვდებოდნენ, ათვალიერებდნენ ჩემს ფუფხს და ჩუმად მტოვებდნენ. ზოგიერთები თავს ნაღვლიანად აქნევდნენ. ერთმა გოგონამ ტუჩები მოკუმა და თვალები დახუჭა; ზოგს ქუთუთოები დასიებოდა ტირილისაგან.

ქარი ჩადგა, მთის მწვერვალები დუმდნენ ჩემს ზურგს უკან. კლდე, რომელზედაც ვიწექი, ბამბასავით დარბილებულიყო და მძაფრი ქიმიური სუნი ვიგრძენი, რომელსაც ყვავილების ხელოვნური სურნელი აქარვებდა.

სულ ბოლოს არნი უორნერი მოვიდა, გამოსაშვები კლასის ჯგუფხელი, მოსწავლეთა საბჭოს თავმჯდომარე, ფეხბურთისა და ბეისბოლის გუნდების კაპიტანი. არნის ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები, ღმერთივით ლამაზი კისერი და დაქანებული, კუნთოვანი მხრები ჰქონდა, ბეჭები ერთიანად დასველებოდა - შხაპი სულ ახლახან მიეღო. ის დაიხარა, მკერდზე დამაცქერდა და საჩვენებელი თითი ფუფხს კრძალვით შეახო.

- ოჰო, პატარა ბიჭი, - თქვა მან. - ეს რა გჭირს? ათაშანგი?

მე ახსნას შევეცადე:

- არა, ეს ალერგიული მდგომარეობაა. გადამდები არ არის, ნუ გეშინია...

- ექიმს თუ ეჩვენე?

- რომ გითხრა, არც კი დაიჯერებ; ექიმი თვითონ...

- სისხლი გდის ხოლმე? - მკითხა მან.

- მარტო მაშინ, როცა ძალიან მოვიფხან, - წავილუღლუღე. მინდოდა ფეხქვეშ ჩავვარდნოდი და მისთვის პატიება გამომეთხოვა. - იცი, რა სასიამოვნოა ამის მოფხანა, როცა წიგნს კითხულობ ან კინოში ზიხარ.

და

- მორჩი ერთი, - თქვა მან. - ამაზე დიდი საზიზღრობა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. - მერე შუბლი შეიკრა და საჩვენებელი თითი მოწუწნა. - რახან მოგეკარე, ახლა მეც გადამედება. ჩქარა ნემსი გამიკეთეთ.

- ღმერთმანი, არ არის გადამდები. მიწა გამისკდეს, თუ გატყუებდე...

- გულახდილად უნდა გითხრა, - თქვა მან სულელური საზეიმო კილოთი მაშინვე მივხვდი, რომ სკოლის საბჭოს კარგ თავმჯდომარეობას უწევდა, - მიკვირს, საერთოს სკოლაში როგორ გიშვებენ. ეს თუ ათაშანგია, მაშინ ტუალეტის საჯდომების საშუალებით... მე დავიყვირე:

- სად არის მამაჩემი? იგი ჩემს წინ გაჩნდა და დაფაზე დაწერა: C6H12O6 +6O2=

6CO2+6H2O+E

ეს უკანასკნელი მეშვიდე გაკვეთილი იყო. დავიქანცეთ. მამამ „E“ ასოს ირგვლივ წრე შემოხაზა და თქვა:

- ენერგია - სიცოცხლეა. ასო „E“ ნიშნავს სიცოცხლეს. ჩვენ ვშთანთქავთ ნახშირწყლებს და ჟანგბადს, ვწვავთ ყველაფერ ამას, როგორც ძველ გაზეთებს წვავენ ღუმელებში და გამოვყოფთ ნახშირმჟავას გაზს, წყალსა და ენერგიას. როცა ეს პროცესი წყდება, - მან იგივეობის ნიშანს ხაზი გაუსვა, - წყდება ესეც - მან ორჯერ გადახაზა „E“, - და შენ იქცევი ეგრეთწოდებულ გვამად. ადამიანი იქცევა ქიმიურ ნივთიერებათა უსარგებლო ხვავად.

- კი მაგრამ, არ შეიძლება, შებრუნებული პროცესი მოხდეს? - ვკითხე მე.

- გმადლობ, პიტერ, ამ შეკითხვისათვის. დიახ. პირუკუ წაიკითხეთ ეს განტოლება და მიიღებთ ფოტოსინთეზს, რომელიც მცენარეებში ხდება. ისინი შეიწოვენ ტენსა და ნახშირმჟავას, რომელსაც ჩვენ ამოსუნთქვის დროს გამოვყოფთ, და მზის ენერგიას, სამაგიეროდ წარმოქმნიან ნახშირწყლებს და ჟანგბადს, ჩვენ კი მცენარეებით ვიკვებებით და კვლავ ვშთანთქავთ ნახშირწყლებს - და ასე დაუსრულებლივ გრძელდება ნივთიერებათა ცვლა. - მან ჰაერში თითით წრე შემოხაზა. - ყველაფერი ბრუნავს ამქვეყნად და არავინ იცის, როდის გაჩერდება.

- მაგრამ საიდან ჩნდება ენერგია? - ვკითხე მე.

- ეს ძალიან საინტერესო შეკითხვაა, - თქვა მამამ. - დედაშენივით ნათელი გონება გაქვს, კარგი იქნება, ჩემი სიმახინჯეც თუ არ გამოგყვება. ფოტოსინთეზისთვის საჭირო ენერგიას მზის ატომური ენერგია იძლევა. ყოველთვის, როცა ჩვენ ვფიქრობთ, ვმოძრაობთ, ან ვსუნთქავთ, მზის ოქროსფერი სინათლის ნაწილით

და ვსარგებლობთ. როცა ეს ენერგია დაიხარჯება - არ ვიცი ამას რამდენი ბილიონი წელი დასჭირდება, - მაშინ ყველას შეგვიძლია დავწვეთ და დავისვენოთ.

- ასე რად ისწრაფვი დასვენებას?

უეცრად მას სახე ჩაეფერფლა და ჩვენს შორის გამჭვირვალე გარსი გაჩნდა; მამა სხვა სიბრტყეში აღმოჩნდა და უნდა მეყვირა, რომ მისთვის ხმა მიმეწვდინა. ის ნელა, ძალიან ნელა მოტრიალდა, ისე რომ მისი შუბლი თრთოლვით გადატყდა გამჭვირვალე სივრცეში და თანდათან დაგრძელდა. მისი ტუჩები შეირხა რამდენიმე წამის შემდეგ ბგერამ ჩემამდე მოაღწია:

- ა?

ის სადღაც შორს იყურებოდა, თითქოს ვერ მპოულობდა.

- ნუ წახვალ! - შევძახე მე, მიხაროდა, რომ ცრემლები წამსკდა და მწუხარებისაგან ხმა დამეფლითა; აღტყინებით ვისროდი სიტყვებს და მათრობდა საკუთარი ცრემლები, დაწყვეტილი თოკის ბოლოებივით რომ მცემდა სახეში. - მამა, არ გინდა! სად მიხვალ? ნუთუ არ შეგიძლია, რომ მოგვიტევო და დარჩე ჩვენთან?

გამაბრუებელ სიბრტყეში გათანგული მისი ტანის ზედა ნაწილი მოხრილიყო. ყელსახვევი, პერანგის გული და პიჯაკის საყელო კი რკალად აზიდულიყო ზევით და ამ რკალის ბოლოს თავი კედლისა და ჭერის შესაყარს მიბჯენოდა იმ კუთხეში, რომელსაც ჯერ ცოცხი არ შეხებოდა და აბლაბუდით იყო დაქსელილი. იქიდან მწუხარებისგან შეცვლილი, განდგომილი სახით დამაშტერდა. მაგრამ თვალებში ჯერ ისევ უელავდა გულისხმიერების ნაპერწკალი და მე ყვირილს განვაგრძობდი:

- შეჩერდი! მომიცადე-მეთქი!

- ა? ძალიან ჩქარა მივდივარ?

- მისმინე, რა უნდა გითხრა!

- ა?

ისეთი მიყრუებული და შორეული ხმა გაუხდა, რომ მასთან მიახლოება მომინდა და ვიგრძენი, როგორ მივცურავდი ზევით, მძლავრად მივაპობდი ჰაერს, ხელებს ფართოდ

ვუსვამდი და ფეხებს მოქნილი ფარფლებივით ვაფართხალებდი. ამ გრძნობამ ისე ამაღელვა, რომ ენა წამერთვა. ქშენით დავეწიე და ვუთხარი:

- მე ჯერ არ ვკარგავ იმედს.

და

- მართლა? ვამაყობ შენით, პიტერ. მე იმედი არასოდეს მქონია. ალბათ, ამაში დედაშენს ჰგავხარ, ის ხომ ნამდვილი ქალია.

- არა, შენ.

- ჩემზე ნუ სწუხხარ, პიტერ. ორმოცდაათი წელი არც ისე მოკლე დროა; ვინც ორმოცდაათი წლის მანძილზე ვერაფერი ისწავლა, ის ვერასოდეს ისწავლის. მამაჩემიც ისე მოკვდა, რომ არ იცოდა, რა იყო მისი დაღუპვის მიზეზი; ბიბლია და უამრავი ვალები დაგვიტოვა.

- ორმოცდაათი წელი არც ისე დიდი დროა, - ვთქვი მე. - ეს არ კმარა.

- მაშ ნამდვილად გაქვს იმედი?

თვალები დავხუჭე; ჩემს თვალში უხმოვანო „მე“ -სა და მთრთოლავ სიბნელეს შორის შეუცნობელი სიდიდის ნაპრალი გაჩნდა, მაგრამ რა თქმა უნდა, ის დიუმზე ფარო არ იყო. პატარა სიცრუე დამჭირდა მის გადასალახავად.

- ჰო, - მივუგე, - და თუ ღმერთი გწამს, სისულელეს თავი დაანებე.

VII

კოლდუელი იხრება და საკლასო ოთახის კარს კეტავს. კიდევ ერთი დღე მოაკლდა. დაღლილია, მაგრამ არ ჩივის. უკვე გვიან არის, მეექვსე საათია. დიდხანს იჯდა საკლასო ოთახში, კალათბურთის ბილეთებს ითვლიდა და ანაწილებდა; ერთი შეკვრა დააკლდა, უჯრაში ხელი მოაფათურა, ზიმერმანის შეფასებას წააწყდა და გადაიკითხა. ამან სულ წაართვა ღონე, ისე მიშტერებოდა ცისფერ ქაღალდს, თითქოს ზეცის ნახევი ედო წინ. დღეს საკონტროლო სამუშაოებიც გაასწორა. საბრალო ჯუდი ლენჯელი, რა ღმერთი უწყრება ამ საცოდავს. მეტისმეტად ბევრს ცდილობს, თვითონაც ხომ ამის გამო წვალობს მთელი სიცოცხლე. კიბისკენ მიმავალს ტკივილი კვლავ დააცხრა. ის აქამდე მიწყნარებული იყო, მაგრამ ახლა ისევ ცოცხლდება და ფრთებს შლის მის თავზე. ერთისთვის ხუთი ტალანტი მიუცია ღმერთს, მეორისთვის - ორი, მესამისთვის - ერთი. მაგრამ სულ ერთია, მთელი დღე იშრომებ ვენახში, თუ მხოლოდ ერთ საათს, როცა განკითხვის ჟამი დადგება, ყველამ ერთნაირად უნდა ზღოს. აგონდება ეს იგავი, ყურში მამის ხმა ჩაესმის და გული უარესად უმძიმდება.

- ჯორჯ. მოშორებით ჩრდილი შენიშნა.

- ა? ოჰ, ეს თქვენ ხართ. რას აკეთებთ აქ ასე გვიან?

- ვჩხირკედელაობ. შინაბერას მეტი რა დარჩენია? - ესთერ აპლტონი დგას თავისი საკლასო ოთახის კარებში და ხელები მაქმანის ფურცლებით დაფარულ უბიწო მკერდზე დაუწყვია; მისი საკლასო ოთახი, ორას მეორე, ორაც მეოთხე ოთახის პირდაპირ არის. - ჰარიმ მითხრა, რომ გუშინ მასთან ყოფილხართ.

- ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ მართლა ვიყავი. მეტი არაფერი უთქვამს? რენტგენის შედეგს თუ რაღაც ოხრობას ვუცდით.

- არ უნდა იღელვოთ.

ამ სიტყვებით ის თითქოს ნაბიჯს დგამს კოლდუელისკენ და ეს უკანასკნელი თავს დაბლა ხრის.

- რატომ არ უნდა ვიღელვო?

- იმიტომ, რომ ამით არაფერი გამოვა. პიტერიც ძალზე შეწუხებულია, დღეს გაკვეთილზე შევატყვე.

- საბრალოს წუხელ წესიერად არ უძინია. მანქანა გაგვიფუჭდა ოლტონში.

ესთერი შუბლზე ჩამოვარდნილ თმის ბღუჯას ხელით უკან ივარცხნის და შუა თითის სხარტი მოძრაობით ღრმად მალავს კეფაზე დახვეულ თმის გროვაში გარჭობილ ფანქარს. თმა უბრწყინავს და ბინდში ჭაღარა სულ არ უჩანს. დაბალი

ტანისაა, მკერდსავსე, ძვალმსხვილი და ერთი შეხედვით ჩასუქებული. მაგრამ გვერდიდან რომ შეხედოს ვინმემ, საოცრად ვიწრო წელი უჩანს, და ისე გამართული დაიარება, ისე უჭირავს ტანი, თითქოს განუწყვეტლივ ღრმად ისუნთქავს ჰაერს. ბლუზაზე ისრის ფორმის გულის ქინძისთავი უბნევია.

- ისე შეცვლილი იყო, - ამბობდა ესთერი, და ვინ იცის, უკვე მერამდენჯერ აკვირდება ამ კაცი სახეს, რომელიც ბნელ დერეფანში მისკენ დახრილა; ეს უცნაური, ხორკლიანი სახე მისთვის მუდამ მიუწვდომელ საიდუმლოებად დარჩება, - რომ შეუძლებელი იყო მისი ცნობა.

- მეშინია, არ გამიცივდეს, სანამ შინ მივიყვან, - ამბობს კოლდუელი. - ვიცი, რომ ნამდვილად ასე მოხდება, მაგრამ რა უნდა ვქნა? ჩემი გულისთვის ბავშვი ლოგინად ჩავარდება, მე კი სულ ასე უნდა ვიწრიალო მთელი ჩემი სიცოცხლე და გაჩერება არ შემიძლია.

- პიტერი არც ისე სუსტია, ჯორჯ. - ის ცოტა ხანს ჩუმად არის და მერე უმატებს; - ბევრ რამეში კი მამაზე ძლიერიცაა.

ესთერის ხმა უკვე აღარ ესმის კოლდუელს, თითქოს საკუთარ ფიქრებს უსმენდეს.

- ბავშვობისას, როცა პასეიკში ვცხოვრობდი, - ამბობს ის, - რომ გავცივდებოდი, ლოგინში არც კი მაწვენდნენ. ცხვირს სახელოთი ვიწმენდდით და ყელი თუ გვეფხანებოდა, ვახველებდით. პირველად მაშინ ჩავწექი, როცა ინფლუენცა შემეყარა თვრამეტ წელში; ო, რა ჯოჯოხეთი გამოვიარე მაშინ. ფუჰ!

ესთერი გრძნობს, რომ მას ტკივილი აწუხებს და თითებით აწვალებს ოქროს ისარს, ამით უნდა მოუსვენარი გულის კანკალი დაიცხროს. იმდენი წელია, რაც ისინი

გვერდი-გვერდ საკლასო ოთახებში მუშაობენ, რომ ქალს ასე ჰგონია, თითქოს სარეცელიც კი გაუყვიათ მრავალჯერ. თითქოს ოდესღაც სატრფოები იყვნენ და დიდი ხანია დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ აღარც ერთ მათგანს სურდა ეძია - რისთვის?!

კოლდუელი კი მარტო იმას გრძნობდა, რომ ესთერის ახლოს განსაკუთრებულ სიმშვიდეს ჰპოვებს. ორივეს ერთდროულად შეუსრულდა ორმოცდაათი წელი და სულის სიღრმეში ორივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასაკის ამ უცნაურ დამთხვევას. კოლდუელს უმძიმს აქედან წასვლა, არ უნდა კიბეზე დაშვება; ავადმყოფობა, ვაჟი, ვალები, ამქვეყნიური მძიმე ტვირთი, რომელიც ცოლმა დააკისრა - ყველაფერი ერთად უღრღნის ტვინს და აღსარებას ლამობს. თვითონ ესთერსაც უნდა, რომ ყველაფერი მოისმინოს მის შესახებ. ქალი ცდილობს, რომ მისთვის ჩვეული თავდაჭერა ამ სურვილს შეუფარდოს; უნდა დათრგუნოს მრავალი წლის გულჩათხრობილობა, ოხვრით გულს იოხებს და ამბობს:

- პიტერი სულ ხესის ჰგავს. რაც უნდა, იმას კიდევაც მიაღწევს.

- ხესი სცენაზე უნდა მომეწყო, ვოდევილებში ითამაშებდა და უფრო ბედნიერი

იქნებოდა, - ხმამაღლა და სერიოზულად ეუბნება კოლდუელი მის აპლტონს. - ყველაფერს ის აჯობებდა, მისი ანტრეპრენიორი რომ გავმხდარიყავი, მე კი ავდექი და ცოლად შევირთე. გამბედაობა არ მეყო. საერთოდ ასე ვიყავი აღზრდილი: როცა ქალს ხედავ, ოდნავ მაინც თუ მოგწონს, გულში არაფერი გაივლო, გარდა ხელის თხოვნისა.

ეს ნიშნავს: ცოლად კი მხოლოდ ისეთი ქალი უნდა შემერთო, როგორიც თქვენა ხართ. თქვენ.

თუმცა თვითონ ესთერიც ამას ელოდა, მაგრამ ახლა შიში და უსიამო ძრწოლა იპყრობდა. მის წინ მდგომი მამაკაცის ჩრდილი საცაა გაიზრდება, გაფუვდება მღელვარებისაგან და ორივეს წალეკავს მუქი ნიაღვარი. მაგრამ მეტისმეტად გვიან შეიგრძნო ეს; უკვე მოტყდა. ესთერი იცინის, უნდა ხუმრობაში გაატაროს კოლდუელის ნათქვამი. სიცილის ხმაზე კედელთან ჩამწკრივებულ მწვანე კარადებს თითქოს ამაზრზენი ნაღველი მოიცავს. ვენტილაციის სასულეები გაოგნებულნი შეჰყურებენ მოპირდაპირე კედელს, სადაც ჩარჩოებში ჰკიდია ბეისბოლის და მძლეოსანთა დიდი ხნის წინ გარდასული გუნდების ფოტოები.

ესთერი წელში იმართება, რომ ჰაერი უფრო ღრმად ჩაისუნთქოს, ისევ ისწორებს თმის გროვას კეფაზე და ეკითხება:

- რომელ კოლეჯში აპირებთ პიტერის შეყვანას?

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ჯერჯერობით მარტო იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემი ჯიბე ამდენს ვერ გაწვდება.

- ალბათ, სამხატვრო სასწავლებელში, ან თავისუფალ ხელოვნებათა კოლეჯში შევა, არა?

- ეგ მაგან იცის და დედამისმა. ყოველთვის ერთმანეთში სწყვეტენ ხოლმე ამგვარ საკითხებს; მე ამ საქმისა ცეცხლივით მეშინია. მარტო ერთი რამის თქმა შემიძლია - ბიჭი კიდევ უფრო ნაკლებად იცნობს ცხოვრებას, ვიდრე მე ვიცნობდი მის ასაკში. მე რომ რამე მომივიდეს, ის და დედამისი დასხდებიან თავიანთ სოროში და კედლებზე დახატულ ყვავილებს შეექცევიან. სიკვდილის უფლებაც კი არა მაქვს.

- მართალი ხართ. სიკვდილი მეტისმეტად დიდი ფუფუნებაა, - ამბობს ესთერი. აპლტონებისეულ ღვარძლს ის საერთოდ იშვიათად ამჟღავნებს, მხოლოდ კანტიკუნტად ნასროლ მწარე ფრაზებში. ის კიდევ ერთხელ აკვირდება მისკენ დახრილი სახის იდუმალ ნაკვთებს. იჭმუხნება, რადგან გული ისევ

მტკივნეულად უთრთის, და წასვლად ისწრაფვის, კოლდუელთან კი არა, საკუთარ საიდუმლოებასთან განშორებას.

- ესთერ.

- გისმენთ, ჯორჯ.

მისი თავი, კეფაზე მჭიდროდ შემოგრაგნილი სადა თმით, ნახევარმთვარესავით ელავს სინათლეში, რომელიც საკლასო ოთახის კარიდან იღვრება. ქალის ღიმილში იმდენი სინაზე, სიხარული და სევდაა, რომ მათი შემყურე კიდევ ერთხელ დაეჭვდება - ოდესღაც სატრფოები ხომ არ იყვნენ ესენიო.

- მადლობელი ვარ, ჩემი ლაყბობის მოსმენა რომ არ შეგეზარათ, - ამბობს კოლდუელი

და იქვე უმატებს: - ერთი აღსარება უნდა გითხრათ. სანამ გვიანი არ არის. მთელი წლები, რაც აქ ვმუშაობ, ბავშვებისაგან გამწარებული ბევრჯერ მოვსულვარ წყლის სასმელ აუზთან მხოლოდ იმისთვის, რომ ყური დავუგდო, როგორ გამოთქვამთ ფრანგულ სიტყვებს. ეს ჩემზე უკეთესად მოქმედებდა, ვიდრე ცივი წყლით გაგრილება, ყოველთვის საოცრად მამხნევებდა:

- ახლაც გიმძიმთ?

- დიახ. მიმძიმს. ბოლო მომიღო ზამთრის სუსხმა.

- გითხრათ რამე ფრანგულად?

- ღმერთმანი, ესთერ, დიდად დაგიმადლებთ.

ქალს სახეზე გალური გამოცოცხლება ეტყობა - ლოყები ვაშლივით უმრგვალდება და წინ წამოწეული ტუჩებით მკაფიოდ, მარილიანი გამოთქმით წარმოთქვამს ფრაზის დასაწყისში დიფთონგს, აგრეთვე ბოლო ცხვირისმიერ ბგერას, თითქოს პირს ორნაირი ნუგბარი სასმელით იტკბარუნებსო:

- Dieu est tres fin.

წუთით სიჩუმე დგება.

- გაიმეორეთ, - სთხოვს კოლდუელი.

-Dieu- est-tres-fin. ეს სიტყვები მუდამ მიადვილებს ცხოვრებას.

- ღმერთი ძალიან კეთილია?

- Oui[11]. ძალზე კეთილი, ძალზე... მშვენიერი, ძალზე მოხდენილი, ძალზე ნატიფი. Dieu est tres fin.

- დიახ. რა თქმა უნდა, ის საუცხოო მოხუცი ჯენტლმენია. არ ვიცი, რა გვეშველებოდა უმისოდ.

მერე შეთქმულებივით შორდებიან ერთმანეთს. მაგრამ კოლდუელი მაინც ასწრებს უკან მობრუნებას და აჩერებს ქალს.

- თქვენ ისეთი გულკეთილობა გამოიჩინეთ, - ამბობს ის, - რომ მინდა როგორმე მადლობა გადაგიხადოთ. ერთ ლექსს წაგიკითხავთ, რომელიც უკვე ოცდაათი წელია დავიწყებული მაქვს. ამ ლექსს ხშირად ვკითხულობდით პასეიკში და, მგონი, დასაწყისი მახსოვს.

- აბა, სცადეთ.

- თვითონაც არ ვიცი, რა ეშმაკად გახვევთ თავზე ამდენ სისულელეს.

კოლდუელი მოსწავლესავით იჯგიმება, ხელებს შარვლის ნაკერებს უსწორებს, მუშტებს კუმშავს, რომ გულისყური მოიკრიბოს, თვალებს ჭუტავს მეხსიერების დაძაბვის გამო და ბოლოს აცხადებს:

- ჯონ ელინ მაკნაბი. „პასეიკის სიმღერა“.

- ჰ-მმ...

სოფელი ვრცელი, უფლის ნაღვაწი მშვენიერია და
თვალწარმტაცი; მაგრამ ამ ქვეყნად ყველა ქმნილება
ღვთის ნება-სურვილს ემორჩილება. წყალნი ბრუნავენ, ჟამი არ
იცდის. რისთვის, როდემდე?! - არავინ იცის. წარსულის
ლანდებს ვიცნობთ და გვზარავს, მაგრამ მომავალს ბურუსი
ფარავს. ის ჩერდება, ცდილობს გაიხსენოს და იღიმება.
დამავიწყდა. მეგონა, რომ მეტი მახსოვდა.

- ბევრი ამდენსაც ვერ დაიხსომებდა. ძალიან სევდიანი ლექსია, არა?

- სასაცილოო ის არის, რომ პირდაპირ ჩემზეა გამოჭრილი. მარტო იმას შეუძლია ამის გაგება, ვინც მდინარის პირას დაბადებულა.

- მ-მ. ჩემი აზრით თქვენ მართალი ხართ. გმადლობთ ლექსისთვის, ჯორჯ.

ის გადაწყვეტილებით აღსავსე მიემართება თავისი საკლასო ოთახისაკენ. წუთით ეჩვენება, თითქოს საყელოზე მიბნეული ოქროს ისარი ყელზე უჭერს და ახრჩობს. დაბნეულად მიაქვს თითი საფეთქელთან, ნერწყვს ყლაპავს და ეს გრძნობა უქრება.

დარდისაგან გაბრუებული კოლდუელი კიბისკენ მიდის. პიტერი. მისი განათლების საკითხი თავსამტვრევი ამოცანაა, რომელსაც მხოლოდ ერთი პასუხი აქვს - ფული. კანის დაავადება და სუსტი ჯანმრთელობა საქმეს კიდევ

უფრო აძნელებს. კარგია, რომ საკონტროლო სამუშაოები მაინც გაასწორა დღეს, ბიჭი ხვალ ზედმეტ ათ წუთს იძინებს. როგორ უჭირს ხოლმე მისი გაღვიძება. დღეს კალათბურთის მატჩია და თერთმეტზე ადრე სახლში ვერ მოხვდებიან, თანაც წუხელ იმ ბაღლინჯოს ბუდეში გაათენეს ღამე და პიტერი, ალბათ, გაციებას ვერ გადაურჩება. თვეში ერთხელ მაინც რომ არ გაცივდეს, შეუძლებელია.. ამბობენ, კანი აქ არაფერ შუაშიაო, მაგრამ კოლდუელს ამაში ეჭვი ეპარება. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ხესის ვერაფერი შეატყო, სანამ არ დაქორწინდნენ, მარტო ერთი ლაქა ჰქონდა მუცელზე, ამ ბავშვს კი პირდაპირ უბედურება სჭირს: გამონაყარი ფეხებზე, ხელებზე, მკერდზე, სახეზეც კი, თუმცა თვითონ ჰგონია, რომ სახეზე არაფერი ეტყობა. ყურებში ფუფხი გამხმარი საპნის ქაფივით მოუჩანს, საწყალმა, ეს არც იცის. ნეტარ იყვნენ არასმცოდნენი. კრიზისის დღეებში, როცა შვილს საბავშვო ეტლით დაატარებდა, შიშით გული უსკდებოდა უფსკრულის პირას მდგარს, მაგრამ როგორც კი ბიჭი ჭორფლიან სახეს მისკენ მიატრიალებდა, ქვეყანა ისევ მყარი ეჩვენებოდა. ახლა კი ეს ლაქებიანი, მღელვარე და დამცინავი, ბებუთივით წამახვილებული სახე ქალიშვილური ნაზი თვალებითა და ტუჩებით, გულს უკოდავს კოლდუელს, ვით აღუსრულებელი ვალი.

ნებისყოფა რომ გააჩნდეს, განიერ შარვალს ჩაიცვამდა და ცოლს სცენაზე გაუშვებდა ვოდევილებში სათამაშოდ. მაგრამ თეატრშიც ისე ხშირი იყო დათხოვნები, როგორც სატელეფონო კომპანიაში. საიმედო ადგილი აღარსად ეგულებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ „ბიუიკი“ სწორედ მაშინ უმტყუნებდა, როცა მათთვის ასე აუცილებელი იყო სახლამდე მიღწევა? ყველაფერმა უმტყუნა, ისევე, როგორც მამამისს სიკვდილის სარეცელზე უმტყუნა რწმენამ: „სამუდამოდ დამივიწყებენო“.

№№18001-დან 18145-მდე: კალათბურთის ბილეთებს ეს ნომრები აკლია. უჯრები და კარადები მთლად გადააქოთა. მთელი ქაღალდები გადაქექა და მარტო ცისფერ

ფურცელზე დაბეჭდილი ზიმერმანის შეფასება იპოვა. მისთვის ეს ზეცის პატარა ნაჭერი იყო, რომლის შეხედვაზეც მთელი შიგნეული კარში მოყოლილი თითივით ეწვოდა. ერ-რ-თი და გათავდა! ბოლოს და ბოლოს, მას ხომ მიწაში არ ჩაუფლავს თავისი ნიჭი, ცხრაკლიტულიდან გამოიტანა სანთელი და ყველამ დაინახა. როგორია ის - ძირამდე დამწვარი სანთელი.

უეცრად სანუგეშო აზრმა გაურბინა თავში. მაგრამ რა აზრი იყო ეს? ის უკანვე იკაფავს გზას, ნაცრისფერი კაჭრებით მოფენილ ტვინის ხვეულებში, ამ საუნჯის მისაგნებად. ჰო, გაახსენდა. ნეტარება. ნეტარ იყვნენ არასმცოდნენი.

ამინ.

კიბის საქცევზე სართულებს შორის დატანებულ ფანჯრებზე აკრული ფოლადის გისოსები, რომლებსაც ფოლადივით მკვრივი ჭუჭყის კოშტები შეხმობია, რატომღაც ანცვიფრებს. თითქოს კედელს ფანჯარა გამოუღია და ხმამაღლა ლაპარაკობს გაუგებარ ენაზე. ხუთი დღის წინ, მას შემდეგ, რაც კოლდუელი მიხვდა, შეიძლება მოვკვდეო, და ეს აზრი გადაყლაპა ისე, როგორც ზოგჯერ ქინქლას ჩაყლაპავს კაცი,

ირგვლივ ყველაფერსუცნაურად ცვალებადი მიზიდულობის ძალა მიენიჭა, რის გამოც ყოველი ნივთის ზედაპირი ხან ტყვიასავით წამიერ უცვლელობაში გახევდებოდა, ხან კიდევ ქარისაგან ატაცებული შარფივით ცერცეტულ ქროლვას იწყებდა. და ის მაინც ცდილობდა ამ მერყევ ზედაპირზე ერთხელვე მტკიცედ დასახული გზით ევლო. ჰამელი. ხესის უნდა დავურეკო. შევიარო კბილის ექიმთან. აქ ვიყო *18.15,* თამაშის დაწყებისთვის.

წამოვიღო მანქანა და პიტერთან ერთად შინ წავიდე. - ასეთია მისი გეგმა.

ხელისკვრით აღებს შუშის კარს და ცარიელ დერეფანს მიჰყვება. ჰამელი უნდა ნახოს, ხესის დაურეკოს. შუადღისთვის ჰამელს ჯერ კიდევ ვერ ეშოვნა ნახმარი კარდნის

ლილვი. იმის სანაცვლოდ, რომელიც ესიკის ფაბრიკასა და რკინიგზის ლიანდაგს შორის პატარა უცნაურ სადგომზე გატყდა: ოლტონისა და დასავლეთ ოლტონის ყველა საავტომობილო მაღაზიაში და ჯართის საწყობებში ჩამოერეკა. რემონტი ალბათ ოცი-ოცდახუთი დოლარი მაინც დაჯდება; ხესის გაფრთხილება მოუხდება, რომ რამენაირად გამოჩხრიკოს ფული; მისთვის ეს, ალბათ, იგივეა, რაც წვეთი ზღვაში, ერთი-ორი წვეთით ნაკლები ჩააქციოს იმ უმადური მიწის ნაგლეჯში. აიკიდა ზურგზე ოთხმოცი აკრი უნაყოფო, გამოციებული მიწა და ცის მანანასავით ასვავს საკუთარ სისხლს. მამილო კრამერი კი ერთბაშად მთელ პურს იტენის პირში. ხესის უნდა დაურეკოს. ალბათ, უკვე ღელავს. კოლდუელი წინასწარვე გრძნობს ტელეფონით საუბრისას წყვილი მავთულით როგორ გადაიხლართება ერთმანეთში მისი და ხესის მღელვარება. პიტერი ავად ხომ არ გახდა? მამილო კრამერი კიბიდან ხომ არ ჩამოვარდა? რა უჩვენა რენტგენმა? არც მან იცის. მთელი დღე აპირებს დოკ აპლტონთან დარეკვას, მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა სულ აკავებს. ნეტარ იყვნენ არასმცოდნენი. აი, კბილის ექიმთან კი უსათუოდ მოუწევს წასვლა. ამის გახსენებაზე დაავადებულ კბილს ენით ეხება. საკუთარ სხეულში ნებისმიერი მოყვანილობისა და ფერის ტკივილს პოულობს: გულისამრევ და განმგმირავ ჩხვლეტას კბილში, თიაქარის არტახის ყრუ,

ნაცნობ ქანჩებს, ნაწლავებში ჩაღვრილ მწველ შხამს, ფეხის თითზე გამრუდებული ფრჩხილი მეზობელ თითში შეჭრილა და სწიწკნის; ცხვირის ძვალთან ტკივილი რიტმულად ფეთქავს, რადგან ბოლო საათს თვალები მეტისმეტად გადაეღალა; თვალსაც ბაგაბუგი გააქვს, ოღონდ ცოტა სხვაგვარად,

თითქოს ლეიკში, ფეხბურთის მოედანზე ზედახორაში მოყოლილს ტყავის მუზარადმა დაუჟეჟა კეფა. ხესი, პიტერი, მამილო კრამერი, ჯუდი ლენჯელი, დეიფენდორფი - ყველა ერთად ირევა მის გონებაში. ჰამელი უნდა ნახოს, ხესის დაურეკოს, კბილის ექიმთან წავიდეს და აქ იყოს შვიდის თხუთმეტ წუთზე; წინასწარ გრძნობს, რომ მალე გაეცლება საკუთარ გვამს, განიწმინდება. მხოლოდ ერთი რამ უყვარდა ცხოვრებაში: გაჩაჩხული სპილენძის მავრთულების ცქერა, როცა წმენდის დროს ძველ, ჭუჭყიან რეზინს შემოაგლეჯდა და შიშველი, ცინცხალი სპილენძი შეანათებდა სახეში. ეს მავთულის გული იყო. კოლდუელს მუდამ უმძიმდა მისი ღრმად მიწაში ჩამარხვა, თითქოს ცოცხალ არსებას ასაფლავებსო. შავი ფრთა ისე ახლოს ეხება, რომ ნაწლავები უთრთის: შიგ ობობა ბუდობს. ფუჰ! სახე უხურს, ფეხები ერთმევა და შიშისაგან გული და თავი უსივდება. ნუ სიკვდილი ეს უსაზღვრო თეთრი სივრცეა მისთვის? თბილი ოფლი უცვარავს სახეს; სიბრმავე ეუფლება მთელ სხეულს; უხმოდ ლოცულობს, იქნებ, ვისიმე სახე გამოჩნდეს!

დიდ ბურთებში დატყვევებული შუქით გაკაშკაშებული გრძელი, ელვარე დერეფანი თაფლის, ცვილისა და ქარვის ფერებით ღელავს. ნაცნობია ეს დერეფანი. იმდენად ნაცნობი, რომ უკვირს, ამ თხუთმეტ წელიწადში რით ვეღარ გაკვალა ბილიკი ამ ფიცრებზე; და ამავე დროს უცხოც, ისეთივე უცხო, როგორც ზაფხულის იმ ცხელ დღეს, როცა ახლად დაქორწინებული კოლდუელი, რომელიც ის-ის იყო მამა გახდა და ჯერ ისევ შენარჩუნებული ჰქონდა ნიუჯერსის მკვიდრთათვის დამახასიათებელი რბილი გამოთქმა, პირველად მოვიდა ზიმერმანთან. მოეწონა ზიმერმანი. დანახვისთანავე მოეწონა. ტანსრული, ტლანქი და შემპარავი. მან ერთი უცნაური კაცი მოაგონა, რომელიც მამამისთან ერთად სწავლობდა სემინარიაში; ის კაცი კვირაობით ესტუმრებოდა ხოლმე კოლდუელებს და არასოდეს ავიწყდებოდა თან მოეტანა ძირტკბილას კამფეტები - „კოლდუელის ვაჟკაცისათვის“. ჯორჯისთვის კამფეტები, ალმასთვის კი ბაფთი, აუცილებლად, ისე რომ, ალმას მოჩუქურთმებული კოლოფი მალე ბაფთებით აივსო. კოლდუელს მოეწონა ზიმერმანი და როგორც ჩანს, ზიმერმანსაც მოსწონა იგი. ზიმერმანმა რაღაც იხუმრა მამილო კრამერზე. კოლდუელს აღარ ახსოვს, რაზე იცინეს მაშინ, მაგრამ ახლაც ღიმილს ჰგვრის იმის გახსენება, თუ როგორ ხუმრობდნენ თხუთმეტი წლის წინათ. კოლდუელი უფრო მტკიცედ

მიაბიჯებს; ანაზდად მონაბერი სიოსავით უეცრად გამოაცოცხლა აზრმა, რომ მომაკვდავი ასე წელგამართული ვერ ივლიდა.

სპორტული პრიზების კარადის ქეშად, რომელიც ურიცხვ ათინათს ფანტავს, ზიმერმანის მყუდრო კაბინეტია; კარი დაკეტილია. კოლდუელის მიახლოებისთანავე კარი უეცრად იღება და იქიდან მისის ჰერცოგი გამოდის. ისინი ერთმანეთს გაოცებით აშტერდებიან: მისის ჰერცოგს ყავისფერი, რქის

ბუდეში ჩასმული ვიწრო სათვალის მიღმა ფართოდ დაუჭყეტია თვალები. ფარშავანგის ფრთით გაწყობილი ქუდი გვერდზე მოქცევია. შუახანს მიღწეული კოლდუელისათვის ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალია, მისი უფროსი ვაჟი ჯერ მხოლოდ მეშვიდეშია. ამ ბიჭის გამო ყველა მასწავლებელს შავი დღე ადგას. დედამისი სკოლის საბჭოში გაძვრა და უნდა პირადად ადევნოს თვალი საკუთარი ბავშვების გონებრივ აღზრდას. კოლდუელი მასწავლებელია და მიტომ ვერ იტანს მშობლებს, რომლების ყველგან ცხვირს ყოფენ; მათ წესიერად არც კი ესმით, რა უღრანი ტყე და ეშმაკის მახეა ეს სწავლა-განათლება. მისის ჰერცოგს ღია ფერის პომადით მოსვრილი ტუჩები ოდნავ გაპობია და ღიმილის ნაცვლად ისინი აშკარა გაოცებას გამოხატავენ, სახურავმოშლილი საფოსტო ყუთის პირდაფჩენილი ხვრელივით.

სიჩუმეს კოლდუელი არღვევს. ყმაწვილური თავხედობა იღვიძებს მასში, იმის გამო, რომ კარი კინაღამ შიგ სახეში არ თხლიშეს და წარბშეკრული ეუბნება მისის ჰერცოგს, სკოლის საბჭოს წევრს:

- რა ცხვირწინ გამომიხტი, გუგული ხომ არ ხარ, შე დალოცვილო!

შეურაცხმყოფელი ღირსების გამომეტყველება სასაცილო იერს სძენს მისის ჰერცოგს - ის ხომ ჯერ ორმოცისაც არ არის. ამგვარ მისალმებაზე ის შეშდება და კარის სახელურს ეჭიდება. კოლდუელი კი მას ზედაც აღარ უყურებს და გზას აგრძელებს დერეფანში. მაშინღა, როცა მინებზე ლითონის ბადეგადაკრულ, ორმაგ კარს შეაღებს და ყვითელი კედლის გაყოლებით, საიდანაც უკვე გადაუფხეკიათ უშვერი გინება, კიბეზე დაეშვება, მუცელი ეწვის და გული ეკუმშება. წასულია მისი საქმე! რა უნდოდა მაინც იმ კახპას? გრძნობს, რომ კაბინეტში კედელს გადაღმა ზის ზიმერმანი და ცა იქუფრება; გასაღების ჭუჭრუტანაშიც კი ატანს მისი პირქუში სული. ამ ქალმაც ისე გამოაღო კარი, რომ ნამდვილად ზურგში მიმდინარე ამბით იყო გართული და ფრონტიდან შეტევას სულ არ ელოდა. მაგრამ ახლა კოლდუელი ისეთ მდგომარეობაშია, რომ კიდევ ერთი მტრის

შემენა ყოვლად დაუშვებელია. ბილეთები, 18001 დან 18145 ნომრამდე, ზიმერმანის შეფასება, სადაც ცისფერზე შავით წერია, რომ მან საკლასო ოთახში დაარტყა მოსწავლეს და ახლა ესეც: მისის ჰერცოგს შეეჩეხა იმ დროს, როცა მას ტუჩებზე პომადა ჰქონდა გადღაბნილი. ყელში ბურთივით აწვება ბოღმა და ქუჩაში გამოსული ამოგმინვისას ყლაპავს ჰაერს. ტყვიასავით მძიმე, დაფლეთილი ღრუბელი დაბლა ეშვება და საცაა ქალაქის შიფერის სახურავებზე გაწვება. სახურავები ბზინავენ, თითქოს დაუპოხიათო, თან გამომწვევად და იდუმალად ციმციმებენ. ჰაერს ათრთოლებს ბედისწერის აჩქარებული ნაბიჯები. კოლდუელი თავს სწევს, ნესტოებს ბერავს და მძაფრი სურვილი იპყრობს: დაოთხილი წინ გაშპეს, ჩაუქროლოს ჰამელის გარაჟს, ჭიხვინით შევარდეს

ოლინჯერის პირველივე სახლის სადარბაზო კარში, უკანა გასასვლელიდან, გაიჭრას, გადაევლოს ბუჩქნარს შეილ-ჰილის ნაცრისფერ, ყინვით დამზრალ ფერდობზე და გაჭენდეს შორს, შორს, იმ გორაკებს გადაღმა, ქვევიდან რომ ასე თანაბარი და ცისფერი მოჩანს; სულ წინ, წინ, სამხრეთაღმოსავლეთით, გადაუქროლოს გზატკეცილებსა და ყინვით შებოჭილ მდინარეებს, რომლებიც ასფალტივით მკვრივია, სანამ ბოლოს უსულოდ არ დაეცემა, ბალტიმორისკენ კისერგაწვდილი.

მაინორის კაფე დაცარიელდა. სამი კაციღა დარჩა: თვითონ მაინორი, ჯონი დედმენი და ის საშინელი ეგოცენტრიკი - პიტერ კოლდუელი, ბუნებისმეტყველების მასწავლებლის ვაჟი. ასეთ დროს მხოლოდ გზას აცდენილნი, უმწეონი და მიუსაფარნი არ სხედან სახლში. ექვსს ოცი წუთი უკლია. ფოსტა უკვე დაკეტილია. მისის პესიფაიმ, რომელიც ავადმყოფ ფეხებს ძლივსღა ითრევს, ფანჯრებზე გისოსები ჩამოუშვა, სხვადასხვა ფერის საფოსტო ნიშნებით სავსე ყუთები შიგნით შესწია და დათვლილი ფული კორინთულ სტილში გამოჭრილ სეიფში შეინახა. უკანა ოთახი საველე ჰოსპიტალს ჰგავს, სადაც უგონოდ დაყრილან სიბნელის ნარკოზით გაბრუებული, მახინჯი, უშნოდ გაშოტილი და გამოფატრული ნაცრისფერი საფოსტო ტომრები. მისის პესიფაი ოხრავს და ფანჯარასთან მიდის. ქუჩაში გამვლელს მისი ფართო, მრგვალი სახე ალბათ ბავშვის სასაცილოდ გასიებულ სახედ მოეჩვენება, რომელიც თავს დატრიალებს მოოქროვილ წარწერას - „ფოსტა“ და ცდილობს რომელიმე ასოში გამოიჭყიტოს.

გვერდით კი, კედელს გადმოღმა, მაინორი უხეშ, თეთრ ტილოს სათითაოდ სჩრის დაორთქლილ ხახაში კოკა-კოლას ჭიქებს და მერე ბაკანთან დაფენილ ხელსახოცზე ალაგებს. ცივ ჰაერში ჭიქები მაინც ამოისუნთქავენ ორთქლის გამჭირვალე ტალღებს.

ფანჯრის მიღმა, რომელსაც ნისლი ჩამოსწოლია, ტრამვაის ხაზების გასწვრივ შინ მიმავალი ავტომობილების ნიაღვარი მოედინება და ქუჩა კრიალა ნაყოფით დახუნძლულ რტოს ჰგავს: კაფეში ისეთი სიცარიელეა, როგორც სცენაზე ანტრაქტის დროს. აქ კამათია გახურებული. მაინორი ბრაზით ბუყბუყებს: ბალნით ამოვსებული ნესტოები საორთქლე ქვაბის სარქველივით უთახთახებს.

- მაინორ! - უყვირის მას პიტერი თავისი მაგიდიდან. - თქვენი შეხედულებები მოძველდა. კომუნიზმში ცუდი არაფერია. ოც წელიწადში აქაც დადგება და თქვენც ჩავარდებით ქერის ორმოში.

მაონორი ფანჯარას შორდება, მელოტი თავი ულაპლაპებს, გაშმაგებულია.

- ბებერი ფდრ[12] საიქიოს რომ არ წაბრძანებულიყო, მაშინ, რაღა თქმა უნდა, აგრეც იქნებოდა, - ამბობს ის და ღვარძლიანად იცინის, ისე, რომ ნესტოები

ებერება, - მაგრამ არ ვიცი, თვითონ მოიკლა თავი, თუ სიფილისმა გადაიტანა. ღვთის განაჩენს ვერავინ წაუვა, დაიხსომეთ ჩემი სიტყვები.

- ეგ ხომ თვითონაც არ გჯერათ, მაინორ. ნორმალურ ადამიანს არ შეუძლია ამის დაჯერება.

- ძალიან კარგადაც მჯერა, - მიუგებს მაინორი. - ტვინი გამომპალი ჰქონდა, როცა იალტაში მიდიოდა, თორემ ახლა ამ დავიდარაბაში არ ვიქნებოდით გახვეული.

- რა დავიდარაბა? მაინც, რა, მაინორ? ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოს მართავს! ბომბები ჩვენა გვაქვს და ბომბდამშენები.

-
  რ-რ-რ-, - მაინორი დახლისკენ ტრიალდება - რა

დავიდარაბა? რაო, მაინორ? რა დავიდარაბა?

მაინორი ისევ პირს იბრუნეს და ამბობს:

- ერთი წელიც არ გავა, რომ რუსები საფრანგეთსა და იტალიაში გაჩნდებიან.

- მერედა რა? რა, მერე, მაინორ? კომუნიზმი, ასე თუ ისე, აუცილებელია. ეს ერთადერთი გზაა სიღარიბისაგან თავის დასაღწევად.

ცალკე მაგიდასთან მჯდარი ჯონი დედმენი ბოლო საათს მერვე სიგარეტ „ქემელს“ -ს ეწევა და ზედიზედ უშვებს კვამლის რგოლებს. უეცრად ის შეჰყვირებს: „ომი“! და თითებს აბრახუნებს ყავისფერ ამომრთველზე, რომელიც ზონარზე ჰკიდია მის თავთან.

მაინორი ისევ დახლს მიღმა, თავის ვიწრო ხვრელში ინთქმება, რომ იქიდან უფრო მოხერხებულად ელაპარაკოს ბიჭებს, რომლებიც ბნელ კუთხეებში უსხედან მაგიდას.

- აღარ უნდა გავჩერებულიყავით, როცა ელბამდე მივედით!. აგვეღო ბარემ მოსკოვიც, რაკი იყო ამის საშუალება. იმათთან ყველაფერი ძირგამომპალი იყო, თითის განძრევაც არ დაგვჭირდებოდა. რუსი ჯარისკაცისთანა ლაჩარს მეორეს ვერ ნახავ! გლეხებიც სიხარულით შემოგვეგებებოდნენ. მოხუცი ჩერჩილი არ ცდებოდა, ამას რომ გვთავაზობდა. მართალია, დიდი გაქნილი ვინმეა, სამაგიეროდ, ჭკუის კოლოფია. ბებერი ჯო მაგას მაინცდამაინც არ ეპიტნავება. ბებერი ჯო ჯერ არც არავის ყვარებია მსოფლიოში, მეფე ფრანკლინის გარდა.

- თქვენ მართლა ჭკუაზე შეიშალეთ, მაინორ, ლენინგრადზე რაღას იტყვით? მაშინაც ხომ არ ილაჩრეს? - ამბობს პიტერი.

- ლენინგრადის ბრძოლა მაგათ კი არა, ჩვენ მოვიგეთ. დიახ, ჩვენ. ჩვენმა იარაღმა. ჩვენმა ტანკებმა. ჩვენმა ზარბაზნებმა. კარგი იყო, ზედიზედ რომ იღებდნენ მუქთა ამანათებს თქვენი მეგობარი ფდრ-საგან?! ამერიკელი ხალხი გაღლიტა რუსების გადასარჩენად, ისინი კი ახლა შეტრიალდნენ და საცაა ალპებით იტალიაში გადავლენ.

- მას ჰიტლერის დამარცხება უნდოდა, მაინორ, განა გადაგავიწყდათ? ადოლფ ჰიტლერის.

- ჰიტლერისთვის ვირევი, - აცხადებს ჯონ დედმენი, - თურმე ახლა არგენტინაში ცხოვრობს.

-

- ჰიტლერისთვის მაინორიც კი ირეოდა, - ამბობს პიტერი, რომელსაც სიბრაზისაგან ხმა ლერწამივით უწვრილდება და სხეული უხურს. - არა, მაინორ, თქვენ არ იძახდით, ჰიტლერი კარგი კაციაო?

ეგ მე არასოდეს მითქვამს, - ამბობს მაინორი. - მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ჰიტლერი მირჩევნია ბებერ ჯო სტალინს. ეგ ნამდვილი ხორცშესხმული მავნეა. დამიჯერეთ რასაც გეუბნებით.

- მაინორ, ვერ გამიგია თქვენ რა უნდა გქონდეთ კომუნისტების საწინააღმდეგო?! ისინი არც კი გამუშავებენ. მეტისმეტად მოხუცი ხართ და ავადმყოფი.

- ბახ! ბახ! - ღრიალებს ჯონ დედმენი. - ატომური ბომბი უნდა ჩამოგვეგდო მოსკოვში, ბერლინში, პარიზში, საფრანგეთში, იტალიაში, მეხიკო-სიტიში და აფრიკაში. ბახ! ხო-ხო, რა მიყვარს ეს კვამლის სოკოები!

- მაინორ! - გასძახის პიტერი, - მაინორ! რატომ გვატყავებთ ასე უწყალოდ ჩვენ, საცოდავ მოზარდებს? რადა ხართ ასე შეუბრალებელი? მექანიკური ბილიარდიც ისე გაქვთ მოწყობილი, რომ ჯონი დედმენის გარდა ვერავინ ახერხებს ლუზში მოხვედრას, რომ ერთხელ უფასოდ ითამაშოს; მაგრამ ის ხომ გენიოსია.

- დიახაც, გენიოსი ვარ, - ადასტურებს დედმენი.

- მათ ყოვლის შემქმნელი უფალიც კი არა სწამთ, - აცხადებს მაინორი.

- ნეტავი ვიღასა სწამს? - შესძახებს პიტერი და წითლდება თავისივე საქციელზე, მაგრამ გაჩერება არ ძალუძს, ისე უნდა ამ კაცის კბენა, რომელიც თავისი შეუსმენელი რესპუბლიკური სიჩლუნგით და ჯიუტი, მხეცური ძალით განასახიერებს ამქვეყნად ყველაფერ იმას, რაც კლავს პიტერის მამას; ოღონდაც უნდა მოასწროს იერიში, სანამ მაინორი დახლისკენ არ გატრიალებულა.

- თქვენ არ გწამთ. მე არ მწამს. არავისაც არ სწამს. ფაქტია!..

და მაშინვე ხვდება, რომ ვერაგულად გაყიდა მამა. ეჩვენება, თითქოს დარტყმისაგან გაბრუებული მამამისი ორმოში ვარდება. ის, მოუთმენლობისაგან სასაგამშრალი, ხარბად ელის, რომ მაინორი შეესიტყვება, რანაირად - ეს სულ ერთია, ოღონდ კი კამათის ღრიანცელში როგორმე მიკიბულმოკიბული გზით მოახერხოს უკან დახევა. ახლა უკვე მთელი არსებით სწადია ნათქვამის უკან წაღება.

- აგრეა, მართალი ხარ, - უბრალოდ ეთანხმება მაინორი და ზურგს აბრუნებს. უკან დასახევი გზა მოჭრილია.

-
ორ წელიწადში, - ხმამაღლა ანგარიშობს ჯონი დედმენი, - ომი იქნება. მე მაიორი გავხდები. მაინორი - უფროსი სერჟანტი, პიტერი კი კარტოფილს გაფცქვნის სამზარეულოში, ნარეცხის ვედროებთან.

ის ფრთხილად უშვებს კვამლის უზარმაზარ რგოლს, და მერე - საოცრებავ! მომუწული ტუჩების ჭუჭრუტანასავით ვიწრო ნახვრეტიდან პაწია რგოლს უშვებს, რომელიც დიდში მიძვრება. იმავე წუთს ორივე რგოლი იშლება და ახლა კვამლის ქულა ელექტრონის მავთულისაკენ გაწვდილ ხელს ემსგავსება. დედმენი - ჭმუნვით მოსილი შემოქმედი - ოხრავს.

ტვინი ჰქონდა გამომპალი, როცა იალტაში მიდიოდა! - ყვირის მაინორი დახლის შორეული ბოლოდან. - ტრუმენმაც მიჰქარა პოტსდამში. იმდენი ჭკუა არ ჰყოფნიდა, რომ ერთი საგალანტერიო მაღაზიისათვის მოევლო, გაკოტრდა და მაშინვე შეერთებული შტატების მმართველად დაჯდა. კარი იღება და ბნელიდან ზღურბლზე იბადება ლურჯქუდიანი ფიგურა.

- პიტერი აქაა?

- მისტერ კოლდუელ, - უპასუხებს მაინორი, თავდაჭერილი ბოხი ხმით, რომელსაც მხოლოდ უფროსებთან ლაპარაკში ხარჯავს. - დიახ, აქ არის. ეს-ეს არის თავი კომუნისტად და უღმერთოდ გამოაცხადა.

- ალბათ, გაგეხუმრათ. თქვენც კარგად იცით, მთელს ქალაქში არავის სცემს პატივს პიტერი, როგორც მაინორ კრეცს. არ იფიქროთ, რომ მე და დედამისი ამას არ ვაფასებთ.

- მამა!.. - ამბობს პიტერი და წითლდება მამის მაგიერ.

კოლდუელი მაგიდებისაკენ გაემართება. თვალების ხამხამით, თითქოს თავსი ვაჟს ვერც ამჩნევდეს, ის დედმენის მაგიდასთან ჩერდება.

- ეს ვიღაა? ოჰ, დედმენი. აქამდე არ მოუციათ შენთვის ატესტატი?

- ჩვენს ძმას სალამი, - მიუგებს დედმენი. კოლდუელი მაინცდამაინც კარგს არ ელის თავისი მოწაფეებისაგან, მაგრამ ისე მაინც მიმართონ, როგორც წესი და რიგია, ზრდილობიანად. ისინი, რაღა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებიან ყველაფერს.

სულელური გულკეთილობა გონიერ სისასტიკეს იწვევს, - გავიგე, თქვენ გუნდს ისევ წაუგია. რომელი ადგილი აიღეს, მეოთხმოცე?

- ბიჭები ძალიან ცდილობდნენ. - მიუგებს კოლდუელი. - მაგრამ ბანქო თუ გიმტყუნებს, ის ხელი სხვას დარჩება.

-

- დაიცათ, მაქვს ბანქო! - ამბობს დედმენი. ლოყებზე ალმური ასდის და გრძელი წამწამები აპრეხია. - შეხეთ, როგორი ბანქო მაქვს, ჯორჯ!

- მოაშორე! - ყვირის დახლში მდგარი მაინორი. ელექტრონის შუქზე მაინორს თავის კანი თეთრად უპრიალებს და კოკა-კოლას ცარიელი ჭიქები ცივ ნაპერწკლებს ისვრიან.

კოლდუელს არაფერი ესმის. ის იმ მაგიდისაკენ მიეშურება, რომელსაც მისი ვაჟი უზის და მენთოლიან სიგარეტს ეწევა. თითქოს ვერ ამჩნევს სიგარეტს, მაგიდასთან პიტერის პირდაპირ ჯდება და ეუბნება:

- რომ იცოდე, რა სასაცილო ამბავი შემემთხვა წეღან.

- რა ამბავი? მანქანისა რა იცი?

მანქანა. შენ წარმოიდგინე, შეაკეთეს. არ მესმის, როგორ ახერხებს ჰამელი ამას. ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია. - მერე ახალი აზრი ეუფლება და უკან იხედება. - დედმენ! შენ კიდევ აქა ხარ?

დედმენს ბანქოს დასტა ტუჩებთან მიაქვს და სულს უბერავს. მერე თავს ასწევს. თვალები უბრწყინავს.

- რა იყო?

- იქნებ, სკოლას თავი დაანებო და ჰამელთან დაიწყო მუშაობა? შენ ხომ რამდენადაც მახსოვს, მექანიკოსადა ხარ დაბადებული.

ამ მოულოდნელი თანაგრძნობის პასუხად დედმენი ცივად იჩეჩავს მხრებს და ამბობს:

- მე ომს ველოდები.

- ასე შეიძლება მეორედ მოსვლამდეც იცადო, ჩემო კარგო, - ეუბნება მასწავლებელი. - ნიჭს მიწაში ნუ დამარხავ. ისე მოიქეც, რომ გაბრწყინდეს შენი სანთელი. შენი უნარი რომ მქონდეს, ჩემი საწყალი ბიჭი ყოველდღე ხიზილალას მიირთმევდა.

- ნასამართლევი რომ ვარ?

- ბინგ კროსბიც ნასამართლევი იყო და პავლე მოციქულიც, მაგრამ ამას იმათთვის ხელი არ შეუშლია. ტყუილად იმიზეზებ. მოელაპარაკე ელ ჰამელს. ამ ქალაქში მან ყველაზე დიდი მეგობრობა გამიწია, ისეთ დროს დამეხმარა, როცა შენზე გაცილებით უარესი მდგომარეობა მქონდა. შენ მხოლოდ თვრამეტი წლისა ხარ, მე კი ოცდათხუთმეტისა ვიყავი.

-

პიტერი ღელავს, ნერვიულად ქაჩავს სიგარეტს, მაგრამ მამის საქციელით დარცხვენილი, უხერხულად აქრობს, თუმცა ნახევრამდეც არ მოუწევია. ცდილობს ბანზე ააგდოს სიტყვა, რადგან იცის, დედმენი მერე ამ ამბავს საოხუნჯო მასალა აქცევს.

- ჰო, მართლა, მამა, რა იყო, რა ამბავი შეგემთხვა?

კვამლისაგან ტკბილი შხამით ევსება ფილტვები და უეცრად ზიზღით იმსჭვალება ამ ყოველდღიური ფუჭი სისაძაგლის მიმართ. სადმე, შორს, ალბათ, არსებობს სხვა ქალაქი, სადაც თავისუფალი იქნება. მამა ხმას დაუწევს ისე, რომ ნათქვამი მხოლოდ პიტერმა გაიგონოს:

- ათი წუთის წინ დერეფანში მივდიოდი, უცებ ზიმერმანის კაბინეტის კარი გაიღო და როგორ გგონია, ვინ გამოვიდა იქიდან? მისის ჰერცოგი.

- მერე რა არის ამაში სასაცილო? ის ხომ სკოლის საბჭოს წევრია.

  იქნებ, არც ღირდეს შენთვის ამის თქმა, მაგრამ უკვე არც ისე პატარა ხარ; ზედ ეწერა, იქ რითაც იყვნენ გართული. პიტერი

გაოცებით ხითხითებს:

- სიყვარულით?

-პიტერი ისევ ხითხითებს. ნანობს, სიგარეტი რომ ჩააქრო. ახლა ეს ფარისევლობად ეჩვენება.

- ქალებს მაშინვე ეტყობათ სახეზე. იმასაც ეტყობოდა, ვიდრე შემნიშნავდა.

- კი მაგრამ, როგორ? ხომ ჩაცმული იყო?

- რა თქმა უნდა, ოღონდ ქუდი გვერდზე ჰქონდა მოქცეული და პომადაც გათხაპნოდა.

- ოჰო!

- სწორედაც რომ ოჰო!.. სულაც არ იყო საჭირო, რომ ეს მე დამენახა.

- მერედა რა შენი ბრალია, შენ ხომ შემთხვევით გაიარე დერეფანში!

- სულ ერთია, მაინც ჩემი ბრალია; ასე თუ იმსჯელა კაცმა, დამნაშავე აღარავინ იქნება. ფაქტი ის არის, შვილო, რომ დიდ ხათაბალაში ჩავვარდი, ზიმერმანი თხუთმეტი წელია კატათაგვობანას მეთამაშება; ახლა კი ყველაფერი დამთავრდა.

-

- ოჰ, მამა. შენ რომ არ მოიგონებ, ისეთი არაფერია. ალბათ საქმეზე შევიდა ზიმერმანთან, ხომ იცი, ზიმერმანი მიღების საათებს არც უყურებს, ყოველთვის შეიძლება მასთან შესვლა.
- შენ არ დაგინახავს, როგორი თვალები გაუხდა, როცა მე შემამჩნია.
- შენ როგორღა შეხვდი?
- ტკბილად გავუღიმე და ჩემი გზით წავედი, მაგრამ საიდუმლო გამჟღავნებულია და მან ეს იცის.
- მამა, აბა დაფიქრდი. რა საერთო უნდა იყოს მასა და ზიმერმანს შორის? ქალმა უკვე შუა ხანს მიაღწია.

პიტერს უკვირს, რად ეღიმება მამამისს.

კოლდუელი ამბობს:

- ამ ქალზე ათასნაირი ხმა დადის ქალაქში. ამბობენ, ქმარზე ათი წლით უმცროსიაო. ფულიანი, ხანშიშესული კაცი მოუნახავს.
- მაგრამ, მამა, მისი ვაჟი ხომ უკვე მეშვიდე კლასშია! - პიტერს სასოწარკვეთილება იპყრობს, რომ მამამისი უბრალო ამბავში ვერ გარკვეულა: იმ

-

ქალებს, რომლებიც სკოლის საბჭოში სხედან, სქესი აღარ გააჩნიათ, რაღა დროს მათი ახალგაზრდობაა! მაგრამ როგორ აუხსნას ეს მამას, ისე, რომ გული არ ატკინოს. პიტერს ეშინია, მამამ საკუთარ თავზე არ მიიღოს ნათქვამი და ენა ებმება.

მამა ისევ კუმშავს ყავისფერ მეჭეჭებიან ხელებს, რომ თითების კვანჩხრები უყვითლდება. მერე ქშენით ამბობს:

- გული მიგრძნობდა, რომ საავდრო ღრუბელივით გაშავებული ზიმერმანი იქ იჯდა, კაბინეტში; ახლაც თვალიდან არ მშორდება მისი სახე.

- ოჰ, მამა, - ჯავრობს პიტერი. - რა სასაცილო ხარ. ბუზს აქლემად გადააქცევ ხოლმე. ზიმერმანი სულაც არ არის ისეთი, როგორც შენ წარმოგიდგენია: ერთი დორბლიანი, ყეყეჩი ვინმეა. ისე, ცოტა კი უყვარს გოგოების ხელის ფათური. მამა თავს სწევს, დანაოჭებულ ლოყებზე გაოცება ემჩნევა.

- შენსავით რომ ვყოფილიყავი ჩემს თავში დარწმუნებული, პიტერ, - ამბობს ის, - დედაშენს სცენაზე მოვაწყობდი, რომ ვოდევილები ეთამაშა და შენ არასოდეს გაჩნდებოდი ამქვეყნად. - ამაზე მკვახე პიტერს ჯერ არაფერი სმენია მამამისისაგან. ბიჭს ლოყებზე ალმური ასდის.

- დედაშენს უნდა დავურეკოთ! - ამბობს კოლდუელი და მაგიდიდან დგება. - სულ მეშინია, მამილო კრამერი კიბიდან არ ჩამოვარდეს. თუ ცოცხალი დავრჩი, უსათუოდ დავაყენებ მოაჯირს. ის დახლთან მიდის, პიტერი უკან მიჰყვება.

- მაინორ, - მიმართავს კოლდუელი, - გულს თან ხომ არ გამოაყოლებთ, ამ ათდოლარიანის ხურდა რომ გამოგართვათ? - კოლდუელი ათ დოლარიანს უწვდის მას და ეკითხება: - როგორ ფიქრობთ, მალე ჩამოვლენ რუსები ოლინჯერში? ალბათ, ახლა უკვე ელიდან მომავალ ტრამვაიში სხდებიან.

- დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, არა, მაინორ? - ადგილიდან ყვირის ჯონ დედმენი.

- როგორ დაგიხურდავოთ? - ეკითხება კოლდუელს მოღუშული მაინორი.

- ხუთიანი, ოთხი დოლარიანი, სამი ოცდახუთცენტიანი, ორი ათცენტიანი და ერთიც ნიკელი, - მიუგებს კოლდუელი. - იმედია, მართლა მოვლენ და ჩვენი ქალაქისთვის ეს ყველაზე დიდი სიკეთე იქნება ინდიელების წასვლის დღიდან. ყველა ჩვენისთანა ბებერ ჯაგლაგს ფოსტის კედელთან გაამწკრივებენ და გვიხსნიან წამებისაგან.

მაინორს არ სურს ყურის დაგდება, გაჯავრებული ფრუტუნებს, კოლდუელი კი წვრილი, სევდიანი ხმით ჩვეულებისამებრ, ცნობისმოყვარულად ეკითხება: როგორ გგონიათ, სად არის გამოსავალი? იმდენი ჭკუა მაინც არ გვეყოფა, რომ სხვების დაუხმარებლად დავიხოცოთ.

როგორც ყოველთვის, მისი კითხვა ახლაც უპასუხოდ რჩება. ის ჩუმად იდებს ხურდას ჯიბეში და ხუთ დოლარს პიტერს აძლევს.

- ეს რიღასთვის?

- საჭმელი იყიდე. ადამიანი ძუძუმწოვარია, რომელსაც სმა-ჭამა ესაჭიროება. მაინორი უფასოდ ხომ ვერ გაჭმევს, თუმცა ვიცი, რომ ჭეშმარიტად კეთილშობილი კაცია და ამაზე უკან არ დაიხევდა.

- ნეტავ საიდან გაქვს ეს ფული?

- მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

პიტერი მაშინვე ხვდება, რომ მამამ ფული კვლავ სკოლის სპორტული ფონდიდან ისესხა, რომელიც მას ებარა. პიტერი ვერ ერკვევა მამის ფინანსურ საქმეებში, მაგრამ იმას კი გრძნობს, რომ ამ მხრივ საქმე ხელიდანაა წასული. ჯერ კიდევ ბავშვმა, ოთხი წლის წინ, სიზმარში ნახა, ვითომ მამას ასამართლებდნენ. სიკვდილივით გაფითრებული მამამისი, რომელსაც სიშიშვლეს მხოლოდ მაკარონის შესაფუთი მუყაოს ყუთი უფარავდა და ყუთქვეშ წვრილი, გაყვითლებული ფეხები მოუჩანდა, ბარბაცით ჩამოდიოდა მუნიციპალიტეტის კიბეებზე, ოლინჯერელთა ბრბო კი

ლანძღვით და ღრჭენით გარს შემორტყმოდა და უცნაურ, შავ, წებოვან გუნდებს ესროდა, რომლებიც ყუთს გამაყრუებელი ხმაურით ხვდებოდა. და როგორც ყოველთვის ხდება სიზმარში, როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე დროს მოქმედი პირიც არის და ავტორიც, ადამიცა და ღმერთიც. პიტერი მიხვდა, რომ მუნიციპალიტეტში სასამართლოს სხდომა დამთავრებულიყო. მამა დამნაშავედ სცნეს, ყველაფერი, რაც გააჩნდა, ჩამოართვეს, გაამათრახეს და ქუჩაში ისროლეს, როგორც უკანასკნელი ვიგინდარა. საშინლად ფერმკრთალი იყო - პიტერი გრძნობდა, რომ ვერ გადაიტანდა ამ სირცხვილს და სასოწარკვეთილი ყვიროდა სიზმარში: „არა! თქვენ ვერ გაიგეთ! შეჩერდით!“ მისი ხმა სუსტი იყო, ბავშვური. ის შეეცადა ხმამაღლა აეხსნა გამძვინვარებული ბრბოსათვის, რომ მამა დამნაშავე არაა, ეამბნა, თუ რა ბევრს მუშაობდა, როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით, ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ ბრბო წიხლის კვრით იშორებდა და არავის სურდა მისთვის ყურის დაგდება. ისე გამოეღვიძა, რომ მათ ვერაფერი შეასმინა. ახლა კი, კაფეში, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მამამისს ტყავი ააგლიჯეს და ამ ნაგლეჯს საფულეში იდებდა, რათა დაეხარჯა ბიფშტექსებში, ლიმონის

-

კოკტეილებში, მექანიკურ ბილიარდსა და თხილიან შოკოლადში, რომელიც მისთვის ასე მავნებელია.

ტელეფონის ავტომატი კედელზე ჰკიდია, კომიკსებით გამოტენილი თაროს გვერდით. ათცენტიანისა და ნიკელის ჩაგდების შემდეგ კოლდუელი ფაირტაუნს იძახებს:

- ხესი ხარ? ჩვენ კაფეში ვართ... მანქანა შეაკეთეს. კარდნის ლილვი იყო გატეხილი... ელი ამბობს, ოც დოლარამდეაო, მაგრამ ჯერ არ უანგარიშებია, სამუშაო რა დაჯდება. მამილოს გადაეცი, ელმა გიკითხა-თქო. კიბიდან ხომ არ ჩამოვარდნილა?.. კარგი, კარგი, გეხუმრები; იმედი მაქვს, კარგადაა. არა, არა, წუთითაც არ მეცალა, ხუთ წუთში კბილის ექიმთან უნდა ვიყო... არა, ხესი, მართალი გითხრა, მეშინია მისი განაჩენის... ვიცი... ვიცი... ალბათ, თერთმეტისთვის. პური თუ გაქვთ სახლში. წუხელ იტალიური სენდვიჩი გიყიდე, მანქანაში დავტოვე... ა? არა უშავს, ხუთი დოლარი მივეცი, რამეს შეჭამს... ახლავე, - კოლდუელი პიტერს აძლევს ყურმილს. - ელაპარაკე დედაშენს.

პიტერი უკმაყოფილოა, რადგან დედა აქაც იჭრება, კაფეში - მისი დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრში. დედის ხმა მკაცრია და სუსტი, თითქოს შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, რომ სატელეფონო კომპანიამ ამ ლითონის ყუთში გამოამწყვდია. ტელეფონის მავთულებით დედის განწყობილება ხელად გადაეცემა პიტერს და ეჩვენება, რომ თვითონაც დაპატარავდა:

- ჰო, - ამბობს პიტერი.

- როგორ გამოიყურება?

- ვინა?

- ვინა და მამაშენი. სხვა ვინ უნდა იყოს!..

- რა ვიცი, დაღლილია, თან ნერვიულობს. ხომ იცი, მაგას კაცი ვერაფერს გაუგებს.

- საშინლად ვღელავ, შენა?

- ვღელავ, რა თქმა უნდა!

- რატომ არ დაურეკა დოკ აპლტონს?

- ალბათ, იმიტომ, რომ რენტგენის სურათი ჯერ არ იქნება გამჟღავნებული, - პიტერი

მამისკენ იხედება, თითქოს მისგან დასტურს ელის. მაგრამ მამამისი ამ დროს მაინორ კრეცს ფეხქვეშ ეგება.

- ...თქვენი დაცინვა სულაც არ მიფიქრია წეღან, როცა კომუნისტებზე გელაპარაკებოდი. მე ისინი თქვენზე უარესად მძულს, მაინორ.

ტელეფონის ყურმილში ისმის იმათი ლაპარაკი და დედა კითხულობს:

- ვის ელაპარაკება?

- მაინორ კრეცს.

- მაგას ეგეთ ხალხზე ამოსდის მზე და მთვარე, - მწარედ შენიშნავს ქალის სუსტი ხმა პიტერის ყურთან.

  რუსებზე ლაპარაკობენ.

ყურმილში რაღაც ხველის მსგავსი გაისმის და პიტერი ხვდება, რომ დედა ტირის. გული ეკუმშება. ირგვლივ იხედება, ცდილობს რამე სანუგეშო გაიხსენოს და მისი მზერა ბუზივით აცხრება თაბაშირისაგან გამოძერწილ ძაღლის მჩორეს. - ძაღლი როგორ არის? - ეკითხება.

დედა ხმამაღლა სუნთქავს, ეტყობა, ცდილობს, თავს მოერიოს. ნაწყვეტ-ნაწყვეტ სლოკინში ხმა ნელ-ნელა უმტკიცდება და არაბუნებრივად უქვავდება.

- მთელი დილა სახლში იყო და ნასაუზმევს გარეთ გავუშვი. სკუნსს გამოეკიდა და მერე უკან დაბრუნდა. ბაბუა ნაწყენია ჩემზე, ოთახიდან აღარ გამოდის. მუდამ უკმაყოფილოა, როცა სახლში პური არ არის.

- როგორ გგონია, დაიჭირა ლედიმ სკუნსი?

- ალბათ. კბილებს კრეჭდა, თითქოს იცინოდა.

- მამა კბილის ექიმთან აპირებს წასვლას.

- ვიცი. მაგრამ ახლა ნამეტანი გვიანაა.

ჩუმი ცრემლების ახალი ტალღა ხვდება პიტერს ყურში. ცხადად ხედავს დედამისის სველ, გაწითლებულ თვალებს და გრძნობს ფაფისა და ბალახის სურნელს.

- რატომ, ასე გადაჭრით, გვიან!.. - ამბობს პიტერი.

მისი სიტყვები ყალბად და მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ რამე ხომ უნდა თქვას. ავტომატის გარშემო ბიჭებისა და გოგოების მიერ დაჩხაპნილი ტელეფონის ნომრები ხტის და ერმანეთში ირევა.

- პიტერ...

- გისმენ!

-

- მამას გაუფრთხილდი.

- ვეცდები. მაგრამ ეს არც ისე ადვილია.

- ნუთუ? შენ მას ძალიან უყვარხარ.

- კარგი, ვეცდები. ისევ მამას დავუძახო?

- არა, - ის ერთხანს დუმს და მერე, მსახიობივით, რომელსაც სცენაზე თავი ლაღად უჭირავს, - ეტყობა, მამის ფანტაზიებში მისი თეატრში მოწყობის შესახებ მართლა იყო რაღაც ჭკვიანური, - აკანკალებული ხმით, მრავალმნიშვნელოვნად იმეორებს: - არა.

- კარგი, გნახავ მაშ საათის თერთმეტზე.

პიტერი მუდამ იტანჯება, როცა დედის ხმა ესმის და ვერ გრძნობს მისი სხეულის მანუგეშებელ სითბოს. ასეთ დროს ის გაცილებით უფრო დაჩაგრული, მიუწვდომელი და გაქვავებული ეჩვენება.

- რადიოთი გადმოსცეს, თოვლია მოსალოდნელიო.

- ჰო, იგრძნობა!

- კარგი, პიტერ, დაკიდე ყურმილი, არაფერში გარგია საწყალ ბებრუხანასთან დროს დაკარგვა. შენ კარგი ბიჭი ხარ. ნუ იღელვებ.

- კეთილი, ნუღარც შენ. შენ კარგი ქალი ხარ.

ეს რა უთხრა მშობელ დედას! პიტერი ყურმილს კიდებს და თვითონვე უკვირს საკუთარი საქციელი. ამ სისხლის აღმრევი საუბრის შემდეგ ქალთან, რომლიც მისი საიდუმლოების მოზიარეა, ფუფხი ექავება.

- რაო, ცუდ ხასიათზეა? - კითხულობს მამა.

- ჰო, რაღაც ვერ არის გუნებაზე: ალბათ პაპამ ისევ აურია.

- მაგას მეტი რა შეუძლია. - კოლდუელი მაინორისკენ ტრიალდება და უხსნის: - ჩემი სიმამრი ოთხმოცდაოთხი წლისაა და ისე მოგშხამავს ენით, რომ სიკვდილი სანატრელი დაგირჩება. თუ მოუნდა, გასაღების ჭუჭრუტანიდან მოგწამლავს.

მუხასავით ფესვმაგარია, კიდევ ბევრ ჩვენისთანას გაისტუმრებს საიქიოს.

- რ-რ, - ჩუმად ბურდღუნებს მაინორი და აქაფებული რძით სავსე ჭიქას აწვდის. კოლდუელი ორ ყლუპად ცლის ჭიქას, უკანვე დგამს დახლზე. ტანში აჟრჟოლებს და ბოყინს იმაგრებს.

- ღმერთო ჩემო, - ამბობს ის, - ეტყობა, რძე იქ არ მოხვდა, სადაც საჭიროა. - სიტყვა „რძეს“ ის ჯერ კიდევ რბილად გამოთქვამს, როგორც ნიუ-ჯერსიში იციან. მერე წინა კბილებს ენას უსვამს, თითქოს იწმენდსო. - წავედი ახლა ექიმ კბილის მთხრელთან.

- წამოგყვე? - ეკითხება პიტერი.

ექიმის ნამდვილი სახელი და გვარია კენეტ შროიერი, მისი კაბინეტი სკოლიდან ორ კვარტალზე ტრამვაის ხაზებს გადაღმაა, ჩოგბურთის კორტების პირდაპირ. შროიერს დილის ცხრა საათიდან საღამოს ექვს საათამდე მუდამ რადიო აქვს ჩართული, ამ დროს დიასახლისებისათვის განკუთვნილ სარეკლამო რადიოდადგმებს გადასცემენ. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ოთხშაბათობით და კვირაობით ის, თეთრ-სპეტაკ შარვალში გამოწყობილი, გადაჭრის ტრამვაის ხაზებს და ოლქის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად იქცევა. გაცილებით უკეთესად თამაშობს ჩოგბურთს, ვიდრე კბილებს მკურნალობს. დედამისი სკოლის კაფეტერიაში მუშაობს.

ღმერთმა დამიფაროს, - ამბობს კოლდუელი, - შენ რა უნდა გამიკეთო, პიტერ? სულ ერთია, აღარაფრად ვარგივარ. ჩემისთანა წყალწაღებული ბეხრეკისათვის არც ღირს თავის შეწუხება. დარჩი აქ, სითბოში, შენს მეგობრებთან.

და პიტერი იმით შეუდგება დედის დანაბარების აღსრულებას - მამას გაუფრთხილდიო, რომ მზერას გააყოლებს ამ გატანჯულ, ტკივილისაგან გამწარებულ კაცს, რომელიც თავის შეხსნილ, ვიწრო პალტოსა და ყურებზე ჩამოფხატულ მრგვალ, ნაქსოვ ქუდში მორთული მიდის სიბნელეში ახალი ტანჯვა-წვალების შესახვედრად.

- პიტერ, გესმის?! შენ და მამაშენი ერთად რომ იდექით სინათლეზე, ვერც კი ვარჩევდი, ვინ მამაა და ვინ შვილი, - ძმაკაცურად უყვირის თავისი ადგილიდან ჯონი დედმენი.

- ის ჩემზე მაღალია, - მკაცრად მიუგებს პიტერი.

მოსაწყენია, როცა დედმენს გულღია და კეთილ ბიჭად მოაქვს თავი. საღამოვდება და

პიტერი გრძნობს თავის თავში მომწიფებული მანკიერების ყოვლისშემძლე ძალთა მოზღვავებას. ჯიბეში ხუთი დოლარი უდევს, ხელში წონის თითოეულ მათგანს და საზეიმოდ ეუბნება მაინორს:

- ორი ბიფშტექსი. უკეტჩუპოდ. ერთი ჭიქა თქვენი წყალ-წყალა რძე და ხუთი ნიკელიც მოაყოლეთ ამ თაღლითური მექანიკური ბილიარდისათვის!..

-

პიტერი ისევ თავის მაგიდასთან ბრუნდება და უკიდებს მენთოლის სიგარეტს, წეღან რომ ჩააქრო. ხარბად ყლაპავს ცივ, პოლარულ ჰაერს, თავს იწონებს ცარიელ სცენაზე, მაინორის კაფეში, დარწმუნებული, რომ მთელი მსოფლიო მიჩერებია. მას ახლა შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს და ბავშვური ოცნება თავისუფლებაზე ისე აღელვებს მის გულს, რომ საცაა გაუსკდება და ნახევრად ჩაბნელებული კაფე ალისფრად იფეთქებს. მაპატიე.

- სულიკო, მოიცა.

- ა?

- ნუთუ არ შეგიძლია სხვა ადგილის გამონახვა შენი კაბინეტის გარდა?

- არა. ყოველ შემთხვევაში ზამთარში შეუძლებელია.

- უკვე რომ დაგვინახეს?

- შენ დაგინახეს.

- მაგრამ ის ყველაფერს მიხვდა! სახეზე ეტყობოდა, რომ ყველაფერს მიხვდა. ჩემზე მეტად იმას შეეშინდა.

- კოლდუელმა ნამდვილად არაფერი იცის.

- შენ მას ენდობი?

- ჩვენ ჯერ ისეთი დამოკიდებულება არ გვქონია, რომ ნდობის საკითხი დასმულიყოს.

- ახლა?

- ვენდობი.

- შენ ადგილას მე არ ვენდობოდი. არ შეიძლება მისი თავიდან მოშორება?

პასუხად ხარხარი გაისმის. ქალი იბნევა. მუდამ ასეა - გვიან იკბენს ხოლმე ენაზე, როცა სისულელეს წამოროშავს.

- შენ მე ყოვლისშემძლე გგონივარ! ეს კაცი თხუთმეტი წელია მუშაობს. მეგობრები ჰყავს და სტაჟი აქვს.

- მაგრამ ის ხომ შეუფერებელია ამ ადგილისათვის?

ზიმერმანს არ სიამოვნებს, რომ ქალი მის მკლავებშიც კი არ იშლის რაღაცის მტკიცებას და კამათს განაგრძობს. საკვირველია, ვერაფრით შეეჩვია მშვენიერი სქესის სიჩლუნგეს და მუდამ ეჩოთირება.

- შენ ასე მიგაჩნია? ამის დადგენა არც ისე ადვილია. მთავარია, რომ ის მათთანაა განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამას გარდა, ის არ მიმტყუნებს. არ მიმტყუნებს.

- ტყუილად იცავ. მას შეუძლია ორივე დაგვღუპოს. ის კვლავ იცინის.

- კარგი, კარგი, ჩემო გვრიტო. კაცის დაღუპვა ისეთი უბრალო ამბავი არ არის, შენ რომ გგონია.

თუმცა ზიმერმანს აღიზიანებს ეს შფოთიანი სცენები, მაგრამ ამ ქალთან სიახლოვე უდიდეს შვებას ანიჭებს და თავდავიწყებით ეძლევა განცხრომას, დაუფიქრებლად ლაპარაკობს, რაც კი ენაზე მოადგება, ისე ანგარიშმიუცემლად, როგორც მდინარე ეშვება ზემოდან, ან გაზი შთაინთქმება სიცარიელეში.

ზიმერმანი გრძნობს, რომ ქალი მის მკლავებში ასპიტივით ენამწარე და კაპასი ხდება.

- არ მომწონს ეს კაცი, მაგის სულელურ, ყმაწვილურ ღიმილს ვერ ვიტან.

- უბრალოდ, როცა მას უყურებ, თავს დამნაშავედ გრძნობ. ის გაოცებულია ამ

შენიშვნით და რბილად, შემპარავად ირკვევს:

-

- განა ჩვენ დამნაშავედ უნდა ვგრძნობდეთ თავს? მის კითხვაში დაუფარავი შიში ისმის. აუცილებლად. ოღონდახლა არა.

ამაზე მისის ჰერცოგს ეღიმება და ღიმილი საოცრად არბილებს მის ტუჩებს. ზიმერმანი ჰკოცნის ქალს და გრძნობს, რომ დიდი ხნის წყურვილის შემდეგ, როგორც იქნა, პირი გაისველა; კოცნა, წყურვილის მოკვლის ნაცვლად, უარესად უძლიერებს წყურვილს და ყოველი კოცნა იწვევს ახალს, კიდევ უფრო მხურვალეს, ითრევს ბობოქარი და დაუოკებელი ვნებათაღელვის მორევში; და ეს სრულიადაც არ ეჩვენება სისასტიკედ, პირიქით, ამაში ხედავს გულუხვი და გარდაუვალი ბუნების დასტურს.

ტკივილი ხესავით იდგამს ფესვს მის ყბაში. დაიცადე, დაიცადე! კენის რამდენიმე წუთს უნდა დაეცადა ნოვოკაინის ნემსის შემდეგ, მაგრამ ახლა დღის ბოლოა და ის

უკვე დაღლილია, ჩქარობს. კენი კოლდუელის ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი იყო, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში. ახლა კი ეს უკვე საგრძნობლად გამელოტებული ბიჭუნა მუხლით მიბჯენია სავარძლის სახელურს და მის კბილს გაზით ეჯაჯგურება, ლაწალუწით აძრობს და ფშვნის ცარცივით. კოლდუელს ეშინია, რომ კბილი დაიმსხვრევა გაზის მარწუხებში და გაშიშვლებული ნერვის ნაგლეჯიღა შერჩება პირში. ტკივილი პირდაპირ წარმოუდგენელია. ეს მთელი ხეა, მძლავრად აყვავებული, და თითოეული ყვავილი უსიცოცხლო, ლურჯ ჰაერში ბღუჯა-ბღუჯა აბნევს კაშკაშა, მოყვითალო-მომწვანო ნაპერწკლებს. ის თვალებს ახელს, არ სჯერა, რომ ეს შეიძლება ამდენ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ ჰორიზონტს ფარავს მღვრიე ვარდისფერი გარსი, ეს ექიმის პირია, მაგრად მოკუმული და მოღრეცილი, ნივრის სუნით აყროლებული. უნიათო კაცის პირი. ეს ბიჭი ოცნებობდა მედიცინის დოქტორი გამხდარიყო და ყასაბი კი გამოვიდა. კოლდუელს ეჩვენება, რომ მის ტვინში გაბარდნილი ტკივილი მისივე მოღვაწეობაში დაშვებული შეცდომის ნაყოფია, რადგან ამ მშფოთვარე სულს თანაგრძნობა და მოთმინება ვერ შთაუნერგა. ამიტომ მორჩილებით იღებს ტკივილს. ხე საოცრად გაიბადრა, დამსხვილდა; რტოები და ყვავილები ერთ ვერცხლის ჯიღად, კონუსად, სვეტად შეერთდა, - ტკივილის ბოძად, რომელიც ცამდე მაღლდება, მის

ძირში კი კოლდუელის თავის ქალაა დატანებული. განსაცვიფრებლად წმინდაა ეს ვერცხლი. წვეთი, მისხალი, ნამცეცი, იოტის ოდენი შენაერთიც არ არის მასში.

-

- მორჩა, - კენეტ შროიერმა თავისუფლად ამოისუნთქა. ზურგი სველი აქვს, ხელები უკანკალებს. კოლდუელს მარწუხებში გათანგულ ნადავლს უჩვენებს. კოლდუელი, თითქოს ახლა გაეღვიძაო, უცებ ვერ ისაზრებს, რა მოხდა. მის წინ პაწია, ვარდისფერი, მოღუნულ ფეხებზე შემდგარი, ნაცრისფერი და შავი წინწკლებით დაფარული მქრქალი ძვლის პატარა ნაჭერია. ახლა უბრალოდ დაუჯერებელია, რომ ეს არარაობა ასეთ მძვინვარე წინააღმდეგობას უწევდა მარწუხებს.

  გადმოაფურთხეთ, - ეუბნება ექიმი.

კოლდუელი საჩქაროდ ხრის თავს ყვითელ საფურთხებელზე და გამჭვირვალე წყალს სისხლი ფერს უცვლის. ერთმანეთში არეულ სისხლსა და ნერწყვს ნარინჯისფერი დაჰკრავს. კოლდუელის შეგრძნება, თითქოს თავი სუფთა ვერცხლისაგან ჰქონდეს ჩამოსხმული, ჰაეროვანი სიმსუბუქით იცვლება. შიში და სისაწყლე ღრძილში გაჩენილ ორმოში გაუჩინარდა. უეცრად ის უაზრო მადლიერებით იმსჭვალება და შეჰხარის

ყოველივე არსებულს. მომინანქრებული საფურთხებლის გაწკრიალებულ ჯამს, კრიალა გაღუნულ მილაკს, რომლითაც შიგ წყალი შედის, პატარა , კომეტასავით კუდიან ჟანგიან ლაქას, რომელიც ნამცეცა ქარიბდს გამოუღრღნია იქ, სადაც ჭავლს ძალა დაჰკარგვია. კბილის წამლის მძაფრ სუნს, ინსტრუმენტების წკარუნს, როცა კენი მათ სტელირიზატორში აწყობს, თაროზე შედგმულ რადიომიმღებს, რომლის ხრიალშიც ორღანის მთრთოლვარე ბგერები აღწევს. დოქტორი რეჩიტატივით აცხადებს: „მე-მიყვარს-ფათერაკები!“ მერე ორღანი კვლავ განაგრძობს უგონო სრბოლას.

- აფსუს!.. - ამბობს კენი, - ფესვები მაგარი გაქვთ, გვირგვინი კი სულ არ გივარგათ.

- ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, - მიუგებს კოლდუელი, - ფეხები ღონიერი მაქვს, თავი კი - სუსტი.

ენა დაბუშტულ რბილობს ეხება. ის კიდევ ერთხელ გამოაფურთხებს. უცნაურია, საკუთარი სისხლის დანახვა რატომღაც ამხნევებს.

კენი ფოლადის ინსტრუმენტით ჩიჩქნის კბილს, რომელიც სამუდამოდაა ამოგლეჯილი მშობლიური ნიადაგიდან და ვარსკვლავივით მაღლიდან დაჰყურებს იატაკს. მერე ამოგდებული, გაშავებული ბჟენის ნატეხი ცხვირთან მიაქვს და ყნოსავს.

- მ-და, - ბურტყუნებს ის. - ამას არაფერი ეშველებოდა, ალბათ, ძალიან გაწუხებდათ, არა?

- მარტო როცა გამახსენდებოდა. რადიოს დიქტორი განმარტავს:

-

- ამას წინათ დოკი და რეჯი მაიმუნების მიწისქვეშა დედაქალაქში დატოვეს. (გაისმის მაიმუნის წკავწკავი, წრიპინი და სევდიანი ყმუილი). და აი, დოკი მიუბრუნდა რეჯის (ხმები მიწყნარდება) და ეუბნება:

დოკი. როგორმე თავი უნდა დავაღწიოთ აქაურობას! პრინცესა გველოდება!

- ჩიპი, ჩიპ, უი, უი-ი-ი.

კენი კოლდუელს ანაცინის ორ აბს უწვდის ცელოფანის პაკეტში.

მიიღეთ, თუ კიდევ შეგაწუხებთ, როცა ნოვოკაინის მოქმედება გაივლის.

მას ჯერ არც დაუწყია მოქმედება, ფიქრობს კოლდუელი. წასვლის წინ ის უკანასკნელად აფურთხებს. ღრძილიდან სისხლის დენა თითქმის შეჩერდა, სისხლის ჭავლი ახლა უფრო თხელია და მკრთალი ფერისაა. ის გაუბედავად უსვამს ენას სრიალა ორმოს და უეცრად სინანული იპყრობს. ეს დღეც წარსულს ჩაბარდა - ერთ კბილს ჯანი გავარდა. (აფსუს, რა პოეტი იღუპება).

დერეფანში ჰელერი გამოჩნდა! პაკ-პუკ, პაკ-პუკ; დრამ-ბუმ-ბუმ! რამ შეაყვარა ამ კაცს ასე თავისი უშველებელი ნეჭის ცოცხი!..

ქალთა საპირფარეშოს წინ ის ნაბიჯს შეანელებს, მზრუნველად აბნევს იატაკზე წითელი სანთლის ნამცეცებს და აპრიალებს, სანამ ბრწყინვას არ დაიწყებს, მერე ჩერდება, ას მეცამეტე კლასთან, სადაც მისს შრეკს ზეაუწევია ხელოვნება - უხილავი ღვთიური სიდიადის ამსახველი ხილული სარკე; ას მეთერთმეტესთან, სადაც

დაგლეჯილი შავი შალითებით პირშებურული საბეჭდი მანქანები გარინდულან და აქა-იქ ამოუჩრიათ ვერცხლისფერი, კრიალა სახელურები; ას მეცხრესთან, სადაც მოელვარე ნარინჯისფერი რუკა ჰკიდია და ზედ კაროლინგების დროინდელი ევროპის ძველი სავაჭრო გზებია აღნიშნული, რომლებითაც გადაჰყავდათ მონები და გადაჰქონდათ სანელებელი, ქარვა და ბეწვეული; ას მეშვიდესთან, საიდანაც გოგირდოვანი გაზისა და გოგირდწყალბადის სუნი ამოდის; ას მეხუთესთან, ას მესამესთან, ყველა ამ მქრქალი შუშით შემინული, გამოკეტილი კარის წინ, მწვანე კარადების პირდაპირ, რომელთა მწკრივიც პერსპექტივაში იკარგება, ჩაივლის ჰელერი და გზადაგზა გულდაგულ ჰგვის ღილებს, ცელოფანს, თმას, ძაფებს, მანდარინის წიპწებს, სავარცხლის კბილებს, პიტერ კოლდუელის ფუფხიდან დაცვენილ თეთრ ქერცლს და ყოველივე უღირს მტვერსა და ნამცეცს, ნამსხვრევსა და ნაფცქვენს, მთელ ამ ბინძურ ნაქურთალს, რისგანაც შედგება ეს სამყარო - ყველაფერს ის აქუჩებს. თან თავისთვის ჩუმად ღიღინებს ძველებურ სიმღერას. ბედნიერია. სკოლა ახლა მისი საკუთრებაა.

-

თვალუწვდენელ ხის სივრცეში ყველა საათი ერთხმად რეკს 18.10-ს. მიწისქვეშეთში ვეება ბოილერი თვალის დახამხამებაში ნთქავს ოთხ ტონა მკვრივ, მოელვარე ნახშირს - პენსილვანიურ ანტრაციტს, უძველეს ლეპიდოდენდრონებს,

სუფთად დაწნეხილ დროს. ღუმელის გული თეთრად გიზგიზებს, ქარსის საჭვრეტით შეიძლება შიგ შეხედვა.

ჰელერს თავის ჟანგმოდებულ გულში ღრმად დაუმარხავს ამ დერეფნების სიყვარული. უდიდესი ზეიმი იყო მისთვის ის დღე როცა აქ გადმოიყვანეს დაწყებითი სკოლიდან, სადაც დარაჯად მუშაობდა. იქ პატარები ტკბილეულით გამოძღებოდნენ ხოლმე და მერე სულ იმათი ნარწყევების ახვეტას და იატაკის ქლორიანი კირით წმენდას უნდებოდა... აქ ასეთი უმსგავსოება არ ხდება,

-

მხოლოდ უშვერ სიტყვებს წერენ კედლებზე და ზოგჯერ იატაკს აბინძურებენ ბიჭების ფეხსალაგში.

ადამიანებისა და ტანსაცმლის სუნი შემორჩენია დერეფანს. წყლის სასმელი აუზები დაკეტილია, რადიატორები ღუღუნებენ. შორიახლოს კარის ჯახუნი გაისმის; რომელიღაც კალათბურთელი შემოვიდა სპორტული ჩემოდნით ხელში და გასახდელისაკენ დაეშვა. მთავარ შემოსასვლელთან მისტერ კოლდუელი და მისტერ ფილიპსი ჩვეულებისამებრ შედგნენ და ერთი მაღალი, ხოლო მეორე დაბალი, ალფონს და გასტონ კლოუნებივით, ერთმანეთს გზას უთმობენ. ჰელერი იხრება და ფართო

აქანდაზში თავს უყრის ნაგვისა და ბურტყლის ნაცრისფერ გროვას, რომელშიაც შიგადაშიგ გაზეთის ნახევები მოჩანს. ის კუთხისაკენ მიდის და ნაგავს დიდ მუყაოს კოლოფში ჩაუძახებს. მერე ცოცხიანად მიაბიჯებს დერეფანში და მოსახვევში იკარგება. დრამ-ბუმ-ბამ.

ის მოდის!!!

- ჯორჯ, გავიგე ბოლო ხანს შეუძლოდ ყოფილხართ, - ეუბნება ფილიპსი კოლეგას. ის შუშის კარადასთან შეჩერდა, რადგან აქ, სინათლეზე შეამჩნია, რომ კოლდუელს ტუჩის კუთხიდან სისხლი გადმოსდის. ყოველთვის რაღაც სჭირს ამ კაცს, მუდამ მოუწესრიგებელია; გულის სიღრმეში ფილიპსი განიცდის ამას.
- ხან ისე ვარ, ხან ასე, - მიუგებს კოლდუელი. - ფილ, ძალიან მადარდებს ის დაკარგული ბილეთები, 18001-დან 18145 ნომრამდე.

ფილიპსი ფიქრობს და ამ დროს - ჩვეულებისამებრ, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მხარს იცვლის, თითქოს ბეისბოლის მინდორზეაო.

- ბოლოს და ბოლოს ფარატინა ქაღალდია, - ამბობს ის. - ფულიც ფარატინა ქაღალდია, - მიუგებს კოლდუელი.

მას ისეთი ავადმყოფური შესახედაობა აქვს, რომ ფილიპსი ურჩევს:

- რამე წამალი დაგელიათ. კოლდუელი ჯიუტად კუმავს ტუჩებს.

- საშიში არაფერია, ფილ. გუშინ ექიმთან ვიყავი და რენტგენიც გადავიღე.

ფილიპსი ახლა მხარმარცხნივ ამოუდგა.

- მერე რა უჩვენა რენტგენმა? - ეკითხება ის და თან თავის წაღებს დასჩერებია, გეგონება ამოწმებს, ზონრები შეკრულია თუ არაო.

კოლდუელი, თითქოს ფილიპსის ჩუმი მრავალმნიშვნელოვანი ხმის ჩახშობა უნდაო, ხმამაღლა, ყვირილით პასუხობს:

ჯერ არ გამიგია! ერთ წუთს არ მეცალა!

- ჯორჯ! შემიძლია მეგობრულად გითხრათ რამე? - რა თქმა უნდა, განა ჩვენ ოდესმე გვისაუბრია სხვაგვარად?

აქამდე ვერ ისწავლეთ ერთი რამ - როგორ მოუაროთ საკუთარ თავს. გაიგეთ, ჩვენ უკვე ისე ახალგაზრდები აღარ ვართ, ომამდე რომ ვიყავით, ახალგაზრდებივით ვეღარ ვიცხოვრებთ.

- სხვანაირად ცხოვრება მე არ შემიძლია, ფილ, სულ ასეთი ბავშვი დავრჩები, სანამ კუბოში არ ჩამაწვენენ.

ფილიპსი ნაძალადევად იცინის. მას უკვე ერთი წლის სტაჟი ჰქონდა, როცა კოლდუელი

სკოლაში მოვიდა. და თუმცა დიდი ხანია ერთად მუშაობენ, აქამდე ვალდებულად თვლის თავს, რომ კოლდუელის მფარველი და ხელმძღვანელი იყოს. თანაც არ ასვენებს წინათგრძნობა, რომ კოლდუელი, რომელიც ესოდენ აღსავსეა გაუგებრობით და მოულოდნელობით, უცებ სასწაულს მოიმოქმედებს ან, ყოველ შემთხვევაში, რაიმე საკვირველს ანდა არაჩვეულებრივ მნიშვნელოვანს მაინც იტყვის.

- გაიგეთ ოკის ამბავი? - ეკითხება ფილიპსი.

ამ ჭკვიანმა, თავაზიანმა, ძლიერმა და ლამაზმა ჭაბუკმა, სკოლა ოცდაათიან წლებში დაამთავრა. ოკი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც უზომოდ ახარებს მასწავლებლის გულს. ოდესღაც ასეთები ბევრნი იყვნენ ოლინჯერში, მაგრამ ახალ, როცა ასე დაეცა საყოველთაო ზნეობა, ოკისთანა ახალგაზრდები თითზე ჩამოსათვლელია.

- გავიგე, რომ დაღუპულა, - პასუხობს კოლდუელი, - მაგრამ დაწვრილებით არაფერი ვიცი.

- ნევადაში მომხდარა, - ეუბნება ფილიპსი, - და წიგნებისა და რვეულების მძიმე დასტა

ხელიდან ხელში გადააქვს, - ავიაციის ინსტრუქტორი იყო და მისმა მოწაფემ შეცდომა დაუშვა. ორივე დაიღუპა.

-

- რა უაზრობაა. მთელი ომი ისე გამოიარა, რომ ერთი ნაკაწრიც არ ჰქონია და მშვიდობიან დროს შეეწირა.

ფილიპს თვალები ღალატობს - დაბალი ტანის მამაკაცები საერთოდ უფრო მგრძნობიარენი არიან - ვერაგულად უწითლდება, როგორც კი საუბარი რაიმე სევდიანს შეეხება.

- საშინელებაა, როცა ახალგაზრდები კვდებიან, - ამბობს კოლდუელი.

მას ღვიძლი შვილებივით უყვარს ლამაზი და გამგონი მოწაფეები, თუმცა მისი საკუთარი ვაჟი ჯიუტი და მოუხეშავია.

კოლდუელი დაინტერესდება: შუაში თმაგადაყოფილი ფილიპსის თავი უეცრად ზარდახშის სახურავად მოეჩვენება, სადაც მისთვის აუცილებელი ძვირფასი ცნობებია ჩაკეტილი.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ასაკს აქვს რაიმე მნიშვნელობა. გგონიათ, ისინი ნაკლებ არიან მზად სასიკვდილოდ? განა თქვენ კი მზადა ხართ?

ფილიპსი ცდილობს გულისყური მოიკრიბოს და კარგად ჩაუკვირდეს ამ აზრს, მაგრამ არაფერი გამოსდის, თითქოს ორი მაგნიტის ერთნაირ პოლუსს აახლოვებდეს ერთმანეთთან; ისინი ერთმანეთს უკუაგდებენ.

- არ ვიცი, - აღიარებს ის და მერე დაუმატებს: - ამბობენ ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

- არ მჯერა, - მიუგებს კოლდუელი, - მე სულ არა ვარ მზად და შიშით გული მისკდება. რა უნდა ქნას კაცმა?

ორივე უხმოდ იცდის, სანამ ჰელერი არ ჩაივლის თავისი ნეჭის ცოცხიანად. დამლაგებელი თავის ქნევით და ღიმილით მიესალმება მათ და ამჯერად აღარ შეჩერდება, გზას განაგრძობს.

ფილიპსი კვლავ ამაოდ ცდილობს აზრის მოკრებას, მერე ისევ შვებით მოიცილებს

თავიდან უსიამო ფიქრს და სხვა რამეზე გადააქვს საუბარი. ის დაჟინებით აშტერდება კოლდუელის მკერდს, თითქოს იქ რაიმე საინტერესო შეენიშნოს.

- ზიმერმანს თუ ელაპარაკეთ? - ეკითხება ფილიპსი, - იქნებ, ყველაფერს აჯობებს, ერთი წლით რომ დაისვენო?

- მაგის ნებას ვერ მივცემ ჩემს თავს. მერე ბავშვი? სკოლაში როგორ ივლის? ავტობუსში უნდა დაემგზავროს ამ სოფლის ნახირს.

- არაფერიც არ მოუვა, ჯორჯ.

- ძალიან მეეჭვება. გამუდმებით ხელის შეწყობა ესაჭიროება, რომ საწყალი ბიჭი კაცი დადგეს. უნდა გავმაგრდე, სანამ ფეხზე არ დავაყენებ. თქვენ რა გიჭირთ, თქვენი ვაჟი უკვე გზას ეწია.

ეს უბადრუკი პირფერობაა და ფილიპსი თავს აქნევს. თვალები კიდევ უფრო მეტად უწითლდება. რონი ფილიპსს, რომელიც ამჟამად პენსილვანიის უნივერსიტეტის

პირველ კურსზე სწავლობს, ბრწყინვალე ნიჭი დაჰყვა ელექტრონიკაში. ჯერ კიდევ სკოლაში იგი აშკარად დასცინოდა მამამისის გატაცებას ბეისბოლით.

გული სწყდებოდა, რომ მამის დაჟინებული მოთხოვნით ბავშვობაში მრავალი ძვირფასი საათი შეწირა ამ თამაშს.

- მგონი, რონიმ იცის, რა უნდა. - ყოყმანით ამბობს ფილიპსი.

- მადლობა ღმერთს! - წამოიძახებს კოლდუელი. - ჩემს საბრალო ბიჭს კი ყველაფერი ხონჩით მირთმეული ნებავს.

- მგონი, უნდოდა მხატვარი გამოსულიყო.

- ო-ოჰ, - ოხრავს კოლდუელი, თითქოს შხამი ჩაეწვეთა ნაწლავებში - შვილები მტკივნეული საკითხია ორივესთვის.

- დღეს, ჩემი საკლასო ოთახიდან რომ გამოვდიოდი, ერთმა აღმოჩენამ გამიელვა. თხუთმეტი წელია ვასწავლი და ძლივს მივედი ამ დასკვნამდე, - საუბრის თემას ცვლის კოლდუელი.

- რაო? - მოუთმენლად ეკითხება ფილიპსი, ერთი სული აქვს, სანამ პასუხს გაიგებდეს, თუმცა ადრე ბევრჯერ დარჩენილა პირში ჩალაგამოვლებული.

- ნეტარ იყვნენ არასმცოდნენი, - აცხადებს კოლდუელი და რაკი სიხარულით გაცისკროვნებული სახის ნაცვლად ფილიპსის შეჭმუხნილ შუბლს ხედავს, უფრო ხმამაღლა იმეორებს, ისე, რომ უსასრულო ცარიელ დერეფნებში ექოსავით გაისმის: - ნეტარ იყვნენ არასმცოდნენი. ეს ცხოვრებამ მასწავლა.

- ღმერთმა ნუ ქნას, რომ მართალი იყოთ! - აჩქარებით წამოიძახებს ფილიპსი და თავის საკლასო ოთახში წასასვლელად ემზადება. მაგრამ ისინი კიდევ ერთ წუთს რჩებიან ერთად, ორივე მასწავლებელი ისვენებს ურთიერთ საზოგადოებაში; საეჭვო სიამოვნებას პოულობს იმაში, რომ ერთი მეორეს იმედს უქარწყლებს და მაინც არც ერთი არ რჩება ნაწყენი, ასე ეკვრის ერთმანეთს ჭექაქუხილის დროს ერთ თავლაში დაბმული ორი ცხენი. კოლდუელი, ალბათ, ლეგა ხალებიანი სინიბი იქნებოდა, სრულიად ჩვეულებრივი, შეიძლება, ერთობ, გამგონიც; მას, ალბათ, ლურჯა ერქმეოდა, ფილიპსი კი - მკვირცხლი, პატარა წაბლისფერი ქურანა, ლამაზი კუდითა და ნატიფი ჩლიქებით - თითქმის პონი.

- ჩემი მოხუცი ისე მოკვდა, ჩემს ასაკსაც ვერ მიაღწია. არ მინდა, მეც ასე ვუმტყუნო ჩემს შვილს, - წასვლის წინ ამბობს კოლდუელი.

ის ჭრაჭუნით და ბრახუნით ადგამს კარებთან მუხის ძველ პატარა მაგიდას; ამ მაგიდაზე მატჩის ბილეთები უნდა გაყიდოს.

დარბაზს პანიკური ღრიანცელი ავსებს და უზარმაზარი სკოლის ყველაზე უფრო შორეულ კლასებშიც კი მტვრის ბუღი დგება. ბევრი მაყურებელი ახლაღა იღებს

ბილეთს და კარიდან უწყვეტ ნაკადად მიედინება გაჩახჩახებულ დერეფანში. ყინვისაგან ყურებაწითლებული, ქიმერებივით უცნაური, ახირებული აღნაგობის მქონე ჭაბუკები, თვალებგადმოკარკლულნი და პირდაღებულნი მიიკვლევენ გზას ნათურების ელვარე ბურთებქვეშ. კუბოკრულ პალტოებში გამოწყობილი, უმეტესად უგულისყურო მეთუნის მიერ ნაჩქარევად დამზადებული ლარნაკებივით მოუქნელი და აჭრელებული, ლოყებშევარდისფერებული, აღტყინებული გოგონები მხურვალე სიმჭიდროვეში ჩაჭედილან. მრისხანე, სულთამხუთავი და დაბრმავებული ბრბო ადგილზე მოუსვენრად წრიალებს და ყრუ ბუბუნი გააქვს. წკრიალებს ახალგაზრდული ხმები.

- ჰოდა მე ვუთხარი, რას იზამ, ბედი არა გაქვს, შე ძველო-მეთქი.

- მესმის, რომ მიკაკუნებ, მაგრამ შემოშვებით ვერ შემოგიშვებ.

- მერე, ეგ ხომ ნამდვილი უსინდისობაა!

- ის ძუკნა კი, ვითომ აქ არაფერიაო, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და მეუბნება: „მოდი, კიდევო“.

- ცოტა აზრზე მოდი. როგორ შეიძლება ერთი უსასრულობა მეორეზე მეტი იყოს?

- ნეტავი გამაგებინა, ვინ ამბობს, რომ მან ასე თქვა, და მეტი არაფერი მინდა.

- მაგას ხელად დაეტყობა ხოლმე, იმიტომ რომ კისერზე მაშინვე ხალი უწითლდება.

- მე რომ მკითხო, ეგ მარტო საკუთარ თავზეა შეყვარებული.

- გავიხედე და - სადღაა შენი საუზმე!

- მოდი, ასე ვთქვათ, ერთი უსასრულობა უდრის მეორე უსასრულობას. სწორე არ არის?

- გავიგონე, რაღაც რომ თქვა, და ვეუბნები ყმაწვილს: რა მოხდა, არაფერი მესმისმეთქი.

- თუ გაჩერება არ შეუძლია, ჯობდა საერთოდ არ დაეწყო.

- ეგ როდის იყო, ათასი წლის წინ?

- მაგრამ მარტო კენტი რიცხვები რომ აიღო, ყველა, რაც კი არსებობს, და შეკრიბო, მაინც უსასრულობას მიიღებ, სწორი არ არის? გაიგე, ბოლოს და ბოლოს?

- ეს სად მომხდარა, პოსტვილში?

- ღამის პერანგი მაცვია, თხელზე თხელი.

- მაშ არა მაქვს ბედი? - ჩამძახის. - არა, არა გაქვს-მეთქი, ვეუბნები.

- როგორც იქნა! - იძახის პიტერი. პენის დანახვაზე, რომელიც მთელი დარბაზის გავლით მისკენ მიეშურება. მარტოა, მისი გოგო მარტო მოვიდა მასთან; ამ უბრალო ფიქრის მოზღვავებაზე გული გამალებით უცემს. „ადგილი შეგინახე!“ - უყვირის მას პიტერი. შუა რიგში ზის; პენისთვის დაკავებულ სკამზე სხვისი პალტოები და შარფები აწყვია. პენი თამამად იკაფავს გზას რიგებს შორის, მოუთმენლად მოუმუწავს ტუჩები და აიძულებს ყველას ადგნენ და გაატარონ; სიცილით იბლანდება ვიღაცის გაჭიმულ ფეხებში. სანამ პალტოებს იღებენ სკამიდან, პენი იძულებულია მიეკრას პიტერს, რომელიც სანახევროდ წამომდგარია თავისი ადგილიდან. მათი ფეხები უხერხულად გადახლართულან; პიტერი ანცად უბერავს სულს სახეში და პენის ყურთან ჩამოვარცხნილი თმა უთრთის. სახესა და კისერზე კანი სიმშვიდით უელავს, თუმცა ირგვლივ ასეთი ალიაქოთი და აყალ-მაყალია და პიტერს ის ტკბილი, სასურველი და მადისაღმძვრელი ეჩვენება. სულაც იმის გამო, რომ ასეთი პატარაა. პატარა და მსუბუქი, ბუმბულივითაა, პიტერს სულ ადვილად შეუძლია ხელში აიტაცოს. ამის გაფიქრებაზე პიტერი თვითონაც სიმჩატეს გრძნობს სხეულში, თითქოს ვიღაც ზეეწევა. უკანასკნელი პალტოც აიღეს და აი, ისინი მხიარული აურზაურით გარემოცულნი, ერთმანეთის გვერდით სხდებიან მყუდრო სითბოში.

მოთამაშეები გლუვ, მოკრიალებულ ფიცრებზე დარბიან შუა დარბაზში. ბურთი მაღალ მრუდეებს ხაზავს ჰაერში, მაგრამ ვერ აღწევს ჭერამდე, სადაც სანათურებზე ლითონის ბადეებია გადაკრული. გაისმის სასტვენის ხმა. მსაჯები საათებს აჩერებენ. შემორბიან გოგონები, ხმამაღლა ესალმებიან სპორტსმენებს, რომელთა ყვითელ სვიტერებს ყავისფერი „ო“ ამშვენებს, და სარკინიგზო ვაგონებივით მწკრივდებიან.

- ო!.. - მათი შეძახილი სპილენძის შვიდი საყვირივით გაისმის ჰაერში. ერთმანეთს გადაჭდობიან იდაყვებით ისე, რომ ხელები ერთ უზარმაზარ დგუშად შეუკრავთ.

- ო-ო-ო-ო! - საწყალობლად კვნესის ექო.

- ელ!..

- ელ!.. - აიტაცებს მაყურებელი.

- ი...

- აი-ი-ი! - გაისმის დარბაზის სიღრმეში. პიტერს აღელვებისაგან სუნთქვა ეკვრის, მაგრამ მაინც სარგებლობს შემთხვევით და პენის მკლავზე ხელს უჭერს.

- უჰ, - ამბობს პენი, საშინლად კმაყოფილია, მის კანს ჯერ ისევ შემორჩენია გარედან შემოყოლილი სუსხი.

- ენ!

დარბაზი კიდევ უფრო მკვირცხლად პასუხობს: „ენ!“; დარბაზსა და მისალმების გუნდს შორის სულ უფრო და უფრო სწრაფი კავშირი მყარდება, ხმების მძაფრი კორიანტელი გრიგალივით აწყდება მაყურებელთა რიგებს, მერე მაღლა-მაღლა მიიწევს და ყველას ეჩვენება, რომ სხვა სამყაროში მიექანება.

- ოლინჯერი, ოლინჯერი! ოლინჯერი**!**

გოგონები გარბიან, თამაში გრძელდება, უზარმაზარი დარბაზი ახლა ჩვეულებრივ ოთახად იქცევა, სადაც ყველა იცნობს ერთმანეთს. პიტერმა და პენიმ საუბარი გააბეს.

- როგორ მიხარია, რომ მოხვედი, - ეუბნება პიტერი. - მართალი გითხრა, არ მეგონა, ასე თუ გამეხარდებოდა.

- ნუთუ? დიდი მადლობა, - მშრალად ესიტყვება პენი. - მამაშენი როგორ არის?

- გაცოფებულია. წუხელ შინ არ მივსულვართ: მანქანა გაგვიტყდა.

- შე საწყალო.

- არა, ისე საინტერესოც კი იყო.

- წვერს იპარსავ?

- არა, რა იყო? საჭიროა?

- არა; მაგრამ ყურზე რაღაცა გაქვს მიმხმარი, გეგონება, საპარსი კრემიაო.

- იცი, ეს რა არის?

- რა, რა უნდა იყოს?

- ეს ჩემი საიდუმლოა. არ იცოდი, რომ საიდუმლო მაქვს?

- საიდუმლო ვის არა აქვს!

- ჩემი საიდუმლო განსაკუთრებულია.

- მაინც როგორი?

- თქმით ვერ გეტყვი. უნდა გაჩვენო.

- რა სასაცილო ხარ, პიტერ.

- არ გინდა? გეშინია?

- არა. შენი არ მეშინია.

- ძალიანაც კარგი. არც მე მეშინია შენი.

პენი იცინის.

- შენ არავისი არ გეშინია.

- ტყუილია. ყველასი მეშინია.

- მამაშენისაც?

- მამაჩემის ყველაზე მეტად.

- როდის მაჩვენებ შენს საიდუმლოს?

- იქნებ, სულაც არ გაჩვენო, ისეთი საშინელებაა.

- პიტერ, მაჩვენე, რა, ძალიან გთხოვ.

- პენი.

- რა იყო?

- მე შენ ძალიან მომწონხარ. პიტერი არ ეუბნება: „მიყვარხარო“, რადგან ეშინია, ტყუილი არ გამოუვიდეს.

- მეც მომწონხარ.

- მერე აღარ მოგეწონები.

- მომეწონები. შენ რა, განგებ იგონებ სისულელეებს?

- შეიძლება. შესვენების დროს გაჩვენებ. თუ მეყო გამბედაობა.

- ახლა უკვე მართლა მაშინებ.

- შენ კიდევ ნუ შეშინდები. იცი, შენ ისეთი არაჩვეულებრივი კანი გაქვს.

- შენ ამას ძალიან ხშირად მეუბნები. რა ნახე ასეთი ჩემს კანში? პიტერი არაფერს პასუხობს და ხელზე ეალერსება. პენი ხელს ართმევს.

- მოდი, ვუყუროთ, რომელი გუნდია წინ?

პიტერი თავს მაღლა სწევს, უყურებს ახალ საათს და ელექტრულ ცხრილს, რომელიც 1946 წლის გამოშვების საჩუქარია.

- იმათი.

პენი უეცრად ჩვეულებრივ ტუჩშეღებილ პატარა როკაპს ემსგავსება და ყვირის:

- მიდი! მიდი!

მოზარდთა გუნდის მოთამაშენი - ხუთნი ოლინჯერის ფორმაში, ყავისფერები ყვითლით, და ხუთნიც სამხრეთ ოლტონისაში, ლურჯები თეთრით - შეშლილებივით დარბიან, თითქოს რეზინის ლანჩებით შეეწებნენ საკუთარ ფერად ორეულს, რომელიც იატაკის გაპრიალებულ ფიცრებში მოჩანს, თითოეული ზონარი, თმის ღერი, სახის გამომეტყველება დაძაბული, გაზვიადებული და არაბუნებრივი აქვთ, ვიტრინაში გამოდგმული ფიტულებივით. თუმცა, კალათბურთის მინდორს მართლა ჰყოფს მაყურებლებისაგან მოჩვენებითი, მაღალი, შუშის კედელი; მართალია, მოთამაშეს შეუძლია თავი ასწიოს და დაინახოს ბრბოში ქალიშვილი, რომელთანაც გუშინდელი ღამე გაატარა (იქნებ, მისი ფშლუკუნიც კი ახსოვდეს და ისიც, მერე თვითონ ყელი როგორ უშრებოდა, მაგრამ ახლა ეს ქალიშვილი მისგან მაინც წარმოუდგენლად შორს იმყოფება, და სრულიად ადვილი დასაშვებია, რომ ის, რაც ჩაბნელებულ, უძრავ მანქანაში მოხდა, მას სიზმარში მოელანდა. მარკ იანგერმანი ბალნიანი ხელის ზურგით შუბლიდან ოფლს იწმენდს, ხედავს ბურთს, რომელიც მისკენ მოფრინავს, ხელებს მაღლა სწევს, იჭერს მკვრივ დისკოს, გულში იხუტებს, თავს სხვა მხარეს შეატრიალებს, მოწინააღმდეგე რომ მოატყუოს, გვერდს უქცევს სამხრეთ ოლტონის დამცველებს, დროს იხელთებს და სირბილით აგდებს ბურთს კალათში. ანგარიში გაიქვითა. ისეთი ღრიალი გაისმის, თითქოს ამაზრზენმა შიშმა მოიცვა ყოველი დამსწრის სული.

კოლდუელი ბილეთების ნახევებს ჰგვის მაგიდიდან, როდესაც მას ფეხაკრეფით უახლოვდება ფილიპსი და ეუბნება:

- ჯორჯ, თქვენ რომ თქვით, ბილეთები დამაკლდაო...

- ჰო, რვაათას პირველიდან რვაათას ას ორმოცდახუთამდე.

- მგონი, ვიცი, სადაც გაქრა...

- მაგას თუ მართალს ამბობთ, მძიმე ლოდი ამეხსნება გულიდან.

- დარწმუნებული ვარ, ლუისმა წაიღო...

- ზიმერმანმა? რაში დასჭირდა ბილეთის ქურდობა?

- ს-სს! - ფილიპსს მრავალმნიშვნელოვნად მოღრეცია ტუჩი და თვალით დირექტორის კაბინეტზე ანიშნებს. მას სადღაც თავი მოაქვს იდუმალებით. - ხომ იცით, უფროსი კლასების ხელმძღვანელია კალვინისტების საკვირაო სკოლაში.

- როგორ არა. იქ ყველა მაგის მზეს ფიცულობს.

- მერედა ვეღარ შენიშნეთ, რომ ღირსი მამა მარჩი აქ არის?

- ჰო, თავად გავატარე. ფული არ გამოვართვი.

- ჰოდა საქმეც ეგ არის. იმიტომ არის აქ, რომ საკვირაო სკოლაში ორმოცამდე კაცმა მიიღო უფასო ბილეთი და ყველა მოვიდა. ადგილი შევთავაზე ტრიბუნაზე, მაგრამ უარი განაცხადა, მითხრა: კედელთან დგომა მირჩევნია, ბიჭებს თვალყური უნდა ვადევნოო; ამ ბიჭების ნახევარი ელიდან არის, იქ კალვინისტური ეკლესია არა აქვთ.

ოჰო, აი ვერა ჰამელიც! გრძელი ყვითელი პალტო შეხსნია, წითელი თმის ბღუჯა ჩამოშლია, თმის სარჭები ვარცხნილობას ვეღარ უმაგრებს; ხომ არ მორბოდა? ის კოლდუელს უღიმის და ფილიპსს თავს უქნევს; ფილიპსი, ეს კაფანდარა კაცუნა, ერთადერთი მამაკაცია, რომელიც მასში არავითარ გრძნობებს არ იწვევს. კოლდუელი სხვა საქმეა: ის მიძინებულ დედობრივ ინსტინქტს უღვიძებს. ყოველ მაღალ მამაკაცში თავის მოკავშირეს ხედავს, იმდენად გულუბრყვილოა, და პირიქით, თავისზე დაბალი

მამაკაცები მტრად მიაჩნია. კოლდუელი მეჭეჭებიან ხელს სწევს და მეგობრულად ესალმება ვერას: ამ ქალის ყურება სიამოვნებს. როცა მისის ჰამელს ხედავს, გრძნობს, რომ სკოლა მარტო მხეცების ხელში არ არის. ვერას ბიჭური აგებულება აქვს: ფიცარივით სწორი მკერდი, გრძელი ფეხები, ჭორფლიანი, გამხდარი მკლავები, უცნაურად მეტყველი და ამაღელვებელი, და მხოლოდ თეძოს სიახლოვეს ემჩნევა ის განსაკუთრებული სისავსე, ოდითგან რომ მოსდგამთ ქალებს; მარტო ამით შეიძლება მისი გამორჩევა მოსწავლე გოგონებისაგან. თეძოები თაბაშირიდან გამოძერწილს მიუგავს და მკვეთრად იხატება ლურჯ სპორტულ კოსტიუმში. ქალის პირველ გაფურჩქვნას აყვავება მოსდევს და რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ თავიდან აყვავება. ადამიანის ბიოლოგია ზოგჯერ საოცარ თავშეკავებას ამჟღავნებს. მას აქამდე შვილი არა ჰყავს. ორ სპილენძისფერ ტალღას შუა ჩამჯდარი პატარა სამკუთხა შუბლი შეჭმუხვნია; ცხვირი გრძელი აქვს და წვეტიანი, სახე ქრცვინს მიუგავს და გაღიმებისას მომხიბვლელად აჩენს ღრძილებს. კოლდუელი ეძახის მას.

- თქვენი გოგონები თამაშობდნენ დღეს? - ეკითხება ის. ვერა კალათბურთელ ქალთა გუნდის მწვრთნელია.

- ახლა იქიდან მოვდივარ, - გზადაგზა პასუხობს ქალი. - ჩვენები ჩაფლავდნენ. ელი ვავახშმე და მაშინვე აქეთ გამოვქანდი, რომ ბიჭების თამაშს ვუყურო. ვერა დერეფნით დარბაზის შესასვლელისაკენ მიემართება.
- ასე უნდა გიყვარდეს კალათბურთი, ამ ქალს რომ უყვარს, - ამბობს კოლდუელი.
- ელი მეტისმეტად ბევრს მუშაობს, - პირქუშად ამბობს ფილიპსი, - და ეგეც მოწყენილია.
- მაგრამ მხიარულად კი გამოიყურება და ჩემს დღეში ჩავარდნილი კაცისათვის ესაა მთავარი.
- ჯორჯ, თქვენი ჯანმრთელობა ძალიან მაფიქრებს.
- ღმერთს უყვარს მხიარული გვამები, - ნაძალადევი ხალისით ამბობს კოლდუელი და გადაწყვეტილებით აღსავსე ეკითხება: - მაინც რაშია ამ ბილეთების საიდუმლოება?
- ეს საიდუმლოება სულაც არ არის. ღირსმა მამა მარჩმა თქვა, რომ ლუისის წინადადებით ეს ბილეთები წასახალისებლად დაურიგეს საკვირაო სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც ახალ წლამდე არც ერთი მეცადინეობა არ გაუცდენიათ.
- და ამიტომ ქურდულად შემოვიდა და მომპარა ბილეთები?
- ჩუმად. ეგ ბილეთები თქვენი არ არის, ჯორჯ, სკოლისაა.
- მაშ მე მაგათი ყურმოჭრილი ყმა ვყოფილვარ, უნდა ვიმუშაო და თან პასუხიც ვაგო, არა?

ეგ უბრალო ქაღალდია, და ამ თვალითაც უნდა შეხედოთ. თქვენს დავთარში კი ჩაწერეთ: „ქველმოქმედება“. რამე ამბავი თუ ატყდება, მე მხარს დაგიჭერთ.

- ხომ არ გიკითხავთ ზიმერმანისთვის, დანარჩენი ასი ბილეთი რაღა იქნა? თქვენ ამბობთ, ორმოცი კაცი მოვიდაო. დანარჩენ ასსაც ხომ არ დაარიგებდა, მაშინ უფასო ბილეთებით ოთხი წლის ბალღებიც კი მოფორთხდებოდნენ კალვინისტური ბავშვთა ბაგებიდან.
- ჯორჯ, მესმის, რომ აღელვებული ხართ. მაგრამ ამ საქმეს ნუღარ გააზვიადებთ, არაფერი ეშველება. ზიმერმანთან არ მილაპარაკია, ჩემი აზრით, არც ღირს. დაწერეთ: „ქველმოქმედება“: და მორჩა. ლუისი, მართალია, არაფერს ერიდება, მაგრამ ამ საქმეს წყალი არ გაუვა.

კოლდუელს მშვენივრად ესმის, რომ მეგობრის ბრძნულ რჩევას უნდა დაუჯეროს, მაგრამ უკანასკნელად გადმოანთხევს გულისწყრომას:

- ამ ბილეთების ფასი ნაღდი ორმოცდაათი დოლარია, ჰოდა აღშფოთებული ვარ, რომ იგი ჩვენს ძვირფას კალვინისტურ სკოლას მიართვეს.

ის გულწრფელად არის აღშფოთებული. მთელი ოლინჯერი, ისეთ პატარა სექტებს თუ

არ ჩავთვლით, როგორიც არიან კათოლიკები, იეჰოვას მოწმენი და ბაპტისტები, ორ დიდ ბანაკადაა გაყოფილი, რომლებიც მშვიდობიან მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს, - ლუთერანებად და კალვინისტებად; ამასთან ლუთერანები უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, კალვინისტები კი უფრო მდიდრები. თვითონ კოლდუელი პრესვიტერიანული ოჯახიდან არის, მაგრამ კრიზისის პერიოდში ცოლის სარწმუნოება მიიღო, ლუთერანი გახდა, და თუმცა ძალიან თვინიერია, მაინც არ ენდობა კალვინისტებს, რომლებიც მის წარმოდგენაში ზიმერმანსა და კალვინს უკავშირდება, ხოლო ისინი კი თავის მხრივ, - ამქვეყნად არსებულ ყველა ბნელ, უსულგულო და დესპოტურ ძალებს.

ვერა დარბაზში შემოდის განიერი, ფართოდ გაღებული კარით, რომელსაც რეზინის სოლები იჭერს. კარი რომ დაიხუროს, ეს სოლები ფეხისკვრით უნდა ამოაგდონ თითბრის კოხტა ბუდეებიდან. შორეულ კუთხეში ის მამა მარჩს ხედავს, - იგი დასაკეცი სკამების გროვას მიყრდნობია. ამ სკამებს კრებების, სპექტაკლებისა და მშრომელთა საბჭოს სხდომების დროს შუა დარბაზში გამართავენ ხოლმე, სადაც ახლა კალათბურთის მოედანია. უხეში შალის შარვლებში ჩაცმული რამდენიმე ბიჭი აპარულა ამ გროვაზე და ფეხებს იქნევენ; სკამებს უკან ჯგუფად დგანან კაცები, ბიჭები

და რამდენიმე გოგონა - მათ კისრები დაუგრძელებიათ, რათა უკეთ დაინახონ, ზოგი მათგანი ღია კარებში დადგმულ სკამებზე ამძვრალა. ორი ახლაგაზრდა კაცი, ასე ოცდახუთი წლისა, გაუბედავად ესალმება და გზას უთმობს ვერას; ეტყობა, ორივე იცნობს მას, მაგრამ ვერას არ აგონდება მათი ვინაობა, ისინი ძველი გმირები არიან, იმათგანნი, ვინც სანამ ცოლს შეირთავს ან სმას არ გადაყვება, ან კიდევ სადმე ქალაქიდან ძალიან შორს არ დაიწყებს მუშაობას, მუდამ ისწრაფის სკოლაში სპორტულ შეჯიბრებებზე, როგორც ძაღლს მიუწევს გული იქით, სადაც დიდი ხნის წინ დამარხული გემრიელი ძვალი ეგულება. და ისინი, ყოველ წელს სულ უფრო და უფრო მოშვებულნი, მობერებულნი, ჯიუტად ცხადდებიან აქ, დატყვევებულნი გამუდმებული ცვლილებებით - დარბაზსა და ეზოში, შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე - ჭაბუკ სპორტსმენთა სულ ახალ-ახალი შევსებით, რომლებიც მოჩვენებებივით

გაიელვებენ, მერე კი შეუმჩნევლად უერთდებიან მათ და მაყურებლებად იქცევიან. მათ თავმდაბლად და მოკრძალებულად უჭირავთ თავი, მოსწავლეებისაგან განსხვავებით, რომლებიც ტრიბუნებზე სხედან. იქ სახეებს, თმებს, ბაფთებს, ღია ფერის ტანსაცმელს ერთი დიდი ტილო შეუქმნია, - მოელვარე, ცოცხალი ალამი. ვერა თვალებს ჭუტავს და ბრბო მთრთოლვარე, ფერად მოლეკულებად იშლება.

თითქოსდა ირგვლივ მოცახცახე მოვლენებით პოლარიზებული ეს ნაწილაკები მის გამოჩენაზე მართლა ირხევიან და უხილავი, მახვილი ბოლოებით ერთმანეთს მიზანში იღებენ. ვერა გრძნობს ამას, სიამაყით, სიმშვიდითა და თვითდაჯერებით ივსება. ის არ ჩქარობს თვალის შევლებით გააბედნიეროს მამა მარჩი, რომელიც უკვე აღფრთოვანებულია ვერას სახის გარშემო მიმობნეული ოქროსა და სპილენძის სიუხვით, თვალისმომჭრელად რომ ბზინავს ამ ციმციმა სიმჭიდროვეში და მას პირდაპირ სახეში ანათებს.

მღვდელი ახოვანი, ლამაზი ვაჟკაცია, გამხდარი, შავგვრემანი სახით და კოხტად შეკრეჭილი შავი, გრუზა წვერით. თავის მოწოდებას ომის დროს მიაგნო. ოცდაცხრამეტ წელში, სრულიად ახლგაზრდამ და გამოუცდელმა, - მაშინ ოცდახუთი წლისაც არ იყო, სემინარია დაამთავრა ჩრდილო-აღმოსავლეთ პენსილვანიაში. იმხანად სისუსტეს ქალივით დაეჯაბნა იგი, ეჭვებისაგან იყო ღონემიხდილი. ღვთისმეტყველებამ მკვეთრად ჩამოუყალიბა და გაუღრმავა ეს ეჭვი. თავის გზას უკან რომ მოუხედავდა, ხვდებოდა, რომ მხოლოდ დედის გავლენა არ ყოფილა გადამწყვეტი. მორწმუნეობა, რომლის გამოც ბოლოს მღვდლად ეკურთხა, ქალისადმი ავადმყოფურმა შიშმა

ჩაუნერგა. ზოგჯერ ქადაგების დროს ხმას რომ აღიმაღლებდა, დამაჯერებლობას მოკლებული ხმა, თითქოს მის არაგულწრფელ ქადაგებას დასცინისო, სამარცხვინოდ ჩაუწყდებოდა ხოლმე. დიაკვნებს უფრთხოდა და თავის მოვალეობას ზიზღით ასრულებდა. 1941 წლის ომმა იხსნა იგი. მოხალისედ ჩაეწერა არმიაში, მღვდლად კი არა, უბრალო ჯარისკაცად. იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით მაინც გაექცეოდა შეკითხვებს, რომლებზეც არ შეეძლო პასუხის გაცემა. ასეც მოხდა. მან ოკეანე გადალახა და უკან ჩამოიტოვა ალქაჯი. მერე ლეიტენანტობა მიანიჭეს. ჩრდილოეთ აფრიკაში შვიდ დღეს გასძლო თავის ხუთ ხელქვეითთან ერთად, როცა სამი მათარა წყალიღა ჰქონდათ დარჩენილი. ანციოში ყუმბარამ რვა ფუტის სიღრმე ორმო ამოთხარა იმ ადგილას, სადაც მან წუთ-ნახევრის წინ გაირბინა. რომის ბორცვებში კაპიტნის ჩინი მიიღო. ისე დამთავრდა ომი, ერთი ნაკაწრიც არ ჰქონია. გამოიწრთო, გაკაჟდა, მხოლოდ ხმა შერჩა ადრინდელი, და, თუმცა, შეიძლება, ეს უცნაური იყოს, კვლავ თავის მოკრძალებულ მოწოდებას დაუბრუნდა. მაგრამ უცნაური კია? არა! ხენჯისაგან

განწმენდილმა კვლავ ჰპოვა თავის თავში დედისეული რწმენა - ცეცხლში ნაწრთობი, ურყევი, უჩვეულო, მაგრამ ნამდვილი, ვით გაციებული წიდის ნატეხი. ის ცოცხალი იყო. სიცოცხლე ჯოჯოხეთია, წარმტაცი ჯოჯოხეთი. ხოლო ყოველივე წარმტაცი ღმერთს ეკუთვნის.

მართალია, მარჩის ხმა წინანდებურად სუსტია, სამაგიეროდ მისი დუმილია ძლიერი. გამხდარ, ბრინჯაოსფერ ღაწვებს ზემოთ ნახშირივით შავი თვალები უელავს; ულვაშებს, რომელიც ომის დროინდელი სქელი ჯაგარის სამახსოვროდ დაიტოვა, ნაჭრილობებივით ამაყად ატარებს. ხალხისაგან რომ გამოირჩეოდეს, საზოგადოებაში მუდამ თეთრი საყელოთი ცხადდება. ვერას, რომელიც ღია კარებში დარჩენილი გასასვლელით ფეხაკრეფით უახლოვდება მარჩს, მისი საყელო ისეთი რომანტიკული ეჩვენება, რომ სუნთქვა ეკვრის: თითქოს ეს თეთრად ალესილი დანაა, ბასრი აბსოლუტი, რომელიც მის ყელს მიბჯენია.

- დღეს თქვენ ჩვენთვის არ გილოციათ, - უჩურჩულებს სულმოუთქმელად.

- ო, გამარჯობათ, მაშ თქვენმა გოგონებმა წააგეს?

- მ-მ... და. - ვერა უკვე თავს იკატუნებს, თითქოს ყველაფერი მობეზრდა, და მართლაც, თანდათან მოწყენილობა იპყრობს. ის თამაშს უყურებს, ხელები ჯიბეებში ჩაუყვია და თავის პალტოზე ოქროს ღინღლს აშრიალებს.

- ყოველთვის მოდიხართ, როცა ბიჭები თამაშობენ?

- აბა, რა? მაინტერესებს. გითამაშიათ კალათბურთი?

- არა, სიყმაწვილეში ღმერთმა არაფრის ნიჭი არ გაიმეტა ჩემთვის. ყოველთვის უკანასკნელი ვიყავი.

- ძნელი დასაჯერებელია.

- სწორედ ეგ არის ჭეშმარიტების პირველი ნიშანი.

ამ დამრიგებლურ კილოზე ვერა შუბლს იჭმუხნის, ოხრავს და მოუთმენელ დუმილს უნებური ახსნა-განმარტებით პასუხობს:

- რა არის, იცით, ვისაც სკოლაშიუმუშავია მასწავლებლად, მერე ვეღარ შეელევა აქაურობას. ეს პროფესიული ავადმყოფობაა. თუ ფანჯრებში შუქი ანთია, გული არ გაგიძლებს, რომ არ მოხვიდე.

- თქვენ ისე ახლოს ცხოვრობთ!

- მ-მ...

ვერას მისი ხმა ეჩოთირება და გული წყდება. ნუთუ ბუნების კანონია, ფიქრობს ის, რომ ყველა წარმოსადეგ ვაჟკაცს საძაგელი ხმა ჰქონდეს, ნუთუ აუცილებელია, რომ ყოველი შეხვედრა იმედგაცრუებით ჩაუშხამდეს?! სამაგიერო რომ მიუზღოს, ვერა გამოაჯავრებს:

- ძალიან გამოცვლილხართ მას შემდეგ, რაც უკანასკნელი იყავით.

მამა მარჩი ჩაიცინებს. მხოლოდ წუთით გამოაჩენს თამბაქოსფერ კბილებს, თითქოს ჩინი ხანგრძლივი სიცილის ნებას არ აძლევდეს: ეს კაპიტნის სიცილია.

- მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა და უკანანი წინა, - მიუგებს.

ვერა ცოტა არ იყოს შეცბუნებულია, გადაკვრით ნათქვამს ვერ იგებს, მაგრამ მარჩი ისეთი კმაყოფილებით კუმავს შავტუხა, ნაძერწ ტუჩებს, რომ შეუძლებელია, რამე ნართაული არ იყოს თქმულში. ვერა განზე იყურება და როგორც ყოველთვის, როცა

ეშინია სულელი არ გამოჩნდეს, მუქწაბლისფერ თვალებს ჭუტავს; იცის, რომ ამით მათი ხავერდოვანი სიღრმე კიდევ უფრო მშვენდება.

- რატომ? - და მაშინვე ენას კბილს აჭერს. - თუმცა არა, უმჯობესია, არ გკითხოთ!

- რა უნდა გეკითხათ?

- არაფერი. დამავიწყდა, ვის ველაპარაკები.

- არა, ძალიან გთხოვთ. ხომ იცით, ნათქვამია: ითხოვეთ და მოგეცეთო.

მამა მარჩი იმედოვნებს, რომ თუკი საუბარს ღვთისსაგმობელი სიტყვების მარილს მოაყრის, შეიყოლიებს და მერე მოიგდებს ხელში ამ ოქროს მტრედს, ამ წითურ ბეღურას. გრძნობს, რომ ვერა ახლა ჰკითხავს - ცოლი რად არ შეირთეთო. ძნელი კითხვაა. ამ კითხვაზე თვითონაც ხშირად უძებნია პასუხი. იქნებ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ომის დროს ქალი ძალზე უბადრუკად გამოიყურება. მისი მაზანდა კლებულობს, ირკვევა, რომ მათი ყიდვა სულ იაფად შეიძლება - შოკოლადის ფილად

ღამეში. ამ ფასსაც მამაკაცები აწესებენ და არა ისინი, და როდესაც უნებლიეთ მიხვდები ამას, ყიდვას აღარ ჩქარობ. მაგრამ ვერას ამას ხომ ვერ ეტყვის. მართლაც ეს კითხვა ადგა ქალსენის წვერზე. ერთიც ვნახოთ, მას სულ სხვა რამ იზიდავს? ვერა უნდობლად ეკიდება მღვდლებს და სალუქ მამაკაცებს. ეს კი ერთიც არის და მეორეც.

- რამ მოგიყვანათ დღეს? წინათ არასოდეს მინახიხართ შეჯიბრებებზე, აქ მხოლოდ საერთო ლოცვებზე მოდიოდით. - ეკითხება ვერა.

- მე მოველი, - მიუგებს მამა მარჩი, - ორმოცი ბიწიერი კრავის სამწყემსავად, რომლებიც ჩემს საკვირაო სკოლაში დაიარებიან. არ ვიცი, რაში დასჭირდა, მაგრამ ზიმერმანმა გასულ კვირას ცის მანანასავით დააფრქვია მათ კალათბურთის ბილეთები.
- და მაინც რატომ? - იცინის ვერა. ყველაფერი, რაც ამცირებს ზიმერმანს, სიხარულით ავსებს ქალის გულს.
- რატომ?..

ყორნისფერი, მოშვილდული წარბები ორ ლამაზ რკალად ეკვრის მამა მარჩის თვალებს, რომელთა სხივჩამდგარი გუგები ახლა შავი კი არა, მუქი ნაცრისფერი და დაწინწკლულია, თითქოს ბროლში საფანტი გაბნეულაო. ამ კაცის სიცოცხლე ბევრჯერ ყოფილა საფრთხეში, ალბათ ათასი საშინელება უნახავს, ვერას აღელვებს ამაზე ფიქრი. გული მღელვარებისაგან ამოვარდნაზე აქვს, უნდა ხელი წაივლოს მკერდზე, მაგრამ თავს იკავებს. სველ ტუჩებს უკვე სიცილი უთრთოლებს, მანამდე, სანამ მამა მარჩი მოჩვენებითი აღშფოთებით მოჰყვებოდეს.

- რატომ და გადამიტანა თან ამ ჩემმა მრევლმა! - ამბობს ის განზრახ მკაცრი სახით, ოდნავ თვალებგადმოკარკლული. - ქალები ეკლესიისათვის თვეში ერთხელ გამოაცხობენ პურს და იმასაც ერთმანეთს მიჰყიდიან ხოლმე. ქალაქელი ლოთები ყოველდღე ტელეფონით მირევენ. კვირაობით კი მთელი მრევლი მოდურ ქუდებში გამოპრანჭული გამომეცხადება საღვთო წერილის მოსასმენად.

წარმატება ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს; ვერას სიცილის თბილ ტალღებს ზეცად

აჰყავს მამა მარჩი და ის წარბშეუხრელად განაგრძობს ქილიკობას, როგორც ოდესღაც სიშმაგის ჟამს, დანაღმულ ველზე დარჭობილი გამაფრთხილებელი ნიშნის გარშემო როკავდა ხოლმე სამხედრო ცეკვას სათანადოდ მოკაზმული, უძლეველი და განუსჯელად მამაცი ინდიელი სიუქსი. მართალია, მისი რწმენა ლითონივით მტკიცე და ურღვევია, მაგრამ სამაგიეროდ, ლითონივით მკვდარია იგი. და თუმცა მამა მარჩს ყოველთვის შეუძლია აიღოს და აწონ-დაწონოს ის, რწმენას არ აქვს ხელები, რომ დაიჭიროს იგი. და მამა მარჩიც დასცინის მას.

ვერაც მოხარულია, ამგვარ საუბარში რომ ჩაითრია კაცი. თითქოს ძველ, მუნჯ ფილმს უჩვენებდეს, რომლის კადრები ზედიზედ მისდევს ერთმანეთს, მამა მარჩი ძუნწი ფერებით უხატავს მას ეკლესიას - ცარიელ სახლს, სადაც ხალხი ჩვეულების ხათრით დადის, თავს იდრეკს და ამბობს „გმადლობთ“, თითქოს შიგ

მასპინძელი იყოს. ვერას მუცლიდან მხიარული ბუშტები ამოდის და ტკრციალით სკდება ყელში; ოღონდაც, აი, ეს უნდა მას მამაკაცისაგან, მეტს არაფერს ითხოვს, აცინონ მხოლოდ. სიცილში ახლად იბადება მისი სინორჩე, მისი უბიწოება. ალუბლისფერი პომადით მოხატული მისი ტუჩები გაპობილა და მხიარულებას გზას აძლევს; ღრძილები უელავს, შეფაკლულ

სახეზე გამოცოცხლება აღბეჭდია - ეს გოგონას სახეა, ოღონდ აღსავსე სიცოცხლითა და მშვენიერები. უხეში შალის შარვლიანი ბიჭუნა, რომელიც დასაკეცი სკამების გროვაზე ამძვრალა და ამ მოფამფალებული ტივით დაცურავს მღელვარე ბრბოს ხმარა ოკეანეში, ძირს იცქირება, რომ გაიგოს, ეს კიდევ რაღა ხმაურია დაბლაო. ქვევით ის ხედავს წითელთმიან თავს, თითქოს საოცარი, ნარინჯისფრად მოლაპლაპე თევზი მალაყებს გადადიოდეს შეღებილ ხის თამასებზე. სიცილით დაოსებული ვერა უკან იხედება. მღვდლის დაწინწკლულ თვალებს ნისლი ეკვრის, მკვეთრად მოხაზული ტუჩები გაუბედავად და შემცბარად უთრთის. ისიც უკან იხრება: სკამები უწესრიგოდ აწყვია ერთმანეთზე და თითქმის ბუხრის თავის სიმაღლეზე წარმოქმნილა საფეხური, რომელსაც კაპიტნური გულცივობის უკანასკნელ ნაშთმოკრებილი მამა მარჩი მიყრდნობია. ასე იფარავს ქალს ბრბოსაგან; ისინი თითქმის განმარტოვდნენ.

„...და ის, სიყვარულის მარადიული ჭრილობით დაკოდილი, კვლავ მოისწრაფვის შენს კალთაში, უკან გადააგდებს ლამაზ კისერს (tereti cervice) და თვალს არ გაშორებს შენ, ქალღმერთს (inhians in te, dea), სევდიანი მზერა ხარბად ნთქავს სანუკვარ ხატს და მისი სუნთქვა ბაგეზე გეკონება“ *.

ჭაბუკ კალათბურთელთა შეხვედრა დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ მარკ იანგერმანი სახეალეწილია, მძიმედ სუნთქვას და ტანი ბაყაყივით აქვს გალიპული, ოლინჯერმა მაინც წააგო. მაყურებელთა ხროვა ახლა სხვა ხმაზე ბუბუნებს. ბევრი ფეხზე წამოდგა. ისინი კი, ვინც უკვე ქუჩაში გამოვიდნენ, ხედავენ, რომ მოუთოვია. მუდამ, როცა კი ზეცა ამ წყალობას გაიღებს, თავიდან გვიპყრობს ხოლმე გაოცება. თოვლს ღრუბლებში ავყავართ, იუპიტერ პლუვიუსთან. მაინც რა ჯარია! შესასვლელის თავზე პაწია ფიფქების ჯარი დაუსრულებლად ცვივა მიწაზე სინათლის ყვითელ სამეფოში! ატომები, ატომები, უთვალავი ატომი. საფეხურები უკვე მოგებულა თხელი, ფაფუკი ნოხით. გზატკეცილზე მანქანებმა სიჩქარეს უკლეს, შუშის საწმენდი ისრები ახმაურდა, ფარები აენთო და მის ირგვლივ აცეკვდა ფანტელები. თითქოს მხოლოდ იქ ბარდნიდეს, სადაც სინათლის შუქი ეცემა. ოლტონისაკენ მიმავალ ტრამვაის უკან ციცინათელების შლეიფი მისდევს. იგი ნელ-ნელა ეშვება ძირს. რა ბევრის მთქმელი სიჩუმე გამეფებულა ირგვლივ! მშფოთვარე, ღამეული ცის

უზარმაზარ, იასამნისფერ თაღქვეშ ოლინჯერი ახალ ბეთლემად ქცეულა. მბრწყინავ ფანჯრებს მიღმა ყრმა უფალი ტირის. არარაობიდან იშვა ყველაფერი. ფანჯრის მინები ახშობენ ყვირილს, სარკმელზე ბაგიდან მოზიდული ჩალა აუკრავთ. ქვეყანას კი არაფერი ესმის და

ძველებურად განაგრძობს ცხოვრებას. ქალაქის თეთრი სახურავები მიტოვებული ტაძრების კრებულს ჰგავს; შორს ისინი ერთდება, ნაცრისფერში იძირება და დნება. შეილ-ჰილი არ ჩანს. სიყვითლე მოსდებია ზეცას; დასავლეთით, ოლტონის თავზე ძოწისფერი ელვარება ამოდის. ზენიტიდან მშვიდად იღვრება იასამნისფერი სინათლე, შიგ თითქოს მთვარისა და ვარსკვლავების შუქია გამდნარი და ამ ხსნაში სუსტი ელექტროდენია გატარებული. სიმძიმის, მუქარის სუსტი შეგრძნება სასიხარულო ღელვას იწვევს. ჰაერი მკვეთრი სტვენით ეშვება დაბლა, ეს პედალირებული ნოტია, სამყაროში ამოვარდნილი ქარიშხლის ქვემოთა „დო“. ლიფლიფები ტრამვაის ხაზთა გაყოლებით გამწკრივებულან და კაშკაშა ავანსცენა მოუწყვიათ, რომელზედაც მსუბუქი ქარის მიერ ახვეტილი და აფარფატებული თოვლის მსახიობივით შეშდება და ძირს ენარცხება. ზევით მსრბოლი ჰაერის ნიაღვრები აკავებს თოვლს, მაგრამ ის თავს ითავისუფლებს და ვნებიანი მიჯნურივით მოისწრაფვის ქვევით, დედამიწის მკლავებში. ხან სქლად ბარდნის, ხანაც მეჩხერია ფიფქი, თითქოს უზარმაზარი ფეხები დააბოტებენ უსაზღვრო, ციურ სივრცეში. ქარბუქი მოდის. ქარბუქი მოდის, მაგრამ აღარ მიდის.

სკოლაში დარჩენილებმა არაფერი იციან ამინდის შეცვლის შესახებ, მაგრამ, ოკეანის დინებაში მოყოლილი თევზებივით, გრძნობენ რაღაც ცვლილებას. დარბაზს გამოცოცხლება ეტყობა. ირგვლივ მყოფი საგნები უბრალოდ კი არ მოჩანს, არამედ ყველას თვალში ეცემა: ხმაური მატულობს. ყველას გულში თავხედობა იღვიძებს. პიტერს გასასვლელისაკენ მიჰყავს პენი და ისინი დერეფანში ჩერდებიან. პიტერს პენისთვის მიცემული პირობა არ ასვენებს და ტვინი უდუღს, მაგრამ, პენის ეტყობა, ყველაფერი დაავიწყდა. პიტერი მეტისმეტად ახალგაზრდაა და ვერ ერკვევა ყველა იმ ძნელად შესამჩნევ წვრილმანში, ქალის სახის ათასნაირ ფერისცვალებაში, რომელიც მოლოდინსა და თანხმობას გამოხატავს. სკოლის საბჭოს მიერ გახსნილ ფარდულში პენისთვის კოკა-კოლას ყიდულობს, თავისთვის კი - ლიმონათს. ფარდულის ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა; ისინი კედელთან მიმწყვდეული აღმოჩნდნენ. აქ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჰკიდია ძველი სპორტული გუნდების ფოტოსურათები. პენის ბოთლი მიუყუდებია, ნეკი განზე გაუშვერია, როცა სმას ამთავრებს, პიტერს აჩერდება თავისი ქორფა სიმწვანეგადაკრული თვალებით.

პიტერი ისევ თავის ფუფხზე ფიქრობს, მძიმე ლოდად აწევს გულზე ეს საიდუმლო;

გაუმხილოს თუ არა? თუკი ის პენის თავის სირცხვილს უწილადებს, განმტკიცდება ნეტავი ამით მათი სიახლოვე? თუ პენი სამუდამოდ მიეჯაჭვება მას სიბრალულის ჯაჭვებით და მისი მონა გახდება? მერედა განა შეუძლია მას, ასე ახლაგაზრდას, მონის ყოლის უფლება მისცეს თავს? ამ სასტიკ ვარაუდში ჩაფლული, თავის ცეცხლისფერ პერანგში ზურგს აქცევს ბრბოს, რომელიც ფარდულის გარშემო ღელავს და ბუყბუყებს. უცებ ვიღაცის რკინისებური თათები აცხრება და მკლავზე უჭერს იდაყვს ზემოთ - ამ იდიოტების ასეულიდან იქნება ვინმე.

მაგრამ ეს მისტერ ზიმერმანია, დირექტორი. მას პენისათვისაც ჩაუვლია ხელი, დგას და იღიმება, ხელს არც ერთს არ უშვებს.

- გაებით მახეში, - ამბობს ის, გეგონება მართლა წყვილი ჩიტი მოიმწყვდიაო.

პიტერი გაბრაზებით ექაჩება თავის ხელს, მაგრამ დირექტორის თითები უფრო ღრმად ესობა მკლავში.

- თანდათან მამამისს ემსგავსება, - ეუბნება ზიმერმანი პენის და შეძრწუნებული პიტერი ხედავს, რომ დირექტორის ჩაცინებაზე პენისაც ეღიმება. ზიმერმანი პიტერზე დაბალია, მაგრამ პენიზე მაღალი. ის თავს აკანტუნებს და ახლოდან ასიმეტრიული, გამელოტებული თავი უზარმაზარი ჩანს. პიტერს ბრაზი ახრჩობს, როცა ამ სულელს უცქერის.

- მისტერ ზიმერმან, - ამბობს ის, - თქვენთან შეკითხვა მაქვს.

- მამამისივით ესეც სულ შეკითხვებს იძლევა, - ეუბნება ზიმერმანი პენის და პიტერს ხელს უშვებს, ახლა მხოლოდ პენის მკლავს ებღაუჭება.

- მინდოდა მეკითხა თქვენთვის, - ეუბნება პიტერი, - რაში გამოიხატება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჰუმანური ღირებულება?

პენი ნერვიულად ხითხითებს, საოცრად სულელური გამომეტყველება აქვს. ზიმერმანი კითხულობს: - საიდან მოიტანე ეს წინადადება?

პიტერმა ძალიან შორს შეტოპა. წითლდება, გრძნობს, რომ მამა გაყიდა, მაგრამ სიამაყე უკან დახევის ნებას არ აძლევს.

- შეფასებიდან, რომელიც თქვენ მამაჩემს დაუწერეთ.

- გაკითხებს ხოლმე ჩემს შეფასებებს? და გგონია, სწორად იქცევა?

- არ ვიცი. ის, რაც მამაჩემს ეხება, მეც მეხება.

- ჩემი აზრით, ძალიან მძიმე ტვირთი დაუკისრებია შენთვის. პიტერ, ძალიან ვაფასებ მამაშენს, მაგრამ, ალბათ, თვითონაც კარგად გესმის, - შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, - ის ხშირად უპასუხისმგებლობას იჩენს.

ყველა შესაძლო ბრალდებიდან ეს ყველაზე უსამართლოდ ეჩვენება პიტერს. მამამისი, ფერმიხდილი, ძლივს რომ დალასლასებს, ბრმასავით რომ ჩამოდის კიბეზე, მუყაოს ყუთში ჩამწყვდეული მოვალე...

- და ეს უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს იმათ, - რბილად განაგრძობს ზიმერმანი, - ვინც მას გარს არტყია.

- ჩემი აზრით, ის ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს, - მიუგებს პიტერი და მონუსხულივით მისჩერებია ზიმერმანს, რომელიც ნელა, ალერსიანად უსვამს ცერს მკლავზე პენის. პენი ამას მორჩილებით იტანს; პიტერს უეცრად თვალი აეხილა. ამ კახპისთვის, აი, ამ თოჯინასთვის უნდა გაემხილა თავისი სანუკვარი ლაქების ამბავი! ზიმერმანი მთლად გაიბადრა.

- რა თქმა უნდა, შენ მას სულ სხვა თვალით უყურებ. მეც ასე ვუყურებდი მამაჩემს.

ეს ორი ბევრ რამეს ხედავს ერთნაირად; სხვა ადამიანები ორივესთვის მხოლოდ ასპარეზია საკუთარი „მე“-ს გასამტკიცებლად. ამგვარი ნათესაობა იმის საფუძველია, რომ მათ შორის შეიძლება შუღლი ჩამოვარდეს; პიტერი გრძნობს ამას, გულითადობასთან შერწყმული მტრობა და ნდობაში შეპარული შიში უვსებს გულს. მაგრამ დირექტორი მოტყუვდა, როცა მასთან დაახლოებას შეეცადა. დუმილი და

უკარებლობა ყველას ამარცხებს. პიტერი სახეში უყურებს მას, და ენის წვერზე მომდგარი მიუტევებელი თავხედობა რომ შეიმაგროს, მზერას არიდებს. გრძნობს, რომ ცალ მხარეს კისერი უწითლდება, როგორც დედას ემართება ხოლმე.

- პასუხისმგებლობის მეტი არაფერი ახსოვს, - ამბობს ის მამაზე. - სწორედ ახლა კუჭის რენტგენზე გაშუქება მოუხდა, მაგრამ ამაზე უფრო კალათბურთის ბილეთები ადარდებს, ის რაღაც შეკვრა რომ დაეკარგა.

- ბილეთებიო?! - სწრაფად ეკითხება ზიმერმანი და პიტერი გაოცებული ხვდება, რომ ვინძლო გაუსწორა ანგარიში. ზიმერმანი მისკენ იხრება და ახლა აშკარად ეტყობა სახეზე ნაოჭები; ის უფრო ხნიერი ჩანს. პიტერი გულში ზეიმობს, რომ ამ უპირატესობით მაინც იძიებს შურს მამის მტერზე: მას უფრო მეტი ხნის

სიცოცხლე დარჩენია. ახლა, აქ, ის უსუსური არარაობაა, სამაგიეროდ, მომავლის პერსპექტივაში ძლიერია; ზიმერმანი რაღაცას ჩურჩულებს, მგონი, დაბნეულია.

- ამის შემდეგ მომიწევს მასთან მოლაპარაკება, - ლუღლუღებს ის თავისთვის.

დიახ, პიტერმა გადააჭარბა. იმის შიშით, რომ გამოუსწორებელი ვერაგობა ჩაიდინა, მუცელში წიწკნის, როგორც ბავშვობაში ემართებოდა ხოლმე, როცა დაგვიანებული, ტრამვაის ხაზების გასწვრივ გარბოდა დაწყებით სკოლაში.

- იქნებ, არცაა საჭირო? - მუდარისაგან ხმა ბავშვივით უწვრილდება. - გესმით, არ მინდა, რომ ჩემი გულისთვის მას რაიმე უსიამოვნება შეხვდეს.

ძალის სასწორი კვლავ დირექტორისაკენ იხრება. ზიმერმანი ხელს უშვებს პენის, თითებს აერთებს, თითქოს წკიპურტის გასარტყმელად ემზადებაო, და ხელი პიტერის სახისაკენ მიაქვს. ეს საშინელი წუთია: პიტერი თვალებს ახამხამებს, თავზარდაცემულია. სუნთქვაშეკრული ელოდება. ხელმა მის სახესთან გაისრიალა და კედელზე, პიტერის მხარზემოთ დაკიდებულ ფოტოსურათს მსუბუქად მიუკაკუნა.

- ეს მე ვარ, - ამბობს ზიმერმანი.

სურათზე სკოლის სპორტული გუნდია გადაღებული 1919 წელში. ყველა ძველი ყაიდის შავ სვიტერშია გამოწყობილი, კაპიტანს კი თეთრი შარვალი აცვია და ჩალის

ქუდი ჰხურავს. უკანა პლანზე გამწკრივებული ხეებიც კი ძველი ყაიდისაა - ეს ის ხეებია, ხანაგის გზის გაყოლებით რომ ხარობენ, ოღონდ მაშინ უფრო დაბლები იყვნენ, გეგონება, ხელოვნური ყვავილებიაო. ბევრ ადგილას სურათი შეყვითლებულია. ზიმერმანის დანაოჭებული, მკვრივი და ლაპლაპა, გაპრიალებულფრჩხილიანი თითი, ახლანდელი თითი, მაშინდელ ნამცეცა სახეს მიბჯენია. პიტერი და პენი ძალაუნებურად უყურებენ სურათს. საინტერესოა, რომ ზიმერმანის ცნობა ხელადვე შეიძლება, თუმცა მაშინ უფრო ტანწყობილი ყოფილა და ხშირი შავი თმა ჰქონია. მსხვილი ცხვირი უხერხულად ამოჩრილა ოდნავ მოღრეცილ ტუჩებს ზემოთ, რომლებიც მთლად წარბების პარალელური არ არის, და ამის გამო ახალგაზრდა სახეს მძიმე სიჩლუნგე, უზომო სიფრთხილე და ჯიუტი სისასტიკე დაჰყინვია, რაც ახლაც, ხანდაზმულ ასაკშიც შველის იმათ მორჯულებაში, ვინც გამომწვევ და თავხედურ საქციელზე სდებს თავს.

- ჰო, ეს თქვენ ხართ, - დაბნეულად მიუგებს პიტერი.

- ჩვენ არასოდეს წაგვიგია.

და თითი, ასეთი ყველგანმყოფი და ცხადად არსებული, დაბლა ეშვება. ზიმერმანი მეტს აღარაფერს ამბობს, უზარმაზარ ზურგს შეაქცევს მათ და მიდის. მოსწავლეები ჩოჩქოლით იხევენ უკან, რომ მას გზა უტიონ.

ვესტიბიული ცარიელდება, უფროსკლასელების მატჩი იწყება. პენის შიშველ მკლავზე ზიმერმანის თითების კვალი ამჩნევია. მას მკლავზე წაუვლია ხელი და ზიზღით მანჭავს სახეს.

- ასე მგონია, აბაზანა უნდა მივიღო, - ამბობს პენი და პიტერი ხვდება, რომ მართლა უყვარს ის. ისინი ხომ თანაბრად უძლურნი იყვნენ ზიმერმანის კლანჭებში. პიტერს დერეფნით მიჰყავს პენი. თითქოს დარბაზში დაბრუნება უნდაო; მერე დერეფნის ბოლოში ორმაგ კარს ხელს ჰკრავს და ქალიშვილს ზევით ეწევა, ჩაბნელებული კიბისაკენ. ეს აკრძალულია. საღამოობით, როცა შეჯიბრებები ტარდება, კარს ჩვეულებრივ ბოქლომს ადებენ, ოღონდ ამჯერად დავიწყნიათ კარის დაკეტვა. პიტერი ნერვიულად იხედება უკან, მაგრამ არავინაა მათი შემჩერებელი, ყველა დარბაზში შესულა თამაშის საყურებლად.

ისინი უკვე პირველ საქცევზე არიან, ქვევიდან აღარ ჩანან. გოგონების შესასვლელთან დაკიდებული ნათურის შუქი ფოლადის გისოსებიან ფანჯრებში ატანს და სინათლის დაბრეცილი რომბები ფანტავს სიბნელეს, ასე რომ პენი ყველაფერს დაინახავს. მისი შიშველი მკლავები ვერცხლისფრად ელავს, წითელი ტუჩები შავად მოუჩანს. პიტერის პერანგიც შავი ჩანს. ის ცალ სახელოს იხსნის.

- ძალიან სევდიანი საიდუმლოა, - ეუბნება პიტერი, - მაგრამ რადგან მიყვარხარ, ყველაფერი უნდა იცოდე.

- მოიცადე.

- რა იყო? პიტერი სმენას ამახვილებს, ჰგონია, რომ პენის ფეხის ხმა მოესმა.

- ნეტავი თუ იცი, რას ლაპარაკობ. აბა, რისთვის გიყვარვარ?

სიჩუმეში ღრიანცელი იჭრება, თითქოს მათ ირგვლივ ოკეანე ბობოქრობდეს. აქ, კობის საქცევზე სიცივე და სიცარიელე სუფევს. პიტერს ჟრუანტელი უვლის და თვითონვე აშინებს საკუთარი განზრახვა.

- რისთვის მიყვარხარ და, - მიუგებს ის, - იმისთვის რომ... გახსოვს სიზმარი რომ გიამბე, ვითომ ხედ იქეცი, მე კი ტირილი და ლოცვა მინდოდა.

- ალბათ, მარტო სიზმარში გიყვარვარ.

- ვითომ რატომ?

პიტერი სახეზე შეავლებს ხელს. ვერცხლი. პენის ტუჩები და თვალები შავია, უძრავი და ისეთი საზარელი, როგორც ნიღბების ჭრილი.

- შენ, ალბათ, სულელად მთვლი, არა? - ალერსიანად ეუბნება პენი.

- წინათ გთვლიდი, მაგრამ ახლა არა.

- უშნო ვარ.

- ახლა ლამაზი ხარ.

- ნუ მკოცნი, პომადა გადამცილდება.

- ხელზე გაკოცებ. - პიტერი ხელზე ჰკოცნის, მერე მაჯაში სწვდება და თავისი სახელოს ქვეშ მალავს მის ხელს. - ხედავ, რა უცნაური ხელი მაქვს?

- თბილია.

- არა. აქერცლილია კანი. აბა მოსინჯე.

- ჰო... ცოტათი. რა არის?

- ეგ არის.

პიტერი სახელოს იკაპიწებს და მკლავს შიგნითა მხრიდან აჩვენებს. ცივ, მეჩხერ სინათლეში ლაქები იასამნისფერია. უფრო ნაკლებია, ვიდრე პიტერი მოელოდა.

- რა არის? გამონაყარია? - ეკითხება პენი.

- ამას ფსორიაზი ჰქვია, დაბადებიდან მაქვს. ვერ ვიტან ამ საზიზღრობას.

- პიტერ!

პიტერი თავჩაღუნული დგას, საცაა ატირდება, მაგრამ პენი თავს უწევს. თვალები მშრალი აქვს და მაინც გრძნობს, რომ გულზე მოეშვა.

- ხელებზეც მაქვს და ფეხებზეც, მაგრამ ყველაზე საშინლად მკერდზე. გინდა გაჩვენო?

- ჩემთვის სულ ერთია.

- ალბათ, ახლა გძულვარ. გეზიზღები. ეს ზიმერმანის მიკარებაზე უარესია.

- პიტერ, შენ ახლა უბრალოდ გინდა, რომ საწინააღმდეგო გიმტკიცო, მაჩვენე მკერდი.

- გაჩვენო?

- ჰო. რა მოგივიდა? მაინტერესებს.

პიტერი პერანგს და საცვალს იწევს და დგას ასე, ნახევრად განათებული, ნახევრად შიშველი. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს საწამებლად გამზადებული ტყვე იყოს, ან მომაკვდავი მონის ქანდაკება, რომელიც მიქელანჯელომ მთლად არ გაათავისუფლა ქვის საფარველისაგან. პენი იხრება და ათვალიერებს. შეციებულ კანს თითებით ეხება.

- რა უცნაურია, - ამბობს ის. - ფიჭასავითაა.

- ზაფხულში გამივლის ხოლმე, - ეუბნება პიტერი და პერანგს ჩამოუშვებს. - როცა გავიზრდები, ზამთრობით ყოველთვის ფლორიდაში ვიცხოვრებ და სულ მომირჩება.

- ეს იყო შენი საიდუმლო?

- ჰო. მაპატიე.

- მე უარესს ველოდი.

- ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს? სინათლეზე, იცი, რა სიმახინჯეა! მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა მაპატიო. პენი იცინის, პიტერის ყურთან ვერცხლის ზარი წკრიალებს.

- რა სულელი ხარ. მე ვიცოდი, შენ რომ კანის დაავადება გჭირს, სახეზე გემჩნევა.

- ღმერთო ჩემო, მართლა? ძალიან?

- არა. სულ არ გეტყობა.

პიტერმა იცის, რომ პენი ტყუის, მაგრამ სიმართლეს აღარ იძიებს, ამის ნაცვლად ეკითხება:

- ესე იგი, შენთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა?

- რა თქმა უნდა, არა. შენი რა ბრალია. ეს ხომ შენი ნაწილია.

- მართლა ასე ფიქრობ?

- შენ რომ იცოდე, რა არის სიყვარული, ამას არც შემეკითხებოდი.

- რა კეთილი ხარ!

მიტევების მისაღებად პიტერი კიბის საქცევზე, კუთხეში იჩოქებს და სახით პენის კაბას ეკვრის მუცელთან. მუხლები სტკივა და თავს უფრო დაბლა ხრის. ხელები კი უნებურად ეპოტინება ვერცხლს, იმის დასადასტურებლად, რაც შეიგრძნო ქსოვილქვეშ, და შიში და აღტაცება იპყრობს: იქ, სადაც პენის ფეხები ერთდება, არაფერია, არაფერია, გარდა ოდნავ შესამჩნევი, ნამიანი სისავსისა. აი

ის, სამყაროს უდიდესი საიდუმლოება, ეს უბიწოება, ეს სიცარიელე, ეს იდუმალი ბორცვი, აბრეშუმის საფარველქვეშ მიმალული ნაზი სიმკვრივე: პიტერი გარედან ჰკოცნის შალის ქვედაკაბის ქვეშ შეცურებულ საკუთარ თითებს.

- არ გინდა, - ეხვეწება პენი და გაუბედავად ჰქაჩავს თმაზე. პიტერი კი, რომელიც მისგან გაქცევას ლამობს და მასშივე ცდილობს დამალვას, უფრო მჭიდროდ ეკვრის მის სხეულს; მაგრამ ახლაც კი, როცა ყველაზე სანუკვარს ჩაჰკონვია, კვლავ ფხიზლობს მის გონებაში ყრუ და მღელვარე ფიქრი მამის სიკვდილზე. ამგვარად ღალატობს პენის, და როცა პენი, რომელიც ძლივს იმაგრებს ფეხებს, კიდევ უმეორებს: „არ გინდა პიტერ, შენი ჭირიმეო“, პიტერი მაშინვე ემორჩილება; გულში თავს იმით იმართლებს, რომ პენის ხმაში გულწრფელი შიში იგრძნობა. წამომდგარი, ის პენის აღარ უცქერის, ფანჯარაში იყურება და ახალ საოცრებას ხედავს:

თოვს.

საპირფარეშოში კოლდუელი განცვიფრებული კითხულობს სიტყვას „არაკი“, რომელიც დიდი, კვადრატული ასოებით დაუჩხაპნიათ კედელზე. მერე ყურადღებით აკვირდება, და ამჩნევს, რომ ასოები გადასწორებულია: ვიღაცას „ტ“ წაუშლია და „ა“ დაუწერია. კოლდუელისათვის, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ცნობისმოყვარე რჩება, აღმოჩენაა ის ამბავი, რომ ყოველთვის შეიძლება ამ სიტყვის ასე

გადაკეთება. ნეტავი ვინ იზამდა? მას არ ესმის იმ ბიჭის ფსიქოლოგია (ეს კი ბიჭის გაკეთებული უნდა იყოს), რომელმაც სიტყვა გადაასწორა და ამრიგად თვით სიბილწე წაბილწა. ამის გამო უსიამო აზრები იპყრობს; საპირფარეშოდან გამოსული ცდილობს ჩასწვდეს იმ ბავშვის გონებას, წარმოიდგინოს მისი ხელი და დერეფანში მიმავალს ეჩვენება, რომ სწორედ ის აწუხებს, იმ ბიჭის ხელი რომ ვერ წარმოუდგენია. ნეტავ მის ვაჟს თუ შეეძლო ამის ჩადენა?

ზიმერმანი, ეტყობა, მას უდარაჯებდა, დერეფანი თითქმის ცარიელია; სცენაზე მიმავალი კარიდან ზიმერმანი გვერდულად მოემართება მისკენ.

- ჯორჯ. იცის.

- ჯორჯ, თქვენ მგონი, იმ ბილეთების ამბავი გაწუხებთ?

- არა, არ მაწუხებს, უკვე ყველაფერი ამიხსნეს. ის ბილეთები ქველმოქმედების ანგარიშზე ჩამოვწერე.

- რატომღაც მახსოვდა, რომ გელაპარაკეთ ამის შესახებ. ალბათ, შევცდი.

- ტყუილად ავტეხე ასეთი ამბავი. არ ვიცი, რამ დამიბნელა გონება.

- ძალიან საინტერესო საუბარი მქონდა თქვენს ვაჟთან.

- მართლა? რა გითხრათ ისეთი?

- ძალიან ბევრი რამ.

მის ჰერცოგი, მან იცის, რომ ვიცი, ყველაფერი დაიღუპა, ის ამბავი გამჟღავნდა, აღარაფერი დაიმალება. ერთხელ და სამუდამოდ, უკან დასახევი გზა მოჭრილია, არცოდნაშია ნეტარება. აყლაყუდა მასწავლებელს თავით ფეხამდე ცივი ჟრუანტელი უვლის. არასოდეს შეუპყრია ასე ძლიერად დაღლილობას, სიცარიელეს და ყოველი ღონის ამაოების შეგრძნებას. მისი სხეული ლამობს გაექცეს ამ ჭიდილს, ხელისგულები და შუბლი დაეცვარა, მაგრამ ეს ოფლიც არ არის, რაღაც მკვრივი გარსია.

- ალბათ, არ უნდოდა ჩემთვის უსიამოვნების მოყენება, მაგრამ საწყალმა ბიჭმა თვითონაც არ იცის, რას ჩადის, - ეუბნება კოლდუელი დირექტორს. ტკივილი, თვით დაუცხრომელი ტკივილიც კი მოიქანცა მასში.

ზიმერმანი თითქოს ღრუბლებს შორის დატანებულ ნასვრეტში ხედავს, რომ კოლდუელს მისის ჰერცოგის ამბავი უხეთქავს გულს და ზეიმობს, თავს უშიშრად გრძნობს, რადგან მისია ბურთი და მოედანი. მინდორში მონავარდე პეპელასავით თამამად და არხეინად დაფარფატებს თავზე შიშს, რომელსაც ეს ხორკლიანი, მობერებული სახე შეუბორკავს.

- პირდაპირ გაოცებული დავრჩი, - ამბობს ის, ვითომ სხვათა შორის, - ისე ზრუნავს პიტერი თქვენზე. ჩემი აზრით, ის ფიქრობს, რომ სკოლაში მუშაობა თქვენს ჯანმრთელობას ანადგურებს.

ნაჯახი შეიმართა, დიდება შენდა, ღმერთო, ამ წყალობისთვის, ახლა მაინც მოეღება ბოლო ჩემს წამებას. კოლდუელს ერთმა აზრმა გაუელვა თავში: ნეტავი დათხოვნის

ბრძანება ახლაც ყვითელ ქაღალდზე თუ იქნება დაბეჭდილი, როგორც ეს სატელეფონო კომპანიაში იყოო.

- მაშ ასე ფიქრობს?

- შეიძლება მართალიც არის. გამჭრიახი ბიჭია.

- დედამისს ჰგავს. ნეტავი ჩემი სუსტი ჭკუა და დედამისის სილამაზე გამოჰყოლოდა.

- ჯორჯ, გულახდილად უნდა გელაპარაკოთ.

- გისმენთ. ეს ხომ თქვენი მოვალეობაა.

მასწავლებელი საოცარმა თავბრუსხვევამ და მღელვარებამ აიტანა; უნდა, რომ ახლა უცებ ხელები მოიქნიოს, დაბზრიალდეს, იატაკზე გაიშხლართოს და ძილქუშს მისცეს თავი - რაც გინდა ის მოხდეს, სულ ერთია, ოღონდ კი არ იდგეს აქ და არ ითმენდეს ყველაფერ ამას ამ ყოვლისმცოდნე არამზადისაგან.

ზიმერმანმა თავის თავს გადააჭარბა პროფესიულ სიმარჯვეში. მის კეთილმოსურნეობას, ტაქტიანობას, დახვეწილ ზრდილობასა და თანაგრძნობას საზღვარი აღარ უჩანს. მთელი მისი ფიგურა გაჟღენთილია დამსახურებული უფროსული ავტორიტეტით.

- თუკი როდესმე, - ეუბნება ის დაბალი, გამოზომილი ხმით, - იგრძნობთ, რომ აღარ შეგიძლიათ მუშაობის გაგრძელება, მოდით და პირდაპირ მითხარით, სხვანაირად ცუდ სამსხურს გაუწევთ საკუთარ თავსაც და მოსწავლეებსაც. ერთი წლის შვებულებას ყოველთვის მოგიხერხებთ, ამის გაკეთება მე არ გამიჭირდება. რა მოხდა, ეს სირცხვილი კი არ არის. შემოქმედების ნახევარი გზა კიდევ წინა გაქვთ, დაისვენეთ, იკითხეთ, ამაზე ბუნებრივი რა უნდა იყოს მასწავლებლისათვის? ჯერ მხოლოდ ორმოცდაათი წლის ხართ, სკოლას ეს ზიანს არ მოუტანს; ახლა, როცა ამდენი ხალხი დაბრუნდა ჯარიდან, მასწავლებლების მეტი რაა, ომის დრო კი აღარ არის!

ნაძენძი, მტვერი, ფურთხი, სიღატაკე, - ყველაფერი ის, რითაც გამოტენილია ხელოვნურად შექმნილი, საიმედო სამყაროს მიღმა დარჩენილი სანაგვე თხრილები, ერთბაშად შემოიჭრა ამ უკანასკნელი, პატარა ჩხვლეტით გაჩენილი ნასვრეტიდან.

- ღმერთო ჩემო, სკოლიდან რომ წავიდე, მაშინ სანაგვეზე უნდა მისროლონ. სხვა არაფრისთვის ვვარგივარ. არც ოდესმე ვვარგოდი. წიგნები არასოდეს მიკითხავს. არც არასოდეს მიფიქრია. ამისი მუდამ მეშინოდა. მამაჩემი კითხულობდა, ფიქრობდა, და სასიკვდილო სარეცელზე რწმენა დაჰკარგა. - ამბობს კოლდუელი. ზიმერმანი ხელის შემწყნარებლური მოძრაობით აჩერებს მას:

- თუ ის უკანასკნელი შეფასება გაწუხებთ, გახსოვდეთ, რომ ჩემი ვალია, სიმართლე გითხრათ, მაგრამ პავლე მოციქულის თქმის არ იყოს, გეტყოდეთ სიყვარულით...

- ვიცი. თქვენ უსაზღვროდ კეთილი იყავით ჩემს მიმართ მთელი ამ წლების განმავლობაში. ვერ გამიგია, ასე რის გულისათვის მელოლიავებით.

კოლდუელს უნდა, რომ იცრუოს, დაარწმუნოს ზიმერმანი, რომ მას არ დაუნახავს, როგორ გამოვიდა მისი კაბინეტიდან თმაგაწეწილი მიმ ჰერცოგი. მაგრამ თავს იკავებს. უაზრობაა. ხომ დაინახა. ეშმაკმა დალახვროს, მათხოვრობას ხომ არ დაიწყებს. თუ დასახვრეტად მიჰყავთ, სხვების დაუხმარებლად მაინც წავა, საკუთარი ფეხით.

- თქვენთვის არავის მოუცია შეღავათი, - ამბობს ზიმერმანი. - ძალიან კარგი მასწავლებელი ხართ.

ამ გასაყეყეჩებელი წინადადების შემდეგ ზიმერმანი მიდის.

არც ერთი სიტყვა მიმ ჰერცოგზე, ან სამუშაოდან დათხოვნაზე. კოლდუელი ყურებს არ უჯერებს. ხომ არაფერი გამორჩა? იქნებ, ნაჯახი უკვე დაუშვეს, მაგრამ ისეთი ბასრი იყო, რომ ვერც კი შეიგრძნო; იქნებ, ტყვიამ შეუმჩნევლად გაუარა, თითქოს აჩრდილი გაეგმიროს? ნეტავ რას გულისხმობდა ზიმერმანი? დირექტორი უკან ბრუნდება:

- ჰო, მართლა, ჯორჯ...

აჰა, დაიწყო, კატათაგვობანა.

- იმ ბილეთებზე.

- დიახ.

ნუ ეტყვით ფილიპსს ამის შესახებ, - ზიმერმანი თვალს უკრავს. - ხომ იცით, რა ბუზღუნა ვინმეა. - კეთილი. გასაგებია.

დირექტორის კაბინეტის კარი მიიხურა - თეთრად გაიელვა შეღებილმა შუშამ. კოლდუელს ვერ გაუგია, ნამდვილად შეღავათი იგრძნო, თუ ავადმყოფობის ბრალია, მუხლები ასე რომ უკანკალებს და ხელები ერთმევა. მაგრამ ფეხები ჯერ ისევ სჭირდება, ისინი კი აღარ ემორჩილებიან. მისი ტორსი ნელა მიცურავს დერეფანში. მოსახვევში მასწავლებლის გამოჩენამ დააფრთხო გლორია დევისი. კეჯერაიზს ის კუთხეში მიუჭყლეტია და მისი ფეხი მუხლებში აქვს გამომწყვდეული. ამანაც იპოვა რაღა ხვითო - რა აღარ უნახავს და უკეთესი ვერ უშოვია! კოლდუელი მათ ყურადღებას არ აქცევს, დარბაზში შედის და გვერდს უქცევს შეჯგუფებულ ყოფილ მოსწავლეებს, ერთ-ერთი მათგანი ჯეკსონია, დანარჩენების გვარი აღარ ახსოვს. ისინი თამაშს უყურებენ, მკვდარი სულები. რახანია, სკოლასთან აღარაფერი აკავშირებთ და იმდენი ჭკუაც არ ყოფნით ამ უბედურებს, რომ ახლა მაინც მოსცილდნენ აქაურობას. ახსენდება, ჯექსონი რომ მოინახულებდა გაკვეთილების შემდეგ, გულის გამაწვრილებელ გეგმებს გადაუშლიდა და ერთთავად ასტრონომიის სიყვარულზე ელაპარაკებოდა,

უამბობდა, თავისი ხელით როგორ გააკეთა ტელესკოპი ბანდეროლის მუყაოს მილებისა და გამადიდებელი შუშებისაგან. ახლა კი ამ საცოდავს ხელობაც კი არა აქვს, წყალსადენის ოსტატს დაუდგა შეგირდად, საათში 75 ცენტს იღებს და იმასაც სასმელში ხარჯავს. მაგრამ რას იზამ, ძალიანაც რომ გინდოდეს, რას უშველი? ის თვალს არიდებს თავის ნამოწაფრებს, ეს ყურჩამოყრილი სიფათები ოთხში ამოღებულ და გამოშიგნულ საკლავს აგონებენ, კავებზე რომ ჰკიდია უზარმაზარ სასტუმრო ატლანტიკ-სიტის მაცივარში, სადაც ის ოდესღაც მუშაობდა. დამპლები. გვერდით გაუხვია და პირდაპირ შეეჩეხა ბებერ კენი კლეგლს, უმცროს პოლიციელს - ეს გაჭაღარავებული, თმაგადასლექილი კაცუნა, მოუსვენარი თვალებითა და კეთილი, ბებრული ღიმილით, დიდი ამბით რომ გამოჯგიმულა თავის ლურჯ მუნდირში, სკოლაში ღამის მორიგედ მუშაობს და ღამეში ხუთ დოლარს იღებს; ის ბრინჯაოს ცეცხლმქრობის გვერდით დგას და იმაზე მეტად არც ფასობს - რამე რომ მოხდეს, ერთიც ფურთხებას მოჰყვება და მეორეც. დიდი ხანია, რაც კლეგლი ცოლმა მიატოვა, მაგრამ აქამდე არ იცის ამის მიზეზი. რომ გაიგოს, აქვე გადაბრუნდება და სულს განუტევებს.

ნაგავი, სიდამპლე, სიცარიელე, ღრიანცელი, სიმყრალე, სიკვდილი. ამ მრავალსახოვან აჩრდილს გამოქცეული კოლდუელი ღვთის წყალობით მამა მარჩს გადააწყდა - შავებში გამოწყობილი, თეთრსაყელოიანი მღვდელი დასაკეცი სკამების გროვას მიყრდნობილი კუთხეში იდგა ვერა ჰამელის გვერდით.

- მგონი, ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, - ეუბნება კოლდუელი. - მე ჯორჯ კოლდუელი ვარ, აქ ბუნებისმეტყველებას ვასწავლი.

მარჩი იძულებულია ვერასთან საუბარი შეწყვიტოს, გაწვდილი ხელი ჩამოართვას და თავშეკავებით, მოკლედ შეკრეჭილ ულვაშებში ჩამალული ღიმილით მიუგოს:

- თითქოს მართლა არ შევხვედრილვართ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი მსმენია თქვენზე და შორიდან გიცნობთ.

- მე ლუთერანი ვარ და თქვენს სამწყსოს არ ვეკუთვნი, - უხსნის კოლდუელი. - იმედია, ხელი არ შეგიშალეთ. საქმე ის არის, რომ ძალიან ბევრი რამ მიშფოთებს სულს.

მარჩი აღელვებით ადევნებს თვალს ვერას, რომელიც განზე იხედება და საცაა, ხელიდან დაუსხლტება, და ეკითხება:

- ნუთუ? მაინც, რა არის ამის მიზეზი?

- ყველაფერი, თუნდაც საქმეთაგან განმართლება. ძალიან მიჭირს ამის გაგება და თქვენი შეხედულება მაინტერესებს.

მარჩი თვალებს მოუსვენრად აცეცებს, კოლდუელს არ უყურებს, ბრბოს ათვალიერებს, იქნებ ვინმე ისეთი მოინახოს, რომელიც ამ აყლაყუდა, აბურძგლული მანიაკისაგან იხსნის.

- ჩვენი შეხედულება დიდად არ განსხვავდება ლუთერანულისაგან, - მიუგებს იგი. - იმედია, ოდესმე, რეფორმაციის ყველა შვილები კვლავ შეერთდებიან.

- თუ ვცდები, შემისწორეთ, თქვენო მაღალღირსებავ, - ეუბნება კოლდუელი, - მაგრამ, რამდენადაც მესმის, განსხვავება იმაშია, რომ ლუთერანები ამტკიცებენ - იესო ქრისტეს

უნდა მიენდოო, კალვინისტები კი ამბობენ: რაც უნდა მოგივიდეს, ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულიაო.

მოთმინებადაკარგული და ბრაზისაგან გაოგნებული მარჩი ვერასაკენ იშვერს ხელს, თითქოს უნდა დააკავოს ამ უგუნური ჩარევით დამფრთხალი.

- სასაცილო მსჯელობაა, - ორთოდოქსალური კალვინიზმი, მე კი უფრო ორთოდოქსად ვთვლი ჩემს თავს, ისევე ქრისტოცენტრულია, როგორც ლუთერანული მოძღვრება, და შეიძლება, მეტადაც, რადგან ჩვენ არ ვცნობთ წმინდანებს და არც რაიმე სუბსტანციურ გარდაქმნას ზიარების საიდუმლოებაში.

- მე მღვდლის შვილი ვარ, - უხსნის კოლდუელი. - ჩემი მოხუცი პრესვიტერიანელი იყო, და როგორც მან შემაგონა, არსებობენ რჩეულნი და უბრალო მოკვდავნი; რაც ღმერთს ერთისთვის მიუცია, მეორე იმას მოკლებულია და ვერც ვერასოდეს შეიძენს. მაგრამ ჩემი სისულელით იმაში ვეღარ გავრკვეულვარ, რაღა უბრალო მცოდავნი გაჩნდნენ პირველად. ამის ახსნა, ალბათ, მხოლოდ ერთი რამით შეიძლება - ღმერთისათვის აუცილებელი იყო, რომ ვინმესთვის მაინც ეკრა თავი ჯოჯოხეთში.

ოლინჯერის კალათბურთელები ანგარიშს ზრდიან და მარჩი იძულებულია ხმას აუწიოს, რათა კოლდუელს გააგონოს.

- ბედისწერას, - ყვირის ის, - უფლის განუზომელი გულმოწყალება აწონასწორებს. ხმაური კლებულობს.

- სწორედ ეგ არ მესმის, - მიუგებს კოლდუელი. - ვერ გამიგია, რაღაში გამოიხატება უფლის განუზომელი გულმოწყალება, თუკი ის არაფერს

შეცვლის; იქნებ, იგი მართლაც განუზომელია, მაგრამ ჩვენგან განუზომელი მანძილითვეა დაშორებული, - სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია.

მარჩს მუქ თვალებში სიანჩხლე უკრთის, ტანჯული გამომეტყველება აქვს. გრძნობს, რომ ვერას ევსება მოთმინების ფიალა.

- რა უაზრობაა! - გაჰყვირის ის. - კალათბურთის მატჩი შეუფერებელი ადგილია ასეთი საუბრისათვის. იქნებ, როგორმე შემოიაროთ ჩემთან, მისტერ...

- კოლდუელი, ჯორჯ კოლდუელი. აი, ვერა მიცნობს.

სახეგაბადრული ვერა მათკენ შემობრუნდა.

- ვინ მახსენა? ღვთისმეტყველებისა არაფერი გამეგება.

- ჩვენ უკვე მოვრჩით კამათს, - ეუბნება მამა მარჩი. - თქვენს მეგობარს, მისტერ კოლდუელს ძალიან თავისებური და მცდარი წარმოდგენა აქვს საბრალო, უმართებულოდ სახელგატეხილ ჟან კალვინზე.

- მე მასზე არაფერიც არ ვიცი, - თავს იცავს კოლდუელი, ხმა საცოდავად და უსიამოდ უწვრილდება, - ვცდილობ, ახლა მაინც გავიგო.

- შემომიარეთ დილით, როცა გნებავთ, ოთხშაბათის გარდა, - ეუბნება მარჩი. - კარგ წიგნებს მოგცემთ წასაკითხად.

და ამჯერად უკვე საბოლოოდ, გადააქვს ყურადღება ვერაზე, კოლდუელისაკენ ტრიალდება ლამაზი, თვითდაჯერებული პროფილით, რომელიც ძველ, რომაულ მონეტაზე გამოკვეთილს ჰგავს.

დახე ამ შინგაზრდილ არისტოკრატებს, მაგათთან ნერონიც გახუნდება, - ფიქრობს გამობრუნებული კოლდუელი. სიკვდილის აჩრდილით დამძიმებული და დაბანგული, თითქოს წყლის ზანტი, გამჭვირვალე მტაცებელია და ოკეანის ალმასივით მკვრივ სიღრმეებში შხამიან საცეცებს დააცეცებსო, მაყურებელთა ზურგსუკან მიიპარება და თვალებით დაეძებს ვაჟს. ბოლოს მხარმარჯვნივ, წინა რიგებში დაინახავს პიტერს.

საწყალ ბიჭს თმა აქვს შესაკრეჭი. მაგრამ დღეს კოლდუელი უკვე მორჩა საქმეებს, შინ უნდა წავიდეს და პიტერი წაიყვანოს. ადამიანები, რომლებიც მუდამ აღტაცებას იწვევდნენ მასში, დღეს ეზიზღება - მიკრობებივით ფუსფუსებენ ამ დახუთულ დარბაზში. ამას ხესის მწირი ფერმაც კი ჯობია. გარეთ კი ბარდნის. პიტერს არ აწყენდა გამოძინება.

მაგრამ პიტერის გვერდით, მრგვალი, ქერათმიანი თავი მოჩანს. კოლდუელმა იცნო - მეცხრეკლასელია, ფოგლმენის ქალი. ორი წლის წინ კოლდუელი მის ძმას ასწავლიდა.

ეს ფოგლმენები ისეთი ხალხია, შიგანიანად გადაგსანსლავენ, ძვლებს კი ნარეცხის კასრში გამოაფურთხებენ. გულქვა გერმანელები, თფუ!.. ტყუილად არ ზის პიტერი გვერდით, გაუელვებს თავში უეცრად. ნუთუ ეს შესაძლებელია? პიტერი ხომ ჭკვიანი ბიჭია. მაგრამ კოლდუელს მაშინვე აგონდება, რომ არა ერთხელ უნახავს პიტერი და პენი ერთად დერეფანში, კუთხე-კუთხე: წყლის სასმელ აუზთან - იდგნენ და იცინოდნენ; კარადასთან - მიყუჟულები, ჩაფიქრებულ პოზაში. კარებში - თითქოს ჩარჩოში იყვნენ ჩასმულნი, თეთრი სინათლის ფონზე ერთ მუქ სილუეტად შერწყმულნი. ხედავდა, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. ახლა კი მიხვდა და სიმარტოვე კიდევ უფრო მწვავედ შემოეგზნო. გამაყრუებელი ღრიანცელი შემოესმა - ანგარიში ოლინჯერის სასარგებლოდ იზრდება, და ბრმა სიშმაგე ოთხასი ენის წვერით ლოკავს მასწავლებლის შეწუხებულ გულ-გვამს.

ოლინჯერი იგებს.

პიტერი თვალს არ აშორებს კალათბურთის მოედანს, მაგრამ მოთამაშეებს ვერც კი ამჩნევს, მისი შინაგანი ხედვა ცოცხალ მოგონებას შეუპყრია: ის სახით ეკვრის მღელვარე სიცარიელეს პენის ფეხებს შორის. ვინ დაიჯერებს, რომ ის, ჯერ ისევ ყმაწვილი ბიჭი, ასეთი წყალობის ღირსი გახადეს?! ვინ იფიქრებდა, რომ მეხი არ გავარდებოდა და შურისმაძიებელი დემონები არ გაიღვიძებდნენ? ამ ხალხით გატენილ, გაჩახჩახებულ დარბაზში ვინ წარმოიდგენდა, რა უსასრულო წკვარამს ეკონებოდა ის ტუჩები? ეს მოგონება თბილი ნიღაბივით ელამუნება სახეზე და ვერ ბედავს თავისი სატრფოსაკენ მოხედვას, ეშინია, რომ პენი უეცრად საზარელ წვერს დაინახავს, შიშისა და სირცხვილისაგან შეჰყვირებს და სახეზე ჭირის ოფლი დაასხამს.

როცა პიტერი მამასთან ერთად სკოლიდან გამოდის და თოვლში მიაბიჯებს, ეჩვენება, ეს თოვლის წარღვნა ჩემმა მკრეხელობამ გამოიწვიაო. თავაწყვეტილი ქარი, რომელიც აღარაფერს ეპუება, წამდაუწუმ გამწარებით აყრის თბილ სახეში წკრიალა, ყინულოვან ქვიშრობს. პიტერი თოვლს გადაეჩვია. ეს ყოველი მხრიდან მომსკდარი დაუსრულებელი ღაღადისია. ის ცას უყურებს და თვალში ხვდება რაღაც მოვარდისფრო-მოლურჯო, იასამნისფერი, ჩამქრალი მოყვითალო-მარგალიტისფერი. თანდათანობით თვალს თუ შეაჩვევ, ძირს ჩამოსული მკრთალი ფერების ნიაღვარი ფრთის ბოლოს ემსგავსება, მერე კი მთელი ფრთა მოჩანს, ურიცხვი ბუმბულით

დაფარული. ეს ფრთა თითქოს გარშემო ყველაფერს გადაეფარა და შორს, შორს გაიშალა უხილავ ჰორიზონტს იქით. ახლა, როცა თვალები ამ სიხშირეზე მოიმართა, ყველგან ეს თეთრი თრთოლვაა. ქალაქსა და ყოველ შენობას მოღაღადე თეთრი ჯარი შესევია.

პიტერი ჩერდება ფარნის ქვეშ, რომლებიც ავტომობილების სადგომის უახლოეს კუთხეს დარაჯობს. ის განცვიფრებით იხედება ფეხებქვეშ. ქათქათა თოვლზე, რომელსაც უკვე დაუფარავს მიწა, კოღოებივით ირევა რაღაც შავი წერტილები. მერე ისინი სხვადასხვა მიმართულებით გარბიან და ყველა ერთ წერტილში ქრება. პიტერი თვალს ადევნებს მათ და ხედავს, რომ ყველა ისინი ამ წერტილისაკენ ისწრაფვიან და რაც უფრო შორს მიდიან, მით უფრო მატულობს მათი სისწრაფე. პიტერი კიდევ რამდენიმეს აკვირდება: ყველა ქრება. ეს მოვლენა ზებუნებრივი ჩანს. მაგრამ პიტერი უცებ გონივრულ ახსნა-განმარტებას პოულობს და მშვიდდება. ეს ფიფქების ჩრდილებია, რომლებსაც ფარანი ფანტავს. ფარნის ქვეშ მათი ფარფატით ცვენა უწესრიგო რხევად აიხსნება თოვლზე, მაგრამ ფარნის გარშემო, იქ, სადაც სხივები ირიბად ეცემა, ჩრდილის სიჩქარე, რომელიც თავისი ფიფქის შესახვედრად მიისწრაფის, პროპორციულად იზრდება. უსასრულობიდან ჩამოსული

პაწია ჩრდილები ნელ-ნელა თრთის, უკანსაკნელ წუთს თვალისმომჭრელად შავად გაკრთება და მაშინვე ქრება, როგორც კი მისი ორეული ქათქათა ზედაპირს აკოცებს. ეს სურათი აჯადოებს პიტერს; სამყარო, მისი უსაზღვრო მრავალფეროვნებითა და ცვალებადი მშვენიერებით, ახლა თითქოს ჯვარზე გართხმულა, გაჭიმულა, და მილურსმული პეპელასავით უძრავად გახევებულა უცილობელი გეომეტრიული ჭეშმარიტების ჩარჩოში. რაც უფრო უახლოვდება ჰიპოტენუზა ვერტიკალს, მით უფრო ნელა მცირდება სამკუთხედის კათეტი: ეს კანონია. ფიფქების მიზანდასახული ჩრდილები ჭიანჭველებს ჰგავს, მაღალი კოშკის ქვის იატაკზე რომ დაფუსფუსებენ. პიტერი ახლა სწავლულია და აუღელვებლად ცდილობს მიაგნოს კოსმოგრაფიაში, რომელსაც მამა ასწავლიდა, ანალოგიას მის წინ მიმდინარე მოვლენასა და სპექტრში წითელი ფერების გადაადგილებას შორის, რომლის წყალობითაც გვეჩვენება, რომ სისწრაფე, რომლითაც ვარსკვლავები გვშორდება, ჩვენსა და მათ შორის არსებული მანძილის პროპორციულია. იქნებ, აქაც ისეთი ილუზიაა, იქნებ, - ის ცდილობს ნათლად წარმოიდგინოს ეს გონებაში - ვარსკვლავები მართლა ნელა მოძრაობენ ჩვენი მხედველობის არის კონუსში, რომლის ღერძსაც დედამიწის ტელესკოპები წარმოადგენს. მართლა ყველაფერი ისე ჰკიდია ამ სამყაროში, როგორც მტვერი მიტოვებულ მეზონინში. კიდევ რამდენიმე ნაბიჯიც და პიტერი იმ მიჯნას აღწევს, სადაც ფარნის შუქი მთრთოლვარე ბინდში ინთქმება. ამას იქით ჩრდილების სიჩქარე უსასრულოა; პატარა სამყარო აქ თავდება და იწყება მეორე,

უსაზღვრო. პიტერს ფეხები დაუსველდა და გაეყინა. ამ ამბავმა კოსმიური ფიქრები აუმღვრია. ვიწრო ოთახიდან გამოსულივით ეუცხოვება ქალაქის სივრცე, - გარეთ დაეხეტება შეზარხოშებული ქარი, თითქოს უკანასკნელი სადღეგრძელოც რომ შესვა და ისე გადმოეშვა ციდან.

პიტერი მანქანაში შედის, თითქოს გამოქვაბულს ეხიზნება; მამის გვერდით ჯდება, სველ წაღებს იძრობს, შეჟინჟღლულწინდებიანი ფეხები ზევით ააქვს და ფეხმოკეცილი ჯდება. მამას უკუსვლით სწრაფად გაყავს მანქანა სადგომიდან და მოსახვევით ბიუკენენ-როუდისაკენ მიემართება. თავიდანვე გადააჭარბა სიჩქარეს და უკანა ბორბლები ოდნავ აღმართზეც ბუქსაობენ. - დალახვროს ეშმაკმა, - ამბობს კოლდუელი. - რა ოხრობა მოუვიდა! დღევანდელი აღმოჩენისაგან პიტერს ნერვები დაწყვეტაზე აქვს, აღრენილია.

- რა იქნებოდა, ორი საათით ადრე რომ წამოვსულიყავით შინ? - ეკითხება ის. - ახლა აბებს ვეღარ გავივლით. როდის აქეთია, შენ ის ბილეთები გაყიდე. თამაშის დამთავრებას რაღას უცდიდი?

- ზიმერმანთან ვმუსაიფობდი. - მოგვიანებით პასუხობს კოლდუელი. ეშინია, საყვედური არ გამოუვიდეს, - შენზე მითხრა, ველაპარაკეო... პიტერი თავს დამნაშავედ გრძნობს და მკვახედ პასუხობს:

- თვითონ მომვარდა და რა უნდა მექნა: ქორივით ჩამაფრინდა დერეფანში.

- და შენც ადექი და იმ დაკარგულ ბილეთებზე უთხარი!

- სიტყვამ მოიტანა. ისეთი არაფერი მითქვამს.

- შენი შეწუხება სულაც არ მინდა, ჩემო შვილო, მაგრამ, რომ არ გეთქვა, მერჩია.

- მერე ამით ვის რა დააკლდა? გინდა, რომ მთელი სიცოცხლე ვიცრუო, არა?

- ხომ არ გითქვამს... თუმცა ეს უკვე სულ ერთია... მაგრამ... ისიც ხომ არ უთხარი, მისი კაბინეტის წინ მიმ ჰერცოგს რომ შევეჩეხე?

- არა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი საერთოდ დამავიწყდა. შენს მეტს ყველას დაავიწყდა. შენ გგონია, რომ მთელმა ქვეყანამ პირი შეკრა შენს წინააღმდეგ.

- ბევრი ვეცადე, მაგრამ ზიმერმანს ბოლომდე მაინც ვერ გავუგე, ალბათ, ესაა ჩემი უბედურება.

- მანდ არაფერია გასაგები. ერთი აღვირახსნილი ბებერი მრუშია და თვითონაც არ ესმის, რას აკეთებს. შენს გარდა ეს ყველამ იცის. მამა, რატომ ხარ ასეთი... - პიტერს უნდოდა ეთქვა „სულელიო“, მაგრამ მეოთხე მცნება გაახსენდა და

ენაზე იკბინა. - ...ასეთი ეჭვიანი? ყველაფერს მნიშვნელობას ანიჭებ. რატომ არ მოისვენებ? ასე რა ნერვებმა უნდა გაგიძლოს!

გაანჩხლებულმა ბიჭმა მუხლი წაჰკრა ფარს და ხელთათმანების ყუთის სახურავმა გაიჟღარუნა. მამის თავი მოკრძალებული ლანდივით შეყუჟულა პატარა ნაქსოვ ქუდში,

რომელიც პიტერის თვალში მამამისის დამცირებას, უგერგილობას, ქარაფშუტობასა და სიჯიუტეს განასახიერებს.

კოლდუელი ოხრავს და ამბობს:

- არ ვიცი, პიტერ. ალბათ, ნაწილობრივ ეს მემკვიდრეობით გადმომეცა, ნაწილობრივ კი გარემოს ბრალია.

მის ხმაში ისეთი დაღლილობა იგრძნობა, რომ, ეტყობა, უკანასკნელ ღონეს იკრებს ამ ახსნა-განმარტების მისაცემად.

მამაჩემს ვკლავ, - ფიქრობს გულმოწყლული პიტერი.

თოვლი უფრო სქლად ბარდნის. ფიფქები ჯარად აწყდებიან ფარანს, ციმციმით ირევიან, ქრებიან და მერე ახალი ჯარი მოდის. არ ცხრება ფანტელის ნიაღვარი. შემხვედრი ავტომობილები თითო-ოროლაა. ხანაგის უკან სახლების განათებული ფანჯრები სულ უფრო და უფრო მეჩხერდება, ინთქმება ქარბუქში. ღუმელი ირთვება და მისი სითბო თითქოს იმის ნიშანია, რომ ისინი მოწყდნენ სამყაროს. შუშის საწმენდი ისარი სულ უფრო და უფრო მოკლე რკალებს ავლებს და ბოლოს შუაზე ორი პაწია გამჭვირვალე წერტილიღა რჩება. ძრავა ფრთხვინვით მიაქანებს მათ ხაფანგისაკენ.

როცა ისინი ფერდობზე ეშვებიან, ებრაელების სასაფლაოსთან, სადაც „მშრალი კანონის“ დროინდელი ცნობილი ოლტონელი განგსტერი ებ კონი ასაფლავია, მანქანა გვერდზე გაისრიალებს. კოლდუელი სწრაფად ატრიალებს გაჯიუტებულ საჭეს და საჭე სწორდება. ისინი მშვიდობიანად აღწევენ გორაკის ძირს, სადაც ბიუკენენ-როუდი თავდება და ასოცდამეორე გზატკეცილზე გამოდიან. მარჯვნივ გამოჩნდა თოვლიან ბურუსში გახვეული აბების მთა. მებუქსირე საბარგო მანქანა ზლაზვნით მიცურავს ოლტონისაკენ. სრიალსაწინაღო ჯაჭვებს დამფრთხალი რახარუხი გააქვს. მერე ფარების წითელი შუქი ციმციმით იკარგება სიბნელეში და ისინი მარტო რჩებიან გზატკეცილზე.

ზევით აღმართი უფრო ციცაბოა. კოლდუელი პირველ სიჩქარეს რთავს და ერთხანს ასე მიდის, სანამ ბორბლები ბუქსაობას არ იწყებენ, შემდეგ კი მეორეზე გადადის. მანქანა

კიდევ რამდენიმე ათეული მეტრით მიიწევს წინ გაუკვალავ თოვლში; მერე ბორბლები ისევ ბუქსაობენ და იმედგაწყვეტილი კოლდუელი მესამე სიჩქარეს რთავს. ძრავამ ხმა გაწყვიტა. კოლდუელი გამეტებით ექაჩება ხელის მუხრუჭს, რომ ძირს არ ჩაცურდნენ. ნახევარი ფერდობი უკვე აიარეს. ახლა, როცა ძრავა მიწყნარდა, ქარის სევდიანი კვნესაღა ისმის. ძრავა ისევ ირთვება, მაგრამ უკანა ბორბლები თოვლზე სრიალებს; დანჯღრეული მძიმე „ბიუიკი“ საცაა ქვევით დაეშვება და გზის პირას გავლებულ მავთულის დაბალ ღობეს შეასკდება. კოლდუელს სხვა აღარაფერი დარჩენია, რომ კარი გააღოს, მანქანიდან თავი გამოყოს და ფარების ვარდისფერ შუქზე, რომელიც ახლა მათი ერთადერთი მეგზურია, მანქანა უკანა სვლით ძირს დააცუროს. ასე იხევს უკან ოლინჯერის მოსახვევის გავლით იმ დაბლობამდე, რომელიც აბებსა და ოლინჯერის გზაზე მდებარე პატარა გორაკს შუა ძევს.

მანქანა ახლა ინერციით მოძრაობს და უფრო სწრაფად მიდის, მაგრამ გზის პირთან ისევ ბუქსაობს და ჩერდება, იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც პირველად გაეჩხირა. ფარების შუქზე მუქად მოჩანს მათი ადრინდელი ნაკვალევი.

უეცრად გზატკეცილს მათი ჩრდილები ეცემა. რომელიღაც მანქანა ამოდის ფერდობზე. მისი ფარები დიდდება, ბრწყინავს, ყივილივით იჭრება ქარბუქში და წრეს უვლის მათ გარშემო. ეს ახალთახალი მწვანე „დოჯია“. ის ჯაჭვების ჩხარუნით აგრძელებს გზას, თვალისდახამხამებაში ფარავს ფერდობის ყველაზე უფრო ციცაბო ნაწილს, სიჩქარეს უმატებს და თვალიდან იკარგება: „ბიუიკის“ უძრავი ფარები ჯაჭვების ანაბეჭდებს ანათებს ახლად გაჩენილ კვალზე. ისევ თოვს და ბრჭყვიალა ფანტელი ცვივა მიწაზე.

- ჩვენც ჯაჭვი უნდა ჩავაცვათ ბორბლებს, - ეუბნება მამა პიტერს, - გზამდე ოცი ნაბიჯიღაა. ფაირ-ჰილზე ასეთი ციცაბო აღმართი აღარ არის.

- ნახე, ამ არამზადამ არც კი შემოგვთავაზა ბუქსირზე აყვანა.

- შენ რა, მაგას მოელოდი თუ? თვითონაც ძლივს ავიდა.

- მაგის ადგილას მე ასე არ მოვიქცეოდი.

- შენისთანები ახლა აღარ არიან, მამა! შენისთანები აღარ არიან ამქვეყნად.

ის უკვე ყვირის, რადგან ხედავს, რომ მამამ მაგრად ჩასჭიდა საჭეს ხელები და თავი ჩაქინდრა. პიტერს აშინებს ეს უნუგეშო პოზა. უნდა მამა გაამხნევოს, მაგრამ სიტყვები ბურთივით ეჩხირება ყელში. ბოლოს გაუბედავად ეკითხება:

- გაქვს ჯაჭვები?

მამა სწორდება და ამბობს:

- არის, ოღონდ აქ ვერ ჩავაცმევთ, მანქანა დომკრატზე დაცურდება. ისევ სწორ ადგილას უნდა ჩავიდეთ.

ის ისევ აღებს კარს, თავს გარეთ ჰყოფს და მანქანა უკან-უკან იხევს, ქვევით, ფარებით განათებულ ვარდისფერ თოვლზე. ღია კარიდან შემოფრენილი ფიფქები პიტერს სახეს და ხელებს უსუსხავს. ის ქურთუკის ჯიბეებში ჰყოფს ხელებს.

გორაკის ძირში ორივე გადმოდის მანქანიდან. საბარგეს ხსნიან და ცდილობენ დომკრატით ასწიონ უკანა ბორბლები. გადასატანი ლამპა არ აქვთ და ამის გამო ძალიან

უჭირთ. გზის პირას თოვლის სისქე ექვსი დიუმი იქნება და ბორბლის აწევის დროს დომკრატის ლარტყას მეტისმეტად მაღლა ეწევიან. მანქანა გვერდზე იხრება, ამოვარდნილი ლარტყა ისარივით მიფრინავს და შუა გზაზე ენარცხება.

- დასწყევლოს ღმერთმა! - ამბობს კოლდუელი. - ასე ორივეს სული გაგვძვრება.

ის უძრავად დგას. პიტერი მიდის და ლარტყა მოაქვს. მას ცალ ხელში ლარტყა უჭირავს და გზის პირას ქვას ეძებს, რომ წინა ბორბლებს შეუყენოს, მაგრამ მიწას თოვლი ფარავს.

მამამისი დგას და გასცქერის ქარში მოლივლივე ნაძვების კენწეროებს; თითქოს მათ ზემოთ შავი ანგელოზები დაცურავენ. პიტერს ეჩვენება, რომ კოლდუელის ფიქრები ფართო წრეებს ხაზავს ჰაერში, როგორც ძერა კრავს ხოლმე ირაოს ცის მოლურჯო ნისლში და აქეთ-იქით აწყდება. მერე მისი ფიქრები კვლავ მიწაზე ეშვება, მამა-შვილი ცდილობს დომკრატი ბამპერს შეუდგას და ამჯერად ახერხებენ ბორბლების აწევას. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ჯაჭვის დამაგრება არ იციან, ბნელში ვერაფერს ხედავენ და ყინვისაგან გაშეშებული თითები აღარ ემორჩილებათ. პიტერი დიდხანს უცქერის, როგორ ფორთხავს მამა თოვლში ბორბლის გარშემო. გამვლელი მანქანები აღარ ჩანს,

ასოცდამეორე გზატკეცილზე უკვე შეწყდა მოძრაობა. მამამ თითქმის დაამაგრა ჯაჭვი, მაგრამ უეცრად ჯაჭვი ხელიდან უსხლტება. გმინვითა და წყევლით, რომელსაც ქარი ახშობს, კოლდუელი სწორდება და რკინის რგოლების ხლართს ორივე ხელით მოისვრის რბილ თოვლში. ჯაჭვი, ჩამოვარდნილი ფრინველივით, ორმოს აჩენს თოვლში.

- ჯერ სასხლეტი უნდა დამაგრდეს შიგნიდან, - ეუბნება პიტერი.

მას თოვლის ორმოდან ამოაქვს ჯაჭვი, მუხლებზე დგება და მანქანის ქვეშ მიბობღავს. უკვე წარმოიდგინა, როგორ ეუბნება მამა დედას: „მე უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა, ამან კი დაავლო ჯაჭვს ხელი, შეძვრა მანქანის ქვეშ და მშვენივრად დაამაგრა, პირდაპირ საკვირველია, საიდან მოსდევს ასეთი ნიჭი ტექნიკაში“. ბორბალი ხელში სრიალებს. რამდენიმეჯერ, როცა პიტერმა თითქმის უკვე ჩამოაცვა ვეება აბჯარი საბურავს, ბორბალი ზანტად შეტრიალდა და გადააგდო ჯაჭვი, თითქოს ქალიშვილმა კაბა გაიძროო. მამა ბორბალს იჭერს ხელით და პიტერი თავიდან იწყებს საქმეს. ძარის ქვეშ რეზინის, დამყაყებული ჟანგის, ბენზინისა და ზეთის შერეული, მძიმე სუნი დგას,

ჰაერი მუქარით არის გამსჭვალული. პიტერს აგონდება, როგორ გადმოვარდა მანქანა დომგრატიდან, გონების თვალით ნათლად ხედავს, რესორები და ღერძი როგორ უჭეჭყავს ტვინს. ერთი რამაა კარგი - ძარის ქვეშ ქარი არ უბერავს და არ თოვს.

მთავარია, როგორმე პატარა სასხლეტი დაამაგროს. ამ სასხლეტს პოულობს და ცდილობს ხელის ფათურით განსაზღვროს, როგორ მაგრდება ის. ამასაც თავს ართმევს. ახლა ცოტა ხელის მოჭერაა საჭირო. პიტერი ისე მაგრად აჭერს ხელს, რომ მთელი ტანი უთრთის; მუცლის ქვედა ნაწილში საამო ტკივილი უვლის; ლითონი იჭრება თითებში. ის ლოცულობს და შეძრწუნებული ხვდება, რომ ლითონი არავითარ შემთხვევაში იოტის ოდენსაც არ დაუთმობს. სასხლეტი ჯიუტობს და პიტერი ყვირის, სასოწარკვეთილი:

- არაფერი გამოდის!

მამა ყვირილითვე პასუხობს:

- ჯანდაბას მაგისი თავი, გამოძვერი!

პიტერი უსიტყვოდ დგება, თოვლს იფერთხავს. მამა-შვილი დაბნეული შესცქერის ერთმანეთს.

- არაფერი გამოვა, - ამბობს პიტერი, თუმცა ეს ისედაც ნათელია.

- შენ მაინც ჩემზე უკეთესად გაართვი თავი. დაჯექი, ოლტონში წავალ ღამის გასათევად. ერთხელ თუ უკუღმა წაგივიდა საქმე, მერე სიკეთეს აღარ უნდა ელოდე.

ჯაჭვს საბარგეში დებენ და დომკრატის დაშვებას ცდილობენ, მაგრამ უკან დასახევი გზაც მოჭრილია. ბერკეტი, რომელმაც დომკრატის მიმართულება უნდა შეცვალოს, უმწეოდ ქანაობს საკუთარ ღერძზე, სახელურის ყოველ გადატრიალებაზე მანქანა სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. თოვლი სახეში სცემს; ქარი ყურთასმენის წამღებად წივის. მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელია,

თითქოს თვითონ შრიალა, აცახცახებული ქარბუქი მთელი სიმძიმით დასწოლია ამ დაწყევლილ, მოშლილ დომკრატს.

- მაგას ახლავე ვაჩვენებ სეირს, - ამბობს კოლდუელი. - გაიწი, ერთი, შვილო.

ის საჭესთან ჯდება, ძრავას რთავს და წინ სწევს მანქანას. წუთით დომკრატის ლარტყა რკალად იხრება და პიტერი ელოდება, რომ ის კვლავ ისარივით გაიზუზუნებს ქარში. მაგრამ ახლა ბამპერი ვეღარ უძლებს დაწოლას და მანქანა უცებ ისეთი ხმაურით ვარდება რესორებზე, თითქოს ყინულის ლოლუები იმსხვრევაო. უკანა ბამპერის ქვედა კიდესთან ჩაჭყლეტილი ნახევარწრე ყოველთვის მოაგონებს მათ ამ ღამეს. პიტერი დომკრატის ნაწილებს აგროვებს, საბარგეში ყრის და მამის გვერდით ჯდება.

კოლდუელი სარგებლობს იმით, რომ მანქანას გვერდზე იქნევს, აბრუნებს მას და ოლტონის მიმართულებით უხვევს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ გზაზე გაიარეს, ერთი საათი გვიდა; კიდევ დიუმზე დადო თოვლი და გზა გატკეპნილი აღარ არის, რადგან მოძრაობა უკვე შეწყდა. პატარა აღმართი, რომელიც აბების მთის ძირში გაწოლილ დაბლობს მოსდევს, ისე ოდნავ დამრეცი, რომ სხვა დროს შეუმჩნევლად გაიქროლებს ხოლმე ავტომობილქვეშ, ახლა ციცაბო და მიუდგომი ჩანს. უკანა ბორბლები განუწყვეტლივ ბუქსაობენ. წინა შუშებზე გამჭვირვალე ნაპრალები კიდევ უფრო ვიწროვდება, ფაფუკი გარსით იფარება; ზეციური ხარო, საიდანაც ისედაც უხვად ცვიოდა თოვლი, ახლა მთლად გადაიხსნა. „ბიუიკს“ სამჯერ მიაქვს ფერდობზე იერიში

და სამჯერვე თოვლში ეფლობა. ბოლოს კოლდუელი მთლიან გაზს რთავს და მანქანა გზის პირას უკანა ბორბლებით ჭრაჭუნით ეფლობა თოვლის ყამირში; სწორედ ამ ადგილას პატარა ხრამია. კოლდუელი პირველ სიჩქარეს რთავს და ცდილობს მანქანის ამოთრევას, მაგრამ თოვლს მაგრად ჩაუბღუჯია ის უხილავი მკლავებით. კოლდუელს ტუჩებზე ვერცხლისფერი დუჟი ადგება. ის იმედგაწყვეტილი რთავს უკანა გადაცემას, მანქანა მკვეთრი მოძრაობით იხევს უკან და საბოლოოდ იჭედება თოვლში. კოლდუელი ძრავას ახშობს.

ამდენი გულისხეთქვის შემდეგ, როგორც იქნა, მშვიდი სიწყნარე დგება. მანქანის სახურავზე რაღაც შრიალებს, თითქოს იქიდან ქვიშას ყრიანო. კაპოტქვეშ გადახურებული ძრავის ჩუმი რაკუნი ისმის.

- ფეხით უნდა წავიდეთ, - ამბობს კოლდუელი. - ოლინჯერში დავბრუნდეთ და ჰამელებთან გავათენოთ ღამე. სამი მილი არც კი იქნება იქამდე. გაივლი ამდენს?

- მეტი რა გზაა, - მიუგებს პიტერი.

- რა უბედურებაა, კალოშებიც კი არ გაცვია.

- არც შენ გაცვია.

- მე რას მიყურებ, ჩემი საქმე წასულია! - ის ცოტა ხანს დუმს და მერე დაუმატებს: - აქ ხომ არ დავრჩებით!

- ჯანდაბას, - ამბობს პიტერი. - ვიცი. ყველაფერი ვიცი და ნუღარაფერს მეუბნები. კმარა ლაპარაკი. წავიდეთ.

- მამაშენი რომ კაცი ყოფილიყო, ამ აღმართს გავივლიდით.

- და სადმე სხვაგან ჩავრჩებოდით. შენ არა ხარ დამნაშავე, არავინაა დამნაშავე, ყველაფერი ღმერთის ბრალია. გაჩუმდი. გთხოვ.

პიტერი მანქანიდან გადმოდის და ცოტა ხანს მამის წინ მიაბიჯებს. ისინი „ბიუიკის“ მიერ დატოვებულ კვალს მიჰყვებიან აღმართზე, ებრაელების სასაფლაოსაკენ. პიტერს უჭირს ერთი ფეხი პირდაპირ მეორის წინ დადგას, ასე თურმე ინდიელები დადიან. ქარი აიძულებს წელში მოიხაროს. ნაძვნარში ქარი უფრო სუსტია, მაგრამ მაინც

დაჟინებით უბერავს, თმას უწეწავს პიტერს და მის თავს ყინულივით ცივი თითებით ელამუნება. სასაფლაო ნაცრისფერი ქვით არის შემოღობილი, თოვლიდან ამოშვერილ ქვებს გრძელი, თეთრი წვერი ჩამოზრდიათ. სადღაც მქრქალი ბურუსის მიღმა ებ კონი წევს თავის მყუდრო, სვეტებიან აკლდამაში. ეს რატომღაც ამშვიდებს პიტერს. ეჩვენება, რომ მისი „მეც“ საიმედოდ არის დაცული თავის ქალის ძვლოვან გუმბათქვეშ.

სასაფლაოს გადაღმა, ვაკეზე, ნაძვები მეჩხერდება და ქარი კვლავ მძვინვარებს, ძვალ-რბილში ატანს. პიტერი სრულიად გამჭვირვალე ხდება, ფიქრებისაგან ჩამოქნილი ჩონჩხი. ის ცნობისმოყვარეობით აკვირდება, თითქოს შორიდან უცქეროდეს, საკუთარ ფეხებს, რომლებიც შინაური საქონელივით მორჩილად მიაბოტებენ ფხვიერ თოვლში; შეუსაბამობა მისი ნაბიჯის სიგრძესა და ოლინჯერამდე დარჩენილ მანძილს შორის ისე დიდია, რომ პიტერი თავის წინ უსასრულობას ჭვრეტს და შეჰხარის მოცალეობას. ამ დროს ის ახმარს ისეთი მოვლენის განხილვას, როგორიც უკიდურესი ფიზიკური დაძაბვაა. ეს მდგომარეობა მკვეთრი უბრალოებით ხასიათდება. ჯერ ყველა ფიქრს დაგავიწყებს, წარსულზეც და მომავალზეც, მერე გრძნობები გიჩლუნგდება, შენს ირგვლივ აღარაფერს აღიქვამ. ბოლოს, კიდურები გერთმევა - ხელები, ფეხები, თითები. თუ დაძაბვა კიდევ გრძელდება, თუ ჯიუტი სწრაფვა უკეთესისაკენ კვლავ ცოცხლობს ადამიანში, ვეღარ გრძნობ ცხვირის წვერს, ნიკაპს და თავსაც კი; ისინი სრულებით არ ქრებიან, მაგრამ, ასე ვთქვათ, სცილდებიან ამ

შეზღუდული და მინიმალური, საოცრად მკვრივი და დახშული სივრცის მიჯნებს, რომელიც დარჩა ადამიანური „მე“-ს ოდესღაც უსაზღვრო და ამაყი სამეფოსაგან. პიტერი თითქოს შორიდან ხედავს, რომ მამამისი, ახლა უკვე მის გვერდით მიმავალი, საკუთარი სხეულით იფარავს ქარისაგან, ნაქსოვ ქუდს იხდის და შვილს გაყინულ თავზე ახურავს.

VIII

მისმინე, ჩემო საყვარელო. ხომ არ გძინავს? თუმცა, სულ ერთია. დასავლეთ ოლტონში ქალაქის მუზეუმი საუცხოო პარკით იყო გარშემორტყმული, სადაც ყოველი ხის სახელწოდებას ზედ დაკიდებული ფირფიტა იუწყებოდა. თავმომწონე შავი გედები წყვილ-წყვილად დაცურავდნენ პატარა, მღვრიე ტბაზე, რომელსაც საგუბართან ქმნიდა არცთუ ისე ღრმა ნაკადული. ნაკადულს აქაურები ლინეიპს ეძახდნენ, ოლინჯერში კი მას ტილდენ-კრიკი ერქვა. კვირაობით მე და დედა ხშირად დავდიოდით მუზეუმში, კულტურის ერთადერთ საგანძურში, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო. მუზეუმისაკენ მყუდრო, დაჩრდილული ბილიკი მიდიოდა, რომელიც ნაკადულის ნაპირს მიჰყვებოდა ერთი ქალაქიდან მეორეში. ეს სივრცე, დაახლოებით ერთი მილი, წარსულის ნაშთი იყო. გადავჭრიდით ხოლმე ბალახით დაფარულ, მიტოვებულ ძველ იპოდრომს და გავივლიდით თუ არა რამდენიმე ფილაქნისსახლებიან ფერმას - ყოველ ფერმას დედის კალთას ჩაფრენილი ბავშვივით მიტმასნოდა ახალი მინაშენი, ისიც ფილაქნისა, - სწრაფად გადავდიოდი გზატკეცილზე, რომელიც ამ სამ სხვადასხვა სიფართის გზად იტოტებოდა და მუზეუმის პარკის ვიწრო ხეივანში ამოვყოფდით თავს. იქ ჩვენს წინ იშლებოდა ძველი სამყარო, არკადია. იხვები და ბაყაყები ხრინწიანი, საზეიმო ხმით განუწყვეტლივ ყიყინებდნენ დაჭაობებულ ტბაზე, რომელიც ალუბლის, ცაცხვის, აკაციისა და ველური ვაშლის ბარდებში მოჩანდა. დედაჩემმა ყველა მცენარე და ჩიტი იცოდა, ყველაფრის სახელს მეუბნებოდა ხოლმე, მე კი იქვე მავიწყდებოდა, სანამ ხრეშით მოკირწყლულ ბილიკს გავივლიდით, რომელიც ალაგ-ალაგ ფართოვდებოდა და პაწია, მრგვალ მოედანს ქმნიდა, სადაც აუზებში ჩიტები ჭყუმპალაობდნენ და გრძელ სკამებზე ერთმანეთს ეხვეოდნენ შეყვარებულები. ჩვენს დანახვაზე ისინი მუდამ ფრთხებოდნენ და ჩამუქებული, დამრგვალებული თვალებით მოგვჩერებოდნენ, ვიდრე გავივლიდით. ერთხელ დედას ვკითხე, რას აკეთებენმეთქი, და მან უცნაური სინაზით მიპასუხა: „ბუდეს იშენებენო“.

მერე კი ტბიდან ცივი ნიავი დაგვიბერავდა, გედების მლაშე, მკვეთრი ყივილი აღწევდა ჩვენამდე და გამოჩნდებოდა მაღალი წიფლის ზღაპრული, შავი

ფოთლებით დაბურული მუზეუმის ყვითელი ლავგარდანი, მის ზევით კი - მზეზე მოელვარე შუშის სახურავი, მომწვანო, ფისტისფერი ჩარჩოებით. ჩავუვლიდით ავტომობილების სადგომს, რომელიც მუდამ აღმიძრავდა ხოლმე შურისა და სირცხვილის გრძნობას,

რადგან მაშინ ჯერ არ გვქონდა ავტომობილი, და ბავშვებით გარშემორტყმულნი, რომლებსაც პურის ნამცეცებით სავსე პაკეტები მოჰქონდათ მტრედებისათვის, ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილ ბილიკს მივყვებოდით. ამოვდიოდით ფართო კიბეზე, სადაც ლამაზ, საზაფხულო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდა, ცელოფანის ქაღალდში გახვეულ ბუტერბროდებს ხსნიდა, იღეჭებოდა და მუზეუმის ტაძარივით მაღალთაღიან ვესტიბიულში შედიოდა. შესვლა უფასო იყო. მუზეუმის სარდაფში ზაფხულობით ბუნებისმოყვარულთა წრის მეცადინეობა ტარდებოდა, ისიც უფასო იყო. ერთხელ დედამ შემომთავაზა, ჩვენც დავესწროთო. პირველ მეცადინეობაზე შუშის ყუთში ჩასმული გველი ვნახეთ, აწივლებულ მინდვრის თაგვს ცოცხლად რომ ყლაპავდა. მეორე მეცადინეობაზე აღარ წავსულვარ. ზედა სართულში გამოფენა იყო მოწყობილი სკოლის მოსწავლეებისათვის - გაშეშებული ფიტულები და ძველი ესკიმოსური, ჩინური და პოლინეზიური ნაწარმი; მკაცრად კლასიფიცირებული და ჰერმეტულად დახურული ვიტრინები ერთმანეთს მისდევდა. იქ ერთი უცხვირო მუმიაც იყო და მის გარშემო მუდამ ხალხი ირეოდა. ბავშვობაში ეს სართული შიშს მინერგავდა. ყველგან სიკვდილი მეფობდა; ვინ იფიქრებდა, რომ ქვეყნად ამდენი სიკვდილია? მეორე სართული ხელოვნების

ნაწარმოებებისათვის გახლდათ განკუთვნილი; იქ უმთავრესად ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრები ეკიდა. მართალია, ეს სურათები დაუხვეწელი იყო, მაგრამ უბრალოებითა და იმედით ბრწყინავდა - იმ იმედით, რომ შესაძლებელია დაიჭირო და სამუდამოდ დაატყვევო ის, რაც ყოველთვის იბადება, როგორც კი ფუნჯი ტილოს შეეხება. ამას გარდა იქ ინდიელებისა და სხვადასხვა ღმერთების პატარა ფიგურებიც იყო, ხოლო დიდი, ოვალური დარბაზის ცენტრში კიბესთან, შავნაპირებიანი აუზის შუაგულში, იდგა ნატურალური სიდიდის შიშველი, მწვანე ქალი. ეს შადრევანი იყო. ქალს ტუჩებთან ზღვის სავარცხლულას ბრინჯაოს ნიჟარა ეჭირა, ოდნავ გაპობილი ლამაზი ტუჩები წყლის ჭავლისათვის შეეშვირა, მაგრამ შადრევანი ისე იყო მოწყობილი, რომ წყალი ერთთავად ნიჟარის კიდეზე იღვრებოდა და მის ტუჩებს არ ეხებოდა. მარად მომლოდინეს, პატარა მკერდითა და ურჩი, მწვანე კულულებით, ცალი ფეხის წვერზე მდგარს, ნიჟარა დიუმის დაშორებით ეჭირა სახიდან, რომელიც, დახრილი ქუთუთოებითა და გაპობილი ბაგეებით, მძინარეს მიუგავდა. ბავშვობაში მტანჯავდა მისი წარმოდგენილი წყურვილი და მუდამ ისე

ვდგებოდი, რომ იმ დიუმის სიფართე სიცარიელისათვის მეცქირა, რომელიც მის ბაგეებს საშუალებას არ აძლევდა წყალს დასწაფებოდნენ. წყალი კი, მთრთოლვარე, წვრილი,

მომწვანო-მარგალიტისფერი ბაფთივით, ნიჟარას მოსწყდებოდა თუ არა, მაშინვე სპირალივით იკლაკნებოდა და განუწყვეტელი თქაფანით ირიბად ეცემოდა აუზში, ხოლო შხეფები, რაღაც უცნაური ძალის ზეგავლენით, ფიფქებივით ცვიოდნენ აუზის ნაპირზე და შავ მარმარილოზე დადებულ ხელს მისუსხავდნენ. ამ ქალის უსიტყვო, მარად დაუკმაყოფილებელი, მოთმინებით აღჭურვილი ლოდინი აუტანელი მეჩვენებოდა და ჩემს თავს ვარწმუნებდი, ღამღამობით, როცა მუმიას, პოლინეზიურ ნიღბებსა და შუშისთვალებიან არწივებს სიბნელე ეუფლება, ბრინჯაოს წვრილი მაჯა შეუმჩნევლად ამოძრავდება და ის სვამს-მეთქი. წარმოვიდგენდი ხოლმე, დიდ, ოვალურ დარბაზში, რომელსაც შუშის სახურავიდან ჩამოსული მთვარის შუქი ანათებს, როგორ წყდება წყლის რაკრაკი. და სწორედ ამ შეგრძნებით - იმის შეგრძნებით, რომ დაღამებასთან ერთად წყლის გამჭვირვალე ბაფთა ქრება და მისი რაკრაკი წყდება, - ვამთავრებ ჩემს მოთხრობას.

მანქანების გაუთავებელი ხმაური, ნანასავით რომ ჩამესმის ყურში, უხვად აწყდება ჩვენი მანსარდის ფანჯრების სიფრიფანა შუშებს, ისე დამტვერილს, რომ მათი ნაზი, გრაფიტივით რბილი, რუხი ფერი მარადიული ჩანს, ვით ტაძრის ჩამუქებული

სარკმელი. ორი სართულით ქვევით, კაფეტერიის ნეონის აბრა რიტმულად ციმციმებს და შუშებს ვარდისფრად ღებავს. ჩემი უზარმაზარი ნახატები - რა ძვირი ჯდება ტილო და საღებავები და როგორ საოცრად უფასურდება, როცა ხელოვნების ნაწარმოებად იქცევა - სინათლის ფონზე უცნაურ, კვადრატულმხრებიან ფიგურებად მოჩანს. შენი სუნთქვა ფანჯრის ვარდისფერ ციმციმთან არის შერწყმული. ამაყი ბაგე გაგპობია ძილში, ზედა ტუჩი ოდნავ ამობურცული გაქვს, თითქოს დარტყმისაგან შეგისივდა, - ეს შენი რასის ნიშანია. შენი ძილი ისეა გაჟღენთილი უმანკოებით, ვით ღამე - ნამით. მისმინე: მიყვარხარ. მიყვარს შენი ამაყი, აბურცული ტუჩები, მკაცრად მოკუმული, როცა არ გძინავს და მლანძღავ; მიყვარს შენი მუქი კანი, რადგან მას შეუძლია შეიწყნაროს ჩემი. მიყვარს შენს ვარდისფერ, რბილ ხელისგულში ჩამალული საუკუნეობრივი მორჩილება. მიყვარს შენი კისერი, რომელიც ტიტას ღეროს მაგონებს. როცა ღუმელთან დგახარ, შენდა შეუმჩნევლად, წყალს დაწაფებული ქათამივით ირწევი. როცა შიშველი ლოგინისაკენ მიდიხარ, ტერფები შიგნით გაქვს შეწეული, თითქოს ვიღაცასთან ბორკილებით იყო გადაბმული და ის შენს უკან მოაბიჯებდეს. როცა ერთმანეთს ვეალერსებით, ზოგჯერ ჩემს სახელს

ჩურჩულებ და ასეთ წუთებში უსაზღვროდ მწამს საკუთარი თავისა. მიხარია, რომ შეგხვდი; მიხარია,

ვამაყობ, მიხარია; მარტო საღამოობით მომენატრება, და ისიც სულ ოდნავ, ის უეცარი, თეთრი სიცილი, ელვასავით რომ იფეთქებს ხოლმე, იქ, სადაც სულები მიუღწევლის აღსრულებას ლამობენ. მამაჩემი, თუმცა კი სევდიანი იყო მისი ხვედრი, მუდამ ასეთი სიცილით იყო გარშემორტყმული. გაოცდებოდი, მამაჩემი რომ გაგეცნო. მე მუდამ მაოცებდა. ყველაზე კარგად მისი ფეხები მახსოვს, მისი სხეულის ზედა ნაწილი კი ჩემთვის მუდამ ბურუსით იყო მოცული.

მისმინე, მისმინე, ჩემო მბრძანებელო. მიყვარხარ და შენს საამებლად მსურს ზანგი ვიყო, ბრძნული, კუნაპეტივით შავი, პრიალა სახითა და დოლივით გაბერილი ლოყებით; დიდ, მუქ სათვალეს ვატარებდე, ღამის სამ საათზე ნახევრად ბნელ სარდაფში ვიჯდე, იასამნისფერი, მკრთალი შუქით გარემოცული; ამქვეყნად ყველაფერი დავივიწყო და მხოლოდ ჩემი მკერდიდან აღმომსკდარ სიმღერას ვუგდო ყური. მაგრამ ეს არ ძალმიძს. არ ძალმიძს სრულიად გარდაქმნა. ვერ შევძლებ უკანასკნელი მიჯნის გადალახვას. მე ხომ მამაჩემის შვილი ვარ! საღამოობით, როცა გარშემო ფერდაკარგული დღის სინათლე წყდება და ელის, როდის განგმირავენ მას ცათამბჯენები ჩრდილთა ისრებით, რომლებიც უკვე მიფრინავენ უზარმაზარ სახლებს

შუა გართხმული ქუჩების ლაბირინთებისაკენ, მახსენდება მამაჩემი და მის მამასაც კი ნათლად ვხედავ - ეჭვით დანისლული თვალებითა ჭაღარა, აბურძგნული ულვაშებით, - კაცს, რომელიც არასოდეს მინახავს; მღვდელი, მასწავლებელი, მხატვარი, - გადაგვარების კლასიკური სურათია.

მომიტევე, რადგან მიყვარხარ და ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი. ტიბეტელი ლამასავით განვშორდები ხოლმე საკუთარ სხეულს და საწოლზე ამაღლებული ზევიდან გადმოვყურებ, ჩვენ, იანი და ინი[13], როგორ ვიქცევით ერთ არსებად. მაგრამ საღამოს, სწორედ იმ საათს, როცა მე და მამა ჩვეულებისამებრ შინ მივემგზავრებოდით, ვათვალიერებ ამ ოთახს, სადაც იატაკი ჩვენი შიშველი ფეხებით არის გაპრიალებული, სადაც ჭერზე დამჩნეული ლაქები პირველაღმომჩენის მცდარ რუკაზე დახატულ კონტინენტებს წააგავს, კედლებთან კი გულმოდგინედ ნათითხნი, მორცხვად წაფარებული ტილოები აყუდებულან, რომლებიც ამაოდ - ახლა უკვე მეც ეჭვი მეპარება ამაში - ცდილობენ აუწერელის გადმოცემას, და შიში მიპყრობს. ვფიქრობ ჩვენს საერთო ცხოვრებაზე, დღეებზე, ანგარიშმიუცემლად რომ მისდევს ერთმანეთს და მზის ამოსვლას და ჩასვლას არ დაგიდევს; მთელ ამ გარემოზე, რომელიც სულ უფრო და

უფრო მიმქრალ გრძნობას უცნაური სახეებით მოუქარგავს და ბრაკის ნახევრად წაშლილ, ბუნდოვან სურათს მაგონებს; ფროიდისტული და აღმოსავლური სექსუალური მისტიციზმის მოსაწყენ ნარევზე და ჩემს თავს ვეკითხები: ნუთუ ამას შესწირა სიცოცხლე მამაჩემმა?

ახლა, როცა შენს გვერდით ვწევარ ვარდისფერ ბინდში, ძილდაკარგულს მაგონდება ის შორეული დილა, როცა ვერა ჰამელის სასტუმრო ოთახში გამომეღვიძა. ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. სიზმარში ვნახე დამახინჯებული, წყალში ჩაშვებული ჯოხის ანარეკლივით გადატეხილი ლანდი იმისა, რაც აქამდე შემემთხვა, - მძვინვარე ქარიშხალში ბარბაცით როგორ გავიარეთ უკანასკნელი მილი, როგორ აკაკუნებდა მამა ჩაბნელებული სახლის კარებზე, მერე მუშტებით აბრახუნებდა, გულსაკლავად კვნესოდა და სასოწარკვეთილი ხელებს იფშვნეტდა, და მისი სიჯიუტე ახლა უკვე აღარ მეჩვენებოდა სისულელედ ანდა სიშმაგედ, ის აუცილებელი იყო ჩემთვის, სრულიად აუცილებელი, რადგან უგრძნობლად ვიყავ გათოშილი; შემდეგ თეთრ, უხვად განათებულ სამზარეულოში ვერა ჰამელი დავინახე, - ამთქნარებდა და თვალებს ახამხამებდა სინათლეზე; ცისფერი ხალათი ეცვა და თმა

მხრებზე ჩამოშლოდა, მერე მკლავები სახელოებში გაუყარა და ხელები გულთან მიიკრა მთქნარებით; კიბეზე ფეხათრეული ლოდი ჩამოგორდა - მისი ქმარი, რომელმაც უხმოდ მოისმინა მამაჩემის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ახსნა-განმარტება და გაუთავებელი მადლობები. სასტუმრო ოთახში დაგვაწვინეს, ძველ, დანჯღრეულ საწოლზე, რომელიც მისტერ ჰამელს დედამისმა, ჰანამ უმემკვიდრა - ჩემი ბაბუის დამ. საწოლი ბუმბულითა და სახამებლის სუნით იყო გაჟღენთილი და ისე ჰგავდა ჰამაკს, რომ მე და მამა, როცა გავიხადეთ და ჩავწექით, ხელებით კიდეებს უნდა ჩავჭიდებოდით, შუაგულისაკენ რომ არ დავცურებულიყავით. რამდენიმე წუთს ისევ დაძაბული ვიყავ; მეჩვენებოდა, თითქოს მთელი ჩემი სხეული თეთრი, მოფუთფუთე ატომებით იყო დატენილი. მერე მამაჩემის დუდღუნა ხვრინვის პირველი მიყრუებული გრუხუნი შემომესმა. გარეთ ქარმა ღრმად ამოიოხრა და თითქოს ამ რხევამ და შრიალმა ყველაფერი ამიხსნა, მაშინვე დავწყნარდი.

ოთახი ბრწყინავდა. თეთრ ჩარჩოებსა და ლითონის ყვავილებით დამაგრებულ მუსლინის ფარდებს მიღმა მუქი ლურჯი ცა გაჭიმულიყო. ეს დილა წინათ არასოდეს ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე და ზეიმით აღვსილს მომეჩვენა, რომ ხომალდის ქიმზე ვდგავარ, რომელიც დროის ცისფერ ოკეანეს მიაპობს. ირგვლივ მიმოვიხედე. მამა წასულიყო. შუა ლოგინში ვიწექი. თვალებით საათი მოვძებნე, მაგრამ არსად იყო. მერე მარცხნივ მივაბრუნე თავი, რომ მზით

განათებული გზა, მინდორი და საფოსტო ყუთი დამენახა, მაგრამ ფანჯრის წინ მხოლოდ კაფეს აგურის კედელი აღმართულიყო. ფანჯარასთან ძველებური კომოდი იდგა, ისეთი დაბრეცილი, თითქოს ვიღაცას ემანჭებაო, მუცელგაბერილი, შუშის სახელურებითა და მძიმე ხვეული ფეხებით, რომლებმაც კარიკატურული დათვის უთითო ტორები მომაგონა. გარედან შემოჭრილი თეთრი შუქი ამკვეთრებდა შპალერზე ვერცხლისფერ ფოთლებსა და ღეროებს. თვალები დავხუჭე, ყური მივუგდე, საიდანღაც მტვერსასრუტის ზუზუნი მომესმა და მერე, ალბათ, ისევ ჩამეძინა.

როცა ხელახლა გამომეღვიძა, უჩვეულო განცდამ, რომ სხვის სახლში ვიმყოფები, რომ დღე ასეთი ნათელი და გონიერია გუშინდელი სიგიჟის შემდეგ და რომ ირგვლივ ასეთი სიჩუმეა (რატომ არ გამაღვიძეს? მერე სკოლა? დღეს ხომ ოთხშაბათია?), აღარ დამაძინა; ავდექი და შეძლებისდაგვარად გამოვეწყვე. ჩემი წაღები და წინდები, რომლებიც რადიატორზე შრებოდა, ჯერ ისევ სველი იყო. უცხო კედლებსა და

დერეფნებში, სადაც ყოველ მოსახვევში დაფიქრება და მხნეობის მოკრება იყო საჭირო, სისუსტე მომერია. აბაზანა მოვძებნე, სახეზე ცივი წყალი შევისხი და კბილებს სველი თითი მივუს-მოვუსვი. ფეხშიშველა დავეშვი დაბლა სართულზე. კიბეზე ჩალისფერი, ხაოიანი საფენი ეგდო, რომელიც ყოველ საფეხურქვეშ თითბრის წნევით იყო დამაგრებული. ეს ტიპიური ოლინჯერული სახლი იყო, მამაპაპური, მკვიდრად ნაგები, შიგ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, როგორ წესი და რიგია, - სწორედ ასეთ სახლში მინდოდა მეცხოვრა. თავს ჭუჭყიანად და აქაურობის უღირსად ვგრძნობდი ჩემს ჩაფერფლილ წითელ პერანგსა და სმი დღის წინ გამოცვლილ თეთრეულში.

შემოვიდა მისის ჰამელი, ქინძისთავით დამაგრებულ თავსაკრავსა და ვარსკვლავისებური ანემონებით მოქარგულ წინსაფარში. მას კოხტად მოწნული კალათი მიჰქონდა ნაგვისათვის, გამიღიმა და მოელვარე ღრძილები გამოუჩნდა. - დილა მშვიდობისა, პიტერ კოლდუელ! - მომესალმა ის.

და როცა მან სრულად აღმოთქვა ჩემი სახელი და გვარი, რატომღაც ვიგრძენი, რომ სასურველი სტუმარი ვიყავ მის სახლში. ის სამზარეულოსაკენ გამიძღვა და როდესაც

უკან გავყევი, გაოცებით შევნიშნე, რომ თითქმის მისი სიმაღლე ვიყავ და ერთი დიუმით უფრო მაღალიც. ოლინჯერში ის ტანად ქალად ითვლებოდა, მე კი მასში ისევ მაღალ ქალღმერთს ვხედავდი, როგორიც წარმოდგა იგი ჩემს წინ, როცა პირველად მოვედი სკოლაში, დალეული მეშვიდეკლასელი, მხრებით ცარცის ღარაკს ძლივს რომ ვწვდებოდი. ახლა, ეტყობა, ის მოზრდილად

მთვლიდა. ქაშანურით მოპირკეთებულ სამზარეულო მაგიდას მივუჯექი და ისე მომართვა საუზმე, თითქოს ჩემი ცოლი ყოფილიყოს. მან ჩემს წინ ფორთოხლის წვენით სავსე დიდი სასმისი დადგა, რომლისაგანაც ქაშანურს ნარინჯისფერი ჩრდილი დაეცა და თითქოს ჭაშნიკი უკვე მეგემოს, ვიგრძენი, რომ სიამოვნება მელოდა. საამო იყო იქ ჯდომა, წვენის წრუპვა და მისი ყურება. ლურჯი საშინაო ფეხსაცმელებით ისე დასრიალებდა ჭურჭლის კარადიდან მაცივრამდე, მერე იქიდან ბაკნამდე, თითქოს აქ ყველაფერი მისი ნაბიჯების სიგრძის მიხედვით იყო გამოზომილი. ეს ვრცელი, კარგად მოწყობილი სამზარეულო სრულებით არ ჰგავდა ვიწრო სახელდახელოდ შეთითხნილ სოროს, სადაც დედაჩემი საჭმელს გვიმზადებდა. ვერაფრით ვერ გამეგო, რატომ ხდება, რომ ზოგი საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრას მაინც ახერხებს, მაშინ როდესაც სხვებს, ჩემი მშობლების მსგავსად, მთელი სიცოცხლე უვარგისი ავტომობილით სიარული და უფეხსალაგო, გაყინულ სახლში ცხოვრება უწერიათ. ოლინჯერში არასოდეს გვქონია მაცივარი, მის ნაცვლად ხის ყუთს ვხმარობდით, რომელშიც ყინული გვეწყო და ბებიაჩემი ჩვენთან ერთად არასოდეს ჯდებოდა მაგიდასთან, ღუმელთან იდგა და ხელით შეექცეოდა საჭმელს, თან კვამლისაგან თვალებს წკურავდა. სახლში ყველაფერი ნაჩქარევად, უთავბოლოდ კეთდებოდა. ამის მიზეზსაც მივხვდი - ოჯახის უფროსი, მამაჩემი, სულ იმის ფიქრში იყო, რომ მალე კვლავ ახალ ადგილზე მოგვიწევდა გადასვლა. ეს შიში და იმედი მუდამ ლანდივით სდევდა ჩვენს ოჯახს.

- სად წავიდა მამაჩემი? - ვკითხე მე.

- რა ვიცი, პიტერ, - მიპასუხა, - რა გირჩევნია, ხორბლის ბურბუშელა, ბრინჯის დაბრაწულა თუ კვერცხი?

- დაბრაწულა. ოვალური, სპილენძისფერი საათი კედელზე 11.10 უჩვენებდა. - სკოლაში რა ამბავია? - ვკითხე.

- გარეთ არ გაგიხედავს?

- როგორ არა, აღარ თოვს.

- რადიოში გამოაცხადეს, თურმე თექვსმეტ დიუმზე მოუთოვია. ოლქში ყველა სკოლა დაკეტილია, ოლტონის სამრევლო სკოლაც კი დაკეტეს.

- ნეტა ცურვაში ვარჯიში თუ იქნება საღამოს?

- არა მგონია. ვინ იცის სახლი როგორ მოგენატრა!

- აბა რა. ასე მგონია, საუკუნეა არ ვყოფილვარ.

- მამაშენი ისე სასაცილოდ გვიამბობდა დღეს თქვენს თავგადასავალს. ბანანი გინდა დაბრაწულაში?

- აჰა! რა თქმა უნდა, თუ შეიძლება.

ამ მხრივ დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და ოლინჯერელებს შორის. მათ შეეძლოთ ბანანის მომარაგება. ფაირტაუნში მამა იშვიათად ყიდულობდა ბანანებს - მწვანევე ლპებოდნენ, ვერ ასწრებდნენ დამწიფებას. ის ბანანი კი, რომელიც მისის ჰამელმა ჩემი თეფშის გვერდით დასდო, ნამდვილი სასწაული იყო. მისი კანი თანაბრად იყო დაფარული ოქროსფერი წინწკლებით, როგორც ოთხფეროვანი ჟურნალის ჩანართ, ფერად ფურცელზეა. კოვზით ვჭრიდი მას და თითოეული ნაჭრის შუაგულში თესლებისაგან შექმნილი, იდეალური პატარა ვარსკვლავი იყო.

- ყავას ხომ სვამ?

- ვცდილობ ყოველ დილით დავლიო, მაგრამ ვერ ვასწრებ ხოლმე. ისედაც საშინლად შეგაწუხეთ.

- მორჩი ერთი. რაღა შენ და რაღა მამაშენი!

ამ „მორჩი ერთიმ“, რომელიც ჩვენმა სიახლოვემ წარმოშვა, რაღაც უცნაური ძალით რამდენიმე საათით უკან გადამისროლა, როცა ღრმად მეძინა ჩემი პაპიდის - ჰანას საწოლზე, მამა კი მას ჩვენს თავგადასავალს უამბობდა და თან რადიოს უსმენდნენ. ნეტავი, მისტერ ჰამელიც თუ იყო მასთან! ნეტავ რა იყო იმის მიზეზი, რომ მთელ სახლს ეს მშვიდი, აუმღვრეველი ბრწყინვალება მოჰფენოდა!

გავბედე და ვკითხე:

- მისტერ ჰამელი სადღაა?

- გზის გასაწმენდად წავიდა. საწყალი ელი ხუთი საათიდან ფეხზეა. ქალაქის სამმართველოსთან კონტრაქტი აქვს დადებული, თოვლიან ამინდში უნდა დაეხმაროს ქუჩების გაწმენდაში.

- ა-ა. საინტერესოა, ჩვენი საცოდავი მანქანა როგორღაა? გუშინ აბებთან დავტოვეთ.

- მითხრა მამაშენმა. როცა ელი დაბრუნდება, წაგიყვანთ იქ საბარგო მანქანით.

- რა გემრიელი დაბრაწულაა! ის ბაკანს მოშორდა და გაოცებით გამიღიმა.

- ეს ხომ მზად ნაყიდია!

აქ, სამზარეულოში აშკარად იგრძნობოდა მისი გერმანული კილო. მისის ჰამელს მუდამ ბუნდოვნად ვუკავშირებდი კულტურას, ნიუ-იორკს და ყოველივე ამდაგვარს; ის განირჩეოდა სხვა მასწავლებლებისაგან და ზოგჯერ წამწამებსაც კი იღებავდა, მაგრამ საკუთარ სახლში სრულიად ჩვეულებრივი, ადგილობრივი ქალი იყო.

- როგორ მოგეწონათ გუშინდელი თამაში? - ვკითხე მე.

თავს ძალიან დაძაბულად ვგრძნობდი, მაგრამ საუბრის შეწყვეტა მეუხერხულებოდა. რადგან მამაჩემი აქ არ იყო, გადავწყვიტე შემთხვევით მესარგებლა და სისრულეში მომეყვანა ჩემი საკუთრი შეხედულებები კულტურული მოქცევის შესახებ, რასაც მამა ყოველთვის წინ აღუდგებოდა ხოლმე. სახელოებს განუწყვეტლივ ძირს

ვექაჩებოდი, რომ გამონაყარი არ გამომჩენოდა. მისის ჰამელმა ორი ნაჭერი შებრაწული პური და შავ თეფშზე დასხმული ქარვისფერი ვაშლის ჟელე მომიტანა.

- წესიერად არც კი ვუყურებდი, - რაღაც მოაგონდა და გაეცინა. - მამა მარჩი ისე მართობდა. ნახევრად ბავშვია, ნახევრად მოხუცი, ვერასოდეს მიხვდები, ვისთან გაქვს საქმე.

- მართლა აქვს მედლები მიღებული?

- ჰო, მგონი, მთელი იტალია გაიარა.

- უცნაურია, არა, რომ ყოველივე ამის შემდეგ ისევ მღვდლობას დაუბრუნდა?

მან წარბები აზიდა. ნეტავი, თუ იქნის წარბებს? მაგრამ როცა ახლოს დავაკვირდი, გადავწყვიტე, რომ - არა. ბუნებრივად წვრილი წარბები ჰქონდა.

- ჩემი აზრით, ეს კარგია; შენ როგორ გგონია?

- ოჰ, კარგია, რა თქმა უნდა. მით უმეტეს, მთელი იმ საშინელებების შემდეგ, რაც მან იქ ნახა.

- მაგრამ ომებზე ბიბლიაშიც კი წერია.

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც გავიცინე. ეტყობა, ეს ესიამოვნა, მერე ცელქურად დამეკითხა:

- შენ თვითონ თუ ადევნებდი თვალს თამაშს? შენ გგონია, ვერ დავინახე, ფოგლმენის გოგო რომ გეჯდა გვერდით? მხრები ავიჩეჩე.

- ვინმეს გვერდით ხომ უნდა ვმჯდარიყავი.

- პიტერ, იცოდე, ფრთხილად იყავი. ისე გიყურებდა...

- თორემ სულ ჩემი დარდი აქვს!

ის ხუმრობით დამემუქრა თითქოს, როგორც სოფლელებმა იციან:

- აბა-აბა! ხელში არ ჩამივარდე.

ეს სულ ბაბუაჩემივით თქვა და სიამოვნებისაგან გავწითლდი. პურზე ჟელეს წასმას შევუდექი და მან ფუსფუსი განაგრძო.

მომდევნო ორი საათი ჩემთვის სრულიად უჩვეულო ვითარებაში გავატარე. მარტო ვიყავ ქალთან, რომელიც ასაკის მიუწვდომელ საფეხურზე იდგა, ისე მაღლა, რომ არც კი ვიცოდი მისი წლოვანება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ორჯერ ჩემზე უფროსი მაინც იყო. ქალთან, რომელიც გარემოსილი იყო დიდების შარავანდედით; სკოლის ნაძირალებს შორის გავრცელებული ლეგენდები მის სამიჯნურო საქმეებზე ჭუჭყიანი მონეტებივით ხელიდან ხელში გადადიოდა. უფროს ქალთან, რომელიც ქონების პატრონი იყო და გარკვეული ადგილი ეჭირა საზოგადოებაში, ყოველ კუნჭულში იგრძნობოდა მისი სიახლოვე. ის თბობის რეგულატორს შეეხო და ოთახში სითბო დატრიალდა. მერე ზედა სართულში გაისმა მისი ნაბიჯები და მტვერსასრუტი აზუზუნდა. ზოგჯერ ჩუმად იცინოდა, ან ავეჯს აჭრიალებდა. ისე დაფრთხიალებდა

ზევით, როგორც უჩინარი ფრინველი დაფრთხიალებს ხოლმე ტყეში, ტანაყრილ ხეთა რტოებში. ვერა ჰამელი სახლის ყოველი კუთხიდან შემომცქეროდა, იგი გაპრიალებული ხის ყოველ ჩრდილსა და ღუნში სუფევდა. ის ცოცხლობდა სარკეების ბრწყინვაში, ჰაერის მსუბუქ რხევაში, რომელიც ფარდებს ატოკებდა, სავარძლის სახელურების ფაფუკ ღუნღლში, რომელზედაც თითქოს მიჯაჭვული ვიყავ.

დაღონებული ვიჯექი ჩამუქებულ სასტუმრო ოთახში, სათითაოდ ვიღებდი გაპრიალებული თაროდან „რიდერზს დაიჯესტს“ და ყველაფერს თანმიმდევრულად ვკითხულობდი. იქამდე ვიკითხე, სანამ სულ არ გამოვტვინდი. მარტო ორი წერილი გადავიკითხე ნაჩქარევად, ისინი ერთმანეთს მისდევდნენ: „სასწაულმოქმედი საშუალება კიბოს წინააღმდეგ“ და „ღვთის არსებობის დამადასტურებელი ათი საბუთი“. მაგრამ ორივემ გამიცრუა მოლოდინი და ეს მით უფრო მწარე იყო, რომ წუთით ანთებულმა იმედმა იქამდე მთვლემარე შიში გამიღვიძა. შიშის დემონები რკინის კლანჭებით მიღადრავდნენ სულს. ყველა ამ ჭკვიანური, მყვირალა ფრაზების და ენციკლოპედიური ცოდნით შეიარაღებული დარბაისლური სვეტების მიუხედავად, აშკარა იყო, რომ არავითარი საბუთი და სასწაულთმოქმედი საშუალება არ არსებობდა.

სიტყვების წინაშე შიშით შეპყრობილმა სასოწარკვეთილი ლტოლვა ვიგრძენი ხელშესახები საგნებისადმი, მაგიდიდან მაქმანის პაწია სუფრა ავიტაცე და ხელში მაგრად ჩავბღუჯე მოღიმარე ელფის პატარა ფიგურის სტატუეტი, მოკლე, დაწინწკლული ფრთებით. ლურჯმა საშინაო ფეხსაცმელებმა სწრაფად გაიშრიალეს საფენით მოგებულ კიბეზე და მისის ჰამელი ჩვენთვის მეორე საუზმის მზადებას შეუდგა. უხვად განათებულ სამზარეულოში ყოფნა მიმძიმდა, ერთთავად მეშინოდა, რომ ჩემი ლაქები მას თვალში ეცემოდა. ვიფიქრე, უხერხული ხომ არ იქნება, რომ წავიდე-მეთქი, მაგრამ სულ ერთია, ვერაფრით ვაიძულებდი ჩემს თავს ამ სახლის დატოვებას, ან თუნდაც ფანჯარაში გახედვას; და კიდევაც რომ წავსულიყავ, სად უნდა წავსულიყავ ანდა რისთვის? მამაჩემი თითქოს ცამ ჩაყლაპა. მთლად დავიბენი. მისის ჰამელმა ათას წვრილმანზე გამიბა საუბარი და რატომღაც მისმა სიტყვებმა მიძინებული შიში გამიცხოველა. ჩვენს შორის გაჩხერილი მაგიდის კრიალა სიღრმეში ვეფლობოდი; ეტყობოდა, სიცილს ჰგვრიდა ჩემი ყურება. მან თავსაფარი მოიძრო და თმა ცხენის ფაფარივით გაიკრა. როცა მაგიდის ალაგებაში ვეხმარებოდი და თეფშები ბაკნისაკენ მიმქონდა, რამდენჯერმე შევხედეთ ერთმანეთს. ასე გავატარე ეს ორი საათი - სიყვარულთან და შიშთან ჭიდილში.

მამა რომ დაბრუნდა, უკვე მეორე საათი იყო დაწყებული. მე და მისის ჰამელი ჯერ კიდევ სამზარეულოში ვიყავით. თავისი გეგმა გამიზიარა: სახლს უკან აივანი უნდა მივაშენო, იქ მშვიდად დავისვენებ ზაფხულში და ქუჩის ხმაური აღარ შემაწუხებსო. აივნის კედლებზე სურო იქნება შემოვლებულიო. და მე წარმოვიდგინე იქ ჩემი თავი მასთან ერთად.

მამა თავის მრგვალ ქუდში და თოვლისაგან დამძიმებულ პალტოში ზარბაზნიდან გასროლილი კაცივით გამოიყურებოდა.

- ხო-ხო, რა ამბავია, - გვითხრა მან, - ზამთარმა თავისი გაიტანა.

- სად იყავი? - ვკითხე მე. ცრემლები მომაწვა და ხმა სამარცხვინოდ მიკანკალებდა. მან ისე შემომხედა, თითქოს ახლა გაახსენდა ჩემი არსებობა.

- აქვე, ახლოს, - თქვა მან. - სკოლაში. არ მინდოდა შენი გაღვიძება, პიტერ, ვიფიქრე, გამოიძინოს-მეთქი. ისედაც ძალიან გაწვალდი. ჩემი ხვრინვა, ალბათ, გიშლიდა, არა?

- არა.

პალტო და შარვალი ერთიანად თოვლში ჰქონდა ამოსვრილი, ეტყობა, ყველგან იყო, და შურით ვდნებოდი. მისის ჰამელი ახლა მხოლოდ მასღა უყურებდა, სულ იცინოდა, მაშინაც კი, როცა მამა დუმდა. მამას ხორკლიანი სახე გაწითლებოდა.

კარებთან დაგებულ მოწნულ საფენზე ფეხების ბაკუნით ჩამოიფერთხა თოვლი წაღებიდან. მინდოდა ტკივილი მიმეყენებინა მისთვის და გაანჩხლებულმა ვკითხე:

- რას აკეთებდი სკოლაში ამდენ ხანს?

- ღმერთმანი, მიყვარს ეს სახლი, როცა იქ მოწაფეები არ არიან. - მე კი არ მომმართავდა, არამედ მისის ჰამელს. - იცით, ვერა, რა უნდა უყოს კაცმა ამ აგურის ბოსელს? უნდა გაყარო იქიდან ყველა მოწაფე და შიგ მარტო ჩვენ, მასწავლებლებმა ვიცხოვროთ; ეს ერთადერთი ადგილია, სადაც არა ვგრძნობ, რომ ვიღაცა კისერზე მაზის.

მისის ჰამელმა გაიცინა და თქვა:

- მაშინ იქ საწოლებიც უნდა დაგვიდგან.

- მე ჯარისკაცის უბრალო საწოლი მეყოფა, - უთხრა მამამ. - ორი ფუტის სიფართე და ექვსი ფუტის სიგრძე. როცა ვინმეს გვერდით ვწევარ, ყოველთვის საბანს მაძრობენ. შენზე არ ვამბობ, პიტერ. წუხელ ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ, ალბათ, მე თვითონ გადაგაძრე საბანი. ჰო, მართლა, შენ გაინტერესებდა, სკოლაში რას ვაკეთებდი. ჟურნალები მოვაწესრიგე. პირველად არის, რომ ახალი წლიდან ყველაფერი შევსებული და გაფორმებულია; თითქოს ლოდი მოვიშორე. ხვალ რომ რამე დამემართოს, ახალი მასწავლებელი უწვალებლად ჩაიბარებს საქმეებს; თავისი უბედურება ეყოფა, საწყალს. ერ-თი და მორჩა. წინ, მეგობარო, შემდეგი გაჩერება სანაგვეზეა. იძულებული ვიყავი გამეცინა.

მისის ჰამელი მაცივართან მივიდა და შეეკითხა:

- ჯორჯ, თუ ისაუზმეთ? არ გინდათ როსტბივიანი ბუტერბროდი?

- ვერა, რომ იცოდე, რა კეთილი ხარ! მაგრამ მართალი გითხრათ, როსტბივს ვერაფერს

მოვუხერხებ, გუშინ საღეჭი კბილი ამომიღეს. თავს ასჯერ უფრო უკეთესად ვგრძნობ, მაგრამ იმხელა ორმო მაქვს პირში, შიგ მთელი ატლანტიდა მოთავსდება. მონისთან ფინჯანი ბულიონი შევსვი. თუმცა გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ თქვენ და პიტერი ყავას თუ დალევთ, არც მე ვიტყვი უარს. დამავიწყდა, ჩემი შვილი ყავას სვამს თუ არა.

- როგორ თუ დაგავიწყდა? - ვკითხე მე. - სახლში ყოველ დილით ვცდილობ დავლიო, მაგრამ დრო აღარ მრჩება.

- ჰო, მართლა, ეგ სულ აღარ გამახსენდა. მინდოდა დედაშენისთვის დამერეკა, მაგრამ ხაზი გაწყვეტილია. ნამცეცი საჭმელი არა აქვს სახლში, მეშინია, მამილო

კრამერმა ძაღლი არ შესანსლოს. თუ აქამდე კიბიდან არ ჩამოვარდა. ღმერთო, რა ბედი შემეწეოდა: ახლა იქამდე რომელი ექიმი მიაღწევს!

- ჩვენ როდისღა მივაღწევთ?

- მალე, შვილო, მალე. დრო და ჟამი არავის ელოდება. - ის მისის ჰამელს მიუბრუნდა: -

არასოდეს მოგლიჯოთ ბავშვი დედის კალთას. - და ენაზე იკბინა, ეტყობა, შეშინდა, უადგილო ნათქვამი ხომ არ გამომივიდაო, რადგან მისის ჰამელს, არ ვიცი, რა მიზეზით, შვილი არ ჰყავდა. მისის ჰამელმა კი, ხაზგასმული მდუმარებით, მსახური ქალივით უხმოდ დაუდგა წინ ყავა, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა. უეცრად ძირს ჩამოშლილმა თმის კულულმა მის ლოყაზე გაიშრიალა და ის ყველა სიტყვაზე უფრო მჭევრმეტყველი იყო. მამაჩემის ხმაში ფარული მღელვარება ვიგრძენი, როცა მან მისის ჰამელს უთხრა: - სპრუს-სტრიტზე ელი დავინახე, უკვე შინ ბრუნდება. მართლა სასწაულებს ატრიალებდა თავისი საბარგო მანქანით. ჩვენი ქალაქისათვის ეს თოვლი ნამდვილი უბედურებაა. მაგრამ ახლა მანქანები ყველგან დადიან, მხოლოდ მოსახვევში და შეილ-ჰილის მიდამოებშია შეჩერებული მოძრაობა. ღმერთმანი, მე რომ ქალაქის მმართველი ვიყო, ხალხი მთელი თვე თხილამურებით ივლიდა. - ის მხიარულად იფშვნეტდა ხელებს, ეტყობა, ეს სურათი ცხადად წარმოიდგინა. - სამხრეთ ოლტონში გუშინ ტრამვაი გადავარდნილა რელსებიდან. მისის ჰამელმა თმა გაისწორა და ჰკითხა:

- მსხვერპლი არის?

- არა. რელსებიდან გადავარდა, მაგრამ არ გადაბრუნებულა. აქედან წასული ტრამვაები მხოლოდ შუადღისას ჩასულან ელიში. ოლტონში, თურმე, ნახევარი მაღაზიები დაუკეტიათ.

გაოცებული ვისმენდი ამ ცნობებს და წარმოვიდგინე, როგორ იგებდა მამა ახალ ამბებს, როგორ მიაპობდა ნამქერს, როგორ აჩერებდა სატვირთო მანქანებს, რომ მძღოლებისათვის ყველაფერი გამოეკითხა, როგორ დაქროდა წინ და უკან თავის მოკლე პალტოში, ასაკგადაცილებულ ონავარ მოწაფესავით. ალბათ, სანამ მე მეძინა, მთელი ქალაქი შემოირბინა.

როცა ყავის სმას მოვრჩი, ერთბაშად ამიტანა საოცარმა გულგრილობამ, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ნერვები ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა. უკვე აღარ ვუსმენდი მამაჩემს, მისის ჰამელს თავის თავგადასავალს რომ უყვებოდა. მერე მისტერ ჰამელი შემოვიდა, ქანცგაწყვეტილი და სახეჩატეტკილი და თმიდან თოვლი ჩამოიბერტყა. ცოლმა საუზმე მოიტანა. როცა ჭამა მოათავა, მისტერ ჰამელმა მე გადმომხედა და თვალი ჩამიკრა:

- მოგენატრა, სახლი, პიტერ?

ქურთუკი, წინდები და დაბრეცილი ნოტიო წაღები ჩავიცვი და ისევ სამზარეულოში დავბრუნდი. მამამ ბაკანში ჩადგა ფინჯანი და ნაქსოვი ქუდი თავზე ჩამოიფხატა.

- თქვენ ისეთი სულგრძელობა გამოიჩინეთ, ელ... მე და პიტერი ამას არ დაგივიწყებთ. - მისის ჰამელს კი უთხრა: - უღრმესი მადლობა, ვერა, მართლა მეფის შვილებივით მიგვიღეთ.

და მერე, ძვირფასო, მოხდა ყველაზე უცნაური იმ უცნაური ამბებიდან, რომლებსაც მე გიყვები, - მამა დაიხარა და მისის ჰამელს ლოყაზე აკოცა. ნირწამხდარმა, თვალი ავარიდე მათ, დაწინწკლული ლინოლეუმით მოგებულ იატაკს დავაშტერდი და დავინახე, რომ ლურჯ ფაჩუჩებში გამოწყობილი მისის ჰამელის ფეხები ცერებზე შემაღლდა, როდესაც მან მორჩილად მიუშვირა მამას ლოყა საკოცნელად.

მერე მისი ქუსლები ისევ იატაკზე დაეშვა და მან მამას მეჭეჭებიან ხელზე ხელი მოუჭირა.

- როგორ მიხარია, რომ ჩვენთან მოხვედით, - უთხრა მან მამას ისე, თითქოს მარტონი ყოფილიყვნენ. - ცოტა ხნით მაინც გამოცოცხლდა ეს გამოყრუებული სახლი.

როცა მადლობის გადახდის ჯერი ჩემზე მოვიდა, ვერ გავბედე ვერასთვის მეკოცნა, სახე განზეც კი გავწიე იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია. მან გამიღიმა და გაწვდილი ხელი ორივე ხელით ჩამომართვა.

- შენ ყოველთვის ასე თბილი ხელები გაქვს, პიტერ?

გარეთ, პარმაღთან იასამნის ბუჩქი ირმის რქებს დამსგავსებოდა. ჰამელის სატვირთო მანქანა ბენზინის კოლონასთან იდგა; ეს არცთუ ისე დიდი ზომის, ალაგ-ალაგ ჟანგმოდებული „შევროლეს“ მარკის პიკაპი იყო, ნარინჯისფერი თოვლის სახვეტით. როცა დავიძარით, მომეჩვენა, რომ მრავალხმიანი გუგუნი შემოიჭრა ჰაერში. მამისა და ელ ჰამელის შუა ვიჯექი; კაბინაში ღუმელი არ იყო და მიხაროდა, მათ შორის რომ ვიჯექი. ბიუკენენ-როუდზე გამოვედით. ჩვენი ძველი სახლი თოვლს დაეფარა, თოვლის ბაბუის სასახლეს ჰგავდა და ის კედელი, რომელთანაც ბავშვობაში ჩოგბურთის ბურთით ვთამაშობდი ხოლმე, მზეზე ბრწყინავდა. ქუჩაში ბავშვებს

სხლტეებიდან თოვლი ძირს ჩამოეყარათ. მარტო წაბლის ხეებს სწყდებოდა დროდადრო სწრაფი, თეთრი ჩანჩქერი.

ქალაქის ბოლოს, ფერდობებზე, ჭუჭყიანი ნამქერის უწყვეტ კედელს გადაღმა, რომელიც კაცის სიმაღლე იქნებოდა, ხელუხლებელი, ქათქათა თოვლის ყამირი გაშლილიყო, ტყით დაფარული მოლურჯო-მოყავისფრო გორაკები წინანდებურად მოჩანდა ჰორიზონტზე, ოღონდ ახლა საღებავები მიმქრალიყო, როგორც კლიშეს გასაწმენდად გამზადებულ ტვიფარზე.

ახლა, როცა იმ დაღლილობას ვიგონებ, ღონე მერთმევა და თხრობა მიძნელდება. კაბინაში ვიჯექი, სანამ მამა და ჰამელი, რომლებიც წინა შუშის კადრში ბუნდოვნად მოჩანდნენ, როგორც ორი კომიკოსი ძველ მუნჯ ფილმში, ცდილობდნენ ამოეთრიათ ჩვენი ძველი „ბიუიკი“ - სატვირთო მანქანებმა ასოცდამეორე გზატკეცილის წმენდის დროს თითქმის სახურავამდე ჩამარხეს ის თოვლში. ცხვირი საძაგლად მექავებოდა შიგნიდან, ყელი მეფხანებოდა და ვგრძნობდი, რომ ტყუილუბრალოდ არ ჩამივლიდა წაღებში ჩამჯდარი აშმორებული სისველე. ახლა უკვე გორაკის ჩრდილი გვეცემოდა, მსუბუქმა ქარმა დაუბერა. მზის ოქროსფერი, გრძელი სხივები მარტო ხის კენწეროებსღა ანათებდა. ჰამელმა მტკიცე ხელით ჩართო ძრავა, უკანა ბორბლებს მოხერხებულად ჩამოაცვა ჯაჭვები და დაამაგრა რომელიღაც ინსტრუმენტით, რომელიც ბრტყელტუჩას ჰგავდა. მერე კი ამ ორმა, მოლურჯო ბინდში გაურკვეველი ფორმის ლაქებივით რომ მოძრაობდნენ, გაითამაშეს პანტომიმა საფულით, რომლის ფინალი ჩემთვის გაუგებარი დარჩა. ისინი გამწარებით იქნევდნენ ხელებს და ბოლოს ერთმანეთს გადაეხვივნენ გამოსამშვიდობებლად. ჰამელმა მანქანის კარი გამიღო, სუსხში გადავეშვი და დაბეგვილი სხეული ძლივს მივიტანე ჩვენს კატაფალკამდე.

როცა სახლის გზას დავადექით, მას შემდეგ განვლილი დღეები, რაც ეს გზა უკანასკნელად ვნახე, ძველი ნაჭრილობებივით შეხორცდა და წაიშალა. აი აბები, აი ის მოსახვევი და აყალო ფერდობი, სადაც მაწანწალა ჩავისვით; აი რძის ფერმა „სამყურა“, საიდანაც ძროხის ნაკელი კონვეიერით გამოჰქონდათ და ვერცხლისფერი სავენტილაციო მილებიდან სახურავზე გამოსული ორთქლი თეთრად მოჩანდა ვარდისფრად მბრწყინავი ცის ფონზე; მერე პირდაპირი, სწორი გზა იწყებოდა, სადაც ოდესღაც პირდაღებული შოშია გავსრისეთ; მერე გალილეა, ყოფილი სასტუმრო

„მეშვიდე მილი“ და მის გვერდით პოტეიჯერის მაღაზია, სადაც საჭმლის საყიდლად შევჩერდით. მამამ გამოცდილი მეაფთიაქესავით, რომელიც რეცეპტის მიხედვით არჩევს წამლებს, თაროები შემოიარა, აიღო პური, ატმის ჩირი, კრეკერები, ხორბლის ბურღული და ყველაფერი დახლზე დააწყო ჩარლი პოტეიჯერის წინ, რომელიც ოდესღაც ფერმერი იყო, ხოლო წყნარი ოკეანიდან დაბრუნებულმა ფერმა გაყიდა და ეს მაღაზია გახსნა. ის ჩვენს ვალებს

ხუთცენტიან პატარა, ყავისფერ ბლოკნოტში იწერდა ხოლმე და თუმცა ზოგჯერ გადახდიდან გადახდამდე თანხა სამოც დოლარს აღწევდა, ერთ ცენტსაც არ გვაპატიებდა.

- ღორის ძეხვის რგოლიღა მოგვეცით, ჩემს სიმამრს ძალიან უყვარს და ნახევარი გირვანქა შებოლილი ძეხვი ჩემი ბიჭიკოსათვის, - უთხრა მამამ.

იმ დღეს ძალიან გულუხვობდა, თუმცა ჩვეულებრივ ხელმოჭერილი იყო და მუდამ ერთი დღის სამყოფ საჭმელს ყიდულობდა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ხვალ ნაკლები ხალხი ეყოლებოდა დასაპურებელი. ქორფა ბანანების მტევანიც კი იყიდა: სანამ პოტეიჯერი ფანქრის ნაღრღენით გულმოდგინედ ანგარიშობდა დანახარჯს, მამა მომიბრუნდა და მკითხა:

- დალიე ლიმონათი?

აქ ყოველთვის ვსვამდი ლიმონათს, თითქოს ცივილიზაციას ვეთხოვებოდი გამოყრუებულ ქვესკნელში ჩაშვების წინ, რომელიც რაღაც მცდარი მიზეზის გამო ჩვენ სახლად იქცა.

- არა, - ვუთხარი მე. - არ მინდა, წავიდეთ.

- ჩემი საბრალო ბიჭი, - ხმამაღლა განუცხადა მან მონადირის წითელ ქუდებში გამოწყობილ უსაქმურთა მცირე ჯგუფს, რომლებიც ასეთ ავდარშიც კი მაღაზიაში შეკრებილიყვნენ და თამბაქოს ღეჭდნენ, - ორი ღამეა სახლში არ უძინია და დედა მოენატრა.

გაოცებული გამოვვარდი მაღაზიიდან. გზის გადაღმა თოვლის ჩარჩოში ჩასმული ტბა სარკის უკანა მხარესავით შავი იყო. ნაადრევი ბინდი ჩამოწოლილიყო, როდესაც ზოგიერთი მძღოლი ფარებს ანთებს, სხვები - საშუქელას, ზოგიც კი საერთოდ არ რთავს ჯერჯერობით შუქს. მამა ისე მიერეკებოდა მანქანას, თითქოს გზატკეცილი ცარიელი

ყოფილიყო. აქა-იქ გზა გაეწმინდათ და ამ ადგილების გავლისას ჯაჭვები სხვა ხმაზე ჟღარუნობდნენ. როცა ფაირჰილის აღმართის ნახევარი გავიარეთ (პაწია ჯვრით დამშვენებული ეკლესია თითქოს მელნით დაეხატათ მუქ ლურჯ ცაზე), ერთი ჯაჭვი ჩამოვარდა და მთელი უკანასკნელი მილის განმავლობაში ხმაურით ეხებოდა მარჯვენა უკანა ფარს. სიბნელეში ფაირტაუნის სახლების ჯგუფი აციმციმდა, მხოლოდ ქვედა სართულების ფანჯრებში მიმქრალი ნაღვერდალივით კიაფობდა მკრთალი შუქი. სასტუმრო „მეათე მილი“ აჭედილი და ჩაბნელებული იდგა.

ჩვენი გზა არ გაეწმინდათ. ფაქტიურად, იქ ორი გზა იყო, ერთი ემიშის მინდვრების გავლით, მეორე კი მისი განტოტება, - ის ჩვენს ფერმას ჩაუვლიდა

და მერე ისევ გზატკეცილზე გამოდიოდა საილას შელკოფის თავლასთან და საგუბართან. ჩვენ მეორე, ქვედა გზით წავედით, ხოლო უკან ზედა გზით დავბრუნდით. მამა გამეტებით ეკვეთა ნამქერს და ჩვენი „ბიუიკი“ ათი ფუტის შემდეგ თოვლში გაიჭედა. ძრავა ჩაქრა. მამამ ანმთები გამორთო და ფარები ჩააქრო.

- ხვალ როგორღა გავაღწევთ აქედან? - ვკითხე მე.

- მოითმინე, ყველაფერს თავისი დრო აქვს, - მითხრა მამამ. - ჯერ შინ უნდა მიგიყვანო. შეგიძლია სიარული?

-
  მეტი რაგზაა.

გაუკვალავი თოვლი გრძელ, ვიწრო ნაცრისფერ ზოლად გაწოლილიყო გზაზე, რომელსაც ორივე მხარეს ახლად დარგული ხეები მწკრივად მისდევდა. აქედან სინათლის ნატამალი არსად ჩანდა. ჩვენს თავზე, ნათელ, ჯერ ისევ უვარსკვლავო ცაზე, თხელი, ფერმკრთალი ღრუბლები დასავლეთისაკენ მიცურავდნენ უზარმაზარი მარმარილოს ფთილებივით, ისე ნელა, რომ მათი მოძრაობა დედამიწის ბრუნვით გამოწვეულ ილუზიად მეჩვენებოდა. კოჭებამდე ვეფლობოდი თოვლში და მალე წაღები თოვლით ამევსო. ვცდილობდი მამაჩემის კვალდაკვალ მევლო, მაგრამ ის ძალიან ფართო ნაბიჯებს ადგამდა. ხმაური, რომელიც გზატკეცილიდან მოდიოდა, თანდათან მიწყნარდა ჩვენს უკან და სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა. ცისკიდურზე ეული ვარსკვლავი ბრწყინავდა, ისეთი კაშკაშა, რომ მის თეთრ შუქზე მეგონა, გავთბებოდი.

- ეს რა ვარსკვლავია? - ვკითხე მამას.

- ვენერა.

- ყოველთვის პირველი ამოდის?

- არა. მაგრამ ზოგჯერ უკანასკნელი ქრება. რამდენჯერ ყოფილა, ავმდგარვარ დილით, მზეს უკვე ტყის გულში შეუღწევია, ვენერა კი ისევ დანათის ემიშის მთას.

- შეიძლება მისი დახმარებით გზის გაგნება?

- არ ვიცი. არ მიცდია. ისე, საინტერესო კია.

- ვერასოდეს ვპოულობ პოლარულ ვარსკვლავს. ვერ დამიჯერებია, რომ ასეთი პატარაა, - ვთქვი მე.

- მართალია. ნეტავი რაში დასჭირდათ, ასეთი პატარა რომ გააკეთეს!

მამა ისე იყო სანოვაგით დატვირთული, რომ მისი სილუეტი ადამიანისას არ ჰგავდა, მის ადგილას ცხენის თავი და კისერი მეჩვენებოდა და რადგან დაღლილობისაგან ფეხებს აღარ ვგრძნობდი, ასე მეგონა, ცხენზე ამხედრებული მივიწევდი წინ. ზევით ავიხედე და დავინახე, რომ ლურჯი გუმბათი მარმარილოს ფთილებისაგან გაწმენდილიყო და მორცხვად ინთებოდნენ ვარსკვლავები. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ნორჩი ხეები გაიფანტა და ჩვენი ზედა მინდვრის გრძელი, დაბალი, პირქუშად მოელვარე კუზი გამოჩნდა.

- პიტერ?

მისი ხმის გაგონებაზე გამაჟრჟოლა - მეგონა, მარტო ვიყავი.

-

- რა იყო?

- არაფერი, უბრალოდ, მინდოდა დავრწმუნებულიყავ, რომ აქა ხარ.

  სხვაგანსად უნდა ვიყო?

- შენ ეგა თქვი!

- მომეცი პაკეტი.

- არ გინდა, იყოს, ცუდი დასაჭერია, თორემ ისე მძიმე სულ არ არის.

- რაღას ყიდულობდი ამ ბანანებს, თუ ნახევარი მილი ფეხით გვქონდა გასავლელი?

- გიჟი ვარ და იმიტომ. მემკვიდრეობითი სიგიჟე მჭირს.

ეს მისი საყვარელი ახსნა-განმარტება იყო.

მინდორს გადაღმა ლედიმ ყეფა ატეხა ჩვენი ხმების გაგონებაზე. ბგერათა მიყრუებული, სწრაფი დუპლეტები პეპლებივით დაბლა მოფრინავდნენ მიწაზე ჩვენკენ, ოდნავ ეხებოდნენ ფაფუკ ფენას და ვერ ბედავდნენ მაღლა ჰაერში აჭრას, გლუვი ციცაბო თაღისაკენ, რომელიც ასეული მილების სიგრძეზე გადაჭიმულიყო პენსილვანიის თავზე; გზის განშტოებიდან ნათელ ამინდში კარგა შორს მოჩანდა

ყველაფერი, ალიგენის ლურჯ ციხექალაქებამდე. ქვევით დავეშვით, მთის ძირისაკენ. ჯერ ხეები გამოჩნდა ბაღში, მერე ფარდული და ბოლოს, ერთმანეთში გადახლართულ შიშველ რტოებს მიღმა დავინახე ჩვენი სახლი. ქვედა სართულის ფანჯრებში სინათლე ენთო, მაგრამ როცა ცარიელ ეზოში მივაბიჯებდით, დარწმუნებული ვიყავი, ეს სინათლე - მოჩვენებითია, ოჯახი ამოწყდა და შუქი გამოურთავი დარჩათ-მეთქი. ჩემს გვერდით მამამ საცოდავად დაიკვნესა:

- ღმერთო ჩემო, ასეც ვიცოდი, რომ ბაბუაშენი იმ დაწყევლილი კიბიდან ჩამოვარდებოდა.

მაგრამ სახლის გარშემო ბილიკი გაკვალული იყო და პარმაღიდან ტუმბომდე თოვლს უთვალავი ნაფეხური აჩნდა. ლედი აშვებული იყო, სიბნელიდან გამოვარდა, ხახაში ღრენა უთრთოდა, მაგრამ გვიცნო თუ არა, ისე ამოხტა თოვლიდან, როგორც თევზი წყლიდან და დრუნჩს სახეში გვახლიდა, თან ნაზად და შესაბრალისად წკმუტუნებდა. ჩვენთან ერთად ის ხმაურით შევარდა სამზარეულოში ორმაგი წინკარიდან და იქ, სითბოში, ვიგრძენი, რომ სკუნსის ნაცნობი სუნი ასდიოდა.

-

ყველაფერი თავის ადგილზე იყო: უხვად განათებული სამზარეულო, თაფლისფერი კედლები და ორი საათი - წითელი, ელექტრული სრულიად შეუსაბამო დროს უჩვენებდა, რადგან ქარბუქის შემდეგ შუქი არ იყო, ახლა კი ის კვლავ ყოჩაღად წიკწიკებდა; დედა, თავისი დიდი ხელებითა და ღიმილით გაბადრული ქალიშვილური სახით ჩვენკენ გამოიქცა და მამას პაკეტი ჩამოართვა.

ჩემი გმირები! - თქვა მან. მამა მაშინვე

თავის მართლებას მოჰყვა:

- შევეცადე ამ დილით შენთვის დამერეკა, ხესი, მაგრამ ხაზი გაწყვეტილი იყო. რა, ძალიან გაგიჭირდა? მაგ პაკეტში ბუტერბროდია.

- მშვენივრად ვიყავით. - თქვა დედამ. - მამამ შეშა დახერხა და დღეს ვაშლებიანი ხორცის კონცენტრატისაგან წვნიანი მოვხარშე, როგორც ბებია აკეთებდა, როცა საჭმელი გამოგველეოდა.

და მართლაც, ღუმელიდან მოხარშული ვაშლის ღვთაებრივი სუნი მოდიოდა და ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

- მართლა? - ეტყობა, მამას უკვირდა, რომ უმისოდაც გრძელდებოდა ცხოვრება. - მამილო როგორ არის? სად გაქრა?

ამ სიტყვებით ის მეორე ოთახში გავიდა - იქ, თავის საყვარელ ადგილზე, დივანზე იჯდა ბაბუა, გამხდარი ხელები მკერდზე დაეწყო და პატარა დაფლეთილი ბიბლია გაუშლელად ედო მუხლებზე.

- მაშ შეშა დააპეთ, მამილო? - ხმამაღლა ჰკითხა მამამ. - ფეხადგმული საოცრება ხართ. ალბათ, ღმერთმა უმწიკვლო ცხოვრებისთვის დაგაჯილდოვათ და სასწაული ჩაგადენინათ.

- ჯორჯ, ეგ-გოისტობა არ დამწამოთ, მაგრამ შემთხვევით ხომ არ გაგახსენდა, რომ ჩემთვის „სანი“ წამოგეღო?

ფოსტალიონი, რა თქმა უნდა, ვერ მოაღწევდა აქამდე და ეს დიდი დანაკლისი იყო ბაბუასათვის, რომელსაც იმის დაჯერებაც კი არ შეეძლო, რომ ქარბუქი ამოვარდა, სანამ ამის შესახებ გაზეთში არ წაიკითხავდა.

- ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, მამილო! - შესძახა მამამ. - დამავიწყდა. ეს როგორ მომივიდა, ეტყობა, სულ გამოვჩერჩეტდი.

-

დედა ძაღლის თანხლებით ფეხდაფეხ შემოგვყვა სამზარეულოში. ლედის სული კბილით ეჭირა, ისე უნდოდა ვინმესთვის გაეზიარებინა ჩვენი დაბრუნების სასიხარულო ამბავი, დივანზე შეხტა და ბაბუას მთელი ძალით ეძგერა ყურში.

- გამშორდი, გამ-შო-რდი! - დაიყვირა ბაბუამ, ბიბლიას ხელი სტაცა და წამოდგა.

- დოკ აპლტონმა დარეკა, - უთხრა დედამ მამას.

- მართლა? განა ტელეფონი მუშაობს?

- დღეს, როცა ელექტროდენი შეაკეთეს, სატელეფონო ქსელის ამწყობიც მოვიდა. ჰამელებს დავურეკე და ვერამ მითხრა, უკვე წამოვიდნენო. ასე ტკბილად ჯერ არ დამლაპარაკებია.

  რა თქვა აპლტონმა? - ჰკითხა მამამ, რომელიც ამ დროს ჩემს გლობუსს ათვალიერებდა.

- რენტგენმა არაფერი უჩვენაო.

-მართლა? რას ამბობ? როგორ გგონია, ხესი, ხომ არ მატყუებს?

- შენც კარგად იცი, რომ ის არასოდეს ტყუის. სრულიად სუფთა სურათია. დოკი ამბობს, ყველაფერი ნერვების ბრალიაო. რაღაც იოლი ფორმა აქვსო... დამავიწყდა რა თქვა... ჩაწერილი მაქვს. - დედა ტელეფონთან მივიდა და ტელეფონის წიგნზე დადებულ ქაღალდის ნაგლეჯზე წაიკითხა, - ქრონიკული კოლიტისო. ბევრი ვილაპარაკეთ; ხმაზე ეტყობა, რომ დაბერებულა.

უეცრად სიცარიელე და უღონობა ვიგრძენი; ქურთუკის გაუხდელად დავჯექი დივანზე და ბალიშებს მივეყრდენი. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, წავიქცეოდი. ძაღლმა თავი მუხლებზე დამადო და ყინულივით ცივი დრუნჩი ჩემი ხელის ქვეშ შეყო. მშობლების ფიგურები უზარმაზარი და ტრაგიკული მეჩვენებოდა.

მამა ჩვენკენ შემობრუნდა - მისი დიდი სახე დაძაბული იყო და ვერაფრით გადაეწყვიტა უკანასკნელი კვანძის გახსნა, რომლითაც იმედი იყო შეკრული.

- მაშ ასე გითხრა?

- მაგრამ ამბობს, დასვენება სჭირდებაო, სკოლაში მუშაობა მაგისთვის მეტისმეტი გადაღლაა და ჯობია სხვა რამეს მოჰკიდოს ხელიო.

- რაო? დალახვროს ეშმაკმა, ამის გარდა, მე არაფრისათვის ვარგივარ, ხესი. მარტო მაგაში მაქვს ნიჭი. ვერ წავალ სკოლიდან.

- ორივემ ვიცოდით, რომ ასე იტყოდი.

-

- როგორ გგონია, ხესი, მაგას მართლა გაეგება რამე რენტგენის სურათებისა? ნეტავი თუ ესმის ამ ბებერ მატყუარას, რასაც ამბობს?

მადლიერებით აღსავსემ თვალები დავხუჭე. ვიღაცის ცივი ხელი შუბლზე შემეხო. დედის ხმამ თქვა:

- ჯორჯ! რა უყავი ბიჭს? იწვის ბავშვი.

ხის ტიხარს უკან ბაბუამ მიყრუებული ხმით ჩამოგვძახა:

- ძილი ნებისა.

მამამ იატაკის მოფამფალებულ ფიცრებზე გაიარა სამზარეულოსკენ და ზევით ბაბუას ასძახა:

გაზეთის გულისთვის ნუ გამიჯავრდებით, მამილო! ხვალ წამოგიღებთ. დამიჯერეთ, იქამდე არაფერი შეიცვლება. რუსები ჯერ ისევ მოსკოვში სხედან და ტრუმენი ისევ მეფობს.

- დიდი ხანია, რაც ეს დაგემართა? - მკითხა დედამ.

- არ ვიცი, - მივუგე. - დილიდან სისუსტეს ვგრძნობ, მეც არ ვიცი, რა მემართება.

- წვენი გინდა?

- სულ ცოტა, ორი კოვზი. რა კარგია, რომ მამას არაფერი აღმოაჩნდა, არა? კიდევ კარგი, კიბო არა აქვს.

- ჰო, - თქვა დედამ. - ახლა სხვა რამეს მოიგონებს, რომ თავი შეგვაცოდოს.

მის მოგრძო სახეზე, რომელიც ჩემზე მუდამ ასე დამამშვიდებლად მოქმედებდა, სიმწარემ გაიელვა და გაქრა.

იმ პაწია, საიდუმლოებით მოცულ სამყაროში დაბრუნებას შევეცადე, რომელიც მარტო მე და დედას გვეკუთვნოდა და სადაც ჩვენ მუდამ ალერსით დავცინოდით მამას:

- მაგან მეტი რა იცის, ალბათ, მარტო ამაში აქვს ნიჭი, - კვერი დავუკარი დედას.

მამა ოთახში დაბრუნდა და განაცხადა:

- ეშმაკმა დალახვროს, რა ხასიათი აქვს ამ მოხუცს! მართლა გაბრაზდა - რატომ გაზეთი არ წამომიღეო. რკინაა მამაშენი, ხესი, რკინა. მაგის ადგილას მე უკვე ოცი წელი საფლავში ვიდებოდი.

-

თუმცა ძილი მერეოდა და ისეთი გაბრუებული ვიყავ, რომ აზროვნების თავი აღარ მქონდა, მაინც შევნიშნე, რომ მან ჩვეულების წინაღმდეგ თავისი სიცოცხლის ვადა გაახანგრძლივა.

მშობლებმა მაჭამეს, ლოგინში ჩამაწვინეს და თავიანთი საბანი დამახურეს, მალე რომ გავმთბარიყავ. კბილების რაკუნი ამიტყდა და არც კი ვცდილობდი, ის საშინელი ცახცახი შემეკავებინა, რომლისგანაც მთელ ტანში ცივი ჟრუანტელი მივლიდა, დედა კი მხურვალე, მაგრამ უმწეო მზრუნველობით დამტრიალებდა თავს. მამა იდგა და ხელებს იფშვნეტდა.

- მეტისმეტად თავმოყვარეა ეს საბრალო, - ამოიგმინა მამამ.

- ჩემი თვალისჩინი, - ეს, მგონი, დედამ თქვა.

მათი ხმები თანდათან დამშორდა, მიწყნარდა და ჩამეძინა. მაგრამ არც ისინი დამსიზმრებია, არც პენი, არც დეიფენდორფი, არც მაინორ კრეცი და არც მისტერ ფილიპსი. ძილმა განვლილ წელთა მბრუნავ სამყაროში წამიღო, როცა ჯერ არც ერთი მათგანი არ არსებობდა და მხოლოდ ბებიაჩემის შორეული, განცვიფრებული და შეშინებული სახე კრთოდა ხანდახან; ასეთი სახე ჰქონდა

მას იმ წუთებში, როცა მიყვიროდა - ხიდან ჩამოდიო. ეს სახე ჩემთან ერთად დაცურავდა შეუცნობელის ცვალებად, დაუდგრომელ ნიაღვარში და განუწყვეტლივ მესმოდა საკუთარი უკმაყოფილო ხმა, ხოლო როცა გამეღვიძა, აუტანლად მომინდა გარეთ გასვლა. მშობლების ხმები ჩემი საკუთარი გაორებული ხმის გაგრძელებად მომეჩვენა. ფანჯარაში დილის მოყვითალოლიმონისფერი შუქი იღვრებოდა. გამახსენდა, რომ ღამით, ძილში წასულმა, კოშმარებით გაბრუებულმა, სახეზე ხელის შეხება ვიგრძენი და ოთახის კუთხიდან მამაჩემის ხმა შემომესმა:

- ჩემი საბრალო ბიჭი, ნეტავი შემეძლოს ჩემი რკინისებური ჯანმრთელობა მაგას მივცე. ახლა კი ეს ხმა, წვრილი და გაანჩხლებული, შოლტივით სცემდა დედას სახეში:

- გეუბნები, ხესი, მე უკვე მტკიცედ გადავწყვიტე. მგლებში რომ მოხვდები, მგლურად უნდა იღმუვლო - აი, ჩემი დევიზი. რაკი ეს არამზადები საშველს არ მაძლევენ, არც მე მივცემ.

- ასეთი მსჯელობა არა პედაგოგიურია. ამიტომაცაა, რომ მთელი გულ-ღვიძლი გადმოტრიალებული გაქვს.

- სხვანაირად შეუძლებელია, ხესი. სხვანაირად მოქცევა თვითმკვლელობას უდრის. კიდევ ათი წელი რომ გამაძლებინა სკოლაში, ოცდახუთი წლის სტაჟი მექნება, პენსიას დამინიშნავენ და აღარ დაგვჭირდება ამდენი თავის მტვრევა. რა თქმა უნდა, ზიმერმანმა და იმ ძუკნა ჰერცოგმა მანამდე თუ არ გამომაპანღურეს.

- მარტო იმიტომ, რომ შენ დაინახე, როგორ გამოდიოდა ის კაბინეტიდან? ჯორჯ, რატომ აზვიადებ ასე, გინდა ყველა ჭკუიდან შეგვშალო? მითხარი, შენ რა შეგემატება, ჩვენ რომ ჭკუიდან შევიშალოთ?

- არ ვაზვიადებ, ხესი, იმ ქალმა იცის, რომ მე ვიცი, და ზიმერმანმაც იცის, რომ მე ვიცი, რომ იმ ქალმა იცის.

- ალბათ, საშინელებაა ერთბაშად ამდენის ცოდნა. დუმილი.

- ჰო, - თქვა მამამ. - ეს ჯოჯოხეთია.

ისევ დუმილი.

- ჩემი აზრით, დიკი მართალია, - თქვა დედამ. - უნდა წახვიდე სკოლიდან.

- ნუ ბავშვობ, ხესი. დოკ აპლტონი სისულელეს როტავს, რამე ხომ უნდა თქვას. მერე, ვის რაში უნდა გამოვადგე? სხვაგან არსად მიმიღებენ.

- სხვა სამუშაოს თუ ვერ იშოვნი, მეურნეობას გავუძღვებით ერთად, - მას ხმა გაუბედავი და ქალიშვილურად გაუბედავი გაუხდა; გული შემეკუმშა, ისე შემეცოდა. - მშვენიერი ფერმა გვაქვს, - თქვა მან, - რატომ არ შეგვიძლია, ჩემი მშობლებივით რომ ვიცხოვროთ, ისინი ბედნიერები იყვნენ აქ. ასე არ არის, მამა?

ბაბუამ არაფერი უპასუხა. დედა, უხერხულობის გასაქარწყლებლად ნერვიულ ოხუნჯობას მოჰყვა:

- წარმოიდგინე, ჯორჯ, ფიზიკური შრომა ბუნების წიაღში. ადამიანად იგრძნობ თავს. ახლა მამას გაუხდა სერიოზული სახე:

- ხესი, მე მინდა შენთან გულახდილი ვიყო, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ცოლი ხარ. მე ბუნებას ვერ ვიტან. ის სიკვდილს მაგონებს. ჩემთვის ბუნება - მხოლოდ ნაგავი, ქაოსი და სიმყრალეა, სკუნსის სიმყარე, ფუჰ!

- ბუნება, - განაცხადა ბაბუამ მისთვის ჩვეული საზეიმო კილოთი და მტკიცედ ჩაახველა, - დედასავითაა, - ერრ-თი და იმავე ხელით კიდეც გსჯის და კიდეც გეფ-ფ-ერება.

ნერვიული დაძაბულობა თხელი გარსივით მოედო მთელ სახლს და ვიცოდი, რომ დედამ ტირილი დაიწყო: მეც მასთან ერთად ვტიროდი მისი ცრემლებით და მაინც მიხაროდა მისი დამარცხება - შიში მიპყრობდა იმის გაფიქრებაზე, რომ მამას შეეძლო ფერმერი გამხდარიყო. მაშინ მეც მიწასთან ვიქნებოდი მიჯაჭვული.

საწოლთან ღამის ჭურჭელი იდგა და მორჩილად მოვიდრიკე მუხლი მის წინ. ამას მარტო შპალერის ყვითელი რგოლები ხედავდნენ. ჩემი წითელი პერანგი, ახლად გაძრობილი ტყავივით, დაჭმუჭნული ეგდო იატაკზე, კედელთან. ლოგინიდან რომ წამოვდექი, მეტი სიცხადით შევიგრძენი ჩემი ავადმყოფობა. ფეხები მიკანკალებდა, თავი მისკდებოდა, ყელში კი თითქოს შუშები გამეჩხირა. მაგრამ ცხვირიდან წყალი აღარ მდიოდა და გაჭირვებით ჩავახველე. ისევ ჩავწექი და გონების თვალით წარმოვიდგინე ავადმყოფობის ნაცნობი მსვლელობა. ხველა დამიცხრება, ცხვირში ასე მაგრად აღარ მომიჭერს, სიცხე გამინელდება - მოკლედ, სამ დღეს მაინც მომიწევს წოლა. ჩვეულებრივ, როცა გამოჯანმრთელებას ვიწყებდი, მომავალი განსაკუთრებით ახლოს მეჩვენებოდა, მღელვარებით ვფიქრობდი იმაზე, როგორ გავხდებოდი მხატვარი და ნათელ ოცნებებს ვეძლეოდი. საწოლში მყოფი ფერთა ვეება ლანდებზე

ვმბრძანებლობდი და სამყარო თითქოს მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ ჩემს ოცნებებს განხორციელება შესძლებოდათ.

მამამ გაიგონა, როგორ ავდექი და ჩემთან ამოვიდა. თავისი ვიწრო პალტო ეცვა და იდიოტური, ნაქსოვი ქუდი ეხურა. უკვე წასასვლელად გამზადებულიყო. იმ დღეს მე აღარ ვაფერხებდი. მხიარული სახე ჰქონდა.

- როგორ ხარ, შვილო? დასწყევლოს ეშმაკმა, რანაირად გაწვალდა ამ სამ დღეს, ყველაფერი ჩემი ბრალია.

- შენ რა შუაში ხარ. რა მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

- ა? რენტგენზე ამბობ? ჰო, ეტყობა ბედნიერ ვარსკვლავზე დავიბადე. ღმერთს უნდა მივენდოთ და არ გაგვწირავს.

- დარწმუნებული ხარ, რომ დღეს სწავლა იქნება?

- ჰო, რადიოში გამოაცხადეს, უკვე ყველა მზად ყოფილა. მხეცები მზად არიან საწრთვნელად.

- მამა.

- რა იყო?

- შენ თუ სკოლიდან წასვლა გინდა, ან ერთი წლით შვებულების აღება, როგორც ხელს გაძლევს, ისე მოიქეცი, ჩემი გულისთვის არ გადაიფიქრო.

- მაგაზე ნუ სწუხხარ. ნუ სწუხხარ შენს მოხუცზე, პიტერ, შენ შენი საზრუნავიც გყოფნის. მთელი ჩემი სიცოცხლე ასპროცენტიანი ეგოისტივით ვირჯებოდი.

მეორე მხარეს გადავბრუნდი და ფანჯარაში დავიწყე ცქერა. მალე ფანჯარაში მამა გამოჩნდა - მისი ლარივით გაჭიმული ფიგურა თოვლზე მუქად მოჩანდა. და თუმცა სიარული უჭირდა, წელში მაინც არ იხრებოდა; ასე გამართულმა გადაჭრა ეზო, საფოსტო ყუთს ჩაუარა, მერე ფერდობს აუყვა და ბოლოს ხილნარს მიეფარა. ხეების

მზით განათებული ნახევარი თეთრად ჭვიოდა. დაწყვილებული ტელეფონის მავთულები ირიბად კვეთდნენ ნათელ, ლურჯ ზეცას. შიშველ ქვის კედელს მოყავისფრო ფერი დაჰკრავდა. მამაჩემი თეთრ ნაფეხურებს სტოვებდა ქათქათა თოვლზე. ვიცოდი, რასაც ვხედავდი - პენსილვანიის მიყრუებულ კუთხეს 1947 წელს, - და მაინც ვერ გამეგო; მსუბუქი ციებ-ცხელებით შეპყრობილი უგონოდ ვიყავ მისვენებული ათასფრად მბრწყინავ ოთხკუთხედზე. ძალიან მინდოდა ფუნჯით გადმომეცა მთელი ეს სიდიადე და იდუმალება; და თავში გამიელვა აზრმა, რომ ბუნებასთან შეიარაღებული უნდა მიხვიდე! პერსპექტივას თავი უნდა ანებო და ფართო, გამჭვირვალე ტილოსავით გადაეფარო ზევიდან, იმ იმედით, რომ თუკი მას სრულიად დანებდები, მშვენიერი სიმართლის ანაბეჭდი შეგრჩება.

და მერე, თითქოს ამ დასაბამიერი მღელვარების საკუთარ სხეულში გატარებით კეთილსინდისიერი ჯაფა შემესრულებინოს, დაღლილობა ვიგრძენი, თვალები დავხუჭე, ჩამთვლიმა და როცა დედამ ფორთოხლის წვენი და ხორბლის ფაფა მომიტანა, ძილ-ღვიძილში მყოფმა პირისკენ გზა ვეღარ გავუკვლიე.

IX

მარტო მიდიოდა თეთრ სივრცეში. მზით გახურებულ, კირქვიან პლატოზე ფლოქვებს ჭახაჭუხი გაუდიოდა, ცალი ფლოქვი კი ღრჭიალებდა (ძვალი ძვალზე). ნეტავი როგორია ეს თაღი - რკინისაა თუ ბრინჯაოსი? ამბობენ, გრდემლის ციდან მიწაზე ჩამოვარდნას ცხრა დღე და ღამე სჭირდებოდაო; მიწიდანაც ცხრა დღე და ცხრა ღამე ვარდებოდა, მხოლოდ მეათე დღეს აღწევდა ის ჯოჯოხეთს. პირველ ხანებში, როცა ურანოსი ღამ-ღამობით გეასთან იყოფდა სარეცელს, ეს მანძილი, ალბათ, უფრო მოკლე იყო. ახლა კი ის, ალბათ, გაიზარდა; ალბათ, - ამის გაფიქრებაზე ტკივილი უარესად გაუმიზეზდა - ციდან ჩამოვარდნილი გრდემლი ვეღარასოდეს მიაღწევს მიწას. და მართლაც, დედა გეა, რომელმაც ოდესღაც თავისი ნესტიანი წიაღიდან შვა ასხელიანები, ლითონთა მბრძანებელი ცალთვალა, მშფოთვარე, უძირო ოკეანოსი, კოოსი და კრიოსი, ჰიპერიონი, იაპეტი, თეია და რეა, თემიდა და მნემოსინე, ოქროს გვირგვინოსანი ფებოსი და მშვენიერი ტეთისი, ფილირას დედა; გეა, რომელმაც მეუღლის ჭრილობიდან დანთხეული სისხლის წვეთებით მორწყულმა შვა შურისმაძიებელი ერინიები და მათზე თვინიერი მელიადები, ზევსის გამზრდელი,

ტანკენარი ტირიფის ნიმფები; გეა, რომელმაც გორგონას სისხლის წვეთებიდან შვა პეგასი და ტარტაროსთან შეუღლებით შობა თავისი უმცროსი ვაჟი, საზარელი ტიფოევსი, ვისი ტანის ქვედა ნაწილი ერთმანეთში გადახლართული, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული ორი გველისაგან შედგებოდა, - იგი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე წინ გაწვდილი ხელებით საკუთარი სისხლით მორწყულ მთებს ისროდა და თვით ზევსსაც კი ამოსჭრა მყესები, როცა ეს უკანასკნელი დათვის სახით შემოეყარა; განა დედა გეა, რომელმაც თავისი შავი საშოდან ასე ადვილად ამოსტყორცნა ყველა ეს ურჩხული, ახლა უცნაური სიმშვიდით არ იყო შეპყრობილი? საითაც არ გაიხედავდა კენტავრი, თეთრი, თეთრი იყო სპექტრების შენაჯერი და თვით სიკვდილსაც თეთრი ფერი ჰქონდა. ნეტავი, ცის დაკოდვა თუ არისო იმის მიზეზი, ასე საზარლად უნაყოფო რომ შეიქნა გეა, თუმცაღა საბრალო ხმამაღლა ითხოვდა შველას და ხსნას ელოდა?

გზის პირად, რომლითაც ის მიდიოდა, მოსაწყენი და ერთფეროვანი მცენარეები ხარობდა: მინდვრის ბალახი - დემეტრეს ყალმის მოსმა, კანის მომწამლავი თუთუბო, შინდი, რომლის ქერქსაც სასაქმებლად ხმარობენ და ველური

ალუბალი, ყოველთვის ასე რომ ჭარბობს სხლტეებში. შიშველი რტოები. წელიწადის ამ დროს მათ

უკვე დაკარგული ჰქონდათ თავიანთი სილამაზე და თოვლის საფარველი მკაფიო დამწერლობას მოეხატა. ის შეეცადა ამოეკითხა ეს ნიშნები, მაგრამ ვერ შესძლო; შველად კი არავისგან ელოდა. თორმეტთაგან ყველას სათითაოდ ჰკითხა რჩევა, მაგრამ ვერავინ მიუთითა საშველი. ნუთუ მუდამ ღვთის უტყვი მზერა ეყოლება მეგზურად? თვალების ტკივილი დამწყვდეული ძაღლების ხროვასავით ყეფდა და შიგნეულს უჯიჯგნიდა. გამოუშვით. ღმერთო, გამოუშვით ისინი! თითქოს ლოცვას ყური მოჰკრესო, ჰეკატების საზიზღარ, მყრალ სუნთქვასავით ეძგერა მის ტვინს გააფთრებული მახინჯი ურჩხულების ბრბო, სამყაროს შექმნის შემდეგ დარჩენილი ნაგავი - ბოყინი, რომელიც ყოველი არსის წინაპრის, ტუჩმოხეული ქაოსის მთქნარებას მოჰყვა. ფუჰ!.. ამ საზარელი იერიშის წინაშე ხირონის სიბრძნე უმწეოდ უკან იხევდა და ის მხოლოდღა არცნობის ნეტარებასა და თავდავიწყებას შესთხოვდა ზეცას. ხირონი შორსმჭვრეტელი იყო და ოდითგან წესად ჰქონდა: ღმერთებისათვის მხოლოდ ის ეთხოვა, რაზედაც მათ უარის თქმა არ შეეძლოთ. ბჭენი მართლაც დაიხშნენ: ღმერთებმა მოწყალედ დართეს ნება, მცირე რამ დაევიწყებინა.

აწუხებდა ის, რაც უკან დარჩა. ციებ-ცხელებით შეპყრობილი პირმშო. ხირონის გული

სიბრალულით განიმსჭვალა მისი ერთადერთი ნაშიერის - გრძელთმიანი ოკიროესადმი. თმა შესაკრეჭი აქვს საბრალოს. მეტისმეტად ბევრი სჭირდება მას. სიღატაკე. შვილსაც იმას უტოვებს, რაც თვითონ მიიღო მემკვიდრეობით - უამრავ ვალებსა და ბიბლიას. სიღატაკე ჭეშმარიტად გეას ნაბოლარა პირმშოა. ტკივილით გახელებული, დასაჭურისებული ცა ზეაიჭრა და ხრიოკ უდაბნოს შეატოვა თავისი ნაშობი, რომელსაც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე გაუშლია ხელები.

მაგრამ ზამთრის ყინვისაგან დამზრალ, გაძარცულ რტოებში იმალება პაწია, შეუმჩნეველი კვირტები. მაცხოვარი სუსხიან ყინვაში დაიბადა. ფოთლები ცვივა, მაგრამ რჩება ქარვისფერი ფესვი, მსუბუქი ნაფეხური, რომელსაც მომავალში ამანათივით გახსნიან. აი, საამისოდ ელავდა მის თავზე, შავ ტოტებში, მოწითალო ნაპერწკლები. კენტავრის ჩამქრალი მზერა ლაკმუსივით აღნიშნავდა ყველაფერ ამას; მისი ფიქრების მდინარება დუნედ მიედინებოდა. სხლტეში ჩამონაშუქი კარებს ჰგავდა და გაახსენდა, როგორ დაჰყვებოდა მამას სამრევლო საქმეებზე პასეიკში, სადაც ქუჩა ყოველ ნაბიჯზე საფრთხეს უქადდა: შაბათი იყო და გოგირდის მაღაროს მუშები ლოთობდნენ. სალუნის ორმაგ კარს იქით ცვიოდა შხამიანი სიცილის შხეფები,

რომელშიაც თითქოს თავს იყრიდა მთელი ამქვეყნად არსებული სიმკაცრე და სიბილწე. და უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი ღრიანცელი ყოფილიყო სამყაროში, რომელიც მამამისის ღმერთმა შექმნა. იმხანად უკვე შეჩვეული იყო საკუთარი გრძნობების დამალვას, მაგრამ, ეტყობა, მაინც გასცა მღელვარებამ, რადგან მამა თავის თეთრ საყელოში მისკენ შეტრიალდა, ყური მიუგდო სალუნიდან გამოსულ სიცილს და შვილს ღიმილით უთხრა:

- შვებაი ყოველი უფლისაგან არს.

მამა, რა თქმა უნდა, ხუმრობდა; მაგრამ ბიჭს გულზე მოხვდა მისი სიტყვები. შვებაი ყოველი უფლისაგან არს. რასაც არ უნდა გაეხარა სულიერად - ჭუჭყში, ჩოჩქოლში, სიღატაკეში - ყველგან გამოჩნდებოდა ღმერთი და თავის უფლებებს განაცხადებდა: ბარებში, ბორდელებში, სკოლებში, ფურთხით მოფენილ მოსახვევებში, რაც არ უნდა ბნელი, გულის ამრევი და მივარდნილი ყოფილიყო ისინი; ჩინეთში, აფრიკაში, ანდა ბრაზილიაში, ყველგან სადაც კი ხალხს თუნდაც წუთით მოიცავდა სიხარული, შეიპარებოდა ღმერთი და განავრცობდა თავის მარადიულ საუფლოს. ხოლო სხვა

ყოველივე, რაც სიხარული არ იყო, გაქრა - დათრგუნვილი, დამხობილი, არარსებული. გაახსენდა, როგორ შეჰხაროდა მისი ცოლი ფერმას, მამილო კრამერი - გაზეთს, ვაჟი - მომავალს და თვითონაც - როგორ უხაროდა, როგორი მადლობელი იყო, რომ შეუძლია კიდევ რამდენიმე ხნით გაუხანგრძლივოს მათ ეს სიხარული. რენტგენის სურათი სუფთაა: წინ დღეთა თეთრი სივრცეა გადაშლილი. დრომ საბატონოდ მიუბოძა უკიდეგანო ზეცა, რომელშიაც ის ლაღაც დაცურავს, ვით ეს შეჰფერის ოკეანოსის ჭეშმარიტ შვილიშვილს. მიხვდა, რომ რადგან სიცოცხლე სხვებს მიუძღვნა, უსაზღვრო თავისუფლება მოიპოვა. ცისფერი სიშორიდან იდისა და დიქტის მთები უეცრად მომსკდარი ზვირთებივით ორივე მხრიდან მოისწრაფოდნენ მისკენ და მის ახოვან სხეულში კვლავ შეუღლდა ცა და მიწა. რამეთუ ხოლო სიკეთე არს უკჳდავ და ეგოს იგი უკუნისადმდე.

გზის მოსახვევამდე მიაღწია. მისგან ას ნაბიჯზე შავ ხახასავით, რომელშიაც ის უნდა დანთქმულიყო, იდგა „ბიუიკი“, ძველი კატაფალკი. შავი ლაქა ნამქერის ფონზე. არ იცის, შესძლებს თუ არა მის ამოთრევას; მარჯვნივ, მინდვრის დამრეც შუბლზე, ემიშის სასილოსე კოშკი აღმართულიყო ღარული რკინის თავწამახული სახურავით. უძრავად იდგა მიტოვებული ქარის წისქვილი. ყვავყორანი დასეოდა დამარხულ ნაწვერალს.

მკაცრი პეიზაჟი.

უხილავმა სივრცემ, რომელმაც წუთით მოიცვა მისი არსება, ტკივილით განგმირა იგი და გაქრა. მანქანას შეხედა და გული შეეკუმშა. ტკივილმა მუცელთან გაუარა,

იქ, სადაც ცხენისეული ადამიანურს უერთდებოდა. გადასვლის ადგილები განსაკუთრებით მტკივნეული აქვთ ურჩხულთ.

სიშავე.

ჰო, შელაქს როდი იშურებდნენ ამ ომამდელი „ბიუიკებისათვის“. როცა ხირონი უფრო ახლოს მივიდა, გატეხილი გისოსის ადგილას დარჩენილმა პირდაფჩენილმა ღრმულმა გაკვირვებით დაკრიჭა კბილები და ხირონი მიხვდა, რომ ეს იმ გვირაბის შესასვლელია, მან რომ ფორთხვით უნდა გაიაროს; მოწაფეებს, რომელთა მეურვეობაც მას მიანდეს, ხორცსაკეპის მბრუნავი დანებივით ცისარტყელას ფრთებით აელვარებდა მისი ანთებული შინაგანი ხედვა. მეტისმეტად დიდხანს სწავლობდა ბედი. უკანასკნელ დღეებში ყოველივეს ეთხოვებოდა, წესრიგში მოიყვანა ჟურნალები და ახალი გზისათვის განემზადა, მაგრამ მოგზაურობა არ შედგა. ატროპოსმა მაკრატელი

გააჩხაკუნა, დაფიქრდა, გაიღიმა და შეჩერდა: დე, ცოტა ხანს კიდევ იტრიალოს ცხოვრების ჯარამ.

ხირონმა ბოყინი შეიმაგრა და აზრის მოკრებას შეეცადა. დაღლილობა მის წინ ციცაბო კლდესავით აღმართულიყო. ის აზრი, რომ კვლავ უნდა ეთვალთმაქცა ზიმერმანთან, მისის ჰერცოგთან, მთელ ამ ოლინჯერულ უზარმაზარ, დესპოტურ ბრბოსთან, გულს ურევდა და თავბრუს ახვევდა; როგორ შეეძლო უსაზღვრო შესაძლებლობებით აღსავსე მამამისის თესლს ამ უღონო, მწირ და მტრულ მიწის ნაკვეთზე საცოდავად მომწყვდეული, ორას მეოთხე კლასის ყრუ კედლებში ჩაკირული და უტყვი სახეებით გარემოცული ნაშიერი მოეცა?

როცა იმდენად მიუახლოვდა მანქანას, რომ მისი დაგრძელებული და დამახინჯებული ლანდი ფრთაში აირეკლა, მიხვდა: ეს ეტლი იყო, რომელიც ზიმერმანმა გამოუგზავნა. გაკვეთილები. თავს უნდა მოერიოს და გაკვეთილებისათვის მოემზადოს.

რატომ ვეთაყვანებით ზევსს**?** იმიტომ, რომ სხვა

ღმერთი არ არსებობს. დაასახელეთ ხუთი

მდინარე მკვდართა სამეფოში**!**

სტიქსი, აქერონტი, ფლეგეთონტი, კოკიტოსი და ლეთე.

ვინ იყვნენ ნერევსის ქალიშვილები? აგავე, ავტონოე, აკტაიე, ამფიტრიტე, გალატეია, გალენე, გლავკე, გლავკომონე, დინამენე, დორიდა, დოტო, ევაგორე, ევარნე, ევდორე, ევკრატე, ევლიმენე, ევნეიკე, ევპომპე, ეიონა, ერატო, თემისტო, თეტიდა, თოე, კიმო, კიმოდოკე, კიმოთოე, ლაომედეა, ლეიაგორე, ლისიანასა, მელიტე, მენიპე, ნემეტრე, ნესაიე, ნესო, პანოპე, პასითეე, პლოტო, პოლინოე,

პონტოპორეია, პროთო, პრონოე, პროტომედეა, პსამათე, საო, სპეიო, ფერუსა, ჰალიე, ჰალიმედე, ჰიპოთოე, ჰიპონოე.

ვინ არის გმირი? - გმირი ღმერთია, ჰერასავით მსხვერპლად შეწირული.

ხირონი პლატოს კიდესთან მივიდა; ფლოქვებმა კირქვა გაფხაჭნეს. მრგვალი, თეთრი კენჭი ხმაურით დაგორდა უფსკრულში. კენტავრმა ცის ლურჯი თაღისკენ აღაპყრო მზერა და მიხვდა, დიდი ნაბიჯი ჰქონდა გადასადგმელი. ჰო, ჭეშმარიტად დიდი ნაბიჯი, რომლისთვისაც ვერ მოემზადა მთელი თავისი მოხეტიალე

ცხოვრების მანძილზე. მძიმეა ეს ნაბიჯი, გზაც მძიმეა, მის გასავლელად მარადიულობაა საჭირო, ისევე, როგორც გრდემლის მიწაზე ჩამოსავარდნად. ტკივილით ნაგვემი შიგანი მოუდუნდა. მწარედ სტკიოდა დაჭრილი ფეხი; თავი უწონადო გაუხდა. კირქვის სიდიდე თვალს სჭრიდა. ხრამის პირას მდგარს მსუბუქმა ნიავმა დაჰბერა სახეზე. კენტავრის ალმასივით ბასრ ნებისყოფას აბსოლუტური შიშის დაწოლამ უკანასკნელი სიტყვა ამოანთხევინა:

აღსრულდა.

ανιατον δε εχωγ το ελχος εις το αππηλαιον απαλλασσσεται. χαχει τελευτησαι βουλομενος χαι μη δυναηεγο, επειπερ αξαγατος ηγ, αγτιδογτοςς Δυ Προμηξεως αυτον αντ αντου γενηδομενον αξανατον, ουτως απεξανεν.[14]

ხირონი შეხვდა სიკვდილს.

ეპილოგი

ზევსს უყვარდა თავისი ძველი მეგობარი და ზეცად აღავლინა, სადაც ვარსკვლავთა შორის ბრწყინავს მშვილდოსნის თანავარსკვლავედად ქცეული. აქ. ზოდიაქოში, ხან ცის კაბადონზე მოციმციმე, და ხან ჰორიზონტს მიფარებული, იგი მონაწილეობს ჩვენი ბედიღბლის აღსრულებაში, თუმცა უკანასკნელ დროს მოკვდავთაგან თითო-ოროლა თუ აღაპყრობს მოწიწებით თვალს ცისაკენ და კიდევ უფრო ცოტანიღა განიბრძნებიან ვარსკვლავთა მიხედვით.

ჯონ აპდაიკი

ჯონ აპდაიკი დაიბადა 1932 წელს პენსილვანიის პატარა ქალაქ შილინგტონში, მასწავლებლის ოჯახში. როგორც მწერალი ამბობს, ყრმობა მან გაატარა „სამყაროში, რომელიც დუმილით შეებოჭა ორ უჩინარ კატასტროფას - 30-იანი წლების კრიზისსა და მეორე მსოფლიო ომს“.

აპდაიკი მრავალმხრივ განათლებულია და მით განსხვავდება თავის ამერიკელ თანამოკალმეთაგან, რომლებიც ხშირად თავსაც კი იწონებენ იმ გარემოებით, რომ „აკადემიები არ დაუმთავრებიათ“. მან უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება მიიღო სამშობლოში. სწავლობდა აგრეთვე ინგლისში, ოქსფორდის სახვითი ხელოვნების სკოლაში. ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯონ აპდაიკმა ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ მოღვაწეობას; იგი გაზეთ ნიუ-იორკერისათვის“ წერდა წერილებს, იუმორისტულ მოთხრობებსა და ლექსებს.

კომპოზიციურად დახვეწილი აპდაიკის ნოველები ზოგჯერ მხოლოდ პირობით ჩანახატებს შეიცავდა, მაგრამ სასიამოვნო საკითხავია და ხშირად - თავშესაქცევიც. ამ მოთხრობების სიუჟეტი ქარგად ხშირად პირობითია; ზოგჯერ სიუჟეტი არცა ჩანს. უფრო სწორად, აპდაიკი ირჩევს ისეთ ლიტერატურულ ფორმას, რომლის დროსაც ნაწარმოების სიუჟეტად იქცევა გმირის სულიერი განწყობილება.

აპდაიკის მომხიბვლელი პოეტური ნიჭი ნათლად აირეკლა მის ლექსებში, რომელთა თემატიკა მეტისმეტად ვრცელია. ყველაფერი, რაც კი ადამიანის სულს აღელვებს, შეიძლება შეადგენდეს პოეზიის საგანს. პოეტის თვალით დანახული, ერთი შეხედვით სულ უმნიშვნელო წვრილმანი, მისივე მადლიანი ნიჭის მეოხებით ჭეშმარიტ პოეზიად იქცა. ჯონ აპდაიკს უყვარს სიტყვა, დიდი უშუალობით და ნატიფი გემოვნებით იყენებს მას. აპდაიკის ლექსები: „ხის ქათამი“ და „ტელეფონის ბოძები“ აღიარებულია პოეზიის შედევრად. სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე, მსუბუქი იუმორითა და მოხდენილი სიტყვით გამსჭვალული აპდაიკის ლექსები იტევენ ყოველდღიური ცხოვრების ამაოებასაც და ნიუ-იორკის გარეუბანში გატარებული ბანალური დღის მომხიბვლელობასაც. ტყუილად კი არ უწოდა მას გაზეთმა „სეტედი რევიუმ“ „საზღვართა გრძნეული გადამლახველი!..“

მაგრამ ჯონ აპდაიკი, უპირველეს ყოვლისა, რომანისტია. მკითხველთა ფართო წრემ იგი გაიცნო ზედიზედ გამოქვეყნებული ორი რომანით: „ბაზრობა ღარიბთა თავშესაფარში“ (The Poorhouse Fair, 1959) და „მოჰკურცხლე, ბაჭიავ!“ (Rabbit, Run, 1960).

„ბაზრობა ღარიბთა თავშესაფარში“ აპდაიკის პირველი რომანია და მისი პირველი სერიოზული წარმატება. ეს ძალზე საინტერესო, ნახევრად რეალისტური, ნახევრად-იმპრესიონისტული ნაწარმოებია, რომელიც ღარიბთა თავშესაფარში დაბინავებულ მოხუც პენსიონერთა ცხოვრებასა და საქმიანობას აღწერს. თავშესაფრის ბინადარი - ამაყი და უსუსური არსებანი, მოთმინებით მოელიან სიკვდილს; მათი მოლოდინი ზოგჯერ ბრძნულია, ზოგჯერ კი - ბავშვური, შიშით შებორკილი. იმ დრომდე, სიკვდილამდე, ისინი შეძლებისდაგვარად იცავენ თავს უსაქმურობისაგან, მოწყენილობისაგან, სიმარტოვისაგან, სიღატაკისაგან და... ადმინისტრაციისაგან. მათი ბებრული ყოფის სიცარიელე ავტორს მიაჩნია კანონზომიერ გაგრძელებად მათივე წინამდებარე ცხოვრების სიცარიელისა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აზრს, მნიშვნელოვან იდეას, აღსავსეა უბადრუკი მითქმა-მოთქმითა და ლუკმაპურისათვის დამამცირებელი ზრუნვით.

აპდაიკის ამ ნაწარმოებს ბოლომდე გასდევს ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი. მაგრამ, საბედნიეროდ, აპდაიკი არ ვარდება უიმედო პესიმიზმში და ცხოვრების უაზრობის იდეას არ წამოჭრის ნაწარმოების ცენტრალურ პრობლემად. მის რომანში ზემოთ აღნიშნული მიმართულება დაქვემდებარებულია და აშკარად ემორჩილება ავტორისავე მკვეთრ ჰუმანისტურ კრიტიციზმს. აპდაიკის ეს რომანი ბრალდებაა ცხოვრების არაადამიანური პირობების წინააღმდეგ.

„ბაზრობა ღარიბთა თავშესაფარში“ - რამდენადმე „კაპკასეულ წყვდიადს“ მოგვაგონებს, მაგრამ, კაპკასაგან განსხვავებით, აპდაიკის რომანში აღწერილი ამბავი არ დაჰყავს საზარელ ფანტასმაგორიამდე. ის სიფრთხილით ადევნებს თვალყურს, რომ მოქმედებამ არ გადალახოს წინასწარ მიჩენილი საზღვრები. მწერალი მხოლოდ გვიჩვენებს უფერულ, პაწია სამყაროს, რომელსაც ძალზე სუსტი კავშირი აქვს დიდ ქვეყანასთან, თავშესაფრის კედლებს მიღმა რომ არის გადაშლილი.

იუმორი და ირონია, რომლებმაც უკვე იჩინეს თავი აპდაიკის ლექსებსა და მოთხრობებში, მთელი ძალით ჩქეფს რომანში - „მოკურცხლე ბაჭიავ!“ მთავარი გმირი - ჰარი ანგსტრომი სიჭაბუკეში მოსწავლეთა შორის ჩემპიონი იყო კალათბურთში. სპორტმა ასწავლა მას, რომ არსებობს საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარ თავზე ამაღლების, წარმატების მოხვეჭის, სისხლსავსე ცხოვრების შესაძლებლობა. მაგრამ სიჭაბუკის მოლოდინი ცხოვრებამ არ გაუმართლა და ანგსტრომმა თავისი მიზნები სრულად კი არა, ოდნავადაც ვერ განახორციელა. ანგსტრომი უაზროდ ქორწინდება ბავშვივით უმწეო ქალზე, რომელიც მასზე უფრო გამოფიტული და მდარე პიროვნებაა და რომლისთვისაც მხოლოდ წვრილმანი ბურჟუაზიული ღირებულებები არსებობს. ჰარის მეუღლის მშობლები ქადაგებენ და ანგსტრომსაც თავს აბეზრებენ სიყალბეზე დაფუძნებული, მატერიალისტური „იდეალებით“.

ჰარი ანგსტრომში ცხოველური საწყისი სჭარბობს. („რაღაც ცხოველური ინსტინქტით გრძნობდა, რომ დასავლეთისაკენ მიემგზავრება“). მას არ შესწევს ცხოვრების გონიერად განსჯის უნარი. ანგსტრომის სულიერი თვისებები მის გარეგნულ პორტრეტშიც მჟღავნდება: მაღალი ტანისაა, ფართო სახე აქვს და პაჭუა ცხვირი; ზედა ტუჩი ნერვიულად უტოკავს, როცა პირში სიგარეტს გაიჩრის ხოლმე. მარტო მაშინ გრძნობს სამშვიდობოზე თავს, როცა ჩუმადაა. მსჯელობას თუ მოჰყვება, ფიქრი მოუწევს და

ამისი ეშინია. ბაჭია აღმერთებს თავის ინსტინქტებს, ემორჩილება თითოეულ წუთიერ სურვილს და ის, თავისი სურვილის მონა, არ ფიქრობს, რა მოჰყვება მის მოქმედებას შემდეგ.

ანგსტრომის ორ კეთილისმყოფელს, ერთი მხრივ, საშუალო სკოლიდან შემორჩენილ მწვრთნელსა და, მეორე მხრივ, მის სულიერ მოძღვარს, არ შეუძლიათ, ანდა უბრალოდ არ იციან, რითი დაეხმარონ მას. საერთოდ იმ ხალხის უმეტესობას, ჰარი ანგსტომის ირგვლივ რომ ტრიალებს, დახმარების სურვილი კი აქვს, მაგრამ უფრო ზიანს აყენებს, ვიდრე სიკეთე მოაქვს მისთვის; ანგსტრომის „კეთილისმყოფელები“ მოთმინებით იტანენ მის გამოხდომებს, თავს იკატუნებენ, თითქოს „ესმოდეთ“ მისი; თავიანთი შეხედულებისამებრ ცდილობენ ჰარის „გამოსწორებას“, ხელს უშლიან მას იქონიოს და მით უმეტეს - ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებები; ერთი სიტყვით გულმოწყალედ ეკიდებიან.

სინამდვილეში კი ანგსტრომს არც გულმოწყალება სჭირდება და არც პატიება, არც ყალბი თანაგრძნობა და არც - აბუჩად აგდება. ის ინსტიქტურად ისწრაფის ძალისაკენ, რომელიც საშუალებას მისცემს მას ამაღლდეს საკუთარ თავზე.

აწმყოთი უკმაყოფილო ჰარი ანგსტრომი სევდით იგონებს წარსულს - იმ დროს, როცა თავი ყოვლისშემძლე ესახებოდა. ამას გარდა, მას ასწავლეს შემოქმედების დაუოკებელი წყურვილი, შეუცნობელი ეგოიზმით შეპყრობილი ანგსტრომი ეძებს სრულყოფილ სიყვარულს და ვერ პოულობს. მას აკლია გონიერება, გამჭრიახობა, ნებისყოფა, მაგრამ არ აკლია გულთბილობა და სიფაქიზე.

მართალია ანგსტრომისათვის უპირატესად მნიშვნელოვანია ცხოვრების ფიზიკური მხარე, მაგრამ ის არ არის ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების უნარს მოკლებული. ოღონდ თავისი ამ ღირსების გამოვლინება და თავის თავთან ბრძოლა მას არ შეუძლია და ამიტომაც ის გარბის. ბაჭიასავით ქურდულად მიიპარება შინიდან. მაგრამ გაქცეულსაც ყველგან მახე ელანდება. ავტოსტრადაზე გაწოლილი ხეთა ჩრდილებიც კი ავისმომასწავებელ ხაფანგად ეჩვენება. გაქცეულ „ბაჭიას“ ყოველთვის ხელახლა ატყვევებენ ხოლმე, თითქოს კისერზე რკინის საყელური ჰქონდეს შებმული; ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც ან რაღაც, უხილავი თოკით მოჰქაჩავს და უკანვე დააბრუნებს.

ჰარის მეუღლეს - ჯენისს საკუთარი მოქმედების გააზრების კიდევ უფრო ნაკლები უნარი შესწევს. მას ვისკი სწყურია და - ისიც სვამს გამუდმებით. როცა არ ითვრება, საშინელი მოწყენილობა ეუფლება და მაშინ თვალს არ აშორებს ტელევიზორს; ოღონდ საკუთარ თავთან მარტო არ დარჩეს და სულ ერთია, რასაც უყურებს. ორივე მეუღლე უნებისყოფოა, უმიზნო, არ იციან, რისთვის იცხოვრონ, რა უყონ დროს. მაგრამ ორივე კარგად ხვდება ურთიერთის ნაკლს, ერთმანეთის შველა კი არ ძალუძთ და ჯენისი ხსნას ჰპოვებს ვისკიში, ხოლო ბაჭია - გაქცევაში.

კალათბურთის ყოფილ ჩემპიონს - ბაჭიას თანა სდევს მოგონებები, ეს მოგონებები ამაღლებს დანარჩენებზე, უფლებას აძლევს იფიქროს, რომ ვერ გაუგეს და უკმაყოფილოდ იგრძნოს თავი. ანგრსტომის ყოფილი მწვრთნელი ტოტერო, ყოველნაირად ხელს უწყობს მასში საკუთარი თავისადმი რწმენის გამტკიცებას, უღვიძებს თავმოყვარეობას. ბოლოს და ბოლოს ბაჭია ისე უყურებს თავის გაქცევას, როგორც ჭეშმარიტების მაძიებლის კეთილშობილურ მისიას. როდესაც მღვდელი ეკლზი უსაყვედურებს: „ყველა მაწანწალას ჰგონია, რომ ჭეშმარიტებას ეძებსო“ - ბაჭია თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, თითქოს სილა გააწნესო, ეკლზის სიტყვები გულზე

ეკლად ესობა და მაშინვე მიუგებს: „მაშინ თვით ქრისტეც არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებაო“. ბაჭიას ასეთი უსაფუძვლო პრეტენზიები მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევს. სად ცხოვრების წვრილმანი უსიამოვნებებისაგან გაქცევა და სად - ჭეშმარიტების ძიება?!

მაგრამ არც მოძღვარი ეკლზი და არც თვითონ ავტორი ხელაღებით არ ჰკიცხავს ჰარის. გულის სიღრმეში ეკლზი კიდევაც თანაუგრძნობს მას, როგორც მღვდელი, ის ვალდებულია ურყევად სწამდეს ქორწინების სიწმინდე და ცდილობს დაარწმუნოს ჰარი, დაუბრუნდეს ოჯახს. მაგრამ თუ ჰარი დაბრუნდა, ყველაფერი კვლავ ძველებურად წარიმართება და ამით მოძღვარი ეკლზი აღიარებს, რომ ანგსტრომის ცხოვრება აქამდე სწორი გზით მიედინებოდა. მაგრამ ეკლზი ჭკვიანი კაცია და ესმის, რომ ბაჭიას ცხოვრება ნამდვილი ჯოჯოხეთია. ის უბედურია და გარკვეული აზრით - მსხვერპლიც.

მარტო თვითონ რომ იყოს დამნაშავე, ყველაფერი სულ ადვილი მოსაგვარებელი იქნებოდა. ცხოვრების პირობები რომ იყოს ყველაფრის მიზეზი, ანდა ის ხალხი, რომელიც მას გარს არტყია, საკითხი აქაც უბრალოდ, მარტივად გადაწყდებოდა. მაგრამ აპდაიკი ისეთ სიტუაციას გვიჩვენებს, სადაც გმირის უბედურებაში ყველას მიუძღვის თავისი წილი დანაშაული - თვითონ გმირს, გარემოს და იმ საზოგადოებასაც, რომელმაც ის ჩამოაყალიბა და რაკი ყველას ბრალი მიუძღვის, დამნაშავეც აღარავინ არის. ხოლო თუკი ვინმე დამნაშავეა, მართალიც უნდა იყოს ვინმე. ყოველივე ამის გარდა, ერთი კითხვაც წამოიჭრება, განა ბაჭია დამნაშავეა, რომ ქერა თმა და პაჭუა ცხვირი დაჰყვა? განა მას შეუძლია აქ რამე შეცვალოს?!

„ვინმე თქვენგანი ზრუნვიდეს და შემძლებელი არის იგი შეძინებად ჰასაკისა თაჯსსა წყალთა ერთ ერთ?“ - ეკითხება ხალხს იესო და ანუგეშებს, ღვთის ნებას მიენდეთო.

- „ღმერთმაგამაჩინა ასეთი, როგორიც ვარ“, - ფიქრობს ბაჭია. განა ღმერთს უნდა, რომ ჩანჩქერი ხედ იქცეს?“ - ეკითხება ის ეკლზს და მისი კითხვა უსაფუძვლო როდია.

განა ადამიანები ერთნაირები იბადებიან? ისინი იბადებიან ისეთი მონაცემებით, რომლებისთვისაც თვითონ როდი აგებენ პასუხს. არსებობს პიროვნების ფსიქიკური წყობის მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც ისევე მცირედ არის დამოკიდებული

მათი მფლობელის პირად სურვილზე, როგორც ფიზიკური წყობის თავისებურებანი. ეს ნათელია, მაგრამ ჯიუტად ხაზგასმული ეს ფაქტი სერიოზულ საფრთხეს შეიცავს, რაშიც აპდაიკი ბაჭიის მაგალითზე გვარწმუნებს.

ბედისწერის საკითხებზე ბევრს ფიქრობს რომან „კენტავრის“ გმირი კოლდუელიც, რომელიც ბაჭიის ანტიპოდია.

ჩვენ ვხედავთ, რომ აპდაიკი ეძებს პასუხს კითხვებზე;

რამდენად პასუხისმგებელია ადამიანი თავის საქციელზე, ხასიათსა და თავის ხვედრზე?

აპდაიკი ცდილობს ეს პრობლემები მორალურ-ეთიკურ პლანში გადაჭრას. შემთხვევითი არ არის, რომ რომანის „მოკურცხლე, ბაჭიავ!“ ერთ-ერთ მთავარ გმირად გამოყვანილია პროტესტანტი მოძღვარი ეკლზი. ეკლზი რომანის ერთადერთი გმირია, რომელსაც აზროვნების უნარი შესწევს. ეკლზი და მასთან ერთად ავტორიც, ხშირად მიმართავენ ცნებებს: „კეთილი“ და „ბოროტი“, „ცოდვა“ და „მადლი“. აპდაიკის ყურადღების ცენტრში მუდამ მორალურეთიკური პრობლემები დგას.

რომან „კენტავრში“ (Centaur, 1963) მწერალი კვლავ ამ პრობლემებს უბრუნდება. „კენტავრი“ უფრო რთული ნაწარმოებია, ვიდრე „მოკურცხლე, ბაჭიავ!“ „კენტავრშიც“ ომისშემდგომი ამერიკის ცხოვრებაა აღწერილი, კვლავ ვხვდებით ძველ გმირებს - წვრილმანი ინტერესებით გამსჭვალულ ფილისტერებს. ასეთ გარემოცვაში კოლდუელი და მისი თხუთმეტი წლის ვაჟი პიტერი განწირულნი არიან ცხოველური არსებობისათვის. „ბაჭიაში“ კონფლიქტი თვით ამ მეშჩანურ სამყაროშივე წამოიჭრება. ბაჭია გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმ ხალხს, რომელიც მას გარს არტყია. კოლდუელი და მისი ვაჟი კი - განდგომილები არიან. ისინი არ ჰგვანან სხვებს, მათთვის უცხოა შური, სიხარბე, ისინი აღსავსენი არიან სიკეთითა და კეთილშობილებით. მათ შესწევთ უნარი უყვარდეთ თავისი ახლობლები,

ხალხი, კაცობრიობა. გარემომცველ მეშჩანურ წრესთან მათ კონფლიქტს ღრმა საფუძველი აქვს. ამ კონფლიქტს აპდაიკი განმარტავს, როგორც მატერიალურ და იდეალურ, ხორციელ და სულიერ სფეროთა წინააღმდეგობას.

აპდაიკის გმირები ცდილობენ გადაჭრან კაცობრიობის მარადიული საჭირბოროტო პრობლემები. მაგრამ რა მარადიულ პრობლემებზე შეიძლება მსჯელობა, როცა მათ თვალწინ მიყრუებული ქალაქია. წვრილმანი კინკლაობითა და ამაო საზრუნავით

გართული! ადამიანის სულის რომელ სიღრმეებს შეიძლება ჩაწვდეს კაცი, რომელსაც უბადრუკ, გამოფიტულ კაცუნებთან უხდება ურთიერთობა!

იმ მიზნით, რომ აღწერილი ამბისათვის უფრო ღრმა მნიშვნელობა და სიდიადეც კი მიენიჭებინა, აპდაიკმა რომანში შემოიღო თხრობის მეორე - მითოლოგიური პლანი. ამისდა მიუხედავად, აპდაიკის რომანი მთლიანად რეალურ ნიადაგზე რჩება.

მითოლოგიური და რეალური საწყისების შეთავსებისაკენ სწრაფვამ განაპირობა რომანის უჩვეულო ფორმა. ორი პლანის - კონკრეტულისა და განზოგადოებულსიმბოლურის შეხამება დამახასიათებელია XX საუკუნის ბევრი ევროპელი რეალისტი მწერლისთვის. ამის ნათელი მაგალითია თომას მანის შემოქმედება. XIX საუკუნის კლასიკურ რეალიზმზე დაფუძნებული XX საუკუნის რეალიზმი იყენებს სხვადასხვა, როგორც წარსულ, ასევე თანამედროვე სკოლათა და მიმართულებათა მიღწევებსაც. გამომხატველ საშუალებათა ძიებისას რეალისტი მწერლები ხშირად მიმართავენ ანტიკურ ლიტერატურას, ბიბლიურ თქმულებებს, XVIII საუკუნის ფილოსოფიურ მოთხრობებს; აპდაიკმა არჩევანი შეაჩერა ძველ ბერძნულ მითოლოგიაზე.

ანტიკურ ეპოქას, მისთვის დამახასიათებელი ეკონომიური ურთიერთობებით, მარქსმა კაცობრიობის ბავშვობა უწოდა. მომდევნო თაობებს ძველი საბერძნეთი ესახებოდა ადამიანისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების იდეალად. ანტიკური სამყაროსათვის უცხო იყო თეორიისა და პრაქტიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების, ფიზიკურისა და სულიერის ურთიერთწინააღმდეგობანი. ათასწლეულის პრიზმაში დანახული უძველესი სამყარო დიდებული, მშვენიერი ესახება აპდაიკს. იგი იზიდავს მწერალს, როგორც „ბავშვობის ბედნიერი ხანა“. ანტიკური ეპოქის მიმართულება კიდევ უფრო ძლიერია, როდესაც აპდაიკის შეგნებაში იგი უპირისპირდება სხვა სამყაროს - კაპიტალისტურ სამყაროს, რომელიც ოსტატურად შენიღბულა, მაგრამ მაინც ვერ ფარავს შინაგან მიხრწნილებას.

აპდაიკის რომანის გმირი პროვინციის მასწავლებელია. იგი ძალზე ნიჭიერი, თავდადებული მასწავლებელია. მაგრამ ავტორს სურს, კიდევ უფრო აამაღლოს

ეს სახე, მაშტაბური და დიდებული გახადოს, ამიტომ თავმდაბალ მასწავლებელს აიგივებს უკვდავ კენტავრთან, რომელიც საკუთარ თავს მსხვერპლად სწირავს კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ზოგ შემთხვევაში მითის გამოყენება რომანში სატირულ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, ჭეშმარიტად გროტესკული ხასიათი აქვს სკოლის დირექტორის - ზიმერმანის ზევსთან გაიგივებას[15].

კენტავრის ვაჟი - პიტერ კოლდუელი ყველგან მხოლოდ საკუთარი „ადამიანური“ სახით გვევლინება. თუმცა რომანში იგულისხმება, რომ მისი პარალელი ნაწილობრივ ხირონის ასული ოკიროეა, ნაწილობრივ კი - პრომეთე, ვისთვისაც, მითის თანახმად, ხირონმა მსხვერპლად გაიღო საკუთარი უკვდავება. მაგრამ ეს მხოლოდ თეორიული ვარაუდია. რომანში პიტერი მხოლოდ რეალურ პლანშია გამოსახული. მეორე პლანი განუხორციელებელია. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ პიტერი ავტორის „მეა“. რომანის ბევრ სცენას ჩვენ ვხედავთ მისი თვალით, ჩვენი თანამედროვის თვალით და არა მითოლოგიური გმირის თვალით. ამას გარდა, ავტორის ჩანაფიქრის თანახმად, რომანის სიმძიმის ცენტრი კონცენტრირებულია კოლდუელის სახის ირგვლივ. პიტერის დანიშნულებაა ამ სახის კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა; პიტერის პრომეთესთან სრული გაიგივება რომ მომხდარიყო, მაშინ ის მეტოქეობას გაუწევდა კოლდუელის სახეს.

მასწავლებელ კოლდუელსა და მის ვაჟს ადრეც შევხვედრივართ მწერლის შემოქმედებაში. აპდაიკის მოთხრობებში ხშირად მონაწილეობენ ბიჭი, რომელიც ოცნებობს გახდეს მხატვარი და მამამისი, რომელიც საკუთარ პირმშოს ერთიდაიმავე დროს კიდეც უყვარს და კიდეც ეთაკილება.

თუ ჰარი ანგსტრომი ახალგაზრდა „ანტიგმირია“, პიტერმა მემკვიდრეობით შეისისხლხორცა სიკეთე, სამართლიანობის გრძნობა და ის თვალსაზრისი, რომ ცხოვრება - მოვალეობის აღსრულებაა. მას არ ახასიათებს მამის სუსტი მხარეები და არც მისი ახირებულობა. პიტერი მაღლა დგას თანატოლებზე, მას არ ჰყავს მეგობრები. მაინორი და დედმენი, რომლებიც პიტერს მისტირიან და ოცნებობენ ატომური ბომბის საშუალებით დაიპყრონ მსოფლიო, პიტერს აღშფოთებას და ზიზღს ჰგვრის. ეს გონებაშეზღუდული, გაბოროტებული ადამიანები პიტერის თვალში განასახიერებენ ყველაფერს, რაც ჰკლავს მამამისს, და ის მზად არის, თავი უღმერთოდ და კომუნისტადაც გამოაცხადოს, რათა მათ გაემიჯნოს. პიტერისათვის აწმყო - დამამცირებელი სიღატაკე, შელახული თავმოყვარეობა და სიმარტოვეა. სამაგიეროდ მომავალში მას საკუთარი თავი თავისუფალ, დამოუკიდებელ მხატვრად

ესახება, რომელიც განცხრომით ცხოვრობს დიდ ქალაქში. წიგნის ფინალიდან ვგებულობთ, რომ ის მართლა გადასახლდა ნიუ-იორკში და გახდა მხატვარი, მაგრამ ახლაც მწვავე უკმაყოფილებას განიცდის; „ვათვალიერებ ამ ოთახს, სადაც

იატაკი ჩვენი შიშველი ფეხებით არის გაპრიალებული, სადაც ჭერზე დამჩნეული ლაქები პირველაღმომჩენის მცდარ რუკაზე დახატულ კონტინენტებს წააგავს, კედლებთან კი გულმოდგინედ ნათითხნი, მორცხვად წაფარებული ტილოები აყუდებულან, რომლებიც ამაოდ - ახლა უკვე მეც ეჭვი მეპარება ამაში - ცდილობენ აუწერელის გადმოცემას, და შიში მიპყრობს. ვფიქრობ ჩვენს საერთო ცხოვრებაზე, დღეებზე, ანგარიშმიუცემლად რომ მისდევენ ერთმანეთს და მზის ამოსვლას და ჩასვლას არ დაგიდევს, მთელ ამ გარემოზე, რომელიც სულ უფრო და უფრო მიმქრალ გრძნობას უცნაური სახეებით მოუქარგავს და ბრაკის ნახევრად წაშლილ, ბუნდოვან სურათს მაგონებს; ფროიდისტული და აღმოსავლური სექსუალური მისტიციზმის მოსაწყენ ნარევზე, და ჩემს თავს ვეკითხები: ნუთუ ამას შესწირა სიცოცხლე მამაჩემმა?“

და მაინც არ შეიძლება პიტერს უბედური ვუწოდოთ. მასში იგრძნობა მთლიანობა, დაურღვეველი, მყარი საფუძველი. მას აქვს მოწოდება, ცხოვრების მიზანი, და თუმცა

სიყალბისა და თაღლითობის გარემოცვაშია, თვალწინ მამის კეთილშობილი მაგალითი აქვს. პიტერმა თავისდაშეუმჩნევლად, ქვეშეცნობილად გადაჭრა ავტორის მიერ წამოჭრილი საჭირბოროტო კითხვები: ის დაემორჩილა სიკეთისა და თავგანწირვის დიად ზეგავლენას. მისთვის ძალაში რჩება „მოძველებული“ ჰუმანისტური იდეალები, რადგან მათ ყალბი სახელმძღვანელოებიდან, ან ფარისევლური ქადაგებებიდან როდი იცნობს. ის გაიზარდა ატმოსფეროში, სადაც ეს იდეალები ყოველდღიურად ტარდებოდა ცხოვრებაში.

პიტერისა და მამამისის ამბავი მრავალ სხვადასხვა პლანშია მოთხრობილი. რომანი იწყება ობიექტური თხრობით, იმის აღწერით, თუ რა გადახდა თავს ჯორჯ კოლდუელს 1947 წლის ზამთარში, სამი დღის განმავლობაში. შემდეგ პიტერ კოლდუელი, უკვე დავაჟკაცებული მხატვარი, უამბობს ზანგ საყვარელს თავისი სიყმაწვილის ისტორიას. რომანში გამოყენებული ალეგორიული თქმულება აღწერს მითიური უკვდავის ტანჯვას, რომელიც წელსზევით კაცია და წელსქვევით - ცხენი. ქება-დიდებით გამსჭვალული ნეკროლოგი საგაზეთო ენით აჯამებს ჯორჯ კოლდუელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მდიდრულად არის გადახლართული ერთიმეორეში უძველესი მითი და თანამედროვე ამბავი: კოლდუელი დაჭრილია კოჭში მოწამლული ისრით, რომელიც, ისევე როგორც ხირონს - აქილევსმა, მას ერთ-ერთმა მისმა მოწაფემ სტყორცნა. ცეცხლი, რომელიც პრომეთე-პიტერმა ღმერთებს მოსტაცა, მისი არტისტული ნიჭია. ხოლო სასჯელი ის არის, რომ შეწუხებულია მკვეთრად გამოხატული არასასიამოვნო ალერგიით და ამ დაავადებასთან დაკავშირებული აკრძალვებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ დაავადებით, რომელსაც არასასიამოვნო სახელი - „ფსორიაზი“ ჰქვია, - პიტერი მტკიცედ არის მიჯაჭვული მიწირ

ცხოვრებას. პიტერის მეგობარი პენი ყმაწვილს საკუთარივე სექსუალობის პანდორას ყუთს უხსნის, მაგრამ მამის მიერ გაღებული მსხვერპლი მას ყველა დაბრკოლებას გადაალახვინებს, დააძლევინებს ყრმობის ასაკს და აქცევს კაცად.

დამოკიდებულება კეთილი განზრახვებით აღსავსე, მაგრამ უიღბლო კოლდუელსა და მის ვაჟს შორის რომანის ერთ-ერთი მთავარი თემაა. პიტერს უყვარს მამამისი, მაგრამ აღშფოთებულია კოლდუელის უუნარობით, რომელსაც არ შეუძლია სხვებისაგან თავი დაიცვას. პიტერის თვალში ის სასაცილო იდეალისტია, მძიმედ დაჭრილი ბრიყვი მოსწავლეებისაგან, სიღარიბისაგან და ხანდაზმული ასაკისაგან.

პიტერი ბოლოს ურიგდება ადამიანთა ნაკლოვანებებს, გაუგებს მამას, ის ხომ დამცირებული და გატანჯული კაცობრიობის სიმბოლოა; კაცობრიობისა, რომლის საუკეთესო ნაწილი - სიბრძნე და მშვენიერება ცისაკენ მიილტვის, უარესი კი - ძალა და ვნება - მიწას ვერ ასცილებია.

რომან „ფერმაში“ (Of the Farm, 1965) ჯონ აპდაიკი ეჭვის თვალით უცქერის ბურჟუაზიულ ცივილიზაციისათვის ჩვეულ ნორმებს. რომანის წაკითხვის შემდეგ მკითხველს გამოაქვს დასკვნა, რომ ასეთი ცივილიზაციის ჩარჩოებში გატარებული სიცოცხლე ტყუილუბრალოდ იფლანგება. ეს წიგნი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჯონ აპდაიკი სერიოზულად და საფუძვლიანად იკვლევს თანამედროვე საზოგადოებას. „ფერმაში“ იგი კიდევ ერთხელ მოგვევლინება, საუცხოო მთხრობელად, რომელიც დაუფლებულია ფსიქოლოგიზმის საიდუმლოებებს და შესწევს ადამიანის შინაგანი სამყაროს პლასტიკური ასახვის არაჩვეულებრივი უნარი.

რომან „წყვილებში“ (Couples,1968) აპდაიკმა ზურგი აქცია მშობლიურ წყაროებს, რათა გარეუბნის გადაგვარებული მოდერნისტების მორალურ კრახზე დაფიქრებულიყო, კრახზე, რომელიც მთლიანად სექსის გარშემო არის კონცენტრირებული.

აპდაიკის, როგორც რომანისტისა და მწერლის, შეხედულებებს გადაკვრით გვამცნობს მისი რომანი „ბეჰი: წიგნი“ (Bech: a Book, 1970). ამ წიგნის გმირი გასაჭირში ჩავარდნილი მწერალია. 50-იან წლებში ჰენრი ბეჰს მისმა პირველმა რომანმა მნიშნელოვანი ავტორიტეტი მოუხვეჭა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, მაგრამ ამის შემდეგ მისი წიგნები თანდათან გაუარესდა, სანამ ხელოვანი ჩიხში მომწყვდეული არ აღმოჩნდა. ის რჩება მეორეხარისხოვან პოპულარულ მწერლად, რომელსაც სთხოვენ წაიკითხოს საჯარო ლექციები, ირჩევენ ამერიკის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის წევრად, მაგრამ თვითონ ბეჰმა კარგად იცის, რომ მიღწეული ძალზე მცირეა.

რკინის ფარდის მიღმა, რომელიც ჰყოფს ამა ქვეყნის რჩეულთ ჩვეულებრივ მოკვდავთაგან, ჩვენ ვხედავთ ბეჰს. ის „კულტურულ გაცვლას“ ანხორციელებს, ოღონდ ვერ ახერხებს ჭეშმარიტად ჰუმანურ ურთიერთობათა დამყარებას; ბეჰი შვებულებას ახალ ინგლისში ატარებს ცნობისმოყვარე ქალბატონებსა და მოწიწებით აღსავსე ყოფილ სტუდენტებს შორის, შემდეგ სტუმრად ეწვევა თავის გამომცემელს კონსერვატიულ ლონდონში და თვითონაც ოდნავ იმსჭვალება კონსერვატიზმით, ლექციებს კითხულობს ვირჯინიის კოლეჯში, რომელიც მზეთუნახავი ლენჩებით არის

გამოტენილი და აკადემიის მოწყენილობას იზიარებს. მაგრამ ეს მოგზაურობა არაფერს აძლევს - საყვარლები მალე მოგონებებად იქცევა, უცხო ხალხის აღტაცება შეურაცხყოფს მასში საკუთარი მარცხის რწმენას, ხოლო ის „დიდი რამ“, რისი დაწერაც წინათ ჰქონდა განზრახული, ის წიგნი, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო მისი უმოქმედობისათვის, დაუწერელი რჩება. ბეჰი, მაინც აგრძელებს ცხოვრებას, აგრძელებს იმ სახიფათო ურთიერთობებს, რომლებსაც ყველგან სთავაზობენ; თუმცა ზოგჯერ პრინციპულობასაც იჩენს და უარს აცხადებს ამ ურთიერთობაზე. ბეჰის უკანასკნელი სიტყვები „რაღა დარჩა?“ აჯამებს მის დანაკარგსა და კერპ მომჭირნეობას.

ჯონ აპდაიკის ეს წიგნი თავისებური პროტესტია იმ გარემოებათა წინააღმდეგ, რომლებსაც თვითონ მწერალი უწოდებს „აბრეშუმგადაკრულ მექანიზმს, სადაც ამერიკა საკუთარ მწერლებს თავს ახვევს სიჩლუნგესა და სიყალბეს“, როგორც ჰენრი ბეჰი ამბობს.

სულ ახლახან გამოქვეყნდა ჯონ აპდაიკის კიდევ ერთი რომანი „განკურნებული ბაჭია“ (Rabbit Redux). ამ რომანში მწერალი კვლავ მოგვითხრობს ჰარი ანგსტრომზე -

„მოკურცხლე ბაჭიას“ მთავარ გმირზე. მაგრამ ამჯერად ჰარი გაქცევაზე სულ არ ფიქრობს: მან სულიერი სიმშვიდე მოიპოვა, რასისტული ცრურწმენებით შეიარაღდა და „კონსერვატორი გახდა“. იგი ზიზღით უცქერის შავკანიანებს და ვიეტნამელთა ხოცვა-ჟლეტას თანაუგრძნობს.

ჯონ აპდაიკის წიგნებში წამოჭრილია მნიშვნელოვანი მორალურფილოსოფიური პრობლემები; ოსტატურად შენიღბული სევდა, რომელიც ჰარმონიულ ცხოვრებაზე ოცნებით არის გამოწვეული, ამ წიგნებს თავისებურ ელფერს ანიჭებს.

აპდაიკის შემოქმედება, ისევე, როგორც ყველა მწერლისა, კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს, მაგრამ შეუძლებელია იმ დიდი როლის უარყოფა, რომელსაც მისი ნაწარმოებები ასრულებენ დღევანდელ ამერიკულ ლიტერატურაში.

აპდაიკის შემოქმედებაში საბჭოთა მკითხველისათვის ყველაზე უფრო ძვირფასია რეალური, ცხოვრებისეული კონფლიქტების სიმწვავის შეგრძნება, დაკვირვების და ძიების უნარი, თანამედროვე ყოფის სერიოზული შესწავლა. როგორც რომან „მოკურცხლე, ბაჭიას“ წვრილმანი საყოფაცხოვრებო დეტალების ნატურალისტური

აღწერის დროს, ასევე რომან „კენტავრის“ რთული მითოლოგიური სახეების გადმოცემისას, აშკარად იჩენს თავს ავტორის გაბედული, გამჭრიახი, კრიტიკული თვალი. დალი ინწკირველი

[1]ლამაზი სახლი გაქვთ? დიახ, ძალზელამაზი. (ფანგ.).

[2] ბერძნული საკუთარი სახელების გადმოქართულებისას ვცდილობდი დამეცვა ბერძნულ სახელთა ქართულად გადმოცემის არსებული წესი. გამონაკლის შემთხვევაში წესიდან გადახვევა აიხსნება ქართული მწიგნობრული ტრადიციის გაგრძელებით (მთარგმნ.).

[3] „ვასარი“ - ცნობილი ქალთა კოლეჯი ამერიკაში.

[4] დოკ - შემოკლებული doctor (ექიმი, ინგლ.).

[5] ამერიკული კლუბების სახელებია.

[6] დიახ (გერმ.).

[7] ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია.

[8] დელავართა ინდური ტომის ადგილობრივი მოსახლეობა.

[9] ჰამლეტის სიტყვები.

[10] რა ესე ბრძანა, პირი იბრუნა, ყელმა იელვა ვარდის ნათელით; თმის გვირგვინი, ვით ამბროზია, ზეციურ სურნელს აფრქვევდა კეფაზე; მოწყდა სამოსი ტალღისა მსგავსად და მის ტერფებთან განერთხა მიწას, როს ჭეშმარიტად ღვთაებრივი კდემით ვიდოდა.

(ვერგილიუსი, „ენეიდა“, თარგმანი დ. ინწკირველისა).

[11] დიახ. (ფრანგ.).

[12] ფრანკლინ დელანო რუზველტი.

[13] მამაკაცური და ქალური დასაბამი ადამიანში, ძველი ჩინური ფილოსოფიის მიხედვით.

[14] „კოჭში უკურნებელი იარისაგან გაწამებული, იგი თავს აფარებს გამოქვაბულს და უნდა, იქ დალიოს სული, მაგრამ არ შეუძლია, რადგან უკვდავია. მაშინ პრომეთეს ნაცვლად საკუთარ თავს სთავაზობს ზევსს, თუმცა კი უკვდავება ელოდა, და ასე ამთავრებს თავის სიცოცხლეს“. (ბერძ). აპოლოდორე,
II, 85.

[15] ამ პარალელიზმს, სიმეტრიას ძველსა და ახალს შორის, სხვა სახეების გამოძერწვის დროსაც იყენებს ავტორი და ამას ხაზს უსვამს იდენტური ინიციალებით: პრომეთე - პიტერი, ვენერა - ვერა, ჰეფესტო - ჰამელი, პანდორა - პენი, დედალოსი - დედმენი, ასკლეპიოსი - აპლტონი, პასიფაა - მისის პესიფაი, ფოსტაში მომუშავე ქალი, ჰერა - მისის ჰერცოგი, ოლიმპო - პატარა ქალაქი ოლინჯერი. ინგლისურ ტექსტს თან ერთვის აპდაიკის მიერ შედგენილი მითოლოგიურ სახელთა საძიებელი.

[1]ლამაზი სახლი გაქვთ? დიახ, ძალზელამაზი. (ფანგ.).

[2] ბერძნული საკუთარი სახელების გადმოქართულებისას ვცდილობდი დამეცვა ბერძნულ სახელთა ქართულად გადმოცემის არსებული წესი. გამონაკლის შემთხვევაში წესიდან გადახვევა აიხსნება ქართული მწიგნობრული ტრადიციის გაგრძელებით (მთარგმნ.).

[3] „ვასარი“ - ცნობილი ქალთა კოლეჯი ამერიკაში.

[4] დოკ - შემოკლებული doctor (ექიმი, ინგლ.).

[5] ამერიკული კლუბების სახელებია.

[6] დიახ (გერმ.).

[7] ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია.

[8] დელავართა ინდური ტომის ადგილობრივი მოსახლეობა.

[9] ჰამლეტის სიტყვები.

[10] რა ესე ბრძანა, პირი იბრუნა, ყელმა იელვა ვარდის ნათელით; თმის გვირგვინი, ვით ამბროზია, ზეციურ სურნელს აფრქვევდა კეფაზე; მოწყდა სამოსი ტალღისა მსგავსად და მის ტერფებთან განერთხა მიწას, როს ჭეშმარიტად ღვთაებრივი კდემით ვიდოდა.

(ვერგილიუსი, „ენეიდა“, თარგმანი დ. ინწკირველისა).

[11] დიახ. (ფრანგ.).

[12] ფრანკლინ დელანო რუზველტი.

[13] მამაკაცური და ქალური დასაბამი ადამიანში, ძველი ჩინური ფილოსოფიის მიხედვით.

[14] „კოჭში უკურნებელი იარისაგან გაწამებული, იგი თავს აფარებს გამოქვაბულს და უნდა, იქ დალიოს სული, მაგრამ არ შეუძლია, რადგან უკვდავია. მაშინ პრომეთეს ნაცვლად საკუთარ თავს სთავაზობს ზევსს, თუმცა კი უკვდავება ელოდა, და ასე ამთავრებს თავის სიცოცხლეს“. (ბერძ). აპოლოდორე, II, 85.

[15] ამ პარალელიზმს, სიმეტრიას ძველსა და ახალს შორის, სხვა სახეების გამოძერწვის დროსაც იყენებს ავტორი და ამას ხაზს უსვამს იდენტური ინიციალებით: პრომეთე - პიტერი, ვენერა - ვერა, ჰეფესტო - ჰამელი, პანდორა - პენი, დედალოსი - დედმენი, ასკლეპიოსი - აპლტონი, პასიფაა - მისის პესიფაი, ფოსტაში მომუშავე ქალი, ჰერა - მისის ჰერცოგი, ოლიმპო - პატარა ქალაქი ოლინჯერი. ინგლისურ ტექსტს თან ერთვის აპდაიკის მიერ შედგენილი მითოლოგიურ სახელთა საძიებელი.